


ს ტ ე მ რ ნ ი მ ე ი ე ტ ი

მუთავამის მზე



www.ChiaturaINFO.GE



მ ს ო ფ ლ ი ო ბ ე ს ტ ს ე ლ ე რ ი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.ChiaturaINFO.GE

სტეფანი მეიერი

შუალამის მზე

1 თავი

პირველი შეხვედრა

ამ წუთას ძალიან მაწუხებდა, რომ ძილი არ შემეძლო. საშუალო სკოლა, თუმცა მე მას ალბათ განსაწმენდელს უფრო დავარქმევდი.... თუ რა თქმა უნდა არსებობს რაიმე საშუალება ჩემი ცოდვების გამოსასყიდად, სკოლა ამ ჩამონათვალში აუცილებლად იქნება. მონოტონური ცხოვრება ჩემთვის არ არის, მაგრამ აქ ყოველი მომდევნო დღე, წინაზე მეტად მოსაწყენია. ხანდახან ვფიქრობ, რომ ალბათ ეს არის ჩემი ძილი – თუ კი ძილად ჩავთვლით ასეთ ინერტულ მდგომარეობაში ყოფნას, აქტიურ პერიოდებს შორის.

ვცდილობდი, იმ ხმებისგან, რომლებიც ჩემს თავში ხმაურიანი მდინარესავით ისმოდა, ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა, ჩუმად ვათვალიერებდი კაფეტერიის მობათქაშებულ კედლებზე გაჩენილ ბზარებს და მათში სხვადასხვა ფიგურების ამოცნობას ვლამობდი.

საერთოდ ვცდილობ ამ ყველაფერს იგნორირება გავუკეთო, რადგანაც ის, რაც შეიძლება ადამიანმა იფიქროს, მე ეს ყველაფერი უკვე არაერთხელ მქონდა გაგონილი. დღეს, მაგალითად ყველას ფიქრი უმნიშვნელო მოვლენის – ჩვენი სკოლის ახალი წევრის ირგვლივ ტრიალებდა. კაფეტერიაში მყოფი, თითოეული ადამიანის ფიქრში, ახალ სახეს ვხედავდი. ეს იყო ჩვეულებრივი გოგონა, ადამიანი. მისი ჩამოსვლით გამოწვეული ნერვიულობა ძალიან მაგონებდა პატარა ბავშვების ახალი სათამაშოთი აღტაცებას. ბიჭების ნახევარმა უკვე მის შეყვარებულად წარმოიდგინა თავი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის უცნობი იყო. მობილიზებას ვცდილობდი რომ უცხო

აზრები არ გამეგონა. მხოლოდ ოთხ ხმას ვბლოკავდი ზრდილობის და არა ზიზღის გამო: ეს იყო ჩემი ოჯახის, ორი ძმის და ორი დის აზრები, რომლებმაც იცოდნენ თუ რამდენად რთული იყო ჩემგან რაიმეს დამალვა და თითქმის არც ფიქრობდნენ ამაზე. ვცდილობ არ მოვუსმინო, თუ კი ეს შესაძლებელია, ან უზრუნველყო მათი საიდუმლოებების შენახვა. რა თქმა უნდა ვიცი, რომ ეს მხოლოდ მცდელობაა.... როზალი, როგორც ყოველთვის საკუთარ თავზე ფიქრობდა. მან შეამჩნია საკუთარი ანარეკლი რაღაც შუშის ზედაპირზე, ახლა კი ტკბებოდა თავისი სრულყოფილებით. როზალის ფიქრები პატარა ტბორს მაგონებდა, რომელის შიგნით არაფერი არ იყო დამალული. ემეტი ჯერ კიდევ გაბრაზებული იყო, რადგანაც წინა ღამით ჯასპერთან შეჯიბრში დამარცხდა, ახლა კი ნებისყოფის მოკრებას ცდილობდა რათა გაკვეთილების დამთავრების მერე რევანში აეღო. არასოდეს ვცდილობდი ემეტის ფიქრების წაკითხვას, რადგან ვიცი, რომ არ იფიქრებს ისეთ რამეს, რასაც მერე ხმამალა არ იტყვის ან არ გააკეთებს. მხოლოდ უცხოთა აზრების გაგებას ვცდილობდი, რადგან ვიცოდი რომ შესაძლებელი იყო არსებულიყო ისეთი რაღაცა, რასაც ჩემგან საიდუმლოდ შეინახავდნენ. თუ კი როზალის ფიქრები პატარა გუბურას გავდა, ემეტის ფიქრები შეიძლება ტბისთვის შემედარებინა, გამჭვირვალე და სუფთა წყლით. ჯასპერი ... შეწუხებული იყო. ჩუმად ამოვისუნთქე. ედვარდ, – აზრებში დამიძახა ელისმა და მაშინვე ჩემი ყურადღება მიიპყრო. ეს ჩემთვის იგივე იყო თითქოს ხმამალა მოემართოს. მსიამოვნებდა ის ფაქტი, რომ ბოლო დროს ჩემი სახელი მოდიდან გადავიდა – ყოველთვის ვლიზიანდებოდი, როცა ვინმეს აზრებში ჩემი სახელის გაგონებისას შევტრიალდებოდი და აღმოვაჩენდი რომ სხვა ედვარდზე ფიქრობდა. ამჯერად არ შევბრუნებულვარ, მე და ელისი მივეჩვიეთ ასეთი სახით საუბარს და იშვიათად რომ ვინმეს გამოვეჭირეთ. ძველებურად ვათვალიერებდი ბზარებს ბათქაშთან კედლებზე. – როგორ გრძნობს თავს? – მკითხა. მოვიღუშე – მსუბუქად შემეცვალა ტუჩის კუთხეები, რომელსაც ვერავინ შეამჩნევდა, ბოლოს და ბოლოს შემემძლო მოწყენილობისგან მოვლუშულიყავი.

ელისს ხმის ტონზე ეტყობოდა ალელვება. დავინახე, რომ თვალის კუთხიდან აკვირდებოდა ჯასპერს. რამე საშიშროებაა? – და უახლოეს მომავალში გაიხედა, რათა გაეგო რატომ მოვილუშე. ნელა მივატრიალე თავი მარცხნივ, თითქოს კედელს შევხედე, ამოვისუნთქე და ისევ მარჯვნივ შევტრიალდი. მხოლოდ ელისი მიხვდა რომ თავი გავაქნიე.

მოდუნდა. მაცნობე თუ საქმე ცუდად წავა.

მაღლა ავიხედე, შემდეგ კი ისევ დავხარე თვალები.

გმადლობთ, რომ ამას აკეთებ.

მოხარული ვარ რომ ხმამაღლა არ მომიწია პასუხის გაცემა, ან რას ვეტყვოდი?

“არაფერს”? შესაძლებელია. არ მომწონს ჯასპერის ტანჯვის ყურება, ნუთუ ასეთი ექსპერიმენტები აუცილებელია? ნუთუ არ არსებობს ნაკლებად სახიფათო გზა იმის მისახვედრად, რომ მას არ შეუძლია თავისი წყურვილის კონტროლი ისევე კარგად, როგორც ჩვენ. რატომ ვთამაშობთ ცეცხლთან?

ორი კვირა გავიდა ჩვენი ბოლო ნადირობიდან. დანარჩენებისთვის ეს დიდი დრო არ იყო. შეიძლება ცოტათი არასასიავნოდ ვგრძნობდით თავს როცა ადამიანები ძალიან გვიახლოვდნებოდნენ, ან ქარი ჩვენს მხარეს უბერავდა, მაგრამ ისინი ნაკლებად მოდიოდნენ ახლოს. ინსტიქტურად გრძნობდნენ იმას, რასაც მათი ტვინი ვერ აღიქვამდა: ჩვენ სახიფათონი ვიყავით.

ამ დროს ჩვენგან ცოტათი მოშორებით, მაგიდასთან პატარა გოგონა გაჩერდა და მეგობრებთან ლაპარაკი განაგრძო. ხელით აიჩეჩა მოკლედ შეჭრილი ქერა თმა, ვენტილიატორმა კი მისი სურნელი ჩვენს მხარეს წამოიღო. მისი სუნით გამოწვეული ნაცნობი ნიშნები ვიცანი – მშრალი ტკივილი ყელში, მუცელმა ხმა გამოსცა, კუნთები ავტომატურად დამეჭიმა, პირი კი შხამიანი ნერწყვით ამევსო.

თავს ნორმალურად ვგრძნობდი, თუმცა საერთოდ უფრო ნაკლებად ვრეაგირებდი. ამ წამს ჩემთვის შედარებით რთული იყო, რადგან ჯასპერის რეაქციის კონტროლიც მიწევდა. არა მარტო ჩემსას, მის ნაცვლადაც განვიცდიდი წყურვილს.

მოულოდნელად ჯასპერმა გასაქანი მისცა თავის ფანტაზიებს. წარმოიდგინა როგორ წამოდგებოდა ელისთან ერთად მაგიდიდან და გოგონას მიუახლოვდებოდა. შემდეგ თითქოს მისთვის ყურში აპირებდა რამის თქმას, დაიხრებოდა და თავისი ტუჩებით შეეხებოდა გოგონას ყელს...

მის სკამს ფეხი ვკარი.

მომდევნო წუთს ჩემი დაჟინებული მზერა დაიჭირა და თვალები დახარა. შეცბა.

– მაპატიე. – ჩაილაპარაკა ჯასპერმა.

მხრები ავიჩიჩე.

– არაფერს არ აპირებდი. – დაამშვიდა ელისმა. – აუცილებლად დავინახავდი.

ვეცადე მისი ტყუილით გამოწვეული ღიმილი დამემალა. მე და ელისი ვცდილობდით ერთად გვემოქმედა. ადვილი არ იყო აზრების კითხვა და მომავლის ჭვრეტა. ორი საზიზღარი, სხვა სამაგლებს შორის. ჩვენ უცხო ადამიანების საიდუმლოებს ვინახავდით.

– შედარებით ადვილი იქნება, თუ კი მათ როგორც ადამიანებს ისე შეხედავ. –

განაგრძო ელისმა. ეს სიტყვები თავისი მაღალი და მუსიკალური ხმით იმდენად სწრაფად წარმოთქვა რომ რაც არ უნდა ახლოს ყოფილიყო ადამიანი, მისი ყური ამას ვერ აღიქვამდა – მას უიტნი ქვია, უმცროსი და ყავს რომელსაც აღმერთებს.

დედამისმა ერთხელ ესმე დაპატიჟა ბაღში გამართულ წვეულებაზე. გახსოვს?

– ვიცი ვინც არის. – მოკლედ ჩაილაპარაკა ჯასპერმა და ფანჯრისკენ

შეტრიალდა. მისი ხმის ტონით მიხვდებოდით, რომ არ სურდა ამ თემაზე ლაპარაკი.

მისთვის აუცილებელი იყო ამ საღამოსვე სანადიროდ წასვლა, სისულელე

იქნებოდა გარისკვა, რათა საკუთარ ძალებში და გამძლეობაში დარწმუნებულიყო.

ჯასპერს უნდა მიეღო თავისი შესაძლებლობები და ზღვარს არ უნდა გადასულიყო,

რადგან მისი უწინდელი ჩვევები, თანხვედრაში არ მოდიოდა ჩვენი ცხოვრების

სტილთან.

ელისმა ჩუმად ამოისუნთქა, საჭმლით სავსე ლანგარი აიღო და გასასვლელისკენ

წავიდა. განსხვავებით როზალისგან და ემეტისგან, რომლებიც სახალხოდ ამჟღავნებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას, ყოველთვის იცოდა როდის არ საჭიროებდა ჯასპერი მის დახმარებას. ისინი საკუთარივით კარგად იცნობდნენ ერთმანეთის განწყობას.

ედვარდ ქალენი.

ავტომატურად შევტრიალდი იქით, საიდანაც ჩემი სახელი გავიგონე, რომელიც აზრებში წარმოთქვეს.

ჩემი თვალები წამიერად შეხვდნენ ადამიანის მუქ ყავისფერ თვალებს და ფერმკრთალ სახეს. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე არ მინახავს, მე ის ვიცანი. დღევანდელი დღის გმირი, ახალი მოსწავლე იზაბელა სუონი. პოლიციის უფროსის გოგონა – ახლახანს გადმოვიდა მამასთან საცხოვრებლად. ბელა – ის ყველას უსწორებდა, ვინც კი მას სრული სახელით მიმართავდა.

მოწყენილი შევბრუნდი. ერთი წამი დამჭირდა საიმისოდ რომ მივმხვდარიყავი, მას არ წარმოუთქვამს ჩემი სახელი გონებაში.

რა თქმა უნდა, ქალენებმა მისი დაინტერესება გამოიწვიეს. – გავიგონე აზრის გაგრძელება.

ამჯერად ხმა ვიცანი. ჯესიკა სტენლი. იყო დრო, როცა თავისი აზრებით მანერვიულებდა. თავისუფლად ვიგრძენი თავი, როცა მისი დაინტერესება ჩემს მიმართ გაქრა. ფაქტიურად შეუძლებელი იყო მისი მუდმივი სულელური აზრებისგან გაქცევა. ხანდახან მსურდა ამეხსნა მისთვის რა მოხდებოდა, თუ კი ჩემი ტუჩები და ამასთანავე კბილები მისი ყელის სიახლოვეს აღმოჩნდებოდა. ის მაშინვე დაივიწყებდა თავის სასაცილო ოცნებებს. აზრმა, მისი რეაქციის შესახებ, გამაღიმა. უკეთესად უნდა იკვებოს. – განაგრძობდა ფიქრს ჯესიკა. არც ისეთი კარგია, არც კი ვიცი რატომ ევლება თავს ერიკი... და ასევე მაიკი.

ბოლო აზრების გამო გააჟრჟოლა. მისი ახალი გატაცება, მაიკ ნიუტონი,

საერთოდ ვერ ამჩნევდა. სამაგიეროდ ახალ მოსწავლეს, როგორც ეტყობა ყურადღება

მიაქცია. სწორედ ამიტომ, ჯესიკა თავიდან ბოლომდე აკრიტიკებდა გონებაში გოგონას, თუმცა ლაპარაკისას, როცა ჩვენს შესახებ უყვებოდა, საკმაოდ მეგობრული ტონი ჰქონდა.

მასთან ერთად დღეს ყველა მიყურებდა. – კმაყოფილმა გაიფიქრა ჯესიკამ. – კარგია, რომ მე და ბელას ორი საგანი გვემთხვევა. შემოდის ნიძლავი დავდო, რომ მაიკი ჩემგან მოინდომებს მის შესახებ ყველაფრის გაგებას.

სანამ მისი სიცარიელე და უნამუსობა ჰკუდიდან შემშლიდა, ვეცადე, მისი აზრებიდან თავის დამეღწია.

– ჯესიკა სტენლი, ახალ მოსწავლეს, სუონს უყვება ყველა ჭორს ქალენების კლანის შესახებ. – ვუჩურჩულე ემეტს, რომ ყურადღება გადამეტანა.

ჩუმად ჩაიცინა.

– იმედი მაქვს, თავს კარგად გაართმევს. – გაიფიქრა მან.

– ის საერთოდ მოკლებულია წარმოდგენებს. მხოლოდ პატარა სკანდალი და არანაირი შიში. ცოტათი გაოცებული ვარ.

– ახალი მოსწავლე? იმედგაცრუებულია მოსმენილი შემდეგ?

ვეცადე ყურადღების მოკრებას, რათა გამეგონა რას ფიქრობდა ბელა ჯესიკას ნაამბობის შემდეგ, რას ფიქრობდა, როცა ჩვენს მხარეს იყურებოდა, ჩვენს ფერმკრთალ სახეებს ხედავდა, რომლის გამოც ადამიანები ჩვენთან ურთიერთობას ერიდებოდნენ.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რას ფიქრობდა ის. სიფხიზლე მმართვედა, რათა ჩემი ოჯახი დამეცვა. როცა ვინმე ჩვენს შესახებ რამეს მიხვდებოდა, ყოველთვის ვაფრთხილებდი დანარჩენებს და ვქრებოდი. ასეთი შემთხვევებიც ხდებოდა –

მდიდარი ფანტაზიის ადამიანები ხშირად გვადარებდნენ რომელიმე ფილმის ან წიგნის პერსონაჟებს. როგორც ყოველთვის ისინი ცდებოდნენ, მაგრამ გარისკვა არ

ღირდა და ჩვენც ვიცვლიდით საცხოვრებელ ადგილს. მხოლოდ ძალიან იშვიათად

შეეძლო ადამიანს სიმართლის მიხვედრა, მაგრამ ჩვენ არ ვაძლევდით ამ ჰიპოთეზის დაჯერების საშუალებას. უბრალოდ ვტოვებდით იქაურობას და ჩვენს შესახებ

მხოლოდ საშიში მოგონებები რჩებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბელა შედარებით ახლოს იჯდა ჩვენთან, ვიდრე ჯესიკა, მისი ფიქრები არ მესმოდა. თითქოს მის გვერდით თავისუფალი ადგილი ყოფილიყო. რა უცნაურია? იქნებ შეუმჩნევლად გავიდა? მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ჯესიკა ისევ განაგრძობდა ლაპარაკს. მსურდა შემემოწმებინა ის, რაც ჩემმა მეექვსე გრძნობამ მიკარნახა და ამჯერადაც მის მუქი ფერის თვალებს გადავაწყდი. ის წყნარად იჯდა, ჩვენ გვიყურებდა და უსმენდა რას ელაპარაკებოდა კლასელი.

რა თქმა უნდა ჩვენზე ფიქრობდა.

მაგრამ მე არ შემელო მისი აზრების წაკითხვა.

დაბნეულმა იმით რომ უცხო ადამიანების თვალთვალზე წაასწრეს, ლოყები შეუვარდისფრდა და თვალები დაბლა დახარა. კარგია რომ ჯასპერი უწინდებურად ფანჯარაში იყურებოდა, წარმოდგენისაც მეშინოდა რა დაემართებოდა მის თვითკონტროლს, გოგონას აწითლებული სახის დანახვისას.

ემოციები მის სახეზე ისევე მკვეთრად აღიბეჭდა, თითქოს შუბლზე

ამომეკითხოს: გაკვირვება იმის გამო, თუ რამდენად განვსხვავდებით სხვა

ადამიანებისგან, ჯესიკას მონაყოლით გამოწვეული ცნობისმოყვარეობა და კიდევ

რაღაც... აღტაცება? ეს ჩემთვის ნაცნობი იყო. ადამიანებისთვის, ჩვენს პოტენციურ

მსხვერპლთათვის, ჩვენ მშვენიერები ვიყავით. და ბოლოს შეცბუნება, რომელიც ჩემი

აზრით იმით იყო გამოწვეული, რომ მისი ჩემსკენ მომართული მზერა შევამჩნიე.

მისი ფიქრები მისსავე უცნაურ თვალებში აღბეჭდილიყო – უცნაურად ღრმა

თვალებში. იმ ადგილიდან, სადაც ის იჯდა, მხოლოდ სიჩუმე მესმოდა.

საფრთხე ვიგრძენი.

ეს შემთხვევა არც ერთ მანამდე ნანახს არ გავდა. იქნებ ჩემში იყო პრობლემა?

თუმცა თავს ჩვეულებრივად ვგრძნობდი.... შეცბუნებულმა კიდევ ერთხელ ვცადე.

ყველა ხმა, რომელსაც აქამდე ვბლოკავდი, ერთად გაისმა ჩემს თავში.

... საინტერესოა როგორ მუსიკას უსმენს?... იქნებ მასთან საუბრისას ახალი კომპაქტ დისკი ვახსენო? ... ფიქრობდა ორი მაგიდის მოშორებით მჯდარი მაიკ ნიუტონი.

... შეხედეთ როგორ უყურებს, თითქოს ის არაა საკმარისი, რომ სკოლის გოგონების ნახევარი მის გამო გიჟდება. ... ერიკ იორკის ფიქრებიც ბელას გარშემო ტრიალებდა.

... საშინელებაა, თითქოს ცნობილი ადამიანი იყოს ან რაიმე ამის მსგავსი. თვით ედვარდ ქალენიც კი მას უყურებს... ლორენ მელორის სახეზე ეჭვიანობა აღბეჭდილიყო. ჯესიკაც ყველას აცნობს თავის ახალ მეგობარს, სასაცილოა...

... ნიძლავს დავდებ რომ ამის შესახებ მას უკვე კითხეს, მაგრამ მასთან დალაპარაკება მსურს და აუცილებლად უნდა მოვიფიქრო რამდენიმე ორიგინალური კითხვა.... გეგმებს აწყობდა ეშლი დოულინგი.

... იქნებ ერთად მოვხვდეთ ესპანურზე ... იმედოვნებდა ჯონ რიჩარდსონი.

... დღეს საღამოს ბევრი მაქვს სამეცადინო, ტრიგონომეტრია და ტესტი ინგისურში, იმედი მაქვს რომ დედა... – ანჯელა ვებერი, წყნარი გოგონა, ერთადერთი იყო, რომლის აზრებიც ბელას არ ეხებოდა.

ყველა მათგანის აზრები მესმოდა, ყველაზე პატარა დეტალიც კი, რაც მათ ტვინში ტრიალებდა, არ მესმოდა მხოლოდ ასეთი მეტყველი და ცოცხალი თვალების მქონე ახალი სტუდენტის.

რა თქმა უნდა შემეძლო გამეგონა მისი ლაპარაკი, როცა ჯესიკას მიმართავდა. არ იყო საჭირო აზრების ამოკითხვა, რათა მისი დაბალი და წყნარი ხმა გაგეგონა, კაფეტერიის მეორე ბოლოდან.

– რა ჰქვია წითურ თმის ბიჭს? – იკითხა მან და თვალთ ჩემსკენ ანიშნა, შემდეგ კი სწრაფად შეტრიალდა, როცა დაინახა, რომ მას ვუყურებდი.

თუ კი აქამდე ვფიქრობდი, რომ მისი ხმის გაგონება დამეხმარებოდა, რათა მისი აზრები ამომეკითხა, ახლა გაცოცხლებული დავრჩი. როგორც წესი, ადამიანების აზრები

მათი ჩვეულებრივი ხმით მესმოდა, მაგრამ ეს წყნარი ხმა ჩემთვის უცხო იყო. ის არ ეკუთვნოდა არცერთ იმ ხმას, რომელიც ამ წუთშიც ისმოდა ჩემს თავში. ის ჩემთვის ახალი იყო.

ოჰ.. წარმატებებს გისურვებ სულელო.. გაიფიქრა ჯესიკამ ვიდრე უპასუხებდა.

– ეს ედვარდ ქალენია, რა თქმა უნდა არაჩვეულებრივია, მაგრამ გირჩევ დრო არ დაკარგო. ეს ამაყი, არავის არ ხვდება, აშკარაა, რომ ჩვენი გოგოები მისთვის არასაკმარისად კარგები არიან. – ჩაიფხუკუნა.

შევტრიალდი, რათა სიცილი დამემალა. ჯესიკა და მისი მეგობრები ვერ ხვდებოდნენ რამდენად გაუმართლათ რომ არც ერთი მათგანი არ მიზიდავდა. ისევ დავსერიზულდი და საკმაოდ უცნაური გრძნობა გამიჩნდა, რომელსაც ვერ ვხვდებოდი. ეს გამოწვეული იყო იმისგან, რომ გოგონა ვერ ხვდებოდა ჯესიკას ბოროტ აზრებს... უცნაურმა სურვილმა შემიპყრო, მათ შორის ჩავმდგარიყავი და ჯესიკას აზრებისგან დამეცვა ბელა. რა უცნაურია. ვცდილობდი ამის მიზეზს მივმხვდარიყავი და გოგონას ვაკვირდებოდი.

შესაძლებელია ეს ინსტიქტი იყო – დამეცვა შედარებით სუსტი არსება. ეს გოგონა ბევრად უფრო სათუთი იყო, ვიდრე მისი ახალი თანაკლასელები. მისი კანი იმდენად ნაზი იყო, გასაკვირია როგორ შეეძლო მისი დაცვა ამ სამყაროს ქარტეხილებისგან. ვხედავდი მის ვენებში მოძრავ სისხლს ფერმკრთალი კანის ქვეშიდან... თუმცა არ იყო საჭირო, რომ ამაზე აქცენტი გამეკეთებინა. მომწონდა ის ცხოვრების წესი, როგორც ვცხოვრობდი, თუმცა ამჟერად მეც ჯასპერის მსგავსად წყურვილისგან ვიყავი დაუძლურებული, და ვცდილობდი ცდუნებას გავქცეოდი. მის შუბლზე ნაკეცი გაჩენილიყო, რის გამოც ნაკლებად თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

ვხვდებოდი, რომ მისთვის არა სასიამოვნო იყო უცხო ადამიანების წრეში ჯდომს, მათთან ლაპარაკი და ყურადღება, რომელსაც იქცევდა. მისი მთრთოლვარე მხრები მეტყველებდნენ, რომ ის უარს ელოდა... ჩვეულებრივი გოგონას აზრებიდან

კი არაფრის გაგება არ შემეძლო. რატომ?

– ედვარდ – როზალის ხმამ რეალობაში დამაბრუნა.

შემოვბრუნდი. აღარ მსურდა ბელას აზრების წაკითხვის უშედეგო მცდელობა გამეგრძელებინა – ეს მაცბუნებდა. ფიქრიც კი არ მსურდა იმაზე, რომ მისი აზრები მხოლოდ იმიტომ იყო ჩემთვის საინტერესო, რომ მათი მოსმენა არ შემეძლო. ალბათ როცა მის ამოხსნას შევძლებ – რასაც აუცილებლად გავაკეთებ – ისინი ისეთივე ჩვეულებრივი აღმოჩნდებიან, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანის აზრები, რომლებიც ამდენი ძალის დახარჯვად არ ეღირებოდნენ.

– რას იტყვი, ეშინია ჩვენი? – მკითხა ემეტმა, რომელიც ისევ ელოდებოდა თავის კითხვაზე პასუხს.

მხრები ავიჩეჩე, როგორც ეტყობოდა, არც თუ იმდენად იყო დაინტერესებული, რომ თემა განევრცო. არც ჩემთვის არ იყო საჭირო ასე ჩავციკლულიყავი.

წამოვდექით და კაფეტერიიდან გავვდიით.

როზალი, ემეტი და ჯასპერი უფროსების როლს თამაშობდნენ. მე იძულებული ვიყავი, მეჩვენებინა რომ მათზე პატარა ვიყავი. ბიოლოგიის გაკვეთილზე წავედი.

წინასწარ მოვემზადე მოსაწყენი ლექციისთვის. თუმცა, მისტერ ბანერი,

მასწავლებელი რომელიც თავისი ინტელექტით გამოირჩეოდა, აუცილებლად იტყოდა რამეს, რაც ადამიანის გაკვირვებას გამოიწვევდა.

აუდიტორიაში შესული ჩემს მაგიდასთან დავჯექი და წიგნები დავალაგე –

რომლებიც უსაფრთხოებისთვის მჭირდებოდა, რადგანაც არც ერთ მათგანში არ ეწერა

ისეთი რამე, რაც მე უკვე არ ვიცოდი. ერთადერთი ვიყავი, ვინც მარტო იჯდა

მაგიდასთან. ადამიანები საკმარისად ჭკვიანები არ იყვნენ, რათა მიმხვდარიყვნენ

რატომ ეშინოდათ ჩემი, თუმცა ინსტიტუტურად გრძნობდნენ, რომ თავი შორს უნდა დაეჭირათ.

აუდიტორია შევსებულიყო იმ სტუდენტებით, ვისაც უკვე ესაძლია. სკამს

მივეყრდენი და კიდევ ერთხელ ვინანე, რომ ძილი არ შემეძლო.

ანჯელა ვებერმა ახალი გოგონა შემოიყვანა კლასში.

ბელა ისევე მორიდებულად გამოიყურებოდა, როგორც მე. შემედლო მეკამათა, რომ დღეს ცუდი დღე ქონდა. ვწუხვარ რომ არაფრის თქმა არ შემიძლია მისთვის... თუმცა ეს სულელური საქციელი იქნება ...

ხო! – გაიფიქრა მაიკ ნიუტონმა და შემოტრიალდა, რათა დაენახა, როგორ შემოდიოდა გოგონა ოთახში.

იმ ადგილიდან, სადაც ბელა სუონი იდგა, არაფერი არ მესმოდა. სიცარიელე იყო. ის ნელა მიუახლოვდა მასწავლებლის მაგიდას. საბრალო გოგონა: ერთადერთი თავისუფალი ადგილი კლასში, ჩემს გვერდით იყო. ინსტიქტურად გავანთავისუფლე მაგიდის ნახევარი. იმედი მქონდა, რომ აქ თავს წყნარად იგრძნობდა. გრძელი სემესტრი ელოდა წინ, ყოველ შემთხვევაში ამ კლასში. თუმცა მის გვერდით თუ ვიჯდები, ალბათ ვიპოვი საშუალებას, მისი საიდუმლოს ამოსახსნელად. არავის სიახლოვეს არ ვსაჭიროებდი, მაგრამ ალბათ ვიპოვიდი მის აზრებში ჩემთვის საინტერესოს და საყურადღებოს.

ამ დროს, მან კონდენციონერთან გაიარა და ჰაერის ნაკადმა მისი სურნელი მომიტანა.

მისმა სუნი აფეთქების ტალღასავით მომხვდა. არ არსებობს საკმარისად ძლიერი სიტყვა, რომელიც იმ შეგრძნების გადმოსაცემად, რომელმაც შემიპყრო.

იმ წამსვე, ისე, როგორც არასდროს, აღმოვჩნდი იმ ადამიანისგან შორს, რომელიც ვიყავი. მაშინვე გაქრა ის პატარა ადამიანურიც კი, რაც ჩემში შემორჩენილიყო.

მე მტაცებელი ვიყავი, ის კი ჩემი საკბილო და სხვა არაფერი არ არსებობდა ამ ქვეყანაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ვიყავით, სადაც უამრავი მოწმე იყო – ყველანი უკან პლანზე გადავიდნენ. დამავიწყდა, რომ ჯერ არ ამომეხსნა მისი საიდუმლო. მითუმეტეს მისი აზრების გაგება აღარ იყო ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობის, რადგან ისედაც ცოტა დრო დარჩებოდა, რომ ეფიქრა.

მე ვამპირი ვიყავი, მას კი ყველაზე ტკბილი, ყველაზე არომატული სისხლი ქონდა, მათ შორის, რაც კი როდესმე მიგრძენია, ჩემი 80 წლიანი არსებობის მანძილზე.

ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი რამ თუ არსებობდა, თორემ დიდი ხნის წინ წავიდოდი მის მოსაძებნად. მთელ დედამიწას შემოვივლიდი მის ძებნაში. წარმომედგინა როგორი იქნებოდა გემოთი.

წყურვილმა ყელი დამწვა. პირი გამიშრა, ნერწყვი მომადგა. მუცელი ყრუდ ხმაურობდა შიმშილისგან და ინსტიქტურად დამეჭიმა კუნთები ნახტომისთვის. ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი წამი დასჭირდა. შენელებული კადრივით ვხედავდი, როგორ დგამდა ნაბიჯს.

როცა მისი ფეხი იატაკს საბოლოოდ შეეხო, გაფართებული თვალებით შემომხედა და ჩემს თვალებს შეხვდა და მასში საკუთარი თავი დავინახე.

მისი სიცოცხლე იმ წამს იმ შოკმა იხსნა, რომელიც მის თვალებში ჩახედვისას განვიცადე.

როცა ჩემი გამოხედვა დაიჭირა, ღაწვები შეეფაკლა – რამაც უარესად გაართულა საქმე – ყველაზე ლამაზი ფერი, რომელიც კი როდესმე მინახავს. მისმა სურნელმა მთლიანად მოიცვა ჩემი ტვინი და სხვა არაფერზე აღარ შემეძლო ფიქრი. აზრები ამერია და უშედეგოდ ვცდილობდი თავის კონტროლს.

სწრაფად გააგრძელა სვლა, თითქოს გაქცევის აუცილებლობა იგრძნო. სიჩქარის გამო ფეხი აერია და კინაღამ ჩემს პირდაპირ მჯდომ გოგონას დაეცა. როგორი სუსტია, ადამიანის კვალობაზე...

ვცდილობდი კონცეპტირება მომეხდინა იმაზე, რაც მის თვალებში დავინახე.

სახე, რომელშიც ზიზღით ამოვიცანი საკუთარი თავი. ჩემს შიგნით მცხოვრები ურჩხულის სახე, რომელსაც ათწლეულები ვებრძოდი არა ადამიანური ძალისხმევით და მკაცრი თვითკონტროლით. როგორ უცებ მოახერხა მან ზემოთ ამოსვლა.

მისმა არომატმა საბურველში გამხვია, აზრები გამიფანტა და თითქმის მაიძულა,

რომ ადგილიდან წამოვმხტარიყავი.

არა.

მაგიდის კუთხეს ჩავეჭიდე, ვცდილობდი სკამზე თავი შემემაგრებინა. ხემ ვერ გამიძლო და დაიმსხვრა. პეშვში მხოლოდ ბურბუშელა, ზედაპირზე კი ჩემი თითების ანაბეჭდი დარჩა.

ჩვენი ყველაზე მთავარი წესი – არ დაგვეტოვებინა კვალი. მაშინვე გავასწორე მაგიდის ჩამოტეხილი ნაწილი. ვერავინ მიხვდებოდა, რომ ეს ადამიანის ნახელავი იყო. ძირს მხოლოდ ბურბუშელა ეყარა, რომელიც ფეხით გავფანტე.

არ დავტოვოთ კვალი, გავანადგუროთ ნივთმტკიცება.

ვიცი რა მოხდება, გოგონა მომიახლოვდება, გვერდით დამიჯდება, მე კი მას მოვკლავ.

მოწმეები, თვრამეტი მოსწავლე და მასწავლებელი, მას მერე როცა ყველაფერს ნახავენ, არ მომცემენ ოთახის დატოვების უფლებას.

ფიქრმა იმის შესახებ, რაც უნდა გამეკეთებინა, შემაკრთო. თვით ყველაზე ცუდ მომენტებშიც კი არ მოვქცეულვარ ასე ცხოველურად. არასოდეს დამიხოცავს უდანაშაულო ხალხი, არც ერთხელ ჩემი არსებობის 80 წლის მანძილზე. ახლა კი ერთბაშად 20 ადამიანის მოკვლას ვფიქრობდი.

ურჩხულმა სახეში შემომცინა.

ჩემი ერთი ნაწილი შეაკრთო ამ აზრმა, მეორე კი –საშინელ მკვლელობას გეგმავდა.

პირველ რიგში გოგონას მოვკლავ, დაახლოებით თხუთმეტი, ოცი წამი დამრჩება მისი სისხლით დასატკბობად, ვიდრე დანარჩენები რეაგირებას მოახდენენ. შეიძლება ცოტა მეტიც, თუ მაშინვე ვერ მიხვდებიან რა ხდება. მას არ ექნება დრო, რომ დაიყვიროს, ან ტკივილი იგრძნოს, ძალიან მკაცრად არ მოვიქცევი და სწრაფად მოვკლავ. სულ ეს არის, რაც ამ უცნობს შემიძლია მივცე, მისი თავბრუდამხვევი და არომატული სისხლის სანაცვლოდ.

ამის მერე, სხვებს არ უნდა მივცე გაქცევის საშუალება. ფანჯრებზე შემოდლია არ ვინერვიულო, ისინი საკმაოდ პატარაა საიმისოდ რომ ვინმე გადახტეს. დარჩება კარები – თუ მის ბლოკირებას მოვახდენ, ისინი ხაფანგში აღმოჩნდებიან.

... თუმცა შეეშინდებათ, იყვირებენ, ვინმემ შეიძლება გაიგონოს კიდეც, ამიტომ მათი შენარჩუნება კლასში, რთული იქნება. გარდა დროის დაკარგვისა მომიწევს სხვა, უდანაშაულო ხალხის დახოცვაც.

ვიდრე ყველას გავუმკლავდები, მისი სისხლი გაცივდება.

არომატისგან სუნთქვა შემეკრა.

ე.ი. მას თავდაპირველად მოუწევს, მოწმედ დარჩეს.

ყველაფერი დავგეგმე. შუა რიგში ვიჯექი, ბოლო მერხზე. თავდაპირველად ჩემს მარჯვნივ მსხდომებს გავუსწორდები, შემოდლია ერთ წამში ოთხი, ხუთი ადამიანი მოვკლა, ეს კი დიდ ხმაურს არ გამოიწვევს. მარჯვნივ მსხდომებს გაუმართლათ, ისინი ვერ შეამჩნევენ, როგორ ვმოძრაობ მათი მიმართულებით. შემდეგ ცენტრიდან მარცხნივ. ყველაზე მეტი 5 წამი მჭირდება საიმისოდ რომ ამ ოთახში მყოფი ყველა ცოცხალი არსება მოვკლა.

საკმარისი დრო, რომ ბელა სუნმა დაინახოს რას ვაკეთებ. საკმარისი დრო, რომ იგრძნოს შიში. საკმარისი დრო, რომ დაიკვივლოს, თუ კი რა თქმა უნდა შოკისგან არ გაქვავდება. ერთი არაფრის მომცემი კვილი.

ღრმად ჩავისუნთქე და სუნმა ვენებში დამიარა, ყელი ჩამწვა და საღი აზრის ის ნარჩენები გაანადგურა, რაც ჯერ კიდევ შემრჩენოდა.

ის განაგრძობდა ჩემსკენ შემობრუნებას, რამდენიმე წამში ჩემს გვერდით, ჩემგან რამდენიმე დიუმის მოშორებით დაჯდებოდა.

ჩემს შიგნით არსებულმა ურჩხულმა მოუთმენლად გაიღიმა.

მარცხნივ ვილაცამ მაგიდაზე წიგნი დააგდო. არც კი შევბრუნებულვარ, რათა დამენახა ვინ გააკეთა ეს სიკვდილის წინ, მაგრამ ჰაერის ნაკადმა ჩემს წინ არსებული არომატი ცოტათი გაფანტა.

ერთ მოკლე წამში შევძელი საღად მეაზროვნა. ამ ძვირფას წამში შევძელი და ორი სახე შევამჩნიე.

ერთი ნამდვილად ჩემი იყო: ყოველ შემთხვევაში როდესაც იყო: წითელ თვალებიანი მონსტრი, იმდენი ადამიანის მკვლელი რომ სათვალავი არეულიყო. განზრახული და დაგეგმილი მკვლელობა. მე ვკლავდი, სხვა ნაკლებად ძლიერ ურჩხულს. დარწმუნებული იმით, რომ ჩემი ხელით ღმერთი სჯიდა და სიკვდილს იმსახურებდნენ. საკუთარ სინდისთან დავდე გარიგება. ადამიანის სისხლით ვსაზრდობდი, მაგრამ ეს ჩემთვის გამართლებული იყო.

მეორე სახე კარლაილს ეკუთვნოდა.

ჩვენს შორის მსგავსება არ არსებობდა. ნათელი დღე და ბნელი ღამე.

არც უნდა ყოფილიყო ჩვენს შორის მსგავსება, რადგან კარლაილი ჩემი ბიოლოგიური მამა არ იყო. ჩვენ გარეგნულად ერთმანეთს არ ვგავდით, მაგრამ როგორც ყველა ვამპირს, ფერმკრთალი სახის კანი და ერთნაირი ფერის თვალი გვქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის მსგავსება არ არსებობდა, ვფიქრობდი, რომ ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში, რაც მისი გზა ავირჩიე, მას მივსდევდი, თითქოს დავემსგავსე. რა თქმა უნდა სახის ნაკვთები არ შემცვლია, მაგრამ მისი კეთილგონიერება, თანაგრძნობა, შეიძლებოდა ჩემს ტუჩის კუთხეებში ამოგეკითხა. ხოლო უსაზღვრო მოთმინება – წარბების მოხაზულობაში.

უცებ ეს ყველა მცირე გაუმჯობესება ურჩხულის ნიღბის ქვეშ დაიმალა.

ყველაფერი, რაც ჩემს შემქმნელთან, ჩემს მასწავლებელთან, მამაჩემთან ცხოვრებისას ჩემში ისახებოდა, რაღაც მომენტში განადგურდა. ახლა კი ჩემს თვალებში ეშმაკისეული წითელი ცეცხლი ელავდა და ჩვენს შორის არსებული ყველა მსგავსება სამუდამოდ დაკარგულიყო.

ჩემი აზრით კარლაილი არ დამძრახავდა. ვიცოდი, რომ მაპატიებდა ამ საშინელი საქციელს, რადგან ვუყვარდი. ფიქრობდა, რომ იმაზე უკეთესი ვიყავი, ვიდრე თავად

წარმომედგინა. მაშინაც ვეყვარებოდი, თუ მის იმედებს ვერ გავამართლებდი.
ბელა სუონი ჩვენს გვერდით მდგარ სკამზე დაეშვა. მისი მოძრაობები მოუქნელი
და გაუფრთხილებელი იყო (ჩემი ეშინოდა?), მისი სისხლის არომატმა კი საბურველში
გამხვია.

მე ვერ შევძლებ მამაჩემს იმედები გავუმართლო. ამის გაცნობიერებამ, ზუსტად
ისევე მატკინა, როგორც წყურვილის შეგრძნებამ.

ზიზღით გავიწიე გვერდით – ჩემში არსებულ ურჩხულს მისი მოკვლა
სწყუროდა.

რაში დასჭირდა აქ ჩამოსვლა? რატომ ცოცხლობს? რა უფლება აქვს დამირღვიოს
ის მყიფე სამყარო, რომელშიც ვცხოვრობ? საერთოდ რატომ დაიბადა ეს გოგონა? ის მე
გამანადგურებს.

მისგან შევეტრიალდი. უმიზეზო და უაზრო სიძულვილით შეპყრობილი.

ვინ არის? რატომ მაინც და მაინც მე, რატომ ახლა? რატომ უნდა დავკარგო
ყველაფერი იმის გამო, რომ მას თავში აზრათ მოუვიდა ამ ღვთისაგან მივიწყებულ
ქალაქში გამოჩენა?

რისთვის ჩამოვიდა?

არ მინდა მონსტრად ყოფნა, არ მინდა ამ ბავშვებით სავსე ოთახში სასაკლავო
მოვაწყო. არ მინდა დავკარგო ყველაფერი რასაც ჩემი ინსტიქტების წინააღმდეგ
ბრძოლით მივაღწიე.

ამას არ გავაკეთებ, ვერ შეძლებს მაიძულოს.

მთავარი პრობლემა მისი სისხლის მიმზიდველი არომატი იყო... ნეტავ

რამენაირად შევძლო რომ გავუძლო... სულ მცირე სუფთა ჰაერი, რათა ჩემმა ტვინმა
შეძლოს საღად აზროვნება.

მან კი თავისი გრძელი და ხშირი თმა ხელით შეისწორა.

გაგიჟდა? თითქოს სადილად იწვევს ჩემში არსებულ ურჩხულს!

გამალიზიანებულია.

ჰაერი არ იძვროდა. არ იყო საშუალება, რომ სუნი გაეფანტა, ასე ხომ ადვილად დავენებდებოდი. მაგრამ მე შემძლია არ ვისუნთქო.

და გავჩერდი, აღარ ვსუნთქავდი. შვება ვიგრძენი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დავწყნარდი. ჯერ კიდევ მახსოვდა მისი არომატი და ენაზე მის გემოს ვგრძნობდი. დიდ ხანს ვერ გავუძლებდი. მაგრამ შემძლია ერთი საათი მოვითმინო. მხოლოდ ერთი გაკვეთილი. ოღონდაც შევძლო, გავუძლო და ეს ოთახი უმსხვერპლოდ დავტოვო.

უცნაური შეგრძნება იყო – არ ვსუნთქავდი. ჩემი ორგანიზმი ჟაგბადს არ საჭიროებდა, მაგრამ სუნთქვა, ეს ინსტიქტური იყო. ნადირობის დროს სუნთქვა მუხმარებოდა, რომ საფრთხეში არ აღმეჩენილიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად მხვდებოდა ისეთი რამე, რაც საფრთხის ქვეშ დამაყენებდა, თვითგადარჩენის ინსტიქტი ისევე ძლიერად მქონდა განვითარებული, როგორც ადამიანებს.

თავს არაკომფორტულად, სამაგიეროდ უსაფრთხოდ ვგრძნობდი. უკეთესია, ვიდრე ჩემი კბილების შეხება მის მშვენიერ, გამჭვირვალე კანზე, რომ ვიგრძნო მისი თბილი, სველი და პულსირებული....

ერთი საათი! მხოლოდ ერთი საათი, როგორმე უნდა გავძლო და არ ვიფიქრო მის სუნზე და გემოზე.

გოგონამ ჩუმიად ჩამოიყარა თმები ჩემს მხარეს, ისე რომ სახე დაფარა და წინ გაიხედა. არ შემეძლო მისი სახის დანახვა და ემოციების წაკითხვა მის უძირო თვალებში. რატომ ჩამოიფარა თმები? იმიტომ რომ თვალები დამალოს ჩემგან? საფრთხე იგრძნო? შერცხვა? იქნებ რამე საიდუმლოს მაღავს?

ჩემი უწინდელი შეშფოთება, რომ მის აზრებს ვერ ვკითხულობდი, სრულიად გადაფარა იმ სიძულვილმა, რომელსაც ახლა ვგრძნობდი. ვერ ვიტანდი ჩემს გვერდით მჯდარ გოგონას. მთელი გულით მეზიზღებოდა, რადგან იმის შეგრძნება დამინგრია, რომ ბევრად უკეთესი ვიყავი ვიდრე წარმოვიდგენდი. მეზიზღებოდა,

მეზიზღებოდა იმის გამო, რაც განვიცადე. ეს ყველაფერი, მის მიმართ ზიზღი დამეხმარა, რომ თავი უკეთესად მეგრძნო. ვეჭიდებოდი ყველა იმ ემოციას, რომელიც არ მომცემდა საშუალებას მის გემოზე მეფიქრა.

სიზულვილი და გაღიზიანება. მოუთმენლობა. როდესმე დამთავრდება ეს გაკვეთილი?

მერე რა მოხდება როცა გაკვეთილი დამთავრდება? რას გავაკეთებ, როგორ მოვიქცევი, როცა ის კაბინეტიდან გავა?

შემიძლია გავეცნო. გამარჯობა, მე ედვარდ ქალენი ვარ, გაგაცილოთ შემდეგ გაკვეთილზე?

ის დამეთანხმება, შეიძლება მხოლოდ ზრდილობის გამო, მაშინაც კი, თუ ჩემი ეშინია, დამეთანხმება. საკმაოდ ადვილი იქნება მისი სადმე მივარდნილ ადგილზე წაყვანა. ტყე ავტომობილების სადგომთან იწყება. მე უბრალოდ შემიძლია ვუთხრა რომ წიგნი დამრჩა მანქანაში.

ვინ შემაჩნევს რომ უკანასკნელი ადამიანი ვარ ვინც ის ნახა? როგორც ყოველთვის წვიმს და მუქი ფერის მოსასხამებში გამოწყობილი ორი ადამიანი, რომლებიც ავტოსადგომისკენ მიდიან, არავის დაინტერესებას არ გამოიწვევს. თუ რა თქმა უნდა მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ დღეს მე ერთადერთი არ ვიყავი ვინც მისი პერსონით დაინტერესდა. მაიკ ნიუტონი გოგონას თითოეულ ნაბიჯს უთვალთვალავდა, ვიდრე ჩემს გვერდით დაჯდებოდა. (მას არ სიამოვნებდა ჩემს გვერდით ჯდომა, მისმა სუნმა გააცამტვერა ჩემი ნაკოწიწები საღი აზროვნება) ბელა რომ ჩემთან ერთად გამოსულიყო, მაიკ ნიუტონი აუცილებლად შემაჩნევდა.

თუ ერთ საათს მოვითმენ, იქნებ მოვახერხო და მეორეც გავძლო?

წყურვილმა ყელი დამწვა და შევცბი.

ის სახლში დაბრუნდება, სადაც მარტო იქნება – ჩარლი სუონი მთელი დღე სამსახურშია. ვიცი სადაცაა მისი სახლი, ამ პატარა ქალაქში ყველამ იცის მისი სახლი, რომელიც პირდაპირ დაბურული ტყის პირას დგას, ახლომახლოს კი მეზობლები არ

ცხოვრობენ. მაშინაც კი, თუ ბელა დაიყვირებს, მის ხმას ვერავინ გაიგებს.

ეს საკმაოდ ჭკვიანური ჩანაფიქრი იყო. ადამიანის სისხლის გარეშე სამოცდაათი წელი გავძელი. თუ არ ვისუნთქებ ახლაც მოვახერხებ ორი საათის მოთმენას, ხოლო როცა დავიმარტოხელებ, ვერავინ შეძლებს ხელი შემომშალოს. და არანაირი საშუალება ექსპერიმენტებისთვის, არ დამეთანხმა მონსტრი.

სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ თუ არა ადამიანური ძალისხმევით შევძლებ სიკვდილს გადავარჩინო ამ ოთახში მყოფი თვრამეტი ადამიანის სიცოცხლე და მხოლოდ ეს უდანაშაულო გოგონა ვიმსხვერპლო, ნაკლები მონსტრი ვიქნები.

მიუხედავად იმისა რომ ბელას ვერ ვიტანდი, ვიცოდი, რომ ჩემი ზიზღი უსაფუძვლო იყო. ვიცოდი რომ სინამდვილეში საკუთარი თავი მეზიზღებოდა. ხოლო როცა მოვკლავდი, კიდევ უარესად შევიძულე მასაც და საკუთარ თავსაც.

დიდი ძალისხმევით შევძელი ერთი საათის გაძლება – განვიხილავდი მკვლელობის ახალ ახალ სტრატეგიებს. ამავდროულად გავურბოდი ფიქრს, მისი სიკვდილის გადამწყვეტ მომენტზე. ვიცოდი, თუ ამაზე ვიფიქრებდი, აუცილებლად დავმარცხდებოდი საკუთარ თავთან ბრძოლაში და ყველას დავხოცავდი ვინც თვალთახედვის არეში მომხვდებოდა. ამიტომ მხოლოდ ვგეგმავდი – ასე შევძლებდი გაკვეთილის ბოლომდე მოთმენას.

მხოლოდ ერთხელ გამომხედა ჩამოშლილ თმებს შორის. ისევ ვიგრძენი გაუმართლებელი სიძულვილი მის მიმართ, როცა მის მზერას შევეჩეხე და მის შემინებულ თვალებში საკუთარი თავი დავინახე. ლოყები მანამდე გაუვარდისფრდა, ვიდრე მზერის აცილებას მოასწრებდა, მე კი ლამის თვითკონტროლი დავკარგე.

ზარი გაისმა. მხსნელი ზარი – რომელმაც ორივე გადაგვარჩინა. ის –

სიკვდილისგან, მე კი დროებით გადავდე ჩემი გეგმები ლამის კომპარისთვის. როცა აუდიტორიიდან გავვარდი, ძლივს ვიკავებდი თავს, იმაზე სწრაფად არ მემოდრავა, ვიდრე ეს დასაშვები იყო. ამ დროს რომ ვინმეს შემოეხედა, გაკვირვებული დარჩებოდა ჩემი მოძრაობის უცნაური მანერით. მაგრამ ყურადღებას არავინ

მაქცევდა. ყველას აზრი იმ გოგონას გარშემო ტრიალებდა, რომელიც ერთ საათში უნდა მომკვდარიყო. ჩემს მანქანას შევაფარე თავი.

იდეა იმის შესახებ, რომ მშვიდარასავით დამალვა მიწევდა, არ მომწონდა. მაგრამ ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იყო.

არ მყოფნიდა მოთმინება – ხალხის გვერდით დავრჩენილიყავი. მობილიზება გამეკეთებინა საკუთარი თავის, რათა არავინ მომეკლა. თავის მოთოკვის მცდელობა კი სიცარიელეში გაქრებოდა და ურჩხული გაიმარჯვებდა ჩემში.

მუსიკა ჩავრთე, რომელიც ყოველთვის მამშვიდებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ მიშველა. ყველაზე მეტად სუფთა, წვიმიანი ჰაერი დამეხმარა, რომელიც მანქანის ჩაწეული მინებიდან შემოდის სალონში. მიუხედავად იმისა რომ კარგად მახსოვდა ბელა სუონის სისხლის სუნი, ჰაერი, რომელსაც ხარბად ვისუნთქავდი, თითქოს ჩემს ორგანიზმს წმენდდა.

ისევ ნორმალური ვიყავი, ისევ შემეძლო მებრძოლა, მებრძოლა იმის წინააღმდეგ რაც არ მინდოდა.

არ მქონდა მიზეზი, რომ გაკვეთილების მერე, მასთან სახლში წავსულიყავი, რათა მომეკლა. ისევ შემეძლო რაციონალურად მეაზროვნა და არჩევანი გამეკეთებინა. არჩევანი ყოველთვის არსებობს.

ახლა უკვე აღარ ვგრძნობდი იმას, რასაც აუდიტორიაში ყოფნისას განვიცდიდი..

მაგრამ ახლა მისგან შორს ვიყავი. იქნებ მომავალში, თუ ძალიან შევეცდები, არ მომიწიოს ურჩხულად ქცევამ. მე მომწონდა ჩემი ცხოვრება ისეთი, როგორც იყო.

რატომ უნდა დავანგრევინო ეს ყველაფერი ერთ ჩვეულებრივ გოგოს, მხოლოდ იმის გამო, რომ არაჩვეულებრივი სუნი აქვს.

არ მინდოდა მამისთვის გული გამეტეხა, არ შემეძლო დედაჩემი

მენერვიულებინა და ტკივილი მიმეყენებინა. რა თქმა უნდა ეს ატკენდა გულს ქალს,

რომელსაც დედაც აღვიქვამდი. ესმე კი ისეთი თბილი და კეთილი იყო. იმაზე

ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო, ჩემი საქციელი მას გულს ატკენდა.

სასაცილოც კია, რომ ამ გოგონას დაცვა მინდოდა სულელური და უკბილო მუქარისგან, რომელიც ჯესიკა სტენლისგან ელოდებოდა.

ნეტა ელისი სადაა? ვკითხე საკუთარ თავს. ნუთუ არ დაინახა როგორ ვუსწორდები სუონის შვილს? რატომ არ მოვიდა, რათა შევეჩერებინე, ან მკვლელობის მერე კვალის დაფარვაში დამხმარებოდა? იქნებ ძალიან იყო დაკავებული ჯასპერის თვალთვალთ და უბრალოდ მხედველობიდან გამორჩა ეს ყველაფერი? იქნებ ბევრად უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე წარმომიდგენია? და გოგონასთვის არაფერი დამეშავებინა? არა. მე ვიცოდი, რომ ეს მართალი არ იყო. ელისი უბრალოდ ძალიან იყო დაკავებული ჯასპერზე ზრუნვით.

იმ მხარეს გავიხედე საიდანაც ის უნდა გამოსულიყო. პატარა შენობა, სადაც ინგლისურის გაკვეთილები ტარდებოდა. დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია რათა ნაცნობი ხმა მეპოვნა. მართალი აღმოვჩნდი, მისი ფიქრები მთლიანად ჯასპერის მხარეს იყო მიმართული, ცდილობდა მისი სულიერი მდგომარეობა ამოეცნო. ვწუხვარ, რომ არ შემძლია დახმარება ვთხოვო. მაგრამ ამასთანავე კმაყოფილი ვიყავი, რომ არ იცოდა რისი გამკეთებელი ვიყავი, რომ ვერ დაინახა, როგორი სასაკლავოს მოწყობას ვაპირებდი გაკვეთილზე.

ისევ ვიგრძენი როგორ შემომენტო ცეცხლი, მაგრამ ამჯერად სირცხვილის. არ მინდოდა ამის შესახებ ვინმეს ცოდნოდა.

თუ შემძლია, რომ როგორმე ბელა სუონისგან თავი შორს დავიჭირო, ვმართო ჩემი სურვილი, რათა არ მოვკლა – თუნდაც ურჩხული ამ ყველაფრის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო და კბილები ეღრჭიალებინა – მაშინ არავის არ იქნებოდა აუცილებელი ამის გაგება. მთავარია, ბელასგან შორს ვიყო.

ბოლოს და ბოლოს რატომ არ უნდა მეცადა? გამეკეთებინა სწორი არჩევანი, მეცადა ვყოფილიყავი ისეთი, როგორადაც კარლაილი მთვლიდა.

ბოლო გაკვეთილი თითქმის დამთავრებულიყო. გადავწყვიტე ჩემი გეგმა განმეხორციელებინა. ეს რა თქმა უნდა უკეთესი იყო, ვიდრე მანქანაში ჯდომა და

ლოდინი, მაშინ როცა შეიძლებოდა მას ნებისმიერ დროს გაეწვლო გვერდით და ჩემი მცდელობა წყალში ჩაეყარა. მაშინვე ვიგრძენი გაუმართლებელი სიძულვილი გოგონას მიმართ. ვბრაზობდი, რადგან ჩემზე ასე მოქმედებდა. რომ შეეძლო ისეთი გავეხადე, როგორადაც არ მინდოდა ყოფნა.

სწრაფად გავემართე სკოლის ადმინისტრაციული კორპუსისკენ – უფრო სწორად ძალიან სწრაფად, რადგან გარშემო ვერავინ მხედავდა. ყველანაირი საშუალება უნდა მოვსპო რათა შემთხვევით არ შევხვდე ბელა სუონს, ამის მერე მე მას ჭირიანვით უნდა ვერიდო.

ადმინისტრაციული კორპუსი ცარიელი იყო, თუ რა თქმა უნდა იმ

ადმინისტრატორს არ ჩავთვლიდით, ვისი ნახვაც მინდოდა.

– მისი კოუპ?

წითურ თმიანმა ქალმა გაოცებით შემომხედა. ჩვენ მას ყოველთვის ვაოცებდით: პატარა ოინი, რომელსაც ვერაფრით ხვდებოდნენ, იმის მიუხედავად რომ ხშირად გვხედავდნენ.

– ოჰ. – პირი გაალო და ზედატანზე არსებულ ნაკეცებს დახედა. სულელო – გაიფიქრა საკუთარ თავზე – ის თითქმის შვილად გერგება. ძალიან ახალგაზრდაა საიმისოდ რომ იფიქრო.... – გამარჯობა ედვარდ. რითი შემძლია დაგეხმარო? – მსუბუქად აწია წარბები სათვალის მიღმა.

არასაიამოვნოა, მაგრამ ვიცოდი რამდენად მომხიბვლელი შემემლო ვყოფილიყავი, როცა მინდოდა, მას მერე, რაც გავაცნობიერე, ნებისმიერი ჟესტი და ხმის ინტონაცია როგორ მოქმედებდა სხვებზე.

წინ გადავიხარე, მის პატარა მუქი თვალების მზერას შევხვდი. მისი აზრები უკვე ჩემთვის ნაცნობი იყო. ადვილი იქნება

– ვიმედოვნებ შეძლებთ ჩემს დახმარებას. – რბილი ხმით ვთქვი და

წარმატებისთვის განვეწყე.

გავიგონე როგორ აუჩქარდა გულისცემა.

– რა თქმა უნდა ედვარდ, რამე პრობლემაა? – ძალიან ახალგაზრდაა, ძალიან ახალგაზრდაა, არწმუნებდა თავს. რა თქმა უნდა ეს მოსაზრება მცდარი იყო. მე შეიძლება მის ბაბუაზე უფროსი ვყოფილიყავი, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა თარიღი ეწერა ჩემს მართვის მოწმობაში, რა თქმა სწორი იყო.

– მსურდა გამეგო თუ შეიძლება რომ ბიოლოგია რამე სხვა საგნით ჩავანაცვლო? მაგალითად ფიზიკა.

– რამე პრობლემაა მისტერ ბენერთან ედვარდ?

– არა, ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ მე უკვე ნასწავლი მაქვს ეს საგანი.

– დაჩქარებული პროგრამით გადიოდით ამ საგანს იმ სკოლაში სადაც მანამდე სწავლობდი? – მოიღუშა. ისინი კოლეჯში უნდა სწავლობდნენ. გამიგია როგორ წუხს ყველა მასწავლებელი, რადგან მათ ყველაფერი იციან, არასოდეს ფიქრდებიან პასუხისთვის. არანაირი შეცდომა ტესტებში, თითქოს მათ იციან როგორ გადაიწერონ ნებისმიერი საგანი. მისტერ ვენერს შეუძლია დაიჯეროს რომ მოსწავლე იწერს, ვიდრე აღიაროს რომ მათზე ნაკლები იცის. მე კი შემიძლია ვთქვა, რომ მათზე ალბათ დედა ზრუნავს. – საერთოდ ედვარდ, ფიზიკაზე ძალიან ბევრი მოსწავლეა, მისტერ ბენერს კი არ უყვარს როცა კლასში ოცდახუთზე მეტი ადამიანია.

– არანაირ პრობლემას არ შევუქმნი.

რა თქმა უნდა არა.

– ვიცი ედვარდ, მაგრამ იქ უბრალოდ არ არის საკმარისი ადგილი.

– იქნებ უბრალოდ გავაცდინო გაკვეთილები? თავისუფალ დროს სხვა საქმით დაკავდები.

– გააცდინო ბიოლოგია? – სახე მოედრიცა. ნუთუ ასეთი რთულია უბრალოდ იჯდე გაკვეთილზე და უსმინო, მაშინაც კი თუ ყველაფერი იცი. თორემ მისტერ ბენერთან პრობლემები შეგვექმნება. ბოზს აუცილებლად უნდა დაველაპარაკო. – მაშინ საკმარისი საგნები არ დაგიგროვდება, რათა კოლეჯში ჩააბარო.

– მომავალ წელს ჩავაბარებ.

– იქნებ ეს ყველაფერი თავდაპირველად მშობლებთან შეათანხმო?

ჩემს უკან კარი გაიღო, მაგრამ შემოსული ჩემზე არ ფიქრობდა და ყურადღება არ მივაქციე. მთელი ყურადღება მისის კოუპისკენ მქონდა მიმართული. მისკენ მეტად გადავიხარე და თვალები ფართოდ გავახილე. ეს ყველაფერი უკეთესად იმოქმედებდა, ისინი თავლისფერები რომ ყოფილიყვნენ და არა შავი, შავი თვალები ადამიანებს აშინებდა.

- გთხოვთ მისის კოუპ – რამდენადაც შესაძლებელი იყო ხმა სანდომიანი და შეუპოვარი მქონდა –

ნუთუ არ შეიძლება სადმე გადამიყვანოთ? დარწმუნებული ვარ სადმე აუცილებლად იქნება ადგილი. ბიოლოგის მეექვსე გაკვეთილი სულაც არ იქნება ერთადერთი შესაძლებლობა.

ფრთხილად გავუღიმე, რომ კბილები არ გამომჩენოდა და არ შემეშინებინა.

ვეცადე სახისთვის რბილი გამომეტყველება მიმეცა.

– ნუ, ვეცდები დაველაპარაკო ბოზს... მინდოდა მეთქვა მისტერ ბენერს.

მხოლოდ ერთი წამი დასჭირდა, რომ ყველაფერი შეცვლილიყო ჩემს ირგვლივ: ოთახის ატმოსფერო, ჩემი მიზანი, მიზეზი, რის გამოც წითურ თმიან ქალს ველაპარაკებოდი. ყველაფერი, რასაც ადრე ერთი მიზნისთვის ვაკეთებდი, ახლა შეიცვალა.

მხოლოდ ერთი წამი დასჭირდა სამანტა უელსს, რომ კარები გაეღო, რაღაც ფურცლები ჩაეყარა კარებთან მდგარ ყუთში და სწრაფად გასულიყო. მხოლოდ ერთი წამი დასჭირდა, რომ ღია კარიდან შემოსული ჰაერი დამჯახებოდა. მხოლოდ ერთი წამი დამჭირდა რომ მივმხვდარიყავი, რატომ იყო რომ მანამდე შემოსული ადამიანი არ მაწუხებდა თავისი ფიქრებით.

შემოვბრუნდი, თუმცა უკვე ვიცოდი რომ მართალი ვიყავი. ნელა შემოვბრუნდი და ვცდილობდი მებრძოლა ჩემს დაჭიმულ კუნთებთან.

ბელა სვონი ჩემს უკან იდგა, კედელს მიყრდნობოდა და ხელში რაღაცა

ფურცლები ეჭირა. თვალები უფრო გაუფართოვდა, როცა ჩემს მკაცრ გამოხედვას წააწყდა.

მისი სისხლის სუნმა მთელი ოთახი აავსო და ყელში ცეცხლი დაანთო.

ჩემში არსებული მონსტრი, ისევ აირეკლა მის თვალებში.

ხელი მაგიდის ზედაპირზე გამეყინა. არ მინდოდა უკან შევბრუნებულიყავი და მისის კოჟუი ერთი ძლიერი დარტყმით მომეკლა. ორი მსხვერპლი უკეთესია ვიდრე ოცი.

ურჩხული ხარბად ელოდებოდა როდის გავაკეთებდი ამას.

მაგრამ მე არჩევანი გამაჩნდა, ის ყოველთვის არის.

სუნთქვა შევწყვიტე და წარმოვიდგინე კარლაილის სახე. ისევ მივბრუნდი მისის კოჟუისკენ, რომელსაც ჩემი ხასიათის უეცარი ცვლილების გამო უკან დაიხია.

ათწლეულების მანძილზე გამომუშავებული თვითკონტროლის მეშვეობით შევძელი ჩემს ხმას გულგრილი ტონი მიეღო. ფილტვებში საკმარისი ჰაერი დარჩენილიყო რათა მთლიანი ფრაზა მეთქვა: – რას ვიზამთ, დარჩეს ყველაფერი როგორც არის, მაპატიეთ რომ საქმეებს მოგწყვიტეთ.

შევტრიალდი და სასწრაფოდ დავტოვე ოთახი. ვცდილობდი ყურადღება არ მიმექცია გოგონას ცხელი სისხლისთვის, რომელიც მის გვერდით ჩავლისას ვიგრძენი. სანამ საკუთარ მანქანაში არ აღმოვჩნდი, არ შევჩერებულვარ. იმაზე სწრაფად ვმოძრაობდი, ვიდრე საჭირო იყო, საბედნიეროდ მოსწავლეების უმეტესობა უკვე სახლებში წასულიყვნენ, და ბევრი მაყურებელი არ მეყოლებოდა.

მივხვდი, რომ მეორკლასელმა, დი ჯეი გარეტმა შემაჩნია, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია.

კალენი აქ საიდან გაჩნდა? თითქოს ციდან ჩამოფრინდა... ოჰ, ალბათ მომეჩვენა, დედა ხშირად მეუბნება...

ვოლვოში ჩავჯექი და აღმოვაჩინე რომ დანარჩენები უკვე იქ მელიოდნენ.

ვცდილობდი სუნთქვა მეკონტროლებინა, მაგრამ სუფთა ჰაერს ხარბად

ვისუნთქავდი.

– ედვარდ? – შიშნარევი ხმით დამიძახა ელისმა.

თავი გადავაქნიე.

– ეშმაკმა წაიღოს რა დაგემართა? – ემეტის კითხვაში მომთხოვნი ტონი ისმოდა.

ყურადღება ჩემზე გადამოიტანა.

პასუხის ნაცვლად მოტორი ჩავრთე. აუცილებლად მანამდე უნდა დამეტოვებინა ავტოსადგომი, ვიდრე ბელა სვონი გამოვიდოდა. მოვტრიალდი და სიჩქარის სატერფულს ბოლომდე დავაჭირე. სანამ გზაზე გამოვიდოდი სიჩქარე საათში ორმოც მილამდე გავზარდე.

არც კი შევტრიალებულვარ, ვიცოდი, რომ ემეტიც, როზალიც და ჯასპერიც ელისს უყურებდნენ. მან კი მხოლოდ მხრები აიჩეჩა, რადგან არ შეეძლო წარსულის დანახვა – მხოლოდ მომავალს ხედავდა.

შემდეგ მე შემომხედა. ორივემ გავაცნობიერეთ ის რაც მან დაინახა და გაცნობიერებები დავრჩით, იმით რაც დაინახა.

– შენ მიდიხარ? – ჩაილაპარაკა მან.

დანარჩენებმა მაშინვე შემომხედეს.

– ნუთუ? – კბილებსშორის გამოვცერი.

შემდეგ მან დაინახა ჩემი ყოყმანი და მომავალი მაშინვე შეიცვალა უარესის მხრივ.

– ოჰ.

ბელა სვონი მკვდარია. წყურვილით ანთებული ჩემი თვალები. ნადირობა ჩვენზე. დიდი დრო, სანამ დამალვა გვჭირდება, ვიდრე ისევ მოგვეცემა შესაძლებლობა ყველაფრის თავიდან დაწყების.

სურათი ნელნელა კონკრეტული ხდებოდა, ვხედავდი ჩარლის სვონის სახლს შიგნიდან, სამზარეულოს ყვითელ კარადასთან მდგარ ბელას, რომელიც ჩემგან ზურგშექცევით იდგა, სანამ მე მას ჩუმად ვეპარებოდი... საკუთარ თავს მივეცი იმის

საშუალება რომ მისი არომატი მეგრძნო...

– საკმარისია! – დავიყვირე მე, რადგან მეტის ატანა აღარ შემეძლო.

– მაპატიე. – მიპასუხა და თვალები გაუფართოვდა.

ურჩხული ხარობდა.

და სურათი ისევ შეიცვალა. ცარიელი გზატკეცილი, ღამე, ავტომობილის ფარებით განათებული დათოვლილი ხეები. სიჩქარე დაახლოებით ორასი მილი საათში.

- მომენატრები. – ჩაილაპარაკა მან –

იმის მიუხედავად თუ რამდენად სწრაფად დაგვიბრუნდები.

როზალიმ და ემეტმა შემფოთებით გადახედეს ერთმანეთს.

თითქმის სახლის გადასახვევთან ვიყავით მისულები.

– ჩვენ აქ დაგვტოვე! – მიბრძანა ელისმა – ეს ყველაფერი შენ უნდა მოუყვე კარლაილს.

დავეთანხმე და ავტომობილი დავამუხრუჭე.

ემეტი, როზალი და ჯასპერი ჩუმად გადავიდნენ მანქანიდან, ისინი ყველაფერს გამოკითხავენ ელისს, როცა მე წავალ. ელისი მხარზე შემეხო.

– შენ სწორ არჩევან გააკეთებ. – მითხრა. ეს უკვე ბრძანება იყო და არა ხედვა – ის ერთადერთი ყავს ჩარლი სვონს, ამით შენ მასაც მოკლავ.

– ხო. – ბოლო ნაწილზე დავეთანხმე. ნერვიულობისგან წარბები შეეჭმუხნა, დანარჩენებს შეუერთდა და მანამდე მიიმალნენ ტყეში, სანამ ავტომობილს მოვაბრუნებდი.

უკან დავბრუნდი. დანამდვილებით ვიცოდი რომ ახლა ბნელი და ნათელი სურათები მონაცვლეობით გამოჩნდებოდა ელისის ხედვებში, თითქოს ვიღაც დენის ჩამრთველს აწვალებდა. ახლა მეც არ ვიცოდი რისთვის ვბრუნდებოდი ფორკსში საათში ოთხმოცდაათი მილის სიჩქარით, იმისთვის რომ მამას გამოვმშვიდობებოდი? თუ მონსტრს გავანთავისუფლებდი? ხრეში კი მანქანის საბურავებ ქვეშ ხმაურობდა...

2 თავი

გადაშლილი წიგნი

ნამქერში გადავწექი, მშრალმა თოვლმა, ჩემი წონისგან ფორმა შეიცვალა. ჩემი კანი ისეთივე ცივი იყო როგორც ჰაერი ჩემს ირგვლივ. ყინულის პატარა ნაწილაკებს მის ქვეშ ბარხატივით ვგრძნობდი.

მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით მოჭედელიყო, ზოგიერთი მათგანი ცისფრად, ზოგი – ყვითლად ანათებდნენ. შავი კოსმისის მორევში გამოსახული ვარსკვლავები არაჩვეულებრივი სანახავი იყო. განსაკუთრებული სილამაზე. უფრო სწორად განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. უნდა ყოფილიყვნენ, რომ შემძლებოდა მათი ნამდვილად დანახვა.

უკეთესობა არ იგრძნობოდა. უკვე ექვსი დღე გავიდა მას მერე, რაც დენალის დაუსახლებელ უდაბნოში მოვედი, მაგრამ ოდნავადაც არ მიგრძვნიას ის თავისუფლება მას მერე, რაც მისი სურნელი ვიგრძენი. შეპყრობილი ვიყავი. ცა თითქოს მილიონობით ძვირფასი თვლებით იყო მოფენილი. მომეჩვენა, რაღაც, რაც ხელს მიშლიდა ამ სილამაზის აღქმაში. ხელისშემშლელი, არაფრით გამორჩეული ადამიანის სახე იყო, რომელსაც ვერაფრით ვიგდებდი თავიდან. მოახლოებული აზრები მანამაღე გავიგონე, სანამ ფეხის ხმას გავიგებდი. თოვლზე ფრთხილი ნაბიჯების ხმა შემომესმა.

არ გამკვირვებია რომ ტანია ჩემს კვალს გამოყვა. რამდენიმე დღე ჩემთან ლაპარაკს გეგმავდა, სანამ გადაწყვეტდა რა უნდა ეთქვა.

დაახლოებით სამოცი იარდის მოშორებით შევნიშნე. დავინახე როგორ გადმოხტა ფეშიშველი დაქანებულ კლდეზე და იქავე გაჩერდა.

ვარსკვლავების შუქზე ტანიას კანი ვერცხლისფერი ჩანდა. მისი ღია ფერის კულულები ვარდისფრად და წითლად ელავდნენ. როცა სანახევროდ თოვლში ჩაფლული შემამჩნია, ქარვისფერი თვალები გაუბრწყინდა და ნელა გაიღიმა.

ნეტავ ნამდვილად შემეძლოს მისი განსაკუთრებულობის დანახვა. ამოვისუნთქე.

წინ გადაიხრილიყო, მისი თითები კლდეს ეხებოდა, სხეული უთრთოდა.

– ტყვიასავით – გაიფიქრა მან.

ჰაერში ახტა, მისი ტანი სიბნელეში შთაითქა, და ჩემსა და ვარსკვლავებს შორის გრაციოზულად დატრიალდა. წრესავით შეიკრა ჰაერში, სანამ ჩემს ირგვლივ არსებულ ნამქერში ჩახტებოდა.

გარშემო წარმოქმნილმა თოვლის ნამქერმა, ვარსკვლავები ჩაამუქა და ყინულის პატარა ნაწილაკებში აღმოვჩნდი დაფლული.

ისევ ამოვისუნთქე, მაგრამ არაფერი გამიკეთებია საიმისოდ რომ თოვლისგან გავნთავისუფლებულიყავი. თოვლის ქვეშ არსებულმა სიბნელემ, არც ხელი შეუშალა და არც გააუმჯობესა ხედვა. მე ისევ ვხედავდი სახეს.

– ედვარდ?

შემდეგ თოვლი ისევ გაიფანტა ჩემს გარშემო, არ შემოუხედავს, ისე მომაცილა სახიდან თოვლი.

– მაპატიე – ჩაილაპარაკა – უბრალოდ ვიხუმრე.

– ვიცი. შთამბეჭდავი იყო.

პირი გაეხსნა.

– ირინამ და კეიტმა მითხრეს რომ არ უნდა მენახე, მათ მიაჩნიათ რომ გაწუხებ.

– სულაც არა – ვეცადე დამერწმუნებინა – ეს მე ვიქცევი უხეშად, ამაზრზენად ცუდად, ძალიან ვწუხვარ.

– დაბრუნებას აპირებ, ხომ მართალი ვარ? – გაიფიქრა.

– მე .. ჯე... არ გადამიწყვეტია.

– მაგრამ აქ დარჩენას არ აპირებ. – მისი აზრები მოყენილი ხმით მესმოდა.

– არა, არა მგონია.. რომ ეს დამეხმაროს.

სახე შეეცვალა.

– ეს ყველაფერი ჩემს გამოა?

– რა თქმა უნდა არა, – მოვიტყუე ზრდილობის გამო.

– არ გინდა ჯენტლმენობა.

გაკვიდიმე.

– ჩემს გამო თავს უხერხულად გრძნობ – დამნაშავე ხმით ჩაილაპარაკა.

– არა.

წარბი აწია და შემომხედა, მისი სახის გამომეტყველება ისეთი ბუნდოვანი იყო რომ გამეცინა.

– კარგი. – გამოვტყდი – მხოლოდ ცოტათი.

ამოისუნთქა და ნიკაპით დაეყრდო ხელებს. მისი აზრები გულგატეხილობას გამოხატავდა.

– შენ ვარსკვლავებზე ათასჯერ მშვენიერი ხარ ტანია. რა თქმა უნდა შენთვის ეს ცნობილია. არ მისცე ნება ჩემს სიჯიუტეს, შენი თვითრწმენა შეარყიოს – გალიმება მომიხდა, რადგანაც არა დამაჯერებლად ჟღერდა ეს ყველაფერი.

– უარს არ ვარ შეჩვეული. – ჩაიბუზღუნა და ლამაზად გაბუსხა ტუჩები წყენისგან.

– რა თქმა უნდა არა – დავეთანხმე, უშედეგოდ ვცდილობდი მისი აზრების უკუგდებას, როცა თავის თავგადასავლებს იხსენებდა. ჩვეულებრივ, ტანია მამაკაცებს ადამიანებს შორის ეძებდა – ერთის მხრივ ისინი გაცილებით ბევრნი იყვნენ და მათი უპირატესობა კიდევ იმაში გამოიხატებოდა რომ თბილები და რბილები იყვნენ. მეორეს მხრივ – ისინი მას აღმერთებდნენ.

– შემაცდენელო დემონო – გავებუძრე, თან ვცდილობდი შემეწყვიტა მოგონებების ნაკადი, რაც მის თავში ტრიალებდა.

გაიცინა და კბილებმა გაიბრწყინა.

– ყველაზე ნამდვილი.

კარლაილისგან განსხვავებით, ტანიას და მის დებს, მამაკაცების სიყვარულმა შეაძლებინა რომ ადამიანებზე არ ენადირათ. ახლა ... მამაკაცები, რომლებიც მათ უყვარდათ ცოცხლები იყვნენ.

– როცა აქ ჩამოხვედი – წყნარად დაიწყო ტანია – მე ვიფიქრე, რომ...

ვიცოდი რაც იფიქრა, უნდა მცოდნოდა რას იგრძნობდა. მაგრამ იმ მომენტში ნამდვილად არ მქონდა ნორმალური აზროვნების უნარი.

– შენ იფიქრე, რომ მე გადაწყვეტილება შევცვალე.

– ჰო – მოიღუშა.

– საშინლად ვგრძნობ თავს, რომ შენს მოლოდინზე ვთამაშობ ტანია. არ მინდოდა

– არც მიფიქრია. ეს იმიტომ რომ... სასწრაფოდ წამოვედი იქიდან.

– იქნებ მითხრა რატომ?

ხელები მუხლებზე შემოვიხვიე, თავდაცვით მდგომარეობაში დავჯექი.

– არ მსურს ამაზე ლაპარაკი.

ტანია, ირინა და ქეითი არაჩვეულებრივად უძღვებოდნენ თავიანთ ცხოვრებას.

ცოტათი უკეთესად კიდევ – ვიდრე კარლაილი. ისინი ძალიან ფრთხილად

არჩევდნენ თავიანთ მსხვერპლს, არასოდეს უშვებდნენ შეცდომას. ახლა კი

მრცხვენოდა ტანიასთან ჩემს სისუსტეზე ლაპარაკი.

– ქალებთან დაკავშირებული პრობლემებია? – შემეკითხა ჩემს სურვილის მიუხედავად.

ცივად გავიღიმე.

– ის არა, რაც შენ იფიქრე.

ჩაჩუმდა, მისი აზრები მესმოდა, ცდილობდა მიმხვდარიყო ჩემი სიტყვების აზრს.

– ძალიან ცივა – ვუთხარი.

– მხოლოდ ერთი მინიშნება – მთხოვა მან.

– გთხოვ, დაივიწყე ტანია.

ისევ გაჩუმდა და ფიქრს განაგრძო. მის აზრებს იგნორირებას ვუკეთებდი და ვცდილობდი ვარსკვლავებისთვის მეცქირა.

დიდი ხნის ჩუმიად ყოფნის მერე დანებდა და მისმა აზრებმა სხვა მიმართულება

მიიღო.

– სად წახვალ ედვარდ მას მერე რაც აქაურობას გაეცლები? უკან კარლაილთან?

– არა მგონია. – ჩავილაპარაკე.

სად წავალ? პლანეტაზე არ მეგულებოდა არცერთი ადგილი, რომელიც დამაინტერესებდა. არაფერი არსებობდა ის, რისი ნახვა და გაკეთებაც მინდოდა. იმიტომ რომ სადაც არ უნდა წავსულიყავი, ეს გაქცევა იქნებოდა და არა ის, რომ იქ წასვლა მინდოდა.

როგორ ვერ ვიტანდი ამას, როდის აქეთ გავხდი ასეთი მშიშარა?

ტანია ხელით შემეხო მხარზე. შევცბი, თუმცა არ მომიშორებია, ვიცოდი რომ ეს მხოლოდ მეგობრული დამშვიდების მცდელობა იყო.

– მე ვფიქრობ რომ შენ უკან დაბრუნდები – თქვა და მის ხმაში დიდი ხნის დავიწყებული რუსული აქცენტი ვიგრძენი. – არ აქვს მნიშვნელობა რა არის ეს.. ან ვინ არის... ეს შენ გდევნის. შენ მას პირისპირ შეეჯახები, შენ ასეთი ხარ...

მისი აზრები ისევე დამაჯერებელი იყო, როგორც მისი ხმა. ვცდილობდი, მის მოგონებებში ჩემი ხასიათი დამენახა. ერთადერთი, ვინც არასოდეს არაფერს უშინდება. სასიამოვნო იყო საკუთარ თავზე ძველებურად ფიქრი. არასოდეს დავეჭვებულვარ საკუთარ მამაცობაში, პრობლემების გამკლავების შესაძლებლობაში იმ საშინელ საათამდე, ბიოლოგიის კაბინეტში რომ გავატარე.

ლოყაზე ვაკოცე, ფრთხილად გავინთავისუფლე თავი, როცა სახე ჩემსკენ მოაბრუნა და მოწყენილმა გაიღიმა.

– გმადლობ ტანია, მე მჭირდებოდა ამის გაგება.

გაღიზიანდა, რომ შეამჩნია ვჩქარობდი.

– რა პრობლემაა, თუმცა ჯობდა ცოტაც მოგეთმინა ედვარდ.

– მაპატიე ტანია. თვითონაც იცი რომ ჩემთვის ზედმეტად კარგი ხარ. მე უბრალოდ... ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე ის, რასაც ვეძებ.

– კარგი. თუ მანამდე წახვალ ვიდრე კიდევ გნახავ... ნახვამდის ედვარდ.

– ნახვამდის ტანია. – როცა ამ სიტყვებს ვამბობდი, ვგრძნობდი რომ საკმარისად ძლიერი ვიყავი საიმისოდ, რომ დავბრუნებულიყავი იქ, სადაც ნამდვილად მინდოდა. – კიდევ ერთხელ გმადლობ.

ერთი მოძრაობით წამოიმართა, წამის შემდეგ კი უკვე გარბოდა. მოჩვენებასავით სწაფად მოძრაობდა, ნაკვალევიც კი არ დაუტოვებია თოვლზე. არცერთხელ მოუხედავს, ჩემმა უარმა იმაზე მეტად დაწყვიტა გული, ვიდრე ეს მის აზრებში ამოვიკითხე. აღარ სურდა დავენახე გამგზავრების წინ.

არ მსიამოვნებდა ტანიას წყენინება. ვიცოდი რომ მისი გრძნობები ღრმა არ იყო. რაც არ უნდა ყოფილიყო, არ შემეძლო მის გრძნობებზე მეპასუხა. რის გამოც თავს ჯენტლმენად ვერ ვგრძნობდი.

ნიკაპი მუხლებზე დავაყრდნე და ისევ ვარსკვლავებს გავხედე. არასასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა მოსალოდნელი მგზავრობის გამო. ვიცოდი რომ ელისი ამას დაინახავდა და აუცილებლად შეატყობინებდა სხვებსაც. ეს მათ გაახარებდათ – განსაკუთრებით კარლაილს და ესმეს. ვარსკვლავებს შორის ვცდილობდი მათი სახე დამენახა, მაგრამ მხოლოდ ადამიანის ორ ყავისფერ თვალს ვხედავდი. თითქოს მეკითხებოდნენ რას მოუტანდა მათ ეს გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მისი ცნობისმოყვარე თვალეები ნამდვილად ამას მეკითხებოდნენ. ჩემდა სამწუხაროდ, მისი ფიქრებიც არ მესმოდა. ბელა სვონის თვალეები კი ისევ განაგრძობდნენ დაკითხვას. მძიმედ ამოვისუნთქე და ფეხზე წამოვდექი. თუ გავიქცევი, კარლაილის მანქანასთან ერთ საათზე ნაკლებ დროში მივალ.

ვჩქარობდი მალე მენახა ჩემი ოჯახი – ისევ ის ედვარდი ვყოფილიყავი რომელიც პრობლემებს პირისპირ ეჯახებოდა. ვცდილობდი თოვლზე ნაკვალევი არ დამეტოვებინა.

– ყველაფერი კარგად იქნება. – ამოისუნთქა ელისმა.

მისი თვალეები არაფერზე არ იყო კონცენტრირებული. ჯასპერს მსუბუქად ეჭირა

იდაყვით და წინ მიყავდა. ყველანი კაფეტერიაში შევედით. როზალი და ემეტი დაწინაურდნენ. ემეტი სასცილოდ გამოიყურებოდა, როგორც პირადი მცველი, რომელიც ტერიტორიას ათვალერებდა. როუზიც ფხიზლად იყო და ცოტა ნაწყენიც. – რა თქმა უნდა. – ჩავიბუზღუნე.

სულელურად იქცეოდნენ. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, რომ თავის შეკავებას ვერ შევძლებდი, სახლში დავრჩებოდი.

მოულოდნელი ჩვენი ცვლილება, თუმცა გათამაშებული. დილით (ღამით თოვდა) – ემეტმა და ჯასპერმა ჩემი ყურადღების მოდუნებით ისარგებლეს და თოვლის გუნდებით დამესხნენ თავს. როცა ჩემი საპასუხო რეაქცია ვერ იგრძნეს, მობეზრდათ და ერთმანეთს შეუტყეს – ეს ყველაფერი საკმაოდ სახალისო სანახავი იქნებოდა, ასე ძალიან რომ არ ვყოფილიყავი დამაბული.

– ის აქ არაა, მაგრამ აუცილებლად მოვა... ის ქარში არ მოხვდება, ჩვენს ჩვეულ ადგილზე დავჯდებით.

– რა თქმა უნდა ჩვენ იქ დავსხდებით, საკმარისია ელის. შენ უკვე ჩემს ნერვებზე მოქმედებ. ყველაფერი კარგად იქნება.

თვალეები გაუფართოვდა და როცა ჯასპერი დაჯდომაში მიეხმარა, საბოლოოდ მისი მზერა ჩემს სახეზე შეჩერდა.

– ჰმმ – გაკვირვებულმა წარმოთქვა – ვფიქრობ მართალი ხარ.

– რა თქმა უნდა – ჩავიჩურჩულე.

სახე დამემანჭა.

ნუთუ მხოლოდ ერთი კვირის წინ აქაურობა მოსაწყენად მეჩვენებოდა?

დღეს ჩემი ნერვები პიანინოს სიმებივით იყო დაჭიმული, მსუბუქი შეხება და უკვე ხმას გამოსცემდა. ჩემი ყველა გრძნობა გაძლიერებულად მუშაობდა: თითოეულ სიტყვას ვსწავლობდი, ყველა გამოხედვას, ჰაერის ყველა მოძრაობას, რომელიც ჩემს კანს ეხებოდა, თითოეულ აზრს. განსაკუთრებით აზრებს. ერთადერთი შეგრძნება რომელსაც ვბლოკავდი, ეს სუნთქვა იყო. მე არ ვსუნთქავდი.

ველოდებოდი გამეგონა რაიმე ქალებების შესახებ. მთელი დღე მოლოდინში
გავატარე, ვეძებდი ბელას ახალ ნაცნობებს, ვისაც შეიძლებოდა ნდობოდა,
ვცდილობდი ახალი ჭორის გაგებას. მაგრამ არაფერი არ იყო. როგორც გოგონას
ჩამოსვლამდე ხდებოდა, ახლაც არავინ არ აქცევდა ყურადღებას ხუთ ვამპირს.
აქ მყოფი ადამიანებიდან, ზოგიერთი მასზე ისევ ფიქრობდა, იგივეს
ფიქრობდნენ, რასაც ერთი კვირის წინ. იმის ნაცვლად, რომ ეს ენით აუწერელ
მოსაწყენ საქმიანობად აღმექვა, ამ ყველაფრით მოხიბლული ვიყავი.

ნუთუ არავისთვის არაფერი არ უთქვამს ჩემს შესახებ?

არანაირი შესაძლებლობა არ არსებობდა რომ არ შეემჩნია ჩემი შავი სასიკვდილო
გამოხედვა. ვნახე როგორი რეაქცია ქონდა ამაზე. დარწმუნებული ვარ ძალიან
შევაშინე. მჯეროდა, რომ ის ამის შესახებ აუცილებლად მოუყვებოდა ვინმეს,
შეიძლებოდა ცოტათი შეელამაზებინა კიდეც. რამდენიმე საშიშ შტრიხს
აუცილებლად დამიმატებდა.

შემდეგ მან გაიგონა როგორ ვცდილობდი ბიოლოგიიდან განთავისუფლებას. ამ
ყველაფრისგან ის გაოცებული უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ რაც ჩემი სახე ნახა,
რომლის მიზეზიც თვითონ იყო. პასუხის ძებნაში რომელიც ჩემს მოქმედებას ახსნიდა
მის მიმართ, ნორმალური გოგონა თავის გარშემო ყველას კითხავდა მისი მსგავსი
შემთხვევის შესახებ, ადამიანები ხანდახან განუსჯელად იქცევიან. ახალგაზრდობის
წლებში ადამიანები საკუთარ თავში დაურწმუნებლები არიან, გოგონაც არ უნდა
ყოფილიყო გამონაკლისი.

მაგრამ ჩვენს მაგიდასთან მსხდომებს, არავინ გვაქცევდა ყურადღებას. ბელა
ალბათ მეტიმეტად მორიდებულია, თუ არავისთვის არაფერი უთქვამს. შეიძლება ის
მამამისს ელაპარაკა, ალბათ ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ... თუმცა ეს ასე არ იყო,
რადგან ძალიან ცოტა დროს ატარებდა მის გვერდით. ის ალბათ დედასთან უფრო
ახლოს არის. თუმცა მომიწევს შეფ სვონს მომავალში მეტი ყურადღება მივაქციო და
გავიგო რას ფიქრობს.

– რამე სიახლეა? – იკითხა ჯასპერმა.

– არაფერი. როგორც ჩანს... მას არაფერი უთქვამს.

ამის გაგონებაზე, ყველამ წარბები აწია გაკვირვებისგან.

– იქნებ არც ისეთი საშიში ხარ როგორც გეჩვენება? – ჩაიფხუკუნა ემეტმა – თუ გინდა შემიძლია უკეთესად შვეაშინო.

თვალები დავუბრიალე.

– საინტერესოა რატომ? – ის ისევ ჩემს ნათქვამს მიუბრუნდა, გოგონას საშინელ მორიდებულობაზე.

– ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ. არ ვიცი.

– ის მოდის – ჩუმად ჩაილაპარაკა ელისმა და ვიგრძენი როგორ გამიქვავდა სხეული.

– ეცადე ადამიანით გამოიყურებოდე.

– შენ თქვი ადამიანი? – იკითხა ემეტმა.

ხელი ასწია და თითები გაშალა, მის მუჭში თოვლის გუნდა იდო. რა თქმა უნდა ის იქ არ გადნებოდა. მრგვალი ფორმა მისცა ხელისგულებით და თან ჯასპერს არ აშორებდა თვალს, მაგრამ მე მისი აზრები წავიკითხე და რა თქმა უნდა ელისმაც დაინახა მისი მიმართულებით ნასროლი ყინულის გუნდა და ხელის ერთი მოძრაობით აიცილა. ყინული ასხლტა, ადამიანის თვალისათვის შემუჩნეველი სისწრაფით გადაუფრინა მთელ სასადილოს და ხმაურით შეასკდა აგურის კედელს.

ყველა თავი მომენტალურად შებრუნდა რათა დაენახათ გულისგამხეთქავი ყინულის ნაჭერი. შემდეგ კი დამნაშავის ძებნა დაიწყეს. ყველა თავის უახლოეს მაგიდასს უყურებდა, ჩვენთვის არავის შემოუხედავს.

– ძალიან ადამიანურია ემეტ – ავად წარმოთქვა როზალიმ – პირდაპირ კედელს რატომ არ გაამტვრევ მუშტით?

– ყველა უფრო მეტად გაოცდება, თუ ამას შენ გააკეთებ პატარავ.

ვცდილობდი მათთვის ყურადღება მიმექცია და სახეზე ღიმილი

შემენარჩუნებინა. არ მინდოდა შემოსასვლელისკენ გახედვა, სადაც ვიცოდი, ის იდგა. მაგრამ ეს იყო ყველაფერი რაც მესმოდა.

მესმოდა ჯესიკას ხმაში მოუთმენლობა, რომელიც მასთან ერთად იდგა შემოსასვლელში. მისსავე ფიქრებში დავინახე რომ ბელას სახეზე სისხლი მოაწვა და ლოყები აუვარდისფრდა.

მომზადებულმა იმისთვის, რომ არ მესუნთქა, თუ კი მის სურნელს ოდნავ მაინც ვიგრძნობდი, სწრაფად ჩავისუნთქე.

მაიკ ნიუტონი გოგობთან ერთად იდგა, მესმოდა მისი ორივე ხმა, შინაგანიც და ჩვეულებრივიც, როცა ეკითხებოდა ჯესიკას, რა ჭირდა ბელა სვონს. არ მომეწონა მისი აზრების მიმართულება რომელიც გოგონას უტრიალებდა. ფანტაზიებს დაეპყროთ უკვე მისი გონება, როცა შენიშნა რომ ბელა მისი ხმის გაგონებაზე შეხტა, აშკარაა დაავიწყდა რომ ისიც მათთან ერთად იყო.

– არაფერი – გავიგონე როგორ წარმოთქვა ბელამ ეს სიტყვა, თავისი წყნარი და მკაფიო ხმით. მისი ხმა ძალიან ხმამაღლა მომესმა, ვიცოდი ეს რატომაც ხდებოდა. მე მას ყურადღებით ვუსმენდი.

– დღეს მხოლოდ ლიმონათს დავლევ – განაგრძო მან და სწრაფად წავიდა წინ. ვეღარ შევძელი და სწრაფი მზერით გავიხედე მისკენ. თვალები დაბლა დაეხარა და სიწითლე ნელნელა გადასდიოდა სახიდან. მაშინვე ემეტისგენ შევბრუნდი, რომელიც ჩემი სახის ტრაგიკულ გამომეტყველებაზე დამცინოდა.

– შენ ცუდად გამოიყურები ძმაო.

ვეცადე მხიარული და ბუნებრივი სახე მიმეღო.

ჯესიკამ ხმამაღლა გამოხატა გაოცება, გოგონას მადის დაკარგვის გამო.

– არ გშია?

– საერთოდ თავს ცოტა შეუძლოთ ვგრძნობ. – მისი ხმა უფრო ჩუმი გახდა, მაგრამ მაინც გარკვევით მესმოდა.

რატომ მადლელებს ეს ამბავი? – მფარველობის შეგრძნება, რომელიც მაიკ

ნიუტონისგან მოდიოდა? და რა განსხვავებაა, რომ ეს მესაკუთრეობას გავს? თუ კი მაიკ ნიუტონი მის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გრძნობს, ეს ჩემი საქმე არაა. შეიძლება ყველა ასე რეაგირებს ბელასთან. მეც ხომ ინსტიქტურად მისი დაცვა მსურდა? მანამდე სანამ მის მოკვლას მოვინდომებდი. ჰო....

მაგრამ იყო კი გოგონა ავად?

ძნელი მისახვედრი იყო, ისეთი სუსტი ჩანდა თავისი თითქმის გამჭვირვალე კანით... შემდეგ განაცნობიერე რომ თურმე მეც ვნერვიულობ, როგორც სულელი ბიჭი, და გადავწყვიტე ამაზე აღარ მეფიქრა.

ამის მიუხედავად, არ მომწონდა მისი დანახვა მაიკის აზრებიდან გამომდინარე. ჯესიკაზე გადავერთე და ყურადღებით ვუსმენდი როგორ არჩევდნენ თუ რომელ მაგიდასთან დამსხდარიყვნენ. საბედნიეროდ ერთ–ერთი ყველაზე პირველი მდგარი მაგიდა აარჩიეს სასადილოში, სადაც ქარი არ ხვდებოდა, ზუსტად ისე, როგორც ელისმა გვითხრა.

ელისმა იდაყვი გამარტყა.

– ახლა ის შემოგხედავს, ადამიანივით მოიქეცი.

კბილების ღრჭიალი ღიმილით გადავფარე.

– მსუბუქად ედვარდ – მითხრა ემეტმა – მართლა. თუ ერთ ადამიანს მოკლავ, ამით ქვეყნის აღსასრული ნამდვილად არ დადგება.

– აუცილებლად გაიგებ ამის შესახებ – ჩავიღრინე.

ემეტმა გაიცინა.

– შენ მოგიწევს ამ ყველაფერზე მაღლა იდგე, ისევე როგორც მე. საუკუნო ცხოვრება – დიდი პერიოდია, რომელის დროსაც მონაწილას მოასწრებ.

სწორედ ამ დროს, ელისმა პატარა ყინულის ნაჭერი ესროლა ემეტს სახეში, რომელიც არაფერში დაეჭვებულა.

მოულოდნელობისგან გაოცებულმა ემეტმა, უცებ გაიღიმა.

– თვითონ ითხოვე – თქვა მან, მაგიდაზე გადაიხარა და ყინულის წვეთებით

სავსე თმები მის წინ დაიფერთხა. სითბოს მოქმედების გამო გამდნარი თოვლი, მისი თმიდან ცვიოდა. ნახევარი თოვლის, ნახევარი წყლის წვეთების სახით.

– ფუ – ბრაზმორეულმა წამოიძახა როზალიმ, როცა ის და ელისი ცდილობდნენ წყლის წვეთებისგან შებრუნებას.

ელისმა გაიცინა და ყველანი შევუერთდით. შევძელი მის თავში დამენახა, როგორ წარმატებით განახორციელა, შექმნა ეს მომენტი. მე ვიცოდი რომ ის გოგონა – ვიცოდი რომ მასზე ფიქრი უნდა შემეწყვიტა, თითქოს ერთადერთი ყოფილიყოს სამყაროში – რომ ბელა დაინახავდა როგორ ვიცინოდით, ვმხიარულობდით, ბედნიერები და ადამიანურები ვიყავით.

ელისი იცინოდა და ფარივით იფარებდა თავის ლანგარს, გოგონა – ბელა – ალბათ ისევ გვიყურებდა.

... ისევ ქაღენებს უყრებს – გაიფიქრა ვიღაცამ და ჩემი ყურადღება მიიქცია.

ავტომატურად მივტრიალდი "ხმის" მიმართულებით. მალევე მივაგენი და მივხვდი ვინც იყო, დღეს საკმაოდ დიდ ხანს ვუსმენდი მას.

მზერა დიდ ხანს არ შემიჩერებია ჯესიკაზე, ისევ გოგონას გადავხედე, რომელიც გვიყურებდა.

სწრაფად დახარა თვალები და მუქი თმის მიღმა დაიმალა.

– რა დაემართა? ჯესიკას ფიქრებმა ჩემს გაოცებას იმეორებდნენ.

– ევდრად ქაღენი გიყურებს – უჩურჩულა სვონს ყურში და ჩაიცინა. არანაირი ეჭვიანობის ტონი არ შეიმჩნეოდა მის სიტყვებში. როგორც ეტყობა ჯესიკამ იცოდა როგორ უნდა მოეჩვენებინა თავი მეგობრად.

გოგონას პასუხს მოუთმენლად ველოდი.

– როგორ ფიქრობ გაბრაზებულა? – ჩაიჩურჩულა პასუხად.

ესეიგი მან მიაქცია ყურადღება ჩემს უწინდელ ველურ საქციელს. რა თქმა უნდა.

კითხვამ შეაცბუნა ჯესიკა. მის აზრებში საკუთარი სახე დავინახე, ჩემი სახის

გამომეტყველებას ამოწმებდა. მაგრამ მისთვის არ შემიხედავს. ჯერ კიდევ გოგონასკენ

ვიყავი მობილიზებული, რომ რაიმე აზრი გამეგონა, მაგრამ როგორც ჩანს ვერაფერს მოვახერხებდი.

– არა – უპასუხა ჯესიმ, მიუხედავად იმისა, რომ სურდა თანხმობით ეპასუხა – შინაგანად აბრაზებდა ჩემი დაჟინებული თვალეები – მაგრამ ხმაში ამის კვალიც არ იყო – და უნდა იყოს?

– მეჩვენება, რომ არ მოვწონვარ – ჩაილაპარაკა გოგონამ და თავი ხელებში ჩარგო, თითქოს ძალიან დაღლილიყოს. ვცდილობდი ეს ჟესტი გამეგო, მაგრამ მხოლოდ გამოცნობა შევძელი, ალბათ დაიღალა.

– ქალებს არავინ მოწონთ – არწმუნებდა ჯესიკა – უფრო სწორად ისინი გულგრილები არიან საიმისოდ, რომ ვინმე მოეწონოთ. არც არასოდეს უცდიათ. მისი აზრები უკმაყოფილოდ იღრინებოდნენ.

– მაგრამ ის ისევ შენ გიყურებს.

– ნუ უყურებ –

შიშით წამოიძახა გოგონამ, ხელებიდან თავი აწია, რათა ჯესიკასთვის დაეძალებინა მოსმენა.

ჯესიკამ ჩაიხითხითა, მაგრამ დაუჯერა.

მთელი შესვენების განმავლობაში გოგონას მაგიდისთვის თვალი არ მოუშორებია. თუმცა ვგრძნობდი, რომ უნდოდა ჩემს მხარეს გამოეხედა. სხეული ოდნავ შემოტრალდა ჩემი მიმართულებით, ნიკაპმა მოძრაობა დაიწყო, მაგრამ მოულოდნელად გაჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა და ყურადღება ხალხის ლაპარაკზე გადაიტანა.

საერთო ჯამში, გოგონას შესახებ აზრებს იგნორირებას ვუკეთებდი. თუმცა მის შესახებ ნამდვილად არ ფიქრობდნენ მოცემულ მომენტში. მაიკ ნიუტონი, თოვლში აპირებდა თამაშს გაკვეთილების შემდეგ. როგორც ჩანს ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ თოვლი წვიმამ შეცვალა. სახურავზე ფაფუკი თოვლის შეხების ხმა, წვიმის წვეთების ხმაურმა ჩაანაცვლა. ნუთუ მართლა ვერ შენიშნეს ეს ცვლილება, მე საკმაოდ

ხმამალალი მეჩვენებოდა.

ლანჩის დრო ამოიწურა, ადგილიდან არ დავძრულვარ. ხალხი ერთმანეთის მიყოლებით გადიოდა, მე კი თავი დავიჭირე, რომ მსურდა მისი ნაბიჯების ხმა გამომერჩია. თითქოს ის რაიმე განსაკუთრებული და სხვისი ნაბიჯებისგან განსხვავებული ყოფილიყოს.

ჩემი ოჯახიც გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან, ჩემს მოქმედებას ელოდებოდნენ.

წავალ კლასში რომ დავჯდე მის გვერდით და შევიგრძნო მისი სისხლის ძლიერი სურნელი, მისი სხეულიდან გამომავალი სითბო კანზე? ვიყავი საკმარისად ძლიერი? თუ დღეისთვის საკმარისი იყო?

– მე... ვფიქრობ რომ ყველაფერი კარგადაა – ყოყმანით მითხრა ელისმა – შენი გონება წესრიგშია, ვთვლი რომ კიდევ ერთ საათს გაუძლებ.

მაგრამ ელისმა არაჩვეულებრივად იცოდა, რამდენად სწრაფად შემემლო შეცვლა.

– რატომ არ დაივიწყებ ამ ყველაფერს ედვარდ? – ჩაერია ჯასპერი. მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდა კმაყოფილება გამოემჟღავნებინა, მისი ფიქრებიდან გავიგე, რომ უხაროდა, მარტო ის არ იყო სუსტი, – წადი და დაისვენე.

– რა აზრი აქვს? – არ დაეთანხმა ემეტი – ორი გამოსავალია, ან მოკლავს, ან არა.

– მაგრამ მე არ მინდა ჯერ აქედან წასვლა – წუხდა როზალი – არ მინდა ყველაფერი თავიდან დავიწყო. ჩვენ თითქმის დავამთავრეთ სკოლა.

ბოლოსდაბოლოს.

მის სიტყვას მოვეჭიდე. მინდოდა, ძალიან მინდოდა, ამასთან პირისპირ შეჯახება და არა ისევ გაქცევა. მითუმეტეს არ მინდოდა შორს ვყოფილიყავი. სისულელე იყო გასულ კვირას ჯასპერის მხრიდან, ამდენი ხნით სანადიროდ წაუსვლელობა. ნუთუ ასეთივე სულელური იქნებოდა ჩემგანაც?

არ მინდოდა რომ ჩემს გამო ჩემს ოჯახს საცხოვრებელი შეეცვალა. არავინ მეტყოდა მაღლობას ამის გამო.

მაგრამ მე მინდოდა ბიოლოგიაზე წასვლა. გავაცნობიერე, რომ ისევ მინდა მისი სახის დანახვა.

აი რა გამოდგა გადამწყვეტი ფაქტორი ჩემთვის. ცნობისმოყვარეობა. საკუთარ თავზე ვბრაზობდი ამ გრძნობის გამო. ნუთუ საკუთარ თავს არ დავპირდი, რომ არ გამოვიჩენდი დიდ დაინტერესებას იმ გოგონას აზრების მიმართ, ვისიც არ მესმოდა? მაგრამ ამ გრძნობას ვყავდი შეპყრობილი.

მინდოდა გამეგო რას ფიქრობდა, მაგრამ მისი გონება ჩემთვის დახურული იყო, სამაგიეროდ თვალები იყო ღია. იქნებ მასში შევძლო და წავიკითხო ყველაფერი.

– არა, როუზ, ვფიქრობ რომ ყველაფერი ნამდვილად კარგად იქნება – თქვა ელისმა. – ვხედავ ამას. თუ ის გაკვეთილზე წავა, 93% ვარ დარწმუნებული, რომ ცუდი არაფერი მოხდება.

ცნობისმოყვარე მზერით შემომხედა, ცდილობდა გაეგო რა მოხდა ჩემს აზრებში, რამაც მისი ხედვა საიმედო გახადა.

იყო საკმარისი ცნობისმოყვარეობა, რომ ბელა სვონი ცოცხალი დამეტოვებინა? ემეტი მართალი იყო, რატომ არ უნდა დამესვა აქ წერტილი? შევხვდები ცდუნებას პირისპირ.

– გაკვეთილზე წავალ – განვაცხადე და მაგიდიდან წამოვდექი. შემოვტრიალდი და წამოვედი, უკან არ მიმიხედავს. მესმოდა ელისის ნერვიულობა, ჯასპერის განაჩენი, ემეტის მოწონება, როზალის გაღიზიანება.

კაბინეტის კარებთან კიდევ ერთხელ ღრმად ჩავისუნთქე, შემდეგ ფილტვებში ჟაგბადი ჩავიგუბე და პატარა თბილ ოთახში შევედი.

არ დამიგვიანია. მისტერ ბენერი ჯერ კიდევ ლაბორატორიულისთვის ემზადებოდა. გოგონა მერხთან, ჩვენს მერხთან იჯდა და ფურცელზე რაღაცას ხატავდა, ალბათ საერთოდ არ აინტერესებდა, სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

ხმაურით გამოვწიე სკამი, ვიცოდი ხალხს არ მოწონდა, როცა ვინმე უჩუმრად უახლოვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხმაური გაიგონა, თავი არ აუწევია.

რატომ არ შემომხედა? იქნებ ისევ შემინებულა? უნდა დავარწმუნო, რომ საშიში არაფერია. ვაიძულო, რომ ყველაფერს სხვა თვალთ შეხედოს.

– გამარჯობა – ჩავილაპარაკე წყნარად და გავიღიმე, რომელსაც ადამიანების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ვიყენებდი, რა თქმა უნდა კბილები არ გამოვაჩინე. გაფართოებული თვალები ქონდა, როცა თავი ასწია. მის თვალებში უამრავი პასუხ გაუცემელი კითხვა და შიში იკითხებოდა.

იმ დროს, როცა მის მუქ ყავისფერ თვალებს შევხედე, მივხვდი, რომ სიძულვილი

– სიძულვილი, რომელსაც მის მიმართ განვიცდიდი – სადღაც გამქრალიყო. არ ვსუნთქავდი, მის სურნელს ვერ ვგრძნობდი, რთული დასაჯერებელი იყო, რომ ის ასეთი მტკივნეული სიძულვილს იმსახურებდა.

– მე ედვარდ ქალენი ვარ – ვთქვი, თუმცა ვიცოდი, რომ ეს მისთვის ცნობილი იყო. ეს ყველაფერი გაცნობისთვის აუცილებელი ზრდილობის გამოხატვა იყო. – არ მქონდა შესაძლებლობა, რომ გასულ კვირას გაგცნობოდი. შენ ალბათ ბელა სვონი ხარ.

შეცბუნებული გამოიყურებოდა. რის გამოც იმაზე გვიან გამცა პასუხი, ვიდრე საჭირო იყო.

– საიდან იცი ჩემი სახელი? – მკითხა და მის ხმაში კაკნკალი დავიჭირე.

როგორც ჩანს, ნამდვილად შევაშინე, ამის გამო დამნაშავედ ვიგრძენი თავი.

ისეთი დაუცველი იყო. მოკლედ გავიცინე ისე რომ კბილები არ გამომჩენოდა.

ვიცოდი, რომ ეს სიცილი ადამიანებზე დამამშვიდებლად მოქმედებდა.

– ო, ვფიქრობ აქ ყველამ იცის შენი სახელი – რა თქმა უნდა ხვდებოდა, რომ მისი ჩამოსვლით, ამ მოსაწყენ ქალაქში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა – მთელი ქალაქი ელოდა შენს ჩამოსვლას.

მოიღუშა. იმის მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, როგორი მორცხვია, შეიძლება

ვიფიქროთ რომ გარს შემოხვეული ხალხი, მისთვის არასასიამოვნო იყო. უამრავი

ადამიანი განიცდიდა, ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებს. მათ არ სურდათ რომ სხვისგან რამით გამორჩეულები ყოფილიყვნენ, ამავდროულად კი – ოცნებობდნენ ყველას ყურადღება მათკენ ყოფილიყო მიმართული.

– არა, – თქვა მან – მინდოდა მეთქვა, რატომ დამიძახებ ბელა?

– იზაბელა გირჩევნია? – შევეკითხე. ვერ მივხვდი რას გულისხმობდა. პირველს დღეს ყველას უსწორებდა, ვინც კი იზაბელას დაუძახებდა. ნუთუ ადამიანებთან ურთიერთობა ასეთი რთულია, როცა მათი ფიქრები არ გესმის.

– არა, მე ბელა მომწონს. – მსუბუქად დააქნია თავი და მიპასუხა. მისი სახის გამომეტყველება – თუ სწორად გამოვიცანი – არეული და შეცბუნებული იყო. – უბრალოდ, მეგონა, რომ ჩარლი – მამაჩემს ვგულისხმობ – ზურგსუკან ყოველთვის იზაბელას მეძახდა. აქ ყველა ამ სახელით მიცნობს.

გაწითლდა.

– ოჰ, – ვუპასუხე მოკლედ და სასწრაფოდ ავარიდე მზერა.

მხოლოდ ახლა გავაცნობიერე მისი კითხვის მნიშვნელობა. მივხვდი რომ შეცდომა დავუშვი. მე რომ პირველ დღეს ხალხისთვის არ მომესმინა, ახლა აუცილებლად სრული სახელით მივმართავდი, როგორც ყველა. განსხვავება შენიშნა. შევშფოთდი, საკმაოდ მალე დაიჭირა ჩემი შეცდომა. მისი მხრიდან ეს საკმაოდ გასაკვირი იყო, მითუმეტეს მაშინ, როცა ასე შევაშინე.

ჰაერი აღარ მყოფნიდა. თუ მასთან ლაპარაკის გაგრძელებას ვაპირებდი, აუცილებლად უნდა ჩამესუნთქა.

რთული იყო გაჩუმება. საუბედუროდ ერთ მერხთან ვიჯექით და დღევანდელი ლაბორატორიული, ერთად უნდა გაგვეკეთებინა. უცნაური და უხეში საქციელი იქნება ჩემს მიერ მთელი გაკვეთილის განმავლობაში თუ არ დაველაპარაკები, ამის გამო ის უარესად შეშინდება.

რაც შეიძლება შორს მივიწიე მისგან ისე, რომ სკამი არ გამინძრევია.

შემოსასვლელისკენ გავტრიალდი და სწრაფად ჩავისუნთქე, რა თქმა უნდა პირით.

ახხ.

მიუხედავად იმისა, რომ მისი სუნი არ მიგრძენია, ეს მაინც მტკივნეული იყო, მისი გემო ენაზე ვიგრძენი. ყელში ძველებურად მომეკიდა ცეცხლი, წყურვილი ზუსტად ისეთივე ძლიერი იყო, როგორც გასულ კვირას, როცა პირველად ვიგრძენი მისი სუნი.

კბილები გავალჩიალე და ვეცადე დავმშვიდებულიყავი.

– დაიწყეთ, – გვიბრძანა მისტერ ბენერმა.

როგორ აღმოჩნდა გოგონას მხარეს უნდა მივბრუნებულიყავი, რომელიც მერხს დაჰყურებდა. როგორც კი თავის კონტროლი დავიბრუნე, რომელსაც ოთხმოცი წლის მანძილზე ვსწავლობდი, გავუღიმე.

– პირველი ქალბატონმა. – გავაგრძელე.

თვალეზ გაფართოებულმა შემომხედა, მისი სახე გაცეცხას გამოხატავდა. ნუთუ სახეზე მჭირდა რამე? რამ შეაშინა? დუმდა.

– თუ არ გინდა, შემოიძლია დავიწყო. – წყნარად ვთქვი.

– არა. – და სახე შეუფარდისფრდა. – დავიწყებ.

მოვიწყინე, მაგიდაზე ძველი მიკროსკოპი და პატარა ყუთი მოვიძიე, სადაც მიკროსკოპისთვის საჭირო პრეპარატები ეყარა. უმჯობესი იყო მათზე გადამეტანა ყურადღება და არ დამენახა როგორ წითლდებოდა. კიდევ ერთხელ სწრაფად ჩავისუნთქე პირით და მისი გემო შევიგრძენი, რამაც ყელში ჩამწვა.

– პრაფაზა – სწრაფად შეამოწმა და თქვა. დარწმუნებულმა თავის პასუხის სისწორეში, პრეპარატის შეცვლა ცადა.

– იმედი მაქვს ძალიან არ გეწყინება, თუ შევამოწმებ. – ინსტიქტურად, თითქოს მეც ადამიანი ვიყავი, ხელი ავწიე რათა შემეჩერებინა და პრეპარატი არ შეეცვალა.

ერთი წამით ჩემი ხელი მის კანს შეეხო. მისმა შეხებამ, თითქოს ელექტრონული იმპულსი გამოიწვია. სასწრაფოდ გაწია ხელი.

– მაპატიე – კბილებს შორის გამოვცერი და სასწრაფოდ ჩავხედე მიკროსკოპს. ის

მართალი იყო.

– პრაფაზა – დავეთანხმე.

ჯერ კიდევ მეტისმეტად აღელვებული ვიყავი, რომ მისთვის შემეხედა. კბილი კბილზე დაჭერილი წყნარად ვსუნთქავდი და ვცდილობდი ყურადღება არ მიმექცია იმ ტკივილისათვის, რასაც ვგრძნობდი. ყურადღება მთლიანად ლაბორატორიულის განკუთვნილ ფურცელზე მქონდა გადატანილი და ნელა ვწერდი შედეგს. შემდეგ პირველი პრეპარატი გამოვცვალე.

რას ფიქრობს? რა იგრძნო, როცა შემეხო? ჩემი ხელი ყინულივით ცივი იყო, რაც შეაცბუნებდა. არაფერი იყო იმაში გასაკვირი, ასე ჩუმად რომ იჯდა.

სწრაფად ჩავხედე პრეპარატს.

– ანაფაზა – ვთქვი და სწრაფად ჩავწერე შედეგი ფურცელზე.

– შეიძლება მეც ვნახო? – მთხოვა.

შევხედე და გაკვირვებული დავრჩი, მელოდებოდა, სანახევროდ მოეკიდებინა ხელი მიკროსკოპისთვის. შეშინებული არ ჩანდა. ნუთუ მართლა ფიქრობს რომ შეიძლება შევცდე?

მის მომლოდინე სახეს შევხედე, გამელიმა და მიკროსკოპი გავუჩოჩე.

მიკროსკოპს ეჭვით ჩახედა და გამომეტყველება უმაღლესი შეეცვალა. ტუჩის კუთხეები დაუშვა.

– მესამე პრეპარატი? – მიკროსკოპისთვის მზერა არ მომიცილებია, ხელი ავწიე და პრეპარატი ხელში ჩავუდე. ამჯერად ვეცადე არ შევხებოდი. მის გვერდით ჯდომა ანთებული ჩირაღდნის გვერდით ჯდომას მაგონებდა. ვგრძნობდი როგორ ვთბებოდი მისგან წამოსული სითბოთი.

დიდი ხანი არ დაკვირვებია პრეპარატს.

– ინტერფაზა – წამოისროლა გულგრილად – ალბათ ცდილობდა ამ ტონით უფრო ძლიერი გამოჩენილიყო, – მიკროსკოპი ახლოს მოვიწიე. ფურცელს არ შეხებია, ალბათ ელოდა როდის ჩავწერდი მის პასუხს. შევამოწმე – ამჯერადაც მართალი

აღმოჩნდა.

დავასრულეთ ჩვენი საქმე, მხოლოდ სიტყვებს ვისროდით, ერთმანეთისთვის არ შეგვიხედავს. პირველებმა დავამთავრეთ ლაბორატორიული – დანარჩენი კლასში მყოფი მოსწავლეები ჯერ კიდევ გულმოდგინედ მუშაობდნენ. როგორც ჩანს, მაიკ ნიუტონს მობილიზებასთან დაკავშირებული პრობლემები ქონდა – მე და ბელას გვათვალთვლებდა.

– იმედი მაქვს არაფერი გამოუვა – გაიფიქრა მაიკმა და დამჟავებული სახით შემომხედა. ჰმმ... საინტერესოა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მას ჩემს მიმართ მტრული დამოკიდებულება გაუჩნდებოდა. ეს ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც გოგონას გამოჩენა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ აბსოლუტურად იგივეს განვიცდიდი.

კიდევ ერთხელ გადავხედე გოგონას, გაშტერებულმა და განადგურებულმა შოკისგან, რადგანაც ცხოვრებას მინგრევდა.

მივხვდი საითაც უმიზნებდა მაიკი. გოგონა ნამდვილად სიმპატიური იყო... თავისებურად. მისი სახე საკმაოდ საინტერესო იყო. ცოტათი ასიმეტრიული – მისი თხელი ნიკაპი, შესაბამისობაში არ მოდიოდა მისსავე ლოყებთან. უკიდურესად განსხვავებული ფერები – მისი კანი და თმები კონტრასტს ქმნიდნენ. თვალები კი საიდუმლოს მალავდნენ.

მოულოდნელად მის თვალებს გადავაწყდი.

– კონტაქტურ ლინზებს ხმარობ? – მკითხა.

რა უცნაური შეკითხვაა.

– არა – განწყობილება გამომიკეთდა და ლამის გამეცინა.

– ო, – ჩაიბუტბუტა – მეგონა სხვა ფერის თვალები გქონდა.

გამაცია, რადგან მივხვდი რომ მარტო მე არ ვცდილობდი დღეს

საიდუმლოებების ამოცნობას.

გახევებულმა მხრები ავიჩიქე და წინ გავიხედე. მასწავლებელი კლასში

დადიოდა.

რა თქმა მას მერე რაც პირველად მნახა უნდა ჩემი თვალები შეიცვალნენ.

დღევანდელი დღისთვის ვემზადებოდი და მთელი კვირა ვნადირობდი.

ვცდილობდი წყურვილის ჩახშობას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა. მთელი

კვირის განმავლობაში ხარბად ვსამდი ცხოველის სისხლს, თუმცა სახის ცვლილება იმ

განსაცვიფრებელი არომატისგან იყო გამოწვეული, რომელიც მის გარშემო

ტრიალებდა. როცა ის პირველად ვნახე, ჩემი თვალები წყურვილისგან იყო

ჩაშავებული. ახლა კი – ჩემი თვალები ღია ოქროსფერი, ქარვისფერი იყო, წყურვილის

ჩახშობის გადამეტებული მცდელობის გამო.

კიდევ ერთი შეცდომა. რომ მცოდნოდა რას გულისხმობდა ამ შეკითხვის მიღმა,

აუცილებლად ვუპასუხებდი "დიახ".

ორი წელია ამ სკოლაში ვსწავლობ და პირველი იყო ვინც ასე ახლოდან

მხედავდა საიმისოდ, რომ ჩემი თვალის ფერის ცვლილება შეემჩნია. ჩვენით

აღფრთოვანებული დანარჩენი მოსწავლეები, თვალის გასწორებას ვერ ბედავდნენ,

როცა ჩვენს მზერას დაიჭერდნენ. გაგვირბოდნენ, ხოლო ჩვენთან დაკავშირებულ

დეტალებს არ იხსენებდნენ.

რატომ ხვდება მაინცადამაინც ეს გოგო ყველაფერს?

მისტერ ბენერი ჩვენს მერხს მოუახლოვდა და მაღლიერმა სასწრაფოდ

ჩავისუნთქე მისი მოტანილი სუფთა ჰაერი, ვიდრე გოგონას სუნს შეერეოდა.

– მოკლედ, ედვარდ – ჩამეკითხა, როცა ჩვენს პასუხებს დახედა – არ გიფიქრია

რომ იზაბელასთვისაც მიგეცა შანსი რათა მიკროსკოპთან ემუშავა?

– ბელას – შევუსწორე ინსტიქტურად. – მან ხუთიდან სამი ფაზა გამოიცნო.

მისტერ ბენერის აზრები სკეპტიკურად იყო განწყობილი, როცა მზერა გოგონაზე

გადაიტანა.

– შენ გაგიკეთებია ეს ლაბორატორიული?

ვუყურებდი, როცა ოდნავ გაიღიმა შეცბუნებულმა უპასუხა:

– ხახვის ფესვზე – არა.

– თევზის ემბრიონზე? – ჩაეკითხა მესტერ ბენერი.

– დიახ.

გაკვირვებული დარჩა. დღევანდელი ლაბორატორიული, ახალი კურსიდან იყო აღებული. გაცემით გადააქნია თავი.

– ფენიქსში გადიოდით ამ პროგრამით?

– დიახ.

გოგონა მხრებში გაიმართა – ადამიანისთვის დამახასიათებელია. ამას არ გავუკვირვებივარ.

– კარგია, – წარმოთქვა მისტერ ბენერმა და ტუჩები დაეჭიმა – კარგია რომ ეს ლაბორატორიული ერთად შეარულეთ.

შეტრიალდა და დაგვშორდა, თან თავისთვის ბუტბუტებდა:

– ასე დანარჩენ მოსწავლეებს შეეძლებათ რაიმე ახალი ისწავლონ.

ვიმედოვნებდი, რომ გოგონამ ეს ყველაფერი გაიგონა. მან კი ისევ დაიწყო ფურცელზე ფიგურების ხატვა.

ორი შეცდომა ნახევარ საათში, ეს ჩემთვის საშინელი მაჩვენებელი იყო. თუმცა მე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ გოგონა ჩემზე ფიქრობდა. რამდენადაც ძლიერად ეშინოდა ჩემი, იმდენად ძლიერად არ მენდობოდა – ვიცოდი, რომ კიდევ ერთხელ უნდა მეცადა, რათა ჩემს მიმართ დამოკიდებულება შეცვლოდა. როგორმე ჩვენი ბოლო შეხვედრა უნდა დამევიწყებინა.

– თოვს, საშინელებაა – ვთქვი. მოსაწყენი და ბანალური თემა სალაპარაკოდ.

მხსნელი – ამინდი.

შემომხედა, მის თვალეში აშკარა უნდობლობა ჩანდა, რაც საკმაოდ

არანორმალური რეაქცია იყო ასეთ ჩვეულებრივ სიტყვებზე, რომელიც მე ვთქვი.

– არც ისე – მიპასუხა და კიდევ ერთხელ გამაკვირვა.

ვეცადე ლაპარაკი ისევ ბანალურ ჩარჩოებში მომექცია. ის ხომ ბევრად მზიან და

თბილ ადგილას ცხოვრობდა. ეს ძალიან მცირედ მის სახეზეც აისახებოდა. ხოლო სიცივე მასზე ცუდად მოქმედებდა. ჩემი ყინულივით ცივი შეხება ნამდვილად....

– სიცივე არ მოგწონს. – გამოვიცანი.

– არც ნესტი. – დამიდასტურა.

– ალბათ ადვილი არაა შენთვის ფორკსში ცხოვრება. – იქნება და არ ღირდა შენი აქ საცხოვრებლად გადმოსვლა. – მინდოდა დამემატებინა. იქნებ უკეთესი იყოს, თუ იქ დაბრუნდები, საიდანაც ჩამოხვედი.

არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს მინდოდა. ყოველთვის მეხსომება მისი სისხლის სუნი – ნუთუ არსებობს რამე გარანტია, რომ საბოლოოდ მას არ გავყვები? ამას გარდა, თუ ის წავა, მისი გონება სამუდამოდ გამოცანად დარჩება ჩემთვის. სამუდამო თავსატეხად.

– ვერც კი წარმოიდგენ როგორ. – ჩურჩულით მითხრა და ერთი წამით შემომხედა გულმოსულმა.

მისი პასუხები არასოდეს ემთხვეოდა იმას, რის მოსმენასაც მისგან ველოდი.

მათი გაგების მერე და ახალი კითხვის დასმის სურვილს მიჩენდა.

– მაშინ რატომ ჩამოხვედი? – მოვითხოვე პასუხი და მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ტონი ბრალმდებლისას გავდა, რაც უბრალო ლაპარაკისთვის არ გამოდგებოდა. კითხვა უხეშად და ზედმეტი ცნობისმოყვარეობით ჟღერდა.

– ეს... რთული ასახსნელია.

თავისი დიდი თვალეხი დაახამხამა, და გაჩერდა. ცნობისმოყვარეობას ისეთივე ძალით ვყავდი შეპყრობილი, როგორც წყურვილს. რაც არ უნდა უცნაური იყოს, ჩვენი ლაპარაკისას მივხვდი, რომ ყველაფერი ადვილი გახდა, ტკივილი – ასატანი.

– ვფიქრობ, შემძლია გავიგო. – დავაძალე. შესაძლოა ზრდილობის გამო გაეცა პასუხი, ასეთი მკაცრი ტონით რომ არ მომეთხოვა პასუხი.

ჩუმად დაჰყურებდა თავის ხელეხს. ეს ჩემთვის აუტანელი გახდა – სურვილი გამიჩნდა ნიკაში მომეკიდა ხელი მისთვის და ისე შემომეტრიალებინა, რომ მის

თვალეზში ამომეკითხა პასუხი. მაგრამ ეს ჩემი მხრიდან გაუმართლებელი საქციელი იქნებოდა – კიდევ ერთხელ შევხებოდი მას.

და აი თვალეზი აწია. დავმშვიდდი, როცა დავინახე, რომ ისევ შემემძლო ემოციების წაკითხვა მის თვალეზში. სწრაფად ჩაილაპარაკა:

– დედა მეორედ გათხოვდა.

ეს კი საკმაოდ ადამიანური იყო, ადვილად გასაგები. მის ალალ თვალეზში დარდი ჩამდგარიყო, რის გამოც შუმლზე ნაკეცი გამოუჩნდა.

– არც ისე რთული ყოფილა – ჩემი ხმა უკიდურესად ზრდილობიანი გახდა, სიყალბე არ იყო. მისი დარდის წინაშე თავი უცნაურად უძლურად ვიგრძენი. მინდოდა ისეთი რამე გამეკეთებინა, რაც კარგად გახდიდა. უჩვეულო გრძნობა.

– ეს როდის მოხდა?

– გასულ სექტემბერს.

მძიმედ ამოისუნთქა და როგორც კი მისი თბილი ამოსუნთქვა სახეზე შემეხო, მაშინვე სუნთქვა შევწყვიტე.

– შენ კი ის არ მოგწონს. – გამოვიცანი. ვცდილობდი მეტი ინფრომაცია მიმეღო.

– არა, ფილი კარგი ადამიანია – შემისწორა ჩემი ვარაუდი. ახლა მისი ტუჩის კუთხეებში ღიმილი შეინიშნებოდა. – შეიძლება ცოტა ახალგაზრდაა, მაგრამ ძალიან საყვარელია.

ეს ყველაფერი იმ სცენარს არ შეესაბამებოდა, რომელიც გონებაში დავხატე.

– რატომ არ დარჩი მათთან? – ვიკითხე და ჩემს ხმაში ოდნავ იგრძნობოდა ცნობისმოყვარეობა.

– ფილი ბევრს მოგზაურობს. ის ბეისბოლს თამაშობს – მსუბუქი ღიმილი, ბოლო სიტყვებზე უფრო შესამჩნევი გახდა – მსგავსი პროფესიის არჩევანი მას ართობდა.

მეც შეუმჩნეველად ჩავიღიმე. არ ვცდილობდი ამით მისთვის სტიმული მიმეცა.

სინამდვილეში, მისი ღიმილის გამო, მომინდა მეც გაღიმება.

– გამიგია მის შესახებ? – ვიკითხე და გონებაში იმ ბეისბოლისტების სიას

გადავავლე თვალი ვინც ვიცოდი, ვიმედოვნებდი ფილი მათ შორის აღმოჩნდებოდა.

– დარწმუნებული ვარ არა, ის არც თუ ისე კარგი მოთამაშეა – მორიგი ღიმილი –
მეორე ლიგაშია და ხშირად იცვლის გუნდს.

მაშინვე შევწყვიტე სიის გადახედვა. თვალწინ ახალი სცენარი წარმომიდგა.

– დედაშენმა კი აქ იმიტომ გამოგგზავნა, რომ მასთან ერთად იმოგზაუროს. –
ვთქვი.

აღმოჩნდა რომ ინიციატივის საკუთარ თავზე აღებით ბევრად მეტის გაგებას
შევძლებდი, ვიდრე უბრალოდ კითხვის დასმით. ასეც აღმოჩნდა. ნიკაპი წინ გამოწია
და სახე შეუვალი გაიხდა.

– არა, მას არ გამოგუგზავნივარ აქ. – მითხრა, მისი ხმა ახლებურად, მკაფიოდ
ჟღერდა. როგორც ჩანს ჩემმა ვარაუდმა გული ატკინა, თუმცა ვერ მივხვდი რა მხრივ.

– მე თვითონ წამოვედი.

ვერ ვხვდებოდი რას გულისხმობდა და დაბნეულად ვგრძნობდი თავს.

დავხვდები. საქმე მარტო გოგონას შეცნობაში არ იყო. ის სხვებს არ გავდა.

შესაძლებელია მისი აზრების სიჩუმე და არომატი, არ იყო ერთადერთი
განმასხვავებელი ნიშანი.

– ვერ ვხვდები. – გამოვტყედი, და ძლიერ წყენას ვგრძნობდი დამარცხების გამო.

ამოისუნთქა, თვალებში შემომხედა და დიდ ხანს მიყურა, იმაზე დიდ ხანს,
ვიდრე ამას სხვა ადამიანი გაუძლებდა.

– თავიდა ის ჩემთან რჩებოდა, მაგრამ ფილი ენატრებოდა. – მიხსნიდა ნელა. მის

ტონი ნელნელა მოწყენილი ხდებოდა. – ეს კი მას გულს ტკენდა. სწორედ მაშინ

გადავწყვიტე, რომ დრო იყო ჩარლისთან წამოვსულიყავი.

თვალებს შორის არსებული ნაკეცი გაღრმავდა.

– ახლა კი, შენ გრძნობ თავს უბედურად. – ჩავილაპარაკე.

არ შემეძლო ჩემი აზრები ხმამაღლა არ გადმომეცა, ვიმედოვნებდი მის

რეაქციებს გავიგებდი. მხოლოდ ესაა, როგორც არ უნდა ყოფილიყო, არც თუ ძალიან

შორს ვიყავი სიმართლისგან.

– რა მოხდა მერე? – თქვა მან, თითქოს ამ მდგომარეობას არავითარ

მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

თვალეში ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ როგორღაც მოვახერხე მისი სულის გაღვების დაჭერა, ამ სიტყვებით მივხვდი, რომ სხვა ადამიანებისგან განსხვავებით, საკუთარ პრიორიტეტებს მეორე პლანზე აყენებდა.

მარტოსული იყო.

როცა მისი ეს საიდუმლო შევეიტყვე, რომელიც ძალიან ღრმად იყო დამალული მის ცნობიერებაში, ნელნელა დავწყნარდი.

– ეს არაა სამართლიანი. – ვთქვი და მხრები ავიჩიჩე, ვცდილობდი როგორმე დამემალა თუ რამდენად ვიყავი დაინტერესებული.

გაციინა, მაგრამ სიცილში მხიარულება არ ჩანდა.

– შენთვის არავის უთქვამს? ცხოვრება უსამართლოა.

მის სიტყვებზე გაციინება მომინდა, თუმცა თავს მხიარულებას ვერ ვატყობდი.

რადაც ნამდვილად ვიცოდი ცხოვრების უსამართლობაზე.

– მგონი, მომისმენია რადაც ამის მსგავსი.

შეცბუნებულმა შემომხედა. მისმა მხერამ მიმართულება შეიცვალა, მაგრამ ბოლოს ისევ ჩემთან დაბრუნდა.

– ისტორია დასრულდა. – მითხრა მან.

მაგრამ მე არ ვიყავი მზად ლაპარაკი დამემთავრებინა. პატარა “V” მის თვალეში შორის, სევდაზე მიუთითებდა, რაც ძალიან მაწუხებდა. სურვილი გამიჩნდა ხელით შევხებოდი და თითის წვერებით გამესწორებინა, მაგრამ მე მასთან მიახლოება არ შემეძლო და ამის უამრავი მიზეზი არსებობდა.

– კარგად გიჭირავს თავი. – რბილად ვთქვი, თუმცა მეორე წინადადებაზე ვფიქრობდი – მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმაზე მეტად დარდობ, ვიდრე ამჟღავნებ.

სახე შეეცვალა, თვალეები დაუწვრილდა და პირი მოკუნა. შეტრიალდა და

პირდაპირ გაიხედა. არ მოეწონა, რომ ჩემი ნათქვამი სწორი აღმოჩნდა. ის მიჩვეული არ იყო წუწუნს – არ სურდა თავის ტკივილზე ლაპარაკი.

– მართალი ვარ?

მსუბუქად შეხტა, მაგრამ თავი მომაჩვენა, თითქოს ვერაფერი გაიგო.

ამან ჩემში ღიმილი გამოიწვია.

– ასე მგონია.

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? – გაბრაზდა.

– ძალიან კარგი შეკითხვაა. – უფრო საკუთარ თავს ვუთხარი, ვიდრე მას.

ჩამჭრელი შეკითხვა დამისვა. მაშინ, როცა ის ყველაფერს ხვდებოდა. მისი

ადამიანური ცხოვრების უბრალოდ დეტალები ჩემთვის უმნიშვნელო იყო. ჩემი მხრიდან არასწორი იყო იმის მცდელობა რომ გამეგო რაზე ფიქრობდა. ყველა აზრი, რომელიც ჩემს ოჯახს საფრთხეს არ უქმნიდა, არც ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი.

გოგონამ გაბრაზებულმა ამოისუნთქა და ჰაერში ყურება განაგრძო. მისი სახეის

გაბრაზებული გამომეტყველება მართობდა. საერთოდ სიტუაცია და მთლიანი

საუბარიც თავშესაქცევი იყო. არავის დამუქრებია ასეთი საფრთხე ჩემგან, როგორც ამ

გოგოს – ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა ცხვირით შემესუნთქა და ვერ მომესწრო დამშვიდება. ის კი იმაზე იყო გაღიზიანებული, რომ მის კითხვას არ ვუპასუხე.

– გაღიზიანებ? – ვკითხე ღიმილით, ამ სიტუაციის აბსურდულობამ

გამამხიარულა.

სწრაფად შემომხედა, შემდეგ კი მომეჩვენა რომ მისი თვალები ჩემი მზერის ტყვე შეიქმნა.

– სულაც არა. – მიპასუხა – უკვე აღარ ვბრაზობ, უბრალოდ ჩემს სახეზე იმდენად ადვილია ყველაფრის წაკითხვა, დედა ყოველთვის მეუბნებოდა რომ გადაშლილ წიგნს ვგავარ.

გაბრაზებულს სახე შეეჭმუნა.

გაოცებული ვუყურებდი. მიზეზი, რის გამოც ბრაზდებოდა, იყო ის, რომ ეგონა

მის აზრებს ვკითხულობდი. რა უცნაურია. არასოდეს დამიხარჯავს ამდენი ძალა, მთელი ცხოვრების მანძილზე ვინმესთვის გამეგო. უფრო სწორად, ჩემი არსებობის მანძილზე, ჩემს არსებობას, ნამდვილად ვერ დავარქმევდი ცხოვრებას.

– პირიქით, – არ დავეთანხმე, უცნაურ გრძნობას განვიცდიდი... ხიფათს

შევიგრძნობდი – ვფიქრობ, რომ საკმაოდ რთულია შენი წაკითხვა.

– მაშინ, გამოდის, რომ ეს საქმე კარგად გეხერხება. – მითხრა და ამჯერადაც ზუსტად გამოიცნო.

– საერთოდ, კი. – დავეთანხმე.

ფართოდ გავუღიძმე, გამოვაჩინე ჩემი თანაბარი და ბასრი კბილები.

სისულელე იყო, მაგრამ ძალიან მომინდა რამენაირად გოგონა

გამეფრთხილებინა. ლაპარაკს გაუთვითცნობიერებლად მოიწია ჩემსკენ და მისი

სხეული ბევრად ახლოს აღმოჩნდა ვიდრე აქამდე. ყველა ის ნიშანი და მოქმედება,

რომელსაც უნდა შეეშინებინა, როგორც ჩანს, მასზე არ მოქმედებდა. რატომ არ ეშინია

ჩემი? მან დაინახა ჩემი ბნელი მხარეც, ინტუიციით უნდა მიმხვდარიყო რომ

საფრთხე ემუქრებოდა.

ვერ მოვასწარი ჩემი მოქმედების შედეგის ნახვა, რადგან მისტერ ბენერმა კლასს

ყურადღებისკენ მოუწოდა და ისიც შებრუნდა. მომეჩვენა რომ თავისუფლად იგრძნო

თავი, როცა ლაპარაკი შეგვაწყვეტინეს – შესაძლებელია, რომ ყველაფერს მიხვდა.

ვიმედოვნებდი.

მის მიმართ სიმპატიას ვგრძნობდი, რომელიც ნელნელა იზრდებოდა ჩემს

შიგნით, სწორედ მაშინ, როცა ვცდილობდი ამის შეჩერებას. არ შემეძლო იმის დაშვება

რომ ბელა სვონით დავინტერესებულიყავი. მაგრამ მე უკვე მასთან საუბრის

გაგრძელებაზე ვოცნებობდი... მინდოდა გამეგო დედამისის, მისი ცხოვრების შესახებ

სანამ აქ გადმოვიდოდა, მამასთან დამოკიდებულება. ყველა წვრილმანი, რაც მისი

ხასიათის ამოცნობაში დამეხმარებოდა. მაგრამ თითოეული წამი, რასაც მასთან

ერთად ვატარებდი შეცდომა იყო, შეცდომა, რომელიც მის სიცოცხლეს საფრთხის

ქვეშ აყენებდა.

სწორედ მაშინ, როცა ამოსუნთქვას ვაპირებდი, თავისი გრძელი თმები უკან გადაიყარა. მისი სურნელის ტალღამ გამეტებით დამარტყა ყელში.

ეს ისეთივე ძლიერი შეგრძნება იყო, როგორც პირველ დღეს. მშრალი

ტკივილისგან თავბრუ მეხვეოდა: მაგიდას უნდა მოვკიდო, ხელი, რომ როგორმე გავუძლო. ამჯერად გამიადვილდა თავის შეკავება. ბოლო–ბოლო არაფერი

დამიმტვრევია. ჩემს შიგნით არსებული მონსტრი ღრიალებდა, მაგრამ ვერაფერ სიამოვნებას ვერ მიიღებდა, ძლიერად იყო დაბმული.

საერთოდ შევწყვიტე სუნთქვა და რამდენადაც შესაძლებელი იყო, შორს გავიწიე გოგონასგან. რამდენადაც მეტად ვინტერესდებოდი, იმდენად მეტად მეჩვენებოდა რომ მას მოვკლავდი. მე უკვე ორი შეცდომა დავუშვი დღეს. დავუშვებ კი მესამეს?

კაბინეტიდან მაშინვე გავიქეცი, როგორც კი ზარი დაირეკა. სუფთა ჰაერი

ჩავისუნთქე და ვცდილობდი რამდენადაც შესაძლებელი იყო, სწრაფად

მოვშორებოდი გოგონას. ემეტი ესპანურის კაბინეტის კართან მელოდა. წამიერად შეისწავლა ჩემი სახის გამომეტყველება.

– როგორ ჩაიარა ყველაფერმა? – ფრთხილად დაინტერესდა.

– არავინ მომკვდარა. – ჩავიჩურჩულე.

– იმედი მქონდა არაფერი მოხდებოდა, მაგრამ როცა დავინახე ელისი როგორ

გაიქცა, ვიფიქრე...

როგორც კი კაბინეტში შევედი, მაშინვე დავინახე მისი მოგონებები, თუ რა

მოხდა რამდენიმე წამის წინ. დავინახე, მისი კაბინეტის გაღებული კარიდან, როგორ

მიდიოდა გაფითრებული სახით ელისი დერეფნის ბოლოსკენ. მის მოგონებებში

დავინახე რომ უნდოდა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, რადგან

ელისმა არაფერი თქვა, ე.ი მისი ჩარევის საჭიროება არ არსებობდა....

როგორც კი სკამზე ჩავჯექი, გაღიზიანებულმა თვალები დავხუჭე.

– ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე ახლოს ვიყავი ამასთან. ვფიქრობ რომ არ

ვაპირებდი... არ მეგონა ყველაფერი თუ ასე ცუდად იყო. – ჩავილაპარაკე.

– ასეც არის – მარწმუნებდა ემეტი. – არავინ მომკვდარა.

– ნამდვილად. – კბილებში გამოვცერი. – ამჯერად.

– იქნებ ახლა ყველაფერი გაგიადვილდეს?

– ზუსტად.

– მაგრამ თუ შენ მას მოკლავ, არავინ არ გაგკიცხავს ამისთვის, ხანდახან

ადამიანებს ზედმეტად კარგი სურნელი აქვთ. – მხრები აიჩეჩა.

– ეს არაფერს ცვლის ემეტ.

ცუდად ვიგრძენი თავი, რადგან გოგონას მკვლელობას ამართლებდა, თითქოს ეს

აუცილებელი იყო. ნუთუ ის დამნაშავე იყო, რადგან კარგი სუნი ქონდა?

– მე ვიცი. როცა იგივე მეც შემემთხვა.... – იხსენებდა და მას ფიქრებში ნახევარი

საუკუნის წინანდელ სოფლის პატარა ქუჩა დავინახე, სადაც საშუალო ასაკის ქალი,

ვაშლის ხეებს შორის გაბმული თოკიდან, თეთრეულს ხსნიდა. ჰაერში ვაშლის

ძლიერი სუნი ტრიალებდა. მოსავალი შეგროვებულიყო, ხოლო გამოუყენებელი

ნაყოფი მიწაზე იყო მიმოხეული. ამ სურნელის უკან ფონზე ახალი თივის ზვინები

მოჩანდა, ყველაფერი ჰარმონიულად იყო. ის ბილიკს მიუყვებოდა – როზალიმ

დართო ნება – როცა ქალი შენიშნა. დასავლეთით ცა, ჩამავალი მზისგან

ფორთოხლისფერი გამხდარიყო. არანაირი მიზეზი არსებობდა საიმისოდ, რომ ეს

საღამო დამახსოვრებოდა, მოულოდნელ ამოვარდნილ საღამოს ქარს თეთრი

ზეწრები, რომ არ აეფრიალებინა და ქალის სუნი არ მიეტანა ემეტთან.

– ოჰ – ჩუმად ამოვიკვნესე, თითქოს საკუთარი წყურვილი არ მყოფნიდა.

– ვიცი. ნახევარი წამიც ვერ მოვითმინე, არც კი დავფიქრებულვარ, რომ

წინააღმდეგობა გამეწია სურვილისთვის.

მისი მოგონებები ზედმეტად გულახდილი აღმოჩნდა საიმისოდ რომ ამისთვის

გამეძლო.

ფეხზე წამოვხტი, ისეთი სიძლიერით ვუჭერდი კბილებს ერთმანეთს,

ფოლადსაც დავამტვრევდი.

– Esta bien, Edward? – შემეკითხა მისის გოფი, გაკვირვებული ჩემი მოულოდნელი მოქმედებით. მისი ფიქრებში ჩემი სახე დავინახე.

– Me perdona. – ჩავილაპარაკე და ოთახიდან გავვარდი.

– Emmett – por favor, puedes tu ayuda a tu hermano – თხოვა მან, როგორც კი კაბინეტიდან გამოვედი.

– რა თქმა უნდა. – გავიგონე პასუხი. და უცებ ჩემს გვერდით გაჩნდა.

შენობის ბოლომდე მდია, ბოლოს კი მომატრიალა და მხარზე ხელი დამადო.

ისეთი ძალით მოვიშორე, რომ ადამიანს ხელის ყველა ძვალი მოტყდებოდა.

– მაპატიე ედვარდ.

– ვიცი. – ღრმად ჩავისუნთქე, ვეცადე გონება და ფილტვები

გამენთავისუფლებინა.

– ყველაფერი ასე ცუდაა? – მკითხა და ცდილობდა სუნზე და გემოზე არ

ეფიქრა, რაც კარგად არ გამოსდიოდა.

– უარესად ემეტ, უარესად.

წამით გაჩუმდა.

– იქნებ...

– არა, მე თუ ასე დავამთავრებ, უკეთესობა არ იქნება. დაბრუნდი კლასში ემეტ,

მარტო მიინდა ყოფნა.

შებრუნდა და სიტყვის უთქმელად გამშორდა. ესპანურის მასწავლებელს

ეტყოდა, რომ ცუდად გავხდი, ან გავიქეცი, ან სახიფათო და უმართავი ვამპირი

ვიყავი. მის გამართლებას რა მნიშვნელობა ქონდა? შესაძლებელია არ

დავბრუნებულიყავი, იქნებ წავსულიყავი.

მანქანისკენ წავედი, რომ იქ დავლოდებოდი დღის დასასრულს. ისევ

ვიმალებოდი.

დრო მჭირდებოდა გასაწყვეტილების მისაღებად, ან იმისთვის, რომ ჩემი

განზრახვები სისრულეში მოყვანა მეცადა, მაგრამ, როგორც ნარკომანი, ვიქექებოდი ფიქრთა კორიანტელში, რომელიც სკოლიდან გამოდიოდა. ნაცნობი ხმები უფრო მკვეთრი იყო, თუმცა ელისის ხილვებისა და როზალის წუწუნის მოსმენით ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული. ადვილად ვიპოვე ჯესიკა, მაგრამ გოგონა მასთან არ იყო, ამიტომ ძებნა გავაგრძელე. მაიკ ნიუტონის ფიქრებმა ჩემი ყურადღება მიიქციეს და მე საბოლოოდ აღმოვაჩინე იგი მასთან ერთად ფიზკულტურის დარბაზში. ბიჭი დაბნეული იყო იმის გამო, რომ მე გოგოს ბიოლოგიაზე გამოველაპარაკე. როდესაც საუბარი დაიწყეს, მაიკი მის რეაქციას აკვირდებოდა:

– არასდროს მინახავს იგი ვინმეს გამოლაპარაკებოდა არც აქ, არც სადმე სხვაგან. რა თქმა უნდა, ის დაინტერესდება ბელათი. არ მომწონს, როდესაც მას უყურებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ბელას ის არ აღელვებს. რა თქვა? – “არ მესმის, რა სჭირდა გასულ ორშაბათს?”, რაღაც ამის მსგავსი. რაღაც ისე არ ჟღერდა, თითქოს რაიმე მნიშვნელობას ანიჭებდეს ამ ამბავს. ეს ჩვეულებრივი საუბარია და მეტი არაფერი... ის ამ ყველაფერს საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ უგუნებოდ არ შექმნილიყო და თავს იმ იდეით იმშვიდებდა, რომ ბელა ჩვენი საუბრით არ იყო დაინტერესებული. ამან იმაზე მეტად გამაცოფა, ვიდრე საჭირო იყო და მოსმენა შევწყვიტე.

სტერეოში აგრესიული მუსიკით სავსე დისკი მოვათავსე და ისე ხმამაღლა ავუწიე, რომ შემძლებოდა სხვა დანარჩენი ხმების ჩახშობა. ძლივს მოვახდინე მუსიკაზე კონცენტრირება, რომ კვლავ არ გადავრთულიყავი მაიკ ნიუტონის ფიქრებზე და თვალი მედევენებინა გოგონაზე, რომელსაც ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა.

გაკვეთილის მსვლელობის განმავლობაში რამდენიმეჯერ თავი მოვიტყუე. არანაირი დევნა. ვცდილობდი თავი დამერწმუნებინა. უბრალოდ ვემზადებოდი. მესაჭიროებოდა იმის ცოდნა, როდის წამოვიდოდა ის ფიზკულტურიდან, როდის იქნებოდა ავტოსადგომზე. არ მინდოდა, რომ მოულოდნელად დამდგომოდა თავს. როდესაც მოსწავლეებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს სპორტდარბაზიდან

გამოსვლა, შეუგნებლად მანქანიდან გადმოვედი. ყურადღება არ მიმიქცევია იმისთვის, რომ წვიმა სვრიდა და თმები დამისველდა.

მინდოდა თუ არა, რომ მას შევემჩნეო? მქონდა თუ არა იმედი, რომ მოვიდოდა და გამომელაპარაკებოდა? რას ვაკეთებდი?

არ გავნძრეულვარ, თუმცა ცვდილობდი თავი მეიძულებინა და მანქანაში ჩავმჯდარიყავი. ვიცოდი, რომ ჩემი ქცევა გაკიცხვის ღირსი იყო. ხელები მკერდთან გადავიწყვე და სუნთქვა შევანელე, როდესაც დავინახე, ჩემსკენ ნელი ნაბიჯით მომავალს, როგორ დაეწია ტუჩის კუთხეები. ის არ მიყურებდა. რამდენიმეჯერ მოიღუშა და ღრუბლებს ახედა, თითქოს ისინი აღიზიანებდნენ მას.

იმედგაცრუებული ვიყავი, როდესაც თავის მანქანასთან მივიდა იმის მაგივრად, რომ ჩემსკენ წამოსულიყო. დამელაპარაკება? დაველაპარაკები?

ის წითელი ფერის გახუნებულ პიკაპში ჩაჯდა, დაჟანგულ საშინელებაში, რომელიც მამამისზე დიდი იყო. ვხედავდი, როგორ ჩართო ძველი ძრავა, რომელმაც ყველა დანარჩენ, იქვე მდგარ მანქანაზე ხმამაღლა დაიღმუვლა და შემდეგ ღუმელზე ხელების გათბობა დაიწყო. სიცივე არ სიამოვნებდა, არ უყვარდა. ხშირ თმებში ხელები შეიცურა და კულულების გასწორება დაიწყო ცხელი ჰაერის მიმართულებით, თითქოს მათ გაშრობას ცდილობდა. წარმოვიდგინე, როგორ არომატი იდგა მის მანქანაში, მაგრამ ეს ფიქრები მალევე უკუვავადე.

მან მიმოიხედა, სანამ მანქანას დაძრავდა და როგორც იქნა, ჩემსკენაც გამოიხედა. მისი შემოხედვა რამდენიმე წამი გაგრძელდა და ყველაფერი, რისი წაკითხვაც მის თვალეში მოვახერხე, იყო გაკვირვება, რის შემდეგაც მან ნაჩქარევად მომაშორა თვალი და უხეშად დააჭირა ფეხი სატერფულს. შემდეგ ღრჭიალით გააჩერა მანქანა, რომლის უკანა მხარე რამდენიმე დუიმიტ გადარჩა ერინ ტიგის მანქანასთან შეჯახებას.

მან უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა, იმედგაცრუებისგან პირი გააღო. როდესაც სხვა მანქანამ ჩაუარა, რამდენჯერმე გადაამოწმა ყველაფერი და შემდეგ ნელა

გამოვიდა სადგომიდან ისე ფრთხილად, რომ ჩამელიმა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ის თვლიდა, რომ თავისი ძველი მანქანით საფრთხეს ქმნიდა. იმის გაფიქრებამ, რომ ბელა გარშემომყოფთათვის საშიში იყო იმის მიუხედავად, რის საჭესთან იჯდა, მაიძულა მეცინა იქამდე, სანამ არ ჩამიარა.

3 თავი

ფენომენი

მიუხედავად იმისა, რომ წყურვილი არ მაწუხებდა, სიფრთხილის გამო გადავწყვიტე სანადიროდ წავსულიყავი.

კარლაილიც ჩემთან ერთად წამოვიდა. მას მერე რაც დენალიდან დავბრუნდი, განმარტოებით დალაპარაკების შანსი არ მქონია. დაბურულ ტყეში გავრბოდით. გავიგონე, როგორ ფიქრობდა ჩემს მაშინდელ სასწრაფოდ გამომშვიდობებაზე. მის ფიქრებში ვხედავდი ჩემს სასოწარკვეთილ სახეს, ვგრძნობდი მის გაოცებას და ნერვიულობას.

– ედვარდ?

– მე უნდა წავიდე კარლაილ, ახლავე.

– რამე მოხდა?

– არაფერი, მაგრამ თუ დავრჩები აუცილებლად მოხდება,.

ხელზე შემეხო. ვიგრძენი რომ ტკივილი მივაყენე, როცა მოვიშორე.

– ვერ ვხვდები.

– როდესმე გქონია... როდესმე ასეთი რამ შეგმთხვევია....

ჩემს თვალებში ველურად ანთებული ცეცხლი შენიშნა და შეშფოთდა.

– როდესმე მომხდარა, რომ რომელიმე ადამიანი ყველასგან გამორჩეული ყოფილიყო თავისი სუნით? მხოლოდ შენთვის.

– ოჰ...

როცა მივხვდი, რომ არაჩვეულებრივად გამიგო, შემრცხვა. არაფრად ჩააგდო როცა მისი თავიდან მოშორება ვცადე და მხარზე შემეხო.

– გააკეთე რაც საჭიროა, რათა ცდუნებას არ აჰყვე. მომენატრები. ჩემი მანქანა წაიყვანე, სწრაფია.

ახლა კი ის თავის გადაწყვეტილების სისწორეზე ფიქრობდა, მოიქცა თუ არა კარგად, როცა წასვლის საშუალება მომცა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, ხომ არ გამანაწყენა მისმა ასეთმა უნდობლობამ.

– არა, – ჩავილაპარაკე სირბილისას – მე, რომ აქ დავრჩენილიყავი, მაშინ შენს ნდობას ადვილად ვუღალატებდი.

– ძალიან ვწუხვარ ედვარდ, რომ ასე იტანჯები, მაგრამ შენ ყველაფერი უნდა გააკეთო საიმისოდ, რომ შეფი სვონის გოგონამ იცოცხლოს. მაშინაც კი, თუ ამის გამო ისევ მოგიწევს გამგზავრება.

– ვიცი, ვიცი.

– რატომ დაბრუნდი? მე ბედნიერი ვარ, როცა ჩემს გვერდით ხარ, მაგრამ თუ ეს ასეთი რთულია შენთვის...

– არ მომწონს, როცა ლაჩრულად ვიქცევი. – გამოვტყდი.

სირბილი შევანელეთ.

– ეს უკეთესია, ვიდრე მისი საფრთხეში ჩაგდება. ის ერთ ან ორ წელიწადში აქედან წავა.

– შენ მართალი ხარ, ვიცი... – მაგრამ მისმა სიტყვებმა პირიქით გამიმძაფრეს აქ დარჩენის სურვილი. გოგონა აქედან წავა....

კარლაილი შეჩერდა და მეც მის გვერდით გავჩერდი. ის შემობრუნდა რათა ჩემი სახის გამომეტყველება დაენახა.

– შენ არ აპირებ წასვლას. ასეა?

დავეთანხმე.

– ეს სიამაყეა, ედვარდ? ამის არ უნდა გრცხვენოდეს....

– არა, სიამაყე არ მაჩერებს. ამჯერად.

– წასასვლელი არ გაქვს?

ჩავიცინე.

– ეს ვერ აშემაჩერებდა, თუ საკუთარ თავს ვაიძულებდი აქედან წასვლას.

– თუ ეს შენ გჭირდება, ჩვენც შენთან ერთად წამოვალთ. ყოველგვარი

პრეტენზიების გარეშე, ყოველ შემთხვევაში უმეტესობა ჩვენგანი. მხოლოდ გვთხოვე.

არავის ეწყინება.

წარბი ავწიე.

გაიცინა.

– ჰო. – დავეთანხმე, ხმაში ხრინწი შემერია.

– მაგრამ არ წახვალ?

შევცბი.

– ასეა საჭირო.

– რა გაკავებს აქ ედვარდ? ვერ ვხვდები.

– არც კი ვიცი, საკუთარი თავისთვისაც ვერ ამიხსნია, მაგრამ რა მნიშვნელობა

აქვს.

დიდხანს მაკვირდებოდა სახეზე.

– არა, მაინც ვერ გამიგია, მაგრამ შეგიძლია საიდუმლო გამანდო, თუ გენდომება.

– გმადლობთ. ეს დიდსულოვნებაა შენი მხრიდან, მითუმეტეს მაშინ, რომ არავის

შეუძლია ჩემგან საიდუმლოს დამალვა. – ერთის გამოკლებით, თუმცა ყველანაირად

ვცდილობდი მისთვის ამის წართმევას.

– ყველა ჩვენთაგანს, ჩვენი ახირებები გვაქვს. – გაიცინა – ასე არაა?

სწორედ მან იგრძნო მოახლოებული ირმების ჯოგის სუნი. რთული იყო მეტი

ენტუზიაზმის გამოჩენა. იმიტომ რომ სუნი, არც თუ სასიამოვნო იყო. სწორედ ამ წამს,

გოგონას სურნელმა ჩემი გონება მოიცვა, და ვიგრძენი მუცელმა როგორ

არასასიამოვნოდ შემახსენა თავი.

შევუსუნთქე.

– ვინადიროთ. – დავეთანხმე, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ეს სისხლი,

რომელიც მელოდა, ნამდვილად ვერ დამეხმარებოდა.

ორივე გადავხტით. ვეცადე ამ არამიმზიდველ სუნს მივეზიდე.

საგრძნობლად აცივებულიყო, როცა სახლში დავბრუნდით. ცოტა ხნის წინ გამდნარი თოვლი, ისევ გაყინულიყო და შუშასავით გადაკვროდა მიწას. თითოეული ფიჭვი, გვიმრის ფოთოლი, ბალახი, მთლიანად ყინულით დაფარულიყო.

მდინარის ნაპირზე ვიჯექი და განთიადს ველოდი, როცა კარლაილი სახლში შევიდა, რათა საავადმყოფოში წასასვლელად მომზადებულიყო.

ცივი და უძრავი, როგორც ქვა, ვიჯექი და უყურებდი, წყლის მოძრაობას გაყინულ ნაპირთან.

კარლაილი მართალი იყო, როცა მირჩევდა ფორკის დატოვებას, ისინი ადვილად შეძლებდნენ ჩემი გაქრობის მიზეზის მოგონებას. არ ქონდა მნიშვნელობა რა იქნებოდა ეს, ევროპაში წასვლა სასწავლებლად, შორეულ ნათესავებთან სტუმრობა, თუ სახლიდან გაქცევა, მაინც არავინ გამოიჩენდა მეტისმეტ ინტერესს ამ ისტორიის მიმართ.

რამდენიმე წლის მერე გოგონაც გაქრებოდა. მას ექნებადა ცხოვრება, რომელიც გაგრძელდებოდა. კოლეჯში წავიდოდა, გაიზრდებოდა, აიწყობდა კარიერას, შესაძლებელია გათხოვილიყო კიდეც. შემემძლო წარმომედგინა კიდეც თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგონა ოთახში მამასთან ერთად.

უცნაური იყო იმის შეგრძნება, რომ ამ ყველაფერმა ტკივილი განმაცდევინა. ვერ ვხვდებოდი რატომ. იქნებ ვეჭვიანობდი, რადგან მას ქონდა ცხოვრება, რომელიც მე არასოდეს მექნებოდა? მნიშვნელობა არ ქონდა, ჩემს ირგვლის მყოფ ნებისმიერ ადამიანს გააჩნდა იგივე მომავალი და ეს მე სრულებით არ მაწუხებდა.

მე ის უნდა დავტოვო, მისი მომავლისთვის, შევწყვიტო მისი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება. ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება. კარლაილი ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებდა. ამ შემთხვევაში მას უნდა დავუჯერო.

მზემ ღრუბლებიდან სუსტად გამოანათა და ყინულით დაფარულ მიწაზე

აბრჭყვიალდა.

კიდევ ერთი დღე. გადავწყვიტე. კიდევ ერთხელ ვნახავ, შევძლებ მოთმენას.

იქნებ ღირდეს გამგზავრებაც ვახსენო, რათა ისტორია მეტი დამაჯერებელი გახდეს.

ეს რთული იქნება. უკვე ვხვდებოდი, როგორ არ მინდოდა ამის გაკეთება. ეს

სურვილი ჩემს თავში სხვადასხვა აზრებს ბადებდა, რათა გამგზავრება კიდევ

რამდენიმე დღით გადამედო... მაგრამ მე სწორად მოვიქცევი. ვიცოდი, რომ

კარლაილის მხარდაჭერის იმედი უნდა მქონოდა. ისიც ვიცოდი, რომ საკმაოდ

ცვალებადი ხასიათი მქონდა ამ გადაწყვეტილების მარტო მისაღებად.

ძალიან მერყევი.

სახლში შევედი, რათა სკოლაში წასასვლელად მოვმზადებულიყავი

მესამე სართულზე ამავალ კიბის საფეხურზე ელისი მელოდა.

– კიდევ მიდიხარ. – დამადანაშაულა.

ამოვისუნთქე და დავეთანხმე.

– ამჯერად ვერ ვხედავ სად აპირებ წასვლას.

– უბრალოდ, მე ჯერ კიდევ არ ვიცი სად წავალ.

– მინდა, რომ დარჩე.

თავი გადავაქნიე.

– იქნებ მე და ჯასპერიც შენთან ერთად წამოვსულიყავით ?

– როცა მე არ ვიქნები, რათა საფრთხის შესახებ ვამცნო. მათ უფრო მეტად

დასჭირდებათ შენი დახმარება. ესმეზეც დაფიქრდი. ერთ წამში, შენ მას ოჯახის

ნახევარს ართმევ.

– შენ მას გულს ტკენ.

– ვიცი და სწორედ ამიტომ უნდა დარჩე.

– ყველაფერი ძველებურად ვერ იქნება, როცა ჩვენს გვერდით არ იქნები და ეს

იცი.

– ჰო, მაგრამ მე სწორად უნდა მოვიქცე.

– უამრავი გზა არსებობს როგორც სწორი ასევე არასწორი.

ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა უცნაურმა ხილვამ. მასთან ერთად ვხედავდი ბუნდოვანი სურათები როგორ იცვლებოდნენ. ვუყურებდი სურათების ცვალებადობას, რომელიც ნისლით იყო დაბურული. ამ დროს დავინახე პატარა მდელოზე მყოფს, როგორ გამინათა კანი მზის სხივებმა. ვიცანი ეს ადგილი. მდელოს ცენტრში ჩემთან ერთად ადამიანის ფიგურა იჯდა, რომლის სახეც გაურკვეველი იყო, არასაკმარისად გაურკვეველი, რომ მისი ვინაობა გამომეცნო. სურათები აციმციმდნენ და გაქრნენ. ამასთანავე უამრავი სხვა მომავლის სურათები გამოჩნდა.

– ბევრი ვერაფერი გავიგე. – ვუთხარი, როცა სურათი ნელნელა გაუფერულდა.

– მეც. შენი მომავალი იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ძნელია რამე ხელჩასაჭიდი ვიპოვო. თუმცა ვფიქრობ....

შეჩერდა და მის გონებაში მყოფი, უამრავი სხვადასხვა ხილვა მაჩვენა, ჩემს მომავალთან დაკავშირებით. ისევე როგორც სხვები, ისინიც საკმაოდ გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო.

– თუმცა მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი შეიცვლება. – მითხრა ხმამაღლა – თითქოს შენი ცხოვრების გზაჯვარედინზე დგახარ.

მოღუშულმა გავიღიმე.

– ხვდები, რომ კარნავალზე მყოფი ბოშა ქალივით ლაპარაკობ?

თავისი პატარა ენა დამანახა.

– მაგრამ დღეს ყველაფერი კარგად იქნება? მეთანხმები? – ვკითხე და მოულოდნელად ხმა შეწუხებული გამიხდა.

– ვერ ვხედავ, რომ დღეს ვინმეს მოკლავ. – დამარწმუნა.

– გმადლობ ელის.

– წადი ჩაიცვი, არავის არაფერს ვეტყვი, ნებას გაძლევ ყველაფერი შენ თქვა, როცა ამისთვის მზად იქნები.

წამოდგა და ისარივით გაფრინდა მესამე სართულისკენ, მხრები მსუბუქად

უთრთოდა.

– მომენტრები, ნამდვილად .

ჰო, მეც ძალიან მომენტრება.

სკოლისკენ მიმავალ გზაზე სიჩუმე იყო. ჯასპერი ხედავდა, რომ ელისი რაღაცით აღელვებული იყო, მაგრამ იცოდა, რომ მას თუ რამის თქმა ენდომებოდა, აქამდეც ეტყოდა. ემეტი და როზალი ერთმანეთით იყვნენ გატაცებულები – ეს ერთერთი იმ მომენტთაგანი იყო, როცა ერთმანეთით იყვნენ აღფრთოვანებულები. საკმაოდ ცუდი დასანახი იყო ეს ყველაფერი გვერდიდან. ყველამ ვიცოდით, როგორი ვნებით უყვარდათ ერთმანეთი. იქნებ მხოლოდ იმიტომ ვიყავი ცუდად, რომ მხოლოდ მე ვიყავი მარტო. ხანდახან ძალიან რთულია იცხოვრო სამ წყვითლან ერთად, ერთ ჭერქვეშ. და ისინი ერთ–ერთი იმ წყვითაგანი იყვნენ.

იქნებ მათთვისაც რთული იყო ჩემთან ერთად ცხოვრება, იმ საშინელ და მოჩმახულ ბერიკაცთან, როგორიც ახლა უნდა ვყოფილიყავი.

რათქმა უნდა, პირველი რაც გავაკეთე სკოლაში მოსულმა – გოგონა მოვძებნე, მხოლოდ იმიტომ რომ მოვმზადებულყავი.

რა თქმა უნდა.

მაცბუნებდა იმის შეგრძნება, რომ ჩემს ცხოვრებაში აღარ არსებობდა არაფერი ამ გოგონას გარდა. ახლა უკვე მთელი ჩემი არსებობა მასზე უფრო იყო დამოკიდებული, ვიდრე საკუთრივ ჩემს თავზე.

საკმაოდ ადვილი მისახვედრი იყო, რომ ჩემი ოთხმოცწლიანი ერთფეროვანი ცხოვრების შემდეგ ყოველი ცვლილება ღრმად დაფიქრების მიზეზი ხდებოდა. ის ჯერ კიდევ არ მოსულიყო, მაგრამ შორიდან მესმოდა მისი მანქანის მოტორის ხმაური. მანქანაში გადავწევი, რათა დავლოდებოდი. ყველა კლასში წავიდა, მხოლოდ ელისი დარჩა ჩემთან. ისინი ძალიან დაილაღნენ ჩემი ყურებით, მათთვის გაუგებარი იყო როგორ შეიძლებოდა, რომელიმე ადამიანს ასე დავეინტერესებინე იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგი სუნი ჰქონდა.

გოგონა ნელა გამოჩნდა ჩემი თვალთახედვის არეში. მისი მზერა გზაზე იყო კონცენტრირებული, ხელებს კი მაგრად უჭერდა რულს. მეჩვენებოდა, რომ რაღაცით შეწუხებული იყო. მხოლოდ ერთი წამი დამჭირდა, რათა მივმხვდარიყავი ამის მიზეზს, მითუმეტეს დღეს ყველას ასეთი სახის გამომეტყველება ქონდა. უბრალოდ გზა მთლიანად ყინულს დაეფარა, ისინი კი ცდილობდნენ ფრთხილად ემოძრავათ. დავინახე, როგორ ყურადღებით ეკიდებოდა ამ ყველაფერს.

ეს სრულიად ეთანხმებოდა, იმას რაც აქამდე შევნიშნე. ჩემს პატარა სიას კიდევ ერთი მისი ხასიათის შტრიხი შევმატე. ის სერიოზული და პასუხიმგებლობით აღსავსე იყო.

ჩემგან მოშორებით გააჩერა მანქანა, მაგრამ ადგილიდან არ დავეძრულვარ, ისევ განვაგრძობდი მის თვალთვალს. დამაინტერესა რას მოიმოქმედებდა, როცა შემამჩნევდა? გაწითლდება და წავა? ეს იყო პირველი რასაც მისგან ველოდი.

შესაძლებელია ჩემი მზერისთვის ეპასუხა, ასევე შესაძლებელი იყო, რომ მოსულიყო და დამლაპარაკებოდა.

ყოველ შემთხვევისთვის ღრმად ჩავისუნთქე და ჩემი ფილტვები ჰაერით და იმედით შევავსე.

ფრთხილად გადმოვიდა მანქანიდა, ცდილობდა თვალთ მოესინჯა მოყინული მიწა, სანამ ნაბიჯს გადადგამდა. თავი არ აუწევია, რამაც დამანაღვლიანა, იქნებ ღირდა გადავსულიყავი და დავლაპარაკებოდი?

არა, ეს არ იქნება სწორი საქციელი.

იმის ნაცვლად, რომ სკოლისკენ წასულიყო, თავის მანქანას გარს შემოუარა, ცდილობდა სატვირთოს მოჭიდებოდა, თითქოს საკუთარ ფეხებს არ ენდობოდა. ამ ყველაფერმა ღიმილი მომგვარა და ელისის მზერა ვიგრძენი სახეზე. შევეცადე არ გამეგონა, რას ფიქრობდა ის ამ ყველაფერთან დაკავშირებით, მამხიარულებდა იმის ყურება, როგორ ცდილობდა გოგონა სწორად დგომას – მისი ფეხები სახიფათოდ გამოიყურებოდა ყინულზე. აქამდე არავის შექმნია მსგავსი პრობლემა, ნუთუ იმ

ადგილზე ყინული განსაკუთრებით საშიში იყო?

შეჩრედა და უცნაური სახით დაიხედა ძირს. ეს იყო... სინაზე? თითქოს რაღაცამ გაუღვიძა ემოციები.

ისევე ძლიერად დამწვა ცნობისმოყვარეობამ, როგორც წყურვილმა. თითქოს ჩემთვის აუცილებელი იყო იმის გაგება, რას ფიქრობდა. მეჩვენებოდა, რომ სხვა ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა.

მინდოდა გადავსულიყავი და დავლაპარაკებოდი. მისი გამომეტყველების მიხედვით, მას დასაყრდენი ჭირდებოდა, მანმადე მაინც, სანამ მოყინულ ტროტუარს გადაივლიდა. რათქმა მე არ შემეძლო მისთვის ეს შემეთავაზებინა. ვყოყმანობდი. მხედველობაში თუ მივიღებდით მის მტრულ დამოკიდებულებას თოვლთან მიმართებაში, მას ნამდვილად არ მოეწონებოდა ჩემი ცივი და თეთრი ხელების შეხება. ხელთათმანების ჩაცმა მომიწევდა...

– არა! – ხმამაღლა ამოისუნთქა ელისმა.

მაშინვე მის ფიქრებზე გადავერთე. თავდაპირველად ველოდი, რომ მე დავუშვი შეცდომა და დამინახა, როცა რაღაც უპატებელ საქციელს ჩავდიოდი. მაგრამ ხილვა ჩემთან არ იყო დამოკიდებული.

ტაილერ ქროულიმ გადაწყვიტა დიდი სიჩქარით შემოეხვია მანქანების

სადგომზე. მისი გადაწყვეტილება კი მის მანქანას მოაცურებდა

ხილვამ მხოლოდ რამდენიმე წამი წაიღო. ტაილერის ფურგონი უკვე კუთხეში იყო, როცა ელისი ხილვის ბოლოს ვუყურებდი, რის გამოც მის ტუჩებს შიშინარევი შემახილი აღმოხდა.

არა, ეს ხილვა ჩემთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ამასთანავე მთლიანად მე მეხებოდა. ტაილერის ფურგონი, რომელიც მოცემულ მომენტში ყინულზე სრიალებდა, დატრიალდებოდა და გოგონას მოკლავდა, რომელიც ასე მოულოდნელად გამხდარიყო ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი.

ელისის ხილვის გარეშეც ძალიან ადვილი იყო მანქანის ტრაექტორიის

გამოთვლა, რომელზეც ტაილერს უკვე დაკარგული ქონდა კონტროლი.

არასწორ ადგილზე მდგომმა გოგონამ, რომელიც საკუთარი მანქანის უკან იდგა, დამუხრუჭების ხმა გაიგონა, თვალები აწია და პირდაპირ ჩემს შიშით სავსე თვალებს წააწყდა, შემდეგ კი შეტრიალდა, რათა მოახლოებული სიკვდილისთვის შეეხედა. მხოლოდ ის არა! ეს სიტყვები ისე ტრიალებდა ჩემს თავში, თითქოს სხვას ეკუთვნოდნენ.

ჯერ კიდევ ელისის ფიქრებს ვხედავდი, როცა შევნიშნე რომ ხილვა მოულოდნელად შეიცვალა, მაგრამ დრო არ მქონდა, რათა მისი დასასრული მენახა. ბრბო გავარღვიე და პირდაპირ მართვადაკარგული ფურგონისა და გოგონას შორის მივიწევდი. იმდენად სწრაფად ვმოძრაობდი, რომ გარშემო მყოფი ხალხი ამას ვერ აღიქვამდა. ის ვერ მხედავდა, ადამიანს არ შეეძლო ჩემი მოძრაობის დანახვა, ჯერ კიდევ უზარმაზარ საგანს უყურებდა, რომელიც მას საკუთარი მანქანის მეტალის ძარაზე მიასრისავდა.

სწრაფად შემოვხვდით წელზე ხელები, ძალიან სწრაფად ვმოძრაობდი საიმისოდ, რომ ნაზად მოვქცეულიყავი. თუმცა მასთან აუცილებელი იყო სინაზე. მეასედი წამი გავიდა მას მერე, რაც მისი სათუთი სხეული სიკვდილს გამოვტაცე. როცა მიწაზე აღმოვჩნდი, ჯერ კიდევ ხელებში მეჭირა. ცხადად შევიგრძენი მისი სხეულის მსხვრევადობა და მგრძნობიარობა.

საკმაოდ ძლიერად დაარტყა თავი ყინულზე, თუმცა თავიდან მეგონა, რომ ეს მე დავეცი ძირს.

მისი მდგომარეობის შესაფასებლად წამიც კი არ მქონდა. გავიგონე, როგორ დაიწრიპინა მუხრუჭებმა ჩვენს უკან, ჯერ კიდევ გოგონას მანქანისკენ მიიწევდა მისი უზარმაზარი კორპუსი. მანქანამ ტრაექტორია შეცვალა, მაგრამ მაინც გოგონასკენ მიიწევდა, თითქოს მაგნიტივით იზიდავდა.

არასოდეს მითქვამს, ქალის თანდასწრებით ის სიტყვა, რომელიც ახლა კბილებს შორის გამოვცერი.

უკვე საკმაოდ ბევრის გაკეთება მოვასწარი. ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავი, რათა გზიდან ჩამომემორებინა, როცა გავაცნობიერე, ის შეცდომა, რაც დავუშვი. მაგრამ იმის გახსენებამ, რომ ჩემი მოქმედება არა მარტო მე, არამედ მთელ ჩემს ოჯახს საფრთხის ქვეშ აყენებდა, ვერ შემაჩერა.

ეს ჩვენთვის საშიში იყო.

მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, ნებას არ მივცემდი ფურგონს, მეორე ცდით მოეკლა გოგონა.

სასწრაფოდ ავწიე ხელები რათა მანამდე დამეჭირა ფურგონი, სანამ გოგონას შეეხებოდა. ძალა რომლითაც ფურგონი ჩვენსკენ მოქროდა, უკან მისი მანქანისკენ გადამავდო და ვიგრძენი ჩემი მხრისგან როგორ ჩაილუნა მანქანის ფრთა. ფურგონი შეზანზარდა, როცა ჩემი ხელების გადაულახავ დაბრკოლებას შეეჯახა. შემდეგ შეირყა და უკანა ორ თვალზე მდგომი გაჩერდა.

ხელი რომ გამეშვა, უკანა საბურავი, მას ფეხებზე დაეცემოდა.

ნუთუ ეს კომშარი როდესმე დამთავრდება? იყო რამე, რასაც შეემლო კიდევ მისი დაშავება? შემემლო, ვმჯდარიყავი ძირს ისე, რომ ხელში ფურგონი მჭეროდა და ისე დავლოდებოდი მაშველებს, მაგრამ არ შემემლო, უბრალოდ მანქანის გვერდით მოსროლა. რადგან შიგნით მძლოლი იჯდა, რომელიც უბრალოდ ძალიან იყო შეშინებული.

დახშული ხმით დავიკვნესე და მოვიშორე ფურგონი ისე, რომ მიწას მოწყდა.

როცა ის ისევ ჩვენ დაგვეცა, მარჯვენა ხელით დავიჭირე, მარცხენა ხელი კი გოგონას მოვხვით წელზე ძლიერად მივიხუტე და მანქანის ქვეშიდან გამოვიყვანე. მისი სხეული ნელა მოძრაობდა, ჩემსკენ გადმოვავრუნე, რათა მისი ფეხები უსაფრთხოდ აღმოჩენილიყვნენ. გონზე იყო? რამდენად ბევრი დავუშავე ამ მოულოდნელი გადარჩენით?

ფურგონს ნება მივეცი, რომ მიწაზე დავარდნილიყო. ის უკვე აღარ

წარმოადგენდა მისთვის საფრთხეს. მანქანა ძლიერად დაეხეთქა ტროტუარს და

ყველა მინა ერთდროულად ჩაემსხვრა.

ვიცოდი, რომ საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, რამდენად ბევრის დანახვა შეძლო? დანარჩენებმა თუ დაინახეს, როგორ გავჩნდი მის გვერდით, როგორ დავიჭირე ფურგონი? ეს იყო კითხვები, რომლებსაც ახლა ყველაზე მეტად უნდა შევეწუხებინე.

საშინლად ვიყავი განერვიულებული, საიმისოდ, რომ მოსალოდნელ საფრთხეებზე მეფიქრა. შიშმა შემიპყრო – იქნებ მისი გადარჩენის მცდელობისას თვითონ დავუშავე რამე? მისი სიახლოვე მაშინებდა, საკმარისი იყო ერთი ჩასუნთქვა და მაშინვე ვიგრძნობდი მის სუნს. მკაფიოდ ვგრძნობდი მისი თბილი სხეულის სირბილეს. ჩვენი ქურთუკების მიუხედავად მის გულისცემას ვგრძნობდი... პირველი შიში ყველაზე ძლიერი იყო. მაშინ როცა გარშემო მოწმეების ყვირილი მოისმა, მისკენ დავიხარე, რათა მისი სახე დამენახა. მენახა იყო თუ არა გონებაზე. იმედი მქონდა, რომ სისხლისგან არ იცლებოდა.

თვალეები გაეხილა და შეშინებული მიყურებდა.

– ბელა, – მომთხოვნი ხმით შევეკითხე. – როგორ გრძნობ თავს?

– ყველაფერი კარგადაა, – შემეპასუხა ინსტიქტურად, გაცეხილი ხმით.

თავისუფლების შეგრძნება, მისი ხმის გაგონებისას რომ ვიგრძენი, იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ტკივილივით ვიგრძენი. კბილებს შორის ამოვისუნთქე, ვცდილობდი ამოსუნთქვის თანმხლები წყურვილისთვის ყურადღება არ მიმექცია. თუმცა მისი არომატისგან სიხარული არ მიგრძენია.

შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ მე არ ვიყავი მზად მის გასაშვებად. მის გვერდით თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი? უფრო სწორად უკეთესად ვიყავი, როცა მის სხეულს ჩემს ახლოს შევიგრძნობდი.

– ფრთხილად, – გავაფრთხილე. – ვფიქრობ, საკმაოდ ძლიერად დაარტყი თავი.

საბედნიეროდ სისხლის სუნი არ იგრძნობოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რამე შინაგანი დაზიანება არ არსებობდა. მოულოდნელად სურვილმა შემიპყრო, იმ

წუთშივე წამეყვანა კარლაილთან, რათა ყველაფერი რენტგენის მეშვეობით გამოეკვლია.

– ოჰ, – წარმოთქვა რეტდასხმულმა, როცა გააცნობიერა, რომ მის გვერდით ვიყავი.

– ასეც ვფიქრობდი. – სიტუაცია საკმაოდ აბსურდული და სულელური იყო.

– ეს როგორ... – ხმა ჩაუწყდა, ქუთუთოები აუთრთოლდა. – როგორ აღმოჩნდი აქ, ასე სწრაფად.

შეგრძნება, რომელსაც აქამდე განვიცდიდი, მაშინვე გაქრა, საკმაოდ ბევრი შენიშნა.

ახლა, როდესაც მივხვდი, რომ გოგონა უსაფრთხოდ იყო, ჩემი ოჯახის შესახებ ნერვიულობა გაძლიერდა.

– ზუსტად შენს გვერდით ვიდექი, ბელა, – პირადი გამოცდილებით ვიცოდი, რომ თუ კი დამაჯერებლად მოვიტყუებოდი, თანამოსაუბრე აუცილებლად დაეჭვდებოდა საკუთარ სიმართლეში.

შეეცადა ემოძრავა. ამჯერად მივეცი ამის გაკეთების შესაძლებლობა. ჩემთვის აუცილებელი იყო მესუნთქა, რათა თამაში გამეგრძელებინა. საღი გონების შესანარჩუნებლად მისი სხეულის სითბოსგან უნდა განვთავისუფლებულიყავი, რათა მისი სისხლის არომატს არ ემოქმედა. იმდენად შორს გავიწიე მისგან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

შემომხედა, მისი მზერისთვის თვალის არიდება შეცდომა იქნებოდა, რომელსაც მხოლოდ გამოუცდელი მატყუარები უშვებდნენ, მე კი ასეთი არ ვიყავი. ჩემი სახის გამომეტყველება წყნარი, შთამაგონებლად დამაჯერებელი იყო... როგორც ჩანს ამან იმოქმედა, შეცბა. კარგია.

შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა. ძირითადად სტუდენტები, რომლებიც ცდილობდნენ მასის გარღვევას, რათა დაენახათ რა მოხდა. მესმოდა მათი ლაპარაკი და წამოძახილები, ასევე შეშინებული ფიქრები. აზრებს ვუკვირდებოდი, რადგან

დავრწმუნებულიყავი რამე ექვი ხომ არ არსებობდა. შემდეგ კი შევეცადე გამომერთო ჩემი შესაძლებლობა და მთლიანად გოგონაზე ვყოფილიყავი მობილიზებული.

მისი ყურადღება ჩვენს გარშემო ატეხილი ალიაქოთისკენ იყო მიპყრობილი, თუმცა სახეზე ჯერ კიდევ მომხდარისგან გამოწვეული შოკი ჩანდა და ცდილობდა ფეხზე წამომდგარიყო.

მსუბუქად შევეხე მის მხარს რათა შემეჩერებინა.

– ჯერ არ გაინძრე. – როგორც ჩანდა თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ რამდენად შეიძლებოდა მისთვის კისრის ამოძრავება, არ ვიცოდი. ისევ გამიჩნდა სურვილი, რომ კარლაილი გვერდით მყოლოდა. მედიცინის მრავალწლიანი თეორიული ცოდნა, არაფერ იყო მის ასწლეულების გამოცდილებასთან შედარებით.

– მაგრამ აქ ცივა. – ამიხსნა.

ორჯერ ძლივს გადარჩა სიკვდილს, დაშავდა, სიცივე კი – ერთადერთი იყო, რაც მას ახლა აწუხებდა. მანმადე გამეცინა, სანამ გავაცნობიერებდი, რომ სიტუაცია სრულებით არ იყო სასაცილო.

თვალეები დაახამხამა და შემომხედა.

– შენ იქ იდექი.

სამხრეთისკენ გაიხედა, თუმცა იქ მხოლოდ დამტვრეული ფურგონი ჩანდა.

– შენს მანქანასთან იდექი.

– არა, არ ვყოფილვარ.

– დაგინახე, – დაიჟინა, პატარა ჭირვეული ბავშვივით ლაპარაკობდა.

ამაყად ასწია ნიკაპი.

– ბელა, მე შენს გვერდით ვიდექი და ხელი გკარი, რათა ფურგონი არ დაგჯახებოდა.

გაფართოებულ თვალეებში ჩავხედე, ვცდილობდი ჩემი ვერსია ერწმუნა – ერთადერთი ვერსია, ყველა სხვა არსებულებიდან.

კბილები გააღრჭიალა.

– არა.

შევეცადე ტაქტიანი ვყოფილიყვი და შიშს არ შევეპყარი. რომ შემძლებოდა, მისი თუნდაც ერთი წუთით დამშვიდება, რათა მტკიცებულებები გამენადგურებინა...

გადამეთქმევინებინა, მისი თეორია თავის ტრამვისთვის დამებრალეებინა.

მომიწევდა, უბრალოდ მეიძულებინა ეს წყნარი გოგონა გაჩუმებულიყო.

ოღონდაც დაეჯერებინა ჩემთვის, თუნდაც ცოტა ხნით.

– ვთხოვ, ბელა, – ვუთხარი, მაგრამ ჩემი ხმა ზედმეტად დამაბულად ჟღერდა,

რადგანაც მოულოდნელად მომინდა, რომ ჩემთვის დაეჯერებინა. საშინლად

მომინდა, რომ ეს ნდობა გაგრძელებულიყო, არა მხოლოდ ამ შემთხვევაში.

სულელური სურვილი. რამ უნდა აღუძრას ჩემს მიმართ ნდობა?

– რატომ? – შემეკითხა.

– მენდე. – ვთხოვე მე.

– მპირდები, რომ მოგვიანებით ყველაფერს ამიხსნი?

მაცოფებდა, რომ ისევ ტყუილის თქმა მიწევდა, სწორედ მაშინ, როცა ასე ძალიან

მინდოდა მისი ნდობის მოპოვება. ამიტომ ჩემი პასუხი უხეშად აჟღერდა.

– კარგი.

– კარგი, – გაიმეორა იგივე ტონით.

ამ დროს ჩვენს ირგვლივ ხალხი შეგროვდა, უფროსები მოვიდნენ, სასწრაფო

დახმარების მანქანა გამოიძახეს, შორიდან უკვე მათი ხმაც მესმოდა.

ვცდილობდი გოგონაზე აღარ მეფიქრა და აზრები დამელაგებინა. ყურადღებით

ვსწავლობდი გარშემო შემოხვეული ხალხის აზრებს, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე

ისეთი, რომელიც ყურადსაღები იქნებოდა. ბევრი მათგანი გაოცებული იყო ჩემი იქ,

ბელას გვერდით ყოფნით, მაგრამ ერთზე შეთანხმდნენ, თუმცა სხვა ახსნას ვერც

პოულობდნენ, უბრალოდ ვერ შემნიშნეს გოგონას გვერდით მდგარი შემთხვევის

მომენტამდე.

ბელა ერთადერთი იყო, ვისაც ამის დაჯერება არ უნდოდა, მაგრამ ის საიმედო

მოწმედ არ გამოდგებოდა, რადგან შეშინებული და დაშავებული იყო. შეიძლება არც კი ახსოვდა, რომ თავი დაარტყა, ასევე შესაძლებელი იყო შოკურ მდგომარეობაში ყოფილიყო განცდილის შემდეგ, ეს ფაქტები კი მის თეორიას გააქარწყლებდნენ.

არავინ მიაქცევდა ყურადღებას მის ნათქვამს სხვა მოწმეების შემდეგ.

შევხტი, როცა როზალის, ემეტის და ჯასპერის აზრები გავიგონე, რომლებიც შემთხვევის ადგილს მოუახლოვდნენ. დღევანდელი დღე ძვირად დამიჯდებოდა.

მინდოდა გვერდით მდგარ მანქანაზე ის ჩაღრმავება გამესწორებინა, რომელიც ჩემმა მხარმა დატოვა, მაგრამ გოგონა საკმაოდ ახლოს იყო. მოცდა მომიწევდა, სანამ ყურადღებას მოადუნებდა.

ლოდინი ძალიან მოსაბეზრებელი იყო. საკმაოდ ბევრი ადამიანი გვეხვეოდა გარს, ცდილობდნენ ფურგონი გადაეადგილებინათ. შემემლო დავხმარებოდი, რათა უბრალოდ პროცესი დამეჩქარებინა, მაგრამ ისედაც საკმარისი პრობლემები მქონდა, გოგონას კი – მახვილი თვალი. ბოლოსდაბოლოს მოახერხეს მანქანის გადაწევა, რათა ექიმებს ჩვენთან მოახლოება შეძლებოდათ.

ნაცნობი სახე შემფასებლური მზერით მათვალისწინებდა.

– გამარჯობა ედვარდ, – მითხრა ბრეთ უორენმა.

ის სასწრაფო სამედიცინო სამსახურში მუშაობდა და საკმაოდ კარგად ვიცნობდი.

ეს წმინდა წყლის გამართლება იყო – ერთადერთი წარმატება დღევანდელ დღეს, რომ ის იყო პირველი, ვინც მოგვიახლოვდა. მის აზრებში საკუთარი დამშვიდებული და ენერგიული სახე დავინახე.

– თავს როგორ გრძნობ ყმაწვილო?

– ყველაფერი არაჩვეულებრივადაა ბრეთ, არაფერი მიჭირს, მაგრამ ვშიშობ, რომ ბელაზე იგივეს თქმა არ შემიძლია, საკმაოდ ძლიერად დაარტყა თავი, როცა ხელი ვკარი.

ბრეთმა მთელი ყურადღება გოგონაზე გადაიტანა, რომელმაც გამზურღველი მზერით დამაჯილდოვა, რადგან გავეცი. ოჰ, ზუსტად. ის წამებულებით ჩუმად

ტანჯვას ამჯობინებდა.

ჩემს სიტყვებს არ შეეწინააღმდეგა და ვიგრძენი როგორ მომეშვა გულზე.

სხვა თანამშრომლები ცდილობდნენ ჩემს გასინჯვას, მაგრამ მათი თავიდან მოშორება ადვილი იყო. შევპირდი, რომ მამაჩემი გამსინჯავდა და თავი დამანებეს. ადამიანების უმრავლესობისთვის უბრალოდ დამაჯერებელი ტონი საკმარისი იყო დასარწმუნებლად, მაგრამ არა ამ გოგონასთვის. ნუთუ რომელიმე ადამიანურ სტანდარტში ჯდება?

ექიმებმა კისერზე არტახი დაადეს და უხერხულობისგან წამოწითლდა. დრო ვიხელთე და ფეხით ფრთხილად გავასწორე მანქანის ჩაჭკეჭილი ადგილი. ეს მოქმედება მხოლოდ ჩემმა ნათესავებმა შენიშნეს და გავიგონე როგორ შემპირდა ემეტი ყველაფრის გამოსწორებას, რასაც ვერ მოვასწრებდი.

მის დახმარების იმედით და უფრო მეტად მაღლობელი, რადგან ჩემს სახიფათო საქციელზე აღარ ფიქრობდა, მოვდუნდი და სასწრაფო დახმარების მანქანაში ბრეთის გვერდით მოვთავსდი.

შერიფი მანამდე მოვიდა, ვიდრე ბელას მანქანაში ჩასვამდნენ.

თუმცა ბელას მამის ფიქრებში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისმოდა, შიში და ნერვიულობა მისი გონებიდან მოდიოდნენ და ირგვლივ არსებულ ყველა ხმას ახშობდა.

უსიტყვო ღელვის და დანაშაულის შეგრძნების ძლიერმა ნაკადმა გაუარა, როცა თავისი შვილი სასწრაფოს მანქანაში დაინახა.

მისგან წამოსულმა ნერვიულობის ტალღამ, რომელიც ყოველ წამს ძლიერდებოდა თითქოს ტანში გამიარა. როცა ელისმა გამაფრთხილა, რომ შვილის სიკვდილი ჩარლი სვონსაც მოკლავდა, არ გადაუჭარბებია.

მის შეშინებულ ხმას ვუსმენდი და დანაშაულის შეგრძნებისგან თავი ჩაკვიდე.

– ბელა! – დაიყვირა.

– ყველაფერი რიგზეა ჩარ.. მამა. – მოისუნთქა. – ცუდი არაფერი მომხდარა.

მისი ხმის გაგონებისთანავე დარდი შეუმსუბუქდა და მაშინვე მიმართა ყველაზე ახლოს მდგომ ექიმს, რათა დაწვრილებით გაეგო მომხდარის შესახებ.

გავიგონე როგორ ლაპარაკობდა, შიშის მიუხედავად ძალიან მკაფიოდ წარმოთქვამდა წინადადებებს. მაშინ მივხვდი, რომ მისი ღელვა სულაც არ იყო უხმო, მე უბრალოდ... არ შემემლო განსაზღვრული სიტყვების გაგონება.

ჰმმ... ჩარლი სვონის ფიქრები არ იყო ისეთივე ჩუმი, როგორც მისი შვილის, მაგრამ მივხვდი საიდან ქონდა მას ეს. საინტერესოა.

არასოდეს გამიტარებია დიდი დრო პილიციის შეფის გვერდით, რადგან მას ყოველთვის ისეთ ადამიანად ვთვლიდი, რომელიც ძალიან ნელა ფიქრობდა. ახლა კი ვხვდები, რომ ამ მხრივ შევცდი.

მისი აზრები ნაწილობრივ იმალებოდა, მაგრამ არ იკარგებოდა, მხოლოდ მისი სიხშირის და განწყობილების ამოცნობა შემემლო.

მინდოდა უკეთესად მომესმინა, გამეგო შევძლებდი თუ არა, ამ შედარებით იოლი თავსატეხის ამოხსნას რათა შემდეგ გოგონას საიდუმლო ამომეცნო. მაგრამ ბელა უკვე მანქანაში ჩაესვათ და სასწრაფო დახმარების მანქანა ადგილიდან დაიძრა.

რთული იყო თავის შეკავება ამ საიდუმლოს ამოხსნის ხელიდან გამსხლტარი შესაძლებლობის შემდეგ, რომელმაც მთლიანად შემიპყრო, მაგრამ მომიწია დავფიქრებულიყავი და დღევანდელი შემთხვევა ყველა მხრივ შემეფასებინა.

აუცილებელი გახდა მომესმინა, რათა დავრწმუნებულიყავი იმ საფრთხის არ არსებობაში, რომლის გამოც დამალვა მოგვიწევდა. ყურადღება უნდა მომეკრიბა.

სასწრაფოს ექიმების აზრებში არაფერი იყო ისეთი, რაც გამანერვიულებდა.

რამდენადაც მათ შეემლოთ ეთქვათ, რომ გოგონას ყველაფერი წესრიგში ქონდა.

ბელაც იმ ისტორიას იზიარებდა, რომელიც ვუთხარი.

როგორც კი საავადმყოფოში მივედი, პირველი რაც უნდა გამეკეთებინა, მამაჩემი უნდა მენახა. სწრაფად გავიარე კარებში, თუმცა არც ბელა დამიტოვებია უყურადღებოდ, ექიმების ფიქრებიდან ვადევნებდი თვალს.

საკმაოდ ადვილი იყო მამას ესოდენ ნაცნობი აზრების დაჭერა. ის პატარა კაბინეტში იმყოფებოდა, მარტო – ეს კიდევ ერთი ბედის გამონათება იყო ამ უიღბლო დღეს.

– კარლაილ!

ჩემი შემახილი გაიგონა და შეშფოთდა. როცა სახეზე შემომხედა, ფეხზე წამოხტა და სახეზე მკვდრისფერი დაედო. არაჩვეულებრივ ნამუშევარ, წითელი ხის მაგიდაზე გადმოიხარა.

– ედვარდ, ეს შენ...

– არა, არა. ეს ის არ არის.

ღრმად ამოისუნთქა.

– რა თქმა უნდა არა, მაპატიე, რომ ასე ვიფიქრე. შენი თვალები, რასაკვირველია, უნდა მივმხვდარიყავი.

შენიშნა, რომ ჩემი თვალები ჯერ კიდევ ოქროსფერი იყო.

– მაგრამ ის დაშავდა კარლაილ, შეიძლება ძალიან არა, მაგრამ მაინც...

– რა მოხდა?

– სულელური საგზაო შემთხვევა, შეუფერებელ დროს შეუფერებელ ადგილზე აღმოჩნდა. არ შემეძლო უბრალოდ ვმდგარიყავი და მისი სიკვდილი დამეშვა...

– დაიწყე თავიდან. ვერ ვხვდები, შენ რა შუაში ხარ?

– მანქანა ყინულზე მოცურდა. – დავიწყე მე.

ლაპარაკისას კედელს ვუყრებდი, რომელზეც უამრავ სხვადასხვა ჩარჩოში ჩასმულ დიპლომთან ერთად, მისი საყვარელი სურათიც ეკიდა. – ელისმა დაინახა, რომ ეს მოხდებოდა, მაგრამ დრო აღარ რჩებოდა საიმისოდ რომ შემოქმედა... გარდა იმისა, რომ ხალხი გამერღვია და გზიდან გადამეგდო. არავის შეუმჩნევია... მის გარდა. ფურგონის გაჩერებას მომიწია, მაგრამ ამჯერადაც მის გარდა ეს არავის შეუმჩნევია... მე.. მე ძალიან ვწუხვარ კარლაილ, არ მინდოდა საფრთხის ქვეშ აღმოვჩენილიყავით.

მაგიდას შემოუარა და მხარზე დამადო ხელი.

– შენ სწორად მოიქეცი. ეს არ იყო ადვილი, მაგრამ მე შენით ვამაყოფ, ედვარდ.

ახლა უკვე შემეძლო მისთვის თვალებში შემეხედა.

– მან იცის, რომ ჩემს თავს რაღაცა ვერ არის კარგად.

– ეს არ არის მნიშვნელოვანი, თუ წასვლა მოგვიწევს, აუცილებლად წავალთ. რა თქვა?

საგონებელში ჩავარდნილმა თავი გადავაქნიე.

– ჯერ–ჯერობით არაფერი.

– ჯერ?

– ის დაეთანხმა ჩემულ ვერსიას, მაგრამ ახლა ჩემგან ყველაფრის ახსნას ელოდება.

მოიღუშა და დაფიქრდა.

– მან თავი დაარტყა, ნუ კარგი, მე დავარტყი – გავაგრძელებ სწრაფად. –

საკმარისად ძლიერად ვკარი ხელი და მიწაზე დაეცა. ცუდად არ გამოიყურება, მაგრამ ვფიქრობ რთული იქნება მისი თეორიის დაჯერება.

ასეთი ლაპარაკის გამო, თავს ნაძირალად ვგრძნობდი.

კარლაილმა ჩემს ხმაში არსებული ზიზღი შეამჩნია.

– იმედი მაქვს ასე არ მოხდება. ვნახოთ რა გამოვა ამისგან. კარგი? ვფიქრობ

პაციენტი მყავს, რომლის მონახულებაც ღირს.

– კარგი. – დავეთანხმე. – ისე ვნერვიულობ, რომ ტკივილი მივაყენე.

კარლაილს სახე გაუნათდა. თმები შეისწორა, რომელიც სულ რამდენიმე ტონით ღია იყო მის თვალებთან შედარებით და გაიცინა.

– დღევანდელი დღე საინტერესო იყო შენთვის, ასეა? – მის აზრებში ირონია

ამოვიკითხე, ეს მას ამხიარულებდა. კარდინალური ცვლილება როლების. მეასედი წამი დამჭირდა, რათა მკვლელიდან მხსნელად გადავქცეულიყავი.

მასთან ერთად გავიცინე. გამახსენდა როგორ ვიყავი დარწმუნებული, რომ ბელას

ჩემს გარდა არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ჩემს სიცილს მიზეზი ქონდა.

ფურგონის მიუხედავად, ეს წმინდა წყლის სიმართლე იყო.

მარტო ველოდი კარლაილს მისსავე კაბინეტში, ეს იყო ყველაზე გრძელი საათი ჩემი არსებობის მანძილზე. აზრებს ვუსმენდი, რომლებიც საავადმყოფოს ავსებდნენ.

ტაილერ ქროული, ფურგონის მფლობელი, როგორც ჩანს, ბელაზე მეტად დაზარალდა და ყველას ყურადღება მისკენ იყო მიმართული. კარლაილი სადღაც შეჩერებულიყო და სხვა ექიმების მიერ გასინჯვის შედეგებს ამოწმებდა.

გოგონას ტრამვა, როგორც ჩანს უმნიშვნელო იყო, რამაც ამაღლევა, მაგრამ ვიცოდი, რომ ის მართალი იყო. ერთადერთი შეხედვა მისთვის, გოგონას ჩემს შესახებ შეახსენებს, რომ მე და ჩემს ოჯახს, რაღაც ისე არ გვაქვს, რაც მას ალაპარაკებს.

სიტუაცია დაიძაბა, როცა ტაილერმა მას კითხა, როგორ მოასწრო შებრუნება.

გოგონა ყოყმანობდა, მე კი სუნთქვა შეკრული ველოდი.

– მმმ... – წარმოთქვა, მაგრამ ტაილერი ვერ მიხვდა როგორ შეაშფოთა მისმა შეკითხვამ გოგონა. ბოლოს და ბოლოს დაასრულა. – ედვარდმა ხელი მკრა.

ამოვისუნთქე. შემდეგ კი სუნთქვა გამიხშირდა. აქამდე არასოდეს გამეგონა, როგორ წარმოთქვამდა ბელა ჩემს სახელს. ტაილერის ფიქრებში გაგონილიც კი ძალიან მომეწონა, მაგრამ მინდოდა თვითონ მომესმინა.

– ედვარდ ქალენი. – დააზუსტა მან, რადგან შენიშნა, რომ ტაილერი ვერ მიხვდა ვის ეხებოდა საუბარი. გავაცნობიერე, რომ კარებთან ვიდექი და ხელი ურდულზე მეკიდა. მისი ნახვის სურვილი თანდათან ძლიერდებოდა. მომიწია საკუთარი თავისთვის შემეხსენებინა, რომ სიფრთხილე მმართვებდა.

– ის ჩემს გვერდით იდგა.

– ქალენი? ჰმმ, უცნაურია, არ დამინახავს. შემძლია დავიფიცო რომ... მაგარია, როგორც ჩანს სწრაფად იმოქმედა. როგორ არის?

– ვფიქრობ კარგად. სადღაც აქავეა.

მისი ჩაფიქრებული სახე დავინახე, თვალები დაუვიწროვდა, მაგრამ ეს ცვლილება, ტაილერმა ვერ შენიშნა.

– სიმპატიურია. – ფიქრობდა გაკვირვებული ტაილერი. ამდენი რამის გადატანის მერეც. მართალია ჩემს გემოვნებაში არ ჯდება მაგრამ... სადმე უნდა დავპატიჟო... იქნებ ამ საღამოს...

არც კი დავფიქრებულვარ რას ვაკეთებდი, უკვე ჰოლში ვიყავი და მისაღებისკენ მივიწევდი. საბედნიეროდ, მედდა ერთი წამით ადრე შევიდა ოთახში. ბელა რენტგენის გადასაღებად შეეყვანათ.

კუთხეში კედელს ამოვეფარე და ვეცადე თავის ხელში აყვანას. მაშინ როცა ის სადღაც აქავე იყო.

არ მალეღებდა რომ ტაილერმა სიმპატიური უწოდა. ამას ყველა შენიშნავდა. არ მქონდა მიზეზი, რომ თავი ასე მეგრძნო... და როგორ ვგრძნობდი თავს? ნაწყენი? თუ უფრო მეტად გაღიზიანებული? მნიშვნელობა არ ქონდა.

იმდენ ხანს ვიდექი, რამდენიც შემეძლო, მაგრამ მოუთმენლობამ შემიპყრო და მიმღებისაკენ წავედი. მინდოდა ოდნავ მაინც დამენახა, სანამ რენტგენს უღებდნენ, მედდა კი შემობრუნდა.

უკეთესად ვიგრძენი თავი, როცა დავინახე. ყველაფერი კარგად იყო. როგორც ჩანს არაფერი დამიშავებია მისთვის.

კარლაილმა დამინახა.

– უკეთესად გამოიყურები. – შენიშნა.

შევხედე, მარტონი არ ვიყავით, დერეფანში უამრავი სანიტარი და მნახველი იმყოფებოდა.

– აჰ, ჰო. – და სინათლეზე გახედა ბელას სურათს, არ მჭირდებოდა მისი მეორედ ნახვა – ვხედავ სრულიად ჯანმრთელია. ყოჩაღ ედვარდ.

მამის კეთილგანწყობამ, ჩემში სხვადასხვა გრძნობები გამოიწვია. რომ

მცოდნოდა, რომ არ მომიწონებდა იმ საქციელს, რის ჩადენასაც ვაპირებდი, უკეთესად

ვიგრძნობდი თავს. უფრო სწორად, არ მოეწონებოდა ის, რასაც აუცილებლად გავაკეთებდი.

– მანამდე ვაპირებ მასთან დალაპარაკებას, სანამ შენ შეგხვდება. – ერთი ამოსუნთქვით ჩავილაპარაკე. – ვეცდები ისე მოვიქცე, თითქოს არაფერი მომხდარა. შევეცდები ყველა შესაძლო არგუმენტის მოყვანას.

კარლაილი ჯერ კიდევ მის სურათებს უყურებდა ჩაფიქრებული და უგულოდ დამიქნია თავი.

– არ არის ცუდი იდეა. ჰმმ...

ყურადღებით შევხედე იმას, რამაც მისი დაინტერესება გამოიწვია.

– შეხედე მის გადატანილ ტრამვებს. რამდენჯერ დაუვარდა დედამისს?

საკუთარ ხუმრობაზე გაეცინა.

– ნელნელა ვრწმუნდები, რომ ეს გოგო მოსიარულე უბედურებაა. ყოველთვის არასწორ ადგილზე, არასაჭირო დროს.

– ფორქსი ნამდვილად არაშესაფერისი ადგილია მისთვის, რადგან შენ ხარ აქ. შევეცადე პასუხისთვის თავი ამერიდებინა.

– წადი ყველაფერი მოაგვარე, მალე შემოგიერთდება.

სასწრაოდ შევბრუნდი და უკან მიმღებისკენ წავედი. როგორც ჩანს ტყუილის თქმა კარგად გამომდიოდა, რადგან კარლაილის შეცდომაში შეყვანა მოვახერხე. მიმღებში შესულმა დავინახე, რომ ტაილერი ჯერ კიდევ ბოდიშს იხდიდა, გოგონა კი ცდილობდა თავი მოეჩვენებინა, ვითომ ეძინა. თვალები დახუჭული ქონდა, მაგრამ მის სუნთქვაში ნერვიულობა იგრძნობოდა, ხანდახან კი თითები უთამაშებდა მოუთმენლობისგან.

საკმაოდ დიდ ხანს ვუყურებდი მის სახეს. უკანასკნელად ვხედავ. ამ აზრისგან მკერდში გამჭოლი ტკივილი ვიგრძენი, რადგანაც ვერ ვიტანდი, როცა საიდუმლო ამოუხსნელი მრჩებოდა? ეს ნამდვილად არ იყო შესაფერისი ახსნა.

ბოლოს ღრმად ჩავისუნთქე და მივუახლოვდი, ისე რომ, მათ დავენახე.

ტაილერმა შემნიშნა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თითი ტუჩებთან მივიტანე და ვანიშნე გაჩუმებულიყო.

– ძინავს? – ჩურჩულით ვთქვი.

ბელამ მაშინვე გაახილა თვალები და შემომხედა. თვალები გაუფართოვდა, შემდეგ კი ისევ დაუწვრილდა, სიბრაზისგან ან ეჭვისგან. გამახსენდა, რომ ჩემი როლი უნდა მეთამაშა, თითქოს დილით არაფერი გასაკუთრებული მომხდარა, მხოლოდ თავის დარტყმისა და ცოტა კონტროლდაკარგული სიტუაციისა.

– გამარჯობა ედვარდ. – მითხრა ტაილერმა. – მართლა ძალიან ვწუხვარ...

ხელი ავწიე, რათა შემეჩერებინა.

– არაა სისხლი, არაა დანაშაული. – სიცილით წარმოვთქვი.

ვერ მოვზომე და საკმაოდ ფართოდ გავიღიმე საკუთარ ხუმრობაზე.

საკვირველად ადვილი იყო ტაილერის ღია ჭრილობიდან წამოსული სისხლის სუნის იგნორირება, რომელიც ჩემგან ოთხ ნაბიჯში იწვა. ვერასოდეს ვიგებდი, როგორ გამოსდიოდა ეს კარლაილს – არ მიეძვია ყურადღება პაციენტის სისხლისთვის. ნუთუ სახიფათო არ იყო მუდმივი სიახლოვე? მაგრამ... ახლა მივხვდი, რომ როცა საკმაოდ მობილიზებული ხარ სხვა რამეზე, სიახლოვე არაფერია.

ტაილერის ღია ჭრილობა და სისხლი არაფერი იყო ბელას სისხლთან შედარებით.

ვეცადე გოგონასგან დისტანცია დამეცვა და ტაილერის ფეხებთან მატრასზე ჩამოვჯექი.

– როგორია განაჩენი? – შევეკითხე ბელას.

ტუჩი მოიკვნიტა.

– ყველაფერი კარგად არის, მაგრამ რატომღაც არ მაძლევენ წასვლის საშუალებას.

შენ რატომ არ გაიარე შემოწმება ჩვენსავით?

მისმა მოუთმენლობამ ღიმილი მომგვარა.

კარლაილი უკვე დერეფანში იყო.

– ყველაფერი ნაცნობობაზეა დამოკიდებული. – წარმოთქვი თავისუფლად. –

მაგრამ ნუ ნერვიულობ, მოვედი, რათა მოგინახულოთ.

ფრთხილად ვაკვირდებოდი მის რეაქციას, როცა მამაჩემი პალატაში შემოვიდა.

თვალეები გაუფართოვდა და ყბა მოექცა მოულოდნელობისგან. ჩუმად ამოვისუნთქე.

ჰო, ნამდვილად შენიშნა მსგავსება.

– აბა, მისს ვონ, თავს როგორ გრძნობთ? – შეეკითხა კარლაილი. მას საოცრად

დამამშვიდებელი ხმა ჰქონდა, რაც პაციენტების უმრავლესობაზე საჭირო მომენტში

დამაწყნარებლად მოქმედებდა. არ შემეძლო გაგება, როგორი ეფექტი მოახდინა ამ

ხმამ ბელას შემთხვევაში.

– კარგად ვარ. – ჩუმად წარმოთქვა მან.

კარლაილმა მისი სურათები მანათობელ სტენდზე მიამაგრა მის საწოლთან.

შენი სურათები კარგ შედეგს გვაჩვენებენ. თავი არ გტკივა? ედვარდმა მითხრა

რომ საკმაოდ ძლიერად დაგირტყამს.

გოგონამ ამოისუნთქა.

– კარგად ვარ. – გაიმეორა. მაგრამ ამჯერად მის ხმაში მოუთმენლობა

იგრძნობოდა და მაშინვე შემომხედა.

კარლაილი მიუახლოვდა და საკმაოდ დიდ ხანს სინჯავდა მის თავს თითებით,

სანამ თმებში კოპი არ აღმოაჩინა.

ემოციების ტალღა მოულოდნელად დამეჯახა.

ბევრჯერ მინახავს, როგორ მუშაობდა კარლაილი ადამიანებთან. დიდი ხნის წინ

მეც ვმუშაობდი მასთან ერთად, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საქმე

სისხლს არ ეხებოდა. შესაბამისად ეს სიახლე არ იყო – როგორ სინჯავდა გოგონას,

თითქოს ისიც მასავით ადამიანი იყო. უამრავჯერ შემშურებია მისი

თვითკონტროლის, მაგრამ ეხლანდელი ემოცია არაფრით გავდა უწინდელს.

შემშურდა მისი თვითკონტროლის. ასევე დავინახე ჩვენს შორის სხვაობა, მას შეეძლო

გოგონას შეხებოდა, ფრთხილად და უშიშრად, იცოდა არაფერს დაუშავებდა.

გოგონამ ამოისუნთქა, კონცენტრირებამ მომიწია, რათა ჩემი უდარდელი შეხედულება შემენარჩუნებინა.

– გტკივა? – შეეკითხა კარლაილი.

კბილები აუკანკალდა.

– ცოტა. – უპასუხა.

კიდევ ერთი მისი ხასიათის შტრიხი ამოვიცანი. ის მამაცი იყო. არ უყვარდა სისუსტის გამოჩენა.

შესაძლებელია ის – ყველაზე უსუსური ადამიანი იყო მათ შორის, ვინც შემხვედრია, და არ უნდოდა ამის სააშკარაოზე გამოტანა. გამეცინა.

კიდევ ერთი მზერა მესროლა.

– კარგი. – თქვა კარლაილმა. – მამაშენი მოსაცდელში გელოდება, შეგიძლია სახლში წახვიდე, მაგრამ აუცილებლად დაბრუნდი, თუ კი თავბრუსხვევას ან რამე პრობლემას აღმოაჩენ.

მამამისი აქ იყო? უამრავი ხალხი შეკრებილიყო მოსაცდელში, ვეცადე მისი ჩუმი აზრები წამეკითხა, მაგრამ ვერ შევძელი მისი ხმის გარჩევა. გოგონა ალაპარაკდა. მისი ხმაში ნერვიულობა იგრძნობოდა.

– შემიძლია სკოლაში დავბრუნდე?

– მგონი აჯობებს დღეს დაისვენო. – შესთავაზა კარლაილმა.

მისი თვალები ისევ ჩემთან დაბრუნდნენ.

– ის დაბრუნდება სკოლაში?

დამშვიდდი, საქმეები მოაგვარე... დაივიწყე, როგორ გრძნობ თავს, როცა ის გიყურებს.

– ვილაცამ აუცილებლად უნდა გააგებონოს ხალხს სკოლაში, რომ გადარჩი. – ვუთხარი.

– საერთოდაც. – გამაწყვეტინა კარლაილმა. – სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა მოსაცდელში არიან.

ამჯერად გამოვიცანი, როგორი იქნებოდა მისი რეაქცია – ვერ იტანდა ყურადღების ცენტრში ყოფნას. ამან არ გამაკვირვა.

– ო არა. – ამოიკვნესა და სახე ხელებში ჩარგო.

როგორც ჩანს ამჯერად გამოვიცანი. მის გაგებას ვიწყებდი.

– გინდა დარჩე? – შეეკითხა კარლაილი.

– არა, არა. – წარმოთქვა სწრაფად. წამოდგომას შეეცადა, მაგრამ მანამდე

ჩამოსრიალდა, სანამ მისი ფეხები იატაკს შეეხებოდა. წაიბორძიკა და წონასწორობა დაკარგული პირდაპირ კარლაილის ხელებში აღმოჩნდა, მან კი დაიჭირა და ფეხზე წამოაყენა.

ისევ ვიგრძენი შური.

– კარგად ვარ. – დაასწრო ბელამ, სანამ კარლაილი რამეს ეტყოდა. ვარდისფერმა გადაჰკა მის სახეს.

რათქმა უნდა ამას კარლაილი არ აუღელვებია, დარწმუნებულმა იმით, რომ გოგონა მყარად იდგა ფეხზე, ხელი გაუშვა.

– ტაილენოლი დალიე, რათა ტკივილი გაგიჩერდეს. – დაარიგა მან.

– ასე ძალიანაც არ მტკივა.

კარლაილმა გაიღიმა, როცა მისი გულის რითმი იგრძნო.

– როგორც ჩანს, შენ ნამდვილად იღბლიანი ხარ.

ოდნავ შემოტრიალდა სახით ჩემსკენ და შემომხედა. – ეს იმიტომ, რომ ედვარდი ჩემს გევრდით აღმოჩნდა.

– ოჰ, დიახ. – სასწრაფოდ დაეთანხმა კარლაილი, მანაც გაიგონა გოგონას ხმაში, რომ თავის თეორია ჯერ კიდევ არ შეუცვლია. ჯერ კიდევ.

– შენი ჯერია. – გაიფიქრა კარლაილმა. – ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ თვლი.

– დიდი მადლობა. – იმდენად ჩუმად და სწრაფად ჩავილაპარაკე, ვერცერთი

ადამიანი ვერ შეძლება ამის გაგონებას. ჩემს ხმაში გაგონილმა სარკაზმზე კარლაილის ტუჩები ღიმილისგან აეწია და ტაილერისკენ შებრუნდა. – ვშიშობ, ჩვენთან მოგიწევთ

დარჩენა. – უთხრა როცა მის, შუშისგან მიყენებულ ჭრილობას შეხედა.

ნუ, რამდენადაც ეს ყველაფერი მე დავიწყე, მევე უნდა დამეღწია თავი.

ბელა ჩემსკენ წამოვიდა, რაღაცას ფიქრობდა, მანამდე არ შეჩერებულა, სანამ ჩემთვის არასასიამოვნო დისტანციაზე არ მომიახლოვდა. გამახსენდა, როგორ ვიმედოვნებდი, რომ ჩემთან მოვიდოდა ამ შემთხვევამდე... ეს ყველაფერი იმ სურვილის დაცინვას გავდა.

– შეიძლება ერთი წუთით? – ჩაისისინა.

მისი თბილი სუნთქვა სახეზე მომელამუნადა უკან დავიხიე. მისი ზემოქმედება ჩემზე ოდნავადაც არ შემცირებულა. ყოველთვის, როცა ჩემს გვერდით აღმოჩნდებოდა, ჩემში ყველაზე საშინელი ინსტინქტები იღვიძებდნენ. პირი შხამით ამევსო, სხეული ნახტომისათვის მოემზადა, რათა ხელი მეტაცა და მის ყელში ჩამესო კბილები.

ჩემი გონება სხეულზე ძლიერი იყო, მაგრამ მხოლოდ ახლა.

– მამაშენი გელოდება. – შევახსენე და მკაცრად მოვკუმე პირი.

უკან გაიხედა, კარლაილს და ტაილერს შეხედა. ტაილერი არანაირ ყურადრებას არ გვაქცევდა, კარლაილი კი – ჩემს თითოეულ ამოსუნთქვას უთვალთვალავდა.

– ფრთხილად, ედვარდ.

– მინდოდა პირისპირ დაგლაპარაკებოდი. თუ წინააღმდეგი არ იქნები. –

დაიჟინა, ხმას აუწია.

მინდოდა მეტყვა, რომ ძალიანაც წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ ბოლოს მაინც მომიწევდა ამის გაკეთება.

უამრავი გაუგებარი ემოცია ტრიალებდა ჩემში, როცა ოთახიდან გავდიოდი და ჩემს უკან მის ნაბიჯებს ვუსმენდი. ცდილობდა არ ჩამომრჩენოდა.

სცენის გათამაშება მომიწევდა. ვიცოდი, რა როლიც უნდა მეთამაშა, პერსონაჟიც მოვიფიქრე – არამზადა ვიქნები. უნდა მომეტყუებინა და დამეცინა, სასტიკი ვიქნებოდი.

იმ ყველა საუკეთესო განზრახვის წინააღმდეგ მივდიოდი, რაც ამ წლების მანძილზე გროვდებოდა. არასოდეს მდომებია ასე ძლიერად ნდობის მოპოვება, ვიდრე ახლა, როცა აუცილებელი ამ ყველაფრის განადგურება.

ყველაფერს ართულებდა ფიქრი იმის შესახებ, რომ ეს მისი ბოლო მოგონება იქნებოდა ჩემს შესახებ. ეს იქნება ჩემი გამოსამშვიდობებელი სცენა. მისკენ შევბრუნდი.

– რა გინდა? – ვკითხე ცივად.

ჩემმა არაკეთილგანწყობამ უკუაგდო. მის თვალებში შეშფოთება იკითხებოდა. გამომეტყველება რომელიც მომწონდა...

– შემპირდი, რომ ამიხსნიდი. – ჩუმად მიპასუხა და სპილოსძვლიფერი სახე გაუფითრდა.

ძალიან რთული გახდა ლაპარაკის მკაცრი ტონით გაგრძელება.

– მე შენ სიკვდილს გადაგარჩინე, ასე რომ არაფერში არ ვარ ვალდებული.

შეცბა. – ვხედავდი, ჩემი სიტყვები მომწამვლელი წვიმასავით მოქმედებდა მასზე.

– შენ შემპირდი. – დაიჩურჩულა.

– ბელა, თავი დაარტყი, ვერ ვხვდები რას გულისხმობ.

ნიკაპი ასწია.

– ჩემს თავთან ყველაფერი წესრიგშია.

ახლა ის გაბრაზებული იყო, რაც ჩემს ამოცანას აიოლებდა. მის მზერას შევხვდი და სახე უფრო სასტიკი გამიხდა.

– რა გინდა ჩემგან, ბელა?

– მინდა სიმართლე ვიცოდე, მინდა ვიცოდე რატომ ვიტყუები შენს გამო.

ერთადერთი, რაც მას უნდოდა – სიმართლე, რამაც უფრო მეტად დამარწმუნა მისთვის უარი მეტყვა.

– შენი აზრით რა მოხდა? – თავი შევიკავე, რომ მისთვის არ დამეღრინა.

– ერთი რაც ვიცი, ის არის, რომ შენ ჩემს გვერდით არ ყოფილხარ. ტაილერსაც არ შეუმჩნევეხარ, ამიტომ არ მითხრა, რომ თავის ტრამვის ბრალია. ფურგონი დაგვეჯახებოდა, მაგრამ ვერ შეძლო, შენმა ხელებმა კი კვალი დატოვა მის ფრთაზე. ასევე კვალი დარჩა სხვა მანქანასაც, შენ კი საერთოდ არაფერი დაგშავებია. შემდეგ კი მანქანას ჩემთვის ფეხებზე უნდა გადაეველო, შენ კი ის გეჭირა... – მოულოდნელად გაჩუმდა, ტუჩები მოკუმდა და მის თვალებში გულწრფელი ცრემლები აკიაფდნენ. ვუყურებდი, ჩემი სახე გესლიან სიცილს გამოხატავდა, თუმცა სინამდვილეში შიშს ვგრძნობდი. მან ყველაფერი დაინახა.

– შენ ფიქრობ, რომ ფურგონი ავწიე? – სარკასტულად ჩავვეკითხე.

თავი დამიქნია.

ხმა უფრო დამცინავი გამიხდა.

– არავინ დაგიჯერებს, ხომ იცი.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა სიბრაზე დაეოკებინა. ხოლო როცა მიპასუხა, სიტყვებს გარკვევით წარმოთქვამდა და თითოეულ მათგანზე ფიქრობდა.

– არ ვაპირებ არავისთვის თქმას.

ის მართალს ამბობდა. ეს მის თვალებში დავინახე. მიუხედავად პირობის გატეხვისა და ტყუილისა მაინც შემინახავდა საიდუმლოს.

რატომ?

ამ ყველაფერმა, ჩემი გულმოდგინედ მორგებული ნიღაბი დაარღვია, მაგრამ მალევე მოვეგე გონს.

– მაშინ რა მნიშვნელობა აქვს? – ვკითხე და ვცდილობდი მკაცრი ტონის შენარჩუნებას.

– ამას ჩემთვის აქვს მნიშვნელობა. – დარწმუნებით მიპასუხა. – არ მიყვარს ტყუილი, ამიტომ კარგი მიზეზი უნდა არსებობდეს, რომ ასე მოვიქცე. ნდობას მთხოვდა. როგორ მინდოდა, რომ ჩემთვის დაეჯერებინა. მაგრამ არსებობდა წინააღმდეგობა, რომელსაც ვერ გადავლახავდი.

ჩემი ხმა უხეში რჩებოდა.

– არ შეგიძლია, უბრალოდ მადლობა გადამიხადო და დაივიწყო ამის შესახებ?

– მადლობთ. – მიპასუხა. ჩუმად ბრაზობდა და გაგრძელებას ელოდა.

– ამის ასე დატოვებას არ აპირებ?

– არა.

– და კიდევ... – არ შემეძლო მისთვის სიმართლე მეთქვა, მაშინაც კი რომ

მდომოდა... მაგრამ არ მინდოდა. უკეთესი იყო საკუთარი თეორია ჰქონოდა, ვიდრე

ცოდნოდა ვინ ვიყავი სინამდვილეში, რადგანაც არაფერი იქნებოდა სიმართლეზე

უარესი... მე ცოცხალი ღამის კომმარი ვიყავი. პირდაპირ საშიში ზღაპრებიდან

გადმოსული. – იმედი მაქვს გულს არ გაიტეხავ.

მოდუმულები ვუყურებდით ერთმანეთს. მისი მძვინვარება უჩვეულო იყო.

როგორც გაბრაზებული კნუტი, რბილი და უწყინარი, დაურწმუნებელი.

გაწითლდა და პირი მოკუმა.

– საერთოდ რატომ გაწუხებს ეს?

მისი კითხვა არ იყო იმ სიაში რისთვისაც პასუხები მქონდა მზად. გავოცდი და

საკუთარი როლიდან გამოვედი. ვგრძნობდი, როგორ მომშორდა ნიღაბი სახიდან და

ამჯერად სიმართლე ვუთხარი.

– არ ვიცი...

ბოლოჯერ ჩავიბეჭდე მისი სახე გონებაში – ჯერ კიდევ გაბრაზებული,

აწითლებული ლოყები, შემდეგ კი შევბრუნდი და წავედი.

4 თავი

ხილვა

სკოლაში დავბრუნდი, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო – ასე ყურადღებას

ნაკლებად მივიქცევდი.

დღის ბოლოს თითქმის ყველა მოსწავლე დაბრუნდა სკოლაში. მხოლოდ

ტაილერი, ბელა და კიდევ რამდენიმე სტუდენტი არ მოსულან, ისინი ვინც

ისარგებლა შემთხვევით.

რთული არ იყო სწორი არჩევანის გაკეთება, მაგრამ მთელი დღე კბილს კბილზე ვაჭერდი, რათა მომეთმინა, გაკვეთილები არ გამეცდინა და გოგონას მოსაძებნად არ წავსულიყავი.

როგორც მდევარი, ჩვეულებრივი მდევარი, ვამპირი მდევარი...

გასაოცარი იყო, სკოლა იმაზე მეტად მოსაწყენი გამხდარიყო, ვიდრე ერთი კვირის წინ. თითქოს ჩამწვარიყო ყველა ფერი, აგურებზე, ცაზე, ხეებზე, ჩემს ირგვლივ არსებულ სახეებზე... კედელზე არსებულ ნახეთქებს მივჩერებოდი. იყო მეორე საქმე რაც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ... არ გავაკეთე. რა თქმა უნდა ესეც არასწორი იქნებოდა. ეს დამიკიდებული იყო იმაზე, ვინც მიყურებდა.

ქალებების მხრივ, არა როგორც ვამპირების, არამედ, როგორც ქალების, რომლებიც ერთ ოჯახს წარმოადგენდნენ, ესოდენ უცნაურ წარმონაქმნს ამ სამყაროში, მართალი იქნებოდა თუ კი დაახლოებით ასე მოვიქცეოდი:

– გაოცებული ვარ, თქვენი ხილვით გაკვეთილებზე ედვარდ, გავიგე, თქვენც მონაწილეობდით იმ საშინელ შემთხვევაში დილით.

– დიახ, მისტერ ბენერ, მაგრამ გამიმართლა. – მეგობრული ღიმილი. – არ დავშავებულვარ... ვწუხვარ, რომ არ შემიძლია იგივე ვთქვა ტაილერზე და ბელაზე.

– როგორ არიან?

– ვფიქრობ ტაილერი კარგადაა, მხოლოდ რამდენიმე ზედაპირული განაკაცრი და ასევე საქარე მინის რამდენიმე ნამსხვრევი. თუმცა ბელას შემთხვევაში დარწმუნებული არ ვარ – დანანებული მოღუშული გამოხედვა. – შეიძლება ტვინის შერყევა ქონდეს. გავიგონე არეულად ლაპარაკობდა საგნებზე, რომლებსაც ხედავდა. ვიცი, რომ ექიმი ნერვიულობდა...

ასე უნდა მოვქცეულიყავი. ვალდებული ვიყავი ჩემი ოჯახის წინაშე.

– გაოცებული ვარ, თქვენი ხილვით გაკვეთილებზე ედვარდ, გავიგე, თქვენც მონაწილეობდით იმ საშინელ შემთხვევაში დილით.

– არ დავშავებულვარ – უემოციო გამომეტყველება.

მისტერ ბენერი შეიშმუნა.

– რამე ცნობა გაქვთ როგორ გრძნობენ თავს ტაილერი და ბელა? გავიგე ტრამპები მიუღიათ.

მხრები ავიჩიჩე.

– არ ვიცი.

მისტერ ბენერმა ჩაახველა.

– ეეე... კარგი... – ჩემმა ცივმა გამოხედვამ, მის ხმას რიხი დაუკარგა.

სწრაფად შებრუნდა დაფისკენ და ლექცია დაიწყო.

ეს იყო არასწორი გზა, თუ შენ არასწორი მხრიდან უყურებდი.

ეს ყველაფერი უმადურობა იყო – ცილი დასწამო გოგონას ზურგს უკან,

მითუმეტეს, როცა ის მეტ ნდობას იმსახურებდა, ვიდრე მოველოდი. მას არაფერი

უთქვამს ისეთი რაც დამაზარალებდა, მითუმეტეს ამისთვის მიზეზი მივეცი. მე კი

ვულალატე, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფერი გაუკეთებია და საიდუმლო

შემინახა.

თითქმის იგივე საუბარი განმეორდა მისის გოფთან, ოღონდ ამჯერად

ესპანურად და არა ინგლისურად. ემეტი დაჯინებით მიყურებდა.

– იმედი მაქვს კარგი ახსნა გაქვს დღევანდელის შესახებ. როუზი გაცოფებულია.

თვალეები მივლულე.

საერთოდაც, საკმაოდ კარგი ახსნა მოვიგონე. უბრალოდ უნდა წარმოედგინათ

რა მოხდებოდა, თუ კი არაფერს მოვიმოქმედებდი და გოგონას მანქანა

დაეჯახებოდა... ეს აზრი გონებიდან განვდევენე. მაგრამ თუ კი ის დაშავდებოდა და

მისი სისხლი გამოუვიდოდა, წითელი სითხე, რომელიც ასფალტზე დაიღვრებოდა,

ხოლო მისი სუნით ჰაერი გაიჟღინთებოდა...

შევცბი, არა მხოლოდ საშინელებისგან, არამედ სურვილისგან. არა, მე არ

შემემლო მისთვის შემეხედა, სისხლისგან რომ იცლებოდა და მაშინვე არ

გამომეყლავენებინა ჩვენი თავი, ყველაზე საშინელი მხრით.

ეს არაჩვეულებრივი გასამართლებელი საბუთი იყო... მაგრამ მას არ

გამოვიყენებდი. ეს საკმაოდ დიდი სირცხვილი იქნებოდა ჩემთვის.

და მე არ ვფიქრობდი ამაზე, ვიდრე სხვა რაღაცამ არ მიიქცია ჩემი ყურადღება.

– მოუსმინე ჯასპერს. – განაგრძო ემეტმა, ყურადღებას არ აქცევდა ჩემს ოცნებებს.

– ის იმდენად გაბრაზებული არ არის, რამდენადაც დარწმუნებული.

და დავინახე ის, რასაც გულისხმობდა. იმ წამსვე თვალწინ ოთახი დატრიალდა.

ჩემი გაბრაზება იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ თვალები წითლად დამენისლა.

მეგონა ვიგუდებოდი.

– ჩშშშ. ედვარდ! თავი ხელში აიყვანე! – მიყვიროდა ემეტი ფიქრებში. მისი ხელი

მანამდე შემეხო და გამაჩერა სკამზე, ვიდრე ფეხზე წამოვხტებოდი. ხშირად არ

იყენებდა თავის სრულ ძალას, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. ის ყველა ვამპირზე

ძლიერი იყო, ვისაც კი როდესმე შევხვედროდი. ემეტმა ახლა თავისი ძალა

მთლიანად გამოიყენა. იმდენად ძლიერად უჭერდა ჩემს მხარს, რომ იგივე ძალით

რომ მთლიანად ჩემთვის დაეჭირა, სკამს რომელზეც ვიჯექი, გავტეხავდი.

– მშვიდად! – მარწმუნებდა.

ვეცადე დავმშვიდებულიყავი, მაგრამ რთული იყო. გაშმაგება მიწვავდა გულს.

– ჯასპერი არაფრის გაკეთებას არ გეგმავს, სანამ ყველანი არ დავილაპარაკებთ.

უბრალოდ ვიფიქრე, რომ მისი აზრები უნდა გცოდნოდა.

ვეცადე დავმშვიდებულიყავი და ვიგრძენი ემეტის ხელი როგორ შერბილდა.

– ეცადე კიდევ არ მოაწყო რამე წარმოდგენა, ისედაც საკმარისად გაქვს

პრობლემები.

ღრმად ჩავისუნთქე და ემეტმა ხელი გამიშვა.

პირველ რიგში კლასს მოვავლე თვალი. ჩვენი მოქმედება იმდენად სწრაფი და

ჩუმი იყო, რომ თითქმის არავის შეუმჩნევია, რამდენიმე სტუდენტის გარდა,

რომელიმაც ემეტის უკან ისხდნენ. თუმცა არც მათ მიუქცევიათ ყურადღება.

ქალები არანორმალურები იყვნენ – ყველამ იცოდა.

– დასწყევლოს, ედვარდ, შენ პრობლემებს იქმნი. – დაამატა ემეტმა თანაგრძნობით.

– მიკვინე. – ჩავიჩურჩულე ამოსუნთქვასთან ერთად და მისი ჩაცინებაც გავიგონე.

ემეტი თავის უკმაყოფილებას არ გამოხატავდა და მის მიმართ ასეთი უმადური არ უნდა ვყოფილიყავი. ვხედავდი, ჯასპერი როგორ აკონტროლებდა მის ხასიათს და მოქმედების გეგმას აწყობდა.

გაშმაგება მიდულდა და ძლივს ვიკავებდი თავს. მიუხედავად იმისა, რომ ემეტი ჩემზე ძლიერი იყო, ვერცერთხელ ვერ შეძლო ჩემი დამარცხება. ის თვლიდა, რომ მე ვიტყუებოდი, რადგან მისი ფიქრების ამოკითხვა შეემძლო, შესაბამისად, ისინი ისევე მეკუთვნოდნენ მე, როგორც მას, საკუთარი ძალა..

ბრძოლა? იყო კი ეს მთავარი? ვაპირებდი ჩემს ოჯახს დავპირისპირებოდი იმ გოგონას გამო, რომელსაც ძლივს ვიცნობდი.

რამდენიმე წამით ჩემი ფიქრები ამ აზრებმა დაიკავა – ვფიქრობდი სათუთ ადამიანურ სხეულზე ჩემს ხელებში და ვადარებდი ჯასპერს, როუზს და ემეტს – ბუნებრივად ძლიერებს და სწრაფ მომაკვდინებელ მანქანებს.

ჰო, მისთვის ვიბრძოლებდი. ჩემი ოჯახის წინააღმდეგ, ამ ფიქრმა შემაკვროთ.

არასწორი იქნებოდა მისი დაუცველად დატოვება, მითუმეტეს ჩემს გამო აღმოჩნდა საფრთხის წინაშე.

არ შეემძლო მარტო სამივეს დამარცხება, ამიტომ მჭირდებოდა იმის ცოდნა, ვინ დადგებოდა ჩემს მხარეს.

რა თქმა უნდა კარლაილი. ის არავის წინააღმდეგ არ იბრძოლებდა, მაგრამ როუზის და ჯასპერს შეეწინააღმდეგებოდა. შეიძლება ეს საკმარისი იყოს. ვნახოთ...

ასევე ესმე. ის ჩემს წინააღმდეგ არ წავა, ასევე ვერ იტანს კარლაილთან

შეწინააღმდეგებას, მაგრამ ამასთანავე ნებისმიერ იდეას დაუჭერს მხარს, რომელიც

ოჯახის მთლიანობას არ დაარღვევს. მისი პრიორიტეტი მე ვიყავი და არა სამართლიანობა. თუ კარლაილი ოჯახის სული იყო, ესმე გული გამოდიოდა. ის ჩვენი ლიდერი იყო, რომელსაც ღირდა გავყოლოდით. მას სიყვარული მოჰქონდა. ჩვენ ყველას ერთმანეთი გვიყვარდა. გაშმაგების დროსაც, რომელსაც ახლა განვიცდიდი ჯასპერისა და როუზის მიმართ, მაშინაც როცა მათთან ბრძოლას ვგეგმავდი, გოგონას დასაცავად, ვიცოდი, რომ ისინი მიყვარდა.

ელისი... წარმოდგენა არ მაქვს, ყველაფერი დამოკიდებული იქნება რას დაინახავს მომავალში. ალბათ გამარჯვებულის მხარეს დაიჭერს.

ამგვარად მე მარტო უნდა მებრძოლა, ყველას დახმარების გარეშე ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძალები თანაბარი არ იქნებოდა. მაგრამ არ დავუშვებ, რომ გოგონას ჩემს გამო პრობლემები შეექმნეს.

ჩემი გაბრაზება ნელნელა ჩაცხრა, ყველაფერი ბოროტ ხუმრობას დაემსგავსა. წარმომედგინა, როგორი რეაქცია იქნებოდა გოგონას, როცა მოვიტაცებდი.

დაახლოებით წარმომედგინა – დაახლოებით ისევე, როგორც გატაცება გამოსასყიდის გამო.

არ ვიყავი დარწმუნებული, როგორ მოვახერხებდი გოგონას გატაცებას, რადგანაც არ შემემლო მის გვერდით დიდ ხანს გაჩერება. შესაძლებელია ის უკან, დედასთან დამებრუნებინა, მაგრამ ესეც სახიფათო იქნებოდა მისთვის.

მოულოდნელად მივხვდი, რომ არა მარტო მისთვის იქნებოდა სახიფათო. მე რომ მომეკლა შემთხვევით... ზუსტად არ ვიყავი დარწმუნებული, რამხელა ტკივილს მომაყენებდა ეს, მაგრამ აუცილებლად ყოვლისმომცველი და განმგმირავი იქნებოდა.

დრო სწრაფად გავიდა, სანამ ყველა ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულ მოქმედებას განვიხილავდი: კამათი, რომელიც სახლში მელოდა, კონფლიქტი ჩემს ოჯახთან, გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ უნდა მიმელო...

მაგრამ, აღარ მომიწევდა წუხილი, რომ სკოლის გამო დანაწევრებული ცხოვრება, აბსოლუტურად მოსაწყენი იყო. გოგონამ ბევრი რამ შეცვალა.

ზარი დაირეკა და მე და ემეტი ჩუმად გავემართეთ მანქანისკენ. ჩემსა და როზალის გამო ნერვიულობდა. იცოდა ვისი მხარეც უნდა დაეჭირა კამათისას, და ამის გამო წუხდა.

დანარჩენები მანქანაში მელოდნენ და სიჩუმეს ინარჩუნებდნენ. ყველანი ძალიან ჩუმები ვიყავით, მხოლოდ მე მესმოდა ყვირილი.

– იდიოტი! გადარეული! ჭკუასუსტი! რეგვენი! ეგოისტი უპასუხისმგებლო სულელი! – როზალი აგრძელებდა მთელი ხმით ყვირილს გონებაში. რთული იყო სხვების მოსმენა და ვეცადე უკუმეგდო მისი აზრები, რამდენადაც შევძლებდი ემეტი მართალი იყო, ჯასპერი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში.

ელისი ღელავდა. ჯასპერზე ნერვიულობდა და მომავალში იყურებოდა. არ ქონდა მნიშვნელობა როგორ მიუახლოვდებოდა გოგონას, იქ ყოველთვის მხედავდა მე, მის წინააღმდეგ მდგომს. საინტერესოა... არც როზალი და არც ემეტი არ იყვნენ ამ ხილვაში. ე.ი ჯასპერი მარტო გეგმავდა მოქმედებას. ეს საქმეს ამარტივებდა.

ჯასპერი ჩვენს შორის ყველაზე გამოცდილი და ყველაზე ძლიერი მებრძოლი იყო. ჩემი ერთადერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ შემეძლო მისი სვლები მანმადე გამომეცნო, სანამ მოასწრებდა მათ შესრულებას.

არასოდეს მიბრძოლია ნამდვილად, მხოლოდ ჯასპერთან და ემეტთან ერთად ვთამაშობდი. იმის გაფიქრებაც კი მტკუნდა, რომ მომიწევდა ჯასპერი დამეშავებინა... არა, არა მხოლოდ შეჩერება, არამედ... ეს დასასრული იყო.

ელისზე მქონდა კონცენტრირება. ვიხსენებდი, როგორ აპირებდა ჯასპერი თავის ჩანაფიქრის შერულებას.

როგორც კი ეს გავაკეთე, ელისის ხილვები მაშინვე შეიცვალა... სულ უფრო შორდებოდა სვონების სახლს. შემეძლო მისი შეჩერება, ვიდრე იქამდე მიაღწევდა...

– შეწყვიტე ედვარდ! არ შეიძლება ეს ასე მოხდეს. ამას არ დავუშვებ!

არაფერი ვუპასუხე, უბრალოდ ყურება გავაგრძელე.

განაგრძო გაურკვეველ მომავალში ქექვა. უზუსტობის სამეფოში ცდილობდა

გზის გაგნებას. ყველაფერი დანისლული და გაურკვეველი იყო.

სახლისკენ მიმავალი გზა, სიჩუმით იყო გაჟღენთილი. რომელიც აუცილებლად დაირღვეოდა. მანქანა დიდ ავტოფარეხში გავაჩერე; კარლაილის მერსედესი იქავე იდგა. ემეტის დიდი ჯიპის, როზალის M3 და ჩემი ასტონ მარტინის გვერდით.

მიხაროდა, რომ კარლალი სახლში იყო. ეს სიჩუმე კატასტროფით დასრულდებოდა და მინდოდა, რომ ის ჩემს გვერდით ყოფილიყო.

პირდაპირ სასადილო ოთახში შევედით.

ოთახი, სადაც დიდი ოვალური, წითელი ხისგან გაკეთებული, სკამებით გარშემორტყმული მაგიდა იდგა, რა თქმა უნდა არასოდეს გამოიყენებოდა დანიშნულებისამებრ. ყოველთვის წესიერად ვიქცეოდით ამ ნივთებთან მიმართებაში. კარლაილს უყვარდა ამ ოთახის გამოყენება, როგორც სათათბირო დარბაზის. ამდენი ძლიერი და არაორდინალური პერსონის ერთად ყოფნის მიუხედავად, ხანდახან აუცილებელი იყო მაგიდასთან წყნარად განგვებილა ზოგიერთი საკითხი.

ვიგრძენი, რომ დღეს ეს არ დამეხმარებოდა.

კარლაილი თავის ჩვეულ ადგილზე დაჯდა, აღმოსავლეთით. ესმე მის ახლოს.

ხელები მაგიდაზე ეწყობ.

ოქროსფერი, ღრმა, ნერვიულობით სავსე ესმეს თვალები ჩემსკენ იყო მომართული.

– დარჩი! – ეს იყო მისი ერთადერთი ფიქრი.

ძალიან ვწუხდი, რომ არ შემეძლო გამედიმა ქალისთვის, რომელიც დედად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა არ ვიყავი მასში დარწმუნებული.

კარლაილის მეორე მხარეს დავჯექი. ესმემ ხელი აწია და მხარზე დამადო. მას წარმოდგენა არ ქონდა რა ხდებოდა, უბრალოდ ჩემზე ნერვიულობდა.

კარლაილმა ყველაზე კარგად იცოდა რაც ხდებოდა. ტუჩები მოკუმული ქონდა, შუბლზე ნაოჭი გასჩენოდა. სახის გამომეტყველება ძალიან სერიოზული ქონდა.

როგორც კი ყველა დასხდა, დავინახე, რომ როლები შეცვლილიყო.

როზალი, გრძელი მაგიდის მეორე ბოლოში კარლაილის პირისპირ იჯდა, და მზერით მზურღავდა, ერთი წამითაც არ მაცილებდა თვალს.

მის გვერდით ემეტი იჯდა, მისი სახის გამომეტყველება და ფიქრები

ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ.

ჯასპერი ყოყმანობდა, შემდეგ კი წავიდა და როზალის უკან, კედელთან დადგა.

მას ყველაფერი გადაწყვეტილი ქონდა, მიუხედავად ამ ლაპარაკის შედეგისა.

კბილები ერთმანეთზე დავაჭირე.

ელისი უკანასკნელი იყო ვინც ოთახში შემოვიდა. მისი თვალები სადღაც შორს

იყო მიპყრობილი – მომავალში, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანი იყო, რათა მისი

გამოყენება შეძლებოდა. ისე რომ ფიქრი არ შეუწყვეტია, ესმეს გვერდით ჩამოჯდა და

ხელები ისე მოიკიდა შუმბლზე, თითქოს თავი ტკიოდა. ჯასპერი შეშინებული

შეირხა, ფიქრობდა დამჯდარიყო თუ არა მის გვერდით, მაგრამ ადგილზე დარჩა.

ღრმად ჩავისუნთქე. უნდა დამეწყო. პირველს უნდა დამელაპარაკა.

– ძალიან ვწუხვარ. – და პირველ რიგში როლუს შევხედე, შემდეგ კი ჯასპერს და

ემეტს. – არ მინდოდა თქვენი რისკის ქვეშ დაყენება, ეს სულელური საქციელი იყო და

სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ საკუთარ თავზე.

როზალიმ ავად დააკვესა თვალები.

– რას გულისხმობ, როცა ამბობ, რომ პასუხისმგებლობას იღებ საკუთარ თავზე?

შენ რა, შეგიძლია ყველაფერი გამოასწორო?

– ისე არა, როგორც შენ ფიქრობ. – ვცდილობდი მკაფიოდ და მშვიდად

მელაპარაკა. – ახლავე წავალ აქედან, თუ ეს სიტუაციას გამოასწორებს. თუ

დავიჯერებ, რომ გოგონა კარგად იქნება, თუ დავიჯერებ, რომ არცერთი თქვენგანი

მას არ შეეხება. – გონებაში შევასწორე.

– არა. – ყრუდ ჩაილაპარაკა ესმემ. – არა ედვარდ.

ხელზე მოვეფერე.

– მხოლოდ რამდენიმე წლით.

– ესმე, ერთისმხრივ მართალია. – თქვა ემეტმა. – შენ არ შეგიძლია ახლა დაგვტოვო, ეს ჩვენ არაფრით დაგვეხმარება, პირიქით დაგვაზარალებს. ახლა როგორც არასდროს, გვჭირდება გავიგოთ რას ფიქრობს ხალხი.

– თუ რამე სერიოზული იქნება – ელისი დაინახავს. – არ დავეთანხმე.

კარლაილმა თავი გადააქნია.

– ვფიქრობ ემეტი მართალია ედვარდ. თუ შენ წახვალ, გოგონა ალაპარაკდება.

ასე რომ, ან ყველანი ერთად მივდივართ, ან არავინ.

– ის არაფერს იტყვის. – სწრაფად შევეპასუხე, ვცდილობდი დამერწმუნებინა.

როუზს, როგორც ჩანდა, ცოტადა აკლდა აფეთქებამდე, ამიტომ მჭირდებოდა, რომ ყველას დაეჯერებინა ჩემი სიტყვები.

– შენ არ იცი, რას ფიქრობს ის. – შემახსენა კარლაილმა.

– საკმარისი ვიცი, ელისი დამეთანხმება.

ელისმა დაღლილი მზერით შემომხედა.

– არ შემიძლია ეს დავინახო, თუ ყველაფერი ასევე დარჩება.

როუზის და ჯასპერს გადახედა.

არა, მას არ შეეძლო მომავლის დანახვა, სანამ როზალი და ჯასპერი საკუთარ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდნენ. არ შეწინააღმდეგებოდნენ სიტუაციის ხელუხლებლად დარჩენას.

როზალიმ ხმამაღლა დაარტყა ხელი მაგიდას.

– ჩვენ არ უნდა დავრთოთ ადამიანს ნება, რომ რამე თქვას. კარლაილ, შენ ეს უნდა გესმოდეს. მაშინაც კი, თუ გადავწყვიტავთ აქედან წასვლას, ხმების დატოვება სახიფათოა. ჩვენ არ ვცხოვრობთ ისე, როგორც სხვა ჩვენი მსგავსები. შენ იცი, რომ მოიძებნება ისეთი ვიღაც, ვისაც გაახარებს ჩვენთვის თითის წამორტყმა. უფრო ფრთხილები უნდა ვიყოთ, ვიდრე ვინმე სხვა!

– ჩვენ ადრეც ვტოვებდით ხმებს ჩვენს უკან. – შევახსენე.

– მხოლოდ ჭორები და გამოცანები ედვარდ, ის კი თვითმხილველი და დამამტკიცებელი საბუთია.

– დამამტკიცებელი საბუთი. – ჩავიცინე.

მაგრამ ჯასპერი დაეთანხმა და მის თვალეში საკუთარი გადაწყვეტილების სიმტკიცე ჩანდა.

– როუზ... – დაიწყო კარლაილმა.

– დამამთავრებინე. ამას არ უნდა მოყვეს რაიმე გლობალური შედეგი. გოგონამ დღეს თავი დაარტყა, ამგვარად ტრამვა შესაძლოა იმაზე სერიოზული, აღმოჩნდეს ვიდრე ჩანდა. – როზალიმ მხრები აიჩჩა. – თითოეული მოკვდავი როცა იძინებს, ყოველთვის არსებობს შანსი, რომ ვეღარ გაიღვიძოს. ჩვენ დამოუკიდებლად უნდა ვიმოქმედოთ. საერთოდ, ეს ედვარდის გასაკეთებელი საქმეა, მაგრამ ვხედავ, ეს მის ძალებს არ აღემატება. თქვენ იცით, რომ შემძლია თავის კონტროლირება. არასოდეს დამიტოვებია ჩემს უკან არანაირი კვალი.

– ჰო როზალი, ჩვენ ყველამ ვიცით, როგორი გამოცდილი მკვლეელიც ხარ. – ჩავიღრინე.

გაბრაზებულმა ჩაისისინა.

– ედვარდ, გთხოვ. – თქვა კარლაილმა და როზალისკენ შებრუნდა. – როზალი, როჩესტერში მე შენ ყველაფერი გაპატიე, რადგანაც ვგრძნობდი – შენ შენი სამართალი უნდა აღგესრულებინა. კაცები, რომლებიც შენ მოკალი, მათ ცხოველური ტკივილი მოგაყენეს. ჩვენ კი სხვა სიტუაცია გვაქვს, გოგონა უდანაშაულოა.

– ეს მხოლოდ მე არ მეხება კარლაილ. – კბილებში გამოცრა. – ეს ჩვენ, ყველას დაგვიცავს.

სანამ კარლაილი საკუთარ პასუხზე ფიქრობდა, სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ თავი დააქნია. როზალის თვალეები აენტო, უფრო შორსმჭვრეტელი უნდა ყოფილიყო.

მაშინაც კი აზრების წაკითხვა, რომ არ შემძლებოდა, მაინც მივუხვდებოდი ჩანაფიქრს. კარლაილი არასოდეს მიდიოდა კომპრომისზე.

– ვიცი რაც გაიფიქრე როზალი, მაგრამ... მინდა, რომ ჩვენი ოჯახი უკეთესად იყოს დაცული, შემთხვევითობა... მოვლენა ან კონტროლის დაკარგვა – ჩვენი არსებობის ყველაზე ცუდი მხარე – ეს მისი სტილი იყო, ელაპარაკა საკუთარ თავზე მრავლობით რიცხვში, მაშინაც კი, თუ არასოდეს დაუშვია მსგავსი შეცდომა. – უგულოდ მოკლა უდანაშაულო ბავშვი – ეს სრულიად სხვა საქმეა. მე ვთვლი, რომ რისკი, რომელსაც ის წარმოადგენს, იმის მიეხედვად – იტყვის თუ არა, არაფერს წარმოადგენს. თუ ჩვენ თუნდაც ერთ გამონაკლისს დავუშვებთ საკუთარი თავის გადასარჩენად, ჩვენ გავწირავთ გაცილებით მნიშვნელოვანს. ჩვენ აღმოვჩნდებით რისკის წინაშე, დავკარგოთ ჩვენი არსი, დავკარგოთ ის, თუ ვინ ვართ სინამდვილეში. ძალიან ყურადღებით ვცდილობდი საკუთარი სახის გამომეტყველების შენარჩუნებას. არ უნდა გამცინებოდა და არც მხარი დამეჭირა. სამწუხაროა – ძალიან მინდოდა.

როზალი მოიღუშა.

– არ მინდა უპასუხისმგებლოდ მოვიქცე.

– შენ გინდა უგულოდ მოიქცე. – რბილად შეუსწორა კარლაილმა. – თითოეული სიცოცხლე ძვირფასია.

როზალიმ მძიმედ ამოისუნთქა და ტუჩები გამობერა. ემეტმა მხარს ზემოთ გადახედა.

– ყველაფერი კარგად იქნება როუზ. – გაამხნევა ჩურჩულით.

– კითხვა. – განაგრძო კარლაილმა. – გავემგზავროთ თუ არა?

– არა, – ჩაიბუზღუნა როზალიმ. – ჩვენ სულ ახლახან გადმოვედით აქ. მე კი არ მინდა ჩემი მეორე წელი სკოლაში თავიდა დავიწყო.

– შენ რა თქმა უნდა შეგიძლია, შენი ასაკი არ დამალო. – შესთავაზა კარლაილმა.

– და მერე ისევ მალე გადავიდეთ? – შეეპასუხა ის.

კარლაილმა მხრები აიჩეჩა.

– მე აქ მომწონს, აქ საკმაოდ ცოტაა მზიანი ამინდები, ჩვენ შეგვიძლია თითქმის

ნორმალურები ვიყოთ.

– ასეთ შემთხვევაში ეს ყველაფერი ახლავე უნდა გადავწყვიტოთ. ჩვენ შეგვიძლია დაველოთ გახდება თუ არა წასვლა აუცილებელი. ედვარდი, როგროც ჩანს დარწმუნებულია, რომ გოგონა არაფერს იტყვის.

როზალიმ ჩაიფრუტუნა.

როზალიზე აღარ ვნერვიულობდი. ვიცოდი, რომ კარლაილს დათანხმდებოდა ხოლო რამდენ ხანს იქნებოდა ჩემზე გაბრაზებული, არ ქონდა მნიშვნელობა. მათი საუბარი უმნიშვნლო წვრილმანებზე გადავიდა.

ჯასპერი არ ერეოდა.

მიზეზი მივხვდი. ელისთან შეხვედრამდე, ის საბრძოლო მოქმედებების არეალში ცხოვრობდა. იცოდა რა მოყვებოდა წესების შეუსრულებლობას. ის ხედავდა ამ ყველაფერს საკუთარი თვალებით.

ეს ბევრს ნიშნავდა. ის არ აპირებდა თავის შესაძლებლობებით როზალის დამშვიდებას, მაგრამ ასევე არ აღიზიანებდა. მიმდინარე საუბრისას თავი განცალკევებით ეჭირა – ამ ყველაფერზე მაღლა იდგა.

– ჯასპერ, – მივმართე.

ჩემს დაჟინებულ მზერას შეხვდა. მისი სახე არაფერს გამოხატავდა.

– მას არ მოუწევს ჩემი შეცდომისთვის გადახდა. არ დავუშვებ ამას.

– ამჯერად მას გაუმართლა, შემდგომ რა იქნება? ის დღეს უნდა მომკვდარიყო, მე უბრალოდ ამას აღვასრულებ.

თითოეული სიტყვა დამარცვლით გავიმეორე.

– ამას არ დავუშვებ.

წარბი აწია, ამას არ ელოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მის შეჩერებას შევეცდებოდი.

თავი გადააქნია.

– მე არ დავუშვებ, რომ ელისს საფრთხე დაემუქროს, თუნდაც ყველაზე

უმნიშვნელო. შენ არავის მიმართ არ განიცდი მსგავს გრძნობას, ისეთს, როგორც მე მაქვს მის მიმართ, ედვარდ. შენ არასოდეს გადაგიტანია ის, რაც მე გამოვიარე, მიუხედავად იმისა, რომ შეგეძლო, ეს ჩემს აზრებში დაგენახა. შენ ვერ გაიგებ.

– არ გეკამათები ჯასპერ. უბრალოდ გეუბნები, რომ – არ დავუშვებ იზაბელა სვონს რამე დაუშავდეს.

ერთმანეთის მიმართ არა აშკარა, მაგრამ ძლიერ შულს ვგრძნობდით. შევნიშნე, რომ ჩემს განწყობას და გადაწყვეტილების სიმტკიცეს ამოწმებდა.

– ჯაზ, – ჩაგვერია ელისი.

კიდევ რამდენიმე ხანს მიყურა, შემდეგ კი მისკენ შეტრიალდა.

– ნუ შემაწუხებ იმაზე ლაპარაკით, რომ შენ თვითონ შეგიძლია საკუთარი თავის დაცვა ელის. უკვე ვიცი ეს. უკვე ვიცი...

– ეს ის არაა, რისი თქმაც მინდოდა. – გააწყვეტინა ელისმა. – ვაპირებდი შენთვის რაღაცა მეთხოვა.

დავინახე ის, რაც მის გონებაში ტრიალებდა და გაცებისგან გავშეშდი. მომინდა ღრმად ამომესუნთქა. სრულ შოკს გავიცდიდი, ვერ ვგრძნობდი, რომ ყველა, გარდა ჯასპერისა და ელისისა, ყურადღებით მათვალისწინებდნენ.

– ვიცი, რომ გიყვარვარ. გმადლობთ. მაგრამ ნამდვილად მადლობელი დაგრჩები, თუ შენ ბელას მოკვლას არ შეეცდები. პირველ რიგში იმიტომ, რომ ედვარდი არ ხუმრობს, მე კი არ მინდა რომ იჩხუბოთ. მეორეც, ის ჩემი მეგობარია, უფრო სწორად აპირებს, რომ გახდეს.

ეს მის თავში ცხადად ჩანდა: ელისი იღიმებოდა და მისი ყინულივით ცივი ხელები მის სუსტ მხრებზე იყო შემოხვეული. ბელაც იღიმებოდა და მისთვის წელზე შემოეხვია ხელები.

ხილვა ძალიან ცხადი იყო, მხოლოდ დრო რჩებოდა გაურკვეველი.

– მაგრამ... ელის... – ჯასპერმა მძიმედ ამოისუნთქა, ვერ შეეძელი თავის

მობრუნება რათა მისი სახის გამომეტყველება დამენახა, მთლიანად მობილიზებული

ვიყავი ელისის ხილვებზე.

– როდესმე მე მას შევიყვარებ ჯას. ჩვენ ძალიან ვიჩხუბებთ, თუ მას არ მისცემ სიცოცხლის საშუალებას.

ძველებურად ელისის ფიქრებს ვჩხრეკდი. ვხედავდი, როგორ ნათდებოდა მომავალი, როცა ჯასპერი თავის გადაწყვეტილების სისწორეში დაეჭვდა.

– ოჰ, – ამოისუნთქა ელისმა. – მისმა დაურწმუნებლობამ, მომავალი გაანათა. – ხედავ? ბელა არაფერს იტყვის, არაფერია სანერვიულო.

მან ისე წარმოთქვა გოგონას სახელი, თითქოს უკვე ახლო მეგობრები ყოფილიყვნენ.

– ელის. – ვიგუდებოდი. – ეს... რა არის...?

– გეუბნებოდი, რომ ცვლილებები მოხდებოდა. არ ვიცი, ედვარდ. – მაგრამ უცებ გაჩუმდა და მეტის დანახვა ვეღარ შევძელი. ცდილობდა ამაზე აღარ ეფიქრა.

ცდილობდა კონცენტრირება ჯასპერზე მოეხდინა, მაგრამ ის იმდენად იყო გაცოცხლებული, რომ ვერ ახერხებდა გადაწყვეტილების მიღებას.

ის ხშირად მიმართავდა ამ ხერხს, როცა ჩემგან რამის დამალვა უნდოდა.

– რა ხდება ელის? რას მიმალავ?

გავიგონე ემეტის ბუზღუნნი, ყოველთვის ბრაზდებოდა, როცა მე და ელისი მსგავსი საუბრით ვიყავით დაკავებულები.

ელისმა თავი გადააქნია. ცდილობდა არ ეფიქრა.

– ეს გოგონას ეხება? – მოვითხოვე პასუხი. – ეს ბელას ეხება?

კბილს კბილზე აჭერდა და მობილიზებას ცდილობდა, მაგრამ როცა ბელას სახელი ვახსენე, შეცდომა დაუშვა. ამ ყველაფერმა წამზე ნაკლები დრო გასტანა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა.

– არა! – დავიყვირე და გავიგონე, როგორ დავარდა ჩემი სკამი იატაკზე. მხოლოდ ამის მერე მივხვდი, რომ ფეხზე ვიდექი.

– ედვარდ! – ფეხზე წამოხტა კარლაილი და მხარზე დამადო ხელი, რომელსაც

ძლივს ვაცნობიერებდი.

– ეს ნელნელა უფრო ცხადი ხდება. – ჩაილაპარაკა ელისმა. – ყოველ წუთს შენი გადაწყვეტილება მტკიცდება. მხოლოდ ორი გზა არსებობს. პირველი – მიატოვო ის. არსებობს მეორეც, ედვარდ.

შევძელო დამენახა ის, რასაც ხედავდა... მაგრამ არ შემეძლო ამის მიღება.

– არა, – გავიმეორე ისევ, მაგრამ ჩემს პროტესტს, არანაირი აზრი არ ქონდა.

ფეხები მეკვეთებოდა და მომიწია მაგიდას დავყრდნობოდი.

– ძალიან გთხოვთ, ვინმემ გაგვანათლეთ და გაგვიმხილეთ ეს უდიდესი

საიდუმლო. – წუწუნებდა ემეტი.

– უნდა გავემგზავრო – მივმართე ელისს, ემეტისთვის ყურადღება არ

მიმიქცევია.

– ედვარდ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე. – ხმამალა წარმოთქვა ემეტმა. –

მხოლოდ ამ შემთხვევაში ალაპარაკდება გოგონა. ამასთანავე თუ შენ გაქრები, ჩვენ

ვერ გავიგებთ, იტყვის თუ არა ის რამეს. შენ უნდა დარჩე და ამას ხელი შეუშალო.

– ვერ ვხედავ, რომ შენ სადმე მიდიოდე, ედვარდ. – მითხრა ელისმა. – არ ვიცი

შეგიძლია თუ არა უკვე შენ ამის გაკეთება. იფიქრე ამაზე – ჩუმად განაგრძო – იფიქრე

წასვლაზე.

მივხვდი რას გულისხმობდა. აზრი იმის შესახებ, რომ ველარასოდეს ვნახავდი

გოგონას... მტანჯველი იყო. მაგრამ ამასთანავე აუცილებელი. არ დავუშვებდი ასეთ

მომავალს. აშკარად მისი ბედისწერა ვიყავი.

– სრულებით რა ვარ დარწმუნებული ჯასპერში, ედვარდ. – განაგრძო ელისმა. –

თუ შენ წახვალ, თუ კი ჯასპერი გადაწყვეტს, რომ ის ჩვენთვის სახიფათოა...

– ეს მე არ მესმის. – გავაპროტესტე, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი, რომ

მარტონი არ ვიყავით. ჯასპერი შეცბა, ის არასოდეს დაუშვებდა, რომ ელისს რამე

შემთხვეოდა.

– ახლა არა, შენ მზად ხარ რისკის ქვეშ დააყენო მისი სიცოცხლე და მარტო

დატოვო?

– რატომ მიკეთებ ამას? – ამოვიკვნიესე. თავი ხელეში ჩავრგე.

მე ბელას მცველი არ ვიყავი. არ შემეძლო ამის გაკეთება. ნუთუ ელისმა არ ნახა ამის უამრავი დამამტკიცებელი ხილვა?

მეც მიყვარს ის. ან შევიყვარებ ეს ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მე მინდა დავიცვა ის ამისგან.

– შენც გიყვარს? – ურწმუნოდ ჩავიჩურჩულე.

ამოისუნთქა.

– რამდენად ბრმა ხარ, ედვარდ. არ შეგიძლია დაინახო, საით მიყავხარ ამ ყველაფერს. არ შეგიძლია დაინახო სად ხარ უკვე? ამას ისევე ვერ გაექცევი, როგორც იმას, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდის. უყურე რას ვხედავ...

თავზარი დამეცა.

– არა.

ვცდილობდი ხილვა მომემორებინა, რომელსაც მაჩვენებდა.

– მე ამ გზას არ უნდა გავყვე. უნდა წავიდე, მომავალი უნდა შევცვალო.

– შეგიძლია ცადო. – სკეპტიკურად მითხრა ელისმა.

– შეწყვიტეთ, გეყოფათ. – დაიღრინა ემეტმა.

– მიაქციე ყურადღება. – გადაულაპარაკა როუზმა. – ელისი ხედავს, რომ მას

ადამიანი შეუყვარდება. როგორც ედვარდს რომანიდან! – ისე თქვა, თითქოს პირი არც გაულია.

თუმცა მე მაინც გავიგე,

– რა? – დამუნჯებულმა ჩაილაპარაკა ემეტმა, შემდეგ კი მისი ძლიერი

გადახარხარება ექოდ გაისმა მთელ ოთახში. – ეს არის სულ რაც მოხდება? – იცინოდა.

– ცუდად გამოგივიდა, ედვარდ.

მისი ხელი მხარზე შევიგრძენი, მაგრამ სასწრაფოდ მოვიცილე. არ შემეძლო

მისთვის ყურადღება მიმექცია.

– ადამიანი შეუყვარდება? – გაიმეორა შემკრთალი ხმით ესმემ. – გოგონა, რომელიც დღეს გადაარჩინა? შეუყვარდება?

– რას ხედავ ელის? თქვი ზუსტად. – მოითხოვა ჯასპერმა.

ელისი მისკენ შებრუნდა, მე კი უგრძნობი სახით მივჩერებოდი.

– ეს დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ძლიერია. ის ან თვითონ მოკლავს მას... – შემობრუნდა რათა ჩემს გამჭოლ მზერას შეგებებოდა. – რაც მე ნამდვილად არ გამახარებს, არ ვლაპარაკობ იმაზე, თუ რა დაგემართება შენ, ედვარდ. – შემდეგ ისევ ჯასპერს მიუბრუნდა. – ან ბელა ერთერთი ჩვენგანი გახდება.

ვიღაცა კრუნჩხვით ცდილობდა პირით სუნთქვას. თუმცა არ შემემლო დამენახა, ზუსტად რომელი.

– ეს არ მოხდება! – ისევ დავიყვირე. – ყველაფერი, ოღონდ ეს არა!

როგორც ჩანს ელისს ჩემი არ ესმოდა.

– ყველაფერი დამოკიდებულია. – გაიმეორა ისევ. – შესაძლოა მას ეყოს ძალა, რათა არ მოკლას, მაგრამ ძალიან ახლოს იქნება ამასთან. ამისთვის ძალიან დიდი თვითკონტროლი იქნება საჭირო. – ჩაფიქრდა. – იმაზე მეტი, ვიდრე კარლაილს აქვს. მისთვის საკმარისია, მხოლოდ ძლიერი იყოს... ერთადერთი, რაც მას არ შეეძლება, ეს მისგან შორს ყოფნა იქნება.

ლაპარაკის უნარი დაგვარგე, როგორც ჩანს არც არავინ არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. ყველანი გაქვავდნენ.

გაშეშებული მივჩერებოდი ელისს, დანარჩენები კი მე მიყურებდნენ. ჩემს გამომეტყველებას, ხუთი სხვადასხვა ადამიანის თვალთ ვუყურებდი.

დიდი ხნის სიჩუმის მერე, კარლაილმა ამოისუნთქა.

– ეს ყველაფერი საქმეს ართულებს.

– ნამდვილად. – დაეთანხმა ემეტი, მისი ხმა ჯერ კიდევ სიცილის ზღვარზე იყო.

აღმაშფოთებელი იყო, რომ ემეტი ჩემს დანგრეულ ცხოვრებაში სასაცილოს ნახულობდა.

– თუმცა, ვფიქრობ გეგმები არ შეიცვლება. – ჩაფიქრებით წამოთქვა კარლაილმა.

– დავრჩებით და დავაკვირდებით. ფაქტია, რომ გოგონას არავინ არაფერს დაუშავებს. შევხტი.

– არა. – წარმოტქვა ჯასპერმა წყნარად. – მე მხოლოდ იმიტომ ვეთანხმები ამას, რომ ელისი მხოლოდ ორ ვარიანტს ხედავს მომავალში.

– არა! – ჩემი ხმა არც ყვირილი იყო, არც ღრიალი, არც სასოწარკვეთილი ტირილი, მაგრამ ეს ყველაფერი ერთად იყო ნარევი. – არა!

უნდა წავსულიყავი რომ მათი აზრებიდან შორს ვყოფილიყავი. როზალის ზიზღის, ემეტის სიცილის, კარლაილის ულევი მოთმინების...

ცუდი: ელისის თავდაჯერება, ჯასპერის რწმენა ელისის მიმართ...

ყველაზე ცუდი: ესმეს სიხარული.

ოთახიდან გავსხლტი. ესმე ხელზე შემეხო, როცა ახლოს ჩავუარე, მაგრამ მისი მოქმედება ვერ გავაცნობიერე.

სანამ სახლიდან გავიდოდი, უკვე გავრბოდი. ერთი ნახტომით გადავლაზე მდინარე და ტყეში მივიძალე. ისევ წვიმა დაიწყო, ისეთი ძლიერი, რომ რამდენიმე წუთში ტანსაცმელი მთლიანად წყლით გაიჟღინთა. მომწონდა უწყვეტი წყლის კედელი, ის დანარჩენი სამყაროსგან მიფარავდა. ეს მამლევდა საშუალებას მარტო დავრჩენილიყავი.

შეუჩერებლად გავრბოდი აღმოსავლეთით, კურსს არ ვცვლიდი, სანამ სიეტლის არ გამოჩნდა. შევჩერდი, რათა დასახლებულ ადგილზე არ გავსულიყავი.

წვიმისგან დაფარულმა, სრულ მარტოობაში, საბოლოოდ შევძელი შემეხედა იმისთვის, რაც გავაკეთე – გავაკეთე ის, რომ მომავალი გავინადგურე.

პირველი ხილვა – ბელა და ელისი ერთმანეთს ეხვეოდნენ. იმდენად დიდი ნდობა და სიყვარული იყო მათ შორის, რომ სურათები თითქოს ყვიროდნენ. ამ ხილვაში, ბელას თვალები შოკოლადისფერი იყო, ისევ საიდუმლოებით სავსე. ამ მომენტში ისინი ბედნიერები იყვნენ. ის არ უფრთხოდა ელისის ცივ ხელებს.

ეს რას ნიშნავდა? რამდენად ბევრი იცოდა? რას ფიქრობდა ჩემზე, მომავლის ამ ხედვაში?

შემდეგ მორიგი სურათი, თითქმის მსგავსი, მაგრამ თავზარდამცემი. ელისი და ბელა, მათი ხელები ისევ ერთმანეთს ეხვეოდნენ, მაგრამ ამჯერად მათ ხელებს შორის განსხვავება არ იყო: ორივე თეთრი, გლუვი, როგორც მარმარილო, მტკიცე, როგორც ფოლადი. ბელას დიდი თვალები, უკვე აღარ იყო შოკოლადისფერი, თვალის ფერადი გარსი შიშს აღძრავდა – მკვეთრი მალინისფერი. მისი საიდუმლო ისევ მიუწვდომელი იყო – მოწონება თუ უიმედობა? შეუძლებელი იყო ამოცნობა. მისი სახე ცივი და უკვდავი გამხდარიყო.

შევცბი. არ შემემლო დავმშვიდებულყავი, მსგავსი და ამავდროულად განსხვავებული კითხვები: ეს რას ნიშნავს? როგორ მოხდება ეს ყველაფერი? და რას ფიქრობდა ჩემს შესახებ ახლა?

მხოლოდ უკანასკნელ კითხვაზე შევძელი პასუხის გაცემა. თუ კი მას საკუთარი ეგოიზმის და სისუსტის გამო, ამ უაზრო ნახევრად სიცოცხლეს შევთავაზებდი – აუცილებლად შემიძულებდა.

იყო ასევე ყველაზე საშინელი ხილვა, რომელსაც საკუთარ თავში ვხედავდი.

ჩემი თვალები – ღრმა და მკვეთრი წითელი, ადამიანის სისხლის ფერი. – მონსტრის თვალები. ბელას გადატეხილი სხეული ჩემს ხელში – ნაცრისფერ-თეთრი, გამოფიტული, უსიცოცხლო. ეს ძალიან რეალური, ცხადი იყო.

არ შემემლო ამის ყურება, არ შემემლო ამის ატანა. ვცდილობდი თავიდან ამომეგდო ეს სურათი, ვცდილობდი დამენახა სხვა, ნებისმიერ რამ. ვცდილობდი მისი სახის გამომეტყველების დანახვას, რომელსაც ჩემი წარსული ცხოვრება მთლიანად გადაეფარა. უშედეგოდ.

ელისის დამამძიმებელ ხილვას, მთლიანად დაეპყრო ჩემი ტვინი. სადღაც ჩემს სიღრმიდან ამომავალი ტანჯვა, ძლიერდებოდა. ამავდროულად ჩემში არსებული მონსტრი დღესასწაულობდა, სიხარულს გრძნობდა. ამან ზიზილი მომგვარა.

ასე არ უნდა მოხდეს. უნდა მოვძებნო შესაძლებლობა მომავლის
მოსატყუებლად. ელისის ხილვამ არ უნდა დამინგრიოს მომავალი. არჩევანი
ყოველთვის არსებობს. სხვა გზა უნდა ვიპოვო. უნდა არსებობდეს!

5 თავი

მოსაწვევები

სკოლა, ჩემთვის ის უკვე აღარ იყო განსაწმენდელი, არამედ ნამდვილი
ჯოჯოხეთი გამხდარიყო. ცეცხლი და ტანჯვა... ჰო, მე ორივეს განვიცდიდი.
ახლა მე უკვე ყველაფერს სწორად ვაკეთებდი. “ი”-ზე ყველა წერტილი დაისვა.
აღარავის შეემლო თქმა, რომ პასუხისმგებლობას გავურბოდი.
ფორკსში დავრჩი, რათა ესმე გამეხარებინა და დანარჩენები დამეცვა. ძველ
გეგმას დავუბრუნდი. იმდენს ვნადირობდი, რამდენსაც სხვები, ყოველდღე
დავდიოდი სკოლაში და განვასახიერებდი ადამიანს. ყოველ დღე ყურადღებით
ვუსმენდი აზრებს, ვცდილობდი გამეგო რაიმე ქაღალდის შესახებ, მაგრამ არაფერი
ახალი. გოგონას არცერთი სიტყვა არ უთქვამს საკუთარი ეჭვების შესახებ. ის
უბრალოდ ყოველთვის ერთი და იგივეს იმეორებდა – მე მის გვერდით ვიდექი,
უბრალოდ ხელი ვკარი და გადავაგდე გზიდან, ვიდრე მის თანამოსაუბრეებს არ
მოხერხდათ გამოკითხვა არ შეწყვიტეს. არანაირი საფრთხე არ არსებობდა. ჩემს
დაუფიქრებელ საქციელს, სერიოზული შედეგები არ მოუტანია.

მაგრამ მხოლოდ ჩემთვის არა.

გადაწყვეტილი მქონდა მომავალი შემეცვალა. ადვილი არ იყო ამის მართლ
გაკეთება, ამასთანავე არ არსებობდა სხვა ვარიანტი, რომელსაც ავირჩევდი და
განვაგრძობდი ცხოვრებას.

როგორც ელისმა მითხრა, არ მეყოფოდა ნებისყოფა, მისგან თავი შორს დამეჭირა,
მაგრამ მე მას დავუმტკიცებდი, რომ ცდებოდა.

ვფიქრობდი, რომ პირველი დღე ყველაზე რთული იქნებოდა. დღის ბოლოს
დავრწმუნდი, რომ ამის გარეშე არ მოხერხდებოდა, მაგრამ შევცდი.

მაწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ გოგონასთვის ტკივილი უნდა მიმეყენებინა. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ეს ტკივილი ნემსის ჩხვლეტაზე მეტი არ იქნებოდა. (ჩემი შეხედულებით), უბრალოდ პატარა ტკივილი ჩემი უარისგან. ბელა – ადამიანია და მან იცის, რომ მე სხვანაირი ვარ, არაბუნებრივი და საშიში. ალბათ იმდენად შეურაცხყოფილი არ დარჩება, რამდენადაც გულზე მოეშვება, როცა ზურგს შევაქცევ და თავს მოვაჩვენებ, თითქოს არ არსებობს.

– გამარჯობა, ედვარდ. – მომესლამა ბიოლოგიის პირველივე ლექციაზე შემთხვევის მერე. მისი ხმის ტონი საისამოვნო და მეგობრული იყო. 180 გრადუსით შეცვლილიყო ჩვენი ბოლო საუბრის შემდგომ.

რატომ? რას ნიშნავდა ეს ცვლილება? ყველაფერი დაივიწყა? გადაწყვიტა, რომ მაშინ ყველაფერი მოეჩვენა? ნუთუ მაპატია, რომ დანაპირები არ შევასრულე? თითოეულ ამოსუნთქვაზე წყურვილივით მწვავდა ეს შეკითხვები.

მხოლოდ ერთხელ შევხედავ თვალებში... ერთხელ წავიკითხავ მის ყველა საიდუმლოს...

არა. ამის გაკეთებაც არ შემეძლო... თუ გადაწყვეტილი მქონდა მომავლის შეცვლა... არ შემეძლო.

მხოლოდ ოდნავ შევბრუნდი მისკენ, ისე რომ კლასისთვის თვალი არ მომიცილებია. თავი დავუქნიე და ისევ შემოვბრუნდი.

მას მერე აღარ დამლაპარაკებია.

ყოველ დღე, სკოლის დამთავრების შემდეგ, როცა ჩავთვლიდი, რომ ჩემი როლი შესრულებული მქონდა, ისევე როგორც პირველ დღეს სიეტლისკენ მივდიოდი. მეჩვენებოდა, რომ უკეთესად შემეძლო თავის კონტროლი, როცა მიწის ზემოთ მივფრინავდი, როცა ყველაფერი ირგვლივ უწყვეტი მქრქალი მწვანე ფერის იყო. ასეთი გარბენები, ჩემი ყოველდღიურობა გახდა.

ნუთუ მიყვარდა? არა მგონია. ჯერ არა. არ შემეძლო მილიონობით ხილვისგან დამეღწია თავი, რომელსაც ელისი ხედავდა, რომელშიც ვხედავდი, როგორ

უბრალოდ შემეყვარებოდა ბელა. ეს სიყვარული თავისუფალი და ძალდაუტანებელი იქნებოდა. ხოლო მისი არ შეყვარება, ჩემთვის ძალიან რთული იქნებოდა. რამდენადაც შემეძლო თავს ვიკავებდი, შეუვალი ვხდებოდი, მკერდზე ხელებს ვიწყობდი – ეს ყველაფერი იმდენად მღლიდა, თითქოს ჩვეულებრივი მოკვდავი ვიყავი.

უკვე ერთ თვეზე მეტი გავიდა, ჩემთვის კი ყველაფერი უფრო რთულდებოდა. ამ ყველაფერს ჩემთვის მნიშვნელობა რა ქონდა, იმ მომენტს ველოდებოდი, როცა ყველაფერი გაადვილდებოდა. ეს ყველაფერი იმას ნიშნავდა, რაც ელისმა მითხრა, მე არ შემეძლო გოგონასგან თავი შორს დამეჭირა. მან დაინახა, რომ ჩემი ტკივილი უფრო გაძლიერდა, მაგრამ მე შემეძლო ამის გაკონტროლება.

მე არ გავანადგურებ ბელას მომავალს. თუ კი მე ის უნდა შემეყვარებოდა, ყველაზე ცოტა რაც მისთვის შემეძლო გამეკეთებინა – მისგან გაქცევა იყო. იმ ძალის მოძიებას, რასაც საიმისოდ ვხარჯავდი, რომ არ მივახლოვებოდი, ძლივს ვპოულობდი. შემეძლო თავი მომეჩვენებინა, რომ იგნორირებას ვუკეთებდი, შემეძლო არ გამეხედა მის მხარეს, შემეძლო ისეთი სახე მიმელო, თითქოს არ მაინტერესებდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ეს იყო ტყუილი და არა ის, რაც სინამდვილეში მსურდა.

მის ყოველ ამოსუნთქვას, მის ყოველ სიტყვას ვიჭერდი.

ჩემი ტანჯვა ოთხ კატეგორიად დავყავი.

პირველი ორი ჩემთვის საკმაოდ ნაცნობი იყო. მისი სუნი და სიჩუმე. თუ ყველაფერს ჩემთვის გასაგები ენით ავხსნიდი, ეს იყო ჩემი წყურვილი და ჩემი ცნობისმოყვარეობა.

წყურვილი, ყველაზე პრიმიტიული იყო. ახლა უკვე ბიოლოგიის ლექციაზე სუნთქვის შეკავება ჩვევად გადამექცა. რა თქმა უნდა, ხანდახან მიწევდა გამონაკლისის დაშვება, მაგალითად როცა მიწევდა კითხვებზე პასუხის გაცემა, ან რაიმე მსგავსი, როცა სუნთქვა ლაპარაკისთვის მჭირდებოდა. ყოველ ჯერზე, როცა

გოგონას გვერდით მყოფი ჰაერს ჩავისუნთქავდი, შეგრძნება ყოველთვის იგივე იყო, როგორც პირველ დღეს. ცეცხლი, სურვილი და გამმაგება, წყურვილი იწევდა და ცდილობდა განთავისუფლებას. ასეთ მომენტებში საკმაოდ რთული იყო, იმ პატარა მიზეზების მოძებნა, რათა ეს სურვილები ჩამეხშო. ისევე, როგორც პირველ დღეს, ურჩხული მძვინვარებდა ჩემში, ის ხომ ასე ახლოს იყო საწადელთან.

ცნობისმოყვარეობა, იყო ჩემი მუდმივი სატანჯველი. კითხვები არასოდეს მშორდებოდნენ გონებიდან. ნებისმიერ მომენტში, როცა მისი ჩუმი ამოსუნთქვა მესმოდა, მაინტერესებდა რას ფიქრობდა. როცა ის ჩაფიქრდებოდა და თმას თითებზე იხვევდა. როცა იმაზე მეტი ძალით მოისროდა წიგნებს მაგიდაზე, ვიდრე ჩვეულებრივ. როცა დაგვიანებით შემოდიოდა გაკვეთილზე. როცა მოუთმენლად გადაიდებდა ფეხს ფეხზე. მის ყოველ მოძრაობას ვიჭერდი და ეს ჭკუიდან მშლიდა. როცა სხვა მოსწავლეებს ელაპარაკებოდა, მის თითოეულ სიტყვას, ტონს, ინტონაციას ვაანალიზებდი, ამბობდა თუ არა თავის ფიქრებს, ფიქრდებოდა თუ არა, სანამ პასუხს გასცემდა დასმულ შეკითხვას, მეჩვენებოდა, რომ საკმაოდ ხშირად ლაპარაკობდა, რასაც მოელოდნენ კიდევ მისგან გარშემომყოფები. ეს ჩემს ოჯახს მაგონებდა, ერთფეროვან ცხოვრებას, სრულ ილუზიას. მასთან შედარებით, ჩვენ უკეთესად ვასრულებდით ჩვენს როლებს. შეიძლება მე ვცდები მის შეფასებაში. რაში უნდა სჭირდებოდეს თამაში? ის ერთ–ერთი მათგანია. ადამიანი, მოზარდი.

მაიკ ნიუტონი, საკმაოდ მოულოდნელად, ჩემი ტანჯვის მიზეზი გახდა. ვერ წამომედგინა, როგორ შეიძლებოდა მისნაირი უფერული და მოსაწყენი ბიჭი, ჩემი გაცოფების მიზეზი გამხდარიყო. გულახდილი რომ ვყოფილიყავი, ცოტაოდენი მაღლიერება უნდა გამჩენოდა ამ აბეზარი ბიჭის მიმართ. მას ყველაზე უკეთ გამოსდიოდა გოგონასთან ლაპარაკი. მე კი ჯერ კიდევ ვადგენდი ჩემს სიას გოგონას შესახებ. მაგრამ ამ მხრივ მაიკის მონაწილეობა, კიდევ უფრო მეტად მაბრაზებდა. არ მინდოდა, რომ მაიკი ყოფილიყო ის, ვინც მის საიდუმლოებებს ამოიცნობდა. მინდოდა ეს მე თვითონ გამეკეთებინა.

მაგრამ ის ვერასოდეს ამჩნევდა გოგონას პატარა გულახდილობებს, მის შესახებ არაფერი იცოდა. თავის გონებაში მან შექმნა ბელა, რომელიც არ არსებობდა. დახატა ერთი ჩვეულებრივი, ისეთივე არაფრით გამორჩეული, როგორც თვითონ იყო. ის არ აქცევდა ყურადღებას მის სიმამაცეს, მის ისეთ თვისებებს, რაც მას, რაც სხვებისგან გამოარჩევდა. მას არ ესმოდა დაუჯერებელი ზრდასრულობა მის სიტყვებში. როცა გოგონა დედაზე ლაპარაკობდა, ვერ აღიქვამდა იმას, თითქოს მზრუნველი დედა ლაპარაკობდა თავის შვილზე – და არა პირიქით. ის სიყვარულით და სითბოთი ლაპარაკობდა და რაც ყველაზე სახალისო იყო – მის ხმაში მფარველობის სურვილი იგრძნობოდა. არ ესმოდა ჩვეულებრივი ზრდილობა, როცა ბიჭის ისტორიებით ინტერესდებოდა და ასეთივე გამომეტყველებას ინარჩუნებდა.

გოგონას მაიკთან საუბრებიდან შევძელი გამეგო მისი ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვანი შტრიხები. ისეთები, რომლებიც იშვიათად გვხვდებოდა ადამიანებში. ბელა ძალიან კარგი იყო. სხვა დანარჩენი თვისებები – მიმზიდველობა, თავმდაბლობა, ეგოიზმის არქონა, სიყვარული და სიმამაცე, მას სულ უფრო უკეთესს ხდიდნენ.

თუმცა ეს ყველაფერი მაინც არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ ჩემი მისდამი დამოკიდებულება შემეცვალა. მაიკი ბელას ისე უყრებდა, თითქოს უკვე დაპყრობილი ჰყავდა, თითქოს გოგონა მისი მონაპოვარი იყო. ვხედავდი, როგორ უხეშად ფანტაზიორობდა მის ხარჯზე. ნელნელა უფრო თავდაჯერებული ხდებოდა. თვლიდა, რომ ბოლომდე შეეძლო მისი მოპოვება. დროთა განმავლობაში იჯერებდა, რომ ის უფრო მოსწონდა გოგონას, ვიდრე სხვა თავყვანისმცემლები – ტაილერ ქროული, მაიკ იორკი და მეც კი. გაკვეთილის დაწყებამდე, ყოველთვის მის გვედით ჯდებოდა და გაუთავებლად ლაქლაქებდა. ჩვეულებრივი, ღიმილიანი სახით ვიმაგრებდი თავს. ამასთანავე ხშირად მართობდა იმის წარმოდგენა, როგორ მოვკიდებდი ქეჩოში ხელს და კლასის ყველაზე შორეული კედლისკენ მოვისროდი... შესაძლოა ძალიანაც არ დაშავებულიყო.

მაიკი არც თუ ისე ხშირად ფიქრობდა ჩემზე, როგორც მოწინააღმდეგეზე.

ავარიის შემდგომ ეგონა, რომ გადატანილი ამბავი ჩემს ბელასთან დაახლოებას შუწყობდა ხელს, მაგრამ შიშები გაუქრა. თუმცა ხანდახან ფიქრობდა, რომ შემემლო გოგონა თაყვანისმცემლების ხელიდან გამომეტაცა, მაგრამ იმით კმაყოფილდებოდა, რომ როგორც სხვა გოგოებს, ბელასაც არ ვაქცევდი ყურადღებას.

რას ფიქრობს ახლა? მოსწონს თუ არა მისი ყურადღება?

და ბოლოს, ჩემი ტანჯვის ყველაზე ძლიერი მიზეზი. ბელას დამოკიდებულება.

ისიც ისევე ცდილობდა ჩემს იგნორირებას, როგორც მე მას. მეტჯერ აღარ უცდია ჩემთან დალაპარაკება. რამდენადაც ვიცოდი, ჩემზე საერთოდ აღარ ფიქრობდა.

ეს ყველაფერი საშინლად მაცოფებდა. თვით ჩემი გადაწყვეტილება, შემეცვალა

მომავალი, იწყებდა გაბზარვას. ერთადერთი – ხანდახან, როგორც ადრე, ისევე

დაჟინებით მიყურებდა. მე ამას ვერ ვამჩნევდი, რადგან საკუთარ თავს არ ვაძლევდი

უფლებას, მისთვის შემეხედა. ელისი ყოველთვის გვაფრთხილებდა წინასწარ, როცა

გოგონას ჩვენსკენ უნდა გამოეხედა. დანარჩენები ჯერ კიდევ ძალიან

ფრთხილობდნენ, ახსოვდათ როგორი შეცნობის უნარი გააჩნდა გოგონას.

ის, რომ გოგონა შორიდან მაინც მიყურებდა ხანდახან, ცოტათი აადვილებდა

ყველაფერს. ალბათ ფიქრობდა ამოეცნო, რა არსება ვიყავი.

– ბელა ედვარდს ერთ წუთში შეხედავს, ეცადეთ ნორმალურები იყოთ. –

ჩაილაპარაკა მარტის ერთ სამშაბათ დღეს ელისმა, დანარჩენები ოდნავ შესამჩნევად

შეინძრნენ და ადამიანებივით დასხდნენ. აბსოლუტური სიჩუმე, ყოველთვის ჩვენი

თანმდევი მოვლენა იყო.

ყურადღება მივაქციე, რამდენად ხშირად იხედებოდა გოგონა ჩვენს მხარეს. ამან

კმაყოფილება მომგვარა, რომელიც არ უნდა მეგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ დრო

გადიოდა, ის ისევე ხშირად იყურებოდა ჩემსკენ, როგორც ადრე. არ ვიცოდი ეს რას

ნიშნავდა, მაგრამ ამისგან თავს კარგად ვგრძნობდი.

ელისმა ამოისუნთქა.

– როგორ მინდა...

– ნუ ფიქრობ ამაზე ელის. – ჩავილაპარაკე ჩუმად. – ეს არ მოხდება.

ტუჩები გაბუსხა. ელისი ძალიან ნერვიულობდა თავის ხილვებზე, გოგონასთან მეგობრობაზე. უცნაურია, მაგრამ მას უკვე ენატრებოდა ადამიანი, რომელსაც არ იცნობდა.

– უნდა ვაღიარო, რომ თავი იმაზე კარგად გიჭირავს, ვიდრე ვფიქრობდი. შენ შეძელი და მომავალი ისევ ბუნდოვანი და გაუგებარი გახადე.

– ნამდვილად, მთელი გრძნობით ვმოქმედებ.

ჩაიფრუტუნა.

ცვდილობდი გამეჩუმებინა. ის ძალიან მოუთმენელი იყო საიმისოდ, რომ მასთან მელაპარაკა. ნამდვილად არ ვიყავი საუკეთესო ხასიათზე, იმაზე მეტად დაძაბული ვიყავი, ვიდრე ჩანდა. მხოლოდ ჯასპერმა იცოდა რად მიჯდებოდა ეს ყველაფერი, რადგან ის თავისი უნიკალური შესაძლებლობის დახმარებით, ეგრძნო და ემოქმედა ადამიანების ხასიათზე, გრძნობდა ჩემგან მომავალ რხევებს. ის ვერ ხვდებოდა ამის მიზეზს და რადგანაც ბოლო პერიოდი არანაირი ცვლილება არ ყოფილა, ყურადღებას აღარ აქცევდა.

დღევანდელ დღეს იმაზე დიდი სირთულეები მელოდა, ვიდრე სხვა დღეებში.

მაიკ ნიუტონი, ეს გამაღიზიანებელი ბიჭი, რომელზეც არ უნდა მენერვიულა, ბელას პაემანზე დაპატიჟებას აპირებდა.

მთებში ცეკვები იმართებოდა, რომლის დროსაც გოგოები ეპატიჟებოდნენ

ბიჭებს, ძალიან დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბელა მას დაპატიჟებდა. მაგრამ რადგანაც ეს აქამდე არ მოხდა, ამან თვითდაჯერება შეურყია. ახლა ის საკმაოდ არასასურველ სიტუაციაში იყო, რაც მე იმაზე მეტად მსიამოვნებდა, ვიდრე საჭირო იყო. ჯესიკა სთენლიმ ის ცეკვებზე დაპატიჟა, მაგრამ არ უნდოდა დათანხმებოდა, რადგან ჯერ კიდევ იმედოვნებდა, ბელა აირჩევდა (ეს მის მოწინააღმდეგეებზე გამარჯვება იქნებოდა), ამასთანავე არც ჯესიკას უარით გასტუმრება სურდა, ემინოდა მეწყვილის

გარეშე არ დარჩენილიყო. ჯესიკა ხვდებოდა მისი თავშეკავების მიზეზს და გაბრაზებული ტონით ელაპარაკებოდა გოგონას. ისევ შემიპყრო უნებლიე სურვილმა, რომ ჯესიკას ბოროტ აზრებსა და ბელას შორის ჩავმდგარიყავი. ახლა უკვე უკეთესად ვხვდებოდი ჩემს ინსტიქტებს, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მეტად მაწუხებდა, ვხვდებოდი, რომ არ შემემლო მათგან თავის დაღწევა.

როგორც ჩანს დრო მოვიდა! მზად ვიყავი მეყურებინა დრამატული მოვლენებისთვის, რომელიც სკოლაში განვითარდებოდა.

მაიკი ცდილობდა მორეოდა ნერვიულობას, როცა ბელას ბიოლოგიის ლექციაზე აცილებდა. ვუსმენდი მის შინაგან ბრძოლას და ველოდი როდის შემოვიდოდნენ კლასში. ბიჭი ნამდვილი მშიშარა იყო. ის დიდ ხანს ელოდა ამ ცეკვებს, ეშინოდა, მას არ სურდა დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო მისი უარით, ამიტომ ერჩია პირველი ნაბიჯი გოგონას გადაედგა.

მშიშარა.

ისევ ჩვენს მაგიდასთან ჩამოჯდა, სიამოვნებდა სიახლოვე. უცებ წარმოვიდგინე ის ხმაური, რომელსაც მისი სხეული გამსოცემდა, თუ მოპირდაპირე კედელს მივანარცხებდი ისეთი ძალით, რომ ყველა ძვალი დამტვრეოდა.

– წარმოგიდგენია, – უთხრა გოგონას, და იატაკს დახედა. – ჯესიკამ ცეკვებზე დამპატიჟა.

– არაჩვეულებრივია. – სწრაფად შეეპასუხა გოგონა ენთუზიაზმით. რთული იყო ღიმილის შეკავება, როცა ბიჭმა მისი ხმის ტემბრი გააცნობიერა. იმედოვნებდა, რომ მისი სიტყვები სინანულს გამოიწვევდა. – მშვენივრად გაერთობი ჯესიკასთან ერთად.

შეეცადა სწორი პასუხი ეპოვა.

– ნუ... – ყოყმანობდა, თითქმის მთლიანად გაუქრა თვითდაჯერება, ძლივს შესამჩნევად განაგრძო. – მე ჯერ არ მითქვამს თანხმობა.

– რატომ? – ბელას ხმაში როგორც გაკიცხვა, ასევე შვება იგრძნობოდა.

რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? მოულოდნელად ძლიერმა გაბრაზებამ შემიპყრო და მუშტები მოვკუმე.

მაიკმა ვერ შენიშნა მისი შვება. სახეზე გაწითლდა, მე კი ვიგრძენი როგორ ვდულდი შინაგანად. მისი მხრიდან ეს მიპატიჟება იყო, ის კი, ჯერ კიდევ იატაკს ჩასჩერებოდა, როცა ლაპარაკი განაგრძო.

– მე ვიფიქრე... რომ შენ გეგმავდი ჩემს დაპატიჟებას.

ბელა დაიბნა.

სანამ პასუხზე ფიქრობდა, ბევრად ცხადად დავინახე მომავალი, ვიდრე ეს ელისს შეეძლო დაენახა.

გოგონამ შეიძლება ახლა დადებითი პასუხი გასცეს მაიკს მის შეკითხვაზე, ან შეიძლება მოგვიანებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში როდესმე აუცილებლად ეტყვის ვინმეს “დიახ”. ის ძალიან საყვარელი და საინტერესო იყო, რასაც საწინააღმდეგო სქესი ამას აუცილებლად შენიშნავდა. მას შეეძლო ამ მოსაწყენ ხალხში ეპოვა ვინმე, ან დალოდებოდა ფორკსიდან წასვლას, მაგრამ დღე, როცა ის “დიახ”–ს იტყოდა, აუცილებლად დადგებოდა.

უწინდებურად დავინახე მისი ცხოვრება – კოლეჯი, კარიერა.. სიყვარული, ქორწინება, ისევ დავინახე, თეთრ ულამაზეს კაბაში გამოწყობილი, მამასთან ერთად, საქორწინო მარშის ხმაზე მიაბიჯებდა დამაბრმავებელი ღიმილით.

ამ ყველაფრისგან გამოწვეული ტკივილი, ყველა იმ გრძნობაზე ძლიერი იყო, რაც კი როდესმე განმიცდია. ადამიანს მხოლოდ სიკვდილის ზღვარზე მყოფს შეუძლია მსგავსი ტკივილის განცდა, მაგრამ ვერ შეძლებდა ამის მერე სიცოცხლეს.

ტკივილთან ერთად, გაუგებარ გაჯავრებასაც ვგრძნობდი.

გაბრაზება მწვავდა და ფიზიკურ ტკივილს მაყენებდა. თუმცა ეს

არასერიოზული პატარა ბიჭი, ნამდვილად არ იყო ის, ვისაც ბელა თანხმობას ეტყოდა. სურვილი მქონდა მისი თავის ქალა ნამესხვრევებად მექცია, რომ იმ ბედნიერისთვის მაგალითი გამხდარიყო. ეს სურვილები გაბრაზებისგან,

ტკივილისგან, სურვილისა და სასოწარკვეთისგან იყო გამოწვეული. არასოდეს განმიცდია მსგავსი არაფერი, არ შემემლო ამ მდგომარეობისთვის სახელი დამერქმია.

– მაიკ, მე ვფიქრობ, რომ მას უნდა დაეთანხმო. – ზრდილობიანად უთხრა ბელამ.

მაიკის იმედები დაიმსხვრა. ეს ყველაფერი გამახარებდა, მაგრამ იმ შოკისგან ვიყავი განცვიფრებული, რომელიც ტკივილმა და გაბრაზებამ მომიტანა.

ელისი მართალი იყო, არ ვიყავი საკმარისად ძლიერი.

სწორედ ახლა, ის ხედავდა, როგორ იცვლებოდა ისევ მომავალი, ეს მას გაახარებდა?

– შენ უკვე დაპატიჟე ვინმე? – პირქუშად დაინტერესდა მაიკი.

და პირველად, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ეჭვით გადმომხედა.

გავაცნობიერე რამ გამოიწვია მისი ეს რეაქცია – ბელას მხარეს ვიყავი გადახრილი.

ველური შური ტრიალებდა მის ფიქრებში. ფიქრობდა ვის აირჩევდა გოგონა.

საბოლოოდ მოვახერხე ჩემი გრძნობისთვის სახელის დარქმევა.

ვეჭვიანობდი.

– არა. – უპასუხა გოგონამ და ხმაში ირონია გაუკრთა. – საერთოდ არ ვაპირებ ცეკვებზე წასვლას.

შვება ვიგრძენი. შვება, რომელიც სინდისის ქენჯნასა და სიბრაზეს შორის

განვიცადე, როცა მისი პასუხი გავიგონე. მოულოდნელად, ჩემს მოწინააღმდეგეს

მივაქცეე ყურადღება.

– რატომ არა? – მაიკი ძლივს ფარავდა ხმაში უხეშობას.

გამანაწყენა მისმა ტონმა, ძლივს ვიკავებდი ღრენას.

– სიეტლში ვაპირებ წასვლას ამ შაბათს. – უპასუხა.

ცნობისმოყვარეობა ისეთი მძაფრი აღარ იყო, როგორც უწინ. უბრალოდ

ვცდილობდი კითხვებზე პასუხი ამომეცნო. ძალიან მალე შევიტყობ იმ კითხვების

პასუხებს – სად და რატომ. – რომელიც ჩემში გაჩნდა.

მაიკის ხმამ საშინელი პირფერობა შეიძინა.

– არ შეგიძლია გამგზავრება სხვა დროისთვის გადადო?

– მაპატიე, მაგრამ არა. – ამჯერად ბელა უფრო თავდაჯერებული იყო. – და

ძალიან გთხოვ დიდ ხანს ნუ ალოდინებ ჯესის, ეს არაა კარგი ტონი.

მისმა დაინტერესებამ ჯესიკას გრძნობების მიმართ, ჩემი ექვიანობა განდევნა.

სიეტლში გამგზავრება, ეს უბრალოდ მიზეზი იყო უარის სათქმელად. ნუთუ

დაქალის მიმართ კეთილგანწყობის გამო უთხრა უარი? იქნებ სურდა “დიახ” ეთქვა?

შეიძლება ორივე კითხვა არასწორი ყოფილიყო, შეიძლება მას სხვა მოსწონდა.

– ჰო, მართალი ხარ. – ისეთი მოწყენილი ხმით უპასუხა მაიკმა, თითქმის

შემეცოდა. თითქმის.

გოგონას ისე მოარიდა მზერა, რომ არანაირი საშუალება არ დამიტოვა მისი

ფიქრების საშუალებით დამენახა ბელა.

არ ვაპირებდი დანებებას.

ერთი თვის შემდეგ პირველად, მე მისკენ შევტრიალდი, რათა თვითონ დამენახა

გოგონას სახის გამომეტყველება. მისი შეხედვა შევძელი, ეს ისეთი შვება იყო,

როგორც სუფთა ჰაერი, დიდი ხნის შეკავებული სუნთქვის მერე.

თვალები დახუჭა და ხელები სახეზე შემოიჭდო. მისი მხრები, თითქოს თავს

იცავდნენ ისე გადახრილიყო წინ. ნელა აქნევდა თავს, თითქოს არა სასიამოვნო

აზრების გონებიდან განდევნას ცდილობდა.

აღელვებული და ასეთი მომხიზვლელი.

მისტერ ბენერის ხმამ გამოაფხიზლა და ნელა გაახილა თვალები. მაშინვე

შემომხედა, ალბათ ჩემი მზერა იგრძნო. ისეთივე მოწყენილი სახით მიყურებდა

თვალებში, როგორც მე ვიყავი მთელი ეს პერიოდი.

ამ წამს მე არც გაბრაზებას ვგრძნობდი, არც დანაშაულს, თუმცა ვიცოდი, რომ

აუცილებლად ვიგრძნობდი ისევ. ამ ერთადერთ წამში, ვგრძნობდი უცნაურ

აღმაფრენას, თითქოს კი არ დავმარცხდი, არამედ გავიმარჯვე.

მიუხედავად იმისა, რომ შეუფერებელი დაჟინებით ვუცქერდი, ჩემთვის თვალი

არ მოუშორებია. ვცდილობდი მისი ყავისფერი, უძირო თვალების მიღმა კითხვებზე პასუხები მიმელო, თუმცა იქ მხოლოდ უამრავი კითხვა ვიპოვე და არა პასუხები. ჩემს წყურვილისგან ჩაშავებულ თვალებს ვხედავდი, უკვე ორი კვირა გავიდა ჩემი ბოლო ნადირობიდან, ეს კი ნამდვილად არ იყო შესაფერისი დრო საკუთარი გამძლეობის გამოსაცდელად. როგორც ჩანს ჩემი თვალების სიშავე მასზე არ მოქმედებდა, არ აშინებდა, ის ჯერ კიდევ მიყურებდა, რბილი სიწითლე მის ლოყებს ნელნელა ეპარებოდა.

რაზე ფიქრობდა ახლა?

ლამის ხმამალა დავსვი ეს შეკითხვა, მაგრამ ამ დროს გავიგონე მისტერ ბენერმა როგორ ახსენა ჩემი სახელი. მოკლე მზერა ვესროლე და მის თავში უმაღლესი ამოვიკითხე კითხვის პასუხიც.

სწრაფად ჩავისუნთქე.

– კრებსის ციკლი.

წყურვილმა ყელი ჩამწვა, კუნთები დამეჭიმა და პირი შხამით ამევსო. თვალები დავხუჭე, ვცდილობდი თვითკონტროლი აღმედგინა, არ მიმეცცია ყურადღება მისი სისხლის წყურვილისთვის, რომელიც ჩემს შიგნით ტრიალებდა.

მონსტრი უწინდელზე ძლიერი იყო. ბოხოქრობდა, სურდა ორ ვარიანტიანი მომავლის გამოყენება, რომელიც მას ორმოცდაათ პროცენტთან გარანტიას აძლევდა სასურველის მისაღებად. მესამე, საკმაოდ არამდგრადი მომავალი, რომლის შეცვლასაც ვცდილობდი, ჩამოშლილიყო, ეჭვიანობისგან და სხვა დანარჩენი გრძნობებისგან განადგურებულიყო. მონსტრი ასე ახლოს იყო სასურველთან.

სინდისის ქენჯნა და დანაშაულის შეგრძნება წყურვილთან ერთად ისეთი სიძლიერით მწვავდნენ, რომ შემძლებოდა – ამ წამს თვალები ცრემლებით ამევსებოდა.

ეს რა ჩავიდინე?

ვხვდებოდი, რომ ბრძოლა უკვე წაგებული მქონდა. არ ღირდა

შევწინააღმდეგებოდი, იმას რაც მსურდა. შევბრუნდი, რათა კიდევ შემეხედა გოგონასთვის.

თმები ჩამოეფარებინა და ჩემგან იმალებოდა, მაგრამ მის კულულებს შორის მაინც შევნიშნე, რომ მისი წითლად ანთებული სახე.

მონსტრს ეს მოეწონა.

არ ცდილობდა ჩემთვის შემოეხედა, უბრალოდ ნერვიულად ასრიალებდა თმაში თითებს. მისი ნაზი თითების მიღმა, მისი მაჯა. ისინი, ისეთი მსხვრევადები მეჩვენებდნენ, რომ მეგონა სულის შებერვითაც შევძლებდი მათ დამტვრევას.

არა, არა, არა, არ შემემძლო ამის გაკეთება. ის ისეთი სუსტი, ისეთი კარგი, ძალიან ძვირფასი იყო, არ იმსახურებდა ასეთ ბედს. არ შემემძლო იმის დაშვება, რომ ჩვენი ცხოვრების გზები გადაკვეთილიყო და მისთვის ყველაფერი დამენგრია.

ამასთანავე არ შემემძლო მისგან შორს ვყოფილიყავი, ამაში ელისი მართალი იყო.

ჩემს შიგნით არსებული მონსტრი გაკვირვებული ღრიალებდა, მაშინ როცა მე დავიწყე ფიქრი ჯერ პირველზე, ხოლო შემდგომ მეორე ვარიანტზე.

ამ ფიქრში მასთან ყოფნის დრო იმდენად სწრაფად გავიდა – ვერც შევნიშნე.

ზარი დაირეკა, მან კი თავისი ნივთების შეგროვება დაიწყო, ყურადღებას არ მაქცევდა. ამან დამამწუხრა, თუმცა ალბათ მეტს არც უნდა დავლოდებოდი, ავარიის შემდგომ, ჩემი მისდამი დამოკიდებულება მიუტევებელი იყო.

– ბელა? – წარმოვთქვი, არ მქონდა თავის შეკავების ძალა.

ჩემს ნებისყოფა უკვე პატარა ნამსხვრევებად ქცეულიყო.

შეცბუნებულმა ვერ მოახერხა ჩემთვის შემოხედვა, ხოლო როცა ჩემსკენ შემობრუნდა მისი სახე სიფრთხილზე და უნდობლობას გამოხატავდა.

საკუთარ თავს შევახსენე, რომ საფუძველი ქონდა არ მნდობოდა. ასეც უნდა ყოფილიყო.

ელოდებოდა როდის გავაგრძელებდი ლაპარაკს, მე კი უბრალოდ ვუყურებდი და მისი სახის გამომეტყველებას ვსწავლობდი. ოდნავ ჩავისუნთქე და ყურადღება არ

მივაქციე წყურვილს.

– რა? – მკითხა საბოლოოდ. – ისევ მელაპარაკები? – მის ხმაში ძლიერი

უნდობლობა ჩანდა, მაგრამ ის, ისევე როგორც მისი სიბრაზე კეთილშობილებას გამოხატავდა. გაღიმება მომინდა.

არ ვიცოდი, როგორ მეპასუხა მისთვის, ველაპარაკებოდი თუ არა მას იმ გაგებით, რასაც ის გულისხმობდა?

არა. თუ რა თქმა უნდა გამომივიდოდა, მე კი შევეცდებოდი.

– არა. ბოლომდე არა. – ვუპასუხე.

თვალეები დახუჭა, რამაც დამანადვლიანა და ყველანაირი საშუალება მომისპო მის გრძნობებში გარკვევის. ნელა და ღრმად ამოისუნთქა, ისე რომ თვალეები არ გაუხელია. კბილები გააღრჭიალა.

როცა დაილაპარაკა, თვალეები ჯერ ისევ დახუჭული ქონდა, რაც სულაც არ იყო ადამიანებისთვის დამახასიათებელი ლაპარაკისას. რატომ აკეთებდა ამას?

– მაშინ რა გინდა ედვარდ?

მისი ტუჩებიდან წარმოთქმულმა ჩემმა სახელმა, ჩემში უამრავი სხვადასხვა გრძნობა გამოიწვია. ჩემს გულს რომ ფეთქვა შეძლებოდა, მისი რითმი ამ წუთას საშინლად მოიმატებდა.

რა უნდა მეპასუხა?

სიმართლე. გადავწყვიტე. იმდენად გულახდილი ვიქნები, რამდენადაც შევძლებ. არ მინდოდა მისი უნდობლობის დამსახურება, მაშინაც კი, თუ ვერ მოვახერხებდი მის კეთილგანწყობის მოპოვებას.

– ვწუხვარ. – ვუთხარი.

ეს სიმართლე იყო. თუმცა თუ საზღვარს არ გადავიდოდი, მხოლოდ მობოდიშება შემეძლო.

– ვიცი რომ ძალიან უხეში ვიყავი, მაგრამ ასე ჯობდა.

მისთვის უკეთესი იქნებოდა თუ შევძლებდი ასეთივე სულისკვეთებით

გაგრძელებას. მაგრამ შევძლებდი?

თვალეები გაახილა, სახეზე ისევ სიფრთხილე აღბეჭდვოდა.

– არ ვიცი, რაზე...

შევეცადე იმდენად დამეცვა სიფრთხილე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა.

– უკეთესი იქნება, თუ ჩვენ მეგობრები არ ვიქნებით. – რა თქმა უნდა მას შეეძლო ყველაფერს მიმხვდარიყო, ჭკვიანი გოგო იყო. – დამიჯერე.

თვალეები დაუწვრილდა და გამახსენდა, რომ ეს სიტყვები მისთვის უკვე ნათქვამი მქონდა. ზუსტად მაშინ, სანამ ჩემს დაპირებას დავარღვევდი. შევცბი, როცა პირი მაგრად მოკუმბა. როგორც ჩანს, მასაც ახსოვდა ეს ყველაფერი.

– ცუდია, რომ ადრე არ იფიქრე ამაზე. – მიპასუხა გაღიზიანებულმა. – მაშინ არ მოგიწევდა ამდენი სინანული.

გაოცებული ვუყურებდი, რა იცოდა ჩემი დარდის შესახებ?

– სინანული? რაზე? – მოვითხოვე პასუხი.

– იმაზე, რომ იმ სულელურმა ფურგონმა არ მომკლა. – გაბრაზდა.

გაოცებული გავშეშდი.

როგორ შეეძლო ეს ეფიქრა? მისი სიცოცხლის გადარჩენა ერთადერთი იყო ჩვენი შეხვედრის დღიდან, რისიც არ მრცხვენოდა. ერთადერთი იყო ჩემს არსებობაში, რაც სიხარულის მიზეზს მამლევდა. მისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ვიბრძოდი იმ მომენტიდან, როცა პირველად ვიგრძენი მისი სურნელი. როგორ შეეძლო ჩემზე ასე ეფიქრა? როგორ შეუძლია ასე იფიქროს იმ ერთადერთ კარგ საქციელზე, მთელ ამ ქაოსში?

– გგონია ვნანობ, რომ სიკვდილს გადაგარჩინე?

– ვიცი, რომ ნანობ. – სწრაფად მიპასუხა.

მისმა მოსაზრებამ ჩემს საქციელზე, გამაბრაზა.

– შენ არაფერი არ იცი.

როგორი არაჩვეულებრივი იყო მისი ფიქრები. ის სულაც არ ფიქრობდა ისე, როგორც დანარჩენი ადამიანები. ალბათ ეს იყო ახსნა მისი ჩუმი ფიქრებისა. ის სრულიად განსხვავებული იყო.

შებრუნდა, ლოყები გაუწითლდა, ამჯერად სიბრაზისგან. სწრაფად შეაგროვა წიგნები და კარისკენ გაემართა. ყურადღება არ მიუქცევია, რა მდგომარეობაში დამტოვა.

ჩემი გაბრაზების მიუხედავად, შეუძლებელი იყო არ შემემჩნია, რომ მის წყენას მიზეზი ქონდა.

წინ ვერაფერს ხედავდა ისე მიიწევდა კარისკენ, ამიტომ კარის ჩარჩოს წამოედო, წაიბორძიკა და მისი ნივთები ხმაურით დაცვივდნენ იატაკზე. იმის ნაცვლად, რომ დახრილიყო და აეკრიფა, გაუნძრევლად იდგა და ძირს არც კი იყურებოდა, თითქოს არ იყო დარწმუნებული აეკრიფა თუ არა ნივთები.

შევეცადე არ გამეცინა.

ჩემს ირგვლივ არავინ იყო, მისკენ გავფრინდი და მანამდე ავკრიფე წიგნები, სანამ ძირს დახედვას მოიფიქრებდა.

ის უკვე სანახევროდ დახრილიყო, მაგრამ როცა დამინახა გაშეშდა. ისე გავუწოდე წიგნები, რომ მის კანს არ შევხებოდი, ჩემი გაყინული ხელებით.

– მადლობთ. – მითხრა ცივი და მკაცრი ტონით.

მისმა ტონმა აწმყოში დამაბრუნა.

– არაფრის. – ისევე ცივად შევეპასუხე.

სწრაფად გაემართა მომდევნო გაკვეთილზე.

გაუნძრევლად ვიდექი და მანამდე ვუყურებდი მის ნაწყენ ფიგურას, სანამ თვალს არ მიეფარა.

ესპანურმა თითქოს ნისლში ჩაიარა. მისის გოფი არ აქცევდა ყურადღებას ჩემს საქციელს, იცოდა, რომ ჩემი ესპანურის ცოდნით ვჯობდი, ამიტომ თავისუფლებას მამლევდა საფიქრალად.

მოკლედ, მე არ შემეძლო გოგონასგან გაქცევა. ეს ცხადი იყო. მაგრამ ნუთუ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მე უამრავი სხვა გზა მქონდა, მისი მოკვლის გარდა? შეუძლებელი იყო მხოლოდ ეს ერთადერთი შესაძლებელი მომავალი ყოფილიყო. იარსებებდა, რაიმე სხვა ვარიანტიც, მსხვერველად შესაძლებლობაზე დაფუძნებული. ვეცადე ამაზე მეფიქრა.

გაკვეთილის დასრულებამდე, ემეტისთვის ყურადღება არ მიმიქცევია.

ცნობისმოყვარებას შეეპყრო. მისთვის შეუძლებელი იყო კარგად გაეგო სხვისი ხასიათი, მაგრამ ახლა მას ჩემში მომხდარი ცვლილება აოცებდა. აინტერესებდა რამ შეცვალა ჩემს სახეზე არსებული წუხილი. ცდილობდა ცვლილების მიზეზები ამოეცნო, მაგრამ ბოლოს გადწყვიტა, რომ ეს ყველაფერი იმის გამო ხდებოდა, რომ იმედი გამიჩნდა.

იმედი? ნუთუ გვერდიდან ასე გამოვიყურებოდა?

ამაზე ვფიქრობდი, როცა ვოლვოსკენ მივდიოდით, ვცდილობდი გამომეცნო ის, რისი იმედიც უნდა მქონოდა.

მაგრამ დიდ ხანს ფიქრი არ გამომივიდა. იმდენად რამდენადაც ძალიან მგრძნობიარე ვიყავი იმ ფიქრების მიმართ, რომელიც გოგონას ეხებოდა. ბელას სახელი – ჩემი მოწინააღმდეგეების თავში... – მივხვდი, რომ მათთვის უნდა მესმინა. ერიკი და ტაილერი, სიხარულით შეხვდნენ მაიკის უარყოფას ბელას მხრიდან, ახლა კი საკუთარი მოქმედებისთვის ემზადებოდნენ.

ერიკი უკვე ადგილზე იყო. მისი მანქანის პირდაპირ, იქ სადაც ბელა ვერ შეძლებდა მისგან გაქცევას. ტაილერი კლასში შეყოვნებულიყო, რადგან დავალებას აძლევდნენ, ჩქარობდა, როგორმე მოესწრო გოგონასთან დალაპარაკება სანამ გაასწრებდა.

მომიწევდა დავლოდებოდი.

– აქ დაელოდე დანარჩენებს. – გადავულაპარაკე ემეტს.

გაოცებულმა შემომხედა, შემდეგ მხრები აიჩეჩა და დამეთანხმა.

– სულ დაკარგა განსჯის უნარი. – გაიფიქრა, ჩემი უცნაური თხოვნა ართობდა. ვხედავდი როგორ გამოდიოდა ბელა სპორტ დარბაზიდან, ისეთ ადგილზე ველოდებოდი, სადაც ვერ შეძლებდა ჩემს დანახვას.

როცა ის ჩასაფრებულ ერიკს მიუახლოვდა, მდგომარეობა შევიცვალე და ისე დავდექი, რომ ნებისმიერ დროს შევძლებდი დამალვას.

დავინახე, როგორ შეკრთა, როცა მისი მომლოდინე ბიჭი შენიშნა. რაღაც მომენტში გაქვავდა, შემდეგ მოეშვა და სვლა განაგრძო.

– გამარჯობა, ერიკ. – გავიგონე მისი მეგობრული ხმა.

მოულოდნელად საფრთხე შევიგრძენი. იქნება და სწორედ ეს ბიჭი, დამნაშავის სახით და არაჯანსაღი კანით იყო ის, ვინც მას მოსწონდა?

ერიკმა ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი.

– გამარჯობა, ბელა.

როგორც ჩანს, გოგონა ვერ ხვდებოდა მის ნერვიულობას.

– რა მოხდა? – ჰკითხა და ისე გამოაღო მანქანის კარები, მისი სახის შემინებული გამომეტყველება ვერ შენიშნა.

– ემმ... უბრალოდ მინდოდა მეკითხა... ჩემთან ერთად ხომ არ წამოხვიდოდი ცეკვებზე? – ხმა გაუწყდა.

ბოლოს და ბოლოს ბელამ თავი აწია. კმაყოფილი იყო თუ დაბნეული? არ შემემლო ერიკის აზრებში მისი სახის დანახვა, რადგან ვერ შეძლო მისთვის შეხედვა.

– ვფიქრობდი, რომ გოგოებს უნდა დაეპატიჟებინათ ბიჭები. – წარმოთქვა ცოტათი შეშფოთებულმა.

– რა თქმა უნდა. – ნაწყენი სახით დაეთანხმა ბიჭი.

ეს საცოდავი ბიჭი იმდენად არ მაღიზიანებდა რამდენადაც მაიკი. ამის

მიუხედავად, მის მიმართ ოდნავ სიმპატიაც ვერ ვიგრძენი მისი ნერვიულობის გამო, სანამ გოგონას ზრდილობიანმა ხმამ არ უპასუხა.

– მადლობა დაპატიჟებისათვის, მაგრამ მაგ დღეს სიეტლში ვაპირებ წასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ მაიკმა ამის შესახებ უკვე იცოდა, მაინც გაოცებული დარჩა.

– ოჰ, – ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა ერიკმა – იქნებ სხვა დროს.

– რა თქმა უნდა. – უპასუხა გოგონამ. შემდეგ კი ტუჩი მოიკვნიტა, თითქოს ინანა, რომ იმედი დაუტოვა. მე ეს მომეწონა.

ერიკი სწრაფად შებრუნდა და მანქანის საპირისპირო მხარეს წავიდა. მისი თავიდან ყველა მნიშვნელოვანი აზრი გამქრალიყო.

გოგონას მაშინ გავუარე გვერდით, როცა შვებით ამოისუნთქა. გამეცინა.

ჩემსკენ შემოტრიალდა, მაგრამ წინ ვიყურებოდი და სიცილის ხველაში გადაზრდა ვცადე.

ტაილერი ჩემს უკან იყო და თითქმის სირბილით მიემართებოდა ბელასკენ, უნდოდა მიესწრო, სანამ წავიდოდა. მასში თავხედობა იგრძნობოდა, მის წინამორბედებზე მეტად იყო დარწმუნებული საკუთარ წარმატებაში. მხოლოდ მაიკის პატივისცემის გამო არ ცდილობდა ამდენი ხანი ბელასთან მიახლოებას. ორი მიზეზის გამო მსურდა მიესწრო. თუ, და ვფიქრობდი რომ არ ვცდებოდი, ეს ყურადღება ბელას აღიზიანებდა, მინდოდა მისი გამომეტყველებით დავმტკბარიყავი. მაგრამ თუ ასე არ იყო და ერიკის მიპატიჟება სწორედ ის იყო, რასაც ელოდა, მსურდა საქმის კურსში მეც ვყოფილიყავი.

ტაილერს, როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეს ისე ვაფასებდი. ჩემთან შედარებით საკმაოდ არაფრით გამორჩეული იყო, მაგრამ არ ვიცოდი ბელას გემოვნება, იქნებ მას ჩვეულებრივი ბიჭები მოსწონდა?

ამ აზრმა შემაკრთო. არასოდეს ვთვლიდი თავს ჩვეულებრივ ბიჭად. როგორი სისულელე იყო, თავი მისი გრძნობის მოპოვების ერთერთ პრეტენდენტად ჩამეთვალა. ნუთუ შეიძლებოდა მოწონდებოდა ის, ვინც ურჩხული იყო მთელი თავისი არსებით.

ის ზედმეტად კარგი იყო მონსტრისთვის.

უნდა გამეშვა, მაგრამ ჩემი უპატიებელი ცნობისმოყვარეობა ამ გადაწყვეტილების მიღებისგან მაკავებდა. ისევ. რა მოხდებოდა თუ კი ტაილერი თავის შანსს ვერ გამოიყენებდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემეძლო, მასთან დალაპარაკების საშუალება მიმიეცა – უკვე ვიცოდი თემის შინაარსი. ვოლვოში ჩავჯექი და მანქანით ბელას გასასვლელი გზა ჩავუკეტე.

ემეტი და დანარჩენები უკვე მანქანისკენ მოდიოდნენ, მას უკვე მოესწრო მათთვის ჩემი უცნაური ქცევის მოყოლა, ამიტომ ჩვეულებრივზე ნელა მოაბიჯებდნენ, მაკვირდებოდნენ და ცდილობდნენ გაეგოთ ჩემი ქცევის მიზეზი. უკანა ხედვის სარკეში ვაკვირდებოდი გოგონას, რომელიც თავისი მანქანით ჩემი მანქანის უკან შეჩერებულიყო. ჩემთვის არ შემოუხედავს, მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდით, სურდა ტანკში მჯდარიყო და არა თავის პიკაპში.

ჩემი მოულოდნელი აუხსნელი მოქმედების შედეგად, ტაილერმა სწრაფად დაძრა მანქანა და მიუახლოვდა, უსიგნალებდა და ცდილობდა როგორმე მისი ყურადღება მიექცია, მაგრამ გოგონა ვერც კი ამჩნევდა. ტაილერმა ცოტა ხნით შეიცადა, შემდეგ კი მანქანიდან გადმოვიდა, მგზავრის მხრიდან მივიდა და მინაზე დააკაკუნა.

გოგონა შეხტა. შემდეგ კი დაბნეული მიაჩერდა ბიჭს და გაჭირვებით ჩამოსწია მინა.

– მაპატიე ტაილერ. – მის ხმაში გაღიზიანება იგრძნობოდა. – ვერ შევძელი ქალენისთვის გვერდი ამევლო.

ჩემი გვარის წარმოთქმისას, მისი ხმის ინტონაციით მივხვდი, რომ ჯერ კიდევ ბრაზობდა.

– ოჰ, ვიცი. – ტაილერი მის ხმის ტონს არ შეუშინებია. – უბრალოდ მინდოდა რაღაცა მეკითხა, ვიდრე აქ ვდგავართ.

ბიჭის ღიმილი თავხედური იყო.

მომეწონა, როცა დავინახე როგორ გაფითრდა ბელა, როცა მიხვდა საითაც უმიზნებდა ტაილერი.

– იქნებ გაზაფხულის ცეკვებზე დამპატიჟო? – შეეკითხა და მის აზრებში ჩანდა, რომ საკუთარ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა.

– მაპატიე ტაილერ, მაგრამ ქალაქში არ ვიქნები. – უპასუხა ბელამ გაბრაზებული ხმით.

– ჰო, მაიკმა ახსენა ეს.

– მაშინ რატომ... – შეეცადა ეკითხა.

ტაილერმა მხრები აიჩეჩა.

– ვიფიქრე მაიკი მოატყუე.

ბელას თვალები აენტო, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა.

– მაპატიე, ტაილერ. – უთხრა და მის ხმაში ოდნავი წუხილიც არ იგრძნობოდა. – ნამდვილად არ ვიქნები ქალაქში.

ბიჭმა მისი მობოდიშება მიიღო, პასუხმა მისი თვითრწმენა ვერ შეარყია.

– არა უშავს, გამოსაშვები სადამო წინ გვაქვს. – საკუთარი მანქანისკენ წავიდა.

მართალი აღმოვჩნდი, რომ დაველოდე ამ მომენტს.

შეშინებული სახის გამომეტყველება, რომელიც ბელას სახეზე აღბეჭდილიყო,

ჩემთვის ფასდაუდებელი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რისი გაგების სურვილიც მწვავდა –

მათ შორის ვინც დაპატიჟა, არცერთი მამრობითი სქესის წარმომადგენელის მიმართ არ ქონდა გრძნობა.

ამასთანავე მისი სახის გამომეტყველება ყველაზე მეტად მართობდა, რაც კი აქამდე მინახავს.

ამ დროისთვის ჩემი ოჯახის წევრებს მანქანასთან მოახლოება მოესწროთ და

გაოცებულები უყურებდნენ ჩემს გარდასახვას – იმის ნაცვლად, რომ

მომაკვდინებელი მოლუშული გამომეტყველებით ვმჯდარიყავი, სიცილიგან ვცახცახებდი.

– რა არის სასაცილო? – დაინტერესდა ემეტი.

უბრალოდ თავი გადავაქნიე და სიცილის ახალმა ტალღამ დამარტყა, როცა ბელამ მთელი ძალით დააჭირა სიჩქარის სატერფულს ფეხი, ისევ ტანკში ჯდომას ნატრობდა.

– წავიდეთ. – მოუთმენლად ჩაილაპარაკა როზალიმ. – შეწყვიტე იდიოტური ქცევა, თუ ეს ძალიან რთული არ იქნება შენთვის.

მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, საკმაოდ დაკავებული ვიყავი.

მაგრამ ისე მოვიქეცი როგორც მთხოვა.

სახლისკენ მიმავალ გზაზე, სიტყვა არავის უთქვამს. დროდადრო ბელას სახის გახსენებაზე, სიცილს ვაგრძელებდი.

როგორც კი სიჩქარეს მოვუმატე და როცა მოწმეებიც გაქრნენ, ელისმა ფიქრი შემაწყვეტინა.

– ახლა შემიძლია ბელას დაველაპარაკო? – მკითხა მოულოდნელად. მანამდე არ უფიქრი ამაზე, რათა შეკითხვის პასუხზე არ დავფიქრებულიყავი.

– არა. – მოვუჭერი.

– არა სამართლიანია. რაღას ველოდო?

– ჯერ კიდევ არაფერი გადამიწყვეტია ელის.

– არ აქვს მნიშვნელობა, ედვარდ.

მის თავში, ისევ გამოჩნდა ბელას ცხოვრების ორი შესაძლო მომავალი.

– რა აზრი აქვს მასთან დალაპარაკებას? – მოლუშულმა ვკითხე მოულოდნელად.

– თუ კი მის მოკვლას ვაპირებ?

ელისი წამით შეეყოყმანდა.

– ნუ, შენ მიზეზი გაქვს. – შენიშნა.

საათში ოთხმოცდაათი მილის სისწრაფით მოვბრუნდი მოსახვევში და ავტოფარების შესასვლელთან ერთი დუიმის დაშორებით დავამუხრუქე მანქანა.

– ისიამოვნე გარბენით. – თვითკმაყოფილმა თქვა როზალიმ, როცა მანქანიდან

გადმოვფრინდი.

დღეს სირბილს არ ვაპირებდი, ამასთანავე ნადირობას ვგეგმავდი.

დანარჩენები ნადირობას ხვალ აპირებდნენ, მაგრამ ჩემს თავს ვერ მივცემდი უფლებას, რომ დღეს წყურვილს შევეწუხებინე. გადავაჭარბე, იმაზე მეტი სისხლი დავლიე, ვიდრე აუცილებელი იყო – პატარა ირმების ჯოგი, ერთი დათვი – ნამდვილად გამართლება იყო, რომ წლის ამ დროს გადავაწყდი. სისხლის გადამეტებულმა რაოდენობამ, თავი არასასიამოვნოდ მაგრძნობინა. რატომ არ იყო ეს საკმარისი? რატომ იყო მისი სურნელი ყველაზე ძლიერი?

ვნადირობდი, ხვალინდელი დღისთვის ვემზადებოდი. მაშინ როცა უკვე ნადირობის გაგრძელება აღარ შემეძლო, მაშინ როცა მზის ამოსვლამდე სულ რამდენიმე საათი დარჩენილიყო, გავაცნობიერე, რომ მომდევნო დღე არც თუ ისე მალე დადგებოდა.

შიშმა შემიპყრო, როცა მივხვდი, რომ გოგონას მოძებნას ვაპირებდი.

ფორკისკენ მიმავალი, მთელი გზა საკუთარ თავს ვეკამათებოდი, მაგრამ ჩემს შიგნით არსებულმა ნაკლებად კეთილშობილმა მეორე მემ გაიმარჯვა და ჩემი სურვილის შესასრულებლად გავწიე. ჩემს შიგნით არსებულ ურჩხულს არ ეძინა, მაგრამ მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო. ვიცოდი, რომ შემეძლო გოგონასთვის უსაფრთხო მანძილზე შევჩერებულიყავი. უბრალოდ მინდოდა გამეგო სად იყო. მხოლოდ მისი სახის დანახვა მსურდა.

შუალამე იყო, ბელას სახლი ჩუმი და ბნელი იყო. მისი მანქანა სადარბაზოს შესასვლელ გზაზე გაჩერებულიყო, პოლიციის კრუიზერი კი – მთავარ გზაზე. მეზობლად მდგარი სახლიდან უშინაარსო აზრები ისმოდა... ცოტა ხანი ტყის სიბნელიდან ვუთვალთვალებდი სახლს. მთავარი შესასვლელი კარი აუცილებლად ჩაკეტილი იქნება. ეს რა თქმა უნდა ჩემთვის წინააღმდეგობა არ იქნებოდა, მაგრამ არ მსურდა, გატეხილი კარის სახით, ჩემი იქ ყოფნის დამამტკიცებელი საბუთი დამეტოვებინა. დასაწყისისთვის გადავწყვიტე სახლის

მეორე სართულზე არსებული ფანჯრიდან დამეწყო. ხალხი არ ცდილობდა მის ჩაკეტვას.

ბალი გადავჭერი და ნახევარ წამში სახლის ფასადზე ავცოცდი. ფანჯრის კარნიზზე ცალი ხელით ჩამოვიდებულმა ფანჯარაში შევიხედე და სუნთქვა გამიჩერდა.

მისი ოთახი იყო. ვხედავდი პატარა საწოლში მწოლიარეს. გადასაფარებელი იატაკზე დავარდნილიყო, ზეწარი კი ფეხებზე შემოხვეოდა. ვუყურებდი როგორ ნერვიულად იცვალა ლოგინში გვერდი და ერთი ხელი თავქვეშ ამოიღო. ძილის დროს ხმებს არ გამოსცემდა, ყოველშემთხვევაში ამ ღამით. გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს?

გავშემდი, როცა შვენიშნე, რომ მის მშფოთვარე მოძრაობებს ვუყურებდი.

ნუთუ ნებისმიერ სულელ ჯაშუშს ვჯობდი? არა, პირიქით, ძალიან, ძალიან ცუდი ვიყავი.

თითები მოვადუნე, ძირს დაშვებას ვაპირებდი, მაგრამ გადავწყვიტე ერთხელ კიდევ დამენახა მისი სახე.

ის მშვიდი არ იყო, წარბებს შორის პატარა ნაოჭი გასჩენოდა, ტუჩის კუთხეები დაშვებოდა და უცახცახებდა, შემდეგ კი პირი გაეხსნა.

– კარგი დედა. – ჩაილაპარაკა.

ბელა სიზმარში ლაპარაკობდა.

ცნობისმოყვარეობამ საკუთარი თავის მიმართ ზიზღს სძლია. ამ დაუცველი, გაუცნობიერებლად წარმოთქმული აზრების სიახლოვე საოცრად მიზიდავდა.

ფანჯარა მოვსინჯე, რომელიც ღია აღმოჩნდა, მაგრამ როგორც ეტყობა დიდი ხანი არ გამოეყენებინათ. ჩუმად ავწიე, მეტალის ჩარჩოს ყოველი გაჭრიალება მაბრაზებდა. შემდეგისთვის ცოტაოდენი ზეთის წამოღება მომიწევს...

შემდეგისთვის? თავი გავაქნიე და ისევ ვიგრძენი ზიზღი.

სანახევროდ ღია ფანჯრიდან ადვილად შევძვერი ოთახში.

ოთახი პატარა იყო, მოუწესრიგებელი, მაგრამ არა ჭუჭყიანი. საწოლის ახლოს იატაკზე წიგნები ეყარა, მათ წინა ყდას ვერ ვხედავდი. დისკები არაძვირადღირებულ პლექსთან ახლოს მიმოზნეულიყო, ამ ყველაფრის ზემოდან ზარდახშა იდო. ფურცლის ნაგლეჯებს მთლიანად დაეფარათ კომპიუტერი, რომელიც იმდენად ძველი იყო, რომ ძველი ტექნოლოგიების მუზეუმის საკუთრება გეგონებოდა.

ფეხსაცმელები ხის იატაკზე დაეყარა.

ძალიან მინდოდა ახლოს მივსულიყავი და მისი წიგნების დასახელებები წამეკითხა, მაგრამ საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ მისგან უსაფრთხო მანძილზე ვიქნებოდი, ამასთანავე ოთახის შორეულ კუთხეში მდგარ, ძველ სარწეველა სავარძელში ჩავჯექი.

ვფიქრობდი როდესმე ამ გოგონას შესახებ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანზე? პირველივე დღეს ვფიქრობდი ამაზე, მაშინ როცა ყველა იმ ადამიანის მიმართ ვგრძნობდი ზიზღს, ვინც მაშინვე მოინდომა მასთან გათამაშება. ახლა როცა მათი ფიქრებიდან დანახულ გოგონას სახეს ვიხსენებდი, მიკვირდა, მაშინვე როგორ ვერ შევნიშნე მისი მომხიზვლელობა, ეს ხომ ცხადი იყო.

სწორედ ახლა, მისი მუქი, აბურდული თმები, თეთრი სახის კანი, ძველ დახეულ პიჟამაში გამოწყობილი, გაუცნობიერებელი, მოდუნებული სახის ნაკვეთებით, მკაცრად მოკუმული ტუჩებით, ჭკუიდან მშლიდა. შეგშლიდა, გავიფიქრე მოლუშულმა, რა თქმა უნდა რომ შემძლებოდა ჭკუიდან შეშლა. გოგონა არ ლაპარაკობდა. შესაძლოა მისი სიზმარი დამთავრდა.

მის სახეს ვუყურებდი და ვცდილობდი მომეძებნა საშუალება, რათა მომავალში უფრო მომთმენი ვყოფილიყავი.

ტკვილი არ შეიძლებოდა ასატანი ყოფილიყო. ნიშნავდა ეს იმას, რომ ერთადერთი სწორი ვარიანტი – მისგან შორს ყოფნის კიდევ ერთი მცდელობა იყო?

ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ ამ შემთხვევაში ჩემთან კამათი. ჩემი წასვლით მათ საფრთხე არ შეექმნებოდათ. არ არსებობდა არავითარი ეჭვი, არავინ გაიხსენებდა იმ ავარიას.

ვყოყმანობდი. ისევე როგორც დღე, არაფერი ჩანდა შესაძლებელი.

იმის მიუხედავად, როგორები იყვნენ ისინი და მოსწონდა თუ არა გოგონას, მე არ შემეძლო ადამიანებისათვის მეტოქეობის გაწევა, მე ურჩხული ვიყავი.

როგორ შეეძლო მას ჩემი სხვაგვარად დანახვა? სიმართლე რომ ცოდნოდა, შემინებული და დამფრთხალი, ჩემგან შორს გაიქცეოდა.

გამახსენდა ბიოლოგიის პირველი ლექცია... საკუთარ თავს შევახსენე, რომ ეს იყო ყველაზე სწორი რეაქცია მისგან.

სულელური იყო იმაზე ფიქრი, რომ სწორედ მე ვიქნებოდი ის, ვინც მას გაზაფხულის ცეკვებზე დაპატიჟებდა, რომ ის გადადებდა ყველა თავის გეგმას და ჩემთან ერთად წამოსვლას დათანხმდებოდა.

მე არ ვიყავი ის, ვინც მისგან თანხმობას მიიღებდა. ეს ვიღაც სხვა იქნებოდა, ვიღაც სხვა უფრო ადამიანური და თბილი. მე კი იმასაც ვერ დავუშვებდი, რომ როცა ის თანხმობას ეტყოდა ვიღაცას, მათზე ნადირობა დამეწყო. იმის მიუხედავად ვინც არ უნდა ყოფილიყო ის სხვა, გოგონა მას იმსახურებდა. ის სიყვარულს და ბედნიერებას იმსახურებდა მასთან, ვისაც მომავალში აირჩევდა.

მე ვალდებული ვიყავი სწორად მოვექცეულიყავი. მეტს ვეღარ გარდავიქმნებოდი, მივხვდი, რომ გოგონას შეყვარების ზღვარზე ვიმყოფებოდი.

თუ წავიდოდი, ამას არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან ბელა ვერასოდეს შეძლებდა ჩემთვის ისე შემოხედვას, როგორც ეს მე მინდოდა. ვერასოდეს შეძლებს დაინახოს ჩემში ის, ვინც მის სიყვარულს იმსახურებს.

ვერასოდეს...

ნუთუ მკვდარ და გაყინულ გულს შეეძლო დამსხვრევა? როგორც ჩანს ჩემსას შეეძლო.

– ედვარდ. – წარმოთქვა ბელამ.

გავშემდი, მის დახუჭულ თვალებს ვუყურებდი.

ნუთუ გაელვიდა და დამინახა? აშკარად ეძინა, მაგრამ მისი ხმა ისეთი მკვეთრი იყო. გოგონამ ჩუმად ამოისუნთქა და ისევ ნერვიულად იცვალა გვერდი ლოგინში.

მას ეძინა, სიზმარში კი მე მხედავდა.

– ედვარდ. – ჩაილაპარაკა რბილად.

მე ვესიზმრებოდი.

შეეძლო მკვდარ და გაყინულ გულს ისევ ნამსხვრევებად ქცეულიყო?

როგორც ჩანს ჩემსას უკვე ვეღარ შევაგროვებდი.

– დარჩი, – ამოისუნთქა, – არ წახვიდე, გთხოვ... არ წახვიდე.

მე ვესიზმრებოდი და ეს სიზმარი კომმარო არ იყო. მას უნდოდა, რომ მის გვერდით დავრჩენილიყავი იქ, მის სიზმარში.

შევეცადე სახელი მომეძებნა იმ გრძნობისთვის, რომელმაც შემიაპყრო, მაგრამ ვერ შევძელი საკმარისად შესაფერისი სიტყვის პოვნა. საკმაოდ დიდ ხანს ვფიქრობდი ამაზე.

საბოლოოდ როცა ფიქრებიდან ამოვყვინთე, მე უკვე ის აღარ ვიყავი, ვინც ადრე.

ჩემი უსასრულო ცხოვრება უცვლელი შუაღამე იყო. მუდმივად შუაღამე იდგა. როგორ მოხდა, რომ ამ შუაღამეში მზემ იწყო ამოსვლა?

მაშინ როცა ვამპირად გადავიქეცი, ჩემი სული და მოკვდავობა, უკვდავობასა და მწველ ტკივილზე გავცვალე. გავქვავდი. ჩემი სხეული რაღაც კლდის ნატეხის მსგავსი გამხდარიყო, უცვლელი და ძლიერი, მე თვითონვე შევუწყე ხელი ჩემი საკუთარი „მე“-ს ჩახშობას. ჩემი უპირატესობა და ცუდი განწყობილება რაიმეს

მიმართ, ჩემი ხასიათი და გატაცება, ყველაფერი სამუდამოდ გავყინე.

ეს ყველაფერი სხვებისთვისაც ასე იყო. ჩვენ ყველანი გაუხეშებულები ვიყავით, ცოცხალი ქვები.

როცა ცვლილება რომელიმე ჩვენთაგანს შეეხება, ეს მათთვის მუდმივი რჩება. მე ვნახე როგორ მოხდა ეს კარლაილის შემთხვევაში, ათი წლის შემდეგ როზალისთვის. სიყვარულმა ისინი სამუდამოდ შეცვალა. ამას ვერასოდეს ამოშლიდი მათგან. ოთხმოც წელზე მეტი გავიდა მას მერე, რაც კარლაილმა ესმე ნახა, ისინი კი ჯერ კიდევ პირველი სიყვარულით აღსავსე თვალებით უყურებენ ერთმანეთს. მათთვის სამუდამოდ ასე იქნება.

ჩემთვისაც ასე იქნება. ყოველთვის მეყვარება ეს სათუთი ადამიანური გოგონა, მთელი ჩემი დაუსრულებელი სიცოცხლის, არსებობის მანძილზე. ვუყურებდი მის სახეს, რომელიც არაფერს გამოხატავდა, ვგრძნობდი როგორ ავსებდა ეს სიყვარული ჩემი გაქვავებული სხეულის თითოეულ ნაწილს. გოგონას შედარებით მშვიდად ეძინა, მის ტუჩებზე კი მსუბუქი ღიმილი ისახებოდა.

შევწყვიტე მისი ყურება და სამომავლო გეგმების დაწყობას შევუდექი.

მე ის მიყვარდა, ამიტომაც უნდა მეცადა საკმარისად ძლიერი ვყოფილიყავი, რათა შემძლებოდა მისი დატოვება და წასვლა. ვიცოდი, რომ საამისო ძალა ახლა არ გამაჩნდა, მაგრამ ამაზე ვიმუშავებდი. იქნებ საკმარისად ძლიერი აღმოვჩენილიყავი, რათა მისი ცხოვრება სხვა გზით გამეშვა.

ელისი ბელას მომავლის მხოლოდ ორ გზას ხედავდა. ახლა კი ორივეს მივაქციე ყურადღება.

თუ შეცდომას დავუშვებდი, მისდამი სიყვარულს შეიძლება ვერ შევეჩერებინე მისსავე მკვლელობისგან.

ჯერ ვერ ვგრძნობდი ურჩხულს ჩემს შიგნით, არ შემეძლო მისი

სააშკარაოზე გამოყვანა. შესაძლოა სიყვარულმა სამუდამოდ დაამშვიდა ის. თუ მე ახლა გოგონას მოვკლავდი, ეს წინასწარგანზრახული ქმედება კი არა, საშინელი,

უბედური შემთხვევა იქნებოდა.

მომიწევდა უკიდურესად წესიერი და ზუსტი ვყოფილიყავი. არასოდეს, არასოდეს უნდა მომედუნებინა თავის კონტროლი. მომიწევს ყოველი ჩასუნთქვა ვაკონტროლო, ყოველთვის უსაფრთხო მანძილზე ვიყო მისგან.

შეცდომებს არ დავუშვებდი.

და მე ბოლოს და ბოლოს გავიგე მეორე მომავალი. ამ ხილვამ ამრია, ხილვამ იმის შესახებ, რა მოხდებოდა, თუ კი ბელა იმ ვამპირული, ნახევრად სიცოცხლის ტყვე გახდებოდა. ამ წამს გაუფერულეზულ წყურვილის ფონზე, რომელსაც გოგონას მიმართ ვგრძნობდი, წარმოვიდგენდი, როგორ ვთხოვდი მამაჩემს, ჩემი უპატიებელი ეგოიზმის გამო, ამ მოწყალებას. ვთხოვდი გოგონასთვის სიცოცხლის და სულის წართმევას, რათა მისი სამუდამოდ შენარჩუნება შემძლებოდა.

ის მეტს იმსახურებდა.

ამასთანავე ერთ მკრთალად გამოხატულ მომავალსაც ვხედავდი, რომელზეც შემძებლო წასვლა, თუ რა თქმა უნდა წონასწორობის შენარჩუნებას მოვახერხებდი.

შემიძლია თუ არა მასთან ყოფნა ისე, რომ ადამიანად დავტოვო?

ამაზე ჩაფიქრებულმა ღრმად ჩავისუნთქე. შემდეგ კიდევ ერთხელ. მის სურნელს საშუალება მივეცი მთლიანად შემოსულიყო ჩემში, როგორც ჩაუქრობელ ხანძარს, ისე დავეწვი. ოთახი მისი სუნით გაჟღენთილიყო, თითოეულ საგანში გამჯდარიყო. თავბრუსხვევა ვიგრძენი, მაგრამ ვცდილობდი ამ გრძნობასთან ჭიდილს. თუ კი მასთან რაიმე სახით მეგობრობას ვაპირებდი, ამასთან შეგუება მომიწევდა. კიდევ ერთხელ ჩავისუნთქე მწველი სურნელი. ვოცნებობდი და ვსუნთქავდი, ვტკბებოდი მძინარეს ყურებით, ვიდრე მზემ არ დაიწყო აღმოსავლეთიდან ამოსვლა. სახლში მისულმა ვნახე, რომ დანარჩენები უკვე სკოლაში წასულიყვნენ. სწრაფად გამოვიცვალე, ვცდილობდი

ესმეს კითხვით სავსე მზერას გავქცეოდი. ხედავდა ჩემს გაბრწყინებულ სახეს და ნერვიულობას და შვებას ერთდროულად განიცდიდა. ჩემი მელანქოლია მას ტკივილს აყენებდა, ახლა კი გახარებული იყო, რადგან ყველაფერი დამთავრდა. სკოლისკენ გავემურე. ჩემს ნათესავებს იქ მისვლა, რამდენიმე წუთით ადრე მოესწროთ. ჩემსკენ არ შემობრუნებულან, თუმცა როგორც მინიმუმ, ელისმა იცოდა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე, ხეების ჩრდილში ვიდექი. ცოტა ხანს შევიცადე, სანამ მოწმეების გარეშე დავრჩებოდი და ნელი, მოსეირნე ნაბიჯით გამოვედი მანქანებით სავსე ავტოსადგომზე.

გავიგონე, როგორ შემოუხვია ბელას მანქანამ კუთხეში და ისეთ ადგილზე გავჩერდი, საიდანაც ადვილად შემეძლო მისი დანახვა, თვითონ კი შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი.

ავტოსადგომზე შემოსულმა საკმაოდ დიდ ხანს უყურა ჩემს „ვოლვოს“, შემდეგ კი მანქანა ყველაზე განცალკევებულ ადგილზე გააჩერა. სახე მოლუშვოდა. გამახსენდა, რომ შესაძლოა ის ჯერ კიდევ ჩემზე ბრაზობდა.

მომინდა გამეცინა და საკუთარი თავისთვის ხელი მეკრა. ყველა ჩემი ოცნება და გეგმა უსარგებლო იყო, თუ კი მისთვის არაფერს წარმოვადგენდი. მისი სიზმარი შეიძლება სულ სხვა რამეზე ყოფილიყო. მე კი უმაღლესი დონის ტუტუცი გამოვდიოდი.

რა თქმა უნდა მისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ კი არ ვაინტერესებდი. თუმცა ეს მე ვერ შემაჩერებდა, რომ მასთან არ მეფლირტავა. ამასთანავე მასთან ბევრად თბილად უნდა მოვქცეულიყავი, ისე როგორც ვგეგმავდი. ვალდებული ვიყავი.

ჩუმად წავედი მისკენ, თან ვფიქრობდი, როგორ იქნებოდა უკეთესი მასთან მიახლოება.

მან კი ყველაფერი გაამარტივა. მანქანიდან გადმოსვლისას, გასაღები თითებიდან გაუსხლტა და წყლის გუბეში ჩავარდა.

დაიხარა, მაგრამ მე დავასწარი და მანამდე ამოვიღე, ვიდრე ცივ წყალში ხელს ჩაყოფდა. მის სატვირთოს მივეყრდენი, შეხტა, შემდეგ კი წელში გავსწორდი.

– როგორ აკეთებ ამას? – მომთხოვნინ ხმა ჰქონდა.

ჰო, ის ჯერ კიდევ ბრაზობდა.

გასაღები გავუწოდე.

– რას ვაკეთებ?

ხელი გაშალა და გასაღები ხელისგულზე დავუგდე. ღრმად ჩავისუნთქე მისი სურნელი.

– პირდაპირ ჰაერიდან გამოჩენას. – ამიხსნა.

– ბელა, ჩემი ბრალი არ არის, თუ შენ ასეთი უყურადღებო ხარ. – ეს

სიტყვები ხუმრობად ჟღერდა. ნუთი არსებობდა ისეთი რამე, რაც ჯერ არ შეემჩნია.

გაიგონა ჩემს ხმაში სინაზე, როცა მისი სახელი წარმოვთქვი?

მომაჩერდა, ჩემი იუმორი ვერ გაიგო. გულისცემა აუჩქარდა, სიბრაზისგან? შიშისგან? შემდეგ კი თვალები დახარა.

– გუშინ რატომ მოაწყე ის საცობი? – მკითხა ისე, რომ თვალები არ

აუწევია. – მეჩვენება, რომ შენ უბრალოდ გადაწყვიტე, რომ მე არ ვარსებობი, ამასთანავე სიკვდილის საშუალებას არ მამლევ.

ჯერ კიდევ გაბრაზებული იყო. ცოტათი რთული იქნებოდა მისთვის აზრის შეცვლა. გამახსენდა ჩემი გადაწყვეტილება – მასთან გულწრფელი ვყოფილიყავი.

– ეს ყველაფერი ტაილერისთვის გავაკეთე და არა შენთვის. მისთვის შანსი უნდა მიმეცა, – შემდეგ კი გავიცინე, თავის შეკავება ვერ შევძელი, როცა მისი გუშინდელი სახის გამომეტყველება გამახსენდა.

– შენ... – ამოისუნთქა, შემდეგ კი ლაპარაკი შეწყვიტა. ძალიან გაბრაზებული იყო, რათა წინადადება დაემთავრებინა. აი ისიც. – იგივე სახის გამომეტყველება.

კიდევ ერთხელ გამეცინა, რამაც უარესად გაამწარა.

– და მე სულაც არ ვფიქრობ, რომ შენ არ არსებობ. – დავასრულე.

საჭირო იყო სიფრთხილე გამომეჩინა, ვერ გამიგებდა, თუ კი ჩემს ჭეშმარიტ გრძნობების შესახებ ვეტყვოდი, შევაშინებ. მომიწევდა გრძნობების დამალვა.

– ამ შემთხვევაში, რადგანაც ტაილერის ფურგონმა ვერ შეძლო ეს, შენ აპირებ ჩემს სიკვდილის პირამდე მიყვანას?

სიბრაზემ მთლიანად დაიპყრო ჩემი არსება. როგორ შეეძლო ამის დაჯერება? მაცოფებდა იმის შეგრძნება, რომ ასეთი შეურაცხყოფილი ვიყავი. მან არ იცოდა იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც ჩემში მოხდა წინა ღამით, მაგრამ მაინც მაბრაზებდა მისი სიტყვები.

– ბელა, ეს უბრალოდ სისულელეა. – გავცხარდი.

სახეზე სინათლე გაუკრთა და მაშინვე შემაქცია ზურგი. სვლა განაგრძო.

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, არ მქონდა გაბრაზების უფლება.

– მოიცადე. – ვთხოვე.

არ შეჩერებულა, ამიტომ გავეკვიდე.

– მაპატიე უხეშობისთვის. არ უარვყოფ, რომ ასეთი ვიყავი. – უბრალოდ სულელური იყო იმაზე ფიქრი, რომ მე მისთვის რამის დაშავება მსურდა. – მაგრამ შენი მხრიდან არასწორია ასეთი ლაპარაკი.

– რატომ არ დამანებებ თავს?

დამიჯერე, მინდოდა მეთქვა. ვცდილობდი.

და კიდევ, მთელი ჩემი არსებით, ძალიან მიყვარხარ.

ზღვარს არ გადახვიდე.

– მინდოდა რაღაც მეთხოვა, მაგრამ შენ პირის გაღების საშუალებაც არ მომეცი. – მისი რეაქცია ისევ განმეორდა და ისევ გამეცინა.

– პიროვნების გაორება გაქვს? – შემეკითხა.

მგონი ეს ნამდვილად ასე იყო. ჩემი გონება ამდენი განცდისგან, რომელიც

შიგნით ტრიალებდა, იცვლებოდა.

– ისევ იგივეს აკეთებ. – შევნიშნე.

ამოისუნთქა.

– კარგი, რის შესახებ გინდოდა გეკითხა?

– შაბათის შესახებ... – დავინახე სახეზე გაოცება როგორ გამოეხატა და ისევ ჩავიცინე. – გაზაფხულის ცეკვების დღის შესახებ მინდოდა მეკითხა.

– დამცინი?

ჰო.

– მომცემ დამთავრების საშუალებას?

ჩუმიად იდგა და ტუჩებს იკვნიტდა,

რაც მომენტში ამან ჩემი ყურადღება მიიქცია. უცნაური, უცნობი რეაქცია გაჩნდა ჩემს დიდი ხნის წინ მივიწყებულ ადამიანურ არსში. ვეცადე თავიდან ამომეგლო ეს შეგრძნებები და საკუთარი როლის თამაში გამეგრძელებინა.

– გავიგე, რომ მაგ დღეს სიეტლში აპირებ გამგზავრებას და დამაინტერესა, შეიძლება წაგიყვანო? – შევთავაზე.

მივხვდი, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ კი მის გეგმებს მასთან ერთად განვიხილავდი და უბრალოდ არ შევეცდებოდი მისგან ამის შეტყობას. დაბნეული სახით მომაჩერდა.

– რა?

– წინააღმდეგი ხომ არ იქნები, თუ მე წაგიყვან სიეტლში? – მარტო მასთან მანქანაში... ამ ფიქრისგანაც კი ვიგრძენი ყელში წვა. ღრმად ჩავისუნთქე. შევძლებ...

– ვისთან ერთად? – გაფართოებული თვალებით მკითხა.

– ჩემთან ერთად, რა თქმა უნდა. – ნელა წარმოვთქვი.

– რატომ?

ნუთუ ამდენად აოცებდა ის ფაქტი, რომ მე მსურდა მისი წაყვანა?

- ნუ, - ვეცადე აგდებული ტონით მელაპარაკა. - შემდეგ დასვენების დღეებში მეც ვგეგმავდი სიეტლში წასვლას, სიმართლე რომ ვთქვა, არ ვარ დარწმუნებული, რომ შენი მანქანა გაუძლებს ამხელა გზაზე მგზავრობას. - როგორც ჩანს მისი აგდება უფრო ადვილი იყო, ვიდრე სერიოზულად ყოფნა.

- ჩემი მანქანა ყველაფერს გაუძლებს, მაღლობთ ზრუნვისთვის. - წარმოთქვა ოდნავ გაოცებული ტონით.

სვლა განაგრძო. გვერდით მივყვებოდი.

უარი არ უთქვამს და ამას ვიყენებდი.

იტყვის "არას"? როგორ მოვიქცევი, თუ უარს მეტყვის?

- და შენს მანქანას შეუძლია იქამდე ერთი ბენზინის ავზით ჩასვლა?

- ვერ ვხვდები, რატომ გაწუხებს ეს... - ჩაიბუზღუნა.

მას ჯერ კიდევ არ უთქვამს ჩემთვის "არა". გულისცემა აჩქარებული ქონდა, სუნთქვა კი წყვეტილი გახდომოდა.

- სასარგებლო წიაღისეულის სწორად გამოყენება, ყველა ჩვენგანის ვალია.

- სიმართლე რომ ვთქვა, ედვარდ, შენი არ მესმის. ვფიქრობდი, რომ არ გინდოდა ჩემთან ურთიერთობა.

ციებიანივით გამაკანკალა, როცა ჩემი სახელი წარმოთქვა.

როგორ შევძლო, რომ საზღვარს არ გადავიდე და ამასთანავე გულწრფელი დავრჩე? მოცემულ მომენტში გულწრფელობა ბევრად უფრო საჭირო იყო.

- მე ვთქვი, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ არ ვიმეგობრებდით და არ მითქვამს, რომ ეს არ მინდოდა.

- ჰო, მაღლობთ, ყველაფერი გასაგებია. - სარკასტულად ჩაილაპარაკა.

გაჩუმდა და სასადილოს შესასვლელში გაჩერდა. თვალებში შემომხედა.

გულისცემა მომენტალურად გაუძლიერდა. ეშინოდა?

ყურადღებით ვარჩევდი სიტყვებს. არა, მე არ შემეძლო მისი გაშვება, შეიძლება ის აღმოჩენილიყო საკმარისად ჭკვიანი, რათა მანამდე დავეტოვებინე,

ვიდრე ძალიან გვიანი იქნებოდა.

– უფრო ჭკვიანური იქნება... თუ შენ ჩემი მეგობარი არ იქნები, –

ვუყურებდი მის დამდნარ შოკოლადისფერ, ღრმა თვალებს, განსჯის უნარი დაკვარგე, – მაგრამ დამღალა თავის მოკატუნებამ, აღარ მაქვს ძალა შენგან შორს ვიყო, ბელა. – თითოეული სიტყვა მეტად და მეტად მწვადა.

სუნთქვა შეუჩერდა და რამდენიმე წამი დასჭირდა, რათა ისევ აღედგინა – ამან ამაღელვა. რამდენად ძლიერად შევაშინე? ახლა გავიგებდი ამის პასუხს.

– წამოხვალ ჩემთან ერთად სიეტლში? – რამდენადაც შემეძლო წყნარად ვკითხე.

თავი დამიქნია. გული ხმამაღლა უცემდა.

ჰო. მან მე “დიახ” მითხრა.

შემდეგ კი აზროვნების უნარი ისევ დამიბრუნდა. როგორ შემობრუნდებოდა ეს ყველაფერი მისთვის?

– შენ ნამდვილად უნდა ეცადო, ჩემგან თავი შორს დაიჭირო. –

გავაფრთხილე. გაიგო ჩემი? გაექცეოდა იმ მომავალს, რომელიც ჩემგან ელოდა?

შემეძლო გამეკეთებინა რაიმე, რათა ჩემგანვე დამეცვა?

არ გადახვიდე ზღვარს, გამახსენდა.

– კლასში შევხვდებით.

როცა დავშორდით, ძლივს შევიკავე თავი, რათა სირბილზე არ

გადავსულიყავი.

6 თავი

სისხლის ჯგუფი

მთელი დღე სხვა ადამიანების თვალებით ვადევნებდი თვალს. ჩემს ირგვლივ რა ხდებოდა ძლივს ვარჩევდი.

თუმცა არა მაიკ ნიუტონის თვალებით, აღარ შემეძლო მისი შეურაცხმყოფელი ფანტაზიების ატანა, არც ჯესიკა სტენლის, მისი გულისწყრომა, ბელას მიმართ

რომ განიცდიდა საშინლად მაბრაზებდა, ეს არც თუ ისე უსაფრთხო იყო საცოდავი გოგონასთვის. ანჯღელა ვებერი კარგი არჩევანი იყო, როდესაც მისი თვალები ჩემს განკარგულებაში იმყოფებოდა. ის კეთილი იყო, მის თავში ყოფნა კი ადვილი და ხანდახან მასწავლებლები, ისინი ბელას ყველაზე კარგი კუთხიდან უყურებდნენ.

გაოცებული ვიყავი, ყოველ წუთს მის წაბორძიკებას რომ ვხედავდი, ხან ტროტუარის ფილას წამოსდებდა ფეხს, ხან წიგნების კარადას, ყველაზე ხშირად კი საკუთარ ფეხებს. ხალხი, ვის ფიქრებსაც ვკითხულობდი, ფიქრობდა რომ ბელა მოუქნელი იყო.

ავწონ–დავწონე ეს აზრი. სიმართლე იყო, მას პრობლემები ქონდა როდესაც ვერტიკალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გამახსენდა როგორ შეასკდა მერხს პირველ დღეს, როგორ წაბორძიკდა ყინულზე ავარიის წინ, როგორ დაეცა გუშინ, როდესაც კარის ჩარჩოს წამოსდო ფეხი... როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი მართლები იყვნენ, ბელა ნამდვილად მოუქნელი იყო.

არ ვიცი რატომ იყო ეს ჩემთვის სასაცილო, მაგრამ ხმამაღლა გავიციინე, როდესაც ამერიკის ისტორიიდან, ინგლისურის გაკვეთილზე მივდიოდი. რამოდენიმე შეცბუნებულმა ადამიანმა შემომხედა. რატომ არ შემიმჩნევია ეს აქამდე? იქნებ იმიტომ, რომ იყო მასში რაღაც გრაციოზული, როდესაც გაუნძრევლად იდგა.

ამ წუთას არაფერი გრაციოზული მასში არ იყო, მისტერ ვარნერმა დაინახა, როგორ წამოსდო ფეხსაცმელი ხალიჩის კუთხეს და როგორ დავარდა თავის სკამზე.

კიდევ გამეცინა.

დრო სასწაულად ნელა გადიდოდა, სანამ ვუცდიდი ჩემს შანსს, საკუთარი თვალებით დამენახა იგი. როგორც იქნა ზარი დაირეკა. სწრაფად მივაშურე კაფეტერიას რათა ჩემი ადგილი ადამეკავებინა. მე ერთ–ერთი პირველი ვიყავი იქ.

ისეთი მაგიდა ავირჩიე, რომელიც ყოველთვის ცარიელი იყო, იმედი მქონდა დღეიდან ჩემი გახდებოდა.

როდესაც ჩემი ოჯახის წევრები კაფეტერიაში შემოვიდნენ და მარტო მჯდარი დამინახეს სხვა მაგიდასთან, არ გაკვირვებიათ, როგორც ჩანს ელისმა მოახერხა მათი გაფრთხილება.

როზალიმ ისე ჩამიარა, ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს.

– იდიოტი. – გაიფიქრა მან.

როზალის და მე არასოდეს გვქონია გადასარევი ურთიერთობა, მე ვაწყენინე მას მაშინ, როდესაც პირველად მოისმინა ჩემი ხმა. ყველაფერი იმ დროიდან დაიწყო, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო გაუფუჭდა ხასიათი. ამოვიოხრე. როზალი ყოველთვის თავის თავზე ფიქრობდა.

ჯასპერმა გვერდით ჩამიარა და გამიღიმა.

–წარმატებები, – გაიფიქრა მან ეჭვით.

ემეტმა თვალები აატრიალა და თავი გაიქნია.

–სულ დაკარგა ჭკუა, საცოდავი ბავშვი.

ელისი ბრწყინავდა, მისი თეთრი კბილები ზედმეტად ელავდა.

– ეხლა შეიძლება დაველაპარაკო ბელას?

– არც იფიქრო, – ჩუმად ვთქვი მე.

ელისი მოიღუშა, მერე კი ისევ გამოცოცხლდა.

– კიბატონო, იყავი ჯიუტი, ეს უბრალოდ დროის ამზავია.

– არ დაგავიწყდეს დღევანდელი ბიოლოგიის ლაბორატორიული, შემახსენა მან.

თავი დავუქნიე. რა თქმა უნდა არ დამვიწყებია.

სანამ ბელას მოსვლას ველოდებოდი, ახალი მოსწავლის თვალებით

ვადევნებდი თვალს, რომელიც ჯესიკას უკან მიდიოდა კაფეტერიისაკენ. ჯესიკა

ცეკვების შესახებ ლაყბობდა, ბელა არაფერს პასუხობდა, თუმცა არც ჯესიკა

ამლევდა სიტყვის თქმის შანსს.

როდესაც ბელა კარებში შემოვიდა, იმ მაგიდისკენ გაიხედა სადაც ჩემიანები იჯდნენ. ცოტა ხანი მათ მიაშტერდა, მერე შუბლი შეეჭმუნა და მზერა იატაკზე გადაიტანა. იმ მაგიდასთან მე ვერ შემნიშნა.

ის უცებ... სევდიანი გახდა. სურვილი გამიჩნდა მასთან მივსულიყავი და რამენაირად მენუგეშებინა, თუმცა არ ვიცოდი რა იქნებოდა მისთვის ნუგეში. წარმოდგენა არ მქონდა რამ დაამწუხრა ასე. ჯესიკა ცეკვებზე ლაყბობას განაგრძობდა. იქნებ ბელა იმაზე დარდობდა რომ ცეკვებზე ვერ წავიდოდა, თუმცა არა მგონია ეგ ყოფილიყო მიზეზი.

ამის გამოსწორება შესაძლებელი იყო, რა თქმა უნდა თუ ის მოისურვებდა. ლანჩისთვის მხოლოდ სასმელი იყიდა. რამდენად სწორი იყო ეს? ნუთუ ამაზე მეტი საკვები არ ესაჭიროებოდა? აქამდე არასოდეს მიმიქცევია ყურადღება ადამიანების კვების რაციონისათვის.

ადამიანები განსაკუთრებულად სუსტები იყვნენ, მილიონობით სანერვიულო მიზეზი არსებობდა.

– ედვარდ ქალენი გიყურებს. – გავიგონე როგორ გადაულაპარაკა ჯესიკამ. – ნეტავ რატომ ზის დღეს მარტო?

მიუხედავად იმისა, რომ ჯესიკა ეხლა უფრო აღშფოთებული იყო, მის მიმართ მაღლიერების გრძნობა გამიჩნდა, ბელამ თავი ასწია და მიიხედ–მოიხედა, სანამ მისი თვალები ჩემსას არ შეეჩხა.

სევდის არანაირი ნაკვალევი აღარ შეინიშნებოდა მის სახეზე. თავს უფლება მივეცი მეფიქრა, რომ მისი მოწყენილობა იმით იყო გამოწვეული, რომ ბელამ იფიქრა სკოლა ადრე დავტოვე. ამ ფიქრმა ღიმილი მომგვარა.

ხელით ვანიშნე რომ ჩემს მაგიდასთან მოსულიყო. ის ისეთი ანერვიულებული ჩანდა, მომინდა კიდევ გამეჯავრებინა.

ამიტომ თვალი ჩავუკარი და მან პირი დაალო.

– შენ გგულისხმობს? – უხეშად ჰკითხა ჯესიკამ.

– ალბათ ჩემი დახმარება ჭირდება ბიოლოგიის დავალებისთვის. თქვა მან დაბალი, მერყევი ხმით. –ჯობია წავიდე, გავიგო რა უნდა.

ეს თანხმობის ნიშანი იყო.

ის ორჯერ წაბორძიკდა სანამ ჩემს მაგიდამდე მოაღწევდა, თუმცა არაფერი იყო ისეთი, ფეხი რომ წამოსდებოდა. სერიოზულად, როგორ გამომრჩა ეს ადრე? მგონი უფრო მეტ ყურადღებას მის ჩუმ ფიქრებს ვუთმობდი. კიდევ რა გამოვტოვე?

ეცადე იყო გულწრფელი, ეცადე იყო გახსნილი. ვფიქრობდი ჩემთვის.

ის ყოყმანით გაჩერდა ჩემს წინ მდგარ სკამთან. ღრმად ჩავისუნთქე, ამჯერად ცხვირით.

იგრძენი წვა, გავიფიქრე მე.

– არ გინდა დღეს ჩემთან ერთად დაჯდე? – ვკითხე მას.

სკამი გამოსწია და დაჯდა, თვალს არ მაცილებდა. განერვიულებული ჩანდა, მაგრამ რადგან ჩემი მოწვევა მიიღო, ესეც თანხმობის ნიშანი იყო.

დავუცადე რომ რამე ეთქვა.

ცოტახანი ჩუმად იყო, ბოლოს წარმოთქვა: – ეს ყველაფერი, ძალიან უცნაურია.

–იცი... – შევეყოყმანდი – რადგან ჯოჯოხეთში მივდივარ, შემიძლია სიამოვნება მივიღო მოგზაურობისგან.

რამ მაიძულა ამის თქმა? თუმცა ეს გულახდილად ნათქვამი მაინც იყო. იქნებ გაეთვალისწინებინა ის გაფრთხილება, ჩემი სიტყვები რომ შეიცავდა. იქნებ გაეცნობიერებინა, რომ დრო იყო წამომხტარიყო და სასწრაფოდ გამცლოდა. არ ამდგარა. ისე მიყურებდა, თითქოს წინადადება სულაც არ მქონდა დასრულებული.

–ალბათ ხვდები რომ წარმოდგენა არ მაქვს რას გულისხმობ. – თქვა მან როდესაც ლაპარაკი არ განვაგრძე.

ამან შვება მომგვარა, გამელიმა.

– ვიცი.

ძნელი იყო ყურადღება არ მიმექცია მის უკან მჯდომების ხმამაღალი ფიქრებისათვის, სასაუბრო თემის შეცვლა ისედაც მინდოდა.

– მგონი შენი მეგობრები გამიბრაზდნენ, შენი თავი რომ მოვტაცე მათ.

– გადაიტანენ. – ამ საკითხმა არ დააინტერესა.

– გაითვალისწინე, შეიძლება უკან არც დაგაბრუნო. – არ ვიცი იმას

ვცდილობდი რომ გულახდილი ვყოფილიყავი თუ ისევ მისი გაჯავრება

მინდოდა. მის ახლოს მიძნელდებოდა ჩემი საკუთარი ფიქრების გაკონტროლება.

ბელამ ხმამაღლა გადაყლაპა ნერწყვი.

მის გამომეტყველებაზე გამეცინა, – ადელვებული ჩანხარ. – თუმცა ეს სულაც

არ იყო სასაცილო, ადელვებული უნდა ყოფილიყო.

– არა, – ცუდი მატყუარა იყო. – გაკვირვებული უფრო... რით არის ეს

ყველაფერი გამოწვეული?

– უკვე გითხარი. – შევახსენე. – დავიღალე შენგან შორს ყოფნით, ასე რომ

ვნებდები. ვეცადე გამელიმა, ძნელი იყო გულახდილიც ვყოფილიყავი და ამასთან

ერთად ჩვეულებრივი სახე მიმელო.

– ნებდები? – დაბნეულმა გაიმეორა.

– დიახ, – ვნებდები ვეცადო ვიყო კარგი. – ამიერიდან ვაპირებ ის ვაკეთო

რაც მინდა, დაე მოხდეს რაც მოსახდენია.

– ისევ დამაბნე.

ძალიან ეგოისტი ვიყავი იმისთვის, რომ მწყენოდა მისი დაბნეულობა.

– მე ყოველთვის ძალიან ბევრს ვამბობ, როდესაც შენ გელაპარაკები, ეს ერთ–

ერთი პრობლემაა.

სხვებთან შედარებით ყველაზე უმნიშვნელო პრობლემა.

–ნუ ნერვიულობ, მაინც ვერაფერს ვხვდები.

ძალიან კარგი, ესეიგი ჩემთან რჩებოდა.

– მაგის იმედი მაქვს, – მშვიდად ვუპასუხე მე.

– ანუ, გასაგებად რომ ვთქვათ, მეგობრები ვართ?

ერთი წუთით ავწონ–დავწონე, – მეგობრები... – გავიმეორე მე. არ მომეწონა

როგორ ჟღერდა, მე უფრო მეტი მინდოდა.

– თუ არა? – აღელვებულმა ჩაიბურტყუნა.

იქნებ ფიქრობდა რომ ესე ძალიან არ მომწონდა?

გამეღიმა. – მგონი შეგვიძლია ვცადოთ, თუმცა გაფრთხილებ, მე არ ვარ

შენთვის კარგი სამეგობრო.

მის პასუხს ველოდი. ორ უღტიერთსაწინააღმდეგო გრძნობას განვიცდიდი.

მსურდა ბოლოსდაბოლოს მიმხვდარიყო ყველაფერს და გაეთვალისწინებინა ჩემი

გაფრთხილება, თუმცა სიკვდილი მერჩია ამას. როგორი მელოდრამატული იყო

ეს ყველაფერი. ნელნელა ადამიანს ვემსგავსებოდი.

გული აუჩქარდა. – მაგას ხშირად ამბობ.

– დიახ, იმიტომ ვამბობ ხშირად, რომ შენ არ მისმენ. მე ჯერ კიდევ

ველოდები რომ დამიჯერებ. თუ ჭკვიანი ხარ, ეცდები თავი ამარიდო.

ეჰ, ნუთუ მივცემდი მაგის საშუალებას, თუ შეეცდებოდა?

– ვფიქრობ შენ უკვე გაქვს დასკვნები ჩემს ინტელექტთან დაკავშირებით. –

თვალეები მოჭუტა.

დარწმუნებული არ ვიყავი რას გულისხმობდა, ბოდიშის მოხდით გავუღიმიე,

ალბათ უნებურად რამე ვაწყენინე.

– ასე რომ, – ნელა წარმოთქვა – რადგან არ ვარ... ჭკვიანი, ვეცდებით რომ

მეგობრები ვიყოთ?

– მგონი სწორად ჟღერს. – ვუპასუხე მე.

დაბლა დაიხედა, დაუფიქრებლად უყურებდა ლიმონათის ბოთლს.

ძველმა ცნობისმოყვარეობას შემომიტია.

–რაზე ფიქრობ? – ვკითხე. შვება იყო ამის ხმამაღლა წარმოთქმა.

–ვცდილობ გავარკვიო, რა ხარ.

შევეცადე სახეზე ღიმილი შემენარჩუნებინა, ჩემი სხეული კი მთლიანად პანიკამ მოიცვა.

რა თქმა უნდა რაღაცეებს ხვდებოდა. შტერი ხომ არ იყო. რანაირად უნდა მქონოდა იმის იმედი, რომ ვერ შეამჩნევდა იმას, რაც ასე აშკარა იყო.

– მერე, გამოდის რამე? – ისე ვკითხე, თითქოს ძალიან არ მაინტერესებდა.

– მაინცდამაინც არა. – გულწრფელად აღიარა მან.

შვებისგან ჩავიცინე. – შენს თეორიებს ვერ გამანდობ?

რაც არ უნდა ყოფილიყო მისი თეორია, მნიშვნელობა არ ქონდა, სიმართლეზე საშინელება მაინც ვერ იქნებოდა.

ლოყები წითლად შეეფერა, არაფერი უთქვამს. რატომ აანერვიულა ესე

საკუთარმა დასკვნებმა? ძალიან მინდოდა გაგება.

ვეცადე ჩემი ყველაზე დამაჯერებელი ტონით მიმემართა მისთვის, ნორმალურ ადამიანებზე კარგად მოქმედებდა.

– ნუთუ არ მეტყვი? – გავუღიმე.

ოჰ, ამის არ ცოდნას ყველაფერი ჯობდა, რატომ ააღელვა ესე თავისმა

დასკვნებმა? აუცილებლად უნდა გამეგო.

– ეს ნამდვილად მტანჯველია.

ჩემს შენიშვნაზე თვალები აენთო და იმაზე სწრაფად ალაპარაკდა ვიდრე მოველოდი.

– არა, ვერ წარმომიდგენია რატომ უნდა იყოს მტანჯველი, როდესაც ვიღაც

არ გეუბნება რას ფიქრობს, როცა მეორე ისეთ მინიშნებებს იძლევა, მთელი ღამე

იმაზე ფიქრი გიწევს, რას გულისხმობდა. არა, რატომ უნდა იყოს ეს მტანჯველი?

მოვიღუშე, გავაანალიზე რომ მართალი იყო, არ ვიყავი სამართლიანი მის

მიმართ.

ის განაგრძობდა –ან უკეთესი, როდესაც ის ვიღაც, ერთ დღეს წარმოუდგენელ ვითარებაში შეგინარჩუნებს სიცოცხლეს, მეორე დღეს კი საერთოდ ზედაც არ შემოგხედავს და არც არაფერს აგისხნის, მიუხედავად იმისა რომ დაგპირდა. აი ეს ნამდვილად არ იქნება მტანჯველი.

ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი სიტყვა რაც კი მისგან მომისმენია.

– ფეთქებადი ხასიათი გქონია.

– არ მომწონს ორმაგი სტანდარტები.

მან რა თქმა უნდა გაამართლა თავისი გულისწყრომა.

ბელას მივაშტერდი, სანამ მაიკ ნიუტონის ფიქრების ყვირილმა არ გამომაფხიზლა.

ისეთი გაღიზიანებული იყო მაიკი, ჩამეცინა.

– რა გაცინებს? – შემეკითხა ბელა.

– შენს შეყვარებულს გონია, რომ ცუდად ვიქცევი და ეხლა ფიქრობს,

მოვიდეს თუ არა ჩვენს გასაშველებლად – დიდი სიამოვნებით ვნახავდი როგორ გააკეთებდა ამას. ისევ გამეცინა.

– არ ვიცი ვისზე ლაპარაკობ, – თქვა მან ცივი ხმით. – მაგრამ დარწმუნებული ვარ ცდები.

მომეწონა როგორ აარიდა თავი მაიკის შეყვარებულობას.

– არ ვცდები, უკვე გითხარი, ძალიან ადვილია ადამიანების ამოცნობა.

– ჩემს გარდა, რა თქმა უნდა.

– დიახ, შენს გარდა. –ნუთუ ყველაფერში გამონაკლისი უნდა ყოფილიყო? ნუთუ უფრო სამართლიანი არ იქნებოდა, მისი ფიქრების წაკითხვა რომ შემძლებოდა, ნუთუ ძალიან ბევრს მოვითხოვდი? –ვფიქრობ რატომ არის ასე?

კიდევ ერთხელ მივაშტერდი თვალებში, კიდევ ერთხელ ვცადე.

გვერდით გაიხედა. ლიმონათის ბოთლი გახსნა, ერთი ყლუპი სწრაფად მოსვა.

მისი თვალები მაგიდას უყურებდა.

– არ გშია? – ვკითხე მე.

– არა. – ცარიელ მაგიდას შეხედა. – შენ?

– არა, არ მშია, – ვუპასუხე, ნამდვილად არ მშიოდა.

მაგიდას მიაშტერდა, მოკუმული ტუჩებით. დაველოდე.

– შეგიძლია დახმარება გამიწიო? – მკითხა და თვალებში შემომხედა.

რა შეიძლება ჩემგან სდომოდა? იქნებ უნდოდა სიმართლე გამემხილა,

სიმართლე რომლის თქმაც არ შეემძლო. სიმართლე, რომელიც არ მინდოდა
ოდესმე გაეგო.

– ეს იმაზეა დამოკიდებული, რა გინდა.

– ბევრს არ ვითხოვ. – დამარწმუნა.

მოვიცადე, მაინტერესებდა რა უნდოდა.

– უბრალოდ მინდა ვიცოდე... – ნელა დაიწყო მან, თან ლიმონათის ბოთლს
თვალს არ აშორებდ, რომლის თავსახურზეც ნეკით წრეებს ხაზავდა. – იქნებ
გაგეფრთხილებინე სანამ ისევ იგნორირებას გამიკეთებ, მინდა, რომ
მომზადებული შევხვდე.

გაფრთხილება უნდოდა? ე.ი ჩემგან იგნორირება არც თუ ისე სასიამოვნო იყო
მისთვის.

– სამართლიანია. – დავეთანხმე.

– მადლობა. – თქვა მან და მაღლა ამოიხედა. მის სახეზე ისეთი შვება
შეიმჩნეოდა, რომ მინდოდა მე თვითონაც შვებით გამეცინა.

– შეიძლება ერთი შეკითხვა მეც დაგისვა? – იმედიანად ვკითხე.

– მხოლოდ ერთი. – ნება დამართო.

– მითხარი ერთი თეორია.

– ოღონდ ეგ არა. – გაწითლდა.

– შენ მე დამპირდი პასუხს. – შევეწინააღმდეგე.

– შენ თვითონ არღვევ დაპირებებს. – თვითონაც შემეწინააღმდეგა.

გამომიჭირა.

– მხოლოდ ერთი თეორია, არ გავიცინებ.

– გაიცინებ. – ძალიან დარწმუნებული იყო ამაში, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა რა შეიძლება ყოფილიყო სასაცილო ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემი ყველაზე მომხიბვლელი ღიმილი გამოვიყენე, თვალებში ჩავაცქერდი, ეს რთული სულაც არ ყოფილა, ძალიან ღრმა თვალები ქონდა. ჩურჩულით ვუთხარი

– ძალიან გთხოვ.

გაფითრდა, შემდეგ თვალები დაახამხამა.

– რა მითხარი? – მკითხა, გაბრუებული ჩანდა. ნეტავ რა დაემართა?

მაგრამ მე დანებებას არ ვაპირებდი.

– ძალიან გთხოვ მითხარი ერთი თეორია მაინც. – შევემუდარე, ჩემი რბილი, არა შემაშინებელი ხმით, თან მის თვალებს მზერას არ ვაცილებდი.

ძალიან გამიკვირდა და თან გამიხარდა, რადგან მიპასუხა.

– რადიაქტიულმა ობობამ დაგვინა?

კომიქსები? რა თქმა უნდა, ამიტომ ეგონა რომ გავიცინებდი.

– არც ისე კრეატიულია, – ვუპასუხე, მომეშვა, ახლოსაც არ იყო სიმართლესთან.

– მაპატიე, სულ ესაა. – მიპასუხა განაწყენებულმა.

ამან უფრო მეტი შვება მომგვარა, ჯერ კიდევ შემეძლო მისი გაჯავრება.

– პასუხთან ახლოსაც კი არ ხარ.

– ობობები არაფერ შუაშია?

– არა.

– არც რადიაქტივობა?

– არა.

– ჯანდაბა, – ამოიოხრა.

– არც კრიპტონიტი მიქმნის საფრთხეს. – ვუპასუხე სწრაფად, სანამ კბენაზე მკითხავდა რამეს, ეხლა კი უნდა გამცინებოდა, რადგან სუპერ გმირად მთვლიდა.

– როგორც მახსოვს არ უნდა გაგცინებოდა.

ვცადე თავი შემეკავებინა.

– დროთა განმავლობაში გავარკვევ, – დარმუნებით მიპასუხა.

და როდესაც გავარკვევდა, გაიქცეოდა.

– ჯობია არც ცადო. – ჩუმად ვუპასუხე.

– იმიტომ რომ...

გულახდილი უნდა ვყოფილიყავი, ჩემი სიტყვების შესარბილებლად, ვცადე გამეღიმა.

– იქნებ სულაც არ ვარ სუპერ გმირი, იქნებ ცუდი ვარ?

თვალეები გაუფართოვდა –ოჰ, – თქვა მან. – გასაგებია.

როგორც იქნა ჩემი შეისმინა.

– ნუთუ? – ვცადე დამეფარა ჩემი აგონია.

– საშიში ხარ? – სუნთქვა გაუხშირდა, გულისცემა აუსწრაფდა.

ვერ შევძელი პასუხის გაცემა. ნუთუ ბოლო წუთებს ვატარებდი მასთან

ერთად? ნუთუ გაიქცეოდა? იქნებ ჯობდა გაქცევამდე მეტქვა რომ მიყვარს, თუ

ეს უფრო შეაშინებდა?

– მაგრამ ცუდი არ ხარ. – ჩურჩულით მიპასუხა, თავი გააქნია, მის

თვალეებში შიში სულაც არ იკითხებოდა.

– ვერ დავიჯერებ რომ ცუდი ხარ.

– ცდები. – ჩავილულულულე.

რათქმაუნდა ცუდი ვიყავი. სიხარულს განვიცდიდი, ჩემზე ესე კარგად

რომ ფიქრობდა, მაგრამ ნამდვილად კარგი პიროვნება რომ ვყოფილიყავი, მისგან

შორს დავიჭერდი თავს.

ხელები წინ გაწვიე, ვითომ ლიმონათის ბოთლი მინდოდა, ის არ გაწეულა, მართლა არ ემინოდა ჩემი, თუმცა მხოლოდ ჯერჯერობით.

თითებში ბოთლის თავსახურს ვატრიალებდი და თან ბელას თვალებში ვუყურებდი. ჩემი ფიქრები ღრიალივით იყო.

გაიქეცი ბელა, გაიქეცი. თუმცა თავი ვერ ვაიძულე ხმამაღლა მეტყვა ეს.

უცებ ფეხზე წამოხტა – გვაგვიანდება. – თქვა მაშინ, როცა მეგონა

რადაცნაირად ჩემს გონებაში შემოდგევა მოახერხათქო.

– გაკვეთილზე არ მოვდივარ.

– ვითომ რატომ?

იმიტომ რომ არ მინდა შენი მოკვლა. – ხანდახან გაცდენა სასარგებლოა.

უფრო ზუსტად კი, სასარგებლო იყო ადამიანებისთვის, თუ ვამპირები არ დაესწრებოდნენ იმ გაკვეთილს, სადაც მათი სისხლი იქნებოდა. მისტერ ბანერი დღეს მოსწავლეების სისხლის ჯგუფის დადგენას აპირებდა. ელისმა უკვე მოახერხა დილით ბიოლოგიის გაკვეთილის გაცდენა.

– კარგი, მე წავალ. – თქვა მან. ამას სულაც არ გავუკვირებოვარ, მას ხომ პასუხისმგებლობის გრძნობა ქონდა, ყოველთვის სწორად იქცეობდა.

ჩემი საწინააღმდეგო იყო.

– მოგვიანებით გნახავ. – ვუთხარი ინდიფერენტული ტონით, თან ბოთლის თავსახურს არ ვაშორებდი თვალს. სხვათაშორის გაღმერთებ, ჩემი საშიში, სახიფათო სიყვარულით.

ცოტახანი შეყოვნდა, იმედი მომეცა იქნებ ჩემთან ერთად დარჩენილიყო, მაგრამ ზარი დაირეკა და ისიც წავიდა.

მოვიცადე სანამ წავიდოდა, შემდეგ ბოთლის თავსახური ჯიბეში ჩავიდე, როგორც დღევანდელი დღის შედეგიანი საუბრის სამახსოვრო. წვიმაში გავიარე და მანქანაში ჩავჯექი.

ჩემი საყვარელი, დამამშვიდებელი დისკი ჩავრთე, რომელსაც პირველ დღეს

ვუსმენდი. თუმცა დებიუსის ნოტები არ მესმოდა, რადგან ჩემს თავში ახალი მელოდია გაჩნდა, მელოდიის ფრაგმენტი, რომელმაც სიამოვნება მომანიჭა და დამაინტრიგა. სტერეო გამოვრთე და მთელი გულისყური იმ მელოდიისკენ გადავიტანე ჩემს ტვინში რომ ჟღერდა, გონებაში ვუკრავდი მანამ, სანამ სრული ჰარმონია არ შეიძინა. ინსტინქტურად ჩემმა თითებმა ჰაერში დაიწყო მოძრაობა, წარმოსახვით ფორტეპიანოზე.

ჩემი მელოდია სრულყოფილებას იძენდა, როდესაც ჩემი ყურადღება მენტალურმა ტანჯვამ მიიპყრო.

ვცადე მიზეზი გამეგო.

– მგონი გული წაუვა, რა უნდა ვქნა? – მაიკი დაპანიკებული ჩანდა.

ასი იარდის დაშორებით მაიკ ნიუტონი ბელას სხეულს ტროტუარზე ნელა უშვებდა, ბელა თითქმის დავარდა ძირს. თვალები დახუჭული ქონდა, სახე კი მკვდარივით გაფითრებული.

მანქანის კარი თითქმის გამოვვლიჯე.

– ბელა?– ვიყვირე მე.

არანაირი ცვლილება არ იყო მის უსიცოცხლო სახეზე.

სხეული ყინულზე უფრო გამიცვივდა.

მაიკის ფიქრები ჩემს მიმართ ბრაზმა შეცვალა. არ ვიცოდი რა სჭირდა

ბელას. თუ მაიკმა აწყენინა რამე, ჩემი ხელით მოვსპობდი.

– რა მოხდა? დაშავებულია? – პასუხი მოვითხოვე, თან შევეცადე მის ფიქრებზე მომეხდინა კონცენტრაცია. გამაცოფებელი იყო ადამიანივით ნელა სიარული. ყურადღება არ უნდა მიმექცია ჩემი შესაძლებლობებით.

შემდეგ გავიგონე ბელას სუსტი გულისცემა და არათანაბარი სუნთქვა. სანამ ვუყურებდი, მან თვალები უფრო მაგრად დახუჭა. ამან ჩემი პანიკა ოდნავ დააცხრო.

მაიკის ფიქრებში დავინახე მისი მოგონებები, ბელას თავი ჩვენს მაგიდაზე

ედო, მის თეთრ კანს მწვანე ფერი გადაჰკრავდა, წითელი წვეთები თეთრ ბარათებზე...

სისხლის ჯგუფი.

ადგილზე გავშეშდი, სუნთქვა შევიკავე. მისი არომატი ერთი იყო, მისი სისხლის შეყნოსვა კი სულ სხვა.

– მგონი გული წაუვიდა, – თქვა მაიკმა, აღელვებული და გაბრაზებული იყო. – არც ვიცი რატომ გახდა ცუდად, თითი არც კი გაუჩხვლეტია.

შვება ვიგრძენი, თან ნელა ჩავისუნთქე, ჰაერი შევამოწმე. სულ ოდნავ იგრძნობოდა მაიკის სისხლის სუნი. ერთ დროს შეიძლება მადისაღმძვრელად მომჩვენებოდა კიდეც.

ბელას გვერდით ჩავიმუხლე, მაიკი თავზე დამტრიალებდა, გაღიზიანებული იყო ჩემი დანახვით.

– ბელა, გესმის ჩემი?

– არა, – ამოიკვნესა. – წადი.

შვება იმდენად საგრძნობი იყო რომ გამეცინა. ბელა კარგად იყო.

– ექთნის კაბინეტში მიმყავდა, – თქვა მაიკმა, – მაგრამ სიარული ვეღარ გააგრძელა.

– მე წავიყვან, შენ შეგიძლია გაკვეთილზე დაბრუნდე. – გავანთავისუფლე.

– არა, მე უნდა გავაკეთო ეს. – კბილებში გამოსცრა მაიკმა.

არ ვაპირებდი აქ დგომას და ამ არამზადასთან საუბარს.

აღელვებული და შეშინებული, ნახევრად მადლიერი და ნახევრად

გაღიზიანებული ვიყავი, რადგან მასთან შეხება მომიწევდა. ფრხილად ავწიე

ბელა ასფალტიდან, მკლავებში მოვიქციე, ვცდილობდი დიდი დისტანცია

ყოფილიყო ჩვენს სხეულებს შორის, მხოლოდ მის ტანსაცმელს ვეხებოდი. დიდი

ნაბიჯებით სწრაფად მივდიოდი. რაც შეიძლება მალე უსაფრთხოდ რომ

მყოლოდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – ჩემგან შორს.

გაკვირვებულმა გაახილა თვალები.

– დამსვი, – შეცბუნებულმა მიბრძანა დასუსტებული ხმით. არ მოსწონდა როცა სისუსტეს ავლენდა.

ძლივს გავიგონე მაიკის მენტალური პროტესტი, ჩვენს უკან.

– საშინლად გამოიყურები, – ვუთხარი, მეცინებოდა იმიტომ რომ არაფერი სჭირდა, მსუბუქი გულის რევის შეგრძნებისა და თავბრუსხვევის გარდა.

– ძირს დამსვი. – ისევ გამიმეორა. ტუჩები გაფითრებოდა.

– სისხლის დანახვაზე გული მიგდის? – ამაზე ირონიული რა შეიძლება ყოფილიყო.

თვალები დახუჭა და ტუჩები მოკუმა.

– თან საკუთარი სისხლიც კი არ იყო. – დავამატე სიცილით.

ადმინისტრაციულ კორპუსს მივუახლოვდით, კარი ოდნავ შეღებული იყო, ფეხი ვკარი რომ ჩვენთვის გაეღოთ.

– ღმერთო ჩემო, – მისის კოუპი ფეხზე წამოხტა, როდესაც მკვდარივით გაფითრებული გოგონა დაინახა ჩემს მკლავებში.

– ბიოლოგიის გაკვეთილზე გული წაუვიდა, – ავუხსენი, სანამ მისი წარმოსახვა შორს წავიდოდა.

მისის კოუპმა სწრაფად გაგვიღო ექთნის კაბინეტის კარი. ბელას თვალები გახელილი ქონდა. უფროსი ექთნის შინაგან განცვიფრებას ვუსმენდი, სანამ ბელას გაცვეთილ საწოლზე ვსვამდი. როგორც კი მისი სხეული ჩემს მკლავებს მოვაშორე, მაქსიმალურად შორს გავწიე. ძალიან აღელვებული ვიყავი, კუნთები დაჭიმული მქონდა და ვგრძნობდი როგორ გამომეყოფოდა შხამი. ბელა ისეთი თბილი და სურნელოვანი იყო.

– ოდნავ ცუდად არის, – დავარწმუნე მისის ჰემონდი, – ბიოლოგიაზე სისხლის ჯგუფს საზღვრავენ.

თავი დამიქნია, ყველაფერს მიხვდა. – ვილაც ყოველთვის ცუდად ხდება.

სიცილი შევიკავე, რა თქმა უნდა “ვიღაც” ყოველთვის ბელა იყო.

– ცოტა ხანი წამოწევი ძვირფასო, გაგივლის, – თბილად უთხრა მისის ჰემონდმა.

– ვიცი, – თქვა ბელამ.

– ესე ხშირად გემართება? – კითხა ექთანმა.

– ხანდახან, – აღიარა ბელამ.

ვცადე ჩემი სიცილი ხველებად გამესაღებინა.

ამან ექთნის ყურადღება მიიქცია. – თქვენ შეგიძლიათ გაკვეთილზე დაბრუნდეთ. – მითხრა მან.

– მე მასთან ერთად დარჩენა მაქვს ნაბრძანები. – თვალეში შევხედე და დამაჯერებლად მოვატყუე.

ჰმმმ... საინტერესოა... – მაშ კარგი. – თავი დამიქნია.

ამან კარგად იმოქმედა მასზე, რატომ იყო ბელა ასეთი რთული?

– წავალ ყინულს მოგიტან შუბლზე რომ დაიდო ჩემო კარგო, – თქვა ექთანმა, არაკომფორტულად გრძნობდა თავს, როდესაც თვალეში მიყურებდა, ადამიანისთვის ასეც უნდა ყოფილიყო და ოთახი დატოვა.

– მართალი იყავი, – ამოიკვნესა თვალდახუჭულმა ბელამ.

ნეტავ რას გულისხმობდა? ყველაზე საშინელ დასკვნამდე მივედი, ალბათ შეისმინა ჩემი გაფრთხილებები.

– როგორც წესი, მართალი ვარ ხოლმე, – შევეცადე მსუბუქად მეპასუხა. – მაგრამ რას ეხება ეხლა ეს?

– გაკვეთილის გაცდენა სასარგებლოა. – ამოიოხრა.

ისევ შვება.

მერე დადუმდა. ნელა სუნთქავდა, მის ტუჩებს ნორმალური ფერი დაუბრუნდა, მისი ტუჩები არ იყო სრულყოფილი, ქვედა ტუჩი უფრო სავსე ქონდა, ვიდრე ზედა. მისი ტუჩების ყურებამ უცნაური გრძნობა გამიჩინა,

მინდოდა ახლოს მივსულიყავი. არც ისე კარგი აზრი იყო.

– იცი, ერთი წუთით შემაშინე იქ, – საუბარი წამოვიწყე, რომ მისი ხმა ისევ გამეგონა. – მე ვიფიქრე მაიკ ნიუტონი შენს გვამს ტყეში დასამარხად მიათრევდა.

– ჰა, ჰა. – მიპასუხა მან.

– გულახდილად, უკეთესი ფერის მქონე გვამებიც მინახავს. – ეს სიმართლე იყო.

– მეგონა შენი მკვლელობისთვის სამაგიეროს გადახდა მომიწევდა. – და აუცილებლად გადავუხდიდი სამაგიეროს.

– საცოდავი მაიკი, – ამოიხრა მან. – დაგენიძლავები გაცოფებულია.

რისხვამ ამავსო, მაგრამ თავი შევიკავე, მისი დამოკიდებულება მაიკის მიმართ, მხოლოდ სიბრალულით იყო გამოწვეული, ბელა ხომ ძალიან კეთილი იყო.

– მთელი გულით ვერ მიტანს. – ვუთხარი ბელას, ამ აზრით გამხიარულებულმა.

–საიდან იცი?

– მისი სახე დავინახე, შემიძლია დაგარწმუნო, რომ ნამდვილად ეგრეა. –

მისი სახის გამომეტყველებით ამის დადგენა არც ისე რთული იყო. თან რადგან ბელას ფიქრები არ მესმოდა, ვცდილობდი მის სახეზე წამეკითხა გამომეტყველება, ამან გააუმჯობესა ჩემი შესაძლებლობები.

– მე როგორ დამინახე? მე მეგონა გაკვეთილს აცდენდი. – უკეთესად გამოიყურებოდა, მწვანე ფერი თითქმის მთლიანად გამქრალიყო მისი გამჭვირვალე კანიდან.

– ჩემს მანქანაში ვიყავი, მუსიკას ვუსმენდი.

სახე შექმუნა, თითქოს ჩემმა ყველაზე ჩვეულებრივმა პასუხმა გააკვირვა.

თვალები მაშინ გაახილა, როდესაც მისის ჰემონდი ყინულის შეკვრით

დაბრუნდა.

– გამომართვი ძვირფასო, – უთხრა ექთანმა და ყინულის შეკვრა შუბლზე დაადო. – უკეთესად გამოიყურები.

– უკეთესად ვარ. – თქვა ბელამ, ყინული მოიშორა და წამოჯდა. რა თქმა უნდა. მას არ უყვარდა როდესაც მასზე ზრუნავდნენ.

მისის ჰემონდმა დანაოჭებული ხელები მოკიდა ბელას, რათა ეიძულებინა ისევ წამოწოლილიყო. ამ დროს მის კოუპმა შემოდო კარი და ოთახში შემოიხედა, მის გამოჩენასთან ერთად, ახალი სისხლის სუნიც შემოვიდა.

მის უკან მაიკ ნიუტონი იდგა, ისევ გაბრაზებული იყო. სურდა მსუქანი ბიჭი, ეხლა მასზე რომ იყო დაკიდებული, ის გოგო ყოფილიყო, ეხლა ჩემთან ერთად რომ იყო ოთახში.

– კიდევ ერთი მოვიყვანეთ. – თქვა მის კოუპმა.

ბელა სწრაფად წამოხტა საწოლიდან, უნდოდა დროზე მოშორებოდა იქაურობას.

– ინებეთ, – უთხრა ექთანს და ყინულის შეკვრა მიაწოდა, – მე აღარ მჭირდება.

მაიკმა ძლივს შემოათრია ოთახში ლი სტივენსი, რომლის თითიდან ჯერ კიდევ წვეთავდა სისხლი.

– ო, არა, – დრო იყო გავცლოდი აქაურობას, ბელაც. – სასწრაფოდ გადი ოთახიდან ბელა.

გაფართოვებული თვალებით მომაჩერდა.

– მენდე... წადი.

მიბრუნდა და სანამ კარი დაიკეტებოდა გაძრომა მოახერხა, მეც მივყევი, ისე ახლოს იყო რომ შემთხვევით მისი თმა ხელზე მომედო.

მობრუნდა, რომ ჩემთვის შემოეხედა, ისევ თვალებგაფართოვებული მიყურებდა.

– შენ მე დამიჯერე. – ეს პირველად მოხდა.

პატარა ცხვირი შეჭმუნა

– იმიტომ რომ სისხლის სუნი ვიგრძენი, – თქვა მან.

გაოცებულმა შევხედე. – ადამიანებს არ შეუძლიათ სისხლის სუნის შეგრძნება ბელა.

– მე შემოდლია, ზუსტად ეგ მხდის ცუდად. თითქოს ჟანგის და მარილის სუნი აქვს.

სახე გამეყინა, თვალეში ვუყურებდი.

საერთოდაც, ადამიანი იყო? ადამიანს კი გავდა. ადამიანის სუნი ქონდა, თუმცა ბევრად უკეთესი ვიდრე სხვებს. ადამიანივით იქცეოდა... ნუ, რაღაც მაგდაგვარად, მაგრამ ადამიანივით არ ფიქრობდა.

თუმცა, სხვა რა შეიძლება ყოფილიყო?

–რა მოხდა? – მკითხა გაკვირვებულმა.

– არაფერია.

მაიკ ნიუტონმა თავისი განრისხებული ფიქრებით საუბარი გაგვაწყვეტინა.

– უკეთესად გამოიყურები. – უხეშად უთხრა.

მუშტი შევკარი, მომინდა მანერები მესწავლებინა. ვცადე თავი მომეთოკა, თორემ ამ აუტანელი ბიჭისთვის ყველაფერი ცუდად დასრულდებოდა

– ხელი ჯიბეში ჩაიდე. – თქვა ბელამ, ერთი წამით მეგონა რომ მე მითხრა.

– სისხლი აღარ მომდის. – პირქუშად უპასუხა მაიკმა.

– ხუმრობ? ამ წუთას გამოვედი იქიდან და უკან შებრუნება მომიწევს.

ძალიან კარგი, მეგონა მთელი საათი მომიწევდა უმისოდ ყოფნა, ამის მაგივრად კი დამატებითი დრო მივიღე.

– ხო, ალბათ. – ჩაიბურტყუნა მაიკმა. – აბა, რას იტყვი? მოდიხარ ამ შაბათს სანაპიროზე?

მათ გეგმები ქონდათ, სიბრაზისგან ადგილზე გავიყინე. თუმცა მარტონი არ

მიდიოდნენ. სხვა მოსწავლეების ფიქრებში ვნახე, მარტონი არ იქნებოდნენ. მაინც გაცოფებული ვიყავი, მაგიდას მივეყრდენი რომ თავი გამეკონტროლებინა.

– რა თქმა უნდა, ხომ გითხარი რომ წამოვიდოდი. – შეპირდა ბელა.

ასე რომ მასაც “კი” უთხრა. ეჭვიანობა მწვაავდა, ეს ბევრად უარესი იყო ვიდრე წყურვილი.

არა, ეს უბრალოდ ჯგუფის გასეირნება იყო, ვცდილობდი საკუთარი თავი დამერწმუნებინა. ის უბრალოდ მეგობრებთან ერთად აპირებდა დროის გატარებას, სულ ეს იყო.

– მამაჩემის მაღაზიასთან ვიკრიბებით, 10 საათზე. – და ქალენი დაპატიჟებული არ არის.

– მოვალ, – თქვა ბელამ.

– ფიზკულტურაზე გნახავ.

– დროებით.

მაიკი კლასისკენ წავიდა, განრისხებული იყო, ამას მის ფიქრებში ვკითხულობდი. რას ხედავს ბელა ამ არანორმალურში? გოგოები ფიქრობენ რომ მაგარი ტიპია. ზედმეტად... სრულყოფილია. თავს დავდებ, მამამისი პლასტიკური ქირურგიის მიღწევებს მაგათზე ცდის. ზუსტად მაგიტომ არიან ყველანი ესეთი თეთრები და ლამაზები. ძალიან არაბუნებრივები არიან. ეს კიდეც, რაღაც... საშიშად გამოიყურება. ხანდახან როდესაც მიყურებს, დავიფიცებ ჩემს მოკვლაზე ფიქრობს... არანორმალური...

არასოდეს მიფიქრია, რომ მაიკი ესეთი დაკვირვებული იყო.

– ფიზკულტურა. – თქვა ბელამ ჩუმად, კვნესით.

შევხედე და მივხვდი, რომ რაღაცაზე ისევ დარდობდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მომეჩვენა, რომ არ უნდოდა შემდეგ გაკვეთილზე მაიკთან ერთად წასვლა. მეც ეგ მინდოდა.

მისკენ ახლოს მივიწიე, სახე ახლოს მივუტანე, მისი კანის სითბო ჩემს

ტურებზე ვიგრძენი. ჩასუნთქვა ვერ გავბედე.

– მე მოვაგვარებ მაგას, – ჩუმიად გადავუჩურჩულე. – წადი დაჯექი და ისეთი სახე მიიღე, ვითომ ცუდად ხარ.

ისე მოიქცა როგორც ვუთხარი. ერთ–ერთი სკამისკენ წავიდა და ნელა დაჯდა. ზურგით კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ამ დროს ოთახში მის კოუპი შემოვიდა. ბელას ისეთი სახე ქონდა, თითქოს ისევ გული წაუვიდა, ფერი ჯერაც არ დაბრუნებოდა მთლიანად.

მდივანს მივუბრუნდი, იმედი მქონდა ბელა ამას ყურადღებას მიაქცევდა. აი, ასეთი რეაქცია უნდა ქონოდათ ადამიანებს.

– მის კოუპი? – ვკითხე ჩემი თბილი, დამაჯერებელი ხმით.

წამწამები აახამხამა, გულისცემა აუჩქარდა. ზედმეტად ახალგაზრდაა, თავი ხელში აიყვანე. ფიქრობდა ის.

–დიახ?

საინტერესო იყო, როდესაც შელი კოუპს პულსი აუჩქარდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ფიზიკურად მიმზიდველად ჩამთვალა და არა იმიტომ რომ შეშინებული იყო. მიჩვეული ვიყავი მსგავს რეაქციას სხვა ქალებისგან... თუმცა, არასოდეს მიფიქრია რომ ბელასაც ამიტომ უჩქარდებოდა გული.

ეს აზრი მომეწონა, უფრო სწორად... ძალიან მომეწონა. გავიღიმე და მისის კოუპმა ხმამაღალი სუნთქვა დაიწყო.

– ბელას შემდეგი გაკვეთილი ფიზიკულტურა აქვს, თუმცა ვფიქრობ მაინც და მაინც კარგად ვერ გრძნობს თავს. ეხლა ვფიქრობდი, იქნებ ჯობდეს სახლში წავიყვანო? შეგიძლიათ გაანთავისუფლოთ გაკვეთილიდან? – თვალებში უფრო ღრმად ჩავაცქერდი, საინტერესო იყო, როგორ უცნაურად მოქმედებდა ეს მის ფიქრის პროცესზე. ნუთუ შესაძლებელი იყო რომ ბელაც... ?

მის კოუპმა ხმამაღლა გადაყლაპა ნერწყვი და შემდეგ მიპასუხა: – შენც გჭირდება გათავისუფლება ედვარდ?

– არა, მისის გოფმა უკვე გამანთავისუფლა.

ყურადღებას აღარ ვაქცევდი მას, ახალ შესაძლებლობაზე ვფიქრობდი.

ჰმმმ, იქნებ ბელა, ისევე როგორც დანარჩენი ადამიანები მიმზიდველად მთვლიდა. თუმცა როდის ქონდა ბელას სხვა ადამიანების მსგავსი რეაქციები? მაგის იმედი არც უნდა მქონოდა.

– ყველაფერი მოგვარებულია ედვარდ, – შემდეგ ბელას მიუბრუნდა: – თავს უკეთ გრძნობ ბელა?

ბელამ თავი სუსტად დააქნია, მგონი ზედმეტი მოუვიდა თამაში.

– შეგიძლია სიარული? თუ გინდა ისევ აგიყვანო ხელში და მანქანამდე მიგიყვანო? – ვკითხე, მისი უხეირო არტისტიზმით გამხიარულებულმა. ვიცოდი, რომ თავისით წამოსვლას ამჯობინებდა. არ უყვარდა როდესაც სისუსტეს ავლენდა.

– ჩემით წამოვალ.

ისევ მართალი აღმოვჩნდი. ნელნელა უკეთ მესმოდა მისი.

ფეხზე წამოდგა, ცოტახანი შეიცადა. წონასწორობა შეამოწმა. მერე წინ წავიდა და ორივენი გამოვედით ოთახიდან.

ვუყურებდი, როგორ შეუშვირა სახე წვიმას და როგორ დახუჭა თვალები, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ნეტავ რას ფიქრობს ეხლა? რაღაც უცნაური იყო ამ ყველაფერში და უცებ მივხვდი, სხვა გოგოები წვიმას თავს აარიდებდნენ. სხვა გოგოები ამ წვიმიან ადგილასაც კი მაკიაჟს ატარებდნენ.

ბელა არასოდეს ატარებდა მაკიაჟს, არც ჭირდებოდა. კოსმეტიკური კომპანიები მილიონობით დოლარს იღებდნენ წელიწადში იმ ქალებისგან, რომლებსაც სურდათ, ბელასნაირი კანი ჰქონოდათ.

– მადლობა, – ღიმილით მითხრა მან. – ნამდვილად ღირდა ცუდად გახდომა, ფიზიკულტურის გაცდენად.

სკოლის შენობას მივაჩერდი, ვფიქრობდი როგორ გამეხანგრძლივებინა

მასთან ყოფნის დრო.

– არაფრის.

– მოდიხარ? ამ შაბათს ვგულისხმობ. – იმედიანი ჩანდა..

მისი იმედი წრფელი იყო, უნდოდა მასთან ერთად ვყოფილიყავი და

მეც მინდოდა მასთან ერთად ყოფნა. მაგრამ ბევრი რაღაც იყო

გასათვალისწინებელი, პირველ რიგში მზე იყო მოსალოდნელი ამ შაბათს.

– ზუსტად სად მიდიხართ? – ვცდილობდი ჩემი ხმა ინდიფერენტული

ყოფილიყო, თითქოს სულ არ მაღელვებდა სად მიდიოდნენ. მაიკმა სანაპირო

ახსენა, იქ მზისგან დამალვა შეუძლებელი იქნებოდა.

– ლა პუშის სანაპიროზე.

ჯანდაბა, გამორიცხული იყო ჩემი იქ წასვლა.

ემეტყვი გაბრაზდებოდა თუ ჩვენს გეგმებს ჩავშლიდი.

ღიმილით შევხედე: – არ მეგონა დაპატიჟებული თუ ვიყავი.

– მე გაპატიჟებ. – ამოისუნთქა, უკვე შეგუებული იყო იმ აზრს, რომ ვერ

წავიდოდი.

– მოდი ამ კვირაში ნულარ გავალიზიანებთ მაიკს, თორემ შეიძლება კბენა

დაიწყოს. – მე თვითონ წარმოვიდგინე როგორ ვკბენდი საცოდავ მაიკს, ძალიან

მომეწონა შეგრძნება.

– მაიკი, შმაიკი. – თქვა მან და მე უფრო გამეღიმა.

და შემდეგ ბელა წავიდა.

ისე რომ არც მიფიქრია რას ვაკეთებდი, საწვიმარში ხელი ჩავავლე. სვლა

ველარ განაგრძო და შეჩერდა.

– სახლში მივდივარ. – გაკვირვებულმა მითხრა, ვერ მიხვდა რატომ

გავაჩერე.

– ვერ გაიგე როგორ დავდე პირობა, რომ სახლში მშვიდობით მიგიყვანდი?

გგონია უფლებას მოგცემ შენს მდგომარეობაში მანქანა მართო? – ვიცოდი ეს არ

მოეწონებოდა, სისუსტის აღიარება ჩემგან. მაგრამ სიეტლში გამგზავრებამდე მომზადება მჭირდებოდა. მაინტერესებდა როგორ გავუმღებდი მის სურნელს ესეთ პატარა მანძილზე.

– რა მდგომარეობაში? – მკითხა. – და ჩემს მანქანას რა ვუყო?

– ელისს ვთხოვ სკოლის შემდეგ მოიყვანოს. – ჩემი მანქანისკენ დავაბრუნე, ძალიან ფრთხილად. მას ხომ პირდაპირ სიარულიც უჭირდა, უკუსვლაზე რომ არაფერი ვთქვათ.

– გამიშვი! – თქვა და ფეხი ისე წამოსდო რაღაცას, კინაღამ დაეცა.

ერთი ხელი ინსტინქტურად გავწიე წინ რომ დამეჭირა, მაგრამ დროზე მოასწრო გასწორება. არ უნდა მეძებნა საიმისო მიზეზები, რათა შევხებოდი. მის კოუპის რეაქცია გამახსენდა ისევ, მაგრამ ამაზე ფიქრი შემდეგისთვის გადავდე. ბევრი რამე იყო ეხლა განსახილველი.

მანქანისკენ მოვქაჩე და კარს დაეჯახა. უფრო ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, საშინელი წონასწორობა ქონდა.

– ისეთი უცერემონიო ხარ.

– კარი ღიაა.

მანქანაში ჩავჯექი და დავკოქე. ბელა არ განძრეულა, გაშეშებული იდგა წვიმაში, თუმცა ვიცოდი რომ წვიმა არ უყვარდა. წყალი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა თმიდან, რომელიც სისველისგან შავი მოუჩანდა.

– მშვენივრად შემიძლია ტარება.

რა თქმა უნდა შეეძლო, ეს უბრალოდ მე არ შემეძლო გამეშვა.

მის მხარეს შუშა ჩავწიე და მივიწიე: – დაჯექი ბელა.

თვალები დაუწვრილდა, დარწმუნებული ვიყავი, იმაზე ფიქრობდა,

მოასწრებდა თუ არა გაქცევას.

– იცოდე უკან დავაბრუნებ. – დამაჯერებლად გავაფრთხილე. მისმა ნაწყენმა გამოხედვამ გამახალისა, როდესაც მიხვდა, რომ ნამდვილად ვიყავი იმის

გამკეთებელი რასაც დავპიდი.

ნიკაპი მაღლა აწია და მანქანაში ჩაჯდა.

– ეს არ იყო აუცილებელი. – გაღიზიანებით მიპასუხა მან.

გამათბობელი ჩავრთე, რათა თავი კომფორტულად ეგრძნო. მუსიკას ჩავუწიე, ამან სასიამოვნო ფონი შექმნა. გასასვლელისკენ დავიძრით, ჩუმად ვუყურებდი, ქვედა ტუჩი ჯიუტი ბავშვივით ქონდა ამოტრიალებული, მივაშტერდი. როგორ შეგრძნებას იწვევდა ჩემში. ისევ მდივანი ქალის რეაქციები გამახსენდა...

უცებ სტერეოს შეხედა, გაიღიმა და თქვა: – ჩლაირ დე Lუნე?

კლასიკას უსმენდა?

– იცი დებიუსი?

– არც ისე კარგად. – თქვა მან. – დედაჩემი უკრავს ხშირად კლასიკურ

მუსიკას, მე მხოლოდ ჩემს საყვარელი მელოდიებს ვცნობ.

– ეს ჩემი საყვარელიც არის. – წვიმას გავხედე. რაღაც საერთოდ ნამდვილად

გვქონდა. არადა აშკარად მეგონა ერთმანეთის საპირისპიროები ვიყავით.

უფრო დამშვიდებული ჩანდა. მისი უყურადღებობით ვისარგებლე და ოღონდ

ჩავისუნთქე ცხვირით.

ეფექტური იყო.

საჭეს ჩავეჭიდე. წვიმამ მისი სურნელი გააუმჯობესა. არ მეგონა ეს

შესაძლებელი თუ იყო. სულელურად, უცებ წარმოვიდგინე როგორი გემო

ექნებოდა.

ვცადე შევბრძოლებოდი ხანძარს ჩემს ყელში. ვცადე სხვა რამეზე მეფიქრა.

– დედაშენზე მომიყევი. – ყურადღების გადასატანად ვუთხარი.

ბელამ გაიღიმა: – მე მგავს, ოღონდ უფრო მომხიბვლელია.

ეჭვი მეპარებოდა.

– მე უფრო ჩარლის ვგავარ, – განაგრძო მან. – დედაჩემი უფრო

მხიარულია და უფრო მამაცი.

ამაშიც ეჭვი მეპარებოდა.

– უპასუხისმგებლოა და ოდნავ ექსცენტრიული. ძალიან უყვარს საჭმლის მომზადებისას ექსპერიმენტები. ჩემი საუკეთესო მეგობარია. –უცებ ხმა მელანქოლიური გაუხდა, შუბლი შეეჭმუნა.

ისევ... ისე ლაპარაკობდა როგორც მშობელი და არა როგორც ბავშვი.

მისი სახლის წინ გავჩერდი, გვიან გავიფიქრე როგორ ამეხსნა საიდან ვიცოდი მისი მისამართი. არა მგონია ეჭვი შეპარვოდა, ესეთ პატარა ქალაქში ყველამ იცოდა სად ცხოვრობდა მამამისი.

– რამდენი წლის ხარ ბელა? – თავის თანატოლებზე დიდი ჩანდა. იქნებ სკოლაში გვიან მიიყვანეს, ან იქნებ კლასში დარჩა... თუმცა არა მგონია ესე მომხდარიყო.

– ჩვიდმეტი წლის ვარ. – მიპასუხა.

– ჩვიდმეტისას არ გავხარ.

გაეცინა.

– რა გაცინებს?

– დედაჩემი ყოველთვის მეუბნება რომ ოცდათხუთმეტი წლის დავიბადე და ყოველ წელს უფრო და უფრო ხანშიშესული ვხდები. –შემდეგ ამოიოხრა. – ვილაც ხომ უნდა იყოს მოზრდილი.

ამან ნათელი მოფინა რაღაცეებს. როგორ ამართლებდა უპასუხისმგებლო დედამისი თავისი შვილის მოწიფულობას. მას ადრე მოუწია გაზრდა, რათა დედაზე ეზრუნა. აი, რატომ არ მოსწონდა, როცა მზრუნველობას იჩენდნენ მის მიმართ, მიჩვეული იყო თვითონ ეზრუნა სხვებზე.

–არც შენ გავხარ დაბალი კლასის მოსწავლეს – მითხრა და მომწყვიტა ჩემს ფიქრებს.

სახე დავმანჭე. რაც უფრო მეტს ვხვდებოდი მასზე, შესაბამისად ისიც უფრო მეტს ხვდებოდა ჩემზე. საუბრის თემა შევცვალე.

– რატომ გაყვა დედაშენი ცოლად ფილს?

სანამ მიპასუხებდა ცოტახანი შეყოვნდა: – დედაჩემი... თავის ასაკთან შედარებით უფრო ახალგაზრდაა, ფილი კი უფრო ახალგაზრდად აგრძნობინებს თავს. რაც მთავარია სიგიჟემდე უყვარს. – თავი გააქნია.

– მოგწონს?

– რა მნიშვნელობა აქვს? – მკითხა. – მე მინდა რომ ბედნიერი იყოს... ფილი კი მას ბედნიერებას ანიჭებს.

მისმა უანგარობამ გამაოცა.

– სულგრძელი საქციელია.

– რა?

– როგორ ფიქრობ, ისიც დაგიჭერდა მხარს, იმის მიუხედავად თუ ვის აირჩევდი შენ?

სულელური შეკითხვა იყო და ხმა ვერ დავიმორჩილე როდესაც ვკითხე.

წარმოუდგენელი იყო ვინმეს მოვწონებოდი საკუთარი ქალიშვილისთვის. რა სისულელე იყო იმაზე ფიქრი, რომ როდესმე ბელა მე ამირჩევდა.

– ვფიქრობ რომ კი. – ენა დაება, არ ვიცი იმის ბრალი იყო რომ მიმზიდველად მთვლიდა და დაიბნა, თუ უბრალოდ ჩემი ეშინოდა.

– მაგრამ ის მშობელია რაც არ უნდა იყოს. აქ ცოტა სხვანაირად არის ყველაფერი. – დაამთავრა წინადადება.

– ანუ, ძალიან საშიში არ უნდა იყოს შენი რჩეული, არა?

გამეცინა

– საშიში რა იგულისხმება, უამრავი პირსინგი სახეზე და უფრო მეტი ტაიტუირება? – ღიმილით მკითხა ბელამ.

– ეს მხოლოდ ერთი ახსნაა.

– შენი ახსნა როგორია?

ყოველთვის არასწორ კითხვებს სვამდა. ან იქნებ სწორი კითხვები იყო,

უბრალოდ მე არ მინდოდა ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

– როგორ ფიქრობ, მე საშიში ვარ? – ვცადე თბილად გამეღიმა მისთვის.

ცოტახანი იფიქრა, სანამ პასუხს გამცემდა, შემდეგ სერიოზული ხმით მიპასუხა:

– მგონი შეგიძლია იყო საშიში... თუ მოინდომებ.

მეც დავსერიოზულდი: – გეშინია ჩემი?

– არა, – ძალიან სწრაფად მიპასუხა, არც კი დაფიქრებულა

გამეღიმა, მივხვდი, რომ სიმართლეს არ მეუბნებოდა, თუმცა არც ბოლომდე

იტყუებოდა. ყოველშემთხვევაში არც ისეთი შეშინებული ჩანდა, რომ

გაქცეულიყო. წარმოვიდგინე, როგორი რეაქცია ექნებოდა, რომ გაეგო ვამპირს

ესაუბრებოდა, ეს აზრი სასწრაფოდ მოვიშორე.

– შენს ოჯახზე არაფერს მომიყვები? მგონი უფრო საინტერესო უნდა იყოს.

საინტერესოზე უფრო საშიში იყო.

– რისი გაგება გასურს? – ფრთხილად ვკითხე.

– ქალენებმა გიშვილეს?

– დიახ, – მშვიდად ვუპასუხე

ხმადაბლა გაუბედავად მკითხა: – შენს მშობლებს რა დაემართათ?

ეს რთული შეკითხვა არ იყო, მოტყუებაც კი არ მომიწევდა: – ძალიან დიდი

ხნის წინ გარდაიცვალნენ.

– მაპატიე. – ჩაიბურტყუნა, აშკარად ანერვიულდა ტკივილი რომ მომაყენა.

ჩემზე ნერვიულობდა.

– კარგად არც კი მახსოვს ისინი, – დავარწმუნე. – უკვე დიდიხანია რაც

კარლაილი და ესმე ჩემი მშობლები არიან.

– და ისინი გიყვარს. – დაასკვნა.

გავუღიმე: – რათქმაუნდა, ვერ წარმომიდგენია ორი უკეთესი ადამიანი.

– ილბლიანი ხარ.

– ვიცი. – ამ შემთხვევაში ილბალი ნამდვილად ჩემს მხარეს იყო.

– შენი და–ძმები?

ამდენი კითხვის დასმის საშუალებას თუ მივცემდი, ტყუილის თქმა მომიწევდა, ამიტომ საათს შევხედე და მივახვედრე, რომ ჩემი მასთან ყოფნის დრო ამოწურული იყო.

– ჩემი და–ძმა და ჯასპერი და როზალი, ძალიან გაბრაზდებიან, თუ წვიმაში დგომა მოუწევთ.

– მაპატიე, მგონი დროა წახვიდე.

არ განძრეულა, ჩემთან ერთად უნდოდა ყოფნა, ეს აზრი ძალიან, ძალიან მომეწონა.

– და ალბათ შენ გინდა, რომ შენი მანქანა მანამდე მოვიყვანოთ, სანამ პოლიციის შეფი სახლში დაბრუნდება, რათა არ მოგიწიოს ბიოლოგიის ინციდენტის მოყოლა. – გამახსენდა მისი აღელვებული სახე, ხელში რომ მყავდა აყვანილი და გამეცინა.

– დარწმუნებული ვარ უკვე ეცოდინება, ფორკსში არაფერი იმალება. – ქალაქის სახელი გამოკვეთილი სიძულვილით თქვა.

მის სიტყვებზე გამეცინა. რა თქმა უნდა არანაირი საიდუმლოებები არ იყო: – კარგი დროის გატარებას გისურვებ სანაპიროზე. – წვიმას გავხედე, ისე საშინლად აღარ წვიმდა, მაგრამ ვიცოდი რომ მალე უარესი იქნებოდა. მინდოდა თავსხმა ყოფილიყო: – კარგი ამინდი მზის აბაზანებისთვის – შაბათისთვის იქნებოდა. ეს ძალიან გაახარებდა ბელას.

– ხვალ ვერ გნახავ?

მისმა აღელვებულმა ტონმა გამახარა.

– არა, მე და ემეტი უიკენდს ადრე ვიწყებთ, – ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, ასე ადრე რომ დავაწყე გეგმები. შემემლო გადამედო ისინი, მაგრამ ეხლა ნადირობაზე მნიშვნელოვანი არაფერი იყო. ჩემი ოჯახი კი ცდილობდა ყველანაირად დამხმარებოდა, რათა ისევ კარგად მოვქცეულიყავი.

– რის გაკეთებას აპირებთ? – არც ისე მხიარული ჩანდა.

– ნადირობას ვაპირებთ, რენიეს მთების ჩრდილოეთით. – ემეტი გიჟდებოდა დათვების სეზონზე.

– კარგი, კარგი დროის გატარებას გისურვებთ. – არა გულწრფელად მიპასუხა. მისმა ენთუზიაზმის ნაკლებობამ ისევ გამახარა.

ბელას შევხედე, მასთან დამშვიდობებაც კი ტკივილს მაყენებდა. ის ისეთი სათუთი იყო. მიძნელებოდა მისი მარტო დატოვება, როცა ჩემს მხედველობის არეში არ მყავდა. და მაინც, ყველაზე უარესი რამ, მას შეიძლება ჩემთან დამართნოდა.

– ჩემთვის შეეცდები რაღაცას, ძალიან რომ გთხოვო? – სერიოზულად ვკითხე. თავი დამიქნია.

ვცადე მშვიდად მეთქვა:

– არ გეწყინოს, მაგრამ იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნები, რომლებიც უბედურ შემთხვევებს ისე იზიდავენ, როგორც მაგნიტი. ასე რომ... ეცადე ოკეანეში არ ჩავარდე ან ავტომობილმა არ გადაგიაროს. კარგი?

ნაღვლიანად გავულიძე, იმედი მქონდა ვერ შეამჩნევდა სევდას ჩემს თვალებში. როგორ მინდოდა, რომ ჩემგან ესე შორს არ ყოფილიყო, იმის გათვალისწინებით, რა შეიძლება შემთხვეოდეს.

გაიქეცი ბელა გაიქეცი, ძალიან მიყვარხარ, შენი ან ჩემი ბედნიერებისათვის.

ნაწყენი ჩანდა ჩემი თხოვნით. გაბრაზებულმა შემომხედა: – ვნახოთ რის გაკეთებას შევძლებ. – მანქანიდან გადახტა და კარი ძლიერად მოაჯახუნა.

პატარა კნუტს გავდა, რომელსაც თავი ვეფხვი გონია.

ხელი მოვკიდე მისი მანქანის გასაღებს, რომელიც შეუმჩნევლად ამოვაცურე მისი მოსაცმლის ჯიბიდან. გავიღიმე და გზას გავუდექი.

7 თავი

მელოდია

გაკვეთილები ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, როცა სკოლაში
დავბრუნდი. ეს მომეწონა, დრო მჭირდებოდა ყველაფრის კარგად
მოსაფიქრებლად.

მისი სუნი იგრძნობოდა მანქანაში, ფანჯრები ავწიე და ნება მივეცი მის
სურნელს მთლიანად შთავენთქე, სრულად რომ მეგრძნო წვა მთელს ყელში.
მიზიდულობა...

ძნელი იყო ყველაფრის განჭვრეტა. უამრავი მხარე ქონდა, ბევრი დონე
და რთული მნიშვნელობები. სიყვარულივით არა, მაგრამ ეს ყველაფერიც ძალიან
ჩახლართული იყო.

წარმოდგენა არ მქონდა, ბელასთვის მიმზიდველი ვიყავი თუ არა, (მისი
მენტალური დუმილი უფრო და უფრო მტანჯაველი ხდებოდა, ნუთუ მანამდე
გაგრძელდებოდა ეს, ვიდრე ჭკუიდან არ შევიშლებოდი? ან იქნებ იყო საზღვარი,
რომლამდეც მივაღწევდი?!)

შევეცადე მისი რეაქციები სხვების რეაქციებისათვის შემედარებინა,
მდივანი ქალის, ანდა ჯესიკა სტენლისთვის. ამ შედარებამ შედეგი არ გამოიღო.
ისეთი მაჩვენებლები როგორც გულის და სუნთქვის აჩქარება იყო, ეს
ინტერესის გარდა შეიძლება შიშს, შოკს და ნერვიულობასაც გამოეწვია. ეჭვი
მეპარებოდა, ბელას იგივე აზრები ჰქონოდა, რაც ჯესიკა სტენლის. ყველაფერთან
ერთად ბელამ იცოდა, რომ რაღაც ისე არ იყო ჩემთან დაკავშირებით,
მიუხედავად იმისა, რომ მიზეზს ვერ ხვდებოდა. ის შეეხო ჩემს ყინულივით ცივ
ხელს და სწრაფათ მომაშორა სიცივის გამო.

და როდესაც გამახსენდა ჯესიკას ფანტაზიები, რომლებიც ზიზღს
მგვრიდა... გამახსენდა ისინი, ოღონდ ჯესიკას მაგივრად ფანტაზიები თითქოს
ბელასი იყო...

უფრო სრაფად დავიწყე სუნთქვა, ცეცხლი წვადა ჩემს ყელს.

იქნებ ბელაც წარმოდგენდა ხოლმე, როგორ მქონდა ჩემი ცივი ხელები

შემოხვეული მის სათუთ სხეულზე? გრძნობდა როგორ ვიხუტებდი მკერდზე,
ერთი ხელით კი მის ნიკაპს ვიჭერდი? როგორ ვუწევდი სქელ თმას
დარცხვენილი სახიდან? როგორ ვეფერებოდი თითებით მის ტუჩებს? როგორ
ვიწეოდი მისი სახისკენ, როგორ ვგრძნობდი მის თბილ სუნთქვას ჩემს სახეზე?
და უფრო ახლოს ვიწევდი...

უცებ გამოვფხიზლდი, როდესაც გავაანალიზე რა მოხდებოდა, თუ
მასთან ესე ახლოს ვიქნებოდი.

მიზიდულობა გადაუჭრელი პრობლემა იყო, რადგან ბელა უკვე
სახიფათოდ მიზიდავდა.

მინდოდა კი, რომ ბელასთვისაც მიმზიდველი ვყოფილიყავი? რომ
მოვწონებოდი როგორც მამაკაცი?

ცუდი შეკითხვა იყო, სწორი იქნებოდა მეკითხა ჩემი თავისთვის, მქონდა
თუ არა უფლება ეს მდომოდა და პასუხი იყო... არა. იმიტომ რომ მე არ ვიყავი
ადამიანი და ეს უსამართლობა იქნებოდა ბელას მიმართ.

მთელი ჩემი არსებით მსურდა, რომ ნორმალური მამაკაცი ვყოფილიყავი,
რომ ისე მყოლოდა ჩემს მკლავებში, მის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა.
ისე რომ ჩემი ფანტაზიების განხორციელება შემძლებოდა, რომლებიც არ
დამთავრდებოდა... მის სისხლში ამოსვრილი ჩემი ხელებით, მისი სისხლით ჩემს
თვალეებში.

ჩემი ბელასთან ყოფნა გაუმართლებელი იყო, რა სახის ურთიერთობა
უნდა შემეთავაზებინა მისთვის, როდესაც მის შეხებასაც კი ვერ ვრისკავდი.
თავი ხელებში ჩავრგე.

ყველაზე უცნაური და დამაბნეველი ის იყო, რომ არასოდეს მიგრძენია
თავი ესე... ადამიანვით, მაშინაც კი როდესაც მართლა ვიყავი... რამდენადაც
მახსოვს. როცა ადამიანი ვიყავი, ჩემი ფიქრები საბრძოლო კარიერას
უკავშირდებოდა. მსოფლიო ომი მძვინვარებდა, მე კი მხოლოდ ცხრა თვე

მაშორებდა თვრამეტ წელს... როდესაც ესპანური ცხელება დამემართა. მხოლოდ ბუნდოვანი მოგონებებიღა მქონდა შემორჩენილი. რაც დრო გადიოდა, წყვილი იცავდა მათ. ყველაზე კარგად დედა მახსოვდა. ძველი ტკივილი მახსენდებოდა, როდესაც მის სახეს ვიგონებდი. მახსოვს, როგორ სძულდა ის მომავალი, რის არჩევასაც ვაპირებდი, ყოველ საღამოს ლოცულობდა, რათა “საზარელი ომი” მალე დამთავრებულიყო. სხვა მოგონებები ესე არ მტანჯავდნენ. დედაჩემის სიყვარულის გარდა, არ იყო სხვა ისეთი სიყვარული, რომელიც წასვლას გადამაფიქრებინებდა...

ეს შეგრძნებები ახალი იყო ჩემთვის, არ მქონდა შესადარებელი მაგალითები, არც პარალელების გავლება შემემძლო. როგორ ძალიან მინდოდა რომ შემძლებოდა შევხებოდი ბელას, იქნებ ისიც იმასვე განიცდიდა ჩემს მიმართ?

ამას არანაირი მნიშვნელობა არ ქონდა, ვცადე საკუთარი თავი დამერწმუნებინა.

ჩემს ხელებს მივაჩერდი, მძულდა მათი სიმაგრე, მათი სიცივე, არა ადამიანური ძალა.

შევხტი, როდესაც მანქანის კარები გაიღო.

_ აჰა, მოულოდნელად გამოგიჭირე, ეს პირველად მოხდა _ ფიქრობდა ემეტიც.

_ ამ ბოლო დროს ისე უცნაურად იქცევი, დაგენიძლავები, მისის გოფს გონია, რომ ნარკომანი ხარ.

_ კეთილ საქმეს ვაკეთებდი.

_ რას?

ჩამეცინა: _ ავადმყოფს ვუვლიდი, თუ რაღაც მაგდაგვარი.

ამან ცოტათი დააბნია, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და ბელას სურნელი იგრძნო.

_ აჰ, ისევ ის გოგო?

სახე დამემანჭა.

_ ეს ნელნელა ძალიან უცნაური ხდება.

_ მომიყევი ამის შესახებ. _ ვთხოვე.

ისევ ჩაისუნთქა: _ კარგი სურნელი აქვს, არა?

მანამდე დავიწყე ღრენა, ვიდრე წესიერად გავიგებდი რა თქვა,

ავტომატურად ვმოქმედებდი.

_ დამშვიდდი ძმაო, უბრალოდ ავლნიშნე.

დანარჩენებიც მოვიდნენ, როზალიმ უცხოს სუნი იგრძნო და

გალიზიანებული თვალებით შემომხედა, ჯერ კიდევ ვერ გადაელახა თავისი

სიბრაზე, ვერ ვხვდებოდი რა პრობლემა ქონდა, ვცადე მის ფიქრებში

ამომეკითხა, მაგრამ სალანძღავი სიტყვების გარდა ვერაფერი გავიგე.

არც ჯასპერის რეაქცია მომიწონა, როგორც ემეტმა, მანაც ჩათვალა რომ

ბელას კარგი სურნელი ჰქონდა. თუმცა მათთვის იმის მეათასედი სიტკბოც კი

არ გააჩნდა, რაც ჩემთვის. ჯასპერს ძალიან ცუდი კონტროლი ქონდა...

ელისი ჩემს მხარეს მანქანის ფანჯარას მოუახლოვდა და ხელი გამომიწოდა,

რათა ბელას მანქანის გასაღები მიმეცა.

_ უბრალოდ დავინახე, რომ მე უნდა გამეკეთებინა ეს –ჩაფიქრებულმა

თქვა, ეს უკვე ხასიათის განუყოფელ ნაწილად ექცა. – მერე მომიყვები რატომ.

_ ელის, ეს იმას არ ნიშნავს რომ....

_ ვიცი ვიცი, მოვიცდი. დიდიხანი მაინც აღარ დამჭირდება ლოდინი,

_ შემაწყვეტინა მან.

ამოვიოხრე და გასაღები გავუწოდე. ელისს ბელას სახლამდე გავყევი.

წვიმის წვეთები ისეთ ხმას გამოსცემდნენ, თითქოს მილიონობით პატარა ჩაქუჩი

ეცემოდა ასფალტს. მშვიძლება ესეთი თავსხმის დროს ბელას ვერც გაეგო

მანქანის ხმაური. მის ფანჯარას ავხედე. არ გამოუხედავს, იქნებ სახლში არ იყო?

მისი ფიქრების მოსმენა კი, არ შემეძლო.

ამან ძალიან დამასევდიანა, არ შემეძლო მომესმინა, რა ხდებოდა მის ფიქრებში, ბედნიერი იყო თუ არა. იმის გაგება მაინც შემძლებოდა უსაფრთხოდ თუ იყო.

ელისი ჩემს მანქანაში გადმოჯდა და სახლისკენ დავიძარით. გზები თავისუფალი იყო, შინ მისვლას მხოლოდ რამოდენიმე წუთი დასჭირდა. სახლში შევედი და ჩვენ ჩვენს საქმეს შევუდექით.

ემეტი და ჯასპერი შუშის კედელთან ისხდნენ და რვა დაფაზე ერთად, თავიანთი გამოგონილი გართულებული წესებით ჭადრაკს თამაშობდნენ გაცხარებულები. მე არ მეთამაშებოდნენ, საერთოდაც, ელისის გარდა აღარავინ მეთამაშებოდა.

ელისი თავის კომპიუტერს მიუჯდა და გავიგონე მონიტორის ჩართვის ხმა. ის ამჯერად როზალის გარდერობის მოდურ დიზაინზე მუშაობდა, თუმცა დღეს როზალი უკან არ ედგა და ფერებთან დაკავშირებით მითითებებს არ იძლეოდა, ვიდრე ელისის ხელი სენსორულ ეკრანზე მოძრაობდა (მე და კარლაილს მუშაობა მოგვიხდა, რომ მონიტორს ტემპერატურაზე რეაგირება მოეხდინა). ამის მაგივრად როზალი პირქუშად ჩაეშვა სავარძელში და დისტანციური პულტით წამში 20 არხს ცვლიდა ტელევიზორში, ერთი წამითაც არ შეჩერებულა. მესმოდა, როგორ ცდილობდა გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა გარაჟში თავისი BMჰ-ს შესაკეთებლად.

ესმე მაღლა სართულზე, თავის ნახაზებში იყო ჩაფლული.

ელისმა უეცრად თავი მიაბრუნდა და ემეტის შემდეგი სვლა ჩუმად ანიშნა ჯასპერს, რომელიც ემეტის წინ იჯდა და მშვიდი სახით კლავდა თავისი ძმის საყვარელ ცხენს დაფაზე.

და მე ამ ხნის მანძილზე პირველად მივუჯექი ფორტეპიანოს.

ვცადე შემემოწმებინა, როგორ ხმას გამოსცემდა და ხელი გადავუსვი

კლავიშებს. ესმე თავის ოთახში ნახაზებს მოსწყდა და თავი გვერდზე გადასწია.

იმ მელოდიის შესრულება დავიწყე, დღეს მანქანაში რომ დამებადა თავში. სასიამოვნო იყო, დაკრული ბევრად უკეთესად ჟღერდა.

– ედვარდი ისევ უკრავს. – სიხარულით გაიფიქრა ესმემ, სახეზე ღიმილი მოეფინა, მაგიდიდან წამოდგა და ჩუმად მიუახლოვდა კიბეს.

მელოდიას ჰარმონია შეემატე. ესმემ კმაყოფილად გაიღიმა, კიბეზე ჩამოჯდა და მოაჯირს მიეყრდნო. _ახალი სიმღერა, რამდენი ხანი გავიდა რაც არაფერი შეუქმნია. რა სასიამოვნო მელოდიაა.

ვცადე მუსიკა სხვა მიმართულებით წამეყვანა, უფრო დაბალ ტონალობაში გადავიყვანე.

_ედვარდი ისევ ქმნის მუსიკას? – როზალიმ მძვინვარებისგან კბილები ერთმანეთს დააჭირა.

და ამ მომენტში ის გასხლტა და ცხადად დავინახე მისი მრისხანების მიზეზი. დავინახე რატომ იყო ესეთი აგრესიული ჩემს მიმართ. რატომ არ შეაწუხებდა იზაბელა სვონის მკვლელობა მის სინდისს.

როზალისთვის ყოველთვის პატივმოყვარეობა იყო წინა პლანზე. დაკვრა შეეწყვიტე, ვერ მოვახერხე სიცილის შეკავება, პირზე ხელები ავიფარე, რომ ხარხარი ოდნავ მაინც ჩამეხშო.

როზალის განაწყენებული და გაცოფებული მზერა ვიგრძენი.

ემეტმა და ჯასპერმა თამაში შეწყვიტეს და ისინიც მომაჩერდნენ. ესმე დაიბნა, ვერ მიხვდა რა ხდებოდა, წამის მეასედში დაბლა გაჩნდა, ხან მე, ხან როზალის გვიყურებდა.

_ არ შეწყვიტო დაკვრა ედვარდ – გამამხნევა ესმემ.

როზალისკენ ზურგით შევბრუნდი და დაკვრა განვაგრძე, ძალიან მიჭირდა სიცილის შეკავება. ის ფეხზე წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

გაბრაზებული უფრო იყო, ვიდრე დარცხვენილი. თუმცა უდავოდ განიცდიდა

სირცხვილის გრძნობას.

_ ენას კბილს თუ არ დააჭერ, ძალიან მოგკლავ

კიდევ ერთხელ შევიკავე თავი, რომ არ გადამეხარხარა.

- რა მოხდა როზ? - მიაძახა ემეტმა ზურგსუკან, როზალი არ მობრუნებულა,

გარაჟში შევარდა და თავისი მანქანის ქვეშ შეძვრა, თითქოს უნდოდა

დამალულიყო.

- რა დაემართა? - ემეტი მე მომიბრუნდა.

- წარმოდგენა არ მაქვს - მოვატყუე.

ემეტმა უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა.

- განაგრძე დაკვრა - შემაგულიანა ესმემ.

ისე მოვიქეცი, როგორც მთხოვა, დაკვრა განვაგრძე, ის კი მომიახლოვდა და

ხელები მხრებზე დამაწყო. მელოდია სასიამოვნო იყო, მაგრამ არა სრულყოფილი,

თითებით კლავიშებზე სწორ მიმართულებას ვეძებდი.

_ მშვენიერია, სახელი უკვე აქვს? - მკითხა ესმემ.

_ ჯერ არა.

_ ისტორია თუ აქვს? - ღიმილით მკითხა, ჩემი დაკვრა ძალიან დიდ

სიამოვნებას ანიჭებდა, თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ ამდენი ხანი არ

მივკარებივარ ინსტრუმენტს, ძალიან ეგოისტი ვიყავი.

_ მგონი... იავნანა - ახალი მიმართულებით წავიყავნე მელოდია და მანაც

სრულყოფილება შეიძინა.

_ იავნანა - გაიმეორა თავისთვის.

ამ მელოდიას ჰქონდა ისტორია და როდესაც ეს გავაცნობიერე, ნაწილები

თვითონ შეერთდნენ. ისტორია გოგონაზე იყო, რომელსაც ვიწრო საწოლში ეძინა,

მისი თმები ზღვის წყალმცენარეებით იყო ბალიშზე დაფენილი.

ელისი გვერდით მომიჯდა, თავისი ლამაზი, წვრილა ხმით მუსიკას აჰყვა,

სიტყვების გარეშე ღიღინებდა ორი ოქტავით მაღალ ტონალობაში.

_ მომწონს – ჩავილულლულე – ამაზე რას იტყვი?

ჰარმონიულობა შევმატე, ჩემი თითები სწრაფად მოძრაობდნენ კლავიშებზე და მთლიანობაში მოყავდათ მელოდია, ოდნავ შევარბილე და ისევ ახალი მიმართულებით წარვმართე.

ელისი ამ ტონალობასაც შესანიშნავად მოერგო და სიმღერა განაგრძო.

_ შესანიშნავია _ ვუთხარი მე.

ესმემ მხარზე ხელი მომითათუნა.

ელისმა ხმას აუმაღლა და ისე განაგრძო სიმღერა, ეხლა კი ნათლად

ვხედავდი როგორ უნდა დამთავრებულიყო მელოდია, მძინარე გოგონა

სრულყოფილება იყო, ნებისმიერი ჩარევა არასწორი იქნებოდა, სევდიანი.

ფრთხილად შევანელე მელოდია, ელისმაც შეცვალა ტონალობა, მისი ხმა უფრო

საზეიმო გახდა.

უკანასკნელი ნოტი დავუკარი და თავი კლავიშებს დავადე.

ესმემ თავზე ხელი გადამისვა: _ ყველაფერი კარგად იქნება ედვარდ,

ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება. შენ იმსახურებ ბედნიერებას ჩემო ბიჭო.

_ მადლობა _ ჩურჩულით ვუპასუხე, როგორ მინდოდა დამეჯერებინა

მისი სიტყვები.

_ სიყვარული ყოველთვის სასურველი გზით არ მოდის.

გავიღიმე.

_ შეიძლება შენ უკეთ გაუმკლავდე ამ რთულ სიტუაციას. შენ ჩვენს

შორის ყველაზე საუკეთესო ხარ.

რა თქმა უნდა ყველა დედა იგივეს ფიქრობდა თავის შვილზე.

ესმე უზომო ბედნიერებას განიცდიდა, რომ ჩემს გულსაც შეეხო

სიყვარული... ეგონა მთელი არსებობის მანძილზე მარტო ვიქნებოდი.

_ აუცილებლად შეგიყვარებს – უცებ გაიფიქრა მან _ თუ განსაკუთრებული

გოგოა _ გაიღიმა _ თუმცა ვერ წარმომიდგენია როგორ შეიძლება რომ ვერ

შეამჩნიოს როგორი კარგი ხარ.

_ გეყოფა დე, ნუ მაწითლებ. _ ვთხოვე ესმეს.

ელისმა გაიცინა და “გული და სული”-ს დაკვრას შეუდგა, მეც

გავიღიმე და მასთან ერთად დავიწყე დაკვრა.

ელისმა ისევ ჩაიცინა, შემდეგ ამოიოხრა და მითხრა: _ იქნებ ჩემთვის

მაინც გეთქვა, რატომ იცინოდი წელან როზალიზე, თუმცა უკვე ვხედავ რომ არ მიპასუხებ.

_ მართალი ხარ.

ყურზე თითი მომარტყა.

_ თავაზიანი იყავი ელის, _ ესმემ შენიშვნა მისცა _ ედვარდი

ჯენტლმენურად იქცევა.

_ მაგრამ მე მინდა, რომ ვიცოდე _ ბუზლუნს განაგრძნობდა ელისი.

მის სლუკუნზე გამეცინა. ახალი მელოდიის შესრულება დავიწყე _

უსმინე ესმე _ ეს მუსიკა კარლაილისა და ესმეს უთქმელი სიყვარულის

პატივსაცემად შევქმენი.

_ მადლობა ძვირფასო _ ისევ მხარზე მომეფერა.

ამ მელოდიის შესასრულებლად კონცენტრირება არ მჭირდებოდა, ამიტომ

როზალის ფიქრებს მივაყურადე. ხატოვნად რომ ვთქვათ შეურაცხყოფის და

დამცირებისგან იკრუნჩხებოდა. ისევ გადავიხარხარე.

ახლა უკვე, როდესაც საკუთარ თავზე მქონდა ეჭვიანობის ძალა

გამოცდილი, ცოტათი შემებრალა. თუმცა ჩემი ეჭვიანობის გრძნობა ათასჯერ

უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი.

ვფიქრობდი, როგორი პიროვნება იქნებოდა როზალი და როგორი ცხოვრება

ექნებოდა თუ ყოველთვის ყველაზე ლამაზი არ იქნებოდა. იქნებოდა თუ არა

ბედნიერი, თუ მისი სილამაზე მისი მთავარი ღირსება არ იქნებოდა? იქნებ

ნაკლებად ეგოისტი ყოფილიყო? ამაზე ფიქრი უაზრობა იყო, რადგან წარსულს

ვერ შეცვლიდი და ის ყოველთვის ულამაზეს არსებად დარჩებოდა. მაშინაც კი, როცა ადამიანი იყო, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა თავისი გამორჩეული გარეგნობის გამო, თუმცა ეს სრულებითაც არ აღელვებდა, პირიქით ძალიან სიამოვნებდა, როდესაც აღმერთებდნენ. უკვდავად გახდომის შემდეგაც, დიდად არ შესცვლია ხასიათი.

სულაც არ გამკვირვებია შეურაცხყოფილი რომ დარჩა, როდესაც მის მიმართ ის ინტერესი არ გამოვიჩინე, რომელსაც ყველა მის ირგვლივ მყოფი მამაკაცი ავლენდა. იმიტომ კი არა, რომ ჩემი სიყვარული სჭირდებოდა, საქმე სულაც არ იყო ამაში. უბრალოდ იმან გააღიზიანა რომ ასე არ მოხდა. მიჩვეული იყო, რომ ყველა აღმერთებდა.

ჯასპერთან და კარლაილთან მიმართებაში საქმე სხვაგვარად იყო, მათ უკვე ჰყავდათ მეწყვილეები, რომლებიც ძალიან უყვარდათ, მე კი თავისუფალი ვიყავი.

მეგონა ძველი წყენა დავიწყებული ჰქონდა, რომ გაბრაზებამ გაუარა.

გაუარა კიდევ... იმ დღემდე, სანამ არ აღმოაჩინა, რომ სხვისმა სილამაზემ იმგვარად მომხიბლა, როგორც მისმა ვერ შესძლო.

როზალი დარწმუნებული იყო, რადგან მისმა სილამაზემ ვერ

მომხიბლა, მაშინ ვერავის სილამაზე შემოაღწევდა ჩემს გულში. მას შემდეგ რაც ბელას სიცოცხლე გადავარჩინე, გაცოფებული იყო, რადგაც თავისი ქალური ინტუიციით ხვდებოდა, რას ნიშნავდა ეს.

მომაკვდინებლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რადგან

ჩვეულებრივი მოკვდავი ვანაცვალე მის ბრწყინვალეობას.

კიდევ ერთხელ ვცადე თავი შემეკავებინა გადახარხარებისგან.

მაწუხებდა, როგორ ფიქრობდა ის ბელაზე, რატომღაც ულამაზოდ

მიიჩნევდა. რა თქმა უნდა მალევე დავასკვენი, რომ ეს ეჭვიანობის გამო ხდებოდა.

_ ჰეი! – თქვა ელისმა მოულოდნელად. _ ჯასპერ აბა თუ გამოიცნობ?
მის გონებაში დავინახე ის, რაც მან დაინახა და თითები კლავიშებზე
გამიშეშდა.

_ რა მოხდა ელის? _ შეეკითხა ჯასპერი.

_ პიტერი და შარლოტა აპირებენ სტუმრობას მომავალ კვირას. რა კარგია
არა?

_ რა გჭირს ედვარდ? _ მკითხა ესმემ ნერვიულად, იგრძნო როგორ
დამეჭიმა მხრებზე კუნთები.

_ პიტერი და შარლოტა ფორკსში აპირებენ ჩამოსვლას? _ გადავუსისინე
ელისს.

ელისმა თვალები აატრიალა და მიპასუხა: _ დამშვიდდი ედვარდ,
პირველად ხომ არ გვსტუმრობენ?

კრიჭა შემეკრა, ეს პირველი სტუმრობა იყო მას შემდეგ, რაც ბელა ჩამოვიდა
ამ ქალაქში, ამასთანავე მისი სურნელი მარტო ჩემთვის არ იყო მადისაღმძვრელი.

ელისმა აღმაცერად გადმოიხედა. _ ხომ იცი, რომ აქ არასოდეს ნადირობენ.

მაგრამ ჯასპერის მეგობარი და მისი მეწყვილე ვამპირი, ისეთები არ იყვნენ
როგორც ჩვენ, ისინი ჩვეულებრივ გზით ნადირობენ. საშიში იყო მათი ყოფნა
ბელას ახლოს.

_ როდის? – პასუხი მოვითხოვე.

ელისმა ტუჩები მოკუმბა და წარბები აწია, მაგრამ მაინც მითხრა ის, რისი
გაგებაც მინდოდა: _ ორშაბათ დილას, ბელას არავინ მიეკარება..

_ რა თქმა უნდა არა! _ შემდეგ ემეტს მივუტრიალდი. _ მზად ხარ?

_ მე მეგონა დილას ვაპირებდით წასვლას.

_ კვირას საღამოს უნდა დავბრუნდეთ. მგონი ჩვენზეა დამოკიდებული
როდის გავემგზავრებით.

_ კარგი, მხოლოდ მაცალე როზალის დავემშვიდობო.

_ კი ბატონო. _ დავეთანხმე. როზალი ისეთ ხასიათზე იყო, დარწმუნებული ვიყავი, მათი დამშვიდობება დიდხანს არ გასტანდა.

_ სირცხვილის გრძნობა სულ დაკარგე ედვარდ _ ფიქრობდა ემეტი როდესაც უკანა კარისაკენ მიდიოდა.

_ მეც ეგრე ვფიქრობ. - ვუპასუხე.

_ კიდევ ერთხელ შეასრულე ახალი მელოდია, ედვარდ _ მთხოვა ესმემ.

_ რა თქმა უნდა, თუ გსურს. _ დავეთანხმე და ცოტა შევყოვნდი, ძნელი იყო მელოდიის დასასრულის არიდება, რომელიც რატომღაც სევდას მგვრიდა. შემდეგ ბოთლის თავსახური ამოვიღე ჯიბიდან და ფორტეპიანოზე დავდე, ეს ცოტათი დამეხმარა.

თავი გავაქნიე და დაკვრას შევუდექი.

ესმემ და ელისმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არცერთს არ ამოუღია ხმა.

_ არავის უსწავლებია შენთვის, რომ საჭმელთან თამაში არ შეიძლება? _ მივაძახე ემეტს.

_ ჰეი, ედვარდ! _ ხმამალლა დამიძახა და ხელი დამიქნია. დათვმა დრო იხელთა და თავისი დიდი ტორი ემეტს მკერდზე ჩამოჰკრა. ბასრმა ბრჭყალებმა ემეტის მაისური გაჭრა და საშინელი ხმა გამოსცა.

დათვმა საზარელი ხმით დაიღრიალა.

_ ჯანდაბა, როზალის ნაჩუქარი მაისური.

ემეტმაც დაუღლილა გაშმაგებულ ცხოველს.

ამოვიხვნეშე და რიყის ქვაზე ჩამოვჯექი. დიდი ხანი მომიწევდა ლოდინი.

მაგრამ ემეტი თითქმის ასრულებდა ნადირობას. მან კიდევ ერთხელ მისცა ცხოველს შანსი, თავი წაეწვიტა მისთვის, დათვმა ისევ დაიღრიალა, არც ემეტი ჩარმორჩა. შემდეგ იერიში მიიტანა დათვზე, დაეჯახა და ორივენი დაგორდნენ.

ცოტახანში დათვის ღრიალი წკმუტუნში გადაიზარდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ემეტმა ჩემთან მოირბინა. მისი მაისური

მთლიანად განადგურებული _ ტალახში და სისხლში იყო ამოსვრილი. არც მისი ხვეული თმა იყო უკეთეს დღეში. სახე კი ღიმილით ჰქონდა განათებული.

_ ეს ძლიერი დათვი იყო, თითქმის ვიგრძენი, როცა გამჩხაპნა.

_ ბავშვივით იქცევი ემეტ.

ჩემს სუფთა მაისურს გაკვირვებულმა შეხედა და მკითხა: _ შენ რა, ვერ მოინადირე მთის ლომი?

_ რა თქმა უნდა მოვინადირე, მაგრამ ველურივით არა.

ემეტმა თავისი ბოხი ხმით გადაიხარხარა: _ კარგი იქნებოდა უფრო ძლიერები რომ იყვნენ, გავერთობოდი.

_ არავის უთქვამს შენთვის, საკვებს უნდა შეებრძოლო.

_ კი, მაგრამ აბა ვის შევებრძოლო, შენ და ელისი თაღლითობთ, როზალის არ უნდა, რომ ვარცხნილობა გაუფუჭდეს, ესმე კიდევ საშინლად ბრაზდება, როცა მე და ჯასპერი მთელი ძალით ვიბრძვით.

_ რთულია ცხოვრება, არა?

ემეტი გაიკრიჭა და მომიბრუნდა:

_ მოდი ედვარდ, ცოტა ხანი “გათიშე” შენი შესაძლებლობა და სამართლიანად ვიბრძოლო.

_ ხომ იცი, რომ არ შემძლია შესაძლებლობის “გათიშვა”?!

_ რა საინტესოა, ის გოგო როგორ არ გიშვებს თავის ფიქრებში? _ უცებ ჩაფიქრდა ემეტიც. _ იქნებ მეც მასწავლოს?

ჩემი ხალისიანი განწყობა უმალ გაქრა. _ თავი შორს დაიჭირე მისგან. _ დავემუქრე.

_ ძალიან მგრძნობიარე გამხდარხარ.

ამოვიოხრე, ემეტი გვერდით მომიჯდა:

_ მაპატიე, ვიცი რასაც განიცდი ეხლა, ვცდილობ არ ვიყო უგრძნობი მუტრუკი, მაგრამ რადგან ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა...

ელოდებოდა მის ხუმრობაზე როდის გავიცინებდი, რომ არ გამეცინა მოიღუშა.

_ სულ სერიოზული ხარ, ეხლა რაღა გაწუხებს?

_ ბელაზე ვფიქრობ, უფრო სწორად ვნერვიულობ.

_ სანერვიულო რა გაქვს? შენ ხომ აქ ხარ? _ გადაიხარხარა.

არც ამჯერად მივაქციე ყურადღებას მის ხუმრობას, კითხვაზე ვუპასუხე:

_ ოდესმე გიფიქრია, როგორი სათუთები არიან ადამიანები? რამდენი ცული

რამ შეიძლება შეემთხვეთ მოკვდავებს?

_ არ მიფიქრია, მაგრამ ვხვდები რასაც გულისხმობ. ვერც მე გადავურჩი

მაშინ დათვს.

_ დათვები. _ აღმომხდა შეშინებულს _ მისი ბედისწერა არ იქნება

გზააბნეული დათვი ქალაქში? რომელიც რა თქმა უნდა ბელასკენ გასწევს?!

ემეტმა ჩაიცინა: _ უკვე არანორმალურივით ლაპარაკობ, იცი?

_ უბრალოდ ერთი წამით წარმოიდგინე, როზალი რომ ადამიანი იყოს და

დათვს გადაყროდა სადმე... ან მანქანას გაეტანა... ან კიბეზე დაგორებულყო... ან

ავად გამხდარიყო! _ სიტყვები ელვის სისწრაფით წარმოვთქვი, ამ ყველაფრის

ხმამაღლა თქმამ თითქოს ბოლო კვირის მანძილზე განცდილი დარდი ოდნავ

განმიქარვა. _ ცეცხლი, მიწისძვრა და ქარიშხალი! ოჰ, როდის უყურე ბოლოს

საინფორმაციო გამოშვებას? გინახავს რა საშინელებები ემართებათ მათ?

ქურდობები და მკვლელობები... _ კბილები ერთმანეთს მაგრად დავაჭირე, იმის

გაფიქრებაც კი, რომ ვინმეს შეიძლება ბელასთვის ევნო, ისე მაცოფებდა სუნთქვა

მიჭირდა.

_ ჰეი, ჰეი, დამშვიდდი ძმაო. ის ფორკსში ცხოვრობს, მაქსიმუმ წვიმამ

დაასველოს.

_ ემეტ, მგონი საშინელი იღბალი აქვს, მართლა ემეტ. ფაქტებიც ამაზე

მეტყველებს. დაფიქრდი... მთელ მსოფლიოში უამრავი ადგილია, ის კი

მაინცდამაინც იქ ჩამოვიდა, სადაც ვამპირები არიან დასახლებული.

_ მაგრამ ჩვენ ხომ ვეგეტარიანელები ვართ ედვარდ, ეს ხომ კარგი ილბლის მაჩვენებელია?

_ იმის გათვალისწინებით როგორი სურნელი აქვს... ნამდვილად არა. და ყველაზე საშინელება... ჩემთვის როგორი სურნელი აქვს.

_ გასაგებია, მაგრამ შენ კარგი კონტროლი გაქვს, ასე რომ....

_ და ფურგონი?

_ ეს უბრალოდ უბედური შემთხვევა იყო.

_ არა ემეტ, უნდა გენახა, როგორ მიიწევდა მანქანა ბელასკენ. გეფიცები, ისე იყო თითქოს რაღაც მაგნიტივით იზიდავდა მისკენ.

_ მაგრამ შენ იქვე იყავი და გადაარჩინე. ეს კარგი ილბლის მაჩვენებელია.

_ ვითომ? ადამიანისთვის იმაზე საშინელი ბედისწერა რა უნდა იყოს, როდესაც ვამპირს უყვარდება?

ემეტი ჩაფიქრდა, გონებაში ბელა წარმოიდგინა. _ მართლა ვერ ვხვდები რით მოგხიბლა.

_ მე როზალიში ვერ ვხედავ ვერაფერ მიმზიდველს. _ ვუპასუხე უხეშად.

_ იმედია არ მეტყვი რომ...

_ არ ვიცი რა არის მისი პრობლემა და რამ გააცოფა. _ მოვატყუე და სახეზე ღიმილმა გადამკრა.

ამ მომენტში გავიგონე მისი განზრახვა, მოულოდნელად დამსხმოდა თავს და ქვიდან გადავეგდე. ტკაცანის ხმა გაისმა და ქვა შუაზე გაიპო.

_ თაღლითო. _ გაიცინა ემეტმა.

დაველოდე კიდევ როდის მოიფიქრებდა რამეს, მაგრამ მისი გონება სხვა

მიმართულებით წავიდა, მან ბელა წარმოიდგინა, წითელი თვალებით და ძალიან თეთრი კანით.

_ არა. _ ვუთხარი მოგუდული ხმით.

_ ეს შენს ნერვიულობას მის მოკვდავობასთან დაკავშირებით ბოლოს მოუღებდა. არც მისი მოკვლის სურვილი გაგტანჯავდა. ყველაზე კარგი გამოსავალი არ არის?

_ ჩემთვის? თუ მისთვის?

_ შენთვის. _ დაუფიქრებლად მიპასუხა, _ რა თქმა უნდა.

ულიმდამოდ გავიცინე. _ არასწორი პასუხია.

_ მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. _ შემახსენა მან.

_ სამაგიეროდ როზალია წინააღმდეგი.

ამოვიოხრე, ორივემ ვიცოდით, რომ როზალი ყველას და ყველაფერს

დათმობდა ადამიანად გადაქცევა რომ შეძლებოდა... ემეტსაც კი.

_ არ შემიძლია... არ შეიძლება... ვერ დავანგრევ ბელას ცხოვრებას. იგივეს არ იგრძნობდი, როზალი რომ ყოფილიყო ბელას ადგილას?

ემეტი ჩაფიქრდა. _ შენ მართლა... გიყვარს ბელა?

_ ვერც კი აგიღწერ ემეტ, მოულოდნელად ეს გოგო გახდა ჩემთვის ყველაფერი. მის გარეშე სამყარო ვეღარ წარმომიდგენია.

_ მაგრამ თუ ვამპირად არ გადააქცევ, ის სამუდამოდ ვერ იცოცხლებს.

_ ვიცი. _ ამოვიკვნესე.

_ და როგორც უკვე აღნიშნე, ის ძალიან სათუთია.

_ დამიჯერე, ეგ ძალიან კარგად ვიცი.

ემეტი ტაქტიანი არასოდეს ყოფილა, არც დელიკატური დისკუსიები იყო მისი საქმე. დამაბული იყო, ცდილობდა არ ეწყენინებინა.

_ ის მაინც შეგიძლია, რომ შეეხო? იმას ვგულისხმობ რომ... თუ გიყვარს... უბრალოდ სურვილი გექნება შეხების.

_ მაგაზე ფიქრიც კი არ შემიძლია.

_ ოჰ. რას აპირებ?

_ არ ვიცი. _ ჩურჩულით ვუთხარი. _ ვცდილობ გამოვძებნო რამენაირად

გზა... რომ დავტოვო. უბრალოდ აქამდე ვერაფრით ვაიძულებ თავი, რომ მისგან შორს ვყოფილიყავი.

უცებ კმაყოფილების გრძნობით გავიფიქრე, რომ სწორი იქნებოდა თუ დავრჩებოდი. იქამდე მაინც, ვიდრე პიტერი და შარლოტა აქვე იყვნენ. ჩემთან ერთად უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა, ვიდრე ჩემს გარეშე. ერთი წუთით გავიფიქრე, რომ მისი მფარველი შემემძლო ვყოფილიყავი.

ამ ფიქრმა ამანერვიულა. გადაულახავ სურვილს ვგრძნობდი, წავსულიყავი და ჩემი როლის შესრულება დამეწყო.

ემეტმა ჩემი ხასიათის ცვლილება შენიშნა. _ რაზე ფიქრობ?

_ ამ წუთას ვკვდები, ისე მინდა ფორკსში დაბრუნება და იმის შემოწმება, როგორ არის. არა მგონია კვირამდე მოვითმინო. _ ვაღიარე გულწრფელად.

_ მოიცა, მოიცა. სახლში ადრე ვერ წახვალ. აცადე როზალის ცოტა დამშვიდდეს, ჩემს სასიკეთოდ. ძალიან გთხოვ.

_ შევეცდები გავძლო, _ დავპირდი.

ემეტმა ჩემს მობილურ ტელეფონს თითი დაჰკრა: _ ელისი დარეკავს თუ შენი პანიკისთვის რაიმე საფუძველი იქნება. ისიც შენსავით გიჟდება მაგ გოგოზე.

_ კარგი, მაგრამ მეტს აღარ გადავდებთ შინ დაბრუნებას.

_ არც აჩქარების საფუძველი გვაქვს, მაინც მზიანი ამინდი იქნება. ელისმა თქვა, რომ ოთხშაბათამდე თავისუფლები ვართ სკოლიდან. თავი გავაქნიე.

_ პიტერმა და შარლოტამ იციან, როგორც უნდა მოიქცნენ.

_ არ მანაღვლებს ემეტ, ბელას იღბლის ამბავი რომ ვიცი, ტყეში არასწორ დროს წავა სახეტილოდ... _ ამ აზრმა შემაკრთო. _ პიტერს ცუდი კონტროლი აქვს საკუთარ თავზე. კვირას ვბრუნდებით!

ემეტმა ამოიოხრა და გაიფიქრა. _ არანორმალურივით იქცევა.

ბელას მშვიდად ეძინა, როდესაც ორშაბათ დილას მის საწოლ ოთახში გადავძვერი ფანჯრიდან. ამჯერად ზეთის წამოღება არ დამვიწყებია და ფანჯარაც უხმაუროდ გავაღე.

მისი თმები წინა ღამეებისგან განსხვავებით აბურდული აღარ იყო, შემეძლო მეტყვა, რომ მშვიდად ეძინა. ხელები ლოყებქვეშ პატარა ბავშვივით ამოედო, პირი კი ოდნავ ღია ჰქონდა. კარგად მესმოდა მისი სუნთქვა.

განსაცვიფრებელი შვება იყო, მისი კიდევ ერთხელ ნახვა. ყველაფერი ცუდად იყო, როცა მასთან ერთად არ ვიყავი.

თუმცა ყველაფერი გადასარევად არც მაშინ იყო, როცა მასთან ვიყავი.

ღრმად ჩავისუნთქე, რათა წყურვილის წვა კარგად შემეგრძნო. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც წვა არ მიგრძენია. ცუდი იყო, რომ არ შემეძლო მის საწოლთან ჩამემუხლა და მისი წიგნის სათაური წამეკითხა. მინდოდა მცოდნოდა რას კითხულობდა, რა ისტორიებზე ფიქრობდა. წყურვილზე მეტად იმის მემინოდა, რომ თუ ახლოს მივიწევდი, უფრო ახლოს ყოფნა მომინდებოდა. მისი ტუჩები ძალიან რბილი და თბილი ჩანდა. წარმოვიდგინე, როგორ შევხებოდი მათ თითებით, სულ ოდნავ.

ესეთი შეცდომები უნდა ამერიდებინა.

ჩემი თვალები მის სახეს უცქერდა, ვცდილობდი რამე ცვლილება შემენიშნა, მოკვდავები ხომ ძალიან სწრაფად იცვლებოდნენ, მე კი არაფრის გამოტოვება არ მინდოდა.

მომეჩვენა, რომ დაღლილი ჩანდა, თითქოს მთელი კვირა ვერ მოეხერხებინა გამოძინება. იქნებ სადმე სასეირნოდ იყო?

ჩუმად გამეცინა იმაზე, თუ რამდენად გამანაწყენა ამ აზრმა, მერე რა თუ სასეირნოდ იყო? ბელა ჩემი არ იყო, მე არ მეკუთვნოდა.

არა, მე არ მეკუთვნოდა და ამ აზრმა უფრო დამასევდიანა.

ხელი შეარხია და დავინახე ნაკაწრები მის ხელისგულზე. რამე იტკინა?

მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ჭრილობა არ იყო, მაინც მაწუხებდა ამის არცოდნა. დაზიანების ადგილმდებარეობით ოთხ ვიმსჯელებდით, დაცემისგან უნდა ჰქონოდა.

იმის გაფიქრება, რომ ამაზე ტვინის ჭყლეტვა არ მომიწევდა, სასიამოვნო იყო. ეხლა ჩვენ მეგობრები ვიყავით, ასე რომ შემეძლო თავისუფლად მეკითხა როგორი დრო გაატარა შაბათ _კვირას, რას აკეთებდნენ სანაპიროზე, რა დაემართა ხელებზე და შემეძლო ცოტათი გამეცინა კიდეც, როდესაც ჩემს თეორიას დაადასტურებდა.

მაინტერესებდა როგორი დრო გაატარა, ფიქრობდა თუ არა ჩემზე. სულ ოდნავ მაინც თუ ვენატრებოდი იმასთან შედარებით, მე როგორც მენატრებოდა? ვცადე მზიან სანაპიროზე წარმომედგინა, თუმცა ცოტა გამიჭირდა, რადგან პირველი სანაპირო მხოლოდ სურათებში მენახა.

დაბნეულობა ვიგრძენი, როდესაც გამახსენდა, თუ რატომ არ ვყოფილვარ არასოდეს პატარა ლამაზ სანაპიროზე, რომელიც ასე ახლოს იყო. ბელამ მთელი დღე ლა პუშზე გაატარა, სადაც მე აკრძალული მქონდა წასვლა. ადგილი, სადაც რამოდენიმე მოხუცს ჯერ კიდეც ახსოვდა საშიში ისტორიები ქალენებზე. ახსოვდათ და სჯეროდათ. ადგილი, სადაც ჩვენი საიდუმლო იცოდნენ...

მზის ამოსვლამ ნერვები მომიშალა. გამახსენდა, რომ დღე ვერ ვიქნებოდი მასთან ერთად. გალიზიანებულმა დავტოვე მისი ოთახი, ფანჯრიდან მანამდე გამოვძვერი, სანამ მზე ამოანათებდა. მთელი დღე ტყეში ყოფნა და იქიდან მისი თვალთვალი მომიწევდა. გამიკვირდა, როდესაც მისი სურნელი ვიგრძენი. სუნს გავყევი, რომელიც ტყეში საკმაოდ ღრმად შედიოდა. რას აკეთებდა ბელა აქ? ბილიკს მივყევი, როგორც ჩანს ბილიკიდან გადაუხვია და გვიმრებში შევიდა, აქ კი, დაცემულ ხეზე ჩამოჯდა.

იქ დავჯექი სადაც ბელა იჯდა და ირგვლივ მიმოვიხედე. აქედან მხოლოდ ხეებს და გვიმრებს დაინახავდა. როგორც ჩანს იწვიმა, რადგან მისი სურნელი

ოდნავ გაქარვებულიყო.

რატომ უნდა მჯდარიყო ბელა აქ მარტო? მარტო რომ იყო ამაში

დარწმუნებული ვიყავი.

ვერაფერს ვხვდებოდი, ვერც შევეკითხებოდი ამასთან დაკავშირებით. ან რა უნდა მეთქვა: იცი ბელა, შენს სურნელს გავყევი ტყეში, როდესაც შენი ოთახი დავტოვე, მძინარეს რომ გიყურებდი.

ვერასოდეს გავიგებდი რას აკეთებდა და რაზე ფიქრობდა აქ. ამის გაცნობიერებამ ტკივილი მომაყენა. უარესი, ეს იმ სცენარს გავდა ემეტს რომ დავუხატე: ბელა ტყეში დაეხეტება მარტო, სადაც მისი სურნელი შეიძლება დაიჭიროს ყველამ, ვისაც ეს შეუძლია.

ამოვიკვნესე. მარტო ცუდი იღბალი კი არ ჰქონდა, უბედურებებს იზიდავდა.

ეხლა მას უკვე ჰყავდა მფარველი, დამცველი, მე შევეცდებოდი ყურადღება მიმექცია მისთვის, დავიცავდი მას ზიანისგან, ვიდრე გამართლებული იქნებოდა ჩემი საქციელი.

უცებ გავაცნობიერე, რომ მინდოდა პიტერი და შარლოტა დიდი ხნით

გვწვეოდნენ.

8 თავი

მოჩვენება

ბოლო ორი მზიანი დღის მანძილზე, ჯასპერის სტუმრებს იშვიათად ვხვდავდი.

სანამ ისინი ფორკსში იყვნენ, სახლში მხოლოდ იმიტომ მივდიოდი, რომ ესმეს არ ენერვიულა. სხვა შემთხვევაში ჩემი არსებობა აჩრდილისას უფრო ჰგავდა, ვიდრე ვამპირისას. მე შეუმჩნევლად ვიცდიდი ჩრდილში, საიდანაც შემეძლო დავდევენებოდი ჩემს სიყვარულს _ საიდანაც შემეძლო მომესმინა მისთვის, იმ ილბლიანი ადამიანების ფიქრებში, რომლებსაც შეემლოთ მასთან ერთად მზეში სიარული. ხანდახან შემთხვევით ხელით ეხებოდნენ მის ხელს, ბელას კი რეაქცია არ ქონდა ამაზე, მათაც ხომ ბელასავით თბილი ხელები ჰქონდათ.

აქამდე სკოლის იძულებით გაცდენა, არასოდეს ყოფილა ესეთი მტანჯველი, მაგრამ როგორც ჩანს მზე ბელას ბედნიერებას ანიჭებდა, ამიტომ არ ვბრაზობდი. ყველაფერი რაც მას ახარებდა _ მეც მახარებდა.

ორშაბათს დილას ისეთი საუბარი მოვისმინე, რომელსაც ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ ჩემი თვითრწმენა გაენადგურებინა და აუტანელი გაეხადა მისგან შორს ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, ამან ჩემი დღე მაინც გააფუჭა.

ცოტაოდენი პატივისცემა მაინც უნდა მეგრძნო მაიკ ნიუტონის მიმართ. ის არ დანებდა და ჭრილობების მოშუშებას არ შეუდგა. ბევრად უფრო გამბედავი იყო, ვიდრე მეგონა. კიდევ აპირებდა ცდას.

ბელა საკმაოდ ადრე მივიდა სკოლაში. ის ყველაზე განმარტოვებულ სკამზე ჩამოჯდა და მზეს მიეფიცხა, სკოლის ზარის დარეკვამდე. მისი თმები უეცრად აბრწყინდა მზეზე, უცნაურმა წითელმა ფერმა გადაჰკრა, რომელიც აქამდე არ შემემჩნია.

მაიკმა მიაგნო მას და თავისი იღბლით აღფრთოვანებული იყო.

მტანჯველი იყო მხოლოდ ყურება, უძლური, მიჯაჭვული ვიყავი ბნელ ტყეს მცხუნვარე მზის გამო.

ბელა საკმაოდ კარგად შეხვდა მაიკს, რამაც მისი აღაფრთოვანევა გამოიწვია, მე კი დამაღონა.

_ ნამდვილად მოვწონვარ, ესე არ გამიღიმებდა, რომ არ მოვწონდე, თავს დავდებ, უნდოდა ჩემთან ერთად ცეკვებზე წამოსვლა. საინტერესოა, რა არის ესეთი მნიშვნელოვანი სიეტლში...

მაიკმა შეამჩნია ბელას თმაში ცვლილება.

_ აქამდე არასოდეს შემიმჩნევია, შენს თმაში ოდნავ წითელი ურევია.

როდესაც დავინახე როგორ შეეხო მაიკი ბელას კულულს, შემთხვევით ახალგაზრდა ნამკვი ამოვთხარე, რომელზეც ხელი მედო.

_ მხოლოდ მზეზე. _ უპასუხა ბელამ და ჩემდა გასახარად უკან გაიწია, როდესაც მაიკმა სცადა კულული ყურსუკან გადაეწია მისთვის. ერთი წუთი დასჭირდა მაიკს სიმამაცის მოსაკრებად, ლაპარაკზე უკვე საკმარისი დრო დახარჯა.

ბელამ შეახსენა, რომ თემა ჰქონდათ დასაწერი. ოდნავი თვითკმაყოფილება შევამჩნიე მის სახეზე და მივხვდი, რომ თემა უკვე დაწერილი ჰქონდა. მაიკს საერთოდ არ ახსოვდა დავალება, ამან მისი თავისუფალი დრო შეამცირა.

_ ჯანდაბა, სულელური თემა... _ ფიქრობდა მაიკი.

ბოლოს და ბოლოს ის მთავარ საკითხს მიადგა. კბილები ისე მაგრად მქონდა ერთმანეთზე დაჭერილი, სულ ადვილად დავფშვნიდი გრანიტს. მაიკმა მაინც ვერ მოახერხა კითხვის სრულყოფილად ჩამოყალიბება.

_ მინდოდა მეკითხა, სადმე ხომ არ გინდა გასეირნება?

_ ოჰ. _ თქვა ბელამ.

ცოტახნით სიჩუმე ჩამოწვა.

_ ოჰ? რას ნიშნავს ეს? კის თქმას აპირებს? მგონი კითხვა სწორად ვერ დავსვი.

მაიკმა ხმამაღლა გადაყლაპა ნერწყვი.

_ შეგვეძლო ერთად გვესადილა, თემაზე კი მერე ვიმუშავებ.

_ რა სულელი ვარ, არც ეს იყო შეკითხვა. _ გაიფიქრა მაიკმა.

_ მაიკ....

ექვიანობის აგონია და მძვინვარება ისეთივე ძლიერი იყო, როგორც წინა კვირას. კიდევ ერთი ხე გავანადგურე, რათათავი შემეკავებინა. საშინელი სურვილი გამიჩნდა სკოლის ჭიშკართან მივვარდნილიყავი, ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველად ხელი მეტაცა ბელასთვის და იქიდან წამომეყვანა _ გამეტაცებინა იმ ბიჭისგან, რომელიც ეხლა ისე ძლიერ მეზიზღებოდა, შემემლო მომეკლა და სიამოვნება მიმელო ამისგან.

ნუთუ ბელა დათანხმდებოდა?

_ არ მგონია კარგი იდეა იყოს.

ძლივს ამოვისუნთქე, ჩემი გაქვავებული სხეული ოდნავ მოეშვა.

_ როგორც ჩანს სიეტლი მხოლოდ მიზეზი იყო, არ უნდა მეკითხა. რაზე ვფიქრობდი? თავს დავდებ ის არანორმალური ქალენია დამნაშავე...

_ რატომ? _ იკითხა მოღუშულმა მაიკმა.

_ ვფიქრობ.... _ ბელა ოდნავ შეყოყმანდა _ იცოდე, თუ იმას რასაც ეხლა გეტყვი, ოდესმე გაიმეორებ, ჩემი ხელით მოგკლავ.

ბელას ხმაში სასიკვდილო მუქარის გაგონებაზე, ხმამალა გადავიხარხარე.

ჩხიკვმა დაიკვილა და ჩემგან შორს გაფრინდა.

_ ვფიქრობ, რომ ეს ჯესიკას გულს ატკენს.

_ ჯესიკა? _ რა? მაგრამ... ოჰ, კარგი. მგონი... თურმე... ჰაჰ.

მაიკის აზრები არეულ _ დარეული იყო.

_ მართლა მაიკ, შენ რა ბრმა ხარ?

ბელას თანავუგრძნობდი. არ შეიძლებოდა ყველა მისნაირი დაკვირვებული ჰგონებოდა. თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი აშკარა იყო. როდესაც მაიკი ესე დელავდა, როცა ბელას შეკითხვას უსვამდა, ნუთუ არ ფიქრობდა, რომ არც ჯესიკას გაუადვილდა მისთვის კითხვის დასმა? უბრალოდ ეგოიზმი არ აძლევდა უფლებას, რომ ეს ყველაფერი შეემჩნია. ბელა კიდევ ძალიან უანგარო იყო, ის ყველაფერს ამჩნევდა.

_ ჯესიკა. ჰაჰ. ვაუ. ჰაჰ _ ოჰ, _ მხოლოდ ამის თქმა მოახერხა მაიკმა.

ბელამ დრო იხელთა და სცადა მაიკს გასხლტომოდა.

_ გაკვეთილის დროა, კიდევ ერთხელ ვედარ დავაგვიანებ.

ამის შემდეგ მაიკის ფიქრები ჩემთვის ბუნდოვანი და უინტერესო გახდა.

მოსწონდა ის აზრი, რომ ჯესიკა მიმზიდველად მიიჩნევდა მას, თუმცა ეს

მეორეხარისხოვანი იყო მისთვის, მას ხომ ბელა ერჩინა.

_ მგონი ძალიან საყვარელია ჯესიკა, თან კარგი სხეული აქვს, ჩიტი ხელზე...

და მაიკი ფანტაზიების მორევში გადაეშვა. ეს ფანტაზიებიც ისეთივე ვულგარული იყო, როგორც ძველები, ბელას შესახებ. თუმცა ეხლა ეს მხოლოდ მაღიზიანებდა და აღარ მაცოფებდა. არც ერთ გოგოს არ იმსახურებდა მაიკი, როგორ ადვილად ცვლიდა მათ. ამის შემდეგ აღარ მიცდია მის გონებაში ქექვა. როდესაც ბელა ჩემს მხედველობის არეში აღარ იყო, უზარმაზარ ხეს მივეყრდენი და დავიწყე მისი თვალთვალი სხვადასხვა ადამიანების გონებაში. მიხაროდა როდესაც ანჯელას თვალთ ვხედავდი მას. ვფიქრობდი, თუ არსებობდა რაიმე საშუალება, ანჯელა ვებერისთვის მადლობა გადამეხადა, მხოლოდ იმიტომ, რომ ესეთი სასიამოვნო ადამიანი იყო. ის აზრი მახარებდა, რომ ბელას ერთი მეგობარი მაინც ჰყავდა, რომელიც მის მეგობრობას იმსახურებდა. ბელას სახეს იმ კუთხიდან ვუყურებდი, რომლიდანაც საშუალება მქონდა. შემემლო მეთქვა, რომ ისევ მოწყენილი იყო. ამან გამაკვირვა. მეგონა, მზე საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ მთელი დღე მომლიმარი სახე ჰქონოდა. სადილის დროს დავინახე, თუ როგორ ხშირად იყურებოდა ცარიელი ქალების მაგიდისკენ. ამან გამახარა, იმედი გამიღვივა. იქნებ მასაც ვენატრებოდი. ბელას გეგმები ჰქონდა, სხვა გოგონებთან ერთად აპირებდა სასეირნოდ წასვლას _ ამან მყისიერად ჩემი დღის განრიგიც შეავსო _ მაგრამ ეს გეგმები ავტომატურად გადაიდო, როდესაც მაიკმა ბელას ნაცვლად ჯესიკა დაპატიჟა სადილად. ამიტომ პირდაპირ მისი სახლისკენ გავემართე, რომ შემემოწმებინა, ვინმე საშიში ხომ არ დაეხეტებოდა მის ახლოს. ვიცოდი რომ ჯასპერმა გააფრთხილა თავისი ეგრეთ წოდებული ძმა, რომ ქალაქს ახლოს არ გაკარებოდა. აუხსნა ჩემი შემლილობის მიზეზი, ისე როგორც გართხილება და ახსნა, მაგრამ მაინც ვერ გავრისკავდი. პიტერს და შარლოტას არნაირი განზრახვა არ ჰქონდათ ჩემი ოჯახისთვის უსიამოვნება მიეყენებინათ, მაგრამ განზრახვები ხშირად იცვლებოდა...

ძალიანაც კარგი, ვიცოდი რომ ზედმეტი მომდიოდა.

თითქოს ბელამ იცოდა, რომ ვუთვალთვალედი, თითქოს ხვდებოდა როგორ ვიტანჯებოდი, როდესაც მის სახეს ვერ ვხედავდი. სახლში გატარებული რამოდენიმე საათის შემდეგ, ეზოში გამოვიდა. ხელში წიგნი და პლედი ეჭირა. უჩუმრად ავძვერი ყველაზე მაღალ ხეზე, საიდანაც შემემლო მშვიდად მეცქირა მისთვის.

პლედი ნამიან ბალახზე გაშალა, მუცელზე დაწვა და გაცრეცილი წიგნის ფურცვლას შეუდგა, თითქოს რაღაც მონაკვეთს ეძებდა. მის მხარსუკან მოვახერხე წარწერის გარჩევა წიგნზე.

აჰ _ ისევ კლასიკა. ოსტინის თაყვანისმცემელი იყო.

სწრაფად კითხულობდა, ჰაერში წვივებს აჯვარედინებდა. ვუყურებდი როგორ თამაშობდნენ მზის სხივები და ნიავი მის თმებზე. უცებ ბელა გაჩერდა, ხელი წიგნის ფურცელზე გაუშემდა. მხოლოდ ის დავინახე, რომ მესამე თავამდე ჩავიდა, როდესაც საკმაოდ ბევრი ფურცელი ერთად გადაშალა.

სათაურის დანახვა მოვასწარი _ მანსფილდ პარკი. წიგნი ნოველების ნაკრები იყო. გამიკვირდა, რატომ შეწყვიტა მოულოდნელად წინა ნოველის კითხვა. რამოდენიმე წუთის შემდეგ, გაბრაზებულმა დახურა წიგნი, მოღუშულმა გასწია გვერდზე და ზურგზე გადატრიალდა. ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს თავი დაიმშვიდა, ჟაკეტის მკლავები აიწია და თვალები დახუჭა. ნოველა მახსოვდა, თუმცა ვერაფერი მოვიგონე ისეთი, რაც ასე გაანაწყენებდა მას. კიდევ ერთი გამოცანა. ამოვიოხრე.

გაუნძრევლად იწვა, მხოლოდ მაშინ შეირხა, როდესაც სახიდან თმა გადაიწია. მისი თმა წაბლისფერი მდინარესავით იყო გაბნეული მის თავთან.

სუნთქვა შეუწედა. რამოდენიმე წუთის შემდეგ მისმა ტუჩებმა თრთოლვა დაიწყო, ძილში ლულულულებდა.

ძალიან ძნელი იყო წინააღმდეგობის გაწევა. ვცადე რაც შემემლო შორს

მომესმინა, ახლომახლო სახლებიდან ვიჭერდი ხმებს.

ორი სუფრის კოვზი ფქვილი... ერთი ჭიქა რძე.

კარგი რა, სულ ცოტაოდენი რწმენა, კარგი რაა!

წითელი, თუ ლურჯი?... ან იქნებ რამე უფრო გამოსასვლელი ჩამეცვა?

ახლოს არავინ იყო. მიწაზე დავხტი, ჩუმიად დავეშვი თითის წვერებზე.

ეს არასწორი იყო, ძალიან სარისკო. როგორ მკაცრად განვსაჯე ერთ დროს

ემეტი, თავისი დაუფიქრებელი საქციელისთვის და როგორ ვაკრიტიკებდი

ჯასპერს დისციპლინის ნაკლებობისთვის _ ეხლა კი, ისეთი ველური

ბუნებრივობით ვიგდებდი აბუჩად ყველა წესს, რომ ჩემი ძმების საქციელი

ამასთან შედარებით უმნიშვნელო ჩანდა. მიჩვეული ვიყავი პასუხისმგებლობის

გრძნობას.

ამოვიოხრე, მაგრამ მაინც გავედი მზის სინათლეზე, დაუფიქრებლად.

თავი ავარიდე ჩემი კანის ციმციმს მზეზე. ისედაც საშინელება იყო, ჩემი

კანი ქვისას და არაადამიანისას რომ ჰგავდა ჩრდილში. არ მინდოდა მეყურებინა

ჩემი და ბელას კანისთვის გვერდიგვერდ მზის შუქზე. ჩვენს შორის განსხვავება

ისედაც გადაულახავი და მტკივნეული იყო, ეს გამოსახულებაც რომ არ

დამემატებინა.

ვერაფრით მოვახერხე იმ ლამაზი ცისატყელის სხივების უგულვებელყოფა

მისი კანი რომ ირეკლავდა. კბილები ერთმანეთს მაგრად დავაჭირე. ამაზე მეტად

არანორმალური ხომ ვედარ ვიქნებოდი? წარმოვიდგინე მისი შიში, თუ უცებ

თვალეებს გაახელდა...

უკან დახევა დავიწყე, მაგრამ ბელა ისევ აბუტბუტდა, ამან შემაჩერა.

_ მმმმ... მმმმმ....

არაფერი საგულისხმო. კიდევ ცოტა ხანიც შემეძლო მომეცადა.

ჩუმიად მოვიპარე მისი წიგნი, ხელი გავწიე და სუნთქვა შევიკავე, მაინც ყოველი

შემთხვევისათვის. სუნთქვა მაშინ დავიწყე, როდესაც რამოდენიმე იარდით

მოვშორდი ბელას. გავსინჯე, თუ როგორი ეფექტი მოახდინა მის სურნელზე მზემ და ჰაერმა. როგორც ჩანს მზემ მისი სურნელი უფრო დაატკბო. ჩემი ყელი სურვილით აენტო. ცეცლი უფრო მწველი და მტანჯველი გამხდარიყო, რადგან ამდენი ხანი მისგან შორს ვიყავი.

ერთი წუთი დამჭირდა, რომ ეს გრძნობა გამეკონტროლებინა. შემდეგ ძალიან ფრთხილად ცხვირით ჩავისუნთქე და მისი წიგნი გადავშალე. როგორც ჩანს პირველი წიგნით დაიწყო კითხვა... სწრაფად გადავფურცლე სანამ “გრძნობა და მგრძნობელობის” მესამე თავს არ მივაღებე. ვეძებდი რას შეიძლებოდა გაენაწყენებინა ბელა, ოსტინს ხომ ზედმეტად კლასიკური პროზა ჰქონდა. უცებ ჩემი თვალეზი ავტომატურად შეჩერდა ჩემს სახელზე _ როდესაც პირველად გამოჩნდა ედვარდ ფერარსი ნაწარმოებში. ზუსტად ამ დროს ბელამაც დაილაპარაკა:

_ მმმმ, ედვარდ. _ სევდიანად თქვა

ამჯერად არ შემშინებია, რომ გაეღვიძა. მისი ხმა მხოლოდ ჩუმი, სევდიანი ბუტბუტი იყო. სულაც არ გავდა იმ კვილის, რომელსაც ჩემი დანახვა გამოიწვევდა.

სიხარულმა ამავსო. ისევ მე მხედავდა სიზმრებში.

_ ედმუნდ... აჰ, ძალიან ჰგავს.

ედმუნდი?

აჰ, სულაც არ ხედავდა სიზმარს ჩემზე, უცებ გავანალიზე. სიხარული უმალ გაქრა. მას უბრალოდ მოგონილი პერსონაჟი ესიზმრებოდა.

მისი წიგნი უკან დავაბრუნე და ტყის ჩრდილს დავუბრუნდი... აჲ იყო ჩემი ადგილი.

სადამო მოახლოვდა, როდესაც მზე ჩავიდა და ბელა ჩრდილმა მოიცვა, თავი ისევ უსუსურად ვიგრძენი, მინდოდა სიბნელე გამეფანტა მისგან შორს, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ჩრდილმა მიიტაცა ის. როდესაც დაბნელდა, მისი კანი

ძალიან გაფითრებული ჩანდა _ მოჩვენებასავით. მისი თმა ძალიან მუქი იყო, თითქმის შავი, მის კანთან შედარებით.

საშიში სანახაობა იყო _ თითქოს ელისის ხილვის ნაყოფს ვუცქერდი. ბელას თანაბარი, ძლიერი გულისცემა ერთადერთი დასტური იყო იმისა, რომ ის ისევ ადამიანი იყო. მხოლოდ ეს ხმა მარწმუნებდა, რომ კოშმარს არ ვხედავდი.

მომეშვა, როდესაც მამამისი სახლში დაბრუნდა.

მისი ფიქრები გავიგონე, როდესაც იმ ქუჩაზე შემოუხვია, სადაც მათი სახლი იდგა. ბუნდოვანი გაღიზიანებულობა... წარსულში, რაღაც, რაც მის დღევანდელ სამუშაოს ეხებოდა. მოლოდინი შერეული იყო შიმშილთან, როგორც ჩანს სადილობას აპირებდა, მაგრამ მისი ფიქრები ისეთი ჩუმი და თავშეკავებული იყო, დარწმუნებით ვერ ვიტყვოდი, რომ არ ვცდებოდი. მხოლოდ მთავარ აზრს მივხვდი.

ჩავფიქრდი, ნეტავ დედამისის ფიქრები როგორ იყო? როგორმა გენეტიკურმა კომბინაციამ ჩამოაყალიბა ბელა ესე უნიკალურად?

ბელამ გამოფხიზლება დაიწყო. უცებ წამოჯდა, როდესაც მამამისის მანქანის ხმა გაიგონა. ირგვლივ მიმოიხედა, დაბნეული ჩანდა მოულოდნელი სიბნელის გამო. მხოლოდ ერთი წამით მისი თვალები იმ ადგილას შეჩერდა, სადაც მე ვიმალებოდი სიბნელეში, შემდეგ ისევ უცებ გაიხედა.

_ ჩარლი? _ ჩუმად იკითხა, ისევ ირგვლივ ხეებს უყურებდა.

ჩარლიმ მანქანის კარი ხმაურით დახურა, ბელამ ამ ხმაზე გაიხედა. სწრაფად წამოდგა ფეხზე და თავისი ნივთები მოაგროვა. წასვლისას კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ტყეს.

სამზარეულოს ფანჯარასთან ყველაზე ახლოს მდგომ ხეზე გადავინაცვლე.

საინტერესო იყო ჩარლის ჩუმი ფიქრების და სიტყვების შედარება. ჩარლის სიყვარული და დამოკიდებულება, თავისი ერთადერთი ქალიშვილის მიმართ ძალიან ძლიერი იყო. თუმცა ამას ნაკლებად გამოხატავდა. უმეტესი დრო ისინი

სიჩუმეში ისხდნენ.

გავიგონე როგორ განიხილავდა ბელა თავის გეგმას, გაეტარებინა შემდეგი სადამო პორტ ანჯელესში. მეც შესაბამისად დავაწყე ჩემი გეგმები. ჯასპერს არ გაუფრთხილებია პიტერი და შარლოტა, რომ პორტ ანჯელესს არ გაკარებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ისინი უკვე გამოკვებილი იყვნენ და არანაირი სურვილი არ ჰქონდათ ენადირათ ჩვენს სახლთან ახლოს, მაინც ვაპირებდი ბელაზე თვალყურის დევნებას, ყოველი შემთხვევისათვის. საკმაოდ ბევრი ჩემნაირი დაეხეტებოდა ირგვლივ. და რა თქმა უნდა ის ადამიანური ხიფათი, რომლებიც საკმაოდ ბევრჯერ მქონდა განხილული.

გავიგონე როგორ ღელავდა ბელა, რომ მამამისი სადილის გარეშე იქნებოდა ხვალ. გამეღიმა ჩემს თეორიაზე _ დიახ, ის ნამდვილად მზრუნველი იყო. ამის შემდეგ იქაურობა დავტოვე, ვიცოდი, რომ მაშინ დავბრუნდებოდი, როდესაც ღრმად ეძინებოდა.

მის განმარტოვებას ბოროტად არ გამოვიყენებდი, როგორც ამას ვინმე უხამსი ადამიანი ჩაიდენდა. მე აქ მხოლოდ მის დასაცავად ვიყავი და არა ჩუმი სათვალთვალად, როგორც მაიკი მოიქცეოდა. ესე ამაზრზენად ვერ მოვექცეოდი.

შინ დაბრუნებულს სახლი ცარიელი დამხვდა. არ გამომპარვია დაბნეული და აგდებული ფიქრები, რომლებიც ჩემს საღ აზროვნებას შეეხებოდა. ემეტს ჩემთვის შეტყობინება ჰქონდა დატოვებული პატარა ფურცელზე.

ფეხბურთის სათამაშოდ წავედით რენიერის ველზე. იქნებ მოხვიდე. გთხოვ. კალმისტარი მოვძებნე და მის თხოვნას მივაწერე: ბოდიში. გუნდები უკვე თანაბრად იყო გაყოფილი, ჩემს გარეშეც.

სანადიროდ წავედი მცირე ხნით. დღეს პატარა ცხოველებზე ვნადირობდი. მათ ისეთივე კარგი გემო არ ჰქონდათ, როგორც მტაცებლებს. სანამ ფორკსში დავბრუნდებოდი ტანსაცმელი გამოვიცვალე.

ბელას მოუსვენრად ეძინა. ზეწარში გახვეული იწვა, მისი სახე კი ხან
აღელვებული იყო, ხან სევდიანი. ნეტავ რა კომმარი სტანჯავდა?... შემდეგ
გავაცნობიერე, რომ სულაც არ მინდოდა მცოდნოდა.

როდესაც ალაპარაკდა, ძირითადად ფორკსზე ამბობდა დამამცირებელ
რადაცეებს ბუზღუნით. მხოლოდ ერთხელ, ამოიკვნესა და თქვა: _ დაბრუნდი _
ხელი გაშალა, ეს უხმო თხოვნა იყო. ნუთუ მქონდა შანსი რომ მე მიხმობდა?
მეორე დღე უკანასკნელი მზიანი დღე იყო, რომელიც ტყვეობაში
მამყოფებდა. მანაც ჩვეულებრივად ჩაიარა. ბელა უფრო მოღუშული ჩანდა,
ვიდრე წინა დღეს. ისიც კი ვიფიქრე, რომ თავის გეგმებს გადადებდა, რაღაც
გასეირნების ხასიათზე არ იყო.

მაგრამ როგორც ბელას შეეფერებოდა, ის ამჯობინებდა თავისი მეგობრები არ
გაენაწყენებინა.

დღეს მუქი ცისფერი ბლუზი ეცვა. ეს ფერი ძალიან უხდებოდა მის კანს.
ახალი კრემივით გამოიყურებოდა.

სკოლა დამთავრდა. ჯესიკა შეპირდა გოგოებს, რომ სახლში გაუვლიდა.
ანჯელაც მათთან ერთად მიდიოდა, რამაც ძალიან გამახარა.

მანქანის წამოსაყვანად სახლში დაბრუნებულმა, იქ პიტერი და შარლოტა
აღმოვაჩინე, გადავწყვიტე ცოტა ხანს კიდევ მომეცადა, გოგოებისთვის 1 საათი
მიმეცა, რომ წინ წასულიყვნენ. ვერ გადავიტანდი მათ უკან დაშვებული
სისწრაფით სიარულს _ შემზარავი იქნებოდა ჩემთვის.

სამზარეულოს გავლით შევედი ოთახში, ესმეს და ემეტს ოდნავ დავუკარი
თავი მისალმებაზე. ყველას ჩავუარე და პირდაპირ ფორტეპიანოს მივუჯექი.
_ ოჰ, დაბრუნდა. _ გაღიზიანებულმა გაიფიქრა როზალიმ.

_ ოჰ ედვარდი, ძალიან განვიცდი როდესაც ვუყურებ როგორ იტანჯება. _
ესმეს სიხარული, ნაღველმა შეცვალა. ნაღვლიანი უნდა ყოფილიყო. ეს
სიყვარულის ისტორია, რომლისაც ასე სჯეროდა, უფრო და უფრო ემსგავსებოდა

ტრაგედია.

_ კარგი დროის გატარებას გისურვებ პორტ ანჯელესში. _ მხიარულად ფიქრობდა ელისი. _ მაცნობე, როდესაც მექნება ბელასთან ლაპარაკის უფლება.

_ სამაგელი ხარ, ვერ ვიჯერებ, თამაში მხოლოდ იმიტომ გააცდინე, რომ ვიღაცის ძილისთვის გეყურებინა. _ აბუზუნდა ემეტი.

ჯასპერს ყურადღება არ მოუქცევია ჩემთვის. მაშინაც კი, როდესაც მელოდია, რომელსაც ვუკრავდი იმაზე მეტად აღელვებული გამოვიდა, ვიდრე მსურდა. ძველი სიმღერა იყო, ნაცნობი თემით: მოუთმენლობა. ჯასპერი თავის მეგობრებს ემშვიდობებოდა, რომლებიც გაკვირვებულები მომჩერებოდნენ.

_ რა უცნაური არსებაა. _ ელისის ზომის, ქერა შარლოტა ჩემზე ფიქრობდა.

_ ეჰ, არადა როგორი ნორმალური და თავაზიანი ჩანდა წინა სტუმრობისას.

როგორც ყოველთვის. პიტერის ფიქრები შარლოტას ფიქრებს ემთხვეოდა

_ ცხოველების ბრალი უნდა იყოს. ადამიანის სისხლის ნაკლებობას ჭკუიდან

გადაჰყავს ისინი. _ დაასკვნა პიტერმა. მისი თმაც ისეთივე ქერა იყო, როგორიც

შარლოტასი და თითქმის იმავე სიგრძის. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. _

სიმაღლის გარდა. პიტერი ჯასპერივით მაღალი იყო. კარგი წყვილი იყო.

ცოტახნის შემდეგ ყველამ შეწყვიტა ჩემზე ფიქრი, ესმეს გარდა. დაკვრა მშვიდად განვაგრძე, ზედმეტი ყურადღება რომ აღარ მიმეპყრო.

რამოდენიმე წუთის შემდეგ მეც შევწყვიტე მათთვის ყურადღების მიქცევა და ვეცადე მუსიკისთვის გადამეყოლებინა გული, რათა მოუსვენრობა დამეფარა.

ძნელი იყო ბელა თვალთახედვიდან და გონებიდან შორს მყოლოდა. სტუმრებს მაშინ მივაქციე ყურადღება, როდესაც დამშვიდობებამ კულმინაციას მიაღწია.

_ თუ მარიას კიდევ შეხვდები. _ ეუბნებოდა ჯასპერი საკმაოდ ფრთხილად _

გადაეცი რომ ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ.

მარია იყო ვამპირი, რომელმაც ჯასპერი და პიტერი შექმნა. _ ჯასპერი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო პიტერი უფრო ადრე, მეცხრამეტე

საუკუნის ორმოციან წლებში. ერთხელ მოიძია კიდევ ჯასპერი, როდესაც კალგარიში ვიყავით. საკმაოდ შთამბეჭდავი ვიზიტი იყო. ქალაქის დატოვება მოგვიხდა. ჯასპერმა თავაზიანად სთხოვა მარიას, რომ მისგან თავი შორს დაეჭირა მომავალში.

_ არა მგონია ეს მალე მოხდეს. _ თქვა პიტერმა სიცილით. მარია ძალიან საშიში იყო და პიტერსაც მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე. ჯასპერი კი მარიას ძალიან უყვარდა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია მოსაკლავად გაემეტებინა. _ მაგრამ თუ როდესმე ვნახავ, აუცილებლად გადავცემ. _ დაამატა პიტერმა.

ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, განშორებისთვის ემზადებოდნენ. დაკვრას თავი დავანებე და ფეხზე წამოვდექი.

_ შარლოტა, პიტერ. _ თავის დაკვრით ვუთხარი.

_ სასიამოვნო იყო კიდევ ერთხელ შენი ნახვა ედვარდ. _ მითხრა შარლოტამ მერყევი ტონით. პიტერმა მხოლოდ თავი დამიკრა.

_ არანორმალური. _ მომადახა ემეტმა.

_ იდიოტი. _ როზალიმაც არ დააყოვნა.

_ საცოდავი ბიჭი, _ რა თქმა უნდა ესმე.

და ელისის ბუზღუნნი _ პირდაპირ აღმოსავლეთისკენ მიდიან, სიეტლში.

პორტ ანჯელესს ახლოსაც კი არ გაეკარებიან. თავისი ხილვა მაჩვენა რომ დავერწმუნებინე.

თავი მოვიკატუნე, თითქოს ვერ გავიგე. ჩემს თავის მართლებას უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მანქანაში უფრო მშვიდად ვიგრძენი თავი. მოტორის ძლიერი ხმა _

რომელიც როზალიმ წინა წელს გააძლიერა, როცა კარგ ხასიათზე იყო _

დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე. შვება იყო იმაზე ფიქრი, რომ ბელას ვუახლოვდებოდი, რომ ყოველი მილი, რომელსაც გავდიოდი მასთან

მაახლოებდა.

9 თავი

პორტ ანჯელესი

როდესაც პორტ ანჯელესში ჩავედი, მზე ჯერ კიდევ ზენიტში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მანქანის შუშები საკმაოდ მუქი იყო, ვერ ვხედავდი მიზეხს უსარგებლო რისკი გამელო, უფრო სწორად კიდევ უფრო მეტი უსარგებლი რისკი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯესიკას ფიქრებს შორიდანვე გავიგებდი_ჯესიკას ფიქრები უფრო ხმამაღალი იყო, ვიდრე ანჯელასი, თუ მის ხმას მივაგნებდი, შემეძლო ანჯელას ფიქრებზე გადავსულიყავი. როდესაც ცოტა ჩამოხნულდებოდა, ახლოს მისვლასაც მოვახერხებდი. ძველ ტრასაზე გადავედი, რომელიც საკმაოდ უდაბური ჩანდა.

დაახლოვებით ვიცოდი სადაც უნდა მეძებნა ისინი. პორტ ანჯელესში მხოლოდ ერთი ტანსაცმლის მაღაზია იყო. დიდიხანი არ დამჭირვებია ჯესიკას მოსაძებნად. უზარმაზარი სარკის წინ იდგა და ტრიალებდა, პერიფერიულ მხედველობაში ბელა დავინახე, რომელიც ჯესიკას გრძელ შავ კაბას აფასებდა.

_ბელა ჯერ კიდევ ნაღვლიანად გამოიყურება. ჰა ჰა. ანჯელა მართალი იყო _ტაილერს ზედმეტი მოუვიდა, თუმცა ვერ ვიჯერებ, რომ ამან გაანაწყენა ესე. თვითონ არ უთხრა უარი ტაილერს? მაიკი რომ ვერ გაერთოს ცეკვებზე და აღარ დამპატიჟოს არსად? ან იქნებ ბელა დაპატიჟოს სკოლის წვეულებაზე? ნეტავ ბელა თუ დაპატიჟებდა მაიკს ცეკვებზე, მე რომ არაფერი მეთქვა მისთვის? ნეტავ მაიკი რას ფიქრობს, მე უფრო ლამაზი ვარ თუ ბელა? ან ბელას ჩემზე ლამაზი გონია თავი?

_მგონი ლურჯი უკეთესი იყო. შენს თვალებს ძალიან მოუხდა.

ჯესიკამ ცრუ თავაზიანობით გაუღიმა ბელას, სინამდვილეში ეჭვის თვალით უყურებდა.

_მართლა ესე ფიქრობს? თუ უნდა რომ ძროხასავით გამოვიყურებოდე
შაბათს?

საშინლად დამღალა ჯესიკას ფიქრებმა და ამიტომ ანჯელას დავუწყე ძებნა,
მაგრამ ის კაბების მოზომების პროცესში იყო, ამიტომ აღარ დავურღვიე
მყუდროება.

ბევრი ხიფათი არ იყო მაღაზიაში. გადავწყვიტე ცოტახანი მარტო
დამეტოვებინა ისინი. უკვე ბნელდებოდა_Dცა დასავლეთიდან მოსული
ღრუბლებით იფარებოდა. ჯერ მხოლოდ მათ პატარა ნაწილს ვხედავდი
ხეებიდან, მაგრამ ვიცოდი, რომ მზის ჩასვლას დააჩქარებდნენ. მოხარული ვიყავი
მათი დანახვით. ასე ღრუბლების დანახვა არასოდეს გამხარებია. ხვალ ისევ
შემეძლებოდა ბელას გვერდით ვმჯდარიყავი სკოლაში და მისი ყურადღება
მხოლოდ მე მიმეპყრო. შემეძლო ყველა კითხვა დამესვა მისთვის, რაც კი
მსურდა.

როგორც ჩანს ბელა ტაილერის განზრახვის გამო იყო ცუდ ხასიათზე.
ტაილერის ფიქრებში ამოვიკითხე. რაზე ფიქრობდა საერთოდ ეს ბიჭი? რისი
იმედი ჰქონდა? ბელას იმ დღევანდელი გამომეტყველება გამახსენდა
გამძვინვარება და უნდობლობა ისევ გამეცინა. არ მინდოდა მისი რეაქციის
გამოტოვება.

დრო ნელა გადიოდა, სანამ ვიცდიდი. დროდადრო ჯესიკას ფიქრებს
ვამოწმებდი, რატქმაუნდა ისინი ყველაზე ხმამაღალი იყო, მაგრამ არ მინდოდა
მის გონებაში დიდხანს ყოფნა. ის ადგილი დავინახე, სადაც აპირებდნენ
სადილობას. ამ დროისთვის უკვე დაბნელებული იქნებოდა. იქნებ “ვითომ
შემთხვევით” მეც იგივე რესტორანი შემერჩია სასადილოთ? ჯიბეში მობილური
მოვსინჯე. ელისი ხომ არ დამეპატიჟებინა? დარწმუნებული ვიყავი ძალიან
გაუხარდებოდა, მაგრამ ამასთანავე ბელასთან გამოლაპარაკებასაც მოითხოვდა.
ჯერჯერობით არ მინდოდა, ბელა ესე ახლოს ყოფილიყო ჩემს სამყაროსთან.

ერთი ვამპირიც საკმარისი იყო მისთვის.

ისევ გადავამოწმე ჯესიკას ფიქრები. სამკაულს არჩევდა და ანჯელას ეკითხებოდა აზრს.

_იქნებ ჯობდეს ეს ყელსაბამი უკან დავაბრუნო? სახლში მაქვს ერთი, რომელიც კაბას მოუხდება. დღეს საკმაოდ ბევრი ფული დავხარჯე _და დედაჩემი ჭკუიდან გადავა. ნეტა რაზე ვფიქრობდი?

_პრობლემა არაა, არ მეზარება მაღაზიაში დაბრუნება. როგორ ფიქრობ ბელა მალე შემოგვიერთდება?

რას ნიშნავდა ეს? ბელა მათთან ერთად არ იყო? ჯერ ჯესიკას თვალებით მიმოვიხედე, შემდეგ ანჯელასით. ისინი მაღაზიის წინ ტროტუარზე მისეირნობდნენ. ბელა არსად ჩანდა.

_ოჰ, ნეტა ვის ანაღვლებს ბელა? _ფაიფიქრა ჯესიკამ მოუთმენლად, სანამ ანჯელას კითხვაზე უპასუხებდა. _დარწმუნებული ვარ გადასარევად არის. მაღაზიაში რომც მივბრუნდეთ, რესტორანში მაინც დროულად მივალთ. მგონი მარტო ყოფნა უნდოდა _მის გონებაში ამოვიკითხე, რომ ბელა წიგნების მაღაზიაში წავიდა.

_მაშინ ვიჩქაროთ _თქვა ანჯელამ _იმედია ბელა არ იფიქრებს რომ მივატოვეთ. ძალიან კარგი გოგონაა. ისე თბილად მექცეოდა მანქანაში... ძალიან საყვარელია, მაგრამ მთელი დღე რაღაც ჩაფიქრებული ჩანდა, იქნებ ედვარდ ქალენის გამო? მგონი ზუსტად მაგიტომ მკითხა ქალენების ოჯახზე.

უფრო ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი რამდენი რამ გამომიტოვებია. ბელა თავისთვის დახეტილობდა, თან ჩემს შესახებ კითხვებს სვამდა. ანჯელა ჯესიკაზე გადაერთო, რომელიც იდიოტ მაიკზე ლაყბობდა, ამიტომ მეტი ვერაფრის გაგება ვეღარ მოვახერხე.

ჩრდილს გავხედე, მზე მალე მოეფარებოდა ღრუბლებს. თუ გზის დასავლეთით ვიქნებოდი, სადაც სახლების ჩრდილები დამიფარავდნენ მზისგან....

ძალიან ავლელვდი, სანამ ცენტრისკენ მივდიოდი მანქანით. იმაზე არ მიფიქრია, რომ ბელა მარტო ივლიდა ქალაქში და წარმოდგენა არ მქონდა სად მეძებნა. ეს უნდა გამეთვალისწინებია.

პორტ ანჯელესს კარგად ვიცნობდი და პირდაპირ იმ წიგნის მაღაზიისკენ გავსწიე, რომელიც ანჯელას ფიქრებში დავინახე. თუმცა დარწმუნებული ვიყავი ესე ადვილად ვერ ვიპოვიდი მას. როდის იყო ბელა ესე მარტივად მისაგნები? როგორც მოველოდი, წიგნის მაღაზია ცარიელი დამხვდა. მაღაზიაში მხოლოდ ძველმოდურად ჩაცმული ქალი იყო. დარწმუნებული ვიყავი ბელა შიგნით არც შეიხედავდა.

ჩრდილი მოვძებნე, სადაც მანქანის გაჩერებას მოვახერხებდი. ჩრდილი მაღაზიამდე მიდიოდა. ეს არ უნდა გამეკეთებინა! ხეტიალი, როდესაც მზე ანათებდა_უსაფრთხო ვერ იქნებოდა. რა მოხდებოდა, თუ რომელიმე გამვლელი მანქნის არეკლილი სხივი, პირდაპირ ჩემსკენ გამოანათებდა?

მაგრამ არვიციდი სხვაგან სად შეიძლებოდა მისი მოძებნა.

მანქანა გავაჩერე და გადმოვედი. ჩრდილს კარგად ვეფარებოდი. მაღაზიაში უცებ შევვარდი. ჰაერში მხოლოდ მისი სუსტი კვალი იგრძნობოდა. აქ იყო, ოღონდ მხოლოდ ტროტუარზე. მისი სურნელი მაღაზიაში არ ყოფილა.

მოზრძანდით, რით შემიძლია გემსახუროთ? მკითხა გამყიდველმა, სანამ წინადადებას დაასრულებდა, მე უკვე გარეთ ვიყავი.

ბელას სურნელს იქამდე გავყევი, სანამ ჩრდილი ამის საშუალებას მაძლევდა. მზესთან კი ვჩერდებოდი.

ძალიან უსუსურად ვგრძნობდი თავს. მზისა და სიბნელის ხაზი იყო ჩემს წინ გაჭიმული. რომელიც ძალიან მზლუდავდა.

მხოლოდ გამოცნობა შემეძლო, რომ ქუჩას ბოლომდე გაყვებოდა და სამხრეთით წავიდოდა. იქნებ დაიკარგა? რა გასაკვირი იქნებოდა მისგან?! მანქანაში ჩავჯექი და ქუჩებზე ნელ-ნელა ვმოძრაობდი, ვეძებდი.

რამოდენიმეჯერ მომიწია მანქანიდან გადასვლა, მისი სურნელი რომ მეგრძნო, მხოლოდ ერთხელ მივაკვლიე მას, იმ მიმართულებით მიმავალს, რომელმაც საკმაოდ დამაბნია. სად ცდილობდა წასვლას? წიგნის მაღაზიასა და რესტორანს შორის წინ და უკან დავდიოდი მანქანით, იმედი მქონდა გამოჩნდებოდა. ანჯელა და ჯესიკა უკვე იქ იყვნენ და ფიქრობდნენ, შეეკვეთათ სადილი თუ ბელას დალოდებოდნენ. ჯესიკას უნდოდა დაუყოვნებლივ მიეცა შეკვეთა.

უცხო ადამიანების ფიქრებში დავუწყე ძებნა, მათი თვალებით ვიყურებოდი. ვილაცას ხომ უნდა შეემჩნია სადმე?

რაც უფრო დიდი დრო გადიოდა, მღელვარება მემატებოდა. არასოდეს მიფიქრია იმაზე, თუ რაოდენ ძნელი იქნებოდა მისი მოძებნა, როდესაც თავის ნორმალურ გზას ედგა, ჩემი თვალთახედვიდან შორს. არ მომწონდა ეს ყველაფერი.

ღრუბლები ნელნელა გროვდებოდა ჰორიზონტზე. სულ ცოტაც და შემეძლებოდა ფეხით დავდევენებოდი. ესე უფრო ნაკლები დრო დამჭირდებოდა. მზე მაკავებდა. რამოდენიმე წუთიც და უპირატესობა ჩემს მხარეს იქნებოდა. სამყარო კი_უძლური ჩემს წინააღმდეგ.

ისევ და ისევ ერთფეროვანი ფიქრები...

... მგონი ბავშვს ისევ ყურის ანთება აქვს.

ოთხი ექვსზე იყო, თუ ექვსი ოთხზე?

ისევ დავიგვიანე, ყველაფერი უნდა მოვუყვე...

აი ისიც გამოჩნდა, აჰა.

და მისი სახე დავინახე. როგორც იქნა, ვილაცამ შენიშნა.

შვება მხოლოდ ნახევარ წამს გაგრძელდა და შემდეგ უფრო ღრმად ჩავიხედე

იმ კაცის ფიქრებში, რომელიც სიბნელიდან ბელას თვალებით ჭამდა.

მისი ფიქრები უცხო იყო ჩემთვის, თუმცა რაღაც ნაცნობს მაინც ვხედავდი

მასში. ერთ დროს სწორედ ესეთ ადამიანებზე ვნადირობდი.

_არა! _დავიღრიალე და ფეხი გაზის პედალს მძლავრად დავადგი. მაგრამ
სად უნდა წავსულიყავი?

ზოგადად ვიცოდი სად იმყოფებოდა მისი ფიქრები, მაგრამ არც ისე
სპეციფიურად, რომ მიმეგნო. რაიმე უნდა ყოფილიყო ახლოს, ან გზის
მაჩვენებელი ნიშანი, ან მაღაზია, რაიმე, რაც მის ადგილსამყოფელს
მიმაგნებინებდა. ბელა სიბნელეში იდგა, ამ საზიზღარი კაცის ფიქრები კი
მხოლოდ გოგონასკენ იყო მიმართული, სხვას არაფერს უყურებდა. ბელას
შეშინებულ სახეს უცქერდა და მისი შიშით ტკბებოდა.

ბელას სახე ბუნდოვნად ჩანდა მის გონებაში, სხვა სახეებთან ერთად. ის ხომ
მისი პირველი მსხვერპლი არ იქნებოდა.

ჩემმა ღრიალის ხმამ მანქანა შეარხია, მაგრამ ჩემი მძვინვარება ვერ ჩააცხრო.
მის უკან მდგომ შენობებს ფანჯრები არ ჰქონდა. რაღაც სამრეწველო ქუჩას
გავდა, მოშორებული იყო ქალაქის სავაჭრო ნაწილისგან. ჩემმა მანქანამ
დაიწვილა, როდესაც მოსახვევში დიდი სისწრაფით შევედი, შემხვედრი მანქანის
გადასწრებას ვცდილობდი. იმედი მქონდა სწორი მიმართულებით მივდიოდი.
მანქანის მძღოლმა დამისიგნალა, მაგრამ მე უკვე ძალიან შორს ვიყავი.

_ერთი შეხედვით როგორ კანკალებს _ჩაიცინა კაცმა მოუთმენლად. ბელას შიში
სიამოვნებას ანიჭებდა, ეს იყო ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდა.

_არ მომეკარო! _ ბელას ხმა ჩუმი და მტკიცე იყო. რომელიც სულაც არ
გავდა ყვირილს.

_ნუ ხარ ესეთი მკაცრი, საყვარელო.

დაინახა როგორ შეკრთა ბელა სიცილის გაგონებაზე, რომელის ხმაც სხვა
მხრიდან მოდიოდა. ამან გააღიზიანა _მოკეტე ჯეფ! _გაღიზიანებულმა გაიფიქრა,
თუმცა ძალიან მოეწონა ბელას შეკრთომა. გამხიარულდა. წარმოიდგინა, როგორ
შეეხვეწებოდა გოგონა, მისი მუდარა...

სანამ ხმამაღალი სიცილი არ გავიგონე, არც მიფიქრია, რომ მასთან ერთად სხვებიც იყვნენ. დანარჩენების ფიქრებზე გადავედი, მინდოდა რამე დამენახა, რაც მიმაგნებინებდა მათ ადგილსამყოფელს. პირველ ნაბიჯს დგავდა ბელასკენ, ხელებგაშლილი.

დანარჩენების ფიქრები ისეთი ამაზრზენი არ იყო, როგორც ამ კაცის. ისინი გაბრუებულები იყვნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რამდენად ღრმად შეტოპვას აპირებდა ის კაცი, რომელსაც ისინი ლონის ემახდნენ. ბრმად მიჰყვებოდნენ ლონის, ის ხომ გართობას დაპირდა მათ.

ერთ-ერთმა მათგანმა ნერვიულად გახედა ქუჩას. სულაც არ უნდოდა გამოეჭირათ უცხო გოგონას შეწუხებისას – და მან მომცა ის რაც მჭირდებოდა. ის გზაჯვარედინი ვიცანი, რომელსაც გახედა.

წითელზე არანორმალური სისწრაფით გავიარე, ორ მანქანას შორის საკმარისი ადგილი იყო იმისთვის რომ გავტეულიყავი. სიგნალებმაც არ დააყოვნეს.

მობილურის ვიბრაცია ვიგრძენი ჯიბეში. ყურადღება არ მივაქციე.

სიამოვნების გასახანგრძლივებლად ლონი ნელნელა უახლოვდებოდა გოგონას, ელოდებოდა როდის დაიწყებდა კვილს. ეს კი ნამდვილად დიდი სიამოვნება იქნებოდა მისთვის.

მაგრამ ბელას ყბები ერთმანეთზე მაგრად ჰქონდა დაჭერილი და ყვირილს სულაც არ აპირებდა. კაცი გაკვირვებული იყო, ელოდა, გოგონა გაქცევას მაინც ეცდებოდა. გაოცებული და ოდნავ განაწყენებულიც. უყვარდა როდესაც თავის მსხვერპლს მისდევდა. ნადირობისას გამოყოფილი ადრენალინი მოსწონდა. _ეს გოგო რაღაც ძალიან მამაცი ჩანს. იქნებ უკეთესიც იყოს, წინააღმდეგობას გამიწევს.

მხოლოდ ერთი კვარტალიღა მაშორებდა მათ. მონსტრს ესმოდა ჩემი მანქანის ღრჭიალი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ძალიან იყო გადართული თავის

მსხვერპლზე.

დიდი სიამოვნებით ვნახავდი, როგორ ისიამოვნებდა როდესაც მე

ვინადირებდი მასზე. როგორ მოეწონებოდა ჩემი ნადირობის სტილი.

ჩემი ტვინის რომელიღაც ნაწილით, უკვე ვარჩევდი მისთვის წამების

სხვადასხვა ხერხს. ვარჩევდი ყველაზე მტკივნეულს მათგან. ყველაფრისთვის

პასუხს აგებდა. ტკივილისგან დაიკრუნჩხებოდა. დანარჩენებს მალე დავხოცავდი,

მაგრამ მონსტრი სახელად ლონი აღსასრულს ინატრებდა, სანამ საბოლოოდ

დავასაჩუქრებდი სიკვლით.

გზაზე იდგა, ბელას ეფარებოდა.

მანქანა მკვეთრად მოვაბრუნე. ფარების შუქმა ადგილზე გაყინა დანარჩენები.

შემძლო მანქანით გადამეარა მათი ლიდერისთვის, მაგრამ ეს ძალიან ადვილი

სიკვდილი იქნებოდა მისთვის.

ისეთი მანევრი ჩავატარე, მანქანა რომ შემობრუნებულიყო, გვერდითა კარი

კი პირდაპირ ბელასკენ მოქცეულიყო. კარი გავადე, ბელა უკვე მანქანისკენ

გამორბოდა.

ჩაჯექი დავიღრიალე.

_ეს რა ჯანდაბაა?

_ვიცი რომ ცუდი აზრი იყო. როგორც ჩანს მარტო არ იყო ეს გოგო.

_იქნებ გავიქცე?

_მგონი გული ამერევა.

ბელა მანქანაში უყოყმანოდ ჩახტა და კარი სწრაფად მოხურა.

და შემდეგ ისეთი ნდობით შემომხედა, როგორც არასოდეს მენახა

ადამიანის სახეზე. ყველა ჩემი მძვინვარე გეგმა შურისძიებაზე გაქრა.

ერთი წამიც კი არ დამჭირვებია იმის გასაანალიზებლად, რომ მანქანაში

მარტოს ვერ დავტოვებდი, მანამ, სანამ მე ოთხ კაცს გავუმკლავდებოდი. რა

უნდა მეთქვა? რომ არ ეყურებინა? რა სასაცილოა. როდის იქცეოდა ბელა ისე,

როგორც ვეუბნებოდი? როდის იქცეოდა საერთოდ უსაფრთხოდ?

იქნებ ბელასგან შორს წამეთრია ისინი, მისი თვალთახედვიდან შორს. ბელა

კი მარტო დამეტოვებინა მანქანაში. ეს უბრალოდ დროის ამბავი იყო, უფრო

სახიფათო ხალხიც დაეხეტებოდა პორტ ანჯელესის ქუჩებში, რომლებიც

რათქმუნდა მალევე აღმოჩნდებოდნენ ბელასთან. როგორც მაგნიტი, ის

ყველაფერ სახიფათოს იზიდავდა. ერთი წამითაც ვეღარ დავტოვებდი მარტოს.

ბელასთვის თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როდესაც მისი

მღევრებისგან წამოვიყვანე. ისე სწრაფად გავაქროლე მანქანა, რომ ის მონსტრები

პირდაღებულები მომჩერებოდნენ. ბელას არ შეუმჩნევია ჩემი წამიერი ყოყმანი.

გეგონებოდა ფიქრობდა, რომ მისი გადარჩენა სწორედ ესეც უნდა მომხდარიყო,

თითქოს წინასწარ გათვლილი იყო.

მანქანითაც კი ვერ დავეჯახებოდი ამ მონსტრს. ბელას შეეშინდებოდა.

ისე სასტიკად მიხდოდა მისი მოკვლა, რომ ყურებში წივილი ჩამესმოდა,

თვალთახედვა კი დაბინდული მქონდა. გემოსაც კი ვგრძნობდი. კუნთები

დაჭიმული მქონდა აუცილებლობის და სურვილისაგან. უნდა მომეკლა.

ნაწილ_ნაწილ დავანაწევრებდი, განვაცაკლევებდი კანს კუნთებისგან, კუნთებს

ძვლებისგან...

ამ ყველაფერს აუცილებლად გავაკეთებდი, რომ არა გოგონა, რომელიც ეხლა

ჩემს გვერდით იჯდა, ორივე ხელი მანქანის სკამისთვის ჩაევლო და

გაფართოვებული თვალებით მომჩერებოდა. ისევ ნდობა იკითხებოდა მის სახეზე.

შურისძიება მოიცდიდა...

_ღვედი შეიკარი _კუბრძანე. ჩემი ხმა გაჟღენთილი იყო სიძულვილით და

სისხლის წყურვილით. ეს არ იყო ჩვეულებრივი სისხლის წყურვილი. არ

ვაპირებდი მითი სისხლით გასვრას.

დამემორჩილა, ღვედის შეკვირს ხმაზე ოდნავ შეხტა. ამ პატარა ხმამ

შეაკრთო, იმან კი არა, არანორმალურივით რომ შევვარდი ქუჩაზე, ყველა საგზაო

წესის დარღვევით. ვგრძნობდი როგორ მიყურებდა. საკმაოდ დამშვიდებული ჩანდა. მისი რეაქცია ძალიან უცნაური იყო, იმ ყველაფრის შემდეგ რაც გადაიტანა.

_კარგად ხარ? _მკითხა. მისი ხმა სტრესით და შიშით იყო სავსე.

უნდოდა სცოდნოდა “მე” ვიყავი თუ არა კარგად?

წამის მეათედი დამჭირდა მისი შეკითხვაზე ფიქრისთვის. ისე რომ მას ჩემი ყოყმანი არ შეეტყო. კარგად ვიყავი?

არა გავანაალიზე. ჩემს ხმაში კი მძვინვარება ისმოდა.

ისევ იმ ძველ ტრასაზე წავიყვანე, სადაც მთელი დღე გავატარე, როდესაც მას თვალს ვადევნებდი, როგორც აღმოჩნდა_არც თუ ისე კარგად. ხეების ქვეშ უკვე ბნელოდა.

ისეთი გაცოფებული ვიყავი, რომ სხეული გამიშეშდა. გაუნძრევლად ვიჯექი.

ჩემს ყინულოვით ხელებს ძალიან უნდოდათ რომ მისი თავდამსხმელი გაენადგურებინათ. ისე დაეჩეხათ მისი სხეული, ვერასოდეს მოეხერხებინათ გვამის იდენტიფიცირება,

მაგრამ ამისთვის ბელას დატოვება მომიხდებოდა ამ სიბნელეში.

_ბელა? _კბილებში გამოვცარი.

დიახ ხრინწიანი ხმით მიპასუხა. ჩაახველა.

_კარგად ხარ? _ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, მთავარი

პრიორიტეტი. შურისძიება მეორე პლანზე გადავიდა. თუმცა ჩემი სხეული ისე იყო სავსე ამ გრძნობით, ფიქრი მიჭირდა.

კი მისი ხმა ისევ ხრინწიანი იყო. რათქმაუნდა შიშისგან.

ასე რომ მარტოს ვერ დავტოვებდი.

მიუხედავად იმისა, რომ ბელას არანაირი საფრთხე არ ელოდა ეხლა.

(როგორც ჩანს სამყარო ბოროტად დამცინოდა) მიუხედავად იმისა, რომ

დარწმუნებული ვიყავი, არაფერი მოუვიდოდა ჩემს აქ არყოფნაში, მაინც ვერ

დავტოვებდი მარტოს.

ის ძალიან შეშინებული უნდა ყოფილიყო.

თუმცა მე არ შემეძლო მისი დაწყნარება. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი როგორც უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ არ მოვიქეცი. რათქმაუნდა ბელა იგრძნობა იმ სისასტიკეს, მე რომ ვასხივებდი. უფრო მეტად შევაშინებდი, თუ ამ გრძნობას არ დავძლევდი.

სხვა რამეზე უნდა მეფიქრა.

_ყურადღება გადამატანინე, გთხოვ _შევხევეწე.

_უკაცრავად, რა?

არ მქონდა იმის თავი, ამეხსნა რას ვგულისხმობდი.

_რამე უმნიშვნელოზე მელაპარაკე, სანამ დავმშვიდდები _განვუმარტე.

კბილები ისევ მაგრად მქონდა დაჭერილი ერთმანეთზე. მხოლოდ ის ფაქტი მაკავებდა მანქანაში, რომ ბელას ვჭირდებოდი. ჯერ კიდევ მესმოდა იმ კაცის ფიქრები, მისი იმედგაცრუება და ბრაზი... ვიცოდი სადაც უნდა მომეძებნა... თვალები დავხუჭე, ვინატრე მეტის დანახვა აღარ შემძლებოდა...

_ჰმ _შეყოყმანდა. ალბათ ჩემს თხოვნაზე ფიქრობდა. _ვაპირებ, ხვალ დილას, სკოლამდე ტაილერ ქროულის გადავუარო მანქანით? _ისე თქვა თითქოს შეკითხვა დასვა.

სწორედ ის იყო რაც მჭირდებოდა. რათქმაუნდა ბელა რაღაც მოულოდნელს იტყოდა. როგორც ადრე, ეხლაც მის სიტყვებში მუქარა მოისმოდა, ძალიან სასაცილო იყო _ისე სასაცილო, თითქმის გამაღიზიანა. აუცილებლად გავიცინე, მათი მოკვლის სურვილს ესე რომ არ ვყოლოდი გატანჯული.

_რატომ? _ძლივს ამოვთქვი, რომ მეიძულებინა ლაპარაკი განეგრძო.

_ყველას ეუბნება რომ წვეულებაზე მივყავარ _თქვა მან. მისი ხმა ისევ ვეფხვ-კნუტის მძვინვარებით იყო სავსე _ან სულ შეიშალა, ან ცდილობს

დანაშაული გამოისყიდოს, კინალამ რომ მომკლა... ალბათ გახსოვს _მშრალად დაურთო _და ფიქრობს, რომ წვეულება დანაშაულის გამოსყიდვისთვის საუკეთესოა. მე ვიფიქრე, თუ მეც ჩავაგდებ მის სიცოცხლეს საფრთხეში, მაშინ გავსწორდებით და აღარ ეცდება დანაშაულის გამოსყიდვას. მტრები სულაც არ მჭირდება და იქნებ ლორენმაც დამანებოს თავი, თუ ტაილერი შემემშვება. იქნებ მის მანქანას გადავუარო _ჩაფიქრებულმა თქვა _თუ მანქანა აღარ ეყოლება, ვერავისაც ველარ წაიყვანს წვეულებაზე...

სახალისო იყო ის, რომ ხანდახან ბელა სხვანაირად იგებდა რაღაცეებს.

ტაილერი სულაც არ ცდილობდა დანაშაულის გამოსყიდვას. როგორც ჩანს ბელა ვერ ამჩნევდა, როგორ მოსწონდათ ის სკოლის ბიჭებს. ნუთუ ვერც იმას ამჩნევდა, მე რომ მომწონდა?

ამან კარგად იმოქმედა ჩემზე. იმაზე ფიქრი, თუ რა ხდებოდა მის თავში, ყოველთვის მთელ ყურადღებას იპყრობდა ჩემგან. თავის ხელში აყვანა შევძელი, ვცადე დამენახა რამე, შურისძიების და წამების გარდა.

_გავიგე მაგის შესახებ _კუთხარი. ლაპარაკი შეწყვიტა, მე კი მინდოდა რომ განეგრძო.

_მართლა? _უნდობლად მკითხა და შემდეგ მის ხმაში უფრო მეტი ბრაზი შევნიშნე _თუ კისრის ქვემოთ პარალიზებული იქნება, ვერც ესე შეძლებს წვეულებაზე წასვლას.

როგორ მინდოდა მეთხოვა ლაპარაკი განეგრძო სასიკვდილო მუქარასა და სხეულის დასახიჩრებაზე, ისე რომ არანორმალური არ ვგონებოდი. უკეთეს ხერხს ვერც იპოვიდა ჩემს დასამშვიდებლად. და მისი სიტყვები, რომელიც მხოლოდ სარკაზმი და ჰიპერბოლა იყო, მახსენებდა იმას, თუ რა მსურდა ეხლა ყველაზე მეტად.

ამოვიოხრე და თვალები გავახილე.

_უკეთესია? _მორიდებულად მკითხა.

_არც ისე.

დამშვიდებული კი ვიყავი, მაგრამ უკეთესად ნამდვილად არა. იმიტომ რომ გავაცნობიერე, არ შემეძლო მომეკლა მონსტრი სახელად ლონი. არადა თითქმის ყველაფერზე მეტად მინდოდა ეხლა ეს. თითქმის...

ამ მომენტისთვის, რაც ყველაზე მეტად მინდოდა... სამართლიან

მკვლელობაზე მეტადაც კი, ეს გოგონა იყო. და მიუხედავად იმისა, რომ არ შემეძლო ის მყოლოდა, მხოლოდ ოცნებაც კი ამაზე, შეუძლებელს ხდიდა, ამაღამ მკვლელობა ჩამედინა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად სასიკეთო იქნებოდა ეს.

ბელა მკვლელობაზე უკეთესს იმსახურებდა.

შვიდი ათწლეული დამჭირდა იმისთვის, რომ უკეთესი ვყოფილიყავი, უკეთესი ვიდრე მკვლელი. ამდენი წლის ძალისხმევა, მაინც არ მხდოდა იმ გოგონას ღირსს, გვერდით რომ მეჯდა. და მაინც, ვგრძნობდი, რომ თუ იმ ცხოვრებას დავუბრუნდებოდი, _მკვლელის ცხოვრებას, ბელასკენ მიმავალი გზა სამუდამოდ ჩაიხერგებოდა. მათი სისხლი რომც არ დამელია, თვალები სისხლისფრად რომც არ შემფერვოდა _ ის მაინც იგრძნობდა ჩემში განსხვავებას. მის გამო, ვცდილობდი უკეთესი ვყოფილიყავი. შეუძლებელი კი იყო, მაგრამ ცდას არ დავაკლებდი.

_რა გჭირს? _ წაიჩურჩულა.

მისი სურნელი შევიყნოსე და გამახსენდა რატომ არ ვიმსახურებდი ბელას.

მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა თუ რა ძლიერ მიყვარდა, ის მაინც მადისაღმძვრელი იყო.

მაქსიმალურად გულწრფელი ვიქნებოდი. ვალში ვიყავი მასთან.

_ხანდახან პრობლემები მაქვს ჩემს სიფიცხესთან ბელა _ბნელ ღამეში

ვიყურებოდი და მსურდა გაეგო ის საშინელი მუქარა, ჩემს სიტყვებში რომ იყო.

თან მინდოდა ვერაფერს მიმხვდარიყო. უფრო მეტად მინდოდა, რომ ვერ

მიმხვდარიყო. გაიქეცი ბელა, გაიქეცი. დარჩი ბელა, დარჩი _მაგრამ სულაც არ იქნება ჩემთვის კარგი, რომ მივბრუნდე და ვინადირო იმ... _მხოლოდ ამის გაფიქრებამ, კინალამ მანქანიდან გადამიყვანა. ღრმად ჩავისუნთქე, მის სურნელს მივეცი საშუალება რომ ფილტვებამდე ჩასულიყო _ყოველშემთხვევაში ვცდილობ, თავი დავურწმუნო, რომ ესეა.

_ოჰ.

მეტი არაფერი უთქვამს. ნეტავ რამდენი ამოიკითხა ჩემი სიტყვებიდან? მივაჩერდი, მაგრამ მის სახეზე არაფერი იკითხებოდა. გაფითრებული იყო, როგორც ჩანს შოკისგან. მაინც ცარ ყვიროდა. ყოველშემთხვევაში ჯერ არა. ცოტახანი ჩუმად ვიყავი. თავს ვებრძოდი რომ ის ვყოფილიყავი, რაც საჭირო იყო და არა ის, რაც ვერასოდეს გავხდებოდი.

ჯესიკა და ანჯელა ინერვიულებენ ხმადაბლა თქვა. მისი ხმა ძალიან მშვიდი იყო, ვერ ვხვდებოდი როგორ შეეძლო ესე მშვიდად ლაპარაკი. შოკში იყო? იქნებ დღევანდელი მოვლენები ჯერ კიდევ არ გაუანალიზებია _მათ უნდა შევხვედროდი.

ჩემგან შორს უნდოდა ყოფნა, თუ უბრალოდ თავის მეგობრებზე ღელავდა?! არაფერი მიპასუხია, უბრალოდ მანქანა დავქოქე და უკან წავიყვანე. ყველა მეტრი, რომელიც იმ კაცთან მახლოვებდა, კონტროლს მაკარგვინებდა. ისე ახლოს ვიყავი ეხლა მასთან..

თუ ეს შეუძლებელი იყო, თუ ამ გოგონას მაინც არ ვიმსახურებდი, რატომ უნდა გამეშვა ის კაცი დაუსჯელად? ამის უფლება ხომ შემეძლო, მიმეცა ჩემი თავისთვის.

არა, არ დავნებდებოდი. ჯერ არა. ბელა უფრო მეტად მინდოდა, ასე რომ ვერ დავნებდებოდი.

სანამ გაანალიზებას მოვასწრებდი, უკვე იმ რესტორანთან ვიდექით, სადაც მეგობრებს უნდა შეხვედროდა. ჯესიკას და ანჯელას სადილობა უკვე

დაემთავრებინათ და ბელაზე ლელავდნენ. აპირებდნენ ბნელ ქუჩებში ეძებნათ თავიანთი მეგობარი.

შესანიშნავი ღამე იქნებოდა, ბნელ ქუჩებში სახეტიალოდ...

_საინდა იცოდი, სად უნდა...? _ბელას დაუმთავრებელმა შეკითხვამ

ფიქრებიდან გამომარკვია და მივხვდი, რომ კიდევ ერთი შეცდომა დავუშვი.

ძალიან გართული ვიყავი ჩემს ფიქრებში, იმდენად რომ სულ დამავიწყდა

მეკითხა მისთვის, სად უნდა შეხვედროდა მეგობრებს.

თუმცა იმის მაგივრად რომ ჩამციებოდა და დაწვრილებით გამოეკითხა

ყველაფერი, უბრალოდ თავი გააქნია და ოდნავ გაიღიმა.

რას ნიშნავდა ეს?

არ მქონდა იმის დრო, ჩემი უცნაური ქცევის, მის უცნაურ თანხმობაზე

მეფიქრა. კარი გავაღე.

_რას აკეთებ? _შემცხარმა მკითხა.

ვცდილობ თვალთახედვიდან არ გაგიშვა, ვცდილობ მარტო არ დავრჩე.

_სასადილოდ მიმყავხარ.

საკმაოდ საინტერესო იყო, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს სულაც არ

იყო ის დღე, როდესაც ვფიქრობდი ელისი დამეპატიჟებინა სადილად და ვითომ

შემთხვევით ამავე რესტორანში აღმოვჩენილიყავით, ბელასთან ახლოს. ეხლა კი

აქ ვიყავი, ამ გოგონასთან ერთად, თითქმის პაემანზე. თუმცა ეს არ ითვლებოდა,

რადგან მისგან უარს არ მივიღებდი.

სანამ მის მხარეს მივედი, კარი უკვე გაღებული ჰქონდა. ჩემთვის საკმაოდ

არასასიამოვნო იყო ნორმალური სისწრაფით სიარული

. იმის მაგივრად, რომ ბელა დამლოდებოდა, მისთვის კარგი გამელო. რატომ

ხდებოდა ეს? იმიტომ, რომ თავისი თავი ლედი არ ეგონა? თუ იმიტომ რომ მე

არ მთვლიდა ჯენტლმენად?

დაველოდე სანამ შემომერთდებოდა. მის მეგობრებზე ვლელადი, რომლებმაც

სადღაც ბნელ კუთხეში შეუხვიეს.

–წადი, შეაჩერე ანჯელა და ჯესიკა, სანამ მათი დევნაც მომიწევს _სწრაფად ვუბრძანე _არ მგონია, რომ თავის შეკავებას შევძლებ, თუ შენს “მეგობრებს” კიდევ გადავეყრები _რათქმუნდა, ესეთი ძლიერი არ ვიყავი და მართლა ველარ შევჩერდებოდი.

შეკრთა, შემდეგ ძალა მოიკრიბა, ნაბიჯი გადადგა და საკმაოდ ხმამაღლა დაუძახა გოგონებს:

–ჯეს, ანჯელა!

–ბელა! ოჰ, უსაფრთხოდ არის _შვებით ამოისუნთქა ანჯელამ.

–რამდენი ხანი დააგვიანა _უკმაყოფილოდ ფიქრობდა ჯესიკა, თუმცა ისიც მოხარული იყო რომ ბელას ყველაფერი კარგად ჰქონდა და რომ არ დაკარგულა. ამან მაიძულა მისთვის ცოტა უკეთესი თვალით შემეხედა.

სწრაფად გამობრუნდნენ უკან. უცებ შეჩერდნენ როდესაც დამინახეს, სახეზე ორივეს გაკვირვება ეწერა.

–რაო? რაო? _გაოცებული ფიქრობდა ჯესიკა _გამორიცხულია...

–ედვარდ ქალენი? ბელამ თვითონ მოძებნა? მაგრამ მაშინ რატომ მკითხავდა ქალაქგარეთ ყოფნაზე, თუ იცოდა რომ ის აქ იქნებოდა?... _ და სწორედ ამ დროს დავინახე ანჯელას ფიქრებში ბელას სახე, როდესაც ეკითხებოდა, ხშირად აცდენდა თუ არა ჩემი ოჯახი სკოლას. _არამგონია სცოდნოდა _ დაასკვნა ანჯელამ.

ჯესიკას ფიქრებში ხან გაკვირვება, ხანაც ეჭვი იკითხებოდა.

–სად იყავი აქამდე? _ იკითხა ჯესიკამ. ბელას მისჩერებოდა, თან თვალეებს ჩუმად ჩემსკენ აპარებდა.

–დავიკარგე, შემდეგ კი ედვარდს გადავეყარე _თქვა ბელამ და ხელი ჩემსკენ გამოიშვირა. მისი ტონი საკმაოდ დამაჯერებელი იყო. თითქოს სიმართლეს ამბობდა.

როგორც ჩანს შოკში იყო. ეს მისი სიმშვიდის ერთადერთი ახსნა იყო.

_წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ შემოგიერთდეთ? _თავაზიანობის გამო ვიკითხე, ვიცოდი, რომ უკვე ისადილეს.

_ღმერთო ჩემო, როგორი სიმპატიურია. _მისი გონება უცებ აირ-დაირია.

არც ანჯელას გონება იყო უკეთეს დღეში _ ეჰ, ნეტავ არ გვესადილა. აი ეს მესმის.

რატომ არ შემეძლო ბელაზეც ესეთი ზეგავლენა მომეხდინა?

_ისა... რათქმაუნდა _დამთანხმა ჯესიკა.

ანჯელა მოიღუშა: _იცი ბელა, ჩვენ უკვე ვისადილეთ სანამ გელოდებოდით

_ალიარა _ბოდიში.

_მოიცადე, მოკეტე რაა _ გააპროტესტა ჯესიკამ ფიქრებში.

ბელამ მხრები აიჩეჩა, ისევ მშვიდად იყო. ნამდვილად შოკის ბრალი იყო.

_არაუშავს, არ მშია.

_რამე უნდა შეჭამო _ არ დავეთანხმე. მის სისხლისმიმოქცევას შაქარი

სჭირდებოდა, თუმცაღა მისი სურნელი ისეთივე ტკბილი იყო, როგორც

ყოველთვის. მთელი დღის საშინელებას და შოკს, უცებ გააცნობიერებდა და

ცარიელი კუჭი უარესი იქნებოდა მისთვის. გული ადვილად მისდიოდა, ეს უკვე

ნანახი მქონდა.

ეს გოგონები უსაფრთხოდ იქნებოდნენ, თუ პირდაპირ სახლში წავიდოდნენ.

საფრთხე ხომ მათზე სულაც არ ნადირობდა.

მე კი მარტო ვიქნებოდი ბელასთან ერთად, სანამ ის ისურვებდა ჩემთან

ერთად ყოფნას.

_ხომ არ გეწყინებათ, თუ ბელას მე წავიყვან სახლში? _მანამდე ვუთხარი

ჯესიკას, სანამ ბელა რამეს იტყოდა _და თქვენ აღარ მოგიწევთ ლოდინი, სანამ

ის შეჭამს.

_არამგონია პრობლემა იყოს _ჯესიკა ბელას მიაჩერდა, მისგან ნიშანს

ელოდა. აინტერესებდა უნდოდა თუ არა ბელას ჩემთან ერთად დარჩენა.

_მე კი მინდა დარჩენა, მაგრამ ალბათ ბელას ურჩევნია მარტო იყვენ. ვის არ ენდომებოდა? _ ფიქრობდა ჯესიკა, როდესაც ბელამ თვალი ჩაუკრა.

ბელამ ჯესიკას თვალი ჩაუკრა?

_კარგი _სწრაფად თქვა ანჯელამ, უნდოდა ხელი აღარ შეეშალა ჩვენთვის.

რადგან მიხვდა, რომ ბელას ჩემთან ერთად ყოფნა სურდა _ხვალ გნახავთ, ბელა... ედვარდ... _ სცადა ჩემი სახელი ჩვეულებრივი ტონით წარმოეთქვა.

შემდეგ ჯესიკას ხელი ჩაჰკიდა და სწრაფად წაიყვანა.

რამენაირად ანჯელასთვის მადლობა უნდა გადამეხადა ამ ყველაფრისთვის.

ჯესიკას მანქანა საკმაოდ ახლოს იდგა და იმ ადგილს ლამპიონი ანათებდა.

ბელა მათ ფრთხილად აკვირდებოდა, სანამ მანქანაში არ ჩაჯდნენ. თავის

მეგობრებზე ნერვიულობდა, არ უნდოდა ის გამოეცადათ, რაც მას გადახდა თავს.

ჯესიკამ ხელი დაუქნია როდესაც მანქანა დაძრა, ბელამაც დაუქნია ხელი.

როდესაც მანქანა თვალს მიეფარა, ღრმად ჩაისუნთქა და შემომხედა.

_მართლა, სულაც არ მშია _ მშვიდად მითხრა.

რატომ ელოდა მეგობრების წასვლას, სანამ ხმას ამოიღებდა? ნუთუ მართლა

უნდოდა ჩემთან ერთად მარტო ყოფნა?! მითუმეტეს ეხლა, როდესაც ჩემი

საშინელი მძვინვარება იხილა?!

მიზეზს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბელას აუცილებლად უნდა ეჭამა რამე.

_მხოლოდ თქვენს შემდეგ _ ვუთხარი და რესტორნის კარი გამოვადე.

ამოიოხრა და შემოვიდა.

რესტორნის მასპინძელს მივუახლოვდით, ბელა არანაირ ემოციას არ ავლენდა.

მინდოდა მის ხელს, შუბლს შევხებოდი, რომ მისი ტემპერატურა შემემოწმებინა,

მაგრამ ჩემი ცივი ხელი, ისევ შეაშინებდა, როგორც ადრე.

_ღმერთო ჩემო _ მასპინძელი გოგონას მენტალურმა ხმამ ფიქრებიდან

გამომარკვია _ღმერთო ჩემო.

როგორც ჩანს დღეს ჩემი დღე იყო. ყველა გოგონაში აღფრთოვანებას ვიწვევდი. იქნებ ამას იმიტომ ვამჩნევდი, რომ მინდოდა ბელასაც ესე ეფიქრა ჩემზე?! როგორც წესი, ჩვენ ყოველთვის ძალიან მიმზიდველები ვიყავით ჩვენი მსხვერპლისთვის. აქამდე ამაზე არასოდეს მიფიქრია. საერთოდ, შელი კოუპისა და ანჯელა სტენლის გარდა, ეს გრძნობა უბრალოდ ფარავდა იმ საშინელებას და შიშს, რომელსაც ისინი საკმაოდ მალევე აცნობიერებდნენ.

_მაგიდა ორისათვის თუ შეიძლება? _შევაგულიანე გოგონა, რადგან ხმა არ ამოიღო.

_ოჰ, დიახ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ლა ბელა იტალიაში _ მმმ, რა ხმა აქვს?!... _გთხოვთ, მომყევით _ ჩაფიქრებული იყო.

_იქნებ ეს გოგონა, მისი ბიძაშვილია? მისი და ვერ იქნება, საერთოდ არ გვანან ერთმანეთს, მაგრამ ნამდვილად ნათესავია. გამორიცხულია შეყვარებული იყოს.

ადამიანების თვალები დაბინდული იყო. ისინი წესიერად ვერაფერს ხედავდნენ. როგორ შეეძლო, ამ სულელ გოგონას, ჩემი გარეგნობა, რომელიც უბრალოდ სატყუარა იყო მსხვერპლისთვის, მიმზიდველად მოსჩვენებოდა, და ვერ შეემჩნია ჩემს გვერდით მდგომი გოგონას ნაზი სრულყოფილება?!

_რა საჭიროა, რომ ხელი შევუწყო? _ფიქრობდა რესტორნის მასპინძელი გოგონა, სანამ საკმაოდ დიდ მაგიდასთან მიგვაცილებდა, რომელიც ყველაზე ხალხმრავალ ადგილას იდგა _ამ გოგოსთან ერთად რომ მივცე ჩემი ტელეფონის ნომერი, ვითომ რა დაშავდება?

შარვლის უკანა ჯიბიდან კუპიურა ამოვაცურე. ხალხი საკმაოდ თავაზიანი ხდებოდა, როცა საქმეში ფული ერთვებოდა.

ბელა უკვე ჯდებოდა იმ ადგილას, რომელიც მასპინძელმა გვიჩვენა. თავი გავაქნიე და ბელაც შეყვინდა. ცნობისმოყვარე თვალებით შემომხედა. დიახ, დღეს საკმაოდ ცნობისმოყვარე იქნებოდა. ეს გადაჭედული ადგილი კი სულაც არ

იყო ასეთი საუბრისთვის შესაფერისი ადგილი.

_იქნებ რაიმე უფრო მყუდრო შემოგეთავაზებინათ? _თხოვნით მივმართე მასპინძელს და ფული გავუწოდე. გაოცებული თვალებით მიყურებდა, სანამ ფულს მართმევდა.

_რათქმაუნდა

_ორმოცდაათი დოლარი უკეთესი მაგიდისთვის? მდიდარიც ყოფილა.

დარწმუნებული ვარ მისი ქურთუკი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჩემი მთლიანი ჩეკების წიგნაკი. ჯანდაბა. რაში სჭირდება სიმყუდროვე ამ გოგოსთან ერთად? მან პატარა მყუდრო ადგილი შემოგეთავაზა, რესტორნის ყველაზე მშვიდ კუთხეში, სადაც ვერავინ დაგვინახავდა. უფრო სწორად ვერავინ დაინახავდა, ბელას რეაქციებს, როცა რაღაცეებს ვეტყვოდი. წარმოდგენა არ მქონდა, რის გაგებას მოინდომებდა ამაღამ. ან რის თქმას შევძლებდი მე.

ნეტავ რამდენ რამეს მიხვდა უკვე? ან რა ახსნა ჰქონდა გამოძებნილი, ჩემი დღევანდელი საქციელისთვის?!

_ეს როგორ მოგწონთ? _იკითხა მასპინძელმა.

_შესანიშნავია _ვუპასუხე. ნერვებს მიშლიდა მისი ღვარძლიანი ფიქრები ბელას შესახებ. ისე გავუღიმიე, რომ ჩემი ყველა კბილის დანახვა შესძლებოდა. კარგად რომ დავენახე.

_ღმერთო ჩემო _ თქვენი ოფიციალტი მალე მოვა _გამორიცხულია ნამდვილი იყოს, ალბათ მესიზმრება. იქნებ ეს გოგო გაქრეს... ან იქნებ კეჩუპით დამეწერა მის თეფშზე ჩემი ნომერი... ამ ფიქრებში გართული გაგვეცალა.

უცნაურია. შეშინებული სულაც არ იყო. გამახსენდა როგორ მაჯავრებდა ემეტი კაფეტერიაში რამოდენიმე კვირის წინ _"დაგენიძლავები, შენზე უკეთ შევაშინებდი მაგ გოგოს".

იქნებ ჩემს ნიჭს ვკარგავდი?!

_ესე არ უნდა ექცეოდე ხალხს _ფიქრი შემაწყვეტინა ბელამ, თავისი

კრიტიკული ტონით _ არამგონია, სამართლანი იყოს.

მის კრიტიკულ გამომეტყველებას მივაჩერდი. ნეტავ რას გულისხმობდა?!

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობდი, სულაც არ შემიშინებია

რესტორნის მასპინძელი გოგონა.

_როგორ არ უნდა მოვექცე?

_ესე არ უნდა ახვევდე თავბრუს მათ, ალბათ საცოდავი გოგო ეხლა

სამზარეულოში ქოშინებს.

ჰმმმ, ბელა თითქმის მართალი იყო. გოგონა მართლა ქოშინით უყვებოდა

თავის მეგობარს ჩემზე.

_კარგი ერთი _ ბუზღუნით მითხრა ბელამ, როდესაც არ ვუპასუხე _

დარწმუნებული ვარ გადასარევად იცი, რა გავლენასაც ახდენ ადამიანებზე.

_ მე თავბრუს ვახვევ ადამიანებს? _ეს საკმაოდ საინტერესო ფრაზირება იყო

იმისა, რასაც ვაკეთებდი. დღევანდელ დღეს შეეფერებოდა. ჩავფიქრდი, რა

განსხვავება იყო...

_არ შეგიძნევი? _ისევ კრიტიკულად მკითხა _აბა რა გგონია, რატომ

გამოგდის ყველაფერი ესე ადვილად?

_შენ თუ გახვევ თავბრუს? _ცნობისმოყვარეობამ მძლია, თავს ვერ

გავუმკლავდი და ხმამაღლა ვკითხე.

სანამ მიპასუხებდა, ძალიან ვინანე ეს შეკითხვა რომ დავუსვი.

_ხშირად _ მიპასუხა და ღაწვები ოდნავ აუვარდისფრდა.

ნუთუ მართლა ვახვევდი თავბრუს?

ჩემმა მდუმარე გულმა იმედიანად შეიფრთხილა. ესეთი გრძნობა არასოდეს

მქონია.

_მოგესალმებით _ მიმტანმა თავი გაგვაცნო, მისი ფიქრები უფრო ხმამაღალი

და გულწრფელი იყო, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. მისი მოსმენის ნაცვლად,

ბელას სახეს მივაშტერდი. ვუყურებდი, როგორ მოძრაობდა მის კანქვეშ სისხლი.

იმას კიარ ვამჩნევდი, თუ როგორ წვაავდა ეს ჩემს ყელს, არამედ როგორ ანათებდა ეს მის სახეს, როგორ ანიჭებდა მის კანს ნაღების ფერს.

მიმტანი მელოდებოდა. ელოდა სასმელს როდის შევუკვეთავდით. მე ისევ ბელას ვუყურებდი, ამიტომ ოფიციალტმაც უკმაყოფილოდ შეხედა მას.

_მე კოლას დავლევ? _ ისე იკითხა ბელამ, თითქოს ჩემგან დასტურს ელოდა.

_ორი კოლა _ შევუსწორე. ზოგადად წყურვილი _ნორმალურია, წყურვილი ადამიანებში კი _სტრესის ნიშანი. უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ შაქრის საკმარისი შემცველობა ჰქონდა სისხლში.

თუმცაღა ჯანმრთელი იერი ჰქონდა. ჯანმრთელზე უკეთესიც კი. გაბრწყინებული იყო.

_რა მოხდა? _ გაოცებულმა მკითხა, ალბათ ვერ მიხვდა რატომ მივაჩერდი ესე. მივხვდი, რომ ოფიციალტი ჩვენთან ერთად აღარ იყო.

_თავს როგორ გრძნობ? _ ვკითხე.

თვალეები დაახამხამა, როგორც ჩანს ამ კითხვას არ მოელოდა.

_კარგად.

_თავბრუ ზომ არ გეხვევა? ან იქნებ ცუდად ხარ? ხომ არ გცივა?

ამდენმა შეკითხვამ უფრო დააბნია.

_რატომ უნდა ვიყო ესე?

_საერთოდ, ველოდები რომ შოკში ჩავარდები _ ოდნავ გავუღიმე და მის შეწინააღმდეგებას დაველოდე, მას ხომ არ უყვარდა, როდესაც მზრუნველობას იჩენდნენ მის მიმართ.

ერთი წუთი დასჭირდა სანამ პასუხს გამცემდა. მისი თვალეები

ფოკუსიერებას ვერ ახდენდნენ. ხანდახან მიყურებდახოლმე ესე, როდესაც ვუღიმოდი. იქნებ მასაც ვახვევდი თავბრუს?...

როგორ მინდოდა დამეჯერებინა, რომ მართლაც ესე იყო.

_არამგონია ეს მოხდეს, უსიამოვნო მოგონებების დავიწყება შემიძლია _
სუნთქვაშეკრულმა მიპასუხა.

იქნებ სახიფათო შემთხვევების დიდი გამოცდილება ჰქონდა? ნუთუ მისი
ცხოვრება ყოველთვის ესეთი რისკიანი იყო?

_მაგრამ მაინც, უკეთესად ვიგრძნობ თავს, თუ შაქარს და საკვებს მიიღებ.
მიმტანი დაბრუნდა, კოლა და პური მოგვიტანა. ეს ყველაფერი ჩემს წინ
დადო და ჩემს შეკვეთას დაელოდა, რომ რამენაირად მისთვის თვალეზში
შემეხედა. ვანიშნე, რომ ბელასთვის მიემართა და შევწყვიტე მისი ფიქრების
მოსმენა. ვულგარული გონება ჰქონდა.

_ჰმმ _ბელამ სწრაფად გადაავლო თვალი მენიუს _სოკოს რავიოლი თუ
შეიძლება.

მიმტანი ხალისიანად მობრუნდა ჩემსკენ _ თქვენთვის?

_ჩემთვის არაფერი.

ბელამ წარბები შექმუხნა. როგორც ჩანს შეამჩნია, რომ არასოდეს ვჭამდი. ის
ხომ ყველაფერს ამჩნევდა. მე კი მის ახლოს, ყოველთვის მავიწყდებოდა, რომ
ყურადღებით ვყოფილიყავი.

მოვიცადე, სანამ ისევ მარტონი დავრჩებოდი.

_დალიე _ვუბრძანე.

გავოცდი, როდესაც უსიტყვოდ დამემორჩილა, არც კი შემწინააღმდეგებია.

ჭიქა ბოლომდე გამოსცალა და ჩემი გავუწოდე. ჩავფიქრდი, რისი ბრალი იყო ეს?

შოკის თუ წყურვილის?...

ცოტა კიდევ დალია და შეაჟრჟოლა.

_გცივა?

_კოლის ბრალია _ მიპასუხა. მისი ტუჩები ისე თრთოდნენ, თითქოს

ცოტახანში კანკალს დაიწყებდა.

ის ლამაზი ბლუზი, რომელიც ეცვა, ძალიან თხელი იყო იმისთვის, რომ

მისი კანი სიცივისგან დაეცვა. ისე იყო მასზე მიკრული, როგორც მეორე კანი.

ისიც ისეთივე სათუთი ჩანდა. ბელაც ხომ ძალიან სათუთი იყო.

_ქურთუკი არ გაქვს?

_კი _დაბნეულმა მიმოიხედა _ჯესიკას მანქანაში დამრჩენია.

ქურთუკი გავიხადე და ვინატრე, რომ ნაჭერი ჩემს კანთან დიდხანს ყოფნის

გამო, ასეთი ცივი არ ყოფილიყო. მოხარული ვიქნებოდი, მისთვის თბილი

მოსასხამის შეთავაზება რომ შემძლებოდა. შემომხედა, მისი ლოყები ისევ

ვარდისფრდებოდა. ნეტავ რაზე ფიქრობდა?

ქურთუკი გავუწოდე და მანაც მოისხა. ისევ შეაჟრჟოლა.

რათქმუნდა უკეთესი იქნებოდა, თბილი ყოფილიყო.

_მადლობა _მითხრა და ღრმად ჩაისუნთქა. შემდეგ საკმაოდ გრძელი

მკლავები აიწია, ხელები რომ გაენთავისუფლებინა. ისევ ღრმად ჩაისუნთქა.

იქნებ ნელნელა იწყებდა დღევანდელი დღის გაცნობიერებას? თუმცა მისი

ფერი ნორმალური იყო. მისი კანი, ბლუზის ფერთან ისე იყო, როგორც ვარდის

და ნაღების ფერი.

_შენს კანის ფერს ძალიან უხდება ცისფერი _კომპლიმენტი ვუთხარი,

უბრალოდ გულახდილი ვიყავი.

გაწითლდა, რამაც ეფექტი უფრო გააძლიერა.

კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ გარისკვას არ ვაპირებდი, ამიტომ პურის

კალათა გავუწოდე.

_მართლა _გააპროტესტა ჩემი ქმედება, როდესაც მიხვდა რას ვაკეთებდი _

შოკში ჩავარდნას არ ვაპირებ.

_წესით უნდა ჩავარდე, ნორმალური ადამიანს ესე დაემართებოდა. შენ კი,

შეშინებულიც არ ჩანხარ _ უკმაყოფილოდ შევხედე. რატომ არ შეიძლებოდა

ისიც ნორმალური ადამიანივით ყოფილიყო? თუმცა არ ვიცოდი მინდოდა თუ

არა ეს.

_შენს გვერდით თავს ძალიან უსაფრთხოდ ვგრძნობ _ მისი თვალები ისევ ნდობით მიცქერდნენ. ნდობით, რომელსაც არ ვიმსახურებდი.
მისი ინსტიქტები ტყუოდნენ. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო პრობლემა. ის ვერ ამჩნევდა საფრთხეს, რომელიც ნორმალურ ადამიანს უნდა აღექვა. მას საპირისპირო რეაქცია ჰქონდა. იმის მაგივრად, რომ გაქცეულიყო, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. რჩებოდა იმასთან, რასაც საშინლად უნდა დაეფრთხო.
როგორ შემძლო დამეფარა ის ჩემივე თავისგან, როდესაც არცერთს არ გვსურდა ეს?

_ყველაფერი იმაზე რთულადაა, ვიდრე ვგეგმავდი _ ჩავიბურტყუნე.
დავინახე, როგორ ჩაფიქრდა ჩემს სიტყვებზე. საინტერესო იყო რას დაასკვნიდა. პურის ნაჭერი აიღო და მექანიკურად ღეჭვა დაიწყო. ერთი წუთის შემდეგ, თავი გვერდზე გადასწია და ჩაფიქრებულმა შემომხედა.

_როგორც წესი, უკეთეს ხასიათზე ხარ, როდესაც შენი თვალის ფერი ასე ღიაა _ ჩვეულებრივი ტონით მითხრა.

მისმა ასეთმა დაკვირვებულობამ, მაიმულა კითხვა დამესვა.

_რა?

_შევამჩნიე, რომ ყოველთვის უფრო ფიცხი ხარ, როდესაც შენი თვალები შავია. ამასთან დაკავშირებით თეორიაც კი მაქვს _ წყნარად მითხრა.

როგორც ჩანს, თავისი ახსნა გამომებნა. რათქმაუნდა ასეც მოიქცეოდა.

საზარელი შიში ვიგრძენი, როდესაც გავიაზრე, რამდენად ახლოს შეიძლება ყოფილიყო სიმართლესთან.

_კიდევ თეორიები?

_დიახ _ უდარდელად ჩაკბიჩა პური. იმდენად უდარდელად, თითქოს სულაც არ საუბრობდა მონსტრებზე, თანაც თავად მონსტრთან.

_იმედი მაქვს, ამჯერად უფრო შემოქმედებითი თეორიები გაქვს _ მოვატყუე, როდესაც საუბარი არ განაგრძო. სინამდვილეში კი იმედი მქონდა, ახლოსაც არ

იყო სიმართლესთან _ თუ იდეებს ისევ კომიქსებიდან იპარავ?

_არა, კომიქსებიდან არ მომიპარავს _ თქვა ოდნავ აღშფოთებულმა _ მაგრამ არც ჩემით მივსულვარ ამ დასკვნამდე.

_და? _ძლივს გამოვცარი კბილებში.

ესე მშვიდად ნამდვილად ვერ ილაპარაკებდა, კვილის დაწყება რომ ჰქონოდა განზრახული.

სანამ ყოყმანობდა და ტუჩს იკვნეტდა, მიმტანი გოგონაც დაბრუნდა ბელას საჭმლით ხელში. ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევდი, როდესაც თეფში ბელას წინ დადო და მკითხა, რამეს ხომ არ ვისურვებდი.

ვიუარე, მაგრამ კოლის მოტანა კიდეც ვთხოვე. თავიდან ვერ შეამჩნია ცარიელი ჭიქები, აიღო და დაგვტოვა.

_რას ამბობდი? _როგორც კი მარტო დავრჩით, იმწამსვე ვკითხე აღელვებულმა.

_მანქანაში მოგიყვები _ ხმადაბლა მითხრა. აჰ, ეს ცუდი იქნებოდა. როგორც ჩანს არ უნდოდა, სხვების თანდასწრებით ეთქვა _თუ... _ უცებ შეჩერდა.

_რამე პირობაა? _ ისე დამაბული ვიყავი, კინაღამ დავიღრიალე.

_რათქმაუნდა, რამოდენიმე შეკითხვა მექნება შენთან.

_რათქმაუნდა _ დავეთანხმე.

მისი შეკითხვები, ცოტას მაინც მიმახვედრებდა, საით წავიდა მისი გონება ფიქრისას. მაგრამ როგორ ვუპასუხებდი მის დასმულ შეკითხვებს? ფრთილად მოვატყუებდი? თუ მთელ სიმართლეს გავუმხელდი? ან იქნებ სულაც ვერ მოვახერხებდი ვერაფრის თქმას?

მდუმარედ ვისხედით, სანამ მიმტანს ბელასთვის სასმელი მოჰქონდა.

_განაგრძე _კუთხარი, ყბები ერთმანეთზე მაგრად მქონდა დაჭერილი.

_რატომ ხარ პორტ ანჯელესში?

ეს ყველაზე ადვილი შეკითხვა იყო, ყოველშემთხვევაში ბელას ასე მიაჩნდა.

თითქოს უმნიშვნელო კითხვა იყო, გულახდილად თუ ვუპასუხებდი, ბევრ რამეს მიხვდებოდა. ჯობდა სხვა კითხვა დაესვა.

_შემდეგი _ვუთხარი

_მაგრამ ეს ყველაზე ადვილი შეკითხვაა!

_შემდეგი! _ გავუმეორე.

ჩემმა უარმა გაანაწყენა. თვალი მომაშორა და საჭმელს შეხედა. ნელა ჩაიდო ლუკმა პირში, კოლა დააყოლა და ბოლოს როგორც იქნა ამომხედა. მისი თვალები ექვისგან დაწვრილებულიყო.

_მაშ კარგი, მოდი ვთქვათ, რათქმაუნდა ჰიპოთეტურად, რომ ვიღაცას...

ესმის თუ რას ფიქრობს ხალხი... კითხულობს მათ ფიქრებს. რამოდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით.

ამაზე უარესიც შეიძლება ყოფილიყო.

ამან მისი უცნაური ღიმილი ახსნა, მანქანაში რომ დასთამაშებდა ტუჩებზე.

საკმაოდ გამჭრიახი იყო. კარლაილის გარდა, ვერავინ ხვდებოდა ესე სწრაფად, მათი ფიქრები რომ მესმოდა. კარლაილის შემთხვევაში ეს ძალიან აშკარა იყო, მის ფიქრებს მანამ ვცემდი პასუხს, სანამ წარმოთქვამდა. შეიძლება ითქვას, ჩემზე ადრეც კი მიხვდა ჩემს შესაძლებლობას.

ეს შეკითხვა არც თუ ისე ურიგო იყო. ცხადი იყო, რომ ბელა ხვდებოდა,

რალაც უცნაური ხდებოდა ჩემს თავს, მაგრამ ალბათ ეგონა, რომ არც ისე

სერიოზულად იყო საქმე. ბოლოსდაბოლოს ტელეპათია არ მინიშნებდა ჩემს ვამპირობაზე. მის ჰიპოთეზას მივყევი.

_მხოლოდ ერთი გამონაკლისით _განვუმარტე _ჰიპოთეტურად.

ჩემმა ბუნდოვანმა გულახდილობამ ღიმილი მოჰგვარა.

_კარგი, ანუ მხოლოდ ერთი გამონაკლისით. როგორ ხდება ეს? რა

შეზღუდვები აქვს? როგორ შეძლებდა... ვიღაც... ეპოვნა ადამიანი ზუსტად საჭირო დროს... ? როგორ გაიგებდა, რომ განსაცდელში იყო?

_ჰიპოთეტურად?

_რატქმაუნდა _გაიღიმა, პასუხს ელოდა.

_ნუ, თუ ის ვიღაც... _შევეყოყმანდი.

_მოდის ჯო დავარქვავთ _შემომთავაზა.

მისმა ენთუზიაზმმა ღიმილი მომგვარა. ნუთუ მართლა ეგონა, რომ სიმართლე კარგი იქნებოდა? ჩემი საიდუმლო სასიამოვნო რომ ყოფილიყო, რატომ დავუმალავდი?

_მაშ, ჯო _დავეთანხმე _ ჯო უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყო, ზუსტი დროის გამოცნობა არ დასჭირდებოდა _ თავი გავაქნიე და ვცადე თავი ხელში ამეყვანა, როდესაც გამახსენდა, კინალამ როგორ დავაგვიანე დღეს _ მხოლოდ შენ შეგეძლო, გეპოვნა საფრთხე ესეთ პატარა ქალაქში. ერთ დღეში გაუნადგურებდი პორტ ანჯელესს მთელი ათწლეულის კრიმინალურ სტატისტიკას.

ტუჩის კუთხეები დაეწია.

_ჰიპოთეტურად ვსაუბრობდით.

მის გულფიცხოზაზე გამეცინა.

მისი ტუჩები, მისი კანი... ისეთი სათუთი ჩანდა, მინდოდა შევხებოდი.

მინდოდა მის ტუჩის კუთხე თითოთ ამეწია, თუმცა შეუძლებელი იყო. ჩემი ცივი კანი დააფრთხოვდა.

_დიახ, რატქმაუნდა _საუბარი განვაგრძე. არ მინდოდა ჩემს ფიქრებს უფრო მეტად დავესევდიანებინე _იქნებ შენთვის ჯეინი დაგვერქმია?

ჩემსკენ გადმოიხარა. მის ფართოდ გახელილ თვალებში, არც ბრაზი და აღარც იუმორი არ იკითხებოდა.

_როგორ გაიგე? _მკითხა ჩუმი, დამაბული ხმით.

სიმართლე უნდა მეთქვა? და თუ კი, რა რაოდენობით?

მინდოდა თქმა. მინდოდა დამემსახურებინა ის ნდობა, მის სახეზე რომ ვკითხულობდი.

_შეგიძლია მენდო _ ჩურჩულით მითხრა და ხელი ჩემი ხელებისკენ გამოსწია, რომელებიც მაგიდაზე მეწყო, ისე თითქოს უნდოდა ხელზე შემხებოდა. ხელები სწრაფად გავწიე უკან. მეზიზღებოდა ის აზრი, ჩემი ცივი, ქვასავით ხელები რა რეაქციასაც გამოიწვევდა მასში.

ვიცოდი, რომ შემემძლო მისი ნდობა. ჩემს საიდუმლოს აუცილებლად შეინახავდა. მაგრამ იმაში ვერ ვენდობოდი, რომ თავზარს არ დასცემდა ეს ყველაფერი. უნდა შეშინებოდა... სიმართლე საშინელება იყო.

_არვიცი, მაქვს თუ არა არჩევანი _ ჩემთვის ჩავილაპარაკე. გამახსენდა, როგორ გავალიზიანე, როდესაც ერთხელ უსამართლოდ “დაუკვირვებელი” ვუწოდე. თუ მისი გამომეტყველება სწორად ამოვიკითხე, ძალიან გავანაწყენე. ამ ერთი უსამართლობის გამოსწორება მაინც შემემძლო.

_ ვცდებოდი, შენ იმაზე მეტად დაკვირვებული ხარ, ვიდრე მეგონა _ და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ვერ აცნობიერებდა, მე უკვე მჯეროდა ამის, მისი ყურადღების მიღმა არაფერი რჩებოდა.

_მეგონა ყოველთვის მართალი იყავი _ ღიმილით მითხრა, ჩემი გამოჯავრება სცადა.

_ვიყავი _ ადრე ვიცოდი რას ვაკეთებდი, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი ჩემს კურსში. ახლა კი ყველაფერი თავდაყირა იყო.

ყველაფერს დავთმობდი. არ მინდოდა მშვიდი ცხოვრება. რატქმაუნდა არა _ თუ ბელასთან ყოფნა ქაოსს ნიშნავდა.

_სხვა რაღაცაშიც შევცდი _ განვაგრძე საუბარი სხვა მიმართულებით _ შენ არ ხარ საფრთხის მაგნიტი _ ეს საკმაოდ ფართო ცნებაა _ შენ უბედურების მაგნიტი ხარ. თუ ათი მილის რადიუსში რაიმე უბედურებაა, აუცილებლად მოაღვეს შენამდე _ რატომ მაინცდამაინც ბელა? რით დაიმსახურა ეს?

ბელა ისევ დასერიოზულდა.

_შენ თავს ამ კატეგორიას მიაკუთვნებ?

გულახდილობა მთავარი იყო.

_უდავოდ.

თვალები ოდნავ მოჭუტა, ოღონდ ეჭვისგან კიარა, უფრო ინტერესი იკითხებოდა მის სახეზე. ისევ გამოსწია ხელი ჩემი ხელებისკენ, ეხლა უფრო ნელა და ფრთხილად. ოდნავ უკან გავწიე, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. სუნთქვა შევიკავე, ამჯერად მისი სურნელის გამო არა. დაძაბულობის ბრალი იყო, შიშის. ჩემი კანი ზიზღს მოჰგვრიდა... ჩემგან გაიქცეოდა.

ჩემს ხელს ოდნავ გადაუსვა თითები. მისი სასიამოვნო, თბილი ხელის შეხება სასწაულ შეგრძნებას იწვევდა ჩემში. სიამოვნებისგან დავდნებოდი, რომ არა ჩემი შიში. მის გამომეტყველებას ვაკვირდებოდი, როდესაც ჩემს გაყინულ ხელებს შეეხო, სუნთქვას ვერ ვახერხებდი.

სახე ღიმილმა გაუნათა.

მადლობა მითხრა და თვალებში შემომხედა _ უკვე მეორედ.

მისი ნაზი ხელები არ იძვროდნენ, თითქოს თავს კარგად გრძნობდნენ.

ვცადე ჩვეულებრივი ტონით გამეცა პასუხი

_მოდით მესამედ აღარ იყოს, კარგი?

ოდნავ დაემანჭა სახე, მაგრამ თავი დამიქნია.

ხელები გავწიე. მიუხედავად იმისა, რომ მისი შეხება ენით აუწერელ

სიამოვნებას მანიჭებდა, სასწაულს არ ველოდი, რომ მისი მოთმენის უნარი

გამომეცადა. ყველაფერი შეიძლება ცუდად შემობრუნებულიყო. ხელები მაგიდის ქვეშ დავმალე.

რადგან ბელას ფიქრები არ მესმოდა, ვცდილობდი მის თვალებში

ამომეკითხა რას ფიქრობდა. ნდობა და გაკვირვება იკითხებოდა. ამ მომენტში

გავაცნობიერე, რომ ძალიან მინდოდა მისი შეკითხვებისთვის მეპასუხა. იმიტომ

კიარა, რომ მინდოდა ნდობა დამემსახურებინა.

მინდოდა კარგად გავეცანი.

_ პორტ ანჯელესში გამოგყევი _ სიტყვები ისე სწრაფად ვთქვი, ძალიანაც რომ მდომებოდა ვეღარაფერს მოვუხერხებდი. ვიცოდი რა საფრთხეც იდო სიმართლეში, ვიცოდი რა რისკზეც მივდიოდი. ამ მომენტისთვის საკმაოდ მშვიდად იყო, მაგრამ ნებისმიერ წუთს შეიძლება ისტერია აეტეხა. ამიტომაც სწრაფად განვაგრძე ლაპარაკი _ აქამდე არასოდეს მიცდია კონკრეტული ადამიანის გადარჩენა, ეს იმაზე რთული აღმოჩნდა ვიდრე ვიმედოვნებდი. თუმცა დარწმუნებული ვარ ესეთი რთული შენს გამო იყო. ჩვეულებრივი ხალხი, ამდენ კატასტროფაში არ ეხვევა დღის მანძილზე.

ვუყურებდი და მის რეაქციას ველოდებოდი.

გაიღიმა, ტუჩის კუთხეები ოდნავ აეწია, შოკოლადის ფერი თვალები კი გაუთბა.

ამ წუთას გამოვტყდი, რომ ჩუმად ავედევნე, ის კი მიღიმოდა.

_ არასოდეს გიფიქრია, რომ ჩემი აღსასრული იმ დღეს უნდა ყოფილიყო, როდესაც ფურგონმა კინალამ გამჭყლიტა?! შენ კი ჩემს ბედისწერაში ჩაერიე _ მკითხა ბელამ.

_ ეგ არ იყო პირველი შემთხვევა _ თვალები დავხარე და მუქ წაბლისფერ მაგიდის გადასაფარებელს მივაჩერდი. შემრცხვა. ჩემი ბარიერები ინგრეოდა, სიმართლეს დაუფიქრებლად ვამზობდი _ ეს მაშინ მოხდა, როდესაც პირველად შეგხვდი.

სიმართლე იყო და ამან გამაბრაზა. მის ცხოვრებაში გილიოტინის პოზიცია მეჭირა. ისე ხდებოდა, თითქოს ის სასტიკმა, უსამართლო ბედისწერამ სიკვდილისთვის გასწირა და როდესაც ჩემი გამოყენება ვერ შესძლო ამისთვის, სხვადასხვა უბედურებას ატეხდა თავს. ვცადე წარმომედგინა ბედისწერა, როგორც გრზლი, ან როგორც ეჭვიანი ჯადოქარი, ან შურისმაძიებელი მტაცებელი.

მინდოდა რამეს ან ვინმეს პასუხი ეგო ამისთვის. ის მაინც მცოდნოდა,

ვისთან მეზრძოლა. რამე, რომ შევზრძოლებოდი და დამემარცხებინა, ბელას
გასანთავისუფლებლად.

ბელა ჩუმად იყო, მისი სუნთქვა კი აჩქარებული.

როდესაც ავხედე, დარწმუნებული ვიყავი, რომ საბოლოოდ დავინახავდი
შიშს მის სახეზე. სწორედ ახლა არ ვაღიარე, რომ კინაღამ მოვკალი? იმაზე
უფრო ადრე, ვიდრე ფურგონი დაეჯახებოდა? და მაინც... სახეზე მშვიდი
გამომეტყველება ჰქონდა, თვალები კი ოდნავ დაწვრილებული... ისიც მხოლოდ
ინტერესის გამო.

_გახსოვს? _უნდა ხსომებოდა.

_კი _ სავსებით მშვიდი ხმით მიპასუხა. მისი ღრმა თვალები გაგებით
მიყურებდნენ.

იცოდა. მან იცოდა, მისი მოკვლა რომ მსურდა.

სად იყო მისი განწირული კივილი?

_და მაინც აქ ზიხარ? _ გულწრფელად მიკვირდა.

_დიახ, აქ ვზივარ... შენს გამო _ მისი გამომეტყველება შეიცვალა,
ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა მის სახეზე _ იმიტომ, რომ რაღაცნაირად იცოდი,
როგორ უნდა გეპოვე დღეს...

უშედეგოდ, მაგრამ მაინც ვცადე მის გონებაში შეღწევა. როგორ ახერხებდა,
ესე დაინტერესებულიყო ამით, როცა მთელი საზარელი სიმართლე მის თვალწინ
იდო. არალოგიკური იყო.

ჩემს პასუხს უცდიდა. მისი კანი გაფითრებული იყო, როგორც ყოველთვის.

მისი სადილი კი თითქმის ხელუხლებელი იდო მის წინ. თუ სიმართლის
მოყოლას გავაგრძელებდი, აუცილებლად დასჭირდებოდა ძალები, როდესაც
შოკში ჩავარდებოდა.

პირობა წავუყენე

_შენ ჭამე, მე ვილაპარაკებ.

ცოტახანი იფიქრა ამაზე, შემდეგ კი ისეთი სისწრაფით დაიწყო ჭამა, რომელიც მის სიმშვიდეს სულაც არ შეეფერებოდა. ჩემი პასუხის გამო, იმაზე მეტად აღელვებული იყო, ვიდრე მის თვალეში იკითხებოდა.

_ძალიან ძნელია შენი მოძებნა _ ვუთხარი _ როგორც წესი, საკმაოდ ადვილად ვპოულობ იმათ, ვისი აზრებიც ერთხელ მაინც მომისმენია.

მის სახეს ყურადღებით დავაკვირდი. ერთი საქმე იყო როდესაც რაღაცას გამოიცნობდი, მეორე როდესაც ამას დაგიდასტურებდნენ.

გაუნძრევლად იჯდა. თვალეში გაფართოვებული ჰქონდა. კბილები ერთმანეთს მაგრად დავაჭირე, მის პანიკას ველოდი.

მაგრამ მხოლოდ თვალეში დაახამხამა, ხმამაღლა ჩაყლაპა ნერწყვი და ჭამა გააგრძელა. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა გამეგრძელებინა თხრობა.

_ჯესიკას ფიქრებს ვკითხულობდი _ ვუყურებდი როგორ რეაგირებდა, თითოეულ ჩემს სიტყვაზე _ თუმცა არც ისე ყურადღებით, როგორც უკვე ავღნიშნე. მხოლოდ შენ შეგემლო ხიფათს გადაყროდი პორტ ანჯელესში _ არ შემემლო ბოლო წინადადება არ დამემატებინა. ნუთუ ეგონა, რომ ყველა ადამიანს ესეთი სასიკვდილო გამოცდილებები ჰქონდა, თუ ეგონა, რომ ეს ნორმალური იყო მისთვის? ის საერთოდ არ ჰგავდა ნორმალურ ადამიანს.

_თავიდან ვერ შევნიშნე, როდის წახვედი შენი გზით. როცა უკვე მივხვდი, მასთან ერთად აღარ იყავი, იმ წიგნების მალაზიაში დაგიწყე ძებნა, ჯესიკას ფიქრებში რომ დავინახე. ვიცოდი, რომ შიგნით არ შესულხარ და სამხრეთით წახვედი... და ვიცოდი რომ მალევე მობრუნდებოდი. ამიტომ უბრალოდ გელოდებოდი, სხვადასხვა ადამიანების ფიქრებში გეძებდი. თუ ვინმე თვალს მოგკრავდა, გავიგებდი სად იყავი. აღელვების მიზეზი არ მქონდა... მაგრამ უცნაურად ვნერვიულობდი _ სუნთქვა ამიჩქარდა ამის გახსენებაზე. მისი სურნელი ვიგრძენი და ოდნავ დავმშვიდდი. ყელის წვა იყო იმის დასტური, რომ ცოცხალი იყო. მანამ სანამ ვიწვოდი, ის უსაფრთხოდ იყო.

_წრეზე ვატარებდი მანქანას... ვუსმენდი... _იმედია მიხვდა რას ვგულისხმობდი _მზე ჩადიოდა და მანქანიდან გადმოსვლას ვაპირებდი, ფეხით რომ დაგდევენბოდი. და შემდეგ...

როდესაც გამახსენდა ყველაფერი, ისევ ის მომაკვდინებელი სისასტიკე ვიგრძენი.

მინდოდა ის არამზადა კაცი მომეკლა. კბილები ერთმანეთს მაგრად დავაჭირე, რომ ჩემი თავი ადგილზე შემეკავებინა. ბელას ვჭირდებოდი. მხოლოდ ამას ჰქონდა მნიშვნელობა.

_შემდეგ? _ ჩურჩულით მკითხა, მისი მუქი თვალები გაოცებისგან გაფართოებულიყო.

_გავიგონე რას ფიქრობდნენ _ კბილებში გამოვცარი, რომ არ დამეღრიალა _მის ფიქრებში დაგინახე.

მისი მოკვლის სურვილს ძლივს ვუწევდი წინააღმდეგობას. გადასარევად ვიცოდი, სადაც უნდა მომეძებნა. მისი ამაზრზენი ფიქრები მისკენვე მიზიდავდა მოსაკლავად...

სახეზე ხელები ავიფარე. ვიცოდი რომ მონსტრის, მკვლელის გამომეტყველება მქონდა. ბელას სახე წარმოვიდგინე. მინდოდა მხოლოდ მასზე მომეხდინა კონცენრაცია, რომ დავმშვიდებულიყავი. მის სხეულის მოყვანილობაზე, მის ფერმკრთალ კანზე, რომელიც ბროილს ჭიქაზე გადაკრული აბრეშუმით იყო. სასწაულად ადვილად მსხვრევადი. ძალიან სათუთი იყო ამ სამყაროსთვის. მფარველი სჭირდებოდა და რაღაც გაურკვეველი დაუგეგმავობით, მე მასთან ყველაზე ახლოს აღმოვჩნდი.

ვცადე ჩემი სიფიცხე ამეხსნა ისე, რომ გაეგო.

_ძალიან ძნელი იყო... ვერც კი წარმოიდგენ როგორი ძნელი... რომ უბრალოდ წამომეყვანე და ისინი ცოცხლები დამეტოვებინა _ ჩურჩულით ვთქვი _ ჯესიკასთან და ანეჯელასთან ერთად უნდა გამეშვი, მაგრამ შემეშინდა, თუ

მარტო დავრჩებოდი, აუცილებლად წავიდოდი მათ მოსაძებნად.

დღის მანძილზე უკვე მეორედ ვალიარე, მკვლელობის სურვილი. ამ

შემთხვევაში, ეს თავდაცვა იქნებოდა.

სანამ თავის გაკონტროლებას ვცდილობდი, ბელას ხმა არ ამოუღია. მის

გულისცემას ვუსმენდი. რითმი არარეგულარული იყო, მაგრამ ცოტახანში

ნორმაში ჩადგა. მისი სუნთქვაც მშვიდი და თანაბარი იყო.

კონტროლის დაკარგვასთან საკმაოდ ახლოს ვიყავი. სახლში უნდა წამეყვანა,

სანამ...

შემდეგ მოვკლავდი არამზადას?! ნუთუ ისევ მკვლელი გავხდებოდი, მას

შემდეგ რაც ბელა ესე მენდობოდა?! იქნებ არსებობდა რამე გზა, რაც

შემაჩერებდა?!

დამპირდა, რომ თავის თეორიას მომიყვებოდა. მინდოდა კი მოსმენა?

ძალიან მინდოდა გამეგო, მაგრამ თან ვლელავდი. იქნებ ჯობდა არაფერი გამეგო?

ყოველშემთხვევაში მან უკვე საკმარისი სიმართლე მიიღო დღეს. სახეზე

შევხედე, გაფითრებული იყო, მაგრამ ღელვა ისევ არ ეტყობოდა.

_მზად ხარ სახლში წასასვლელად? _ შევეკითხე.

_მზად ვარ წავიდეთ _ ისე მითხრა, თითქოს სიტყვების სწორად შერჩევას

ცდილობდა. თითქოს მხოლოდ სიტყვა “დიახ” სრულად ვერ გამოხატავდა იმას,

რაც სურდა.

მტანჯველი იყო.

მიმტანი გოგონა დაბრუნდა. ბელას ბოლო სიტყვები გაიგონა, ტიხართან

იდგა და ფიქრობდა, კიდევ რა შეეძლო შემოეთავაზებინა ჩემთვის. მინდოდა

თვალეები ამეტრიალებინა იმ შემოთავაზებებზე, რაც მის ფიქრებში ამოვიკითხე.

_როგორ მიდის საქმეები? _ მკითხა

_ანგარიში მოგვიტანეთ, თუ შეიძლება _ ვუპასუხე ისე რომ მისთვის არც

შემიხედავს.

გოგონას სუნთქვა აუჩქარდა. ბელას სიტყვებით რომ გადმოვცე _ ჩემმა ხმამ თავბრუ დაახვია.

მის გონებაში მოვისმინე, თუ როგორ ჟღერდა ჩემი ხმა მისთვის.

გავანალიზე, რატომ ვიპყრობდი დღეს ამდენ ყურადღებას. სულაც არ ვიყავი საშიში.

ეს ბელას გამო ხდებოდა. ძალიან ვცდილობდი უსაფრთხო ვყოფილიყავი მისთვის, არ შეშინებოდა ჩემი. უფრო ადამიანური ვყოფილიყავი. მართლა ვკარგავდი შეშინების ნიჭს. სხვა ადამიანები ეხლა მხოლოდ სილამაზეს ხედავდნენ ჩემში. საკმაოდ კარგად ვაკონტროლებდი თავს და ჩემი ნიჭი დამალული იყო.

მიმტანს ავხედე და ვადროვე გონზე მოსულიყო. მეცინებოდა, როცა მივხვდი რატომ იყო ესე აღელვებული.

_რათქმაუნდა _ ძლივს თქვა _ინებეთ.

ჩეკის ჩასადები გამომიწოდა. ჩეკის უკან კი თავისი სავიზიტო ბარათი ჩაედო, რომელზეც სახელი და ტელეფონის ნომერი ეწერა.

ნამდვილად სასაცილო იყო.

ფული მზად მქონდა. ამიტომ სწრაფად დავუბრუნე ჩეკის ჩასადები. ფუჭი იმედი რომ არ ჰქონოდა, რომ ოდესმე დავურეკავდი.

_ხურდა არ მინდა _ ვუთხარი. იმედი მქონდა მსხვილი კუპიურა განაწყენებას დაავიწყებდა.

ავდექი და ბელამაც მომბაძა. მინდოდა ხელი შემეთავაზებინა, მაგრამ ვიფიქრე, რომ ერთი დღისთვის საკმარისი იყო. მიმტანს მადლობა ისე გადავუხადე, ბელასთვის თვალი არ მომიშორებია. ბელაც გამხიარულებული ჩანდა.

გარეთ გამოვედი. საკმაოდ ახლოს ვიდექი ბელასთან. ისე ახლოს, რომ მისი სხეულიდან წამოსულ სითბოს ისე ვგრძნობდი ჩემს კანზე, თითქოს მეხებოდა.

როდესაც კარი გამოვალე, ამოიოხრა. ჩავფიქრდი, ნეტავ რა იყო მისი სევდის მიზეზი? როდესაც თვალეში შევხედე და გადავწყვიტე მიზეზი მეკითხა, მიწას დახედა, აღელვებული მომეჩვენა. ამან უფრო გაამძაფრა ჩემი ცნობისმოყვარეობა. ჩუმი ვიყავით, სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა და მეც ჩემი ადგილი დავიკავე. გამათბობელი ჩავრთე, თავი კომფორტულად რომ ეგრძნო. ჩემს ქურთუკში გაეხვა. ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა.

საუბრის დაწყებას არ ვჩქარობდი. მიწოდდა ლამპიონების სინათლიდან მალე გავსულიყავით. სიბნელეში უფრო კარგად ვგრძნობდი, რომ მარტო ვიყავით.

სწორად ვიქცეოდი? როდესაც მთელი კონცენტრირება მხოლოდ მასზე მქონდა, მანქანა ძალიან პატარა მომეჩვენა. მისი სურნელი გამათბობელმა სალონში დაატრიალა და უფრო გააძლიერა. ისე გაძლიერდა, თითქოს სახე შეიძინა. სახე, რომელიც ყურადღებას მოითხოვდა.

ყურადღებაც მიიპყრო, ცეცხლში გავეხვიე. თუმცა წვა ასატანი იყო და ეს საკმაოდ მეუცნაურა. დღეს უკვე იმდენი რამ გავთქვი, იმაზე მეტი ვიდრე მოველოდი. ბელა კი ისევ ჩემს გვერდით იჯდა. ამისთვის ჩემგან უფრო მეტს იმსახურებდა. თავგანწირვას, მაგალითად წვას.

თუ მხოლოდ წვაზე შევჩერდებოდი, მაგრამ შხამმა ამივსო პირის ღრუ, კუნთები კი დამეჭიმა, ისე როგორც ნადირობისას...

ამაზე არ უნდა მეფიქრა და ვიცოდი რა გადამატანინებდა ყურადღებას.

_ახლა კი _ ჩუმი ვთქვი, მისი პასუხის შიშმა წვა სულ გადამავიწყა _ შენი ჯერია.

10 თავი

თეორია

_ შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა დაგისვა? _ იმის მაგივრად, ჩემს

კითხვებზე ეპასუხა, აქეთ მიწყობდა დაკითხვას.

ძალიან დაძაბული ვიყავი. მხოლოდ ცუდზე ვფიქრობდი. მიუხედავად ამისა, მაინც მაცდური იყო ამ მომენტის გახანგრძლივება – კიდევ ცოტახანს, რომ ყოფილიყო ბელა ჩემთან, თავისი სურვილით, სულ რამოდენიმე წამი.

ამოვიოხრე და ვუთხარი:

_ მხოლოდ ერთი.

_ კარგი. _ შეყვინდა, თითქოს ფიქრობდა, რომელი შეკითხვა დაესვა. _ შენ მითხარი, რომ იცოდი წიგნის მაღაზიაში არ შევსულვარ და სამხრეთით წავედი. უბრალოდ ვფიქრობდი, როგორ გაიგე ეს?

საქარე მინიდან სიბნელეში გავიხედე. კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც მისთვის უბრალო კითხვა იყო, ჩემი პასუხი კი საკმაოდ ბევრს მიახვედრებდა.

_ მეგონა არაპირდაპირი საუბარი აღარ მოგვიწევდა. _ კრიტიკული და განაწყენებული ტონით მითხრა.

როგორი ირონიული იყო. თვითონ უღმობლად არაპირდაპირი იყო. ბუნებრივად გამოსდიოდა.

უნდოდა მეც პირდაპირი ვყოფილიყავი. ეს საუბარი კარგს არაფერს მოიტანდა.

_ მაშ კარგი. _ ვთქვი როგორც იქნა. _ შენს სურნელს გამოვყევი.

მინდოდა მისთვის შემეხედა, მაგრამ შემეშინდა. ამის ნაცვლად მის გულისცემას დავუგდე ყური. თავიდან აჩქარებული იყო, შემდეგ დასტაბილურდა. ხოლო როცა რამოდენიმე წუთის შემდეგ ხმა ამოიღო, მისი ხმა იმაზე მეტად მტკიცე ჰქონდა, ვიდრე მოველოდი.

_ შენ ჩემს ერთ-ერთ პირველ კითხვას არ უპასუხე.

მოღუშულმა შევხედე, ისიც თავის დამვრენას ცდილობდა.

_ რომელს?

_ როგორ ხდება ეს, ფიქრების კითხვა? _ გამიმეორა რესტორანში

დასმული შეკითხვა. _ ნებისმიერი ადამიანის ფიქრის წაკითხვა შეგიძლია?

ნებისმიერ ადგილას? როგორ აკეთებ ამას? შენი ოჯახის სხვა წევრებსაც

შეუძლიათ?... _ გონება აებნა, ისევ გაწითლდა.

_ ერთზე მეტია. _ ვუთხარი.

უბრალოდ შემომხედა, ჩემს პასუხს ელოდა.

იქნებ ჯობდა ყველაფერი მეთქვა მისთვის? მაინც ხვდებოდა. თან

გაცილებით მარტივი იყო იმასთან შედარებით, რაც მემუქრებოდა.

_ არა, მხოლოდ მე ვკითხულობ სხვის ფიქრებს, მაგრამ არ შემიძლია

ნებისმიერ ადამიანს ვუსმინო, ნებისმიერ ადგილას. ახლოს უნდა ვიყო. რაც

უფრო ნაცნობია ხმა, მით უფრო შორს მესმის ის, თუმცა რამოდენიმე მილს არ

სცდება. _ ვფიქრობდი როგორ ამეხსნა, რომ ადვილად გაეგო. რამე ანალოგის

მოყვანა რომ შემძლებოდა. _ დაახლოებით ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ხალხით

სავსე დიდ დარბაზში ხარ, ყველა თავისთვის ლაპარაკობს, მხოლოდ გუგუნია,

ზუზუნის გესმის ფონად, ვიდრე ერთ კონკრეტულ ხმაზე არ მოვახდენ

კონცენტრირებას და შემდეგ მკაფიოდ ვიგებ, თუ რას ფიქრობს ის პიროვნება.

ძირითადად არ ვაქცევ ყურადღებას, საკმაოდ დამღლეელია, თან ასე უფრო

ადვილია ნორმალური ჩანდე, _ დავიმანჭე. _ როდესაც ვიღაცის ფიქრს

შემთხვევით ხმამალა არ ვპასუხობ.

_ როგორ ფიქრობ, ჩემი ფიქრები რატომ არ გესმის? _ ჩაფიქრდა.

ისევ სიმართლე და შედარება შევთავაზე:

_ არ ვიცი. _ ვაღიარე გულწრფელად _ ვვარაუდობ, რომ შენი გონება

ისე არ მუშაობს, როგორც დანარჩენების. თითქოს შენი ფიქრები AM სიხშირეზე

მუშაობს, მე კი მხოლოდ FM-ს ვიღებ.

მალევე გავაცნობიერე, რომ ეს შედარება არ მოეწონებოდა. ვიცოდი,

როგორი რეაქციაც ექნებოდა და გამეღიმა.

_ ჩემი გონება არასწორად მუშაობს? _ მის ხმაში გულისტკივილი

მოისმოდა. _ არანორმალური ვარ?

ისევ ირონია.

_ სხვების ფიქრები მესმის და გგონია შენ ხარ არანორმალური?

გამეცინა. ყველა პატარა დეტალს ხვდებოდა, ყველაზე მნიშვნელოვანს კი _ ვერა.

არასწორი ინსტინქტები ჰქონდა...

ბელა ტუჩს იჭამდა. წარბები ისე ჰქონდა შეჭმუხნილი, რომ მათ

შორის პატარა ნაოჭი გასჩენოდა.

_ არ ინერვიულო. _ დავარწმუნე. _ ეს მხოლოდ თეორიაა... _ კიდევ

გვქონდა ერთი მნიშვნელოვანი თეორია განსახილველი. მინდოდა დროზე

მოგვეშორებინა ეს საკითხი. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ისეთი შეგრძნება

მქონდა, თითქოს დროს ვიპარავდი.

_ რომელიც ისევ შენთან გვაბრუნებს. _ ორად ვიყავი გაყოფილი. თან

მინდოდა მომესმინა, თან მეშინოდა.

ამოიოხრა, ისევ ტუჩს იკვნეტდა. ვლელავდი არ ტკენოდა. შეწუხებული

სახით მომაჩერდა თვალებში.

_ ხომ შევთანხმდით, რომ არაპირდაპირი საუბარი აღარ მოგვიწევდა? _

ჩუმად ვკითხე.

ძირს დაიხედა, თითქოს რაღაც შინაგანი დილემის წინაშე იდგა. უცებ

გაშეშდა და თვალები გაუფართოვდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, პირველად

შევამჩნიე მის სახეზე შიში.

_ ღმერთო ჩემო. _ დაიყვირა ბელამ.

პანიკამ მომიცვა. რა დაინახა? რით შევაშინე?

შემდეგ დაიყვირა:

_ შეანელე.

_ რა მოხდა? _ ვერ მივხვდი, რამ გამოიწვია მისი შიში.

_ საათში ასი მილის სისწრაფით მოძრაობ. _ დამიყვირა. ფანჯარაში

გაიხედა და სწრაფად მოაბრუნა თავი, როდესაც გვერდით სწრაფად მოძრაობი ხეები დაინახა.

ამ უმნიშვნელო რაღაცამ _ მანქანის სწრაფად ტარებამ, აიძულა

შიშისგან ეყვირა?

თვალეები ავატრიალე.

_ დამშვიდდი ბელა.

_ ცდილობ მოგვკლა? _ ხმამაღლა, გაბრაზებული ხმით მკითხა.

_ არ დავიმტვრევით. _ დავპირდი.

ღრმად ჩაისუნთქა და უფრო დამშვიდებული ხმით განაგრძო საუბარი.

_ რატომ ჩქარობ ასე?

_ მე ყოველთვის ასე ვატარებ.

თვალეებში შევხედე. მისმა შეშინებულმა გამომეტყველებამ გამამხიარულა.

_ გზას უყურე! _ დამიყვირა.

_ ავარიაში არასოდეს მოვყოლილვარ ბელა. ჯარიმაც კი არ მიმიღია. _

გავუღიმე და შუბლზე მივიდე ხელი. კომიკური სიტუაცია იყო _ ვეხუმრებოდი იმაზე, რაც ასე უცნაური და გასაიდუმლოებული იყო. _ რადარების დეტექტორი მაქვს ჩაშენებული.

_ ძალიან სასაცილოა. _ მიპასხუა სარკასტულად. მისი ხმა შეშინებულს

უფრო ჰგავდა, ვიდრე გაბრაზებულს. _ თუ გახსოვს ჩარლი პოლიციელია,

მოძრაობის წესების პატივისცემას, ბავშვობიდან მასწავლიდნენ. თანაც თუ

მანქანით ხეს შევეჯახებით, შენ უბრალოდ ადგები და წახვალ.

_ შესაძლებელია. _ დავეთანხმე და მწარედ გამეცინა. დიახ, ავარიის

შემთხვევაში, შედეგები ჩვენთვის რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა.

მართალი იყო, როდესაც ეშინოდა. მიუხედავად ჩემი ტარების შესაძლებლობისა...

_ მაგრამ შენ ვერა.

ამოვიოხრე და სვლა შევანელე.

_ კმაყოფილი ხარ?

სპიდომეტრს შეხედა.

_ თითქმის.

ნუთუ ესც სწრაფი იყო მისთვის?

_ ვერ ვიტან ნელა ტარებას. _ ჩავიბუზღუნე ჩემთვის. სპიდომეტრზე ისარი კიდევ ერთი ნიშნულით ჩავიდა ქვევით.

_ ეს ნელია? _ მკითხა.

_ გვეყო კომენტარები ჩემს ტარებაზე. _ წარმოვთქვი მოუთმენლად.

რამდენჯერ გაექცა ჩემი შეკითხვის პასუხს? სამჯერ? ნუთუ მისი ფიქრები ასეთი საშინელება იყო? დაუყოვნებლივ უნდა გამეგო.

_ მე კვლავ ველი შენს ბოლო თეორიას.

ისევ ტუჩზე იკბინა. სახეზე განაწყენება ეწერა, ტკივილიც კი.

ჩემი მოუთმენლობა მოვთოკე და ხმა შევარბილე. არ მინდოდა რამეზე ედარდა.

_ არ გავიცინებ. _ დავიპირდი და ვინატრე, მხოლოდ ეს ყოფილიყო მისი დუმილის მიზეზი.

_ უფრო მეშინია, რომ გამიბრაზდები. _ დაიჩურჩულა.

თავს ძალა დავატანე, რომ მშვიდი ხმით მეპასუხა.

_ ასე ცუდადაა საქმე?

_ დიახ, საკმაოდ.

ძირს დაიხედა, რათა ჩემთვის თვალეზში არ შემოეხედა. დრო გადიოდა.

_ დაიწყე. _ გავამხნევე.

_ არ ვიცი საიდან დავიწყო. _ ჩაილაპარაკა ჩუმად.

_ იქნებ თავიდან დაგეწყო? _ მისი სიტყვები გამახსენდა, სადილობისას რომ მითხრა. _ შენ თქვი, რომ ეს თეორია თვითონ არ მოგიფიქრებია.

_ არა. _ თქვა და ისევ დადუმდა.

ჩავფიქრდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი შთაგონების წყარო.

_ საიდან მოგაფიქრდა? წიგნიდან თუ კინოდან?

მისი კოლექცია უნდა შემეთვალღიერებინა, როდესაც სახლში არ იქნებოდა.

არ ვიცოდი, ჰქონდა თუ არა მას ბრემ სტოკერის ან ენ რაისის შემოქმედება.

_ არა. _ მითხრა მან. _ ეს შაბათს სანაპიროზე მოხდა.

ამას არ ველოდი. ადგილობრივების ჭორაობა არასოდეს იყო შემაშინებელი,

რეალობასაც კი არ ჰგავდა. ნუთუ რამე ახალი ჭორი იყო, რომელიც მე არ

გამიგია?! ბელამ შემომხედა და ჩემი გაოცება შეამჩნია.

_ ოჯახის ძველ მეგობარს გადავეყარე, ჯეიქობ ბლექს. _ განაგრძო

ლაპარაკი. _ მამამისი და ჩარლი საკმაოდ დიდი ხანია მეგობრობენ.

ჯეიქობ ბლექი _ ეს სახელი არ მეცნობოდა, თუმცა რაღაცას მახსენებდა...

ძველ დროს... ძალიან ადრე... ფანჯარაში გავიხედე. მოგონებებში ვიქექებოდი,

რათა კავშირი მეპოვნა.

_ მამამისი ქულიტეების ერთ-ერთი უხუცესთაგანია. _ ამიხსნა.

ჯეიქობ ბლექი, ეფრემ ბლექი, უდავოდ შთამომავალია.

საქმე ძალიან ცუდად იყო.

მან სიმართლე იცოდა.

ვიდრე მანქანით ჩაბნელებულ, მრუდე გზაზე მივქროდი, ვცდილობდი

მთლიანი ლოგიკური ჯაჭვი ამეწყო. სხეული ტანჯვისგან გაშეშებული მქონდა,

მხოლოდ საჭის მართვისას ვირხეოდი ოდნავ.

მან სიმართლე იცოდა.

მაგრამ... თუ ბელამ სიმართლე შაბათს გაიგო... გამოდის, რომ მან მთელი

საღამო იცოდა ის... და ახლაც...

_ ცოტა გავისეირნეთ. _ განაგრძო თხრობა. _ ძველ ლეგენდებს მიყვებოდა,

მგონი ჩემს შეშინებას ცდილობდა. ერთი ლეგენდა მომიყვა...

გაჩუმდა. მერყეობას აზრი აღარ ჰქონდა, ვიცოდი, რომ თხრობას

განაგრძობდა. ერთადერთ გამოცანას მისი აქ ყოფნა წარმოადგენდა.

_ განაგრძე. _ ვუთხარი.

_ ვამპირების შესახებ. _ ჩურჩულით თქვა და ამოისუნთქა.

რატომღაც ამ სიტყვის მისგან მოსმენა უფრო უარესი იყო, ვიდრე თვითონ ის ფაქტი, რომ მან სიმართლე იცოდა. ამის გაგონებამ შემაკრთო და ვეცადე თავი ხელში ამეყვანა.

_ შენც მაშინვე ჩემზე გაიფიქრე? _ ვკითხე.

_ არა, მან... შენი ოჯახი ახსენა.

როგორი ირონიული იყო, რომ თვითონ ეფრემის შთამომავალმა დაარღვია შეთანხმება, რომელიც უნდა დაეცვა. ნეტავ შვილიშვილი იყო თუ შვილთაშვილი? რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ? სამოცდაათი? უნდა მივმხვდარიყავი, რომ საშიშროებას ის მოხუცები კი არ წარმოადგენდნენ, რომლებსაც ძველი ლეგენდების სჯეროდათ, არამედ ახალი თაობა, რომლებიც გააფრთხილების მიუხედავად, ეს ყველაფერ მოხუცების სასაცილო ცრურწმენები ეგონებოდათ. სწორედ მათგან მოდიოდა საფრთხე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ მოვინდომებდი, უფლება მქონდა მთელი დაუცველი ტომი გამენადგურებინა სანაპიროზე. ეფრემი, თავისი დამცველთა ხროვით, დიდიხნის გარდაცვლილები იყვნენ...

_ მას ეგონა, რომ ეს უბრალოდ სულელური ცრურწმენები იყო. _

მოულოდნელად დაამატა ბელამ, მისი ხმა ახალი მღელვარებით იყო სავსე. _ არ ეგონა, რომ დავიჯერებდი.

პერიფერიული მხედველობიდან დავინახე, რომ მოუსვენრად ისრესდა ხელებს.

_ ჩემი ბრალია. _ დაამატა ცოტა ხნის შემდეგ. თავი ისე დახარა, თითქოს თავს მართლა დამნაშავედ გრძნობდა. _ მე ვაიძულე ეთქვა.

_ რატომ? _ ძნელი აღარ იყო მშვიდი ტონით მელაპარაკა. ყველაზე ცუდი

უკვე უკან იყო. ვიდრე ჩემი საიდუმლოს დეტალებზე ვსაუბრობდით, მის შედეგებზე საუბარი არ მოგვიწევდა.

_ ლორენმა რაღაც თქვა შენზე, ჩემს პროვოცირებას ცდილობდა. _ ამის გახსენებაზე, სახე დაემანჭა. ვერ მივხვდი, როგორ შეიძლებოდა ვილაცას ჩემზე საუბრით, ბელა გამოეწვია. _ და უფროსმა ბიჭმა ტომიდან თქვა, რომ შენი ოჯახი რეზერვაციაში არ დადის, ოღონდ ეს ისე თქვა, თითქოს სხვა რაღაცას გულისხმობდა. ამიტომ ჯეიქობი დავიმარტოხელე და ეშმაკობით ვათქმევინე. როდესაც აღიარა, თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა. მისი გამომეტყველება კი... დამნაშავესას ჰგავდა.

გვერდზე გავიხედე და ხმამაღლა გამეცინა. ის გრძნობდა თავს დამნაშავედ? რა უნდა გაეკეთებინა ისეთი, გაკიცხვა რომ დაემსახურებინა?

_ როგორ აიძულე, რომ ეთქვა? _ ვკითხე.

_ შევეცადე მეფლირტავა. ამან იმაზე მეტად გაამართლა, ვიდრე მოველოდი.

_ ამიხსნა. თავისი წარმატების გახსენებაზე, ხმაში უნდობლობა შეეპარა.

შემემლო წარმომედგინა _ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი მიმზიდველი იყო ის საწინააღმდეგო სქესისათვის, როდესაც სულაც არ ცდილობდა მათი ყურადღების მიპყრობას და როგორი თვალისმომჭრელი იქნებოდა ის, როდესაც შეეცდებოდა მიმზიდველი ყოფილიყო.

_ ნეტავ მენახა. _ ვთქვი და შავ იუმორზე გამეცინა. ვინატრე ბიჭის რეაქცია მომესმინა, დავსწრებოდი მის განადგურებას. _ და შენ მე მადანაშაულებდი, რომ ხალხს თავბრუს ვახვევ? საწყალი ჯეიქობ ბლექი.

ჩემი საიდუმლოს გამმჟღავნებელზე იმდენად გაბრაზებული არ ვიყავი, როგორც მოველოდი. არც მან იცოდა ყველაფერი. ამას გარდა, როგორ შეიძლებოდა ამ გოგონასთან ყოფილიყავი და არ მიგეცა ის, რასაც ითხოვდა? არა, მე მხოლოდ მესიამოვნა, რომ ბელას მონდომების გამო, ამ ბიჭის ტვინის ნაწილს ზიანი მიადგა.

ვიგრძენი, როგორ გაუთბა ლოყები. გავხედე და დავინახე, რომ ფანჯარაში იყურებოდა. ხმა აღარ ამოუღია.

_ რა მოიმოქმედე შემდეგ? _ შევაგულიანე. დრო იყო, დავბრუნებოდი ჩვენს საშინელებათა ისტორიას.

_ ინტერნეტში მოვიძიე მასალები.

საკმაოდ პრაქტიკული იყო.

_ ამან დაგარწმუნა?

_ არა. _ მითხრა. _ არაფერი მოერგო, უმეტესობა სისულელე იყო... და მერე...

ისევ შეწყვიტა საუბარი და გავიგონე როგორ დააჭირა კბილები ერთმანეთს.

_ რა? _ შევეკითხე. რა აღმოაჩინა? რამ გამოიწვია მისი კომმარები?

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჩურჩულით თქვა:

_ გადავწყვიტე, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მისმა პასუხმა, ყველა ჩემი ფიქრი ნახევარი წამით გაყინა, შემდეგ კი ყველაფერი შეერთდა. რატომ გაუშვა თავისი მეგობრები მარტო, იმის ნაცვლად, რომ თვითონაც გაჰყოლოდა. რატომ ჩამიჯდა მანქანაში ისევ, იმის მაგივრად, რომ ყვირილით გაქცეულიყო პოლიციისკენ...

მისი რეაქციები ყოველთვის არასწორი იყო _ სრულიად არასწორი. ის

საფრთხეს იზიდავდა, ეპატიჟებოდა მას.

_ მნიშვნელობა არ ჰქონდა? _ კბილებში გამოვცერი, ბრაზმა ამავესო. როგორ შემეძლო დამეცვა ვიღაც, ვინც ასე... ასე ისწრაფვოდა დაუცველობისკენ?!

_ არა. _ თქვა მან უჩვეულოდ ნაზი ხმით. _ ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს რა ხარ.

უბრალოდ წარმოუდგენელი იყო.

_ არ განაღვლებს, რომ მონსტრი ვარ? არაადამიანი?

_ არა.

დავფიქრდი, ტვინში ყველაფერი წესრიგში ჰქონდა თუ არა.

ვიმედოვნებდი, რომ შემძლეო მისი საუკეთესო სამედიცინო მოვლით უზრუნველყოფა... ქარლაილი მთელს თავის ნაცნობობას გამოიყენებდა, რათა მისთვის ჰკვიანი ექიმები ეპოვნა, საუკეთესო თერაპევტები. იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო, იმის გამოსწორება, რაც სჭირდა. რაც იმის სიმტკიცეს აძლევდა, რომ ვამპირის გვერდით მჯდარიყო და ამასთან ერთად მისი გულისცემა მშვიდი და თანაბარი ყოფილიყო. მე კი დაველოდებოდი შესაძლებლობას, რომ იმდენჯერ მომენახულებინა, რამდენჯერაც ამის საშუალება მომეცემოდა...

_ გამიბრაზდი. _ ამოიოხრა. _ არ უნდა მეთქვა.

თითქოს ამ შემაწუხებელი ტენდენციების დამალვა, რამე კარგს მოგვიტანდა.

_ არა, მირჩევნია ვიცოდე რას ფიქრობ. სიგიჟეც რომ იყოს, მაინც.

_ ანუ, ისევ შევცდი? _ შემეკითხა ოდნავ გამომწვევად.

_ ეგ არ მიგულისხმია. _ კბილები მაგრად დავაჭირე ერთმანეთს. _

"მნიშვნელობა არ აქვს!" _ გაღიზიანებულმა გავიმეორე.

ამოისუნთქა.

_ მართალი ვარ?

_ მნიშვნელობა აქვს? _ მოვიგერიე.

ღრმად ჩაისუნთქა. გაღიზიანებული ველოდებოდი მის პასუხს.

_ არა. _ თქვა დამშვიდებული ხმით. _ უბრალოდ მაინტერესებს.

არა, მართლა არ ჰქონდა ამას მნიშვნელობა. არ ანაღვლებდა. იცოდა, რომ

მონსტრი ვიყავი და ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის.

მიუხედავად ჩემი ღელვისა მის ფსიქიურ მდგომარეობაზე, ჩემში იმედის

ნაპერწყალი გაჩნდა, მისი ჩახშობა ვცადე.

_ რა გაინტერესებს? _ ვკითხე. წვრილმანი დეტალების გარდა, საიდუმლო

აღარ არსებობდა.

_ რამდენი წლის ხარ? _ მკითხა.

ჩემი პასუხი ავტომატური და ჩვეული იყო: _ ჩვიდმეტის.

_ დიდი ხანია ჩვიდმეტის ხარ?

ვეცადე მის მზრუნველ ტონზე არ გამლიმებოდა: _ საკმაოდ.

_ გასაგებია. _ მოულოდნელი ენთუზიაზმით თქვა და გამიღიმა. როდესაც მის სულიერ მდგომარეობაზე შეშფოთებულმა შევხედე, მან კიდევ უფრო მეტად გამიღიმა. სახე დამემანჭა.

_ არ გაიცინო! _ გამაფრთხილა. _ მაგრამ, როგორ გამოდიხარ დღის მანძილზე გარეთ?

მისი თხოვნის მიუხედავად, მაინც გამეცინა. როგორც ჩანს, მის კვლევაში არაფერი უჩვეულო არ იყო.

_ მითია. _ ვუპასუხე.

_ მზე არ გწვავს?

_ მითია.

_ კუბოში ძილი?

_ მითია.

ძილი დიდიხანია ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი აღარ იყო. თუ არ ჩავთვლით ბოლო დღეებს, ჩამინებულ ბელას რომ ვაკვირდებოდი...

_ ძილი არ შემიძლია. _ ჩავილულლულე. სრულად გავეცი მის შეკითხვას პასუხი.

ცოტახანი ჩუმად იყო.

_ საერთოდ? _ მკითხა.

_ საერთოდ. _ ამოვისუნთქე.

გაკვირვებისგან გაფართოებულ თვალებში ჩავაცქერდი თვალებში

ჩავაცქერდი და ვინატრე ძილი შემძლებოდა. იმისთვის არა, რომ როგორც უწინ, თავდავიწყებას მივცემოდი, არც იმისთვის, რომ მოწყენილობას გავქცეოდი.

უბრალოდ მინდოდა სიზმრები მენახა. იქნებ... თუ შევძლებდი უგონოდ ყოფნას,

თუ შევძლებდი სიზმრის ნახვას, ცოტა ხნით იმ სამყაროში შემძლებოდა ყოფნა, სადაც ერთად ვიქნებოდით. მას ვესიზმრებოდი. მეც მინდოდა მისი სიზმარში ნახვა.

მანაც შემომხედა. გაცეხული გამომეტყველება ჰქონდა. გვერდზე უნდა გამეხედა.

მე არ შემეძლო სიზმრებში მენახა ის. მას კი არ უნდა ენახა სიზმრები ჩემზე.

_ ჯერ კიდევ არ დაგისვამს ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა. _ ვუთხარი. ჩემი მდუმარე მკერდი უფრო გაცივებული და გამაგრებული იყო. უნდა მეიძულებინა რომ შეეგნო. ასე თუ ისე, უნდა გაეანალიზებინა, რას აკეთებდა ახლა. უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ ყველაფერს ნამდვილად ჰქონდა მნიშვნელობა. უფრო მეტად ვიდრე სხვა გარემოებებს. გარემოებებს, როგორც ის ფაქტი იყო, რომ მე ის მიყვარდა.

_ რომელს გულისხმობ? _ მკითხა გაკვირვებულმა. ვერ მიხვდა რა ვიგულისხმე.

ამან ჩემი ხმა უფრო გაამკაცრა: _ არ გაინტერესებს ჩემი დიეტა?

_ ოჰ, ეგ. _ ჩუმი ხმით თქვა.

_ დიახ, ეს. ხომ გაინტერესებს სისხლს ვსვამ თუ არა?

ოდნავ შეაკრთო ჩემმა კითხვამ. როგორც იქნა მიხვედრა დაიწყო.

_ ჯეიქობმა თქვა რაღაც მაგის შესახებ...

_ რა თქვა ჯეიქობმა?

_ მან თქვა, რომ თქვენ... ადამიანებს არ ერჩით, რომ თქვენი ოჯახი არ ითვლება საშიშად, რადგან მხოლოდ ცხოველებზე ნადირობთ.

_ მან თქვა, რომ ჩვენ საშიშნი არ ვართ? _ შევეკითხე ცინიკურად.

_ ზუსტად ასე არა. _ განმიმარტა. _ თქვა, რომ თქვენ არ ითვლებით

საშიშად. მაგრამ ქულიეთებს მაინც არ სურთ თავის მიწაზე თქვენი შეშვება,

ყოველი შემთხვევისათვის.

გზას გავყურებდი. ჩემი ფიქრები უიმედი ღრიალი იყო. ყელში კი ჩვეულ მწველ წყურვილს ვგრძნობდი.

_ ანუ, მართალი იყო? _ ისე მშვიდად მკითხა, თითქოს ამინდის პროგნოზზე მესაუბრებოდა. _ რომ ადამიანებზე არ ნადირობთ?

_ ქუილეთებს კარგი მეხსიერება აქვთ.

თავი დააქნია ღრმად ჩაფიქრებულმა.

_ თუმცა ნუ დამშვიდდები. _ სწრაფად ვთქვი. _ ისინი არ ცდებიან, როდესაც თავს შორს იჭერენ ჩვენგან. ჩვენ მაინც საშიშნი ვართ.

_ ვერ ვხვდები.

არა, ვერ ხვდებოდა. როგორ ვაიძულო მიხვდეს?

_ ჩვენ ვცდილობთ. _ ვუთხარი. _ როგორც წესი, ჩვენ საუკეთესონი ვართ იმაში, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ხანდახან შეცდომებს ვუშვებთ. მაგალითად მე, როდესაც თავს უფლებას ვაძლევ, მარტო ვიყო შენთან.

მანქანა მისი სურნელით იყო სავსე. ნელ-ნელა ვეჩვეოდი ამას, თითქმის ყურადღებასაც აღარ ვაქცევდი, თუმცა ვერ უარვყოფდი იმას, რომ ჩემი სხეული ბოროტი განზრახვით მიილტვოდა მისკენ. პირის ღრუ სავსე მქონდა შხამით.

_ ეს შეცდომაა? _ მკითხა, გულგატეხილი ხმა ჰქონდა. ამ ხმამ განმაიარადა.

მიუხედავად ყველაფრისა, მას ჩემთან ერთად უნდოდა ყოფნა.

იმედის ნაპერწკალი ისევ აენტო, მაგრამ იმ წამსვე ჩავაქრე

_ დიახ, ძალიან საშიში. _ ვუპასუხე გულწრფელად. ვინატრე, როგორღაც სიმართლეს მნიშვნელობა დაეკარგა.

დადუმდა. გავიგონე თუ როგორ აუჩქარდა სუნთქვა, თუმცა ეს სულაც არ იყო შიშის ბრალი.

_ კიდევ მომიყევი რამე. _ მითხრა მოულოდნელად. მისი ხმა ტანჯვას შეეცვალა.

ყურადღებით დავაკვირდი.

ის იტანჯებოდა. როგორ დავუშვი ეს?

_ რისი გაგება გინდა? _ ვკითხე და დავფიქრდი, როგორ შემეძლო

იტანჯვისგან მისი დაფარვა. ვერ დავუშვებდი მის გულის ტკენას.

_ მითხარი რატომ ნადირობთ ცხოველებზე? _ მკითხა.

ნუთუ მიზეზი აშკარა არ იყო? თუ არც ამას ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა?

_ არ მინდა მონსტრი ვიყო. _ ჩავიბურტყუნე.

_ მაგრამ ცხოველები არ არის საკმარისი.

ვცადე სხვა შედარება გამომეძებნა, რათა ადვილად მიმხვდარიყო.

_ რა თქმა უნდა დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ეს შეიძლება შევადაროთ

ტოფუსა და სოიოს რძეზე ცხოვრებას. ჩვენს თავს “ვეგეტარიანელებს”

ვუწოდებთ. ჩვენი პატარა შიდა ხუმრობაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სრულიად

არ აკმაყოფილებს ჩვენს შიშშილს, უფრო სწორად კი წყურვილს, გვადლევს იმის

ძალას, რომ გავუძლოთ, _ ხმას ნელ–ნელა დავუწიე. შემრცხვა, რომ უფლებას

ვამლევდი ასეთ საფრთხეში ყოფილიყო. საფრთხე, რომელშიც ახლაც

იმყოფებოდა... _ ხანდახან თავის შეკავება ბევრად ძნელია.

_ ახლა რთულია?

ამოვიოხხრე. რა თქმა უნდა იმ შეკითხვას დასვამდა, რომელზეც პასუხის

გაცემა არ მინდოდა.

_ დიახ. _ ვაღიარე.

ვიცოდი, როგორი რეაქციაც ექნებოდა: მისი სუნთქვა თანაბარი იყო, მისი

გული კი ჩვეულ რიტმში სცემდა. ამას მოველოდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი.

როგორ შეეძლო, არ შეშინებოდა?

_ მაგრამ ახლა არ გშია. _ გამოაცხადა. სავსებით დარწმუნებული იყო თავის

განცხადებაში.

_ რატომ გგონია?

_ შენი თვალები. _ უცერემონიოდ მითხრა. _ უკვე გითხარი, რომ თეორია მაქვს. შევამჩნიე, რომ ხალხი, განსაკუთრებით მამაკაცები, ბევრად გაღიზიანებულები არიან, როდესაც შიათ.

ჩამეცინა მის ახსნაზე: გაღიზიანებული. ეს სრულიად ვერ გამოხატავდა, მდგომარეობის მთელ სიმძაფრეს, მაგრამ როგორც ყოველთვის, ისევ მართალი იყო.

_ ძალიან დაკვირვებული ხარ, არა? _ კვლავ გამეცინა.

ოდნავ გაიღიმა, მაგრამ მალევე მოიღუშა. აშკარად რაღაცაზე ფიქრობდა.

_ ამ შაბათ-კვირას ემეტთან ერთად ნადირობდი? _ მკითხა მას შემდეგ, რაც სიცილი შევწყვიტე. მისი ჩვეულებრივი ტონი ერთდროულად მომაჯადოებელიც იყო და დამთრგუნველიც. ნუთუ შეეძლო ყველაფერი ასე მშვიდად მიელო? მე უფრო ახლოს ვიყავი შოკში ჩავარდნასთან, ვიდრე ის.

_ დიახ. _ ვუთხარი და გადავწყვიტე, რომ ეს საკითხი დაგვემთავრებინა, მაშინვე ის შეგრძნება გამიჩნდა, რესტორანში რომ ვიგრძენი: მინდოდა კარგად გავეცანი. _ არ მინდოდა წასვლა. _ ნელა გავაგრძელე ლაპარაკი. _ მაგრამ აუცილებელი იყო. შედარებით ადვილია შენთან ყოფნა, როდესაც არ მწყურია.

_ რატომ არ გინდოდა წასვლა?

ღრმად ჩავისუნთქე და მისკენ მივბრუნდი, რათა თვალებში შემეხედა.

გულახდილობა ძალიან ძნელი იყო.

_ ძალიან ვლელავ... _ ვიმედოვნებდი, რომ ეს სიტყვა საკმარისი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სრულად არ გამოხატავდა იმას, რისი თქმაც მინდოდა.

_ როცა შენგან შორს ვარ. არ ვხუმრობდი, როდესაც ხუთშაბათს გთხოვე, გეცადა ოკენეში არ გადავარდნილიყავი. მთელი შაბათ-კვირა ვლელავდი შენზე.

დღევანდელი საღამოს შემდეგ კი, ძალიან მიკვირს უვნებელი რომ გადარჩი უიქენდზე. _ შემდეგ გამახსენდა, რომ ხელისგულზე ნაკაწრები ჰქონდა.

_ თუმცა, სრულიად უვნებელი არა.

_ რა?

_ შენი ხელები. _ შევახსენე.

ამოიხორა და დაიმანჭა: _ დავეცი.

ზუსტად გამოვიცანი.

_ ასეც ვიფიქრე. _ თავი ვერ შევიკავე და გამეღიმა. _ ვფიქრობ, როდესაც საქმე შენ გეხება, შეიძლება ყველაფერი უარესადაც ყოფილიყო. სწორედ ამაზე ფიქრი არ მასვენებდა მთელი იმ დროის მანძილზე, როდესაც შენგან შორს ვიყავი. ეს ძალიან გრძელი სამი დღე იყო. ემეტს ნერვები დავაწყვიტე. გულახდილად რომ ვთქვა, ეხლაც ნერვებს ვუშლიდი ემეტს და მთელს ჩემს ოჯახს, ელისის გარდა...

_ სამი დღე? _ მკაცრად მკითხა. _ დღეს არ დაბრუნდი?

ვერ მივხვდი რამ გაანაწყენა. _ არა, ჩვენ კვირას დავბრუნდით.

_ მაშინ, რატომ არ იყავით სკოლაში? _ პასუხი მომთხოვა. მისმა გახელებამ დამაბნია. როგორც ჩანს ვერ მიხვდა, რომ ეს ჩემს მითიურობასთან იყო დაკავშირებული.

_ შენ მკითხე, მზე მწვავდა თუ არა, მე გითხარი რომ არა, მაგრამ მაინც არ შემიძლია მზის სინათლეზე გასვლა, ყოველ შემთხვევაში იქ არა, სადაც დამინახავენ.

ჩემმა პასუხმა მისი იდუმალი გახელება ჩააცხრო. _ რატომ? _ მკითხა და თავი გვერდზე გადახარა.

ახლა კი, ძალიან გამიჭირდებოდა შედარების მოძებნა. ამიტომ უბრალოდ ვუპასუხე: _ როდესმე გაჩვენებ. _ შემდეგ ჩავფიქრდი. ხომ არ მომიწევდა ამ პირობის დარღვევა?! ვნახავდი კი მას დღევანდელი საღამოს შემდეგ? მეყოფოდა კი სიყვარული საიმისოდ, რომ მიმეტოვებინა?

_ შეგეძლო დაგერეკა. _ მითხრა.

რა უცნაური იყო.

_ მე ვიცოდი, რომ შენ უსაფრთხოდ იყავი.

_ მაგრამ მე არ ვიცოდი, სად იყავი შენ. მე... _ უცებ გაჩერდა და ხელებზე დაიხედა.

_ რა მოხდა?

_ არ მომწონს, _ მორცხვად მითხრა, ლოყები გაუთბა. _ როდესაც ვერ გხედავ. მეც ვლელავ ამ დროს.

ბედნიერი ხარ? ვკითხე საკუთარ თავს. ეს იყო ჯილდო ჩემი იმედისათვის.

შეცბუნებული ვიყავი, აღტაცებული, შეძრწუნებული _ უფრო

შეძრწუნებული _ როდესაც გავაცნობიერე, რომ ჩემი წარმოდგენილი ოცნებები,

არც ისე შორს იყო რეალობისგან. სწორედ ამიტომ არ ანაღვლებდა, ის, რომ

მონსტრი ვიყავი. სწორედ ამ მიზეზით აღარ ჰქონდა არანაირ წესს ჩემთვის

აზრი. რატომ აღარ ახდენდა “სწორი” და “არასწორი” ჩემზე დაუძლეველ

გავლენას. ამიტომ გადაინაცვლა ყველა პრიორიტეტმა უკანა პლანზე, რათა ამ

გოგონასთვის დაეთმოთ ადგილი.

ბელაც ღელავდა ჩემზე.

ვიცოდი, რომ მისი გრძნობა ვერ შეედრებოდა ჩემს მისდამი სიყვარულს.

თუმცა იმისთვის კმაროდა, რომ გარისკა და ჩემს გვერდით მჯდარიყო. თან ამას

სიხარულით აკეთებდა.

საკმარისი საიმისოდ, რომ თუ მივატოვებდი გული სტკენოდა.

შემეძლო კი, რაიმეს გაკეთება ისე, რომ გული სტკენოდა?

თავი შორს უნდა დამეჭირა მისგან. ფორკსიდან სამუდამოდ უნდა

წავსულიყავი. მას ტკივილის მეტს ვერაფერს მოვუტანდი. თუმცა, შემაჩერებდა ეს

ახლა? შევძლებდი წავსულიყავი და ყველაფერი არ გამეუარესებინა?

მის გვერდით კარგად ვგრძნობდი თავს... ვგრძნობდი მისი კანის სითბოს...

არა. ვერაფერი შემაჩერებდა.

_ აჰ. _ ამოვიკვნესე. _ ეს არასწორია!

_ რა ვთქვი ისეთი? _ სწრაფად აიღო დანაშაული თავის თავზე.

_ ნუთუ ვერ ხვდები ბელა? ერთია, როდესაც მე ვიტანჯები და მეორე როდესაც შენც გითრევ ამაში. არ მინდა იმის გაგონება, რომ შენც გაქვს გრძნობა ჩემს მიმართ. _ ეს ერთდროულად სიმართლევ იყო და ტყუილიც. ჩემი ეგოისტური ნაწილი მოხარული იყო, რადგან ბელას ისევე ვჭირდებოდი, როგორც მე მჭირდებოდა იგი.

_ არასწორია! ეს უსაფრთხო არ არის! მე საშიში ვარ, ბელა, გთხოვ, შეიგნე!

_ არა! _ ჯიუტად მოკუმა ტუჩები.

_ სერიოზულად გეუბნები. _ საკუთარ თავს ვებრძოდი, მინდოდა ჩემი გაფრთხილება მიეღო, მაგრამ ამასთანავე მინდოდა, აღარ წარმომეთქვა არაფერი მის გასაფრთხილებლად _ სიტყვები თითქმის ღრიალით წამოვისროლე.

_ მეც. _ ჯიუტად მიპასუხა. _ უკვე გითხარი, მნიშვნელობა არ აქვს რა ხარ.

უკვე ძალიან გვიანია.

ძალიან გვიანია? სამყარო უცებ, ერთი უსასრულო წამით, შავ-თეთრი გახდა, როდესაც ვუყურებდი ბელას მძინარე სხეულს, როგორ ფარავდა ჩრდილი. გარდაუვალი, შეუჩერებელი. მათ მისი კანის ფერი მოიპარეს და სიბნელეში შთანთქმეს.

ძალიან გვიანი? გონებაში ელისის ხილვა ამომიტივტივდა. ბელას სისხლის ფერი თვალები გულგრილად მიყურებდნენ. ვიცოდი შემოიზიზღებდა იმ მომავლისთვის, რომელსაც მოვუტანდი. შევზიზღდებოდი, როცა ყველაფერს წავართმევდი. შევზიზღდებოდი, როდესაც ცხოვრებას და სულს მოვპარავდი. არ შეიძლებოდა ამდენად გვიანი ყოფილიყო.

_ არასოდეს თქვა ეგ. _ დავისისინე.

ფანჯარაში გაიხედა, ისევ ტუჩებს იკვნიტდა. ხელები მუშტებად შეეკრა.

სუნთქვა ჯერ აუჩქარდა, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა.

_ რაზე ფიქრობ? _ უნდა გამეგო.

ისე რომ არც შემოუხედავს თავი გააქნია. დავინახე რაღაცამ კრისტალივით გაიბრწყინა მის ლოყაზე.

აგონია. _ ტირი? _ მე ის ვატირე, ტკივილი მივაყენე.

სწრაფად შეიმშრალა ცრემლები.

_ არა. _ მომატყუა. ხმა გაბზარული ჰქონდა.

რომელიღაც ძველმა ინსტინქტმა მაიძულა მისკენ გავწეულიყავი, ერთი წამით თავი ისევ ადამიანად ვიგრძენი. შემდეგ კი გამახსენდა, რომ... არ ვიყავი და ხელი დავუშვი.

_ მაპატიე. _ ვთხოვე, ყბები ერთმანეთს მაგრად დავაჭირე. როგორ შემეძლო ამეხსნა, რამდენად ვწუხდი?! ვწუხდი ყველა სულელური შეცდომისთვის, რომელიც დავუშვი. ვწუხდი ჩემი უსაზღვრო ეგოისტობის გამო. ვწუხდი, რომ ის უიღბლო აღმოჩნდა, რომელმაც ჩემში პირველი ნამდვილი სიყვარული გააღვიძა. ვწუხდი იმაზეც, რაც ჩემს კონტროლს არ ექვემდებარებოდა. განსაკუთრებით კი იმაზე, რომ მე აღმოვჩნდი ის მონსტრი, რომელსაც ბედისწერამ მისი განადგურება დაავალა.

ღრმად ჩავისუნთქე. ყურადღება არ მივაქციე ჩემს საზიზღარ რეაქციებს, მისმა სურნელმა რომ გამოიწვია ჩემს სხეულში. ვცადე თავი ხელში ამეყვანა. მინდოდა თემა შემეცვალა, რათა სხვა რამეზე მეფიქრა. საბედნიეროდ, ჩემი ცნობისმოყვარეობა გოგონას მიმართ ამოუწურავი იყო. ყოველთვის მქონდა შეკითხვა.

_ მითხარი... _ ვთქვი.

_ დიახ? _ მძიმე ხმით მკითხა, ცრემლების ბრალი იყო.

_ რაზე ფიქრობდი დღეს, ვიდრე მე გამოვჩნდებოდი? ვერ მივხვდი შენს გამომეტყველებას. შეშინებულს არ გავდი. ისეთი გამომეტყველება გქონდა, თითქოს რაღაცაზე ახდენდი კონცენტრირებას. _ მისი სახე გამახსენდა. ვეცადე დამევიწყებინა ვისი თვალებით ვუყურებდი მას.

_ ვიხსენებდი, როგორ განმეიარალებინა თავდამსხმელი. _ მითხრა,
დამშვიდებული ხმით. _ ხომ იცი თავდაცვა. ვაპირებდი მისთვის ცხვირი
გამეტეხა.

მისმა სიმშვიდემ წინადადების ბოლომდეც ვერ მიაღწია. მისი ტონი
სიძულვილით გაივსო. არ აჭარბებდა. მისი გამძვინვარებული კნუტისებური
რისხვა სასაცილო აღარ იყო.

_ შებრძოლებას აპირებდი? _ მინდოდა დამეკვნესა. მისი ინსტინქტები
მისთვისვე იყო მომაკვდინებელი. _ გაქცევაზე არ გიფიქრია?

_ ხშირად ვეცემი სირბილისას. _ აღიარა მორცხვად.

_ ყვირილზე რას იტყვი?

_ მაგასაც ვაპირებდი.

უნდობლად გავაქნიე თავი. მას შემდეგ რაც ფორკსში ჩამოვიდა, როგორ
ახერხებდა, რომ ცოცხალი დარჩენილიყო?

_ მართალი იყავი. _ მკვახედ ვუთხარი. _ ნამდვილად ბედისწერას ვებრძვი
შენი სიცოცხლის გადასარჩენად.

ამოიოხრა და ფანჯარაში გაიხედა, შემდეგ მომიბრუნდა.

_ ხვალ გნახავ? _ მკითხა მოულოდნელად.

რადგან ჯოჯოხეთის გზას ვედექი, შემეძლო მოგზაურობისგან სიამოვნება
მიმეღო.

_ რა თქმა უნდა, მეც უნდა ჩავაბარო თემა. _ გავუღიმიე, მომწონდა

როდესაც ვუღიმიოდი. _ ლანჩზე ადგილს შეგინახავ.

გული აუფრთხილდა. ჩემი მდუმარე გული კი გათბა.

მანქანა მამამისის სახლის წინ გავაჩერე. არ განძრეულა.

_ მპირდები რომ აუცილებლად მოხვალ? _ ჩამაცვივდა.

_ გპირდები.

როგორ შეეძლო არასწორ ქმედებებს, ამხელა სიხარული მოენიჭებინათ

ჩემთვის?! რა თქმა უნდა ეს შეცდომა იყო.

კმაყოფილმა თავი დააქნია და ჩემი ქურთუკის გახდა დაიწყო.

_ შეგიძლია დაიტოვო. _ დავარწმუნე. მინდოდა რაიმე ჩემი ჰქონოდა.

სამახსოვრო, როგორც იმ ბოთლის სახურავი, ჯიბეში რომ მედო ახლა... _

ხვალისთვის ქურთუკი არ გაქვს.

ქურთუკი გამომიწოდა, ნაღვლიანად იღიმებოდა.

_ არ მინდა ჩარლისთვის ახსნა მომიწიოს.

რა თქმა უნდა. გავუღიმე. _ მაშ კარგი.

კარების სახელურს ხელი მოჰკიდა და შეჩერდა. წასვლა არ უნდოდა... არც

მე მინდოდა მისი გაშვება.

არ მინდოდა დაუცველი ყოფილიყო, თუნდაც რამოდენიმე წუთით.

პიტერი და შარლოტა უკვე ძალიან შორს იყვნენ. სიეტლსაც კი

გასცდებოდნენ. მაგრამ ყოველთვის იყვნენ სხვები. ეს სამყარო სულაც არ იყო

უსაფრთხო ადამიანებისთვის, მისთვის კი განსაკუთრებით.

_ ბელა? _ ვკითხე. გამაოცა იმ სიამოვნების შეგრძნებამ, მისი სახელის

წარმოთქმამ რომ მომანიჭა.

_ დიახ?

_ დამპირდები ერთ რამეს?

_ კი. _ ადვილად დამთანხმდა. შემდეგ თვალები დაუწვრილდა, თითქოს

უკვე მიზეზს ეძებდა, რომ გაეპროტესტებინა.

_ ტყეში მარტო არ წახვიდე. _ გავაფრთხილე. ვაკვირდებოდი, გაუქრებოდა

თუ არა გაპროტესტების სურვილი.

შეცბუნებულმა თვალები დაახამხამა. _ რატომ?

უნდობლად მივაჩერდი სიბნელეს. სინათლის ნაკლებობა, ჩემი

თვალებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. თუმცა არც სხვა მტაცებელს

შეუქმნიდა პრობლემას. სიბნელე, მხოლოდ ადამიანებს აბრმავებდა.

_ ყოველთვის ყველაზე სახიფათო არსება არ ვარ. _ ვუთხარი. _ მოდი
ამაზე შევჩერდეთ.

შეაქრჟოლა, მაგრამ მალევე აიყვანა თავი ხელში და როდესაც პასუხს
მცემდა, გამიღიმა კიდეც:

_ როგორც იტყვი.

მისი სუნთქვა ჩემს კანს შეეხო. ძალიან ტკბილი და სურნელოვანი იყო.

შემემლო მთელი ღამე ასე დავრჩენილიყავი, მაგრამ მას ძილი სჭირდებოდა.

მინდოდა უსაფრთხოდ ყოფილიყო.

ამოვიოხრე.

_ ხვალ გნახავ. _ ვუთხარი, თუმცაღა ვიცოდი რომ ბევრად მალე
ვიხილავდი.

_ ხვალამდე. _ თამეთანხმა და კარი გააღო.

ისევ აგონია ვიგრძენი, როდესაც ვუყურებდი როგორ მტოვებდა.

მისკენ მივიწიე, მინდოდა ცოტახანი შემეჩერებინა: _ ბელა?

მომიტრიალდა და გაშემდა. არ მოელოდა ჩემი სახის ასე ახლოს დანახვას.

მეც აღტაცებული ვიყავი ჩვენი სიახლოვით. მისი სითბო ტალღებით
ეხებოდა ჩემს კანს. თითქმის ვგრძნობდი მისი კანის სინაზეს.

გულისცემა არარითმული გაუხდა, ტუჩები გაეხსნა.

_ ტკბილად იძინე. _ დავიჩურჩულე. უკან დავიხიე, რადგან ნაცნობმა

გრძნობამ შემომიტია, არ ვიცი ეს წყურვილი იყო, თუ ახალი გრძნობა, რომელიც
არ მომცემდა უფლებას რაიმე მევნო მისთვის.

ცოტახანს გაუნძრევლად იჯდა, გაფართოვებული თვალებით მიყურებდა.

თავრეტდასხმული, როგორც მივხვდი.

მეც ასევე ვგრძნობდი თავს.

გონება მოიკრიბა, თუმცა მის სახეს მაინც დაბნეულობა ემჩნეოდა.

წაბორძიკდა კინალამ გადავარდა, წონასწორობის შესაკავებლად მანქანის კარს

ჩაებლაუჭა.

ჩამეცინა. საბედნიეროდ ისე ხმადაბლა, რომ ვერ გაიგონა.

ვიდრე სახლის კარამდე მივიდოდა, კიდევ ერთხელ წაიფორხილა. ამ მომენტისთვის უსაფრთხოდ იყო. მალე დავბრუნდებოდი, რათა შემემოწმებინა.

ვიგძენი, როგორ გამომაცოლა თვალი, ვიდრე ბნელ ქუჩაზე შევუხვევდი.

უჩვეულო შეგრძნება იყო ჩემთვის. როგორც წესი შემემლო იმ ადამიანის

თვალეზით დამენახა საკუთარი თავი, ვის ფიქრებსაც ვკითხულობდი.

მოულოდნელი სასიამოვნო შეგრძნებაიყო, რომ მიყურებდა, მაკვირდებოდა.

ათასმა ფიქრმა გამირბინა თავში, ვიდრე ბნელ ქუჩაზე მიმყავდა მანქანა.

დიდი ხანი ვატარებდი მანქანას ქუჩებში წრეზე, უაზროდ. ბელაზე

ვფიქრობდი, იმაზე, რომ მან სიმართლე იცოდა. აღარ უნდა შემშინებოდა იმის,

რომ სიმართლეს გაიგებდა, უკვე იცოდა. თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

აღფრთოვანებული ვიყავი იმის მიუხედავად, რომ ეს მას კარგს არაფერს

მოუტანდა.

ამასთანავე ვფიქრობდი ბელასა და ჩემს ერთობლივ გრძნობაზე. რა თქმა

უნდა მას არ შეეძლო იმავე სიძლიერით ვყვარებოდი, როგორც მე მიყვარდა. ასე

დაუძლეველი, ყოვლისმომცველი, დამანგრეველი სიყვარულით, რომელსაც მისი

სათუთი სხეული უბრალოდ ვერ გაუძლებდა. თუმცა მისი გრძნობა, საკმაოდ

ძლიერი იყო საიმისოდ, რომ შიში დაეძლია. საკმაოდ ძლიერი იმისთვის, რომ

ჩემთან ერთად ყოფნა ნდომებოდა. ჩემთვის კი, მის გვერდით ყოფნა უდიდესი

ბედნიერება იყო.

რადაც მომენტში, საკუთარ თავს უფლება მივეცი ამ ბედნიერებით

დავმტკბარიყავი, არ მეფიქრა ტრაგედიაზე, უბრალოდ ბედნიერი ვყოფილიყავი

იმით, რომ ჩემზე ღელავდა. ვზეიმობდი, რომ მასაც უნდოდა ჩემთან.

წარმოვიდგინე, როგორ ვიჯდებოდი მის გვერდით ყოველ დღე, მოვისმენდი მის

ხმას და დავინახავდი მის ღიმილს.

ჩემს მეხსიერებაში დავინახე მისი ღიმილი. როგორ ეწეოდა ტუჩის კუთხეები. მის სათუთ ლოყაზე კი პატარა ღრმული ჩნდებოდა. როგორი უთბებოდა თვალები... მისი თითები... ისეთი რბილი და თბილი იყო ჩემს ხელზე. წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა მის ნაზ ლოყაზე შეხება... აბრეშუმით ნაზ და თბილ, ესოდენ სათუთ კანზე... თითქოს ბროლზე შემოხვეული აბრეშუმი ყოფილიყოს. შემაშინებლად სათუთი. მანმადე ვერ მივხვდი სად მივყავდი ჩემს ფიქრებს, ვიდრე ძალიან გვიანი აღმოჩნდა. მისი სახის ახალი გამომეტყველება გაჩნდა ჩემს ფანტაზიებში. ჩრდილებში ჩაკარული, შიშისაგან გაფითრებული, თუმცა თავდაჯერებული გამომეტყველება ჰქონდა. მისი პატარა სხეული მზად იყო, შებრძოლებოდა მდეგრებს.

_ ჯანდაბა. _ ამოვიკვინესე. დაუძლეველი ზიზღი გამახსენდა, რომელიც სულ დამვიწყებოდა, ვიდრე მის სიყვარულზე ფიქრით ვტბებოდი. ახლა კი ამ ზიზღმა და გამშაგებამ ამავესო.

მარტო ვიყავი. ბელა სახლში იყო, უსაფრთხოდ. ერთი წუთით თავი ბედნიერად ვიგრძენი, რომ ჩარლი სგონი, ადგილობრივი პოლიციის შეფი, გაწვრთნილი და შეიარაღებული _ მამამისი იყო. ამას რამენაირად უნდა დაეფარა ბელა.

ის უსაფრთხოდ იყო. დიდი ხანი არ დამჭირდებოდა, რათა შური მეძია ბელაზე თავდასხმისათვის.

არა. ის უკეთესს იმსახურებდა. ვერ დავუშვებდი, მკვლელი ჰყვარებოდა.

მაგრამ... დანარჩენებს რა ეშველებოდათ?!

ბელა უსაფრთხოდ იყო. ასევე ანჯელა და ჯესიკაც.

მაგრამ პორტ ანჯელესის ქუჩებში მონსტრი დაძრწოდა. ადამიანი_მონსტრი, ეს ადამიანების პრობლემა იყო? მისი მოკვლა არასწორი იქნებოდა. ეს კარგად ვიცოდი. მაგრამ თავისუფალი რომ დამეტოვებინა, ის სხვებსაც დასხმოდა თავს,

არც ეს იქნებოდა სწორი.

რესტორნის მასპინძელი ქერა გოგონა. მიმტანი, რომლისთვისაც არც კი შემიხედავს. ორივემ საშინლად გამაღიზიანა თავისი ფიქრებით, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ საფრთხეში ყოფნას იმსახურებდნენ.

ორივე შეიძლება ვიღაცის “ბელა” ყოფილიყო.

ამისმა გაანალიზებამ, გადაწყვეტილება მიმაღებინა.

მანქანა ჩრდილოეთისკენ მივაბრუნე. სვლა ავასწრაფე, რადგან ახლა მიზანი მქონდა. ყოველთვის როდესაც ისეთი პრობლემა მიჩნდებოდა, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ ვწყვეტდი _ მაგალითად ასეთი არსებები _ ვიცოდი, ვისთვის უნდა მიმემართა დასახმარებლად.

ელისი გარეთ კიბეზე იჯდა, მელოდებოდა. იმის ნაცვლად, რომ მანქანა ავტო ფარეში შემეყვანა, სახლის წინ გავაჩერე.

_ ქარლაილი კაბინეტშია. _ მითხრა ელისმა, ვიდრე კითხვას დავსვამდი.

_ მადლობა. _ ვუთხარი და თმები ავუჩიჩე.

_ მადლობა, რომ გადმომიჩიქე. _ სარკასტულად გაიფიქრა მან.

_ ოჰ. _ კართან შევჩერდი, ჯიბიდან მობილური ამოვიღე და გავხსენი.

_ მაპატიე, არც კი შემომოწმებია ვინ რეკავდა. დაკავებული ვიყავი.

_ ვიცი. მეც ვწუხვარ. როდესაც დავინახე რა უნდა მომხდარიყო, შენ უკვე მის გადასარჩენად მიდიოდი.

_ ძლივს მივუსწარი. _ ჩავიბურტყუნე.

_ მაპატიე. _ დარცხვენით გაიფიქრა.

ადვილად შემეძლო სულგრძელი ვყოფილიყავი, რადგან ვიცოდი, რომ ბელა კარგად იყო. _ ნუ ღელავ ელის. ვიცი, რომ ყველაფერს თვალს ვერ მიაღვენებ. არავინ მოელის შენგან ყოვლისმცოდნეობას.

_ მადლობთ.

_ დღეს კინალამ სადილად დაგპატიუე. მოასწარი ამის დანახვა, სანამ

გადავიფიქრებდი?

გამიღიმა. _ არა. ეგეც გამომრჩა. ნეტავ დამენახა. აუცილებლად მოვიდოდი.

_ რით იყავი ისე დაკავებული, ამდენი რამ რომ გამოგრჩა?

_ ჯასპერი ფიქრობს ჩვენი ერთად ყოფნის აღნიშვნაზე. _ გაიცინა. _

ცდილობს, გადაწყვეტილება არ მიიღოს ჩემს საჩუქარზე, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ კარგი იდეა მაქვს...

_ უსირცხვილო ხარ.

_ დიახაც.

სახე დაუსერიოზულდა და შემომხედა. ეტყობოდა, რომ განიცდიდა.

_ მომავალში უფრო ყურადღებით ვიქნები. ჩვენებისთვის არ აპირებ თქმას, რომ ბელამ ყველაფერი იცის?

ამოვიოხრე. _ მოგვიანებით.

_ მე არაფერს ვიტყვი. სამსახური გამიწიე და როზალის მაშინ უთხარი, როდესაც მე ახლოს არ ვიქნები. კარგი?

შევიშმუშნე. _ რა თქმა უნდა.

_ ბელამ საკმაოდ კარგად მიიღო.

_ ზედმეტად კარგად.

ელისმა გაიცინა. _ ბელას არ დაფასება არ შეიძლება.

ვცადე დამებლოკა ხილვა, სადაც ელისი და ბელა საუკეთესო მეგობრები იყვნენ.

ღრმად ამოვიოხრე, მოუთმენლობამ შემიპყრო. მინდოდა ამ საღამოს ყველაზე ცუდი ნაწილი მალე დასრულებულიყო. თუმცა ცოტა ვღელავდი, რადგან ფორკის დატოვება მიწევდა.

_ ელის... _ ვთქვი, მაგრამ მან დაინახა, რის თქმასაც ვაპირებდი.

_ ამაღამ კარგად იქნება. ახლა უკეთესად ვუთვალთვალე. როგორც ჩანს 24 საათიანი მეთვალყურეობა სჭირდება. არა?

_ სწორედაც.

_ არა უშავს, საკმაოდ მალე მასთან იქნები.

ღრმად ჩავისუნთქე, ამ სიტყვების გაგონებამ სიხარულით ამავესო.

_წადი, მოამთავრე ყველაფერი, რომ შემდეგ იქ იყო, სადაც გინდა. _

მითხრა.

თავი დავუქნიე და ქარლაილის ოთახისკენ გავსწიე.

მელოდებოდა. სქელ ტანიანი წიგნის ნაცვლად, მაგიდაზე რომ ედო, იატაკს

მისჩერებოდა.

_ გავიგონე, როგორ გითხრა ელისმა, სად უნდა მოგეძებნე. _ მითხრა

ღიმილით.

შვება იყო მასთან ერთად ყოფნა. მისგან თანაგრძნობის მიღება და მის ღრმა,

ინტელიგენტურ თვალეში ცქერა. ქარლაილმა იცოდა რა უნდა გაეკეთებინა.

_ დახმარება მჭირდება.

_ ნებისმიერი რამ, ედვარდ. _ დამპირდა.

_ მოგიყვა ელისმა, რა შეემთხვა ბელას დღეს საღამოს?

_ თითქმის შეემთხვა. _ შემისწორა.

_ დიახ, თითქმის. არ ვიცი როგორ მოვიქცე ქარლაილ. იცი, მე მინდა...

ძალიან მინდა... რომ ის მონსტრი მოვკლა. _ სიტყვები სწრაფად და ზიზღით

წარმოვთქვი. _ საშინლად მინდა, მაგრამ ვიცი, რომ არა სწორია, რადგან ეს

შურისძიება იქნება და არა სამართალი, მაგრამ არც ის შემიძლია, რომ სერიული

მომალადე და მკვლელი თავის ნებაზე მივუშვა პორტ ანჯელესში. იქ არავის

ვიცნობ, მაგრამ ვერ დავუშვებ, რომ ვიღაც ბელას ადგილას აღმოჩნდეს. ის

ქალები... ვიღაც შეიძლება მათდამი იგივეს გრძნობდეს, რასაც მე განვიცდი

ბელას მიმართ. ისინიც ისე განიცდიან, როგორც მე განვიცდიდი. ეს არა სწორია.

მისმა მოულოდნელმა ღიმილმა საუბარი შემაწყვეტინა.

_ ბელა შენზე კარგ გავლენას ახდენს. ასე არ არის? ამდენი თანაგრძნობა,

ასეთი თვითკონტროლი. გაცემული ვარ.

_ კომპლიმენტებს არ ვემბ, ქარლაილ.

_ რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ფიქრს ხომ ვერ შევწყვეტ. _ ისევ გაიღიმა. _

მე მივხედავ ამ საქმეს. შენ შეგიძლია დაისვენო. ბელას ადგილას აღარავინ აღმოჩნდება.

გეგმა მის ფიქრებში დავინახე. ეს ის არ იყო, რაც მსურდა, ეს ვერ დააკმაყოფილებდა ჩემს მხეცურ შურისძიების სურვილს, მაგრამ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

_ გაჩვენებ სად უნდა მოძებნო.

_ წავიდეთ.

გზად თავისი შავი ჩანთა აიღო. მე ბევრად უფრო აგრესიული საშუალების მომხრე ვიყავი, მაგალითად დამსხვრეული თავის ქალა, მაგრამ ჯობდა ქარლაილს აერჩია.

ჩემი მანქანა წავიყვანეთ. ელისი ისევ კიბეზე იჯდა. გაგვიღიმა და ხელი დაგვიქნია. მისი ხილვა დავინახე: პრობლემები არ შეგვექმნებოდა.

ბნელ და ცარიელ ქუჩებში, მგზავრობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა.

ფარები გამოვრთე, ზედმეტი ყურადღება რომ არ მიგვექცია. გამეღიმა, როდესაც

წარმოვიდგინე, როგორი რეაქცია ექნებოდა ბელას ამხელა სისწრაფეზე. სანამ

გააპროტესტებდა, უკვე საკმაოდ ნელა ვატარებდი, რათა მასთან ყოფნა

გამეხანგრძლივებინა.

ქარლაილიც ბელაზე ფიქრობდა.

_ ვერ წარმოვიდგენდი, ესეთი კარგი თუ აღმოჩნდებოდა მისთვის.

მოულოდნელია. იქნებ ასეც უნდა ყოფილიყო?! იქნებ რაიმე დიდ მიზანს

ემსახურება. ოღონდ..

ბელა წარმოიდგინა, თოვლისფერი კანითა და წითელი თვალებით. ამ

გამოსახულებამ შეაკრთო.

დიახ. მხოლოდ. სწორედაც. როგორ შეიძლებოდა რაიმე კარგი ყოფილიყო ასეთი უმანკო და საყვარელი არსების განადგურებაში?

სიბნელეში გაღიზიანებული ვიყურებოდი. მთელი საღამოს სიხარული გამიქრო მისმა ფიქრებმა.

„ედვარდი იმსახურებს ბედნიერებას. – ქარლაილის ფიქრებმა გამაოცა. – უნდა არსებობდეს რამე გამოსავალი.“

ნეტავ შემიძლებოდა დაჯერება. მაგრამ რაც ხდებოდა, ბელასთვის სულაც არ იყო კარგი. მხოლოდ უზნეო მტაცებელი, საძაგელი, გესლიანი ბედისწერა, რომელიც არ აძლევდა მას იმ მომავალს, რომელსაც იმსახურებდა.

პორტ ანჯელესში არ გავჩერებულვარ. ქარლაილი იმ სარდაფთან მივიყვანე, სადაც საზიზღარი არსება, სახელად ლონი, თავის იმედგაცრუებას მეგობრებთან ერთად სასმელში იკლავდა. ორი მათგანი უკვე გათიშული იყო. ქარლაილმა შეამჩნია, როგორ მიჭირდა ახლოს ყოფნა, მიჭირდა მონსტრის ფიქრების და მოგონებების მოსმენა. მოგონებების, სადაც ბელას და სხვა მოგონების სახეები ერთმანეთში ირეოდა, გოგონების, რომლებსაც ველარავინ გადაარჩენდა.

სუნთქვა ამიჩქარდა. ხელები საჭეს მაგრად მოვუჭირე.

„წადი ედვარდ. – რბილად მითხრა ქარლაილმა. – დანარჩენზე მე ვიზრუნებ. დაბრუნდი ბელასთან.“

ზუსტად ეს მიჭირდებოდა. მისი სახელი ერთადერთი იყო, რომელიც ყურადღებას გადამატანინებდა და ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა.

მანქანაში დავტოვე. მე კი მძინარე ტყის გავლით, პირდაპირ ფორკსისკენ გავსწიე. ამჯერად უფრო ნაკლები დრო დამჭირდა, ვიდრე მანქანით ჩასვლას მოვანდომე. რამდენიმე წუთში კი მის სახლის კედელთან ვიყავი და ფანჯარას ვაღებდი.

შვებით ამოვისუნთქე. ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. ბელა უსაფრთხოდ იყო საკუთარ საწოლში მძინარე. მისი წყალმცენარეებივით

აბურდული სველი თმა, კი ბალიშზე ეწყო.

სხვა ღამეებისგან განსხვავებით, დღეს მოხრილი იწვა, საბანი მხრებზე მაგრად შემოეხვია. როგორც მიხვდით, სციოდა. ვიდრე ჩემს ჩვეულ ადგილას მოვკალათდებოდი, დავინახე, როგორ შეაჟრჟოლა, და ტუჩები აუთრთოლდა. ერთი წამით ჩავფიქრდი, შემდეგ კი დერეფანში გავედი. პირველად დავზვერე მისი სახლის დანარჩენი ნაწილი.

ჩარლის ხვრინვა, ხმამაღალი და თანაბარი იყო. მისი სიზმრის ნაწილის გაგებაც კი მოვახერხე. რაღაც წყალთან და მოთმინებასთან დაკავშირებული... ალბათ თევზაობა?!

კიბის თავზე კარადა იყო. იმედიანად გამოვალე და ვიპოვე ის, რისი პოვნაც მინდოდა. ყველაზე სქელი საბანი ავიღე, რომელიც ამ პატარა თეთრეულის კარადაში იყო და ბელას ოთახში წავიღე. მის გაღვიძებამდე უკან დავაბრუნებდი და ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა.

სუნთქვა შევიკარი და ფრთხილად გადავაფარე საბანი. რეაქცია არ ჰქონია, დამატებით წონაზე. ჩემს ადგილს დავუბრუნდი სავარძელში.

ვიდრე აღელვებული ველოდი, როდის გათბებოდა, ქარლაილზე ვფიქრობდი, ნეტავ სად იყო ახლა? ვიცოდი, რომ მისი გეგმა უპრობლემოდ ჩაივლიდა, ელისმა დაინახა ეს.

მამაჩემზე ფიქრისას ღრმად ამოვისუნქე, ის იმაზე ბევრად კარგად ფირობდა ჩემზე, ვიდრე ვიმსახურებდი. მინდოდა ისეთი ვყოფილიყავი, როგორსაც მხედავდა. პერსონა, რომელიც იმსახურებდა ბედნიერებას. რომელსაც შეეძლებოდა, იმედი ჰქონოდა, რომ დაიმსახურებდა ამ მძინარე გოგონას. როგორ სხვანაირად იქნებოდა ყველაფერი, ასეთი ედვარდი რომ ვყოფილიყავი. ამაზე ფიქრისას, უსიამოვნო, არა სასურველი გამოსახულება გაჩნდა ჩემს გონებაში.

რაღაც მომენტში, უმნო ბედისწერა, რომელსაც ბელას განადგურება

უნდოდა, შეცვალა ყველაზე სულელმა და უგუნურმა ანგელოზმა. მფარველი ანგელოზი, დაახლოებით ისეთი, როგორც ქარლაილს ეგონა, რომ მე შემეძლო ყოფილიყავი... დაუფიქრებელი ღიმილითა და ონავარი ცისფერი თვალებით, ამ ანგელოზმა ბელა ისეთად შექმნა, რომ ძნელი იყო მისთვის გვერდი ამევილო. დაუჯერებლად ძლიერი სურნელი აჩუქა, რათა ჩემი ყურადღება მიეპყრო, მდუმარე ფიქრები, რათა ჩემი ცნობისმოყვარეობა გაეღვივებინა, უნაზესი სილამაზე, თვალი რომ ვერ მომეწყვიტა, უანგარო სული, ჩემი მოკრძალების გამოსაწვევად. მან წაართვა ბელას თავდაცვის ინსტინქტი, რათა ჩემს გვერდით ყოფილიყო და ამ ყველაფერს დიდი დოზით უიღბლობა დაუმატა. უზრუნველი ღიმილით, ანგელოზმა თავისი სათუთ ქმნილებას, პირდაპირ ჩემსკენ უბიძგა. ბრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ ჩემში დარჩენილი მორალური პრინციპები, გოგონას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. ამ ხილვაში, მე ბელას აღსასრული არ ვიყავი. ის ჩემი ჯილდო იყო. თავი გავაქნიე, მინდოდა ქარაფშუტა ანგელოზის გამოსახულება მომეშორებინა. ეს ანგელოზი, არაფრით იყო მტაცებელზე უკეთესი. შეუძლებელი იყო, რომ უმაღლეს ძალას, ასეთი სახიფათო და სულელური საქციელი ჩაედინა. მტაცებელი მაინც ყოფილიყო, შევებრძოლებოდი. და მე არ მყავდა ჩემი ანგელოზი. ისინი მხოლოდ კარგებს ხვდებოდნენ _ ბელასნაირ ადამიანებს. მაგრამ სად იყო მისი ანგელოზი ამ ხნის მანძილზე? ვინ აქცევდა ბელას ყურადღებას? შეცბუნებულს გამეცინა, როდესაც გავაცნობიერე, რომ სწორედ ახლა, მისი მფარველი ანგელოზის როლს ვასრულებდი. ვამპირი ანგელოზი _ ეს უკვე მეტისმეტი იყო. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ბელა მოეშვა, როგორც ჩანს აღარ სციოდა. მისი სუნთქვა გახშირდა და ლულული დაიწყო. კმაყოფილს გამეღიმა. უმნიშვნელო რაღაც იყო, მაგრამ ჩემი აქ ყოფნის გამო, მას ბევრად უფრო

კომფორტულად ეძინა.

_ ედვარდ. _ ამოიოხა და მძინარემ გაიღიმა.

ტრაგედია ცოტახნით გვერდზე გადავდე და საკუთარ თავს უფლება მივეცი

ბედნიერი ვყოფილიყავი!

11 თავი

კითხვები

სი-ენ-ენ-მა პირველმა გაუშვა სიუჟეტი.

მოხარული ვიყავი, რომ მანამდე ვუყურე ახალ ამბებს, ვიდრე სკოლაში

წავიდოდი, შეშინებული ველოდი, ხალხის აზრს მოვლენასთან დაკავშირებით,

მაინტერესებდა რამდენად მიიქცევდა ეს ყურადღებას. საბედნიეროდ დღევანდელი

დღე დატვირთული იყო ახალი ამბებით. სამხრეთ ამერიკაში მიწისძვრა მომხდარიყო,

ხოლო ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური გატაცება, ამიტომ ამ ამბის შესახებ,

მხოლოდ რამდენიმე ფრაზა ითქვა და ერთი სურათი აჩვენეს ტელევიზორში .

“ალონსო კალდერას უოლესი, ეჭვმიტანილი სერიულ მკვლელობებში, მანიაკი,

რომელიც იძებნებოდა ტეხასის და ოკლაჰომას შტატებში, წუხელ დამით დაკავებული

იქნა პორტლენდში, ორეგონის შტატში, ანონიმურად განხორციელებული ზარის

შედეგად. დღეს დილით უოლესი უგონო მდგომარეობაში იპოვეს პოლიციის

შენობასთან ახლოს. ამ დროისათვის სამართალდამცველები ვერ გვეუბნებიან, რომელ

ქალაქში – ჰიუსტონში თუ ოკლაჰომაში – გადააგზავნიან დაკავებულ პატიმარს. “

გამოსახულება მკვეთრი არ იყო – პასპორტის სურათი, გადაღების მომენტში მას

ხშირი წვერი ჰქონდა. მაშინაც კი თუ ბელა სურათს ნახავდა, მის ცნობას ვერ

შეძლებდა. ვიმედოვნებდი; ნამდვილად არ იყო მისი შეშინებისთვის დრო.

– ამ ამბავს ფორკსში არ განიხილავენ, საკმაოდ შორსაა, რათა ადგილობრივების

დაინტერესება გამოიწვიოს. – მითხრა ელისმა.

კარგია, რომ კარლაილს მისი შტატიდან გაყვანა ვთხოვეთ.

თავი დავუქნიე. ბელა იშვიათად უყურებდა ტელევიზორს, ამასთანავე

არასოდეს მინახავს, რომ მამამისს სპორტული არხის გარდა სხვა რამისთვის ეყურებინოს.

ყველაფერი გავაკეთე რაც შემეძლო. ეს მანიაკი მეტს ვეღარ იბოგინებდა, მე კი მკვლელი არ ვიყავი, ყოველშემთხვევაში ბოლო დროს. არ შევმცდარვარ, როცა კარლაილს ვენდე და მონსტრი თავის ნებაზე არ მივუშვი. საკუთარი თავი იმ ფიქრში გამოვიჭირე – მინდოდა დაკავებული ტეხასში გადაეყვანათ, იქ ჯერ კიდევ მოქმედებდა სიკვდილით დასჯის კანონი.

არა. ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე ეს წარსულში დავტოვე, ახლა კი ყურადღება მხოლოდ აწმყოზე მქონდა გადატანილი.

ერთ საათზე ნაკლები დრო გასულიყო, რაც ბელას ოთახი დავტოვე და უკვე მისი ნახვა მწყუროდა.

– ელის, როგორ ფიქრობ...

შემაწყვეტინა:

– როზალი წაგვიყვანს, ეს ყველაფერი უარესად გააღიზიანებს, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ არაა უარზე თავისი მანქანა გამოაჩინოს. – გაიცინა ელისმა.

გავუღიმე.

– სკოლაში შევხვდებით.

ელისმა ამოისუნთქა და ღიმილი უშნო მოჭმუხნულობაში გარდამესახა.

ვიცი, ვიცი. – ფიქრობდა ის. – ჯერ დრო არ მოსულა, დავიცდი, ვიდრე მზად იქნები დამართო ნება ბელას გასაცნობად. ამასთანავე შენ იცი, რომ ეს ჩემი ეგოისტური სურვილების გამოვლინება არ არის, მეც მოვწონვარ მას.

მისთვის პასუხი არ გამიცია, რადგანაც უკვე ოთახიდან ვიყავი გამოსული. ეს ყველაფერი მოვლენების სხვა მხრიდან აღქმა იყო. სურს კი ბელას ელისის გაცნობა?

სურს ვამპირებთან მეგობრობა?

რამდენადაც ბელას ვიცნობდი... სიტუაციის ამ მხრივ შემობრუნება, მას არ ააღელვებდა. ამ აზრისგან მოვიღუშე. ის რაც ბელას სურდა და ის რაც მისთვის

იქნებოდა უკეთესი, ორი აბსოლუტურად განსხვავებული საგანი იყო.

ვიგრძენი, რომ ვნერვიულობდი როცა მის სახლთან გავაჩერე მანქანა.

ადამიანური ანდაზები მეტყველებენ, რომ დილით ყველაფერი სხვაგვარია – ძილი ყველაფერს ცვლის. როგორი ვიქნები ბელასთვის დღის სუსტ, ნისლიან სინათლეში?

რამდენად ბოროტი წუხანდელთან შედარებით? დავიდა მის აზრებში ბოლომდე მთელი ეს სიმართლე, vidre ეძინა? და შეეშინდებოდა, თუ არა ახლა?

გუშინდელი სადამოს მიუხედავად, მისი სიზმრები მშვიდი იყო. ყოველ ჯერზე, რამდენჯერაც ჩემი სახელი წარმოთქვა, სახე ღიმილმა გაანათა.

ღამეში რამდენჯერმე ჩაიბუტბუტა, რომ მასთან დავრჩენილიყავი. იქნებ ახლა ეს აღარაფერს ნიშნავდა?

ვიჯექი და განერვიულებული ველოდი, ვისმენდი სახლიდან გამომავალ ხმებს – სწრაფი და კიბეებზე წამორძიკების ხმა, გახეული ფოლგის ხმა, მაცივრის შიგთავსის ზრიალი, როცა კარი მიაბრაზუნეს. მომეჩვენა, რომ ჩქარობდა. ცდილობს სკოლაში მალე მივიდეს? ამ აზრმა ღიმილი მომგვარა და ისევ იმედებით ამავესო.

საათს დავხედე. თუ მისი ძველისძველი მანქანის სიჩქარეს გავითვალისწინებთ, მას უკვე ცოტა დააგვიანდა კიდევ.

ბელა სახლიდან გამოფრინდა. ზურგჩანთა მხარზე გადაეკიდა, ამჯერად თმა დავარცხნილი ჰქონდა და კისერთან შეეკრა. ტანზე სქელი, მწვანე სვიტერი ეცვა, რომელიც მის სათუთ მხრებს ცივი ბურუსიდან ვერ იცავდა.

გრძელი, ზედმეტად დიდი სვიტერი, მის წერწეტა ტანს მთლიანად გაურკვეველ გამოსახულებას აძლევდა. მე ეს იმდენად შევაფასე, რამდენადაც ვწუხდი, რომ არ ეცვა, რაიმე იმ ლურჯი ზედატანის მსგავსი, რბილი ქსოვილისგან შეკერილი, როგორიც გუშინ... ქსოვილი იმდენად მომხიბვლელად ერწყომოდა მის კანს, მისი მომაჯადოებელი დეკოლტე, მისი მრიდან რომ ეშვებოდა კისრის ბოლოსკენ. ლურჯი ფერი წყალივით ციმციმებდა მის ტანზე.

უკეთესი იქნებოდა, (უბრალოდ აუცილებელი) თუ კი, ჩემი ფიქრები მისი

სხეულისგან შორს იქნებოდა, ამდენად მე მადლობელი ვიყავი, რომ მას ის სვიტერი ეცვა. არ შემეძლო შეცდომის დაშვება, ეს კი საშინელი შეცდომა იქნებოდა – მეფიქრა იმ უცნაურ სურვილებზე, რომლებიც აზრად მომდიოდა; მის ტუჩებზე... მის კანზე... რომლებიც ჩემში კანკალს იწვევდა. სურვილი, რომელიც ასე წელია არ გამჩენია, მაგრამ ფიქრშიც არ შემეძლო მასთან მიახლოება დამეშვა კი – ეს შეუძლებელი იყო. მე მას მოვკლავდი.

ბელა იმდენად სწრაფად შებრუნდა სახლიდან, რომ ლამის გაცდა ჩემს მანქანას, რომ ვერ შენიშნა.

შემდეგ უცებ შეჩერდა, ჩემს დანახვაზე მუხლები შემინებული კვიცივით შეუთრთოლდა, ზურგჩანთა მხარზე ჩამოუცურდა და თვალები გაუფართოვდა. ისე გადმოვვდი მანქანიდან, არც მიცდია ადამიანურ სვლაზე გავლა და მგზავრის მხარეს კარები გამოვალე. აღარ ვაპირებდი ბელას მოტყუებას – როცა მე და ის მარტონი ვიქნებოდით, შემეძლო ის ვყოფილიყავი – რაც სინამდვილეში.

ჯერ კიდევ გაოცებული მომშტერებოდა, რამდენადაც ეს ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს პირდაპირ სქელი ნისლიდან გავჩნდი. შემდეგ კი მისი თვალებიდანგაოცება გაქრა, ის სხვა გრძნობამ ჩაანაცვლა, ამჯერად უკვე აღარ მეშინოდა, უფრო სწორად აღარ ვიმედოვნებდი, რომ მისი ჩემდამი გრძნობა წუხანდელი ლამის შემდეგ შეიცვლებოდა. სითბო, თრთოლვა, მომხიბვლელობა – ყველაფერი ეს მისი თვალების გამდნარ შოკოლადში ბზინავდა.

– თუ გსურს, შემიძლია დღეს წაგიყვანო. – ვუთხარი.

წინა ლამის რესტორანში ვახშმისგან განსხვავებით, მე მას ახლა არჩევანის საშუალება დავუტოვე. ამის შემდეგ ყველაფერს თვითონ აირჩევდა.

– კარგი, მადლობთ. – ჩაიჩურჩულა და უყოყმანოდ ჩაჯდა მანქანაში.

ნუთუ როდესმე ვეღარ ვიგრძნობ თრთოლას, იმის გამო, რომ მე ერთადერთი ვიყავი, ვისაც მან “ღიახ” უთხრა? მეექვსეა.

ქარზე უსწრაფესად შემოვუარე მანქანას. მსურდა რაც შეიძლება მალე

აღმოჩენილიყავი მის გვერდით. იმის ნიშანიც არ ეტყობოდა, რომ ჩემმა ესოდენ სწრაფმა აღმოჩენამ მის გვერდით, ის გააოცა.

მის გვერდით თავს ბედნიერად ვგრძნობდი, თითქოს არაფერი ხდებოდა.

მიუხედავად ჩემი ოჯახის მთელი სიყვარულისა და მხარდაჭერისა, მიუხედავად განსხვავებული თავშესაქცევისა და ცდუნებისა, რომელიც შეემძლო ჩემთვის ცხოვრებას შემოეთავაზებინა, მე არასოდეს ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც ახლა. მაშინაც კი, როცა ვიცოდი, რომ ეს არაა სწორი საქციელი, რომ ეს ყველაფერი კარგად არ დასრულდებოდა, არ შემემძლო ღიმილის დიდი ხნით დამალვა.

შევნიშნე, რომ ჩემს ქურთუკს, რომელიც მის სავარძელზე იყო გადაკიდებული, უყურებდა.

– პიჯაკი შენთვის წამოვიღე. – ვუთხარი.

ამ სახით ვცდილობდი გამემართლებინა ჩემი ასეთი უცერემონიო გამოჩენა მის სახლთან. ქურთუკი არ ჰქონდა. ეს კი ნამდვილად გალანტურობის გამოვლინება იყო.

– არ მინდა რომ გაცივდე.

– არც ასეთი სუსტი ვარ. – მკერდზე მიყურებდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა ჩემთვის თვალეში შემოხედვა, მანამდე ჩაიცვა პიჯაკი, ვიდრე მოვასწრებდი მებრძანებინა ან მეთხოვა მისთვის ამის შესახებ.

– ნუთუ? – ჩავილაპარაკე ჩემთვის.

სკოლისკენ მივქროდი, ის კი დაჟინებით უყურებდა გზას. მხოლოდ რამდენიმე წამით შევძელი სიჩუმის შენარჩუნება. მინდოდა მცოდნოდა რა აზრები ტრიალებდა მის თავში ამ დილით. საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს შორის, ბოლო მზის ამოსვლის შემდეგ.

– დღეს არანაირი კითხვები არ გაქვს? – ვკითხე და იგივე თემას დავუბრუნდი.

გაეღიმა, გაეხარდა, ჩვენი გუშინდელი საუბარი რომ განვაგრძე.

– რა იყო? ჩემი კითხვები გაწუხებენ?

– იმდენად არა, რამდენადაც შენი რეაქცია ჩემს პასუხებზე. – გამოვტყედი და

საპასუხოდ გავუღიმე.

ტუჩის კუთხეები დაეშვა.

– ცუდად ვრეაგირებ?

– სწორედ ესაა პრობლემა, შენ იმდენად მშვიდად აღიქვამ ამ ყველაფერს – ეს არაა ნორმალური.

არცერთი წამოყვირება მთელი ეს პერიოდი, ნუთუ შესაძლებელია?

– მიწევს ვეცადო გამოვიცნო რას ფიქრობ.

რა თქმა უნდა ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა ან არ აკეთებდა, მაინტერესებდა.

– მე ყოველთვის პირდაპირ გეუბნები იმას, რასაც ვფიქრობ.

– რაღაცას ნამდვილად ასწორებ.

ტუჩზე იკბინა. ეტყობოდა ამას მნიშვნელობას არ აძლევდა – ეს შინაგანი

დამაბულობის გამომხატველი გაუცნობიერებელი რეაქცია იყო.

– არც თუ იმდენად ბევრია.

ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რათა ჩემი ცნობისმოყვარეობა

გაელიზიანებინა. რისი დამალვა სურდა ჩემგან?

– საკმარისი, ჩემს ჭკუიდან შესაშლელად. – ვუთხარი.

ენა დაება, შემდეგ კი ჩაიჩურჩულა.

– არ მოინდომებდი ამის მოსმენას.

ცოტა ხნით ჩავფიქრდი, სიტყვა სიტყვით ვიხსენებდი ჩვენს გუშინდელ საუბარს,

ვიდრე ყველაფერს ერთ მთლიანობად აღვიქვამდი. მომიწევდა მეტად მიმექცია

ყურადღება, რადგანაც წარმოდგენაც არ მქონდა, რისი მოსმენა არ მენდომებოდა მისი

პირიდან. მხოლოდ რამდენიმე წამის მერე, როცა მის ხმას გუშინდელი ტონალობა

მიეცა – მასში ისევ მოულოდნელად გამოჩნდა ტკივილი – გამახსენდა. ავუკრძალე

იმაზე ლაპარაკი, თუ რას ფიქრობდა ჩემს შესახებ. არასოდეს თქვა ასე, ვუყვიროდი

მას, მან ჩემს გამო იტირა კიდევ...

ეს იყო ის, რასაც ჩემგან მაღავდა? მისი ჩემდამი არსებული გრძნობების სიღრმე?

და ის რომ ჩემში ურჩხული ცხოვრობდა, ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა?
ის, რომ ფიქრობდა, რომ უკვე გვიანი იყო მისთვის გადაწყვეტილების შეცვლა?
ლაპარაკის ხასიათზე არ ვიყავი. იმ ტკივილს და სიხარულს, რომელსაც
ერთდროულად განვიცდიდი, სიტყვებით ვერ გადმოვცემდი. ამ ორი ურთიერთ
საწინააღმდეგო გრძნობების შეჯახება, საკმაოდ მწარე აღმოჩნდა, რაც არ მაძლევდა
მისთვის პასუხის გაცემის საშუალებას. მანქანაში მხოლოდ მისი გულისცემის ხმა
ისმოდა.

– სად არიანი შენი ძმები და დები? – მკითხა მოულოდნელად.

ღრმად ჩავისუნთქე და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად შევიგრძენი
მისი არომატი მთელი თავისი ცეცხლოვანი ტკივილით და კმაყოფილმა აღმოვაჩინე,
რომ თითქმის მივეჩვიე. ამან საშუალება მომცა ჩვეულებრივად მელაპარაკა.

– ისინი როზალის მანქანით წამოვიდნენ. – სწორედ იმ მანქანის გვერდით
გავჩერდი, რომელზეც ახლახანს ვლაპარაკობდი, შევნიშნე, როგორ გადაატრიალა
თვალები და გამეცინა.

– ბრწყინვალეა, არა?

– აი ეს მესმის. თუ კი მას ასეთი მანქანა ჰყავს, რატომ დადის შენთან ერთად?
როზალის ბელას ასეთი რეაქცია მოეწონებოდა... თუ, რა თქმა უნდა შეძლებდა
ობიექტურად მოქცეულიყო მასთან, ეს კი როდესმე აუცილებლად მოხდებოდა.

– ზედმეტად ბრწყინვალეა. ჩვენ კი ვცდილობთ, გამორჩეულები არ ვიყოთ.

– საკმაოდ წარუმატებლად. – მიპასუხა და მხიარულად გაიცინა.

მისმა უდარდელმა და სრულიად უზრუნველმა სიცილის ხმამ, ჩემი ცარიელი
გულის უჯრედები გამითბო, მთლიანად ამავსო.

– მოკლედ რატომ მოვიდა დღეს როზალი ამ მანქანით? – მკითხა.

– შენით ვერ ხვდები? მე ხომ ყველანაირ წესს ვარღვევ ახლა?

რბილად რომ ვთქვათ, ჩემი სიტყვები საშიში იყო, სწორედ ამიტომ ბელამ
პასუხად მხოლოდ გამიღიმა.

გასული ღამის მსგავსად არ დალოდებია, როდის გავუღებდი კარებს. აქ, სკოლაში, მე ნორმალურად უნდა მოვქცეულიყავი – ამიტომ არ შემეძლო საკმარისად სწრაფად გადაადგილება, რათა ხელი შემეშალა მისთვის – ის უბრალოდ ჯერ ვერ მიეჩვია, მეტად პატივსაცემ მოპყრობას. მაგრამ ძალიან მალე მოუწევდა შეგუებოდა. რამდენადაც შემეძლო საკუთარი თავისთვის ნება მიმეცა, იმდენად ახლოს მივედი მასთან, ყურადღებით ვაკვირდებოდი თითოეული ჟესტის გამოვლინებას, რომელიც ჩემი სიახლოვისგან შეიძლებოდა გამოწვეულიყო. მისი ხელი ორჯერ ისე შეირხა, თითქოს სურდა შემხებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩანდა, რომ უნდოდა ეს... სუნთქვა წყვეტილი გამიხდა.

– მაშინ რად გინდათ ასეთი მანქანები? თუ არ გინდათ გამოირჩეოდეთ? – მკითხა ვიდრე ნელა მივაბიჯებდით.

– უბრალოდ ჩვენს სისუსტეებს ვიკმაყოფილებთ. – გამოვტყდი. – ჩვენ ყველას გვიყვარს მანქანის სწრაფი ტარება.

– ახლა გასაგებია – ჩაიჩურჩულა დამჟავებულმა.

თვალები არ აუწევია, რათა ჩემს საპასუხო ღიმილს შეხვედროდა.

ო ღმერთო! არ მჯერა! ჯანდაბა, როგორ მოახერხა ბელამ ეს? ვერ გამიგია! რატომ?

ჩემს თავში ჯესიკას აზრობრივი გაოცება შემოიჭრა. ცდილობდა წვიმას

დამალვოდა და სასადილოს სახურავს შეფარებულს, თვალები დაუჯერებლობისგან გაფართოებოდა, ხელში ბელას ქურთუკი ეჭირა და ელოდა.

ერთი წამის შემდეგ, ის ბელამაც შენიშნა და როცა ჯესიკას სახის

გამომეტყველება ამოიცნო, რომელზეც ცხადად აღბეჭდილიყო მისი აზრები, ლოყები ოდნავ აუვარდისფრდა.

– ჰეი, ჯესიკა, მადლობ რომ გაგახსენდა – ბელამ ქურთუკისაკენ ხელი გაიწოდა და ჯესიკამაც უსიტყვოდ გაუწოდა.

ბელას მეგობრებთან ზრდილობიანი უნდა ვყოფილიყავი, არ ქონდა

მნიშვნელობა ისინი კარგი მეგობრები იყვნენ, თუ ცუდი.

– დილა მშვიდობისა, ჯესიკა.

გაგიჟდები.

ჯესიკას თვალები უფრო გაუფართოვდა. ეს უცნაური და გასართობი იყო... და სიმართლე რომ ვთქვა, ცოტათი მაშფოთებდა კიდევ... გაცნობიერება იმის, თუ რამდენად შევიცვალე ბელას გამო. ეს ყველაფერი ისე ჩანდა, რომ თითქოს აღარავის აღარ ემინოდა ჩემი. ეს ამბავი რომ ემეტმა გაიგოს, მომავალი უახლოესი ასწლეული იცინებს ამის გამო.

– ამ... გამარჯობა. – ჩაილაპარაკა ჯესიკამ და მრავალმნიშვნელოვანი მზერა

ესროლა ბელას. – იმედი მაქვს ტრიგონომეტრიაზე შეეხვდებით.

ყველაფერს დაფქვავ. უარს არ მივიღებ პასუხად, დეტალურად. მე დეტალები მაინტერესებს. წარმოგიდგენიათ?! ედვარდ ქალენი! ცხოვრება როგორი უსამართლოა. ბელამ პირი გააღო.

– რა თქმა უნდა, მოგვიანებით შეეხვდებით.

თავისი პირველ გაკვეთილზე მიმავალი ჯესიკა, ხშირად იყურებოდა უკან, ჩვენს მხარეს, მის გონებაში კი უამრავი აზრი ტრიალებდა.

მთელი ისტორია. ნაკლებს არ დავთანხმდები. ნუთუ გასულ საღამოს შეხვედრა დაგეგმილი ჰქონდათ? ხვდებიან ერთმანეთს? რამდენი ხანია? როგორ შეუძლია მსგავსი რამ დამალოს? საერთოდ რატომ უნდა რომ დამალოს? ეს სრულებით არაა შემთხვევითობა – მათ რაღაც სერიოზულ აკავშირებთ. არსებობს რაიმე სხვა ვარიანტი?! ყველაფერს გავარკვევ. ყველაფერი უნდა ვიცოდე, ქონდა თუ არა რამე მასთან? ოჰ, ღმერთო ჩემო...

მოულოდნელად ჯესიკას ფიქრები არეული გახდა, მისმა უსიტყვო ფანტაზიები სრულიად დაეპატრონენ მის გონებას. მისმა აზრებმა შემაცბუნა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ბელას ადგილზე წარმოიდგნა თავი.

ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მე მაინც მინდოდა...

საკუთარ თავსაც არ ვუტყდებოდი, რამდენი არასწორი გზა გავხსენი ბელას

წინაშე. ნუთუ რომელიმე მათგანი მას მოკლავდა?

თავი გადაქნიე, ვეცადე დამევიწყებინა.

– რის თქმას აპირებ მისთვის? – ვკითხე ბელას.

– ჰეი, – ჩაიჩურჩულა გაბრაზებულმა. – ვფიქრობდი, რომ ჩემი აზრების წაკითხვა არ შეგეძლო.

– ასეც არის.

გაოცებული დაჟინებით ვუყურებდი მის სახეს და ვცდილობდი მისი სიტყვების აზრი გამეგო. ოჰ... მე და ის ერთდროულად ვფიქრობდით ერთი და იგივე რაღაცაზე. ჰმმ... მე ეს ნამდვილად მომეწონა.

– როგორც არ უნდა იყოს, – ვუთხარი – მე მისი აზრების კითხვა შემიძლია, ის კი აპირებს კლასში ჩაგისაფრდეს.

ბელამ მძიმედ ამოისუნთქა და შეეცადა ქურთუკის გახდას. არც მიფიქრია, რომ ის მაშინვე აპირებდა ჩემთვის მის დაბრუნებას – მე არ მითხოვია მისთვის ამის შესახებ, ვამჯობინებდი, თუ კი ის მას დაიტოვებდა, ისე უბრალოდ... – ამიტომ არ ვჩქარობდი დახმარების შეთავაზებას. მომაწოდა ჩემი პიჯაკი და მაშინვე ჩაიცვა თავისი ქურთუკი, ისე რომ ყურადღება არ მიუქცევია ჩემი ხელებისთვის, მინდოდა ჩაცმაში დავხმარებოდი. ეს მე არ მომეწონა და მოვიღე, მაგრამ ვეცადე მანამდე მომეშორებინა ეს გამომეტყველება სახიდან, ვიდრე შენიშნავდა.

– მოკლედ, რის თქმას აპირებ მისთვის? – ჩავაცვივდი.

– იქნებ მიკარნახო? რისი გაგება სურს?

გავიღიე და თავი გადავაქნიე, მინდოდა კარნახის გარეშე გამეგო თუ რას ფიქრობდა.

– არასამართლიანია.

თვალეები მოჭუტა.

– არა, ეს შენ არ მიზიარებ იმას, რაც იცი – აი ესაა უსამართლობა.

მას ნამდვილად არ უყვარდა ორმაგი სტანდარტები.

მის კლასთან მივედით, სადაც უნდა დავმშვიდობებოდი. ძალიან მინდოდა, რომ მისის ქოუპი მეტად დამთმობი ყოფილიყო და საშუალება მოეცა ჩემთვის ინგლისურის გაკვეთილი შემეცვალა. მობილიზება გავუკეთე თავს. პატიოსანი უნდა ვყოფილიყავი.

– მას აინტერესებს ვხვდებით თუ არა ერთმანეთს საიდუმლოდ. – ნელა დავილაპარაკე. – ამასთანავე მას აინტერესებს, რას გრძნობ ჩემს მიმართ.

ისევ გაუფართოვდა თვალები, ამჯერად არა გაცეცხისგან, მაგრამ ბაძავდა ამ გამომეტყველებას. რადგანაც თვალები ღია იყო, მე გადასარევად შემეძლო ამის წაკითხვა. ბელა ცდილობდა უდანაშაულო როლი ეთამაშა.

– ოიჰ – ჩაილაპარაკა თავისთვის – რა უნდა ვუთხრა?

– ამმმ – ის ყოველთვის ცდილობდა ჩემგან მეტი რამ გაეგო ვიდრე მე მისგან. ჩავფიქრდი როგორ მეპასუხა.

მისი თმის პატარა ნაწილი ნისლისაგან ოდნავ ნესტიანი მის მხართან ჩამოიშალა და კისერთან დაეხვა სადაც კანს მისი სასაცილო სვიტრი უფარავდა. ამან ყურადღება გამიფანტა.. და თვალი გავაყოლე...

ფრთხილად გავწიე ხელი თმისაკენ მისი კანისთვის ხელშეუხებლად – დილა ჩემი ცივი ხელის ხელშეუხებლადაც საკმაოდ სუსხიანი იყო – და თმა ისევ უკან თავის ადგილას გადავუწიე რომ შემდეგში აღარ გაეფანტა ჩემი გონება.

გამახსენდა როდესაც მაიკ ნიუტონი შეეხო მის თმას და ამ მოგონებაზე სხეული დამეძაბა. მაშინ ბელა მის შეხებაზე გაიწია. მისი რექცია ახლა სრულიად განსხვავებული იყო. ამჯერად თვალები ოდნავ გაუფართოვდა, სისხლის მიმოქცევა აუჩქარდა მის კანქვეშ და ნაცნობი გულისცემა თითქოს სხეულიდან ამოვარდნას ლამობდესო.

ვეცადე ჩემი ღიმილი დამემალა, როდესაც პასუხი გავეცი:

– მე მგონი პირველზე თანხმობა უნდა მისცე... თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს – მისი არჩევანი, ყოველთვის მისი არჩევანი – ეს ყველაზე ადვილი

პასუხია, ვიდრე დანარჩენი ახსნები.

– არ მაქვს საწინააღმდეგო – ჩაიჩურჩულა მან. მის გულს ისევ ვერ ეპოვნა ნორმალური რიტმა.

– ხოლო მეორე კითხვაზე... – ახლა უკვე ვეღარ ვმაღავდი ჩემს ღიმილს – თავადვე სიამოვნებით მოვისმენ პასუხს მოგვიანებით.

ბელას ამის გააზრების საშუალება მივეცი. ვეცადე სიცილი შემეჩერებინა როდესაც შოკმა დაისადგურა მის სახეზე.

სწრაფად მოვტრიალდი, სანამ მეტი კითხვების დასმას მოასწრებდა. რთული იყო რომ ის არ მიმეცა, რაც მას უნდოდა. მე კი მისი ფიქრები მიდნოდა გამეგო, და არა ჩემი.

– სადილზე გნახავ – მივაძახე ჩემ ზურგს უკან და ჩემს თავს კიდევ ერთი მიზეზი მივეცი რომ შემემოწმებინა ისევ გაფართოებული თვალებით თუ მომშტერებოდა. როგორც ჩანს ამას ვერც კი ხვდებოდა და პირი დაელო. მოვტრიალდი და სიცილი განვაგრძე.

როდესაც მივდიოდი, ნახევრად ბუნდოვნად ჩამესმოდა ფიქრები ჩემსა და ბელას გარშემო, მაგრამ ცოტა ყურადღებას ვაქცევდი. კონცენტრაციას ვერ ვახდენდი. ისიც საკმარისი იყო რომ იძულებული ვიყავი ადამიანის ნაბიჯებით გამეველო გზა სველ ბალახზე ჩემი შემდეგი კლასისაკენ. მინდოდა რომ გავქცეულიყავი – მართლა გავქცეულიყავი, ისე რომ გავმქრალიყავი, ისე სწრაფად, რომ ფრენის შეგრძნება მქონოდა. ჩემი ნაწილი უკვე დაფრინავდა. შემდეგი კლასისთვის ქურუკი ჩავიცვი და მის არომატს საშუალება მივეცი ჩემს გარშემო ნაზად ეცურა. ახლა წყურვილისგან დავიწვებოდი და მივცემდი მის სურნელებას უფლებას გავეწმინდე, ხოლო მოგვიანებით, როცა მას სადილზე ვნახავდი, ყველაფერი გაცილებით გამიადვილდებოდა...

კარგი იყო რომ მასწავლებლები თავს აღარ იწუხებნენ ჩემო გამოძახებით. დღევანდელი დღე შეიძლება ყოფილიყო გამონაკლისი, როდესაც ისინი

მოუმზადებელს და უპასუხოს გამომიჭერდნენ. ჩემი გონება ამ დილას იმდენ ადგილას იყო, მხოლოდ ჩემი სხეული თუ იმყოფებოდა ამ კლასში.

რა თქმა უნდა თვალს ვადევნებდი ბელას. ეს ბუნებრივი ჩვევა ხდებოდა – ისევე როგორც სუნთქვა. გავიგე როგორ ესაუბრებოდა იმ გაუბედურებულ მაიკ ნიუტონს, მაგრამ ბელამ სწრაფად გადართო საუბარი ჯესიკაზე და ისე დიდად გამეღიმა ამ ფიქრების დანახვაზე, რომ რობ სოიერი, რომელიც ჩემი მერხის მარჯვნივ იჯდა, ჩემგან რაც შეიძლებოდა მოშორებით ჩაიწია.

აჰ. შემაშნებელია.

ნუ, როგორც ჩანს ჩემი გარეგნობა ბოლომდე არ დამეკარგა.

ამ დროის განმავლობაში ჯესიკასაც ვადევნებდი თვალს, რომელიც მეოთხე ვაკვეთილამდე კითხვებს კარგად ამზადებდა ბელასთვის. მეც ამ მეოთხე მონაკვეთის დადგომა ადამიან ჭორიკანა გოგოზე ათჯერ მეტად უფრო მინდოდა.

და ასევე ვუსმენდი ენჯელა ვებერს.

არ მქონდა დავიწყებული ის მაღლიერების გრძნობა, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბელაზე ყოველთვის კარგს ფიქრობდა. და კიდევ გუშინდელ დახმარებაზე. ასე რომ მთელი დილა თვალს ვავლებდი მის ფიქრებს თუ რა უნდოდა, მეგონა რომ ადვილი იქნებოდა როგორც ყველა დანარჩენი ადამიანისთვის აუცილებლად იქნებოდა რამე წვრილმანი ან სათამაშო რაც ძალიან უნდოდა. თუნდაც რამოდენიმე. როცა შევიტყობდი ამას, მეც ანონიმურად გავუგზავნიდი სახლში.

მაგრამ ენჯელა ისეთივე რთლი გამოდგა თავისი ფიქრების შესახებ, როგორც ბელა. ძნელი იყო მისთვის თინეიჯერი გეწოდებინა. ის ისეთ ბედნიერი იყო მუდამ. იქნებ ეს იყო მისი უშვეულო სიკეთის მიზეზი? ის ერთ–ერთი იმ ადამიანთაგანი იყო ვისაც ქონდათ ის რაც უნდოდათ და უნდოდათ ის რაც ქონდათ. თუ იგი ყურადღებას არ აქცევდა მის დავალებას ან მასწავლებლებს,

მაშინ იგი მის პატარა ტყუპ ძმებზე ფიქორბდა, რომლებიც ამ კვირაში
სანაპიროზე სასეირნოდ მიყავდა და მას ეს ისევე უხაროდა, როგორც დედას. მას
ისე უყარდა და უვლიდა მათ, მართლა როგორც ნამდვილი დედა, მაგრამ ეს
ფაქტი მას სულაც არ აბრაზებდა, ნამდვილად ძალიან კარგი ადამიანი იყო.
სამწუხაროდ ეს ყველაფერი მაინც არანაირად არ მეხმარებოდა.
რადაც აუცილებლად იქნებოდა. უბრალოდ ძებნა უნდა გამეგრძელებინა. მაგრამ
მოგვიანებით, ახლა ბელას ტრიგონომეტრიის გაკვეთლის დრო იყო.
როდესაც ინგლისურის კლასისაკენ გზას მივიკვლევდი, არ ვუყურებდი სად
მივდიოდი. ჯესიკა უკვე თავის ადგილზე მოთავსებულიყო ტრიგონომეტრიის
გაკვეთილზე და იმდენად ვერ ითმენდა ბელას მოსვლამდე, რომ ორივე ფეხს ძირს
აბაკუნებდა.
როგორც კი ჩემს ადგილას დავჯექი მაშინვე ქანდაკებასავით გავშეშდი. თავს
ვახსენებდი ხანდახან რომ ცოტა უნდა გავნძრეულიყავი, ადამიანური მოუსვენრობა.
ძნელი იყო, იმიტომ რომ ჯესიკას ფიქრებზე ვიყავი სრულიად გადართული და
ყველაფერი მავიწყდებოდა, იმედია გოგონას კარგად დააკვირდებოდა და მის სახეს
ჩემთვის წაიკოტხავდა.
ჯესიკას ფეხების ბაკუნი გამლიერდა, როცა ბელა ოთახში შემოვიდა.
რადაც მოღუშულად გამოიყურება... რატომ? იქნებ არაფერიც არ ხდება ედვარდ
ქალენტან? ეგ კი ნამდვილად იმედგაცრუება იქნება. მაგრამ... მაშინ ის ხომ ისევ
ხელმისაწვდომი იქნება... თუ უცბად პაემნებით გახდება დაინტერესებული, არ
ვიქნები წინააღმდეგი დავეხმარო...
ბელას გამომეტყველება სულაც არ იყო მოღუშული, ის უბრალოდ უხალისოდ
გამოიყურებოდა, იმიტომ, რომ იცოდა მე ყველაფერს გავიგონებდი. ჩემთვის
ჩავიდიმე.
– ყველაფერი მომიყევი! – სასწრაფოდ მოთხოვა ჯესიკამ ბელას როდესაც ის ჯერ
კიდევ მის ქურთუკს კიდებდა სკამის უკან. ის განზრახ ნელა და უხალისოდ

იქცეოდა.

უკ. რა ნელია. მიდი, დროზე, სახალისო ჭორები მოყევი!

– რა გინდა რომ იცოდე? – შეეხითხა ბელა როდესაც დაჯდა

– რა მოხდა გუშინ საღამოს?

– სადილზე დამპატიჟა და შემდეგ სახლამდე მიმაცილა.

და მერე? კარგი რა, ამაზე მეტი უნდა იყოს! აშკარად ტყუის, ვიცი რომ ასეა და მაინც ვათქმევინებ!

– ასე მალე როგორ მიხვედი სახლში?

დავიანხე ბელამ თვალები როგორ გადაატრიალა როდესაც ჯესიკამ სეჭვო შეკითხვა დაუსვა.

– მანიაკივით ატარებს, საკმაოდ შემაშინებელია.

ბელამ პატარაზე ჩაიღიმა და მე ამაზე სიცილი ამიტყდა რამაც მისტერ მეისონს განცხადება შეაწყვეტინა. ვეცადე სიცილი ჩახველებათ გამესაღებინა, მაგრამ ვერავინ მოტყუვდა. მისტერ მეისონმა გაღიზიანებული მზერით შემომხედა, მაგრამ არც მიცდია ფიქრები წამეკითხა ამ მზერის უკან, ისევ ჯესიკას ფიქრებისკენ ვიყავი გადართული.

ჰაჰ, როგორც ჩანს სიმართლეს ამბობს. რატომ უნდა, რომ ყოველი სიტყვა ასე გამოვგლიჯო?! მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი გულს ამოვიგდებდი ამაზე ლაპარაკით.

– პაემანივით იყო? შენ უთხარი რომ იქ შეგხვედროდა?

ჯესიკამ დაინახა ბელას სახეს გაკვირვება როგორ დაეტყო და იმედი გაუცრუვდა ეს ასე აშაკრა რომ იყო.

– არა, მეც გამიკვირდა იქ რომ შემხვდა – უთხრა ბელამ

ვერ გავიგე რა ხდება?

– კი მაგრამ დღეს ხომ სკოლაში მოგიყვანა? – უნდა იყოს რაღაც სხვა ისტორია ამ ამბის უკან.

– ხო, ესეც სურპრიზი იყო, შეატყო, რომ გუშინ ქურთუკი არ მქონდა და...
ეს ყველაფერი სულაც არაა სახალისო. გაიფიქრა იმედგაცრუებულმა ჯესიკამ.
უკვე დაღლილი ვიყავი ჯესიკას ამ უაზრო დაკითხვისაგან – რამე ისეთი
გაგონება მსურდა რაც უკვე არ ვიცოდი... იმედი მქონდა რომ ისეთი
იმედგაცრუებულის არ იყო რომ ის შეკითხვები გამოეტოვებინა, რისი გაგებაც მე
მსურდა.

– ისევ აპირებთ შეხვედრას? – ჩააცვივდა ჯესიკა

– შაბათისთვის სიეტლში წაყვანა შემომთავაზა, იმიტომ რომ ფიქრობს ჩემი
მანქანა ვერ გაუძლებს ამდენს – ეს ითვლება?

– ჰმმ. აშკარაა რომ ბიჭი ცდილობს... რაღაცნაირად მოუაროს მას. მის მხარეს
მანც უნდა ხდებოდეს რამე თუ ბელას მხარეს არა. ეს როგორ უნდა იყოს
შესაძლებელი?! ბელა გიჟია.

– კი – უპასუხა ჯესიკამ

– მაშინ – დააბოლოვა ბელამ – კი.

– ღმერთო ჩემო... ედვარდ ქალენი. – საინტერესოა ამას თუ მოსწონს.

– ხო, ვიცი – ამოიოხრა ბელამ

მისმა ტონმა ჯესინა გაამხნევა. ძლივს – ისე ჟღერს რომ უნდა ესმოდეს! ნეტა
ხვდება, რომ...

– მოიცა! – წამოიძახა ჯესიკამ როდესაც უცბად ყველაზე მნიშვნელოვანი
კითხვა გაახსენდა. – უკვე გაკოცა? – გთხოვ დამეთანხმე და მერე ყველა
დეტალი ამიღწერე.

– არა – ამოიბურღლუნა ბელამ და თავის ხელებს დააცქერდა უაზროდ –
ყველაფერი ასე არაა...

ჯანდაბა. ნეტავი მე... ჰაჰ. როგორც ჩანს ბელაც ოცნებობს ამაზე.

სახე მომელუშა. ბელა ნამდვილად რაღაცაზე აღელვებული ჩანდა, მაგრამ ეს არ
შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რაც ჯესიკამ გაიფიქრა. მას არ შეეძლო ეს ენატრა.

მან ხომ იცოდა ჩემს შესახებ. მას არ უნდა ნდომოდა ჩემს კბილებთან ასე ახლოს ყოფნა. რაც მან ჯერ-ჯერობით იცოდა ის იყო, რომ ეშვები მქონდა.

ტანში გამაჟურიალა.

– შენ გგონია რომ შაბათს... – ჯესიკა მიაწვა

ბელა უფრო შეწუხებული ჩანდა ახლა როდესაც თქვა:

– ძალიან ეჭვი მეპარება მაგაში.

კი, ნამდვილად მასაც უნდა. ძალიან ცუდია.

ნეტავ იმიტომ მეჩვენებოდა ეს ყველაფერი მართალი რომ ჯესიკას ფიქრებიდან ვუყურებდი?

ნახევარი წამის განმავლობაში გავერთე იმაზე ფიქრით თუ როგორი იქნებოდა ბელასთვის კოცნა. ჩემი ტუჩები მისაზე, ცივი ქვასავით ტუჩები თბილ საამურ ტუჩებს რომ შეეხებოდა...

და შემდეგ ის კვდება.

თავი გავაქნია თრთოლვისგან და ვაიძულე ჩემს თავს ისევ საუბრისთვის ყურადღება მიმექცია.

– რაზე ლაპრაკობდით? – შენ ელაპრაკებოდი თუ მას აიძულებდი ასე ამოეძრო სიტყვები შენგან როგორც მე ახლა?

სევდიანად გამეღიმა. ჯესიკა ახლოს იყო პასუხთან.

– არ ვიცი ჯეს, ბევრ რამეზე. ინგლისურის ესეზეც ვილაპრაკეთ ცოტაოდენი.

ძალიან ცოტა. უფრო მეტად გამეღიმა.

ოჰ, კარგი რა! – გთხოვ ბელა, დეტალები მომეცი!

ბელა განზრახ ჩაფიქრდა წუთით.

– კარგი, ერთი რაღაც მომაფიქრდა... უნდა გენახა მიმტანი როგორ

ეფლირტავებოდა, ზღვარს იქით. მაგრამ მას საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება.

რა უცნაური გასაზიარებელი დეტალი იყო. გამიკვირდა ბელამ რომ შეამჩნია.

არაფერი საეჭვო არ იყო თითქოს მაშინ.

საინტერესოა... – ეგ კარგი ნიშანია, ლამაზი იყო?

ჰმმ. ჯესიკაც ეთამხმებოდა. როგორც ჩანს ეს ქალური ამბების ნაწილი იყო.

– ძალიან – უთხრა ბელამ – თან ალბათ ასე ცხრამეტის ან ოცის.

ჯესიკამ მომენატალურად ყურედღება მიაქცია შაბათ საღამოს დეტალს მაიკთან

ერთად პაემანზე რომ იყო. როგორც აღმოჩნდა მაიკი იყო ზედმეტად

მეგობრული ერთ მიმტანთან, რომელიც ლამაზიც კი არ იყო. ჯესიკა ეცადა ეს

ფიქრი თავიდან ამოეგდო და ყურადღება მიექცია ამ დიდი ამბისთვის.

– მთლად უკეთესი, ესეიგი მოსწონხარ.

– მგონი – თქვა ბელამ შენელებულად და ჩემი სხეული სკამის კიდეს მიეყინა –

მაგრამ ძნელი სათქმელია. ის ყოველთვის ისეთი იდუმალია.

როგორც ჩანს გუშინ საღამოს იმდენად პირდაპირი და გამჭირვალე არ ვიყავი,

რამდენადაც მეგონა. და მიუხედავად მისი ასეთი დკვირვებულობისა... როგორ

ვერ ხვდებოდა რომ მე ის მიყვარდა?! ჩვენს გუშინდელ დიალოგს გადავხედე

თავში, ჩემი თავის გამკვირვებოდა ხმამაღლა რომ არ ვუთხარი ეს. ისეთი

შეგრძნება მქონდა, რომ რაც არ უნდა გვეთქვა, ყველა სიტყვაში მაინც ეს

იგულისხმებოდა.

ღმერთო. არ ვიცი ასეთი მოდელი ადამიანის წინ როგორ იჯექი და მხოლოდ

საუბრობდი.

– არ მესმის ასეთი მამაცი როგორ ხარ მარტო რომ რჩები მასთან – უთხრა

ჯესიკამ

ბელას სახეზე შეცბუნებამ დაისადგურა

– რატომ?

უცნაური რეაქცია. ნეტავ რა იფიქრა მე რა ვიგულისხმე?

– ის უბრალოდ... – რა სწორი სიტყვა შეიძლება ვიხმარო – საშიშია. არც კი ვიცი

როგორ დაველაპრაკო. – ინგლისურადაც კი ვერ დაველაპრაკე დღეს, არადა

ერთადერთი რაც მითხრა დილა მშვიდობისა იყო. ალბათ როგორი იდიოტი ვჩანდი.

ბელამ გაიღიმა – რაღაც დაბნეულობები მეც მაწუხებს, როცა მის გვერდით ვარ.

ბელა ნამდივლად ცდილობდა რომ ჯესიკასთვის თავი უკეთ ეგრძნობინებინა.

ჩემთან იგი სრულიად მშვენვივრად და ლაღად გრძნობდა ხოლმე თავს.

– ნუ რა გასაკვირია. – ამოიოხრა ჯესიკამ – ის ხომ დაუჯერებლად მიმზიდველია.

მოულოდნელად ბელა გაფითრდა, თვალეზი წყენა ჩაუდგა, თუმცა ჯესიკას მისი სახის ცვლილება არ შეუმჩნევია.

– ის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ მიმზიდველი. – ამოთქვა ბელამ.

ოჰ, ბოლოს და ბოლოს რაღაცა გავიგე.

– მართლა? მაინც ვინ არის?

ერთი წამით ბელამ ტუჩი მოიკვნიტა.

– არც კი ვიცი როგორ აგისხნა. – ჩაფიქრდა, – ის შეუდარებელია და არა მხოლოდ მისი სილამაზის გამო.

ჯესიკასგან შებრუნდა და მზერა გაფანტული გაუხდა, თითქოს სადღაც შორს იყურებოდა.

ის რასაც ახლა განვიცდიდი, ძალიან გავდა იმ გრძნობას, როცა კარლაილმა და ესმემ დამსახურებულად შემაქეს, მაგრამ ახლა გაცილებით ძლიერი იყო, ყოვლისმომცველი.

აი სულელი! მის სახეზე უკეთესი არაფერია, ჰმ... თუმცა მისი სხეული....

– ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია? – ჩაიხითხითა ჯესიკამ.

ბელა არ შემობრუნებულა, ისევ ისე განაგრძობდა სივრცეში ყურებას და მომლოდინე ჯესიკას ყურადღებას არ აქცევდა.

ის რომ ნორმალური იყოს, ახლა სიხარულისგან უნდა ხტოდეს, იქნებ პირდაპირ დავუსვა შეკითხვები? პატარა ბავშვივითაა.

– მოკლედ, მოგწონს?

ისევ გავშეშდი. ბელა ჯესიკას მხარეს არ იყურებოდა.

– ჰო.

– ე.ი. ნამდვილად მოგწონს.

– ჰო.

შეხედეთ როგორ გაწითლდა.

დავინახე.

– რამდენად ძლიერად მოგწონს? – კიდევ ჩაეკითხა ჯესიკა.

იმდენად დაძაბული ვუსმენდი მათ საუბარს, რომ სწორედ ამ წამს, ინგლისურის კაბინეტი ცეცხლშიც რომ გახვეულიყო, ვერაფერს მივხვდებოდი.

ბელას სახე წითლად ანათებდა, თითქოს ვგრძნობდი კიდევ მისგან მომავალ სითბოს ჯესიკას ფიქრებიდან.

– ძალიან, იმაზე მეტად ვიდრე საჭიროა. – ჩაიჩურჩულა ბელამ. – ბევრად ძლიერ, ვიდრე პირიქით მას, მე კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

რა? მეე? ვერ გავიგე რა მკითხა მისტერ ვერნერმა.

– ეე... რომელი ნომერი მისტერ ვერნერ?

კარგი იყო, რომ ჯესიკა ბელას დაკითხვას ვედარ გააგრძელებდა, ამოსუნთქვა მჭირდებოდა.

საერთოდ რაზე ფიქრობდა ეს გოგონა? „ბევრად ძლიერ, ვიდრე მას.“ როგორ შეეძლო მსგავსი რამ ეფიქრა? „მე კი არ ვიცი როგორ მოვიქცე“ რას ნიშნავდა ეს სიტყვები? ვერ შევძელი მისი სიტყვებისთვის ლოგიკური ახსნა მომეძებნა.

მათში არანაირი აზრი არ იყო.

ნუთ ეს ყველაფერი იმას ნიშნავდა, რისი წარმოდგენად კი არ შემეღობო? საკმაოდ ადვილად შესამჩნევმა ფაქტებმა მის უცნაურ ტვინში თავიდან ბოლომდე შეიცვალეს მნიშვნელობა. უფრო მეტად, ვიდრე მე ის? შესაძლოა ბელა საკუთარ თავს ვერ აფასებდა საკმარისად.

მოუთმენლად შევხედე საათს. როგორ შეეძლოთ წუთებს ასე უსასრულოდ გრძელი ყოფილიყვნენ უკვდავისთვის? სად გაქრა ჩემი უპირატესობა? მთელი გაკვეთილის განმავლობაში ჩემი ტვინი მისტერ ვერნერის ტრიგონომეტრიის ლექციას უსმენდა, ბელა და ჯესიკა მეტი აღარ ულაპარაკიათ. ლანჩის დრო ახლოვდებოდა.

თუ ჯესიკა ისევ შეეკითხებოდა ბელას რაიმეს, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ გაკვეთილის დასრულებამდე გავუძლებდი, მაგრამ ჯესიკა როგორც ჩანს გაწბილებული დარჩა.

როგორც კი ზარი დაირეკა ბელა მაშინვე ჯესიკასკენ შებრუნდა.

– ინგლისურზე, მაიკი შემეკითხა ხომ არ გითქვამს ჩემთვის რაიმე ორშაბათის საღამოს შესახებ. – ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა ბელამ. მივხვდი, რაც ჩაიფიქრა – თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა.

– მაიკი ჩემზე გელაპარაკა?

მოულოდნელმა სიხარულმა, ჯესიკას აზრები შესამჩნევად ზრდილობიანი გახდა.

– ხუმრობ? რა უთხარი?

– ვუთხარი, რომ ძალიან მოგეწონა – ის კი გახარებული დარჩა.

– სიტყვა სიტყვით მომიყევი რა გითხრა და შენ რა უპასუხე.

როგორც ჩანს ჯესიკასგან მეტს ველარაფერს შევიტყობდი. ბელაც იღიმებოდა, თითქოს იგივეს ფიქრობდა, თითქოს რაუნდი მოიგო.

ლანჩზე ყველაფერი სხვაგვარად იქნება, მე შევძლებ ბელას პასუხების მიღებას იმ შეკითხვებზე, რომელზეც ჯესიკამ ვერ მოახერხა.

საათის მეოთხედი ჯესიკას ფიქრები მაიკ ნიუტონის შესახებ, თანდათან უფრო რთულად ასატანი გახდა ჩემთვის. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ეს ბიჭი ყელში ლუკმასავით მყავდა გაჩხერილი, მისდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

სპორტ დარბაზში ელისთან ერთად გულგრილი გამომეტყველებით შევედი. ჩვენ ადამიანებთან ერთად ვთამაშობდით სპორტულ თამაშებს. დღეს ბანდმინტონი უნდა გვეთამაშა. ამოვიოხრე და საკმაოდ ნელა მოვიქნე ჩოგანი და ვოლანი დარბაზის მეორე ბოლოსკენ გადავაგდე. ლორენ მელორმა ამჯერადაც ააცილა, ელისმა კი ჯოხივით მოიქნია თავისი ჩოგანი და თვალი გააყოლა ჭერში მიმართულ ბურთს.

ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ იტანდა ფიზიკულტურას, განსაკუთრებით ემეტი. ბანდმინტონის მსგავსი თამაშის არსებობა, მისი თავმოყვარეობისთვის მძიმე დარტყმა იყო. ფიზიკულტურის გაკვეთილი ნიშნავდა, რომ იმ დღეს განსაკუთრებით ცუდი დღე იყო, დღეს მეც ისევე ვიყავი გაბრაზებული, როგორც ემეტი.

ვიდრე მოუთმენლობისგან საბოლოოდ ავფეთქდებოდი, ტრენერმა პარტია გამოთვალა და გაკვეთილის დასრულებამდე გამოგვიშვა. სასაცილო იყო, მაგრამ მადლობელი ვიყავი, რომ ტრენერმა ისევე გააცდინა საუზე – ცდილობდა დიეტაზე დამდგარიყო – მაგრამ ვეღარ გაუძლო და თითქმის სირბილით გაემურა ნოყიერი სადილის სამიებლად, საკუთარ თავს კი პირობა დაუდო, რომ ხვალიდან აუცილებლად დაიწყებდა დიეტას.

ამან საშუალება მომცა, მანამდე მივსულიყავი მათემატიკის კაბინეტთან, ვიდრე ბელას გაკვეთილი დამთავრდებოდა.

გაერთე. – გაიფიქრა ელისმა სწორედ მაშინ, როცა მისი გონება ჯასპერზე ფიქრით იყო დაკავებული. – საკმაოდ მალე მომეცემა მისი გაცნობის საშუალება.

მანამდე კი ვეჭვობ, რომ არ მომცემ უფლებას, რომ მივესალმო.

გაბრაზებულმა გადავაქნე თავი, ნუთუ ყველა ფსიქოლოგი ასეთი თავდაჯერებული იყო?

ამ კვირაში, გამოსასვლელ დრეებში მზიანი ამინდი იქნება, მგონი გეგმები უნდა შეცვალო.

ამოვისუნთქე და საწინააღმდეგო მიმართულებით განვაგრძე სვლა.

თავდაჯერებულები, მაგრამ ნამდვილად საჭირონი.

მისი კლასის კედელს მივეყრდენი და ველოდი როდის გამოვიდოდა. საშუალება მქონდა, რომ ისევე კარგად მომესმინა ჯესიკას ხმა, როგორც მის ფიქრებში.

– შენ დღეს ჩვენთან ერთად არ დაჯდები ლანჩზე. ასეა?

თითქოს შინაგანად ანათებს... რატომღაც მგონია, რომ საკმაოდ ბევრს მაღავეს.

– არა მგონია. – რატომღაც დაეჭვებულმა ჩაილაპარაკა ბელამ.

ნუთუ არ შევპირდი, რომ ლანჩზე მასთან ერთად ვიქნებოდი? რას ფიქრობს?

ისინი ერთად გამოვიდნენ კლასიდან და ჩემს დანახვაზე ორივეს თვალები გაუფართოვდა.

მაგარია, აი ეს მესმის... აქ ბევრად მეტი ხდება, ვიდრე ბელა ამბობს. იქნებ ამ

საღამოს დავურეკო? თუმცა არ ღირს მისი გამხნეება, იმედი მაქვს ედვარდი რც

თუ ისე ახლოსაა მასთან... მაიკი რა თქმა უნდა ძალიან სიმპატიურია, მაგრამ...

– მოგვიანებით შევხვდებით ბელა.

ბელა ნელა წამოვიდა ჩემსკენ, როგორც ჩანს რაღაცას ეჭვობდა. მის სახეს ისევე დაუბრუნდა ვარდისფერი.

საკმაოდ კარგად ვიცნობდი, საიმისოდ, რომ მის ეჭვებში რაიმე საშიშროება

დამენახა. ეს ყველაფერი მისდამი ჩემი გრძნობების დაურწმუნებლობის შედეგი იყო.

„უფრო მეტად, ვიდრე მას!“ რა სისულელეა.

– გამარჯობა. – ჩემი ხმა შესამჩნევად მკაცრი იყო.

სახე აენტო.

– გამარჯობა.

როგორც ჩანს მეტი არაფრის თქმა არ აპირებდა, ამიტომ ჩუმად გავემართე

სასადილოსკენ და ხმის ამოუღებლად გამომყვა.

ქურთუკმა იმოქმედა – ამჯერად მისი სურნელი, არც თუ ისე ძლიერი მეჩვენა.

მხოლოდ ტკივილი გაძლიერდა, მაგრამ წარმოუდგენლად ადვილად შევძელი მისი იგნორირება.

როგორც ჩანს, ბელა ღელავდა. ვიდრე ჩვენს რიგს ველოდით, რათა სადილი აგველო, ნერვიულად აწვალებდა ქურთუკის ელვას და მოუთმენლად იცვლიდა ფეხს. საკმაოდ ხშირად ამომხედავდა და ჩემსი დაჟინებულ მზერის შემხედვარე, შემცბარი ბრუნდებოდა. იქნებ იმიტომ, რომ საკმაოდ ბევრი ხალხი გვაკვირდებოდა? როგორც ჩანს ჩვენს გარშემო შეკრებილი ხალხის ხმამაღალი ჩურჩული ესმოდა – დღეს მათი ლაქლაქი ფიქრებივით მრავლისმეტყველი იყო. იქნებ ჩემი სახის გამომეტყველებით მიხვდა, რომ ხიფათი ელოდა?

არაფერი უთქვამს, ვიდრე მისთვის ლანჩს ვარჩევდი. არ ვიცოდი რა უყვარდა – ჯერჯერობით არ ვიცოდი. – ამიტომ ცოტა ცოტა ყველაფერი ავიღე.

– რას აკეთებ? – დამიძახა ჩურჩულით. – ეს ყველაფერი ჩემთვის აიღე?

თავი გადავაქნიე და სალაროსთან მივედი.

– არა რა თქმა უნდა. ნახევარი ჩემთვის.

ურწმუნოდ აწია წარბი, მაგრამ არაფერი უთქვამს. იმ მაგიდისკენ გავემართე სადაც გასულ კვირას ვიჯექით, იმ უბედურ შემთხვევამდე, სისხლის ჯგუფს, რომ უკავშირდებოდა. მეჩვენებოდა, რომ საკმაოდ დიდი დრო გასულიყო მას მერე, ახლა ყველაფერი სხვაგავარად იყო.

ჩემს პირდაპირ დაჯდა. საჭმელი მისკენ მივწიე.

– ჭამე. – გავამხნევე.

ვაშლი აიღო და გამომცდელად შემომხედა.

– მაინტერესებს.

როგორი მოულოდნელობაა.

– რას იზამ, თუ კი ჩვეულებრივი საჭმლის ჭამას დაგაძალებენ. – ისე

ჩაიჩურჩულა, რომ ადამიანის ყური ამას ვერ აღიქვამდა.

– მხოლოდ ეს გაინტერესებს? – ჩავილაპარაკე უკმაყოფილოდ.

კარგი, არასოდეს არაფერი მიჭამია, ეს საიდუმლოს უსიამოვნო ნაწილი იყო. ისე რომ არც შემიხედავს, ხელი გავიწვდინე და ყველაზე ახლოს მდებარე საჭმელი ავიღე და პატარა ნაწილი მოგვკბიჩე, თან ბელას თვალს არ ვაშორებდი. ვერ მივხვდი რა იყო, საძაგლობა, როგორც ყველა ადამიანური საჭმელი. სწრაფად დავღეჭე და გადავყლაპე. ვეცადე სახეზე ზიზღი არ შემტყობოდა. საჭმელი ნელა და უსიამოვნოდ გადავიდა ყელში, სადაც სამუდამოდ დარჩებოდა. საშინელებაა.

ბელას გააჟრჟოლა, სახეზე გაცეცება გამოეხატა.

თვალეები დახუჭვა მომინდა, რა თქმა უნდა, ასეთი ემშაკობები აუცილებელი იყო.

– რა მოხდება, თუ კი მიწის ჭამას დაგაძალებენ.

ცხვირი შეჭმუნა და გაიღიმა.

– ერთხელ ვჭამე... არც თუ ისე ცუდი იყო.

გადავიხარხარე.

– იცი, ნამდვილად არ გამკვირვებია.

როგორც ჩანს საკმაოდ კარგად გრძნობენ ერთად თავს. ისეა ბელასკენ გადახრილი, აშკარად დაინტერესებულია მისით. ცდილობს ყურადღებიანი იყოს... ის... იდეალურია... – ჯესიკამ ამოისუნთქა.

ჯეიკას დაჟინებულ მზერას შევხედე და ნერვიულად შებრუნდა და მოღუშულმა გააგრძელა იმი გოგონასთან ლაპარაკი, ვისთან ერთადაც იჯდა.

ჯობია მაიკთან ვიყო, ნამდვილი მაინც არის...

– ჯესიკა ჩემს ტითოეულ მოქმედებას ანალიზებს, მოგვიანებით დაკითხვასაც მოგიწყობს. – ვაცნობე ბელას.

საჭმლის სინი მისკენ მივწიე – მივხვდი, ეს პიცა იყო. – ვფიქრობდი, როგორ დამეწყო ლაპარაკი. ძველი გაბრაზება ისევ დამიბრუნდა. „იმაზე მეტად ვიდრე მას, არ ვიცი როგორ მოვიქცე“ – გამახსენდა.

მან იგივე მხირად აიღო პიცის ნაჭერი, მისმა ნდობამ გამაოცა. რა თქმა უნდა არ იცოდა, რომ შხამიანი ვიყავი – სხვა მხრივ ის ნაჭერი უსაფრთხო იყო. მომეჩვენა, რომ ჩემი გახარება უნდოდა, სხვა მხრივ, ის ამას არ გააკეთებდა.

ფრთხილად დავიწყე.

– ე.ი. ოფიციალტი მიმზიდველი იყო?

ისევ ასწია წარბი.

– შენ რა, მართლა არ შეგიმჩნევია?

ვერცერთი ქალი ვერ შეძლებდა, ბელასკენ მიმართული ჩემი ყურადღების მიპყრობას. ისევ აბსურდი.

– არა, ყურადღებაც არ მიმიქცევია, სხვა საფიქრალი მქონდა.

როგორ უხდებოდა ის ბლუსკა... კარგია, რომ დღეს ეს საძაგელი სვიტერი აცვია.

– საწყალი გოგონა. – ღიმილით წარმოთქვა ბელამ.

მოეწონა, რომ ოფიციალტისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მივხვდი ამას.

რამდენჯერ წარმოვიდგენდი დასახიჩრებულ მაიკ ნიუტონს ბიოლოგიის გაკვეთილზე?

– მათ შორის რაც ჯესიკას უთხარი.. – მიჭირდა ლაპარაკი. – იყო რაღაც, რაც ძალიან არ მომეწონა.

მაშინვე თავის დასაცავად მოემზადა.

– სულაც არ მიკვირს. იცი ანდაზა იმათზე ვინც სხვის ლაპარაკს ისმენს?

ანდაზის არსი შემდეგი იყო: „ის ვინც სხვის ლაპარაკს ისმენს, თავის შესახებ სასიკეთოს ვერაფერს მოისმენს.“

– ხომ გაგაფრთხილე, რომ მოგისმენდი? – შევახსენე.

– მე კი გააფრთხილე, რომ არ უნდა იცოდე ყველაფერი, რასაც ვფიქრობ.

აჰ, როგორც ჩანს გაახსენდა, როგორ ვატირე, დანაშაულის შეგრძნებამ ყელი ჩამწვა და ხმაში ხრინწი შემერია.

– ნამდვილად, თუმცა მართალი არ ხარ. მინდა, რომ ვიცოდე რას ფიქრობ –

აბსოლუტურად ყველაფერი. უბრალოდ, შენი ვარაუდი ზოგჯერ სიმართლეს არ შეეფერება.

ნახევარზე მეტი. ვიცოდი, არ უნდა მდომოდა, რომ ჩემს მიმართ გრძნობა ჰქონოდა. მაგრამ მინდა, ძალიან მინდოდა.

– დიდი განსხვავებაა. – ჩაილაპარაკა და გაბრაზებულმა შემომხედა.

– მაგრამ მოცემულ მომენტში, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

– მაშინ რა არის მნიშვნელოვანი?

ჩემსკენ გადმოიხარა და ნიკაპით ხელისგულებს დაეყრდნო. ამ მოქმედებამ მიმიზიდა – ყურადღება გამიფანტა. როგორი ნაზი იქნებოდა მისი კანი...

ჭკვიანად. – ვუბრძანე საკუთარ თავს.

– მართლა ფიქრობ, რომ შენ იმაზე მეტად მოგწონვარ, ვიდრე მე? – შევეკითხე.

კითხვა სასაცილოდ ჟღერდა.

თვალები გაუფართოვდა, სუნთქვა აუჩქარდა. სწრაფად შებრუნდა და თვალები დაახამხამა.

– ისევ ამას აკეთებ. – ჩაიჩურჩულა.

– რას?

– მაბრმავებ. – მიპასუხა და ფრთხილად შემომხედა.

– ოჰ.

ჰმმ... ბოლომდე არ ვიყავი ამაში დარწმუნებული. არც იმაში, რომ არ მინდოდა ჩემით მოხიბლულიყო. ჯერ კიდევ მაბრაზებდა ის ფაქტი, რომ ამას ვაკეთებდი, მაგრამ ეს არანაირად არ მოქმედებდა ჩვენს საუბარზე.

– შენი ბრალი არაა. – ამოისუნთქა. – ვერ შეძლებ ამის შეცვლას.

– არ აპირებ კითხვაზე მიპასუხო? – ვკითხე.

მაგიდას არ აშორებდა თვალს.

– დიახ.

მხოლოდ ეს მითხრა.

– დიახ, შენ აპირებ პასუხის გაცემას, თუ დიახ, ნამდვილად ასე ფიქრობ? –

ჩავეკითხე მოუთმენლად.

– დიახ, ნამდვილად ასე ვფიქრობ. – ისე მიპასუხა, არ შემოუხედავს.

მის ხმაში ნალველი იგრძნობოდა. გაწითლდა და გაუცნობიერებლად იკბინა ტუჩზე.

თიტქმის მაშინვე მივხვდი, რომ მისთვის არ იყო ადვილი ამაში გამომტყდომოდა, მაიკზე საშინელი მშიშარა გამოვდიოდი, ვცდილობდი მისგან გამეგო რას გრძნობდა, მაშინ როცა თვითონ არაფერს ვეუბნებოდი. ეს გაუმართლებელი იყო. მას წარმოდგენაც არ ქონდა რას ვგრძნობდი და ამაში მე ვიყავი დამნაშავე.

– ცდები. – დავარწმუნე.

უნდა გაეგო ჩემს ხმაში არსებული სინაზე.

ბელამ შემომხედა, მისი მუქი თვალები არაფერს გამოხატავდა.

– შენ არ შეგიძლია ეს იცოდე. – მიპასუხა გაკვირვებულმა.

ფიქრობდა, რომ მის გრძნობას ვერ შევაფასებდი, რადგან მისი ფიქრები არ მესმოდა.

– რა გაძლევს იმის საშუალებას, რომ ეგრე იფიქრო? – გავოცდი.

მისი მზერა სადღაც, ჩემს მიღმა იყო მიმართული, წარბებს შორის პატარა ნაოჭი გაუჩნდა. წამის მემილიონედში სურვილი გამიჩნდა, რომ მისთვის მესმინა.

მზად ვიყავი მეკითხა თუ რას ფიქრობდა, მაგრამ თითოთ მანიშნა, რომ გავჩუმებულიყავი.

– მაცადე მოვიფიქრო. – მთხოვა.

ვითმენდი, ვიდრე ის თავის აზრებში დილობდა გარკვევას... ყოველ

შემთხვევაში ვცდილობდი მომეთმინა.

თითები გადააჯვარედინა, როცა დაილაპარაკა, ისე დაჰყურებდა თავის ხელებს, თითქოს მისი არ იყო.

– გამონაკლის შემთხვევებში, – ჩაიჩურჩულა. – ხანდახან... არ ვარ დარწმუნებული – მე ხომ არ შემიძია აზრების წაკითხვა, – მაგრამ ხანდახან მგონია, რომ როცა მელაპარაკები, იმის მიუხედავად რაზე ვლაპარაკობთ, მგონია, რომ აუცილებლად მეტყვი „მშვიდობით“.

თვალეები არ აუწევია.

მან მოახერხა, რომ საბოლოოდ დამიმორჩილა. ხვდებოდა, რომ ცემი მასთან ყოფნა სისუსტისა და ეგოიზმის დამსახურება იყო? ცუდად ხომ არ ფიქრობდა ამის გამო ჩემს მიმართ?

– საკმაოდ ჭკვიანურია. – ამოვისუნთქე და შიშით შევამჩნიე, როგორ აღიბეჭდა მის სახეზე ტკივილი. სასწრაფოდ შევეცადე მისი წინადადების უარყოფას.

– თუმცა, სწორედ ამიტომ, შენ ცდები. – დავიწყე, შემდეგ შევჩერდი და მისი სიტყვები გავიხსენე. ისინი მაშფოთებდნენ, მაგრამ დარწმუნებულად არ ვიყავი, რომ სწორად გავიგე.

– რაზე ამბობ, რომ ცხადია?

– ნუ, შემომხედე. – მითხრა.

ვუყურებდი. მე მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ მას ვუყურებდი. რა ჰქონდა მხედველობაში?

– მე სრულიად ჩვეულებრივი ვარ. – ამიხსნა. – არაფრით გამორცეული... მხოლოდ ფენომენალურ უნარს ვფლობ უსიამოვნებებში გახვევის. ახლა კი საკუთარ თავს შეხედე.

შემდეგ ამოისუნთქა, თითქოს ისეთ ფაქტებზე მიმითითებდა, რომლის შეუმჩნევლობა არ შეიძლებოდა.

ის თავს ჩვეულებრივ ადამიანად გრძნობდა? ისეთივე ჩვეულებრივად, როგორც ჯესიკა, მაიკ ნიუტონი ან მისის კოუპი იყო? თვლიდა, რომ არაფრით

გამოირჩოდა? სად იყო ლოგიკა? როგრო შეეძლო ამის დაჯერება? ნუთუ ვერ

ხვდებოდა, რომ ყველაზე მშვენიერი... ყველაზე სრულყოფილი... ერთი სიტყვით

ამის გადმოცემა შეუძლებელი იყო.

ის ამას ვერ ხვდებოდა.

– იცი, თვითონაც ვერ ხვდები როგორი ხარ. – ვუთხარი. – რაც შეეხება

უსიამოვნებებში გახვევას, ამაში ნამდვილად გეთანხმები.

მოწყენილმა გავიცინე. ვერ ვხედავდი, რომ არაფერი იყო სასაცილო. მოუქნელი, თუმცა იყო ამაში რაღაც თავშესაქცევი. ის საუცხოო იყო.

დამიჯერებს თუ კი ვეტყვი, რომ ყველაზე მშვენიერია? როგორც შინაგანად, ისე ფიზიკურად. იქნებ რამე დამამტკიცებელი საბუთი მოვუყვანო?

– შენ უბრალოდ არ გაგიგია რას ფიქრობდნენ პირველ დღეს სკოლის ბიჭები.

იმედი, თრთოლა, სურვილი, ეს მათ ფიქრებში იკითხებოდა, მაგრამ მათი ოცნებები აუსრულებელი იყო, რადგან თვითონ ბელას არ სურდა არც ერთ მათგანთან ურთიერთობა.

მე ერთადერთი ვიყავი, ვისაც მან „დიახ“ უთხრა.

ჩემი ღიმილი თვითკმაყოფილებას გამოხატავდა.

მის სახეზე გაკვირვება გამოისახა.

– შეუძლებელია. – ჩაილაპარაკა.

– მჯერად მაინც დამიჯერე – შენ ნამდვილად არ ხარ ჩვეულებრივი.

თუმცა, მხოლოდ მისი არსებობა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ სამყაროს

შექმნისთვის საკმარისი.

გასაგებია, რომ კომპლიმენტებს ვერ ეჩვეოდა. მაგრამ მოუწევდა. შეკრთა და თემა შეცვალა.

– მე არ ვცდილობ შენგან ამის მიღებას.

– ნუთუ ვერ ხედავ? ეს სწორედაც, რომ შენს არაჩვეულებრივობას ამტკიცებს.

ძალიან ვღელავ შენზე, რადგან თუ კი მე ეს შევძელი...

შევძლებდი, როდესმე ეგოიზმს გავმკლავებოდი და ისე მოვექცეულიყავი,

როგორც საჭირო იყო? ის სიცოცხლეს იმსახურებდა, მხოლოდ არა ისეთს,

როგორსაც ელისი ხედავდა...

– თუ კი დაშორება აუცილებლობა იქნება...

ჩვენ უნდა დავშორებულიყავით. ბელას ჩემს მიმართ არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა.

– მირჩევნია დავიტანჯო, ვიდრე შენ მოგაყენო ტკივილი. მინდა დაგიცვა.

როცა ეს სიტყვები წარმოვთქვი, ვინანე, რომ მართალი იყო.

შემომხედა. ვერ მივხვდი რატომ, მაგრამ ჩემმა ნათქვამმა გაბრაზა.

– და შენ ფიქრობ, რომ მეც ასე მოვიქცევი? – წარმოთქვა გაბრაზებულმა.

როგორი გაბრაზება – ამასთანავე, როგორი სათუთი და ნაზია, მას არ შეეძლო ვინმესთვის რამე დაეშავებინა.

– შენ ეს არ გეხება. – ვთქვი და კიდევ ერთხელ გავბრაზდი, რადგან ესოდენ განსხვავებულები ვიყავით.

შემომხედა, თვალეში წყენა ეტყობოდა, ცხვირთან კი პატარა ნაოჭი გასჩენოდა.

თავიდანვე რაღაც არასწორი იყო ამ ყველაფერში, რადგან ასეთი ნაზი და

სათუთი არსება იმსახურებდა მფარველ ანგელოზს, რომელიც მას

უსიამოვნებებისგან დაიცავდა.

მაშინ, – გავიფიქრე შავი იუმორით. – ბოლოს და ბოლოს მას ჰყავს მცველი – ვამპირი.

გავიღიმე.

– თუმცა შენი დაცვა ჩემს ოცდაოთხსაათიან მეთვალყურეობას ითვალისწინებს აქედან გამომდინარე შენ გვერდით ჩემი ყოფნის აუცილებლობას.

მანაც გამიღიმა.

– დღეს არავის მოუნდომებია ჩემი მოკვლა. – მითხრა და გამომცდელად შემომხედა.

– ჯერ–ჯერობით. – დავამატე მშრალად.

– ჯერ–ჯერობით.– ჩემდა გასაკვირად დამეთანხმა.

ველოდი, რომ წინააღმდეგობას გამიწევდა.

როგორ შეუძლია? ეს ეგოისტი რეგენი! როგორ შეუძლია ასე მოგვექცეს? –

როზალის ძლიერმა აზრობრივმა ყვირილმა ჩემი ყურადღება მიიქცია.

– მშვიდად როზალი. – ჩაიჩურჩულა ემეტმა და მხრებზე მოეხვია, ცდილობდა, როგორმე გაეჩერებინა სკამზე.

მაპატიე ედვარდ. – დამნაშავე ხმით გაიფიქრა ელისმა. – თქვენი ლაპარაკიდან გამომდინარე, მიხვდა, რომ ბელამ საკმარისზე მეტი იცის... უარესი იქნებოდა, თუ კი ყველაფერს არ ვეტყვოდი. დამიჯერე.

შევხტი, წარმოვიდგინე რა მოხდებოდა, თუ კი ამ ამბავს როზალის სახლში გავაგებინებდი, სადაც თავის მოჩვენება არ იქნებოდა საჭირო. თუ კი გაკვეთილების დასრულებამდე არ დაწყნარდებოდა, მომიწევდა ჩემი ასტონ მარტინის სადღაც შტატის საზღვრებს გარეთ გაყვანა. ჩემი საყვარელი მანქანის შესახედაობა არ მომეწონებოდა, თუმცა ვიცოდი, რომ ეს სავსებით დავიმსახურე. ჯასპერიც არ გაახარა ახალმა ამბავმა.

ამ ყველაფერს მოგვიანებითაც მივხედავდი, როგორღაც გამიჩნდა ბელასთან ყოფნის შესაძლებლობა და არ ვაპირებდი ამ დროის სისულელეებზე დახარჯვას.

სწორედ ამ დროს გავიგე, როგორ შემახსენა ელისმა, რომ რაღაც საქმე მქონდა, რომელზეც ღირდა დაფიქრება.

– კითხვა მაქვს შენთან. – როზალის ისტერიკის მოსმენა შევწყვიტე და ბელას მივაქციე ყურადღება.

– ამოთქვი. – გამიღიმა ბელამ.

– აუცილებელია ამ შაბათს შენი სიეტლში წასვლა, თუ ეს უბრალოდ შენი კავალერების ჩამოსაშორებლად მოიფიქრე?

სახე მოელუშა.

– იცი, ჯერ კიდევ არ მიპატიებია შენთვის ტაილერის შემთხვევა. შენი ბრალია,

რომ დაიჯერა თითქოს მასთან ერთად მივდივარ ცეკვებზე.

– ოჰ, ტაილერი ჩემს გარეშეც შეძლებდა შენს დაპატიჟებას, – მე უბრალოდ შენი სახის დანახვა მინდოდა.

მისი სახის გახსენებაზე გამეცინა. ჩემს მიერ მოყოლილ არც ერთ ისტორიაზე არ შეშინებია, მაშინ რატომ შეეშინდა? ჩემთან ყოფნის სურვილმა შიში დაავიწყა. დაუჯერებელია.

– მე რომ დაგპატიჟო დამთანხმდები?

– რა თქმა უნდა. – მიპასუხა. – მაგრამ შემდეგ აუცილებლად მოვიგონებ რაიმე მიზეზს და უარს გეტყვი.

უცნაურია.

– რატომ?

– ვეჭვობ, რომ სპორტ დარბაზში არასოდეს გინახივარ. რომ გენახე, აუცილებლად მიხვდებოდი მიზეზს.

აჰ.

– მხედველობაში გაქვს, რომ არ შეგიძლია სწორ ზედაპირზე ისე გავლა, რომ არ წაიქცე?

– ზუსტად.

– რა პრობლემაა. ცეკვის დროს ყველაფერი პარტნიორზე დამოკიდებული.

ერთ წამით სურვილმა შემიპყრო, რომ მკერდზე მყოლოდა მიხუტებული ცეკვისას – მაშინ მას ნამდვილად ეცემოდა რაიმე ნორმალური, ვიდრე ეს საშინელი სვიტერი.

ცხადად გამახსენდა როგორ ვგრძნობდი მის სხეულს, როცა მოახლოებული ფურგონისგან ვიხსენი. ეს შეგრძნება გაცილებით რეალური იყო, ვიდრე შიში, ან განუსჯელობა. ის ისეთი თბილი და რბილი იყო, იმდენად კარგად გრძნობდა თავს ჩემს ქვის მკერდთან...

ვეცადე მოგონებები თავიდან ამომეგდო.

– შენ ჩემთვის არ გითქვამს. – სწრაფად ვთქვი, არ მივეცი საშუალება შემკამათებოდა, რასაც აპირებდა კიდეც. – გადაწყვეტილი გაქვს სიეტლში წასვლა თუ შენთვის სულერთია, იქნებ სხვა რამე მოგვეფიქრებინა ერთად? ჩემი მხრიდან ეს ეშმაკობა იყო – არ დამეტოვებინა არჩევანი მისთვის, რათა ჩემთან ერთად ყოფნის შესაძლებლობა აეცილებინა. ეს არასწორი იყო, ვიცოდი. მაგრამ მე მას გასულ საღამოს დავპირდი... მაგრამ ამ დანაპირების შესრულების იდეა იმდენად მაშინებდა, რამდენადაც მახარებდა.

შაბათს მზე იქნება, შემეძლება ვაჩვენო ჩემი თავი ნამდვილი კუთხით, თუ კი მოვახერხებ და გავუძლებ მის შეშინებულ მზერას. ვიცოდი კიდეც ადგილი, სადაც ამას მოვახერხებდი.

– ნებისმიერი რამ, – ჩაილაპარაკა ბელამ, – მხოლოდ ერთი პირობით. მოვემზადე, მაინტერესებდა რას შემომთავაზებდა.

– რა პირობით?

– ჩემი მანქანით წავალთ.

ხუმრობს?

– რატომ?

– ნუ, პირველ რიგში იმიტომ, რომ როცა ჩარლის ვუთხარი, რომ სიეტლში მივდიოდი, მკითხა მარტო მივდიოდი თუ არა. ვუპასუხე, რომ კი. თუ კიდეც მკითხავს, თუმცა მგონია რომ არ შემეკითხება და შემდეგ ჩემს მანქანას სახლთან დაინახავს, უამრავ არასასურველ კითხვას დამისმევს, ამასთანავე, მანქანის მართვისას შენი სიჩქარე მაშინებს.

– მათ შორის, რამაც ჩემში უნდა შეგაშინოს, შენ მარტო ჩემი ტარება გაშინებს? როგორც ჩანს მისი ტვინი უკულმა მუშაობდა.

ედვარდ.– ელისის ხმაში დაჟინება ისმოდა.

მოულოდნელად დავინახე განათებული მდელო, რომელიც ერთხელ უკვე ენახა მას.

ეს იყო ჩემთვის კარგად ნაცნობი ადგილი, ადგილი, სადაც სწორედ ამ წამს გადავწყვიტე ბელას წაყვანა – პატარა მდელო, სადაც ჩემს გარდა არავინ ყოფილა. წყნარი, მშვიდი მინდორი – ყველა ბილიკისგან და დასახლებისგან მოშორებით, სადაც ჩემს ტვინსაც შეეძლო მშვიდად ყოფნა.

ელისმაც იცნო ის, რადგან ერთხელ უკვე მნახა იქ, თავის ძველ ხილვაში – ერთერთი საიდუმლო ხილვათაგანი, რომელსაც სწორედ იმ დილით მაჩვენებდა, როცა ბელა ფურგონის დაჯახებისგან გადავარჩინე.

მაშინდელ მანათობელ ხილვაში მე მარტო არ ვიყავი. ახლა კი გარკვევით ვხედავდი – იქ, ჩემთან ერთად ბელა იყო. ე.ი. სიმამაცე მეყო. მიყურებდა. – ცისარტყელა ბზინავდა მის სახეზე, მის უძირო თვალებში.

სწორედ ის ადგილი – შიშით გაიფიქრა ელისმა, რაც სრულებით არ ეთანხმებოდა მის ხილვას. რას გულისხმობდა, როცა ამბობდა რომ ის ადგილია? შემდეგ კი მივხვდი რაშიც იყო საქმე.

– ედვარდ! – მკვეთრად გააპროტესტა ელისმა. – მე ის მიყვარს, ედვარდ! გააფთრებულმა შევწყვიტე მისი აზრების მოსმენა.

მას ისე ძლიერად არ უყვარდა ბელა, როგორც მე. მისი ხილვა არ შეიძლება სინამდვილე ყოფილიყო. დაუშვებელი.

მთელი ამ დროის განმავლობაში ბელა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ჩემს სახეს. შენიშნა ჩემს სახეზე გაელვებული შიში, თუ შეუმჩნეველი დარჩა? ვცდილობდი ელისის ხილვებისთვის ყურადღება არ მიმექცია. არ ღირდა საამისოდ, მიუხედავად ამისა, ხასიათი გამიფუჭდა, რათა ჩვენი ლაპარაკი ისევ ხუმრობანარევ სტილში გამეგრძელებინა.

– რატომ არ გინდა მამაშენს უთხრა, რომ ჩემთან ერთდ მოდიხარ? – ვკითხე ბელას და ჩემს ხმაში უზრუნველობა გამქრალიყო.

კიდევ ერთხელ შევეცადე ხილვებისგან თავის დაღწევას, ვცდილობდი ჩემი მერყევი ხასიათი მათგან მომეშორებინა.

– ჩარლის ყველაფრის გაზვიადება უყვარს. – დარწმუნებით მითხრა ბელამ. – ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერსადაც ვერ წავალთ.

ელისი ცდებოდა, ნამდვილად ცდებოდა. ეს ყველაფერი უბრალოდ ძველი ხილვები იყო, რომელთაც ახლა უკვე მნიშვნელობა ჰქონდათ დაკარგული. ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო.

– კარი ამინდი იქნება. – ნელა დავილაპარაკე, ვცდილობდი შიშთან და გაუბედაობასთან მებრძოლა. ელისი ცდებოდა. მე ეს შემემლო. – ამიტომ ხალხის თავშეყრის ადგილებს უნდა მოვერიდო... შენ კი თუ გინდა... შეგიძლია ჩემთან ერთად იყო.

ბელა მაშინვე მიხვდა ყველაფერს და თვალეები გაუბრწყინდა.

– შენ კი მანახებ, რას გულისხმობდი, როდესაც მზეზე ლაპარაკობდი?

შესაძლებელია, ადრე მისი რეაქცია განსხვავებული ყოფილიყო. გავიღიმე, ვცდილობდი ნათელ ფიქრებს დავბრუნებოდი.

– ჰო, მაგრამ...

„დიახ“ არ უთქვამს.

– თუ კი არ გინდა... ჩემთან ყოფნა... მარტო, იქნებ მაინც არ წახვიდე სიეტლში. მაცბუნებს იმაზე ფიქრი, რა შეიძლება დაგემართოს ამხელა ქალაქში მარტო მყოფს.

ნაწყენმა ტუჩები გაბუსხა.

– ფენიქსი მოსახლეობის რაოდენობით სამჯერ აღემატება სიეტლს, აღარაფერს ვამბობ ფართობზე...

– გასაგებია, მაგრამ ფენიქსში ყოფნისას, ჯერ კიდევ არ ეღვიძა შენს ბოროტ ბედისწერას. – ვუპასუხე და მისი თავისმართლება გავაქარწყლე. – ამგვარად უკეთესი იქნება თუ ჩემთან დარჩები.

სამუდამოდ რომ დარჩენილიყო, ესეც ცოტა იქნებოდა ჩემთვის.

ასე არ უნდა მეფიქრა, ჩვენ არ შეგვეძლო სამუდამოდ ერთად დარჩენა. ეს წამები

ახლა გაცილებით ძვირფასი იყო, ვიდრე როდესმე. ის ყოველწამიერად იცვლებოდა, მაშინ როცა, თვითონ უცვლელი ვრჩებოდი.

– იმდენად რამდენადაც ეს უკვე მოხდა, არ ვარ წინააღმდეგი შენთან ერთად მარტო დარჩენის.

არა – რადგან მისი ინსტიქტები არა სწორად მოქმედებდნენ.

– ვიცი, – ამოვისუნთქე, მაგრამ მგონია, რომ ჩარლის მაინც უნდა უთხრა.

– რა საჭიროა? – მკითხა შეშინებულმა.

შევხედე. ხილვა, რომელსაც ვერ ვეროდი, დამემალა, თავში მიტრიალებდა და ზიზღის გრძნობას მიმძაფრებდა.

– იმიტომ, რომ მქონდეს სტიმული, რათა უკან დაგაბრუნო. – ჩავიჩურჩულე.

უნდა მომცეს საშუალება, რომ ერთი მოწმე მყავდეს, რათა უფრო ფრთხილად ვიყო. რა საჭირო იყო სწორედ ამ წამს შეეხსენებინა ელისს ყველაფერი?

ბელამ ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და დიდხანს მიყურა. რა დაინახა?

– ვფიქრობ, გავრისკავ. – მიპასუხა.

ჯანდაბას! საკუთარი სიცოცხლის ფასად აპირებს ნერვების თამაშს? იქნებ

ადრენალინის მიღება სურს?

გაბრაზებულმა გადავხედე ელისს, რომელსაც გამაფრთხილებელი

გამომეტყველება ჰქონდა. მის გვერდით მჯდომი როზალი გაშმაგებისგან ელვას აფრქვევდა, თუმცა ეს არანაირად არ მალეღებდა, შეეძლო მანქანა გაეფუჭებინა, ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ლითონის ნაჭერი იყო.

– იქნებ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. – მოულოდნელად შემომთავაზა ბელამ.

გაკვირვებულმა შევხედე, როგორ შეეძლო ასე ადვილად უკუეგდო ის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო. რატომ ვერ ხედავდა ჩემში არსებულ ურჩხულს?

– რაზე გსურს საუბარი?

თავდაპირველად გარშემო მიმოიხედა, თითქოს ამოწმებდა ვინმე ხომ არ

გვისმენდა, როგრც ჩანს ჩემი არა ადამიანური არსებობის ერთ-ერთი ასპექტის

განხილვა სურდა. წამით მზერა გაეყინა და სხეული უმოძრაო გაუხდა.

– გასულ კვირას სანადიროდ იყავი წასული „გოათ როკზე“? ჩარლიმ მითხრა, რომ კარგი ადგილი არაა სანადიროდ, რადგან ბევრი... დათვებია.

წარბის აწევით შევხედე.

– დათვები? – გაჭირვებით ჩაისუნთქა ჰაერი.

ცალკებად გავიღიძე, ვერთობოდი მისი სახის გამომეტყველებაზე, როგორ ნელნელა ხვდებოდა თავისივე სიტყვების აზრს. იქნებ ამან მაინც აიძულოს, რომ სერიოზულად აღმიქვას?

შეეცადა თავის ხელში აყვანას.

– იცი, ახლა დათვებზე ნადირობის სეზონი არა. – მითხრა დაეჭვებულმა და თვალები დაუწვრილდა.

– თუ ყურადღებით წაიკითხავ, იქ წერია, რომ იარაღით ნადირობაა აკრძალული. რამდენიმე წამით ისევ დაკარგა თავზე კონტროლი და გაოცებულმა პირი გააღო.

– დათვები? – გაიმეორა ისევ, ეტყობოდა, რომ ამ ამბავმა შოკში ჩააგდო.

– ემეტს ყველაზე მეტად გრიზლი უყვარს.

მისი თვალების გამომეტყველება მართობდა.

– ჰმ... – ჩაილაპარაკა და ჩაფიქრებულმა აიღო პიცის ნაჭერი, ნელა დაღეჭა და კოლა მოსვა.

– მოკლედ... – დაილაპარაკა საბოლოოდ. – შენ რას ანიჭებ უპირატესობას?

უნდა მივმხვდარიყავი, რომ რაიმე მსგავსს მკითხავდა, მაგრამ ვერ გამოვიცანი.

მისი კითხვები ყოველთვის სიურპრიზად რჩებოდა.

– მთის ლომი. – ვუპასუხე უცერემონიოდ.

– აჰ. – მიპასუხა გულგრილი ტონით. მისი გულისცემა ჩვეულ რითმში

განაგრძობდა ფეთქვას, თითქოს საყვარელ რესტორნებს განვიხილავდით.

ძალიან კარგი, თუ ფიქრობს, რომ ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის.

– რა თქმა უნდა ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათ არ დავარღვიოთ ტყის ფაუნა,

გაუაზრებელი ნადირობით. – ვლასპარაკობდი მშვიდად და მშრალად. –

ვცდილობთ მტაცებლებით მდიდარ ადგილებში ვინადიროთ და ძალიან არ შევამცროთ მათი რაოდენობა გაუაზრებელი მოქმედებით, გარშემო ძალიან ბევრი ირემია მაგრამ მათზე ნადირობა სულაც არაა თავშესაქცევი.

ისეთი დაინტერესებული და ზრდილობიანი გამომეტყველებით მისმენდა, თითქოს სტუდენტი იყო, მე კი ლექციას ვუკითხავდი. თავი ვერ შევიკავე და გამეღიმა.

– მართლაც არანაირი. – წყანარად ჩაილაპარაკა და პიცის კიდეც ერთი ნაჭერი აიღო.

– ემეტს ყველაზე მეტად ადრე გაზაფხულზე უყვარს დათვებზე ნადირობა. – ვუთხარი, ლექციას განვაგრძობდი. – მაგ დროს ახალი გამოღვიძებულები არიან ზამთრის ძილიდან და შესაბამისად მეტად გაღიზიანებულები.

უკვე სამოცდაათი წელი გავიდა, მან კი ვერ დაივიწყა პირველი ნადირობის დროს განცდილი მარცხი.

– რა თქმა უნდა, გაღიზიანებულ გრიზლზე უკეთესი არაფერია. – დამეთანხმა ბელა და თავი დამიქნია.

ამჯერად თავი ვერ შევიკავე და ხმამაღლა გადავიხარხარე, თავი გადავაქნიე მისი უსურცხვილო სიმშვიდის შემყურემ. ალბათ თავს მაჩვენებს.

– გთხოვ, მითხარი, რას ფიქრობ ამის შესახებ.

– ვცდილობ წარმოვიდგინო ეს ყველაფერი – მაგრამ არ შემიძლია. – მიპასუხა და ცხვირთან ისევ გაუჩნდა პატარა ნაოჭი. – როგორ ნადირობთ დათვებზე იარაღის გარეშე?

– ო, ჩვენ გვაქვს იარაღი. – ვუპასუხე და ფართოდ გავუღიმე.

ველოდი, რომ შიშით დაიხევდა უკან, მაგრამ ძალიან მშვიდად განაგრძობდა ჩემს ყურებას.

– სწორედ ასეთი ნადირობის სტილი არ არის აკრძალული კანონით. თუ კი

როდესმე ტელევიზორში გინახავს, გრიზლის თავდასხმა, ცხადად შეგიძლია წარმოიდგინო როგორ დანირობს ემეტი.

იმ მაგიდისკენ გაიხედა, სადაც ჩემი დები და ძმები ისხდნენ და შეხტა.

ბოლოს და ბოლოს. ჩავიცინე, ჩემი არსების რაღაცა ნაწილი, ოცნებობდა, რომ მას ამ ყველაფრის შესახებ დაევიწყებინა.

როცა ისევ შემომხედა, თვალები ფართოდ გაეხილა.

– შენც დათვის გავხარ? – მკითხა თითქმის ჩურჩულით.

– უფრო მთლის ლომს, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ. – ვეცადე მშვიდად მელაპარაკა.

ტუჩის კუთხეები შეუთრთოლდა, თითქოს გაღიმებას აპირებდა.

– შესაძლებელია. – მიპასუხა.

შემდეგ თავი გვერდზე დახარა და თვალებში ინტერესი გაუკრთა.

– აუცილებელია, ესეც ვნახო?

ადარ იყო საჭირო ელისის ხილვა, თვითონაც შევძელი წარმომედგინა ამ სიტუაციის მთელი საშინელება.

– რა თქმა უნდა არა. – ჩავიღრინე.

უკან დაიხია, თვალებში გაუგებრობა და შიში ჩასდგომოდა.

მეც დავიწიე უკან. ის ამას ვერასოდეს ნახავდა. ეს აუცილებელი იყო, რათა მისი სიცოცხლე შემენარჩუნებინა.

– ჩემთვის საზარელი სანახაობაა? – მკითხა იგივე ტონით, გული კი ჩვეულებრივად უცემდა.

– ეს რომ საჭირო იყოს, ამაღამვე წაგიყვანდი. – გამოვცერი კბილებში. –

ნამდვილად არ გაწყენდა შიშის შეგრძნება.

– მაშინ რატომ? – მკითხა უშიშრად.

შუბლშეკრულმა შევხედე, ველოდი, რომ შეეშინდებოდა. თვითონ ვიყავი

შეშინებული. საკმაოდ ცხადად შევძელი წარმომედგინა, რა მოხდებოდა, თუ კი

ბელა აღმოჩნდებოდა სიახლოვეს, როცა ვნადირობდი...

მის თვალებში მოუთმენლობა და ცნობისმოყვარეობა იკითხებოდა, არ დანებდა და ჯერ კიდევ ელოდა თავის კითხვაზე პასუხს.

მაგრამ ჩვენი დრო დამთავრდა.

– სხვა დროს. – წარმოვთქვი და ფეხზე წამოვდექი. – ვაგვიანებთ.

შეცბუნებულმა მიმოიხედა, თითქოს დაავიწყდა, რომ სკოლაში ვიყავით ლანჩზე და არა რომელიმე წყნარ, განმარტოებულ ადგილას. მესმოდა მისი გრძნობების, რთული იყო მეფიქრა გარემო პირობებზე, როცა ის ჩემს გვერდით იყო.

სწრაფად წამოდგა, წაიბორძიკა და ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა.

– სხვა დროს, ე.ი. სხვა დროს. – მის თვალებში საკუთარი გადაწყვეტილების სიმტკიცე ჩანდა.

12 თავი

გართულებები

მე და ბელა ჩუმად მივაბიჯებდით ბიოლოგიის ლექციაზე. ვცდილობდი მთელი ყურადღება ჩემს გვერდით მომავალ გოგონაზე გადამეტანა, მობილიზება მომეხდინა რეალურ ფაქტებზე და არ მიმეცა საშუალება ელისის მაცდურ და უშინაარსო ხილვებს ჩემს ტვინში შემოედწიათ.

ანჯელა ვებერს ჩავუარეთ გვერდით, რომელიც თავის თანაკლასელთან ერთად რაღაცას განიხილავდა. მისი აზრები დავიჭირე, თუმცა მოსმენილმა გამაკვირვა, რადგან საკმაოდ მოწყენილი იყო.

იყო რაღაც, რაც ანჯელას სურდა. სამწუხაროდ ადვილი არ იყო ამ

სურვილის საჩუქრების სიაში გაყვანა. უცნაური სიმშვიდე დამეუფლა მისი აზრების გაგებისას, რომლებიც უიმედო სევდას გამოხატავდა. მოულოდნელად, ამ კეთილი ადამიანის მიმართ უცნაური დამოკიდებულება გამიჩნდა, რომელსაც თვითონ ანჯელა ვერასოდეს გაიგებდა, ისევე როგორც ვერ გაიგებდა იმას, თუ რა ხდებოდა ჩემში.

აზრმა იმის შესახებ, რომ ერთადერთი არ ვიყავი, ვინც ტრაგიკულ

სიყვარულს განიცდიდა, უცნაურად მანუგემა.

გალიზიანება ვიგრძენი. ანჯელას ისტორია არ შეიძლებოდა ტრაგიკული ყოფილიყო. მისი აზრით ხომ, განსხვავება, რომელიც მათ შორის არსებობდა, სინამდვილეში არაფერს წარმოადგენდა. არ არსებობდა არანაირი მიზეზი გულის გასატეხად, არ არსებობდა ბარიერი საიმისოდ, რომ არ ყოფილიყო იმის გვერდით, ვინც თვითონ სურდა. მაშინ რატომ არ იქცეოდა ისე, როგორც საჭიროდ თვლიდა? რატომ არ უნდა, რომ ამ სასიყვარულო ისტორიას ბედნიერი გაგრძელება ჰქონოდა? ისინი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ.

მომინდა მისთვის საჩუქარი გამეკეთებინა... კარგი, მე მას მივცემ იმას, რაც სურს, ამას კი ჩემი ადამიანების ფსიქოლოგიის ცნობის მეშვეობით ადვილად მოვახერხებდი. ყურადღება მივაქციე ბიჭს, რომელიც მის გვერდით იდგა – ანჯელას სიყვარულის ობიექტი. როგორც აღმოჩნდა, ის სრულებით არ იყო წინააღმდეგი, მაგრამ გოგონასავით ისიც იგივე მიზეზით გრძნობდა სირთულეს. ანჯელა კი თვლიდა, რომ მას შანსი ჰქონდა.

ერთადერთი, რაც უნდა გამეკეთებინა – მიმელო გადაწყვეტილება...

სწრაფად, ყოველგვარი ზედმეტი ძალდატანების გარეშე შევადგინე მოქმედების გეგმა. ამ გეგმის განსახორციელებლად კი ემეტი დამჭირდებოდა, მაგრამ მისი დაყოლიება ნამდვილად რთული იქნებოდა. ის ხომ ადამიანი არ იყო.

მოხარული ვიყავი, რომ ვცდილობდი ანჯელა გამეხედნიერებინა, ეს მავიწყებდა საკუთარ პრობლემებს. ასევე ადვილად რომ შემძლებოდა მათი გადაწყვეტა...

როცა მე და ბელამ ჩვენი ადგილები დავიკავეთ კლასში, განწყობილება შესამჩნევად გამიუმჯობესდა. იქნებ, იმედი ჯერ კიდევ არსებობდა. იქნებ მოიძებნებოდა გამოსავალი ჩვენს შემთხვევაშიც, რომელსაც მე ვერ ვხედავდი.

როგორც ჩანს, ანჯელას პრობლემის გადაწყვეტა საკმაოდ ცხადი იყო. საერთოდ რატომ ვხარჯავდი დროს უაზრო ნერვიულობაში? ბელას გვერდით გატარებული თითოეული წამი ძვირფასი იყო ჩემთვის, მე კი ბევრი დრო არ მქონდა.

მისტერ ბენერმა კლასში ძველი ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი შემოაგორა. მან ფირის ის ნაწილი გადაახვია, რომელიც არ აინტერესებდა.

გენეტიკური დარღვევები – დაგეგმილი იყო მომავალი სამი დღე ფილმის ჩვენება, რომელიც ნამდვილად არ იყო საინტერესო და განწყობის

ამამდლებელი, მაგრამ კლასში მყოფი ბავშვები ამ ამბავმა მაინც აღაგზნო.

არანაირი ნიშნები, არანაირი ტესტები. სამი თავისუფალი დღე. ადამიანები ეგზალტირებულები იყვნენ.

ჩემთვის ეს ყველაფერი უმნიშვნელო იყო, მაინც არ ვაპირებდი ბელას გარდა არავისდა არაფრისთვის ყურადღების მიქცევას.

დღეს არ გავწიე სკამი მისგან, იმდენად შორს, რომ ჩემთვის სასუნთქი

არეალი დამეტოვებინა. ამასთანავე იმდენად ახლოს ვიჯექი მასთან, როგორც ჩვეულებრივი ადმიანი. იმაზე ახლოსაც კი, ვიდრე ჩემს მანქანაში, საკმარისად ახლოს, იმდენად, რომ ჩემი მარცხენა მხრით შევიგრძნობდ მისგან მომავალ სითბოს.

ეს საკმაოდ უცნაური, სასიამოვნო, მაგრამ ამასთანავე დამაბული მომენტი

იყო. ეს იმაზე მეტი იყო, რისი შეჩვევაც მოვასწარი, მაგრამ მალევე

გავაცნობიერე, რომ საკმარისი არც ეს არ იყო. მეტი მჭირდებოდა. მინდოდა უფრო ახლოს ვმჯდარიყავი მასთან. რამდენადაც ახლოს მივდიოდი, იმდენად მეტად მიპყრობდა ახლოს ყოფნის სურვილი.

მე მას ვადანაშაულებდი, რომ მაგნიტივით იზიდავდა უბედურებას. სწორედ ახლა, სიტყვა “მაგნიტი” ყველაზე ზუსტი იყო – თითოეული დიუმი, რომლითაც მას ვუახლოვდებოდი, მიზიდულობას ზრდიდა.

შემდეგ კი მისტერ ბენერმა სინათლე გამორთო.

რთული იყო იმის გაცნობიერება, რაც შუქის ჩაქრობამ გამოიწვია, ისევე ცხადად ვხედავდი ოთახის თითოეულ დეტალს, როგორც აქამდე.

მიკვირდა რატომ იყო ასე ძლიერად დამუხტული ჰაერი ჩემს გარშემო, სიბნელეში, რომელიც ჩემთვის არ არსებობდა. ნუთუ იმის გამო, რომ ერთადერთი ვიყავი, ვინც ასე გარკვევით ხედავდა ყველაფერს? ჩვენ ახლა ვერავინ გვამჩნევდა, თითქოს მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით, მე და ის, ბნელ ოთახში, ერთმანეთთან ამდენად ახლოს მსხდომნი...

ჩემგან დამოუკიდებლად ჩემმა ხელმა მისი მიმართულებით გაიწია.

უბრალოდ მის ხელისგულს შევეხებოდი და სიბნელეში მეჭირებოდა.

შეიძლებოდა ეს საშინელი შეცდომა ყოფილიყო? თუ ჩემი კანის შეხებას იგრძნობდა, ის უბრალოდ უკან დაიწეოდა...

ხელი გამოვწიე, მკერდზე გადავაჯვარედინე და მუშტები მაგრად შევკარი.

არანაირი შეცდომა. საკუთარ თავს დავპირდი, რომ იმის მიუხედავად, რამდენად უმნიშვნელო იქნებოდა შეცდომა, მას არ დავუშვებდი. თუ ხელს შევახებდი, მეტი მომინდებოდა – ნებისმიერი უმნიშვნელო შეხება, ნებისმიერი მოძრაობა – ოღონდაც კი ჩემთან ახლოს ყოფილიყო. მე ამას ვგრძნობდი. ჩემს შიგნით დაუჯერებელი სიძლიერით იზრდებოდა ახალი სურვილი, ცდილობდა ჩემი თვითკონტროლის დარღვევას.

არანაირი შეცდომა.

ბელამ მკერდზე ხელი გადაიჯვარედინა და ჩემს მსგავსად შეკრა მუშტები.

რაზე ფიქრობ? მინდოდა ჩურჩულით მეკითხა, მაგრამ ოთახში არსებული სიჩუმის დარღვევისთვის, შეიძლებოდა გაკვეთილი დამეტოვებინა.

ფილმი დაიწყო და სინათლემ ოდნავ გაანათა კლასი. ბელამ შემომხედა, დამინახა, როგორ მდგომარეობაშიც ვიჯექი (ზუსტად ვიმეორებდი მას) და გაიღიმა, მისი თვალები კი სინაზით იყო სავსე.

თუმცა შესაძლებელია, ის დავინახე, რაც თვითონ მინდოდა.

პასუხად გავუღიმე, მომეჩვენა, რომ იხრჩობოდა. სწრაფად მომარიდა თვალი, რამაც უარესად დაამძიმა სატუაცია. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფიქრები არ ვიცოდი, გავაცნობიერე, რომ მართალი ვიყავი – უნდოდა, რომ შეეხებოდი. იგივე უცნაურ შეგრძნებას განიცდიდა, რასაც მე.

ჩვენი სხეულები ელექტრულ მუხტს გამოსცემდა.

მთელი გაკვეთილი მდგომარეობა არ შეუცვლია, ზუსტად ისევე იჯდა, როგორც მე. დრო და დრო გადმომხედავდა და მის თითოეულ შეხედვაზე, ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

ნელა, მაგრამ გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო გავიდა. მივხვდი, რომ შემეძლო ასე უბრალოდ, რამდენიმე დღის განმავლობაში ვმჯდარიყავი მის გვერდით, რათა ეს ახალი გრძნობა განმეცადა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, გონებაში რამდენიმე ათეული არგუმენტი მოვიფიქრე, რომელთა მეშვეობითაც ვცდილობდი დამემლია მისი შეხების სურვილი.

ბოლოს და ბოლოს მისტერ ბენერმა სინათლე აანთო.

მკვეთრ, ფლურისცენციულ სინათლესთან ერთად, ოთახში არსებული ატმოსფერო ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა. ბელამ ამოისუნქა და მაგრად მომუშტული თითები გაშალა. მისთვის საკმაოდ რთული იყო დიდ ხანს ერთ მდგომარეობაში გაჩერება. სამაგიეროდ ეს ჩემთვის იყო ადვილი – უმოძრაობა. გავიღიმე – მის სახეზე შვება გამოისახა.

– საინტერესო იყო.

– აჰა. – ჩაილაპარაკა, კარგად მიხვდა რაც მქონდა მხედველობაში, მაგრამ ამისთვის კომენტარი არ გაუკეთებია. მზად ვიყავი ყველაფერი დამეთმო, ოღონდაც მცოდნოდა რას ფიქრობდა.

ამოვისუნთქე. როგორც არ უნდა მდომოდა ეს, სამწუხაროდ ვერაფერს გავაკეთებდი.

– წავედით? – შევეკითხე.

დაიმანჭა, მსუბუქად შეირხა და ფეხზე წამოდგა, ხელები ისე გაშალა, თითქოს ეშინოდა არ წაქცეულიყო.

შემემლო მისთვის ხელი შემეთავაზებინა, მსუბუქად დამყრდნობოდა, რათა დავხმარებოდი. რა თქმა უნდა ეს არ იყო საშინელი შეცდომა... არანაირი შეცდომა.

ჩუმად მივაბიჯებდით სპორტ დარბაზისკენ. შუბლზე ღრმა ნაოჭი გასჩენოდა – ე.ი დაფიქრებული იყო. მეც მქონდა რაღაც, რაზეც დაფიქრება ღირდა.

ჩემი ეგოისტური ნატურა, სასტიკად იბრძოდა იმ აზრისთვის, რომ ერთი მსუბუქი შეხებით, მას არაფერს დავუშავებდი.

მე შემემლო ფრთხილად შევხებოდი მას, მაგრამ მხოლოდ მას მერე, როცა შემემლებოდა საკუთარი თავის კონტროლი. ჩემი შეხების შეგრძნება მეტად იყო განვითარებული, ვიდრე ადამიანების. ადვილად შემემლო მანიპულირება უამრავი ბროლის ჭიქით, ისე, რომ არცერთი არ გამტეხვოდა. შეემლო ისე შევხებოდი სანის ბუშტს, რომ არ გამეხეთქა. ეს ყველაფერი შემემლო გამეკეთებინა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა თავს ვაკონტროლებდი...

ბელა კი ძალიან სათუთი იყო, საპნის ბუშტივით. მოკვდავი.

რამდენად დიდხანს შემიძლია გავამართლო ჩემი არსებობა მის ცხოვრებაში?

რამდენი დრო მაქვს კიდევ? მექნება კი, როდესმე ასეთი შანსი კიდევ?

ყოველთვის ვერ იქნება ჩემგან ერთი ხელის გაწვდენაზე....

სპორტ დარბაზის კარებთან მისული ბელა ჩემსკენ შემობრუნდა, რათა სახეში შემოეხედა, თვალები გაუფართოვდა, როცა ჩემი სახის გამომეტყველება დაინახა. არაფერი უთქვამს. მისი თვალებით შევხედე საკუთარ თავს და დავინახე ჩემში არსებული შინაგანი ბრძოლა. დავინახე, როგორ შეიცვალა ჩემი სახის გამომეტყველება, როცა ჩემმა მართალმა მხარემ დაკარგა უკანასკნელი

არგუმენტი...

ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ავწიე ხელი. იმენად ნელა, რომ თითქოს ის ძალიან თხელი შუშისგან იყო დამზადებული, თითქოს მართლა საპნის ბუშტი ყოფილიყო, ჩემი თითები მის თბილ ლოყას ეფერებოდნენ. ჩემმა შეხებამ მისი სახე გააბრწყინა, ვგრძნობდი, როგორ მოძრაობდა სისხლი, როგორ თავშეუკავებლად მოაწვა მის გამჭვირვალე კანს.

გეყოფა. – ვუბრძანე საკუთარ თავს, მაშინ, როცა ჩემ ხელს ისევ სწყუროდა მისი შეხება. – საკმარისია.

ძალიან რთული იყო მისი თბილი კანისთვის ხელის მოშორება, მასთან სიახლოვის შეგრძნების შეწყვეტა. ათასობით განსხვავებულმა აზრებმა დაიპყრეს ჩემი გონება – თითოეული მათგანი მხოლოდ ერთი იდეის გარშემო ტრიალებდა – ათასობით განსხვავებული გზა მისი შეხებისთვის. თითებით ნაზად ვხაზავდი მის ტუჩებს. ხელისგულით ნიკაპს ვეფერებოდი, როგორ ვხსნიდი თმის სამაგრს და მისი გრძელი თმა ხელისგულებზე მეფინებოდა, ჩემი ხელები მხრებზე ეხვეოდა და ჩემსკენ ვიზიდავდი ჩასახუტებლად.

გეყოფა.

ვაიძულე თავს, რომ შევბრუნებულიყავი და უკან წავსულიყავი. ჩემი სხეული მძიმედ მოძრაობდა, თითოეული ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა. საკუთარ თავს ნება მივეცი, რომ გონებით მასთან დავრჩენილიყავი. მაიკ ნიუტონის ფიქრები დავიჭირე – ყველაზე ხმამაღალი იყვნენ. დაინახა, მის გვერდით ჩავლილი ბელა, დაბნეული გამოხედვით და აწითლებული ლოყებით. მაიკი მას გულისწყრომით უყურებდა, მის გონებაში კი ჩემი სახელი გახმიანდა. ვერ შევძელი არ გამეცინა.

ხელი მჩხვლექდა, მოვხარე, შემდეგ კი მუშტი შევკარი, ამის მიუხედავად ის მაინც განაგრძობდა უმტკივნეულოდ ჟრჟოლას.

არა, მე ბელა არ დამიშავებია – მაგრამ მისი შეხება უზარმაზარი შეცდომა

იყო.

შეხება ცეცხლს გავდა – თიტქოს წყურვილის ცეცხლი, ჩემი ყელიდან მთელ სხეულს მოსდებოდა.

მომავალში, როცა მასთან ვიქნები, შევძლებ კი თავის შეკავებას, რათა არ შევეხო? თუ კი, კიდევ ერთხელ შევეხები, შევძლებ კი ისევე შეჩერებას, როგორც დღეს?

მეტი აღარანაირი შეცდომა, დატკბი იმით რაც იყო, ედვარდ. – მოლუმპლმა გავიფიქრე. – ეცადე ხელები დაიმოკლო. როდესმე აუცილებლად მომიწევს მისი დატოვება, ეს გარდაუვალია. მის გვერდით ვერ შევძლებ შეცდომებისგან თავის დაცვას.

ღრმად ამოვისუნთქე, ვეცადე ჩემი აზრები წესრიგში მომეყვანა.

ემეტმა მაშინ დამიძახა, როცა უკვე ინგლისურის კაბინეტის კარებთან ვიყავი.

– როგორ ხარ ედვარდ? – უკეთესად გამოიყურება, უცნაურად, მაგრამ ნამდვილად უკეთესად, ბედნიერია.

– გამარჯობა, ემ, – ბედნიერი ვარ? იქნებ ყველაფერი იმ ქაოსის ბრალია, ახლა რომ ტრიალებს ჩემს თავში?

– ეცადე პირი მაგრად დახურო, როზალის სურს ენა ამოგაძროს.

ამოვისუნთქე.

– მაპატიე, რომ ამაში ჩაგითრიე, დამნაშავე ვარ შენს წინაშე.

– არა, მაგრამ უბრალოდ როზალი ძალიან გაბრაზებულია. ეს შეძლება ნებისმიერს შემთხვეოდა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ელისის ხილვებს... არ მსურდა ელისის ხილვებზე ფიქრი, მზერა მოვაცილე და კბილები ერთმანეთს დავაჭირე.

ვეცადე ყურადღება გადამეტანა და სწორედ ამ დროს შევნიშნე ბენ ჩენი, რომელიც ესპანურის კაბინეტიდან გამოდიოდა და პირდაპირ ჩვენსკენ

მოემართებოდა. ეს ჩემი შანსი იყო, რათა ანჯელასთვის საჩუქარი გამეკეთებინა.

ემეტს მხარზე ხელი მოვკიდე და შევაჩერე.

– მოიცადე ცოტა ხანს.

– რა მოხდა?

– ვიცი, რომ ამას არ ვიმსახურებ, მაგრამ იქნებ ერთი სამსახური გამიწიო?

– რა უნდა გავაკეთო? – მკითხა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა.

ჩურჩულით, ისეთი სისწრაფით ავუხსენი ჩემი გეგმა, რომ ადამიანის ყური ამას ვერ აღიქვამდა. როგორც კი ლაპარაკი დავამთავრე, გულგრილად შემომხედა, მისი აზრები ისეთივე უარის მთქმელი იყო, როგორც მისი სახის გამომეტყველება.

– აბა? დამეხმარები?

ერთი წუთი დაჭირდა, რათა პასუხი გაეცა.

– რაში გჭირდება ეს ყველაფერი?

– გთხოვ ემეტ! დათანხმდი!

– რა ჯანდაბა ხდება ჩემს თავს და რა დამართე ჩემს ძმას?

– ნუთუ შენ არ იყავი ერთ–ერთი, ვინც მუდმივად წუწუნებდა, რომ

სკოლის ცხოვრება ძალიან ერთფეროვანია. ეს რაღაც ახალია, ასე არაა? ჩათვალე,

რომ ეს ექსპერიმენტია ადამიანის ნატურაზე ზემოქმედების.

რამდენიმე წუთი მიყურა.

– გამოვტყდები, რომ ეს რაღაც ახალია... კარგი თანახმა ვარ.

ჩაიფრუტუნდა და მხრები აიჩეჩა.

– დაგეხმარები.

გავუცინე. ენთუზიაზმით შევიგრძნობდი, როგორ მოდიოდა ჩემი გეგმა

მოქმედებაში. ამის საფასური როზალი იქნებოდა, თუმცა მე ყოველთვის ვალში

ვიქნებოდი მის წინაშე, რადგან ემეტს არჩია – ყველაზე საუკეთესო ძმა.

ემეტს მომზადება არ სჭირდებოდა, მხოლოდ ინსტრუქციები მივეცი

ჩურჩულით.

ბენი უკვე ჩვეულ ადგილზე იჯდა და საშინაო დავალების ჩასაბარებლად ემზადებოდა. მე და ემეტმაც დავიკავეთ ჩვენი ადგილები. კლასში ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი სიჩუმე, მოლაქლაქე მოსწავლეები მანმადე არ შეწყვეტდნენ ლაპარაკს, ვიდრე მისის გოფი არ მოითხოვდა ყურადღებას, ის კი საერთოდ არ ჩქარობდა, სხვა კლასის საკონტროლო წერის რვეულებს ამოწმებდა.

– მოკლედ, – იმაზე ხმამაღლა დაიწყო ემეტმა, ვიდრე ეს ეს აუცილებელი იყო, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მხოლოდ მე მომმართავდა. – შენ ჯერ კიდევ არ მიგიწვევია ანჯელა ვებერი პაემანზე?

ჩვენს უკან მჯდომი ბენი გაქვავდა, ფურცლების შრიალი შეწყვიტა და მთლიანად ჩვენს ლაპარაკზე გადმოიტანა ყურადღება.

– ანჯელა? ნუთუ მასზე ლაპარაკობენ?

მშვენიერია, ჩვენ მისი ინტერესი დავიჭირეთ.

– არა, – ვუპასუხე, თავი ნელა გადავაქნიე, თითქოს ვნანობდი.

– და რატომ? – იმპროვიზირებდა ემეტი. – მშიშარა ქათამი.

მოვიღუშე.

– გავიგე, რომ თურმე სხვა მოსწონს.

– ედვარდ ქალენი აპირებდა ანჯელას პაემანზე დაპატიჟებას? არა... მე ეს არ

მომწონს, არ მინდა რომ მის გვერდით იყოს... ედვარდი სახიფათოა... \

არ ველოდი, რომ ეს ყველაფერი ბენში გამირობის სურვილს გააღვიძებდა.

იმედებს ეჭვიანობაზე ვამყარებდი. მიუხედავად ამისა, მაინ იმოქმედა.

– და ასე უბრალოდ დანებდები? – მკითხა ემეტმა, იცინოდა და ისევ

იმპროვიზირებდა. – არ გსურს კონკურენციის გაწევა?

დაჟინებული მხერით შევხედე.

– მე ვფიქრობ, რომ ანჯელას ბენი მოსწონს. არ მინდა ჩავერიო, უამრავი

გოგონაა კიდევ.

ჩემს უკან მჯდომი ბენის რეაქცია განსაცვიფრებელი იყო.

– და ვინ? – შემეკითხა ემეტიც.

– ჩემმა პარტნიორმა ლბორატორიულის დროს მითხრა, რომ მისი გვარია

ჩენი, არ ვიცი, ვინ არის.

გავიღიმე. მხოლოდ ქედმაღალ ქალებებს შეეძლოთ თავის მოკატუნება, რომ არ იცოდნენ თითოეული მოსწავლე, ამ პატარა სკოლაში.

ბენი გაცეცხლებული აქნევდა თავს.

– მე? და არა ედვარდ ქალენი? რატომ მოვწონვარ მე?

– ედვარდ, – ემეტიც ჩურჩულზე გადავიდა, თვალთ ბენისკენ მანიშნებდა.

– ის ზუსტად შენს უკან ზის. – იმდენად გარკვევით ჩაიჩურჩულა ეს სიტყვები, რომ ადამიანის ყური ძალიან ადვილად გაარჩევდა ამ სიტყვებს.

– ოჰ. – ჩავილაპარაკე.

შევბრუნდი და ჩემს უკან მჯდომ ბენს შევხედე. რამდენიმე წამის

განმავლობაში, სათვალეების მიღმა არსებულ შავ თვალეებში შიში გაკრთა, როცა

შემფასებლური მზერით ვათვალთვლებდი. შემდეგ კი თავი ხელში აიყვანა და

მხრებში გასწორდა. ნიკაპი მაღლა ასწია და მოულოდნელმა გაბრაზებამ მის

ყავისფერ კანს ოქროსფერი მიეცა.

– ჰაჰ. – ჩავილაპარაკე ქედმაღლურად და ემეტისკენ შევბრუნდი.

– ის ფიქრობს, რომ ჩემზე უკეთესია, მაგრამ ანჯელა ას ეარ ფიქრობს,

ვაჩვენებ როგორ უნდა...

მშვენიერია.

– როგორ ფიქრობ, ანჯელა ცეკვებზე იორკის დაპატიჟებს? – ჩაიფრუტუნა

ემეტმა, რადგან ის ბიჭი, იორკი, ცნობილი იყო თავისი მოუქნელობით.

– მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში. – მინდოდა დარწმუნებული

ვყოფილიყავი, რომ ბენი გვისმენდა. – ანჯელა მორცხვია. თუკი ბე... უფრო

სწორად, იმ ბიჭს არ ეყოფა გამბედაობა მის დასაპატიჟებლად, ანჯელა მას ვერ

მიიწვევ.

– მაგრამ შენ ხომ თავმდაბალი გოგონები მოგწონს? – ისევ იმპროვიზაცია. –

ჩუმი გოგონები. გოგონები... არც კი ვიცი. იქნებ ბელა სვონი?

გავიცინე.

– ზუსტადაც. – შემდეგ კი ჩვენს წარმოდგენას დავუბრუნდი. – იქნებ

ანჯელა ლოდინი მოხეზრდეს, აი მაშინ კი მე დავპატიჟებ.

– არა, არ დაპატიჟებ. – გაიფიქრა ბენმა, – რა მოხდა თუ კი ანჯელა ჩემზე

მაღალია? თუ კი მას ეს არ აღელვებს, მითუმეტეს მე არ მაქვს პრობლემა. ის

ყველაზე საყვარელი, ჭკვიანი მომხიბვლელი გოგოა მთელს სკოლაში... და მას მე

მოვწონვარ.

მომწონდა ეს ბიჭი. ამ წამს ის საკმაოდ მხნედ გამოყურებოდა.

შესაძლებელია, ის იმსახურებდა კიდევ ისეთ გოგოს, როგორც ანჯელა იყო.

როდესაც მისი გოფი წამოდგა, რათა კლასს მისალმებოდა, მაგიდის

ქვეშიდან ემეტს ცერა თითით ვანიშნე, რომ ყველაფერი კარგად იყო.

– –კარგად გავერთე. – გაიფიქრა ემეტმა.

საკუთარ თავს გავუღიძეე, რადგან შევძელი და ამ სასიყვარულო ისტორიას

ბედნიერი გადაწყვეტილება მივეცი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბენი სწორ

არჩევანს გააკეთებდა და ანჯელა მიიღებდა ჩემს ანონიმურ საჩუქარს. ჩემი მისია

შესრულებული იყო.

როგორი სულელები არიან ადამიანები, რომ მცირე განსხვავებას აძლევენ

უფლებას მათი ბედნიერების დანგრევის.

ამ პატარა წარმატების გამო, თავს კარგად ვგრძნობდი. მოუსვენრად

ვწიალებდი სკამზე და ვემზადებოდი დამენახა რაიმე საინტერესო. ლანჩზე

ბელამ მითხრა, რომ არცერთხელ არ მინახავს სპორტ დარბაზში.

სპორტ დარბაზში არსებული უამრავი ხმის მიუხედავად, მაიკ ნიუტონის

აზრების დაჭერა რთული არ იყო. უკანასკნელი რამდენიმე კვირის მანძილზე,

მისი გონება საკმაოდ ნაცნობი გამხდარიყო ჩემთვის. ჩავისუნთქე და ვეცადე შევჩვეოდი იმ აზრს, რომ მისი აზრების მოსმენა მომიწევდა. არც კი დავეჭვებულვარ იმაში, რომ მაიკის ყურადღება ბელასკენ იქნებოდა მიპყრობილი. დროულად მივუსწარი. ის თავაზობა ოგგონას, რომ მისი პარტნიორი ყოფილიყო ბადმინტონის თამაშის დროს.

ღიმილი გამიქრა, კბილები მაგრად დავაჭირე ერთმანეთს და თავს შევახსენე, რომ მაიკის მკვლელობა შეუძლებელი იყო.

– მადლობთ. მაიკ – შენ იცი, რომ არ ხარ ვალდებული ეს გააკეთო.

– არ ინერვიულო, ორივეს ნაცვლად ვითამაშებ.

ერთმანეთს გაუღიმეს და სწორედ ამ დროს მაიკის აზრებში უამრავი განსხვავებული იდეა გაჩნდა, რაც შეიძლება ბელას შემთხვეოდა თამაში დროს. დასაწყისისთვის მაიკი მარტო თამაშობდა, მაშინ როცა ბელას ჩოგანი ხელში ისე ეჭირა, თითქოს რაიმე სასიკვდილო იარაღი ყოფილიყო და კორტის მოპირდაპირ მხარეს იყურებოდა. შემდეგ მწვრთნელი მიუახლოვდა და უბრამანა მასაც ეთამაშა.

ო–ოი, – გაიფიქრა მაიკმა, როცა შენიშნა მისკენ წამოსული ბელა, რომელსაც ხელში არასწორი კუთხით ეჭირა ჩოგანი.

ჯენიფერ ფორდა ბელას გაუღიმა. მაიკი გაიქცა, რათა ბურთი შეენარჩუნებინა, შემდეგ კი დაინახა, რომ ბელამ ჩოგანი შეარხია და დასარტყმელად მოემზადა.

ბელას ჩოგანის ტრაექტორიას შიშით ვადევნებდი თვალყურს, რომელიც ბადეს გამოედო, შემდეგ ასხლტა და შუბლში მოხვდა გოგონას, გაფრინდა და ხმაურით მოხვდა მაიკს მხარში.

– ოი, ოი, აი, ახლა დამილურჯდება.

ბელა აქტიურად ისრესდა შუბლს. მიჭირდა სკამზე წყნარად ჯდომა, მაშინ, როცა ვიცოდი, რომ ტკიოდა. მაგრამ რის გაკეთებას შევძლებდი, იქ რომ

ვყოფილიყავი? კარგი არაფრის. თუ კი ბელა თამაშს განაგრძობდა, მომიწევდა რაიმე გასამართლებელი საბუთის მოძებნა, მისი სპორტზალიდან გამოსაყვანად. მწვრთნელმა გაიცინა.

– მაპატიე ნიუტონ. ეს გოგონა ნამდვილი სასჯელია, უარესი არ მინახავს, უკონკურენციოა.

შემდეგ შებრუნდა და წავიდა, რათა ენახა, როგორ თამაშობდნენ დანარჩენი მოსწავლეები. ამან მისცა ბელას საშუალება, რომ ისევ მოაყურებლად დარჩენილიყო.

აუ. გაიფიქრა მაიკმა და ბელასკენ შებრუნდა.

– როგორ ხარ?

– ყველაფერი კარგადაა, შენ? – შეეკითხა პასუხადა და გაწითლდა.

– არა მიშავს, არ მინდა სუსტი გამოვჩნდე, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულია.

მაიკმა ხელი დაატრიალა და ტკივილისგან მოიღუშა.

– მე აქ დავრჩები. – ბელა ღელავდა. მის სახეზე მწუხარება აღბეჭდილიყო.

იქნებ მაიკი თვითონ ისწრაფვოდა ამისკენ? მინდოდა იმედი მქონოდა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითობა იყო. მიუხედავად ამისა, ბელა თამაშს აღარ აპირებდა. ფრთხილად ეჭირა ჩოგანი ზურგს უკან და თვალებში სინანული უკრთოდა... მომიწია სიცილი ხველებით შემენიღბა.

– რა არის სასაცილო? – დაინტერესდა ემეტი.

– მოგვიანებით მოგიყვები. – ჩავიჩურჩულე.

ბელას მეტი აღარ უცდია ეთამაშა. მწვრთნელი ამას ყურადღებას აღარ

აქცევდა და მაიკს მისცა საშუალება ორის ნაცვლად ეთამაშა.

ადვილად გაუუმკლავდი ტესტს გაკვეთილის ბოლოს და მისის გოფმა ადრე გამიშვა კლასიდან. მივაბიჯებდი შენობაში და მაიკის ფიქრებს ვუსმენდი. ის აპირებდა ჩემს შესახებ ეკითხა ბელასთვის.

ჯესიკა იფიცება, რომ ედვარდი და ბელა ხვდებიან, რატომ არჩია

მაინცადამაინც ბელა?

მაიკმა არ იცოდა, რომ პირიქით, ბელამ ამირჩია მე.

– მოკლედ.

– რა მოკლედ?

– შენ და აქაღენი? შენ და ეს მახინჯი. მასში მხოლოდ ის გიზიდავს, რომ მდიდარია.

კბილები გავადრჭიალე ასეთი სიმდაბლის გამო.

– მაიკ, ეს შენი საქმე არაა.

თავს იცავს, ე.ი სიმართლეს, ჯანდაბა.

– მე ეს არ მომწონს.

– არც უნდა მოგწონდეს. – შეეპასუხა ბელა.

რატომ ვერ ამჩნევს, როგორ უყურებს? მისი ერთი შეხედვა და ტანში ჟრუანტელი მივლის.

– ისე გიყურებს... თითქოს შენი შეჭმა უნდა.

გავხევი, ბელას პასუხს ველოდი.

ბელა გაწითლდა, ტუჩები მოკუმული ჰქონდა, თითქოს სუნთქვის შეკავებას ცდილობდა, როცა მოულოდნელად სიცილი მოსწყდა მის ზაგებს.

უკვე დამცინის, მშვენიერია.

მაიკი შებრუნდა და დამძიმებული ფიქრებით გაემართა გამოსაცვლელი ოთახისკენ.

სპორტ დარბაზის კედელს მივეყრდენი და ვეცადე დავმშვიდებულიყავი.

როგორ შეეძლო მაიკის ბრალდებებზე გაეცინა? როგორ შეძლო გაეცინა,

იმაზე, რომ მისი მოკვლა შემეძლო, მაშინ როცა იცოდა, რომ ეს სიმართლე იყო?

რა არის ამაში სასაცილო?

რა სჭირს?

იქნებ არაჯანსაღი იუმორის გრძნობა აქვს? ეს არ შედის იმ წარმოდგენებში

მისი ხასიათის შესახებ რომ ჩამომიყალიბდა, თუმცა მე არ შემიძლო ამაში დარწმუნებული ვყოფილიყავი.

მოულოდნელად ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა.

თუ კი მე შევძლებდი საკუთარი თავის კონტროლს, გავხდებოდი

უსაფრთხო – მაშინ შევძლებდი მის გვერდით დარჩენას.

დარბაზის კარებში გამოჩნდა, დაძაბული იყო. ტუჩზე იკბინა – ეს

აღელვების ნიშანი იყო. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს

შეხვდა, მოეშვა და სახე გულღია ღიმილმა გაუნათა. მისი სახის გამომეტყველება

უცნაურად მშვიდი იყო. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მომიახლოვდა და

მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა მისი სხეულიდან მომავალი სითბოს ტალღა

მთელს სხეულზე შევიგრძენი.

– გამარჯობა. – ჩაიჩურჩულა.

ბედნიერება, რომელსაც ამ მომენტში განვიცდიდი, ენით აუწერელი იყო.

– გამარჯობა. – ვუპასხე, შემდეგ კი დავამატე. – როგორ ჩაიარა

ფიზიკულტურამ?

შეკრთა.

– მშვენივრად.

ტყუილი არ შეეძლო.

– ნამდვილად? – ვკითხე, მინდოდა სიმართლე ეთქვა. – ჯერ კიდევ

ვღელავდი მის გამო. ტკიოდა? მაიკის აზრები იმდენად ხმამაღალი იყო, რომ

მთელი ყურადღება მასზე გადავიტანე. “ვერ ვიტან. მინდა, რომ მოკვდეს, იმედი

მაქვს თავისი ლამაზი მანქანით კლდიდან გადავარდება. რატომ არ შეუძლია

თავი დაანებოს ბელას? დაუბრუნდეს თავის მსგავს მახინჯებს.”

– რა მოხდა? – შემეკითხა ბელა.

შენიშნა, რომ მას არ ვყურებდი, ჩემს მზერას გააყოლა თვალი და მაიკი

დაინახა, შემდეგ ისევ ჩემსკენ შემობრუნდა.

– ნიუტონი ჩემს ნერვებზე მოქმედებს. – გამოვტყდი.

პირი მოკუმა და ღიმილი გაუქრა. როგორც ჩანს არც კი უფიქრია, რომ სპორტ დარბაზში მის შემთხვევას შევნიშნავდი.

– კიდევ მისმენდი?

– თავი როგორ გაქვს?

– შენ უბრალოდ გამოუსწორებელი ხარ. – გამოსცრა კბილებში, შემდეგ კი სწრაფად შებრუნდა და ნაწყენი გამომეტყველებით გაემართა ავტო სადგომისკენ.

სახე ასწითლებოდა – შეცბუნებული იყო. დავედევნე. ვიმედოვნებდი, რომ გაბრაზება მალე გაუვლიდა, როგორც წესი ადვილად მჰპატიობდა.

– თვითონ მითხარი, რომ არასოდეს მინახიხარ სპორტ დარბაზში, – გავიმართლე თავი. – დამაინტერესა.

წარბები შეჭმუხნა და არაფერი მიჰასუხა.

ავტოსადგომზე მოულოდნელად შეჩერდა, რადგანაც ჩემი მანქანისკენ მიმავალ გზაზე, ბიჭები შეკრებილიყვნენ.

საინტერესოა რამდენად სწრაფია...

შეხედეთ გადაცემათა კოლოფს შMG, არასოდეს მინახავს მაღაზიაში.

არაჩვეულებრივი გვერდითი დამცავები აქვს...

დაახლოებით სამოცი ათასი ეღირება...

სწორედ ამიტომ, როზალი არჩევდა ქალაქში ასეთი მანქანით სიარულს,

ერთად მდგარი ბიჭების შუაში გავიარე და მანქანისკენ გავემართე. რამდენიმე

წამის შემდეგ, ბელაც მოვიდა.

– მაგარია. – ჩავილაპარაკე, როცა მანქანაში ჩაჯდა.

– ეს რა მანქანაა? – დაინტერესდა.

– M3.

მოიღუმა.

– ხელოსანი არ ვარ.

– ეს BMჟ. – თვალეზი მივლულე, შემდეგ კი მთლიანად გადავერთე მანქანის ტარებაზე, რათა ისე გამომეყვანა, რომ არავინ დამეზიანებინა. ჩანდა, რომ ამ ბიჭებიდან, ერთ–ერთი გაცლას არ აპირებდა. სიჩქარის სატერფულს თუ ფეხს დავაჭერდი, ეს მათ გამოაფხიზლებდა.

– ჯერ კიდევ ბრაზობ? – ვკითხე.

მისი შეკრული წარბები ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდნენ.

– შენ როგორ ფიქრობ?

ჩავისუნთქე, ალბათ ასე არ უნდა მოვეცეულიყავი. შემემლო მოზოდიშება მეცადა.

– მაპატიებ, თუ ბოდიშს მოვიხდი?

რამდენიმე წამით ჩაფიქრდა.

– შესაძლოა. – მიპასუხა. – თუ კი შემპირდები, რომ ასე აღარ მოიქცევი.

არ ვაპირებდი მის მოტყუებას, შესაბამისად არ შემემლო ამაზე დავთანხმებოდი. იქნებ შემემლო სხვა ვარიანტის შეთავაზება?

– რას ფიქრობ სერიოზულ მოზოდიშებაზე და დავთანხმებას შენი

სატვირთოთი გასეირნებაზე შაბათ დღეს? – უბრალოდ ფიქრმაც კი ამის შესახებ ტანში ჟრჟოლა მომგვარა.

– მოსულა. – მიპასუხა, ცოტა ხნის მერე.

რაც შეეხება ჩემს ბოდიშს... არასოდეს მიცდია მიზანმიმართულად თავბრუ დამეხვია ბელასთვის, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა ზუსტად ამის დრო დადგა. თვალეზში შევხედე და ჩემი ყველაზე დამაჯერებელი ინტონაცია გამოვიყენე.

– მაპატიე, რომ გაწყენინე.

სუნთქვა წყვეტილი გაუხდა, თვალეზი გაუფართოვდა და საკმაოდ დაბნეული ჩანდა.

გავიღიმე, როგორც ჩანს ყველაერი ზუსტად გავაკეთე. რა თქმა უნდა

ჩემთვისაც რთული იყო მისთვის თვალის მოწყვეტა. კარგია, რომ ამის

აუცილებლობა გამახსენდა.

– შაბათ დილით შენ კარებთან ვიქნები. – დავამატე და ამით ჩვენს საუბარს წერტილი დავუსვი.

თვალეები სწრაფად დაახამხამა და თავი დამიქნია.

– ჰმ, და როგორ ავუხსნა ჩარლის ჩვენი სახლის წინ გაჩერებული უცხო „ვოლვო“?

როგორი ცოტა რამ იცოდა ჩემს შესახებ.

– უმანქანოდ ვიქნები.

– და როგორ... – დაიწყო.

შევაწყვეტინე, რთული იყო ამეხსნა, თუ თვითონ არ ნახავდა.

– ნე ნერვიულობ, მანქანა არ იქნება.

თავი გვერდზე გადასწია, რაღაც მომენტში მის სახეზე კითხვა აღიბეჭდა,

მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა მისი გახმიანება.

– იქნებ ჩვენი დილანდელი საუბარი განვავრდოთ? – მკითხა,

მხედველეობაში ჰქონდა, ჩვენი დილანდელი შეწყვეტილი საუბარი სასადილოში.

აპირებდა დარუნებოდა იმ რთულს და არა მიზიდველ საუბარს.

– შესაძლოა. – გაჭირვებით დავეთანხმე.

მის სახლთან გავაჩერე მანქანა. ვცდილობდი საკმარისად სწორად გამეცა

პასუხი მის შეკითხვაზე, რომ ისევ არ შემეშინებინა.

ის კი იგივე ზრდილობიანი და დაინტერესებული სახის გამომეტყველებით

ელოდა ჩემს პასუხს. ასეთი დამაბული რომ არ ვყოფილიყავი, მისი აბსურდული

სიმშვიდე აუცილებლად გამაცინებდა.

– უწინდელივით ვერ ხვდები, რატომ არ შეიძლება იმის ნახვა, თუ როგორ ვნადირობ? – ვკითხე.

– ნუ... შენმა რეაქციამ უფრო მეტად გამაკვირვა. – მიპასუხა.

– შეგაშინე? – დავინტერესდი, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ უარყოფდა.

– არა.

მომინდა გამეღიმა, მაგრამ არ გამომივიდა.

– მაპატიე, რომ შეგაშინე. – შემდეგ კი ღიმილი ირონიასთან ერთად გამიქრა. – უბრალოდ წარმოვიდგინე, რომ შენ ჩვენს ნადირობას ნახავდი და...

– ნუთუ ასეთი სახიფათოა?

სწორედ ამ დროს თვალწინ სურათი წარმომიდგა – დაუცველი ბელა, სრულ სიბნელეში, მე კი მთლიანად ჩემს ინსტიქტებს აყოლილი... ვეცადე ეს აზრი თავიდან ამომეგდო.

– ძალიან.

– იმიტომ რომ...?

ღრმად ჩავისუნთქე, ყურადღება მივაქციე მწველ წყურვილს. სურვილს ვგრძნობდი, მაგრამ ვაკონტროლებდი, ვგრძნობდი ჩემს ძალას მასზე. ის ვერასოდეს დამიპყრობდა ბოლომდე – ასეც უნდა ყოფილიყო. მე ბელასთვის უსაფრთხო უნდა ვყოფილიყავი. ვიმედოვნებდი, რომ თუ კი ნადირობის დროს მის სურნელს ვიგრძნობდი, შევძლებდი არჩევანის გაკეთებას.

– როცა ვნადირობთ... მთლიანად ინსტიქტებს ვენდობით, განსაკუთრებით ყნოსვას, – ვიდრე ვიტყოდი, თითოეულ სიტყვას ვარჩევდი, – ვივიწყებთ გონებას და თუ კი შენ აღმოჩნდები სადმე ახლომახლო, როცა ასეთ მდგომარეობაში ვარ...

თავი გადავქანე, აგონიას ვგრძნობდი იმ აზრის გამო, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო შემდგომ.

ვუსმენდი, როგორ უცემდა გული, შემდეგ კი მოუთმენლად შევხედე სახეზე, მინდოდა რაიმე წამეკითხა მის თვალებში.

ბელას სახე მშვიდი იყო, ხოლო თვალებში სიცარიელე ედგა. ტუჩები დაჭიმვოდა, რაც მის ცნობისმოყვარეობას გამოხატავდა. დაინტერესებას რითი? საკუთარ უსაფრთხოებაზე? თუ ჩემს ნერვიულობაზე? მის ყურებას

განვარგობდი, ვცდილობდი გამეგო მისი სახის გამომეტყველება.

ისეთივე ცნობისმოყვარე გამოხედვით მიპასუხა. რამდენიმე ხანში თვალები გაუფართოვდა, თუმცა გამომეტყველება არ შეცვლია.

სუნთქვა გამიხშირდა, მომეჩვენა, რომ მანქანაში ელექტრული მუხტი ტრიალებდა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ბიოლოგიის კაბინეტში.

ელექტრული მუხტი, ისევ გაჩნდა ჩვენს შორის, მისი შეხების მწველმა სურვილმა შემიპყრო, გაცილებით ძლიერმა სურვილმა, ვიდრე წყურვილის ჩახშობამ.

ჩემი სხეულიდან მომავალმა ძალამ, თავი ადამიანად მაგრძნობინა, თითქოს ისევ გამაჩნდა პულსი. ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად მინდოდა მისი ტუჩების სითბო მეგრძნო ჩემს ტუჩებზე. წამით საკუთარ თავს ვებრძოდი სურვილის წინააღმდეგ, რათა მისი კანი ჩემს ტუჩებთან არ აღმოჩენილიყო...

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სწორედ მაშინ, როცა მე სუნთქვა გამიხშირდა, მან საერთოდ შეწყვიტა სუნთქვა, ახლა კი ხარბად ისუნთქავდა ჰაერს.

თვალები დავხუჭე და ვცდილობდი იმ დამაბულობის მოხსნას, ჩვენს შორის რომ წარმოიშვა.

არავითარი შეცდომა.

ბელას არსებობა, უამრავ ქიმიურ პროცესებზე იყო დამოკიდებული, რომელიც მის სხეულში მიმდინარეობდა, საკმაოდ ადვილი იყო მათი დარღვევა.

მისი ფილტვების რითმული გაფართოება, ჟაგბადის ნაკადი, შეიძლებოდა როგორც სიცოცხლის, ასევე სიკვდილის მომტანიც ყოფილიყო მისთვის. მისი სათუთი გულის ფრთხილი შესაძლოა შეჩერებულიყო, როგორც სულელურ უბედურ შემთხვევის, ასევე ავადმყოფობის... ან ჩემს გამო.

ჩემი ოჯახის თითოეული წევრი, არც კი დაფიქრდებოდა, თუ კი

მიეცემოდათ შანსი, რომ ისევ ადამიანები გამხდარიყვნენ, თუნდაც ამის გამო იმდენი ხანი დატანჯულიყვნენ რამდენიც საჭირო იქნებოდა.

უამრავი სხვა ჩვენი მსგავსები, უკვდავობას ძალიან აფასებდნენ. ასევე არსებობდა ხალხი, რომლებიც ცდილობდნენ ამის მიღწევას, ეძებდნენ მათ, ვინც ამ ყველაზე ბნელ საჩუქარს მიუღებინდა.

მხოლოდ ჩვენ არა, ჩემი ოჯახის წევრები ყველაფერს გავიღებდით, ოღონდაც ისევე ადამიანებად გახდომა შეგვძლებოდა.

მაგრამ ჩემნაირად არავინ წუხდა ამის შესახებ. კონცენტრირება მთლიანად საქარე მინაზე არსებულ მიკროსკოპულ ღრმულებზე მოვახდინე, თითქოს რაიმე გადაწყვეტილების მიღებას ვცდილობდი. ელექტრული მუხტი არ გაქრა და ძლიერად მოვუჭირე ხელი ავტომობილის საჭეს.

ჩემმა მარჯვენა ხელმა უმტკივნეულო ჩხვლეტა დაიწყო სწორედ იმ ადგილზე, რა ადგილითაც დღეს ბელას შევხეხე.

– ბელა, მგონი დროა წახვიდე.

დამეთანხა, სიტყვის უთქმელად გადავიდა მანქანიდან და კარი მოხურა.

გრძნობდა იგივე გულისტივილს, რასაც მე?

იქნებ მასაც ისევე არ უნდოდა ჩემი დატოვება, როგორც მე არ მსურდა მისი გაშვება? ერთადერთი ის მამშვიდებდა, რომ ძალიან მალე ვნახავდი. იმაზე ადრე, ვიდრე ის მნახავდა. გავიღიმე, მინა ჩამოვწიე და გადავიხარე, რათა კიდევ ერთხელ დავლაპარაკებოდი – ამჯერად ყველაფერი მარტივი იყო, მისი სითბო აღარ იგრძნობოდა მანქანაში.

ცნობისმოყვარეობით შემომხედა, ელოდა რას ვეტყვოდი.

იმის მიუხედავად, რომ მთელი დღის განმავლობაში კითხვებს მისვამდა,

მისი ინტერესი ჩემს მიმართ არ განელებულა. მე უბრალოდ ჩემი

საიდუმლოებები გავუმხილე, თვითონ მის შესახებ კი საკმაოდ ცოტა ვიცოდი, ეს უსამართლობა იყო.

– ბელა?

– რა?

– ხვალ ჩემი ჯერია.

მოიღუშა.

– შენი ჯერია რა მხრივ?

– შეკითხვების დასასმელად.

– ხვალ, როცა ჩვენ გაცილებით უსაფრთხო ადგილას ვიქნებოდით, სადაც უამრავი მოწმე იქნებოდა, ჩემს შეკითხვებზე პასუხებს მივიღებდი. ამ აზრმა გამაღიმა და მანქანა მოვაბრუნე. მაშინაც კი, როცა ბელა მანქანაში არ იჯდა, მისი უხილავი აურა მაინც იგრძნობოდა. მომინდა მანქანიდან გადავსულიყავი და კარებამდე მიმეცილებინა, რათა მის გვერდით ვყოფილიყავი...

მეტი აღარანაირი შეცდომა.

სიჩქარის სატერფულს ფეხი დავაჭირე და ამოვისუნთქე. როგორც ჩანდა, მე ყოველთვის მივდიოდი მასთან შესახვედრად, მაგრამ ისევ უკან ვბრუნდებოდი, არ ვაძლევდი საკუთარ თავს ერთი შესაძლებლობის არჩევის საშუალებას. მომიწევდა რაიმე გამოსავლის მოძებნა, რათა მის გვერდით ყოფნისას არ დავეჭვებულიყავი, ჩვენი მომავლის არსებობის უფლებაში.

დასასრული.